ლევან სანიკიძე

დავითიან-თამარიანი
ანუ

რომელმან აღაშენა,
რომელმან დაამშვენა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1994

ეუძღვნი დედაჩემის,
ნინა გელოვან-სანიკიძის

ნათელ ხსოვნას.

63.3 (2ქ)
ს 262

წინამდებარე წიგნი ეძღვნება XII საუკუნის საქართველოს ისტორიას — დავითისა და თამარის „ოქროს ხანას". იგი ეყრდნობა სათანადო საისტორიო წყაროთა და სამეცნიერო ნაკლევთა ხელახალ შესწავლას და ამის შემდეგ წარმოსდგება ახალი აღნაგობით და გააზრებით, ორ წიგნად: „რომელმან აღაშენა" (დავითი) და „რომელმან დაამშვენა" (თამარი), ორიეე საკუთარი საყრდენი ლაიტმოტივით — უზენაესობა კანონისა (დავითი) და უზენაესობა სიკეთისა (თამარი).

რედაქტორი ი. ფარულავა

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994

4700000000
ს
608 (06) 94

ISBN 5—511—00594—0

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

შ ო თ ა

„შემდგომად ამისა ვიხილე სხუაჲ ანგელოზი, გარდამომავალი ზეცით, რომელსა აქუნდა ხელმწიფებაჲ დიდი და ქუეყანაჲ განათლდა დიდებისაგან მისისა“.

იოანე, აპოკალიფსის, 18,1.

წინაბჭე, ანუ — ფიქრები გელათს

„წერა-მწერლის წერითო“.

ვ ა ჟ ა.

„რომელმან აღაშენა“,
„რომელმან დაამშვენა“,
„რომელმან დააქცია“, —

თაედაპირველად ასეთი „ტ რ ი ლ ო გ ი ა“ განეზრახა აეტორს, წმინდა ისტორიული ხასიათისა.

აღვილად მისახვედრია:
აღმაშენებელი — დავითი,
დამამშვენებელი — თამარი,
დამაქცევარი — ...

თუმცა, სანამ განზრახული „სამსახეობის“ მესამე, ანუ „დამაქცევარი“ ნაწილი დაიწერებოდა, აეტორს მაინც „სულმა წახძლია“ და გადაწყვიტა, აწ გამზადებული წინა ორი ნაწილი ერთი მთლიანობით წარედგინა მკითხველისათვის; იხედაც, „აღმაშენებლისა“ და „დამამშვენებლის“ დროებამი, XII საუკუნე, აკი თავისთავადაც ერთი მთლიანი ეპოქაა, უზენაესი, „ოქროვანი საუკუნე“ საქართველოს ისტორიისა — „ერთობილი“, განუკვეთელი და განურღვეველი ნიშანსვეტი ქართულ „ქუეყანასა ზედა“, ანუ „შუბლსა ზედა დედამიწისასა“...

და უნიკალური ქართული სახელმწიფოებრიობისა და ზენა-სულიერების ეს ორი მთავარი, კ ა თ ო ლ ი კ ე ძ ა რ ღ ვ ი — ნება კანონისა (დავითი) და ნება სათნოებისა (თამარი) — შესაბამისი სახელდებითი მთლიანობით — „დ ა ვ ი თ ი ა ნ-თ ა მ ა რ ი ა ნ ი“ — ეძღვნება იმ „ოქროვან საუკუნეზე“ მარადიული მწუხრვალებით და მჭმუნვარებით მეოცნებე მკითხველს.

● . . . . . .

დღეს, ერთხელ კიდევ (ეს მერამდენედ!) ჩემი სულის ქერუბიმმა მიმგვარა მახ, საკანესა გელათისასა.

გელათი — მეორე საფეთქელი საქართველოსი (პირველი — სვეტიცხოველი).

აი, ისიც — საფლავი დავითისა, სამარტყელე-პალადიუმი საქართველოსი.

აი, ქვა იგი — სარქველი სიქველისა.

აი, ეპიტაფია სარქველსა ზედა სიქველისასა — „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, რამეთუ მთნავს, აქა დავემკვიდრო მე“.

არავინ იცის, დავითონ იხურვა სულკურთხეულმა, აღსასრულის წინ, წარწერა ესე, თუ ვინმე მისმა მოზარე-ჭირისუფალმა მოიაზრა მეფე-ღვთაების ძვალთა საკანის შესამკობელად (სამასი წლით აღრინდელი ცნობა „გიორგი მერჩულეღან“, იგივე წარწერა ბერი ხვედიოსის საფლავის ქვაზე).

დავითი!

● . . . . . .

იყო, როდესაც არ იყო.

და იქმნა, ვითარცა შ ე ხ ა ქ მ ე უფლისაგან.

ხწორედ უფალს ეწადა, კელავაც „ძალითა მით ძლიერითა“, შეექმნა მიხვანეე შექმნილ აღამეთში კიდევ ერთი აღამიანი, კაცი დიაღი — მონოანთროპოს, თუ ანთროპოლაიმონ.

და, ამჯერად — მან, შემოქმედმა, თვალი დაადგა დედამიწის შუბლს, სადაც ეხვენა „ქუეყანა საქართველო“.

და, აიღო იმ „ქუეყანა-შუბლისაგან“ ჯიშობრივი მადლით ტვირთული მიწა და შექმნა იგი „ხატად თვისად“ — ყველა აქამდელ კაცთა შორის, ყველაზე უფრო „ხატად თვისად“...

და სახელი მისი — დავითი...

● . . . . . .

თითქოს რაღაც, უცხო და უცნაური ბუბუნი მოისმის უწმიდესი ხელმწიფის საფლავ-სამარტვილედან.

დანარჩენი საფლავები კი, მტკნარი მდუმარებით უსმენენ მარად დაუმცხრალ დავითურ ბუბუნს..

დიახ, აქ, გელათის წმიდა მიწაში, დავითის გარდა, სხვებიც წვანან ერაელად და ბლომად (!) — მეფენი თუ მეფუკები, დედოფლები თუ დედოფალები, მათი მონა-გარნი თუ მონაბერნი. მაგრამ ისინი — ეს „ბლომანი“ — მხოლოდ მკვდრები არიან, მხოლოდ მკვდრები, მიცვალებულნი...

(გაიუს იულიუს ოქტავიანუს კეისარმა ეგვიპტეში, ალექსანდრიაში, დიდი ალექ-სანდრე მაკედონელის სამარხი ინახულა და მისი სარკოფაგი ძვირფასი სამკაულე-ბით შეამკო, ხოლო როცა მასპინძლებმა დანარჩენ გვირგვინოსანთა სამარხების მონახულებაც შესთავაზეს — „მე მხოლოდ მეფის ნახვა მსურდა და არა მკვდრებისა!“ — ბრძანა პასუხად კეისარმა).

რა გაეწყობა, — გელათის მიწას(აც), — ისე ვითარცა მთაწმინდის მიწას — შეძლებია „ერთობილი“ გულგრილობით აიტანოს და იგუოს, დაითმინოს და დაიმი-წოს ნეშთნი ყოველთა, დიდთა და მცირეთა, ღირსთა და ნაკლებ ღირებულთა.

მაშ, გელათიც (ისე, ვითარცა უკვე მთაწმინდაც) „პან-თეონად“ ანუ „ყველა-ღმერთისად“ ვერ ჩაითვლება.

იგი არის „მონოთეონი“ — „ერთი ღმერთისა“.

და „ის ერთი“ — არის დავითი.

და ეს მას შემდგომ, რაც ამდენ „ბლომათა“, ღირსეულებით და უღირსოებით განურჩეველ ძვალთა ხორომში დაკარგულა უწმიდესი სამარტვილე საქართველოს უზენაესი ისტორიის — ა რ ი ს ტ ო ლ ო გ ი ი ს მეორე ღვთაებრივი გმირისა — თა-მარ შვიდმნათობიერისა.

●

დავითი და თამარი!

„რომელმან აღაშენა“,

„რომელმან დაამშვენა“.

ანუ — „დავითიან-თამარიანი“.

აქვე, გელათის ღვთისმშობელს შესთხოვს ავტორი:

ოდნავ მაინც მიეთხვეს წიგნი ესე იმ არისტოლოგიურ მადლს, რასაც მისი ღვთაებრივი გმირები იმსახურებენ.

და კვლავაც პირუთვნელმა მკითხველმა განსაჯოს, ამნაირ წიგნით, ღირდა თუ არა საწერანი დახარჯულიყო დავითისა და თამარის „შეკადრებად შეუკადრებელ-თაცა“.

1990 წლის 9 მაისი,
კახას დაბადებიდან 31 წელი.

ᲙᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲐᲦᲛᲝᲪᲘᲡᲙᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ

ქართველნი ვართ ნათესავნი მხნენი და მხედრობითა აღზრდილნი და მარადის პირველუესსა ცხოვრებასა ჩვეულნი.

გრიგოლ ბაკურიანისძე

ᲖᲔᲝᲑᲐ ᲑᲐᲑᲠᲐᲢ ᲛᲔᲡᲐᲛᲘᲡᲐ

შემდგომად დიდისა ვახტანგ გორგასალისა არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა, და ყოვლითა გონებითა.

მატიანე ქართლისაჲ

ქრისტესშობითგან დამდგარიყო მეორე ათასწლეული, საუკუნე მეთერთმეტე, წელიწადი 1001.

დალეწილიყო 1300 წელიწადი საქართველოს პირველი გამაერთიანებლის, ფარნავაზის დროიდან, 500 წელიწადი — მეორე გამაერთიანებლის, ვახტანგ გორგასალის აღსასრულიდან.

საქართველოს ტახტზე, ქუთათისში, მესამე გამაერთიანებელი იჯდა — ბაგრატ მესამე.

მაშ, „საქართველოები“ კვლავ გაერთიანებულიყვნენ „ერთობილ საქართველოში“.

თუმცა ამ ახალ ეროვნულ „ერთობილობაში“ არ იგულისხმებოდა ტფილისი, არც ბოლნისის და შულავრის მხარე, არც კახეთ-ჰერეთი.

ტფილისის საამირო — ოთხასწლოვანი არაბული ბატონობის შხამიანი ნაწრეტი.

უფრო ძველი სატახტო კი — მცხეთა — მიითვლებოდა ახალ ქართულ მთლიანობაში.

მაშ, ქუთათისს, ქართულ ქალაქთა უხუცეს პატრიარქს, მცხეთის მაღლთან ზიარებულს უნდა ეტვირთა წინამძღოლობა „ახლადშენებული“ საქართველოსი.

ხოლო, ბიზანტიის კეისარი, ბასილი მეორე, მტრობას არ უშლიდა საქართველოს.

ოჰ, ეს ბიზანტია! კონსტანტინოპოლი — „ჰიპი დედამიწისა“ („ომფალოს ტეს გეს“).

აქ, მთავარ ფორუმ-მოედნის, ავგუსტეონის შუაგულში აღმართული იყო ოქროს სვეტი, საიდანაც — სწორედ ამ „ოქროს ომფალოსიდან“ — იყრებოდა ყველა დიდი გზა დედამიწის ყოველი მხრისკენ.

და ამ „ოქროს გზასაყარს“ ერთვოდა გზა საქართველოდან(აც).

მაშ, ეს იყო გზა, რომელიც აერთებდა დედამიწის „ჰ ი პ ს ა“ და „შ უ ბ ლ ს“.

მათი ერთიანობა კი უწინარესად მაინც ერთსახოვანი, მართლმადიდებლური ქრისტიანიზმით გაიაზრებოდა.

მაგრამ ბიზანტია მაინც, სულითაც და სხეულითაც, ევროპა იყო.

საქართველო კი — აზია (?!). მაგრამ, იქნებ ევროპა(ც)?!

ერთი რამ მაინც ცხადი იყო, თუნდაც უცნაური, მაინც ცხადი: საქართველო, სხეულით აზიელი, სულით მაინც ევროპელობდა!

დიახ, ქართველები ის აზიელები არიან — ე რ თ ა დ ე რ თ ნ ი ა ზ ი ე ლ თ ა გ ა ნ, ვინც ე ვ რ ო პ ე ლ ო ბ ე ნ თავგამოდებით.

მერე, რა დღიდან და რაის გამო ევროპელობენ ეს აზიელნი?

იმ დღიდან, რა დღიდანაც ქრისტეს სჯულს ეზიარნენ.

ქრისტიანობა კი ევროპელობაა.

საერთოდ იყო უცნაური (უცნაურობა ხომ „ჯიშად მოსდგამთ“ ქართველებს) და მაინც ცხადზე უცხადესი: აკი ყოველი ღვთაებრივი წინასწარმეტყველი და გააზრება უზენაესი კოსმიური დემიურგისა აზიაში იშვა — მოსე, ზარათუსტრა, ბუდა, ლაო-ძი, კუნ-ძი, მანი, მაზდაკი, მუჰამედი — და მათ შორის უდიადესი, განკაცებულად მოვლენილი უფალი ქრისტე; და უცნაური მაინც ის არის, რომ ეს უზენაესი მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა თ ა მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა „მშობლიურმა აზიამ“ მოიკვეთა და „უცხო ევროპამ“ კი ღვიძლ შვილად მიიღო, მიირქვა და მიისისხლხორცა.

და ქართველებიც (უცნაურობის ეს უცნაური კავალერები!) მიჰყვნენ ევროპისკენ მიმავალ ზესთასოფლურ ძეს, მესიას, „თანააზიელს“.

და ევროპელობენ მას შემდგომ ქართველნი, — ეს აზიელნი ევროპელობენ.

სული ევროპაში უდგათ, ტანი კი აზიაში — სულით და ტანით განცვეთილებს („განწვალებულებს")...

ისედაც ახლოს იყვნენ ერთმანეთთან ბიზანტია და საქართველო, ერთმანეთზე მიჯრილი მეზობლობით.

მხოლოდ თხელი „დიაფრაგმა" ჰყოფდა ერთმანეთზე შიბმულ, მიწებებულ და მიმიწებებულ „ჭიპსა" და „შუბლს" ღვთაებრივ ჭიპსა.

ისედაც ძალიან სჭირდებოდათ ერთად ყოფნა ბიზანტიას და საქართველოს, რადგან ორივე ქრისტიანოს წასალეკავად აწვებოდა ისლამურ-შამადიანური ოკეანე.

დრომ და მისმა ისტორიო ბედისწერამ გააბატონა არაბობა, სარკინოზობა, აგარიანობა („სარას ძაღლები", „აგარის ძენი"). გააბატონა არაბეთის ზღვიდან ატლანტის ოკეანემდე — გასწვრივი სასაზღვრო ხაზით ქრისტიანული სამყაროსაღმი.

ხოლო, ქრისტიანული სამყარო მოქცეულია ორ იბერიას შორის: დასაწყისი, ანუ აღმოსავლეთით — ქართული იბერია, და დაბოლოება, ანუ დასავლეთით — ესპანური იბერია.

მაშ, მთელი ქრისტიანო სამყაროს დასაწყისიც და დაბოლოებაც არაბული ბატონობის მსოფლიო სამანებია: აღმოსავლეთი სამანი — იბერია-ქართლი, დასავლეთი სამანი — იბერია-ესპანეთი.

(თავში, ანუ ქართულ იბერიაში 400 წელიწადს იბატონებენ არაბნი, ხოლო ბოლოში, ესპანეთის იბერიაში — 800 წელიწადს).

და მოეცვა სისხლიან ავდარს მთელი მსოფლიო — მუსლიმთა და ქრისტიანთა უსასტიკეს და უთავეგამო ხმალთაკვეთებას.

იბადებოდნენ, იზრდებოდნენ და იხოცებოდნენ თაობები, სამშვიდობო ცხოვრებით გაუხარელნი, მარად მეომარნი და სისულმათხეცარნი.

უკვე დიდი ხანია, მშობლები ასაფლავებდნენ შვილებს და არა შვილები მშობლებს. ანუ შვილებს, საომარ ველზე აჩეხილებს, მშობლების ნაცვლად ციურ-ტყიურნი დაიტირებენ.

იბადებოდნენ და დედის საშოდგან მუჭით სისხლი გამოჰქონდათ სისხლის თხევისთვის დაბადებულებს.

და იდგა მარად გამოუდარებელი ავდარი სისხლიანი, მუსლიმთა და ქრისტიანთა ხმალთაკვეთებით.

ომები უმძიმესნი და უთავეგამონი, რამეთუ ერთხელ და სამუდამოდ გარკვეულიყო: რომელ არს ჭეშმარიტი ჭიპი დედამიწისა — მუსლიმთა მექა, თუ ქრისტიანთა კონსტანტინოპოლი?

ანუ — რომელ არს სალოცავი ჭეშმარიტად ზესთასოფლური — ქააბა, თუ აია სოფია?

და სცემდნენ ერთმანეთს, და სისხლს აქცევინებდნენ ერთმანეთს — ბიზანტია და არაბეთი, არაბეთი და ბიზანტია.

ბიზანტიის აღმოსავლეთ განაკიდურზე კი, ვითარცა ქრისტიანიზმის აღმოსავლური ბურჯი-სამანი საქართველო იყო. და ამიტომ სჭირდებოდნენ ერთიმეორეს მხოლოდ თხელი „დიაფრაგმით“ გადასაზღვრული „ჰიპი“ და „შუბლი“. გარდუვალად ერთად ყოფნა, საერთო მტრის უკუსაგდებად თანადგომა და თანაბრძოლა სჭირდებოდათ, და თითქოს ერთადაც უნდა ყოფილიყვნენ, გარდუვალად და გარდუკვეთელად.

მაგრამ მართლაც იყო მხოლოდ „თითქოს“ — თითქოს და ვითომც ერთად იყვნენ, მაგრამ უფრო ერთმანეთს კრიჭაში უდგნენ „ჰიპი“ და „შუბლი“, ზოგჯერ მათი მსაზღვრავი „დიაფრაგმის“ გადალახვებით და სისხლდაქცევითაც.

ერთიანობა, ანუ ერთად ყოფნა მართლაც ორივეს ერთნაირად უნდოდა, მაგრამ იგივე ერთიანობა ორივეს ერთნაირად არ ესმოდა და არ ეაზრებოდა. საქართველოს ბიზანტიასთან თანაყოფნა და თანაარსებობა უნდოდა, ბიზანტიას კი საქართველო მარტო თავისთან კი არა, არამედ თავისად ესურვებოდა, სრულიად თავისად და საკუთრად.

ასეთი იყო საერთოდ დიდისა და მცირის „ერთობის“ ლოგიკა.

ბიზანტია მსოფლიო იმპერია იყო.

საქართველო კი — მცირე მიწის ნატეხი.

ამიტომ აეჩემებინა ბიზანტიას: „საქართველო არა მარტო ჩემთანაა, არამედ ჩემია იგი!“

ამიტომ ინუგეშებდა თავს საქართველო: „მე ვარ ბიზანტიასთან და არა ბიზანტიისა“

ასე აეკვიატებინათ და ერთმანეთის აკვიატებისაც ნაკლებად ესმოდათ.

საქმე ის იყო, რომ ქართველი ხალხი მაშინ, სულ ცოტა 1500 წლის ჩამოყალიბებული ეთნოსი, გინა ერი იყო და სხვა ხალხებთან და ქვეყნებთან მხოლოდ „თანაყოფნა“ — თანასწორუფლებიანი თანამოკავშირეობა და თანამეგობრობა შეეძლო დაეშვა და „მოეთმინა“, და არა „სხვისად ყოფნა“, „სხვად ყოფნა“ და „სხვადგადაქცევა“.

ბიზანტიას კი ერისა არცრა გაეგებოდა, რადგან საერთოდ „ბიზანტიური ერი“ ბუნებაშიც არ ჰქონებდა. ეს მრავალ ხალხთა კონგლომერატი თავის თავს „ბიზანტიასაც“ არ უწოდებდა. საბერძნეთი ენა ბერძნული იყო, ბერძნული იყო მათი ენათმეტყველებაც, ფიქრთმეტყველებაც, სიზმართმეტყველებაც, მაგრამ თავის თავს „ბერძნებს“ კი არა, „რომაელებს“ უწოდებდნენ, თან უმრავლესს მათგან რომი თვალითაც რომ არ ენახა, თან კიდევ ამ „რომაელობაზე“ შეყვარებულებს“ რომისადმი მტრობა და სიძულვილი უფრო მეტი ჰქონდათ, ვიდრე სიყვარული და სიხარული.

ეროვნული თავისთავადობა უცხო იყო ბიზანტიისთვის.

ბიზანტია გარდასული ანტიკურ-ელინურობის ჯერ კვლავაც მხურვალე ძუძუს ლოშნიდა და სულიც იმ „ლოშნითვე“ ეძგა.

სწორედ იმ დიადი ელინურობის ნაწოვარით, ნაძღერით და ნასუნთქარით კორიფეუსობდა ბიზანტია. იმითვე „ოქროსპაობდა“ მისი სატახტო კონსტანტინოპოლი. ყოველი საქრისტიანოც თავისად (და არა მხოლოდ „თავისთან“) მიაჩნდა ბიზანტიას — მათ შორის „საქართველოც“.

და მოეცვა მსოფლიო „მსოფლიო ომს“, იბერიიდან (ქართლი) იბერიამდე (ესპანეთი), ნაირ-ნაირ ხალხთა სისხლისქცევით და მხოლოდ ორი მთავარის მოხსენიებით — არაბთა და ბიზანტიელთა.

უფრო თავგამოდებით და თავგადაკვდომით კი იბრძოდნენ ერნი მცირენი, იმის შიშით, სიპატარავე არ დაგვწამონო დიდთა ვეშაპთა, ამა მყლაპავთა მსოფლიოსა.

არც ერთი ბრძოლა, არცა დიდი და არცა მცირე, არ გადაუხდიათ ბიზანტიელებს, მათში რომ მეწინავე სისხლმაქცევრებად ქართველები და სომხები არ გამოსულიყვნენ.

ისე სჩანდა, თითქოს, უქართველოდ და უსომხოდ არა საქმის გამოწყობა და გადაწყვეტა არ შეეძლოთ და ამიტომ, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, მაინც აძლევდნენ ბიზანტიელნი წამდაუწუმ საბელმწიფოს ხაჭენებელ ლაგამ-უნაგირს ქართველს თუ სომეხს.

ქართველები და სომხები „მსოფლიო-ისტორიული მოვლენების ბატონ-პატრონები იყვნენ. ამ ერების მამაცმა და ჭკვიანმა შვილებმა მიაღწიეს ხელმძღვანელ მდგომარეობას აღმოსავლეთ რომის იმპერიის (ბიზანტიის) როგორც სარდლობაში, ისე მთავრობაში და ღირსეულადაც ეჭირათ იგი... ყველა უმნიშვნელოვანესი სამხედრო თანამდებობა გამოუკლებლივ სომხებსა და ქართველებს ეჭირათ“ (გერმანელი გელცერი იკვლევს და ამტკიცებს ამას).

და იყვნენ გამუდმებით ბიზანტიის საიმპერატორო კარზე ქართველნი და სომეხნი — „ნაშიერნი მარსისა (ქართველები) და მერკურისა (სომხები)“; (ინგლისელი ჯონ ფრაიერი ამბობს ამას): დომესტიკოსნი, კომიტნი, მაგისტროსნი, პატრიკიოსნი, ნობილისიმოსნი, სებასტოსნი, კურაპალატნი, ეპარქოსნი, რეფერენდარინი, დიასპანნი, პარაკიმომენოსნი, პროედროსნი, სინკლიტიკოსნი, დრუნგარიოსნი, მისტიკოსნი, ლოგოთეტნი, ბუკელარიოსნი, ვიკარიოსნი, პრეპოზიტოსნი, სქოლარიოსნი, სპათაროსნი, ანთიპატოსნი, პრიმიკირიოსნი, პროტოვესტიარიოსნი.

განიერი, თამამი ნაბიჯებით დააბიჯებდნენ ავგუსტეონზე და კონსტანტინეონზე, კონსისტორიონში და ტრიკლინიუმში, ხალკასა და დაფნაში, ქრიზოტრიკლინიუმში და ტრიკონქში, მაგნავარასა და აია-სოფიაში.

სომხები საიმპერატორო ტახტსაც სინჯავდნენ შუა დღისას, ქართველები კი სადედოფლო სანთიობოსკენ მიჩუმათობდნენ შუა ღამისას.

ქართველებს შეეძლოთ სამეფო ტახტი სატრფიალო სარეცელზე გა-ეცვალათ, ისე ვითარცა ესავმა იაკობს პირმშოობა გაუცვალა ოსპის ნა-ხარშზე)...

ისლამი კი მძვინვარებდა იბერიიდან იბერიამდე.

იბერიიდან იბერიამდე იძვროდა დედამიწა ქრისტიანთა სისხლში ამოვ-ლებული ჩალმებით შუბლდამშვენებული მხედრობის ფერხთა ქვეშე.

(წესად ჰქონდა სარკინოზს: ქრისტიანს მოჰკლავდა, მის სისხლში ჩალ-მას ამოავლებდა, გახელებით და გატაცებით).

და ოთხასი წელიწადი, ანუ თორმეტი თაობა ქართველობისა ეძღვნე-ბა სარკინოზობის წინააღმდეგ სამცდრო-სასიცოცხლო ბრძოლას.

ოთხასი წელიწადი ეწერა ქართული იბერიის ავდრიან დროშებს: „ქრისტიანობა და ქართველობა!"

მაგრამ ქართული იბერია (განსხვავებით ესპანური იბერიისგან) არ იყო ოდენ ქართული სისხლის იბერიისთვის.

არამედ იგი იყო ერთმორწმუნე, ქრისტესმიერ ბიზანტიისთვის.

იშვიათად ისტორიის ბრძოლის ველზე, ბიზანტიურ ლეგიონთა წინ, ვი-თარცა „წესად მეწინავენი" არა მდგარიყვნენ იბერიელნი — მეომარნი „სიმაღლით ათი ფუტისანი, ქედმაღლურად წარბშეყრილნი... ახლად გა-ფურჩქვნილ ყვავილივით ყვავილოვანნი, თითქოს კანონის მიხედვით („ჰიპო კანონა") თანაზომიერნი" (მიქელ პსელოსის სიტყვებია).

და იყო ქართული იბერია ბიზანტიისთვის ალმოსავლური ბურჯი რვა-ლისა, სწორედ ისლამის გახელებულ შემოტევათა უკუსაგდებად.

და აეჩემებინა „ოქროს ჰიპიან" ბიზანტიას — მისი, საკუთარი ყოფი-ლიყო ის „ბურჯიც", ის „შუბლიც" და ის „საფეთქელიც", ყველას ერ-თად რომ „საქართველო" ერქვა.

და ორივე ცალკეულად თავისთვის თავს ინუგეშებდა:

„საქართველო ჩემი საკუთარი მხოლოდ!" — ეს იყო ნუგეში ბიზანტიისა.

„მე ბიზანტიის მოკავშირე ვარ მხოლოდ!" — ეს იყო ნუგეში საქართ-ველოსი.

და ხშირად სისხლსაც და ძმარსაც აქცევინებდნენ ერთმანეთს ეს „თანასაკუთრებისანნი", თუ „თანამოკავშირეობისანნი".

ამიტომ იყო „ჰიპსა" და „შუბლს" შორის „დიაფრაგმა" ტყლაპივით თხელი, ლაჟვე, სხლტომადი და მიმოქცევადი.

და ასე, ოთხასი წელიწადი იყო საქართველო „დიაფრაგმამოშლილი", თუ სისხლისა და თუ ძმრის ქცევაში, „მსოფლიო ჰიპობისთვის" დანა-სისხლად გადამტერებულ ორივე ჰიპთან — მექასთან და კონსტანტინო-პოლთან.

ხოლო, საკუთარი ჰიპი ჯერაც ვერ გაემოეხსნა საქართველოს: აკი ტფილისი კვლავაც „უცხოეთი" იყო ქართველობისთვის.

ბაგრატ მესამემ ტახტზე დაჯდომა ძლივს მოასწრო, რომ სამხრეთ საქართველოს სამანებს ბიზანტიის კეისარი ბასილი მეორე მოადგა სრული მხედრობით; მაშინვე ტაოელი აზნაურებიც ეახლნენ კეისარს, ეახლნენ და ციხეებიც მიართვეს და მიუბედნიერეს.

მაშ, სამტროდ მოსულა საქართველოში კეისარი ბასილი მეორე — სწორედ ის ბასილი, რომელიც ქართველის მარად მოარშიყე თესლისგან არ გამოჩეკილიყო, თორემ ტახტიც და პირში სულიც აცი ქართველებისაგან ედგა: აცი, თორნიკე ერისთავი რომ არა, ჯერ კიდევ ყრმობაშივე ბასილის ტახტსაც წაართმევდა და სულსაც ამოართმევდა აჯანყებული ბარდა სკლიაროსი.

(ძალიან ხშირად ემართებოდათ ასე ქართველებს: უცხო თესლისთვის საკუთარი თესლის თუ სისხლის ფასად გაცემული მადლი ბოლოს მაინც მატლად ექცეოდათ და უმადურობა ცხვირიდან ძმრად წასკდინდებოდათ).

ქუთათისიდან სამხრეთით წარემართა ბაგრატ მეფე და შეხვდა კეისარს.

კეისარი მთელ ტაო-კლარჯეთს ითხოვდა. ბაგრატი არ თმობდა. კარგა ხნის ღიჯვინის შემდეგ, როგორც იქნა, ბიზანტიელმა ხელმწიფემ იმიერ ტაო და ბასიანი იკმარა, თანაც ბაგრატს „კურაპალატის“ ტიტულიც უბოძა და, ის იყო, გვირგვინოსნები ერთმანეთს „მეგობრულად“ უნდა დაშორებოდნენ, რომ მოულოდნელად სისხლი მაინც დაიქცა.

ბიზანტიელთა ლაშქარში რუსი მეომრები მდგარიყვნენ, კიევის მთავრის ვ ლ ა დ ი მ ე რ ს ვ ი ა ტ ო ს ლ ა ვ ი ს ძის მიერ თავისი ცოლისძმის, ბასილი კეისრის დასახმარებლად გამოგზავნილნი (ეს ის ვლადიმერია, 988 წელს კიეველები რომ დნეპერში ჩაუშვა და ამოხათლა).

და, შემთხვევით, ცხენის დასაპურებლად თივის ძებნისას, თითო მეომარი რუსთა და ქართველთა ბანაკებიდან ერთმანეთს ვადაეყარნენ და შეიბნენ. ორივემ საშველად თავისიანებს მოუხმო. ორივე მხრიდან ჯარი დაიძრა.

ეს ქართველთა და რუსთა პ ი რ ვ ე ლ ი შ ე ხ ვ ე დ რ ა იყო.

პირველი — სისხლით განათლებული...

ქართველები იძლივნენ. ამ ბრიყვულ ხოცვა-ჟლეტას ბევრი წარჩინებული ქართველი შეეწირა. ბრძოლაში დაიღუპნენ: ცნობილი სარდალი გ ა ბ რ ი ე ლ ო ჩ ო პ ი ნ ტ რ ე ს ძე, მისი ძმა ი ო ა ნ ე, დიდებული ჩ ო რ დ ვ ა ნ ე ლ ი და ჰერეთელი მთავარი პ ა ტ რ ი კ ი.

დროებით უნდა დაეთმინათ კეისრის ჯავრი ქართველებს...

ქუთათისს მობრუნებისთანავე შინაურ საქმეთა მოწესრიგებით დაიწყო ბაგრატ მეფემ. ყველა მაღალი თანამდებობიდან საეკვონი და „ურჩნი

თვისნი“ გადააყენა და მათ ნაცვლად ერთგულნი, მისთვის და ქვეყნისთვის თავდადებულნი, მისი ყოველი ბრძანების „მოსწრაფედ მორჩილნი“ დანიშნა.

შინაგანად რომ განემტკიცა, აღმოსავლეთ ქართულ სამანთა ბოლომდე გადანაცვლება განიზრახა და კახეთის მთავარს, ანუ ქორეპისკოპოსს, დავითს შეუთვალა: აქამდე რომ ქართლის ციხეებს ფლობ, ის ციხეები სასწრაფოდ უნდა დამიცალო და დამიბრუნოო.

დავითმაც ფიცხლავ ეს პასუხი შემოაგება: ციხეებს რომ ეძიებ, ეგ ჩვენ შორის მკლავმა და ხმალმა გადაწყვიტოს, ახლავ ქსანზე გადმოვალ და თუ დამხვდები, მეც იქ გეახლებიო.

ფიცხლავ წარემართა ლაშქრით ბაგრატ მეფე. ქსანზე მიიდა; დავით ქორეპისკოპოსი ცითომ დაუხვდა, მაგრამ უმალვე უკუიქცა, არაგვიც გადაირბინა და კახეთს შეექცა. თიანეთამდე მისდია ბაგრატმა. ციხიდან ციხეში გადარბოდა დავითი. ჰერეთს გაიქცა. იქაც მიჰყვა ბაგრატი. ჰერეთი თავისად გამოაცხადა, იქაურ მთავრად თავისი ერთგული კაცი, აბულალი დასვა და უკანვე გამობრუნდა.

მაგრამ სანამ ბაგრატი ქათათისს ჩამობრუნდებოდა, ჰერეთი კვლავ დავითმა მიიმხრო. აქაურებმა აბულალი დაამხეს და დინარ დედოფალი გაიხელმწიფეს.

ისევ წარემართა აღმოსავლეთისკენ ბაგრატ მეფე. დავითს ცოცხალს ვეღარ ჩაუსწრო. იგი უეცრად მომკვდარიყო და კახეთის ქორეპისკოპოსად ახლა კვირიკე დამჯდარიყო. კვირიკე ბოჭორმის ციხეში გამაგრებულიყო.

ბაგრატ მეფემ ჯერ მაინც ჰერეთი დაიპყრო, დინარ დედოფალი ტყვედ აიყვანა, ბოჭორმას გამოუარა, ისიც აიღო და კვირიკეც ტყვედ წამოიყვანა ქუთათისს.

ეს მოხდა 1010 წელს.

მაშ, კახეთ-ჰერეთიც საქართველოს სამანებში მოქცეულიყო.

ხოლო, ტფილისი — საკინოზული ბატონობის ავი ნაწრეტი — კვლავაც ქართული სამანების გარეთ განისვენებდა.

თუმცა უტფილისოდ, მაგრამ მაინც წელმაგრად და გულმყარად იჯდა საქართველოს ხელმწიფე ქუთათისში, ძველთაძველ ქართულ სატახტოში, ლეგენდარული აიეტის ნასაძირკვლარზე.

ქარქაშებში ესვენენ მანამდე ერთურთზე სამტროდ მისეული ქართული ხმლები.

ჩაჩუმებულიყვნენ მუდამ განკერძოებისა და პირადი განდიდების, საკუთარი „მეს“ და მეტიც — „მეთამეობის“ კოჭობლამდე ამაღლების მოსურნე აზნაურები.

ჰერეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით კი, რანში და მის მთავარ ქალაქ განძაში ავი და ანჩხლი ამირა იჯდა, სახელად ფადლონ, ყოველ ქრის-

ტიანთა მოძულე და მოსისხლე, რომელიც ხშირი თავდასხმებით აწუხებდა სომხებს და ქართველებსაც — „ჟამითი-ჟამად მეკობრეობით და პარეით და რბევად და ტყუენვად ადგილითი-ადგილად".

არ დაუთმინა ბაგრატ მეფემ კადნიერება ფადლონს. ჯარი შეყარა და მოკავშირედ სომეხთა მეფე გაგიკი მოიწვია. გაგიკმაც „განიხარა სიხარულითა დიდითა", მაშინვე „მოსწრაფედ", წამოემართა სომეხთა ჯარით და „მოვიდა წინაშე ბაგრატ მეფისა". ზორაკერტთან შეერთდნენ და ერთად დაიძრნენ რანისაკენ ქართველ-სომეხნი.

დაფრთხა ფადლონი. ბრძოლად ხმალდაძმალ გამოსვლა ცელარ გაბედა და მანქორის საგანგებოდ გამაგრებულ ციხეში შევარდა და შეიცეტა.

ლოდსატყორცნელნი და ფილაკავანნი მიაყენა ბაგრატმა შანქორს და შეუდგა მის კედელ-გალავანთა ნგრევას.

კვლავ უფრო დაშინდა და დამცირდა ფადლონ ამირა და მორჩილებითი დაზავება შემოსთხოვა ბაგრატს: მუდმივად ხარაჯას გადაგიხდიო, ყოველ შენს მტერთან საომრად გეახლებიო, „დღეთა შინა სიცოცხლისა ჩემისათა" შენი მონა და მსახური ვიქნებიო, — უთვლიდა განძის ამირა ქართველთა მეფეს.

ბაგრატმა წარჩინებული თანამებრძოლნი თათბირად შეყარა. მოთათბირეებმა დაზავება უთათბირეს. მეფეც დათანხმდა. ფადლონმაც, რაკი სიკვდილს გადარჩა, „განიხარა სიხარულითა დიდითა"; ბაგრატს ეახლა მონა-მორჩილი, ყელზე თოკშებმული, მუხლებში ჩაუვარდა, „უძღვნა ძღუენი დიდი და მიუწვდომელი". მეფესთან ერთად, მისი დიდებულებიც „აღაჭვსნა ნიჭითა მიუწდომელითა" და ამის შემდეგ აიღო ხელი ფადლონ ამირამ ბაგრატ მეფის ღალატზე და მისგან განდგომის ცდაზე; ხარკსაც მუდამ თავის დროზე და უკლებლად იხდიდა — „ყოველივეს სიტყვით აღთქმულსა აღასრულებდა საქმით".

ეს ამბები — ფადლონ განძელის განდგომა, დამარცხება და დახარკვა — მოხდა 1011-1012 წლებში.

ბაგრატს კავკასიის გადალმა მიწებიც იზიდავდა, იქაურ „თანაკავკასიელთა" თავის სახელმწიფო სამანებში მოქცევა. ეტყობა, კიდევაც გაჰყოლია იგი ხუთასი წლის წინანდელ, „იალბუზის გმირის", ვახტანგ გორგასლის ჩრდილოურ ნაკვალევს და, უკეთუ მემატიანეს „მატიანე ქართლისაჲ"), თანაც იმავე XI საუკუნის ავტორს დავუჯერებთ, — ბაგრატ მესამემ „დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე".

შეუსვენებლივ, დაუცხრომელი სულით იღვწოდა მეფე ბაგრატ მესამე, უწინარესად — სამართლისა და ზნეობისათვის, უფრორე „წურილი

ერისთვის". წერილობითი სამართლის კოდიფიცირებას ახდენდა „გლახაყთა მოწყალე და სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთათვის".

იყო იგი მტკიცედ და წრფელად მორწმუნე ქრისტიანი და საქრისტიანო სალოცავთა, ტაძართა და სავანეთა დაუცხრომელი მაშენებელი.

ბაგრატმა აღაშენა ეკლესია მოწამეთას, სადაც დაასვენა მოუსვენარი ძვლები სარკინოზებთან მეომარ სახალხო გმირთა — ძმათა მხეიძეთა, დავითისა და კონსტანტინესი.

ბაგრატმა აღაშენა ტაძარი ბედიას, და „უცეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმის ყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მისისა (ბაგრატისა), პირველად განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლესიისა და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა".

ბაგრატმა აღაშენა ტაძარი ერთიანი საქართველოს „შემკრებელი შემკრებელში" — ქუთათისში, მალე სახელგანთქმული „ბაგრატის ტაძრად". იყო წელიწადი 1003, „ოდეს განემტკიცა იატაკი", და ამ წელს მის სახილველად კურთხევაზე მეფემ მოიწვია მრავალი საპატიო სტუმარი — ქართველებიც და არაქართველებიც, შინაურებიც და უცხოელებიც, გვირგვინოსნებიც და გვირგვინზე მეოცნებენიც, სამღვდელონიც და საერონიც.

და ქვეყანამ იხილა ერთიანი საქართველოს საოცარი სამეუფო პასტოფორიონი — სიმბოლო, ანუ ზენიშანი „ნათესავ-ქართუელთა" ერთიანობისა, სულიერ-სხეულებრივი სიმშვენიერისა და სიმტკიცისა, მარადისი უძლეველობისა და უცვდავებისა.

1010—1014 წლებში ბაგრატ მეფემ აღაშენა ნიკორწმინდის ტაძარი, თავიდან ბოლომდე, სრული ირგვლივით, უნატიფესი ჩუქურთმოვანი კვართით მოსილი.

1010 წელს გარდაიცვალა კათალიკოსი სვიმონ III და მის ნაცვლად „დასუა ამან მეფემან დიდებულთა კაცთა შვილი მეყვისი და გაზრდილი თვისი მელქისედეკ კათალიკოზ-პატრიაქად".

მაშ მელქისედეკი, თვითონ მეფის ახლობელი და მისი გაზრდილი სამღვდელო, იყო პირველი, ვინც კათალიკოსობასთან ერთად „პატრიარქობაც" მიიღო ტიტულად.

და ბაგრატ მესამე და მელქისედეკ კათალიკოს-პატრიარქი 1010 წელს შეუდგნენ მცხეთის სვეტიცხოვლის ხელახალ აღმშენებლობას.

აღმშენებელი-ხუროთმოძღვარი კი ყოფილა ვინმე არსუკისძე. ვინმეო?!

სწორედ — ბედის დაცინვით — რამეთუ მხოლოდ ეული ფაქტი გვაქვს ამ ხელოვანის მხოლოდ ორ ადგილზე, ისიც იმავე ტაძრის კედლებზე და არა სადმე „საზეპურო" და „სახალხო" წიგნსა-მატიანესა.

აჰა, გადავიკითხოთ ეს ადგილები:

აღმოსავლეთის კედელზე — „ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი, ძმენ. აღეშენა ესე წმიდა ეკლესიაი ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკისძისაჲთა, ღმერთმან განუსვენე სულსა მისსა“;

და მეორეგან, ჩრდილოეთის კედელზე, თაღის ქვეშ გამოტვიფრული მარჯვენა ხელი, რომელსაც უჭირავს გოზინო, და იქვე წარწერა — „ხელი მონისა არსუკიძისაჲ, შეუნდვეთ“.

გათავდა — „გლახაკი“ და „მონა“ — აი, ერთადერთნი მსაზღვრელი სიტყვანი ამ „ვიღაც გენიოსისა!“

მაშ, არსუკისძე — ოდენ გვარი უზემოესი ნიჭითა და ხელოვნებით მოსილი ქართველი ხუროთმოძღვრისა, — მაინც მთავარი, რასაც უტყუვრად გვაუწყებენ ეს წარწერანი და, ამას გარდა, აქვე იმასაც ვტყობილობთ, რომ არსუკისძეს სვეტიცხოველი უშენებია მელქისედეკ კათალიკოსის დროს და, კიდევ, თავისი ხელთუქმნელი ძეგლის კურთხევას ხუროთმოძღვარი ცოცხალიც კი აღარ მოსწრებია. ამ ქვა-წარწერების გარდა, სხვათა პირთა სხვა წყაროებსაც თუ ვავსინჯავთ, ამასაც ვტყობილობთ, რომ არსუკისძე, მელქისედეკ კათალიკოსის გარდა, იყო თანამედროვე მეფეებისა — ბაგრატ მესამისა, გიორგი პირველისა და ბაგრატ მეოთხისა.

და სწორედ ბაგრატ მესამის ბრძანებით შეუდგა არსუკისძე 1010 წელს მცხეთის სვეტიცხოვლის აღმშენებლობას.

ტაძარი შენდებოდა ცხრამეტს წელიწადს, აქედან თხუთმეტ წელიწადს მომდევნო მეფის გიორგი პირველის დროს, და დასრულდა მშენებლობა და ეკურთხა 1029 წელს, ბაგრატ მეოთხის გამეფებიდან მეორე წელს.

ამავე წელს, ტაძრის დასრულებისა და საზეიმო კურთხევის კვირაძალს არსუკისძე აღსრულებულა.

აი, ყოველივე, რაითაც აღინუსხება დიდი ქართველი ხელოვანის პიროვნული „კურიკულუმ ვიტე“.

მაგრამ ხალხმა „ხალხური“ მაინც არ დაიშალა და სვეტიცხოვლის აღმშენებლის ცხოვრების მკრთალი, ლანდური ისტორია უმშვენიერესი პოეტური ლეგენდით „შეავსო“: ტაძრის კედელზე გამოკვეთილი ხელი ოსტატისა ნამდვილად წარკვეთილ მკლავად მიიჩნია და ეს საოცარი ლექსიც მარადიულ სიმღერად ჩაიქცია სულსა და გულში:

„ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, —
რატომ კარგი ვაგიგია“.

ლეგენდა ისტორიის პოეტური ტყუპისცალია (ტყუპისცალი-მეთქი!), მაგრამ მაინცდამაინც „პოეტური“, ხოლო „პედანტური“ ისტორიისთვის მუდამ საეჭვო, სათუო და საჭოჭმანო.

მაგრამ, ლეგენდაც რომ მისი „პოეტურობის ბრალდებით“ სამეცნიერო კვლევა-ძიების ასპარეზიდან ჩამოვაძევოთ, საბედნიეროდ, ქართულ ცისგვამში მაინც არსებობს ყველაზე დიდი, უთუო და უცთომელი საბუთი, რომელიც საცნაურყოფს არსუკისძის წუთისოფლის კიდევ სხვა, უაღრესად საგულისხმო მხარეებს. ეს „საბუთი“ არის მისივე ხელოვნების უტურფესი ნაშობი — თვითონ ტაძარი სვეტიცხოვლისა.

აქ, უწინარესად ეს უნდა ვირწმუნოთ აქსიომატურად, რომ სვეტიცხოვლის აშენებამდე არსუკისძეს, ვითარცა ხუროთმოძღვარს, განვლილი ჰქონდა დიდი სახელოვნებო გზა და გამოცდილება, ურომლისოდაც წარმოუდგენელია, ქვეყნის მთავარი ეროვნული და სარწმუნოებრივი ტაძრის მშენებლობა სახელმწიფოს საერო და სასულიერო მესვეურებს მიენდოთ ვინმე „უცნობი“, „უპრაქტიკო“, „უწარსულო“, თუნდაც „სასაუალო“ რეპუტაციის მქონე არქიტექტორისთვის. თანაც, ლაპარაკია ქვეყნის ისეთ საჭეთმპყრობელებზე, როგორებიც იყვნენ მეფე ბაგრატ მესამე და კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკი.

სწორედ მეფე ბაგრატ მესამისთანა მოღვაწეს შეეძლო განეჭვრიტა — რა მნიშვნელობა, რა სახელმწიფოებრივ-ეროვნული და სარწმუნოებრივ-ზნეობრივი განზომილება უნდა ჰქონოდა სვეტიცხოვლის „მესამე ფერისცვალებას“, მ ე ს ა მ ე დ გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ უ ლ ი საქართველოს სამოსავლო ჟამსაბრუნავში.

მცხეთა და სვეტიცხოველი ხომ მაინცდამაინც ქართულ საისტორიოსანიშანსვეტო სამანთა სიმბოლური, ზენიშნური განსხეულება იყო ყოველთვის. გამორჩევითი სიმკვეთრე ამ „სიმბოლოთა“ თუ „ზენიშანთა“ და მათი ფილოსოფიურ-თეოსოფიური გააზრებისა საგულისხმო ხდება ქართლის ქრისტიანული „მოქცევაჲს“ დღიდან; და „სვეტიცხოვლობაც“ აკი იქიდან იწყება, რა დღესაც ნინო განმანათლებელმა და მირიან მეფემ „ახალი საქართველოს“ შუაგულში პირველ საქრისტიანო სალოცავს, ხის ეკლესიას (საკუთრივ „სვეტიცხოველს“) გაუსკვნეს საძირკველი. მერე, V საუკუნის 70-იან წლებში, ვახტანგ გორგასალმა ახლად (მეორედ) გაერთიანებული და გამძლავრებული საქართველოს სადიდებელ სიმბოლოდ სვეტიცხოვლის ხის ეკლესიის ნაფუძარზე ახალი დიდი ქვის ლავრა აღაშენა („მეორე სვეტიცხოველი“). მას უკან, საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობა ისევ მოიშალა. ხუთასწლოვანი ომები სპარსელებთან, ბიზანტიელებთან, ხაზარებთან, არაბებთან, მრავალი „ძლევანი საკვირველნი“, და ბოლოს, მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს, ისევ „ახალშენება“ და ხელახალი (მესამე) გაერთიანება საქართველოსი, ხოლო,

მფლობელი ერთიანი საქართველოს ინსიგნიებისა — მეფე ბაგრატ მესამე.

საქართველოს მესამე გაერთიანებამ სვეტიცხოველის „მესამე ფერისცვალება“ მოითხოვა. უნდა აღდგენილიყო, ანუ ხელახლა აშენებულიყო ხუთასი წლის მანძილზე ხმალნაძგერალი, ჯანგატეხილი, ტანგარღვეული და მიწაზე დარეცილი მეთაური ძეგლი ყოველ ქართულ ძეგლთა საკრებულოსი. და, 1010 წელს, ბაგრატ მესამემ სვეტიცხოველის „სამეუფო სახლის“ აღმშენებლობა მიანდო ხუროთმოძღვარ არსუკისძეს.

დიდად სიმბოლურ-ნიშნეული უნდა იყოს ისიც, რომ მეფემ მაინც დამაინც ეს წელიწადი დანიშნა ტაძრის მშენებლობის დასაწყისად, რადგან აკი სწორედ 1010 წელს ბაგრატმა კახეთ-ჰერეთი შემოიმტკიცა და ამით საქართველოს აღმოსავლეთის სამანები სრულად აღადგინა. ასე რომ, ქვეყნის „გამთლიანებაც“ დასრულდა და „ერთიანი ტაძრის“ მშენებლობაც მაშინვე დაიწყო (მთლიანობა „დასასრულისა“ და „დასაწყისისა!“).

დიახ, ევზომ დიადი სანიშანსვეტო ნააზრევის განსხეულება მიენდო არსუკისძეს, მაგრამ არა „ვინმეს“, თუ „ვიღაცას“, არამედ უეჭველად უცვე დიდად სახელგანსმენილ ხუროთმოძღვარს.

მაგრამ საკითხავია, საიდან უნდა წარმომდგარიყო ამ „უწუთისოფლო“ („უბიოგრაფიო“) ხუროთმოძღვრის ჩვენგან გაანგარიშებული უეჭველი სახელგანთქმულობა? რა „პრაქტიკა“ უნდა გაევლო არსუკისძეს, ანუ რა ტაძრები უნდა აეშენებინა „საკვირველად ერისა და ბერისა“, რომ ბოლოს და ბოლოს სახელმწიფოს უმაღლეს საჭეთმპყრობელობას მაინცდამაინც ივი დაეშვა სწორედ სახელმწიფოს მეთაური ძეგლის, „მესამე სვეტიცხოველის“ მთავარ ალმშენებლად?

ბუნებრივია, უნდა მივმართოთ სვეტიცხოველის წინარე მნიშვნელოვან ძეგლებს, რომლებიც აშენდა ბაგრატ მესამის „ერთიანი მეფობის“ პირველ ათწლეულში (1001—1010); და ესენი იქნებიან ჩვენგან უკვე დასახელებული მოწამეთა, ბედია და ქუთათისის „ბაგრატის ტაძარი“.

აი, ეს სამი ძეგლი, „უავტოროდ“, „ანონიმურად“ რომ შემორჩენია „უმადურ“ ისტორიას, და იქვე, სამივე ძეგლის თანამედროვედ ცხოვრობს ხუროთმოძღვარი არსუკისძე, რომელიც, ისევ ისტორიის „უმადურობის“ წყალობით, ვითომ ცხოვრობს უჩინრად, უმაქნისად, „უძეგლოდ!“

მაგრამ ვის შეუძლია, შეეპუდეს, რომ არსუკისძის „უძეგლო ცხოვრება“ ისევე დაუჯერებელია, როგორც ბაგრატის ტაძრის „უავტორო ხუროთმოძღვრება“.

ამიტომ უნდა მივიჩნიოთ საარწმუნოდ: არსუკისძე არის შემოქმედი მისი თანამედროვე და მისივე ნახელავი სვეტიცხოველის წინამორბედი ძეგლებისა — მოწამეთისა, ბედიისა და ქუთათისის „ბაგრატისა“. ეს სა-

მი ძეგლი იყო ის უმაღლესი „პრაქტიკა“ და „გამოცდა“, რომელთა „ჩაბარების“ („გამოცდის დაჭერის“) შემდგომ მიანდეს ხუროთმოძღვარს სვეტიცხოველის, სახელმწიფოს ამ თავადი ძეგლის აგება.

ჩვენ ვამბობთ, რომ სამივე ძეგლი — მოწამეთა, ბედია, „ბაგრატი“ — არსუკისძის ნახელავი უნდა ყოფილიყო-მეთქი, მაგრამ თუ ჰირველად სკეპტიციზმი (ტყუპისცალი ნიჰილიზმისა!) მაინც „თავის ლუკმას“ დაიჩემებს, მაშინ ამ ძეგლთაგან ერთ-ერთი მაინც უნდა ვირწმუნოთ უცილობლად არსუკისძის შემოქმედებად.

და, ჩვენის ღრმა რწმენით, ეს „ბედნიერი ძეგლი“ უნდა იყოს „ბაგრატის ტაძარი“. დიახ, და კვლავ გავიხსენოთ წარწერა ამ ძეგლზე: „ოდეს განემტკიცნა იატაკნი“, წელიწადი იყო 1003-ე. ყოველ შემთხვევაში, 1010 წლისათვის „ბაგრატის ტაძარი“ სავსებით დასრულებული იყო და ბაგრატ მესამე იმავე წელს არსუკისძეს ავალებს სვეტიცხოველის შენებლობის დაწყებას.

სხვანაირად მართლაც წარმოუდგენელია: მეფეს ჰყავს უბრწყინვალესი „ბაგრატის ტაძრის“ აღმშენებელი და როგორ მოხდება, რომ მან, სახელმწიფოს ბრძენმა განმგებელმა, სვეტიცხოველის, სრულიად საქართველოს მეთაური ძეგლის აგება მიანდოს არა ეგზომ ბრწყინვალე „პრაქტიკით“ დადასტურებულ ხელოვანს, არამედ ცინმე „უჩინო“, „უსახელო“ და „უპრაქტიკო“ ხუროთმოძღვარს?!

მაშ, მაინცდამაინც, სიმართლის სრულ მაუწყებლად უნდა მივიჩნიოთ ეს დებულებანი: ორ დიდ ქართულ ძეგლს — „ბაგრატის ტაძარს“ და „მესამე სვეტიცხოველს“ — ერთი და იგივე აღმშენებელ-ხუროთმოძღვარი ჰყავდა, და იგი იყო არსუკისძე. სავარაუდოა, რომ იგივე არსუკისძე იყო, აგრეთვე, შემოქმედი მოწამეთისა და ბედიის ტაძრებისა.

და ასე — ეს სამი ძეგლი უნდა მივაკუთვნოთ არსუკისძის შემოქმედების „პირველ პერიოდს“ (ახალგაზრდობის წლებს), ხოლო სვეტიცხოველი — „მეორე პერიოდს“ (მოწიფულობის თუ სიჭარმაგის წლებს)...

ასეთი ყოფილა ბედი ქართული ხუროთმოძღვრების მეწინავისა. ჰომეროსისა და რუსთაველის მსგავსად, „დოკუმენტურად“ არავინ იცის, როგორი იყო მისი ნამდვილი პიროვნული წუთისოფელი. მაგრამ იგი, ვითარცა შვილი ადამიანის და „შვილი სოფლისა“, მისისავე ღვთაებრივ ქმნილებებში განზავდა და განწიალდა წმიდა ნაწილებად. ამიტომ დაისვენა მშობელმა ხალხმა სალოცავ ეროვნულ ხატებად სვეტიცხოველი მცხეთისა და სულიცხოველი არსუკისძისა...

●

იდგა 1014 წელი.
ბაგრატ მეფეს 51 წელი შესრულებოდა.

აზოვან, სახიერ ხელმწიფეს საოცრად ამშვენებდა ჯერ კიდევ ნაადრევი მბრცით განსპეტაკებული თმა-წვერი.

იმ წელს, აფხაზეთისა და კახეთ-ჰერეთის მოვლის შემდგომ, სამხრეთ საქართველოში მისულიყო, ტაოში, ფანასკერტის ციხეს.

თან ახლდა ზვიად ერისთავთერისთავი.

მეფე უეცრად გახდა ავად.

ლოგინად ჩაწვა.

და ველარ ადგა.

და მოიცვალა — 1014 წლის 7 მაისს, პარასკევ დღეს.

აღსრულებულიყო გვირგვინოსანი, რომელმაც გორგასალიდან 500 წლის შემდგომად გაამთლიანა და გაანამტკიცა საქართველო.

ხელმწიფე, რომელიც „წარემატა ყოველთა ხელმწიფეთა ყოვლითა განგებითა“.

ხელმწიფე, რომლის „შემპოვნედ და მოაჯედ შეიქმნეს ყოველნი ხელმწიფენი“.

ხელმწიფე, რომელსაც „დაუმორჩილნა ღმერთმან ყოველნი მტერნი წინააღმდგომნი“.

გამეფდა 15 წლისა, იმეფა 36 წელიწადს, აღესრულა 51 წლისა.

ზვიად ერისთავმა ფანასკერტიდან წამოასვენა საყვარელი მეფის ცხედარი და დაკრძალა განსვენებულის მიერვე აგებულ ბედიის ტაძარში.

ზეობა გიორგი პირველისა

ბაგრატ მესამეს ორი ძე დარჩა — ბასილი და გიორგი. ბასილი ყრმობითვე მონაზვნად აღიკვეცა, ხახულის ტაძარში, ხოლო ტახტის მემკვიდრედ და მომავალ მეფედ გიორგი ყოფილა გამოცხადებული.

საქართველოს სამეფო გვირგვინი კი სატარებლად იყო მძიმეზე მძიმე.

მაგრამ ძლიერი აღმოაჩნდა ქედი თორმეტი წლის „ყმაწვილს“.

ყრმობითვე გულუძვრელი იყო გიორგი, „ახოვან და ყოვლითურთ უშიში ვითარცა უხორცო“.

ხანმოკლე, მძიმე, გაუხარელი ცხოვრება ელოდა ყმაწვილ ხელმწიფეს.

ის იყო დამთავრდა გიორგის მეფედ ცურთხევა ქუთათისის „ბაგრატის ტაძარში“, რომ აღმოსავლეთ საქართველოდან პირველი ჟსიამო და უამური ხმობაი მოიჭრა:

„განდგა ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა და ღადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი, მათ ქუეყანათა ცუალადვე ეუფლეს მათნი უფალნი, რომელთა პირველად აქუნდა იგი“.

ჩვეულებრივი ბუნებით, თორმეტი წლის ბავშვს წყენა ბავშვური ცრემლით უნდა გაექარვებინა, მაგრამ გიორგის ხელმწიფური ინსიგნიები უკრძალავდა თავისუფალი ბავშვის გულწრფელ ტირილსაც და სიცილ-კისკისსაც.

ბრაზით შეპამა ჯავრი ყმაწვილმა. ჰერეთ-კახეთის საქმე უნდა გადადებულიყო; ძმათაშორისი ომით არ უნდა დაეწყო მეფობა ყრმა ხელმწიფეს.

ჯერ მას სამხრეთულ-ქართული მიწები ეძახდა, იმიერ ტაო და ბასიანი, რომლებიც იქაურ აზნაურთა „ღადრობის“ წყალობით ბიზანტიელებს დაეპყროთ.

ხოლო, ბიზანტიის ტახტზე ისევ ბასილი მეორე იჯდა — ეს გულმშრალი, ენამოტეხილი, უაზნო და უგვარდიდო, მედუქნის ქალის ნაშობი.

(უგვარდიდონი საერთოდ მოსდგამდა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტსა და გვირგვინს — მეღორეები, მეჯოგეები, მეჯინიბეები, ცირკის ჯამბაზები, ტაკიმასხარები).

და იყო კეისარი და ბასილევსი ბასილი მეორე უაზნო და უგვარდიდო, მაგრამ ხელმწიფე ძლიერი ნიჭით, ძლიერი ნებით და ძლიერი ბოროტი გულით.

და გეშინოდეს, ადამიანო, ძლიერი ბოროტისა!

და მთავარ მტრებად აირჩია ბოროტმა ძლიერმა: დასავლეთით ბულგარელები, აღმოსავლეთით ქართველები.

იმ წელს, რა წელსაც გიორგი პირველი საქართველოს ტახტს ისადაგებდა და მძიმე გვირგვინს ყმაწვილურ თავზე ისწორებდა, ბასილი ბასილევსს უკვე ოცდაუთწლოვანი სისხლნათხევი კეისრობის გზა ჰქონდა გავლილი. დიდძალი სისხლი დაექცათ და დიდძალი ხორციც დაუმწდათ ბერძნებს (თავისთავს რომ „რომაელებს“ ეძახდნენ!) ბულგარელებთან ხანგრძლივ ხმალთაკვეთებაში, მაგრამ ბოლოს მაინც თავისი გაუტანია „ბოროტ ძლიერს“.

და მოვიდა საქართველოში ამბავი ბავთი და ზარდამცემი: ბასილი კეისარს ბელასიცის მთებთან გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში ბულგარელები სასტიკად დაუმარცხებია, 15000 ბულგარელისთვის თვალები დაუთხრია, ყოველ 100 დაბრმავებულზე, ბრმათა ასეულის წინამძღოლად, ერთი ცალთვალდაბრმავებული წაუმძღვარებია და ამნაირად, ბრმა კოლონებად ასხმულნი, მათი მეფისთვის, სამუილისთვის გაუგზავნია. ათასეულობით თვალდაშრეტილ თანამემამულეთა ხილვით ელდაცემული სამუილი ლოგინად ჩავარდნილა და მსგეფსის თავზე კიდევაც მომკვდარა.

ამ დღიდან ბასილი ბასილევსს ახალი, უკანსაყივარი სახელი დარქმევია — „ბულგართმოქლეტელი“.

ყოველივე ეს შეიტყო გიორგი მეფემ, მაგრამ აინუნშიაც არ ჩააგდო „უშიშმა ცითარცა უხორცომ“.

სიცილით კვდებოდა გიორგი; უკანასკნელ სახელად მაინც „მჭლეტელი“ სჯობია „კუანას“, ან „მეჩაკესო“ (იმპერატორ კონსტანტინე მეხუთეს გულისხმობდა — ნათლისღებას ემბაზი რომ აუქოთებია, ხოლო მოწიფულობისას ჰაც ცხენთან მაკინტლობდა).

გიორგი მეფის ბობოქარ სულს სამხრეთული ქართული მიწები მიუხმობდა — იმიერ ტაო და ბასიანი, რომლებიც კვლავ ადგილობრივ აზნაურთა „ღადრობის“ წყალობით დაეკარგა დედა-საქართველოს.

ღალატი ჰყვაოდა საქართველოში — ღალატი, თანასისხლიერის შურისა და სიძულვილის საძირეზე დამყნილი.

ღალატი ბარტყობდა საქართველოში.

აგერ, თოთხმეტი წელიწადი იდგნენ ქართველთაგან ნაღალატევ ქართულ ციხესიმაგრეებში ბიზანტიური ციხიონები.

დრო მიდიოდა, დროს ადამიანები თან მიჰყავდა, მაგრამ ზნისა, ჩვევისა და სწავლის წაღება, თითქოს არ შესძლებია ყოვლისმყლაპავ დროს, რამეთუ: ქართველთაგან ნაღალატევი ქართველები ტაო-ბასიანის ქართულ მიწა-წყალზე ისევ ქართველობდნენ, ქართულ ენასა და ქართულ სულს მიმოიჩეჩავდნენ, მათ თანამსახლობარ სომხებსაც ძველებურად თანაიძმობდნენ, თანაიჭირვებდნენ, თანაილხინებდნენ... თუმცაღა ციხიონებად მაინც უცხოელნი იდგნენ — ბერძენნი, ანუ ბიზანტიელნი, ანუ „რომეელნი“.

იდგნენ და იყვნენ.

თავისთვის იყვნენ, თავისთვის-მეთქი.

რადგან — ქართულ მიწა-წყალზე, ქართულ შინაყოფაში ჩარევას და ამღვრევას ვერა ბედავდნენ.

და იყო ორივე მხარე თ ა ვ ი ს თ ვ ი ს: ქართველობა ქართველობით და უცხოელობა უცხოელობით.

მაგრამ გიორგი მეფეს არ შეეძლო ყოფილიყო ისეთი კუდაბახალა მეფუცა, მის მიწაზე რომ უცხო თესლის „უწყინარობით“ თავი ენუგეშებინა.

სამხრეთისაკენ მიეშურებოდა ქართველთა ლაშქარი, ქართული მიწების დასაბრუნებლად, მოსაბრუნებლად, მოსაპატრონებლად.

ყრმა ხელმწიფეს გამოცდილი სარდლები მისდევდნენ: ზ ვ ი ად ე რ ი ს თ ა ვ ი, კლდეკარის ერისთავი რ ა ტ ი ლ ი პ ა რ ი ტ ი ს ძ ე ბ ა ღ ვ ა შ ი და ხ უ რ ს ი ტ ა ო ე ლ ი.

მივიდნენ, მიაწვნენ ქართველები და ზედიზედ გაანდევნეს ბიზანტიური ციხიონები ტაოდან და ბასიანიდან.

ჯერ ისევ ტაოში იყო გიორგი მეფე, როცა კონსტანტინოპოლიდან წამოსული ბერძენი ფაიქები ეახლნენ და კეისრის პატრუქაგი გადასცეს.

ეტყობოდა, რისხვა ველარ დაუშერია ბასილის და სწერდა გიორგის,

მუქარით: რაც დაგიპყრია, ახლავე დასცალე და მამიშენის, ბაგრატ მესამის მემკვიდრეობას დასჯერდიო.

რისხვეულობა და გულფიცხელობა არც გიორგის აკლდა და მაშინვე, იმავე ფაიქთა ხელით, ეს პასუხი შეუბრუნა იმპერატორს: ტაო და ბასიანი სწორედ მამაჩემის მემკვიდრეობა იყო; თანაც, ორივე ეს ქვეყანა, მისხით-მისხამდე ქართული ქვეყნებია და ამათგან ერთ სახლკაცსაც ცი უსისხლოდ არავის დავანებებო.

და ორ ქრისტიანულ ქვეყანას შორის ომის შმორიანი სუნი ჩამოწვა.

ქართველთა მეფემ იცოდა, ავზნიანი ბასილი უსისხლოდ და უსიცდილოდ არ დათმობდა ტაო-ბასიანს. ამიტომ სასწრაფოდ საომარ სამზადისს შეუდგა და მაშინვე მოკავშირეც მოიძია.

ეს ალ-ჰაქიმი იყო, ეგვიპტის ხალიფა.

ელჩები აფრინა ქაიროში გიორგიმ.

ბიზანტიელები და მათი კეისარი ერთნაირად დაუძინარი მტრები არიან ჩემიც და შენიცო, — უთვლიდა ქართველი არაბს — მოდი და ერთად შევუტიოთ საერთო მოსისხლესო, შენ სამხრეთიდან და მე აღმოსავლეთიდან, ერთდროულად შევესიოთ ბიზანტიის სამანებსო.

შენ მუსლიმი ხარ, მე ქრისტიანი, მაგრამ ღმერთი ყველასთვის ერთია, მუსლიმისთვის და ქრისტიანისთვისო. მერე, ცალკე ქრისტიანები და ცალკე მუსლიმნი უფრო მტრობენ ერთმანეთს, ვიდრე ქრისტიანები და მუსლიმებიო. ამიტომ გეუბნები მე — ქრისტიანი მუსლიმს, თავი დავანებოთ ღმერთის შეწუხებას და ჩვენ, მიწიერთა, მოვუაროთ ერთმანეთს. ჩვენ თვითონ, ღვთის მოუხმობლად მივხვდეთ, ვინ ვის ემტერება და ვინ ვის ემოყვრებაო. ბასილი კეისარიც ხომ იმნაირია, არც ქრისტე და არც მუჰამედი არ გაახსენდება, ისე ერთნაირად დალევს მაჰმადიანის და ქრისტიანის სისხლსო. ამიტომ, საზოგადოდ ღმერთისა და საზოგადოდ ადამიანის სახელით, მოგიწოდებ, ერთად შევესიოთ და სისხლად ვაქცევინოთ უჯიშო, ბილწსისხლოვან ბასილი კეისარს საზოგადოდ ღმერთისა და საზოგადოდ ადამიანის მესისხლეობაო, — სწერდა გიორგი ალ-ჰაქიმს...

... ალ-ჰაქიმი ფატიმიდური დინასტიის უსაჩინოესი ხელმწიფე იყო. ფატიმიდები კი თვით მუჰამედის ასულის, ფატიმასაგან ჩამოყალიბდნენ თაცის წარმომავლობას. ფატიმას ღვთაებრივმა თესლმა ყველაზე სრულქმნილ ნაყოფად ალ-ჰაქიმი გამოიდინაო, — გაიძახდნენ მისი თაყვანისმცემლები.

თერთმეტი წლისა იყო ტახტზე რომ ავიდა. ოცდახუთ წელიწადს იმეფა. მამაცი კაცი იყო, ნიჭიერი და მიზანსწრაფული. უსაზღვროდ სასტიკიც იყო და უსაზღვროდ გულმოწყალეც. განუკითხავად და უგანაჩენოდ აყრევინებდა თავებს, მარჯვნივაც და მარცხნივაც. შეწყნარებაც ისეთ დროს იცოდა, არც მიწაზე და არც ზეცაში არავინაც რომ არ ელო-

და. დაუნდობელი მტერი იყო ქრისტიანებისა და ებრაელებისა. მუსლიმთაგან სუნიტების სისხლის ქცევაც უყვარდა. არც შიიტებს აკლებდა ხელს, როცა ჰიპოხონდრია წამოუვლიდა. ამიტომ ყველას სძულდა იგი, ყველა სჯულისა, ყველა ერისა და ყველა წოდების ადამიანს. მაგრამ მაინც ყველას უყვარდა, რადგან ყველას საკუთარი თავი უყვარდა, ანუ ყველას საკუთარი სიცოცხლის დაკარგვისა ეშინოდა. ტულწრფელად მხოლოდ დრუზებს უყვარდათ, რადგან მან დრუზების სექტის სიწმინდე სცნო და დრუზებმაც მათი მწყალობლის ღმერთობა ერთხელ და საჯაროდ აღიარეს (სწორედ მაშინ ალ-ჰაქიმმა თავი ღმერთად გამოაცხადა).

ჰიპოხონდრია და მელანქოლია კი არ შორდებოდა ალ-ჰაქიმს. დღეს რომ ღმერთად მოევლინებოდა ქვეყანას, მეორე დღეს უსაცოდაოდ შწეარად თვლიდა თავს. ხან ბრწყინვალედ მორთულ-მოკაზმული, ბრწყინვალე ამალით გარშემორტყმული გაივლიდა ხალხში, ბაზრებში, ქუჩაბანდებში, ხან კიდევ — მარტოდმარტო, ძონძით მოსილი გადაიკარგებოდა სიცხით ათაბათაბებულ უდაბნოებში და ალ-მუკატამის მთის მიუსაფარ ხევხუვებში. ავარე მარტოსულად ხეტიალისას მხოლოდ ერთგულ მეუზანგეებს თუ იახლებდა და იმათაც დიდის დამანძილებით ერთ ადგილზე დააქვავებდა ფეხმოუცვლელად; თვითონ კი უგზოუკვლოდ დაიკარგებოდა და გვიან, აგერ როდის თუ მოაკითხავდა მისგანვე მარტო შთენილებს.

თურმე ალ-მუკატამის უმაღლესი მწვერვალის თხემზე ადიოდა ძაძით მოსილი ხალიფა, მუხლს მოიყრიდა და დღე-ღამის თევით, მშიერ-მწყურვალი, ღმერთს ეხვეწებოდა, — რა იქნება, მეც ისე მეჩვენო და მელაპარაკო, როგორც მოსეს ეცხადებოდი და ესიტყვებოდიო.

ღამის ალ-ჰაქიმიც ნაბუქოდონოსორივით შეირყა ჭკუაზე, საშინელი სიზმრის წყალობით, ნაბუქოდონოსორივით გაეზარდა თმები და ფრჩხილები, ნაბუქოდონოსორივით ძოვდა ბალახს და იღვენთებოდა ღამით ნაფრქვევი ცვრითა და ზრიმლით.

ამბობდნენ, მარტო შაჰი ნალველი კი არა, ტვინიც შაჰი უნდა ჰქონდეს ხალიფასო. ყმაწვილობიდან მართლა ტვინის სიმშრალე ჰქონდა და ძარღვთა დაბზუილობანი სტანჯავდა უღვთოდ. მხოლოდ იის ზეთი შველოდა. ამიტომ დღეობით იჯდა და ცრილდებოდა იის ზეთით აჯსებულ ავაზანში.

ერთ დღეს კი კვლაც ნადირივით გაჭრილა იგი მთა-ველად.

და ქართველთა მეფის წერილმაც ქაიროს მაინც და მაინც მაშინ მიატანა, როცა ხალიფა ალ-ჰაქიმი, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვეღარავის შეეტყო და მოეძებნა.

ხალხი უცდიდა ხალიფას.

გიორგი მეფის წერილიც უცდიდა.

მაგრამ გიორგი მეფე ველარ მოუცდიდა.
რადგან ბასილი კეისარი აღარ იცდიდა.

●

კეისარმა იცოდა, ძალზე ძნელი იქნებოდა ქართველებთან რკენა და რქენა, და ამიტომ საიდუმლოდ ამზადებდა საქართველოზე დაცემას. წინასწარ ხმაც განავრცო, მესოპოტამიაში ვაპირებ გალაშქრებასო და, ქვეყნის თვალის ასახვევად და ქართველთა სიფხიზლის მოსაბოშებლად, ომის სახარჯო სურსათ-სანოვაგეც კი ანტიოქიაში გაგზავნა.

თვითონაც კეისარი, მრავალრიცხოვანი და ალმაფურად აღჭურვილი ლეგიონებით, 1021 წლის აღრიან გაზაფხულზე, სირია-მესოპოტამიის გზით გაეშურა აღმოსავლეთისკენ.

მაგრამ შუა გზიდან უცებ მარცხნივ შემობრუნდა და საქართველოსკენ წამოემართა სრული მხედრობით.

ქართველებს კი, თუ რაიმე უუნარობა და უჭკუობა სჭირდათ, ეს მაინც მტრის ზრიკებისა და სამუხანათო ხვანჯების შეუცნობლობა იყო.

მაგრამ ამჯერად გიორგი მეფის მზირეშმა მაინც დროზე ამოიცნეს მტრის გეზთა საცთომელი ცვალებადობა და ყოველივე სასწრაფოდ აცნობეს მეფეს.

ფიცხლად დაიძრა გიორგი მეფე მტერთან შესახვედრად.

ბასიანის პირღია შესასვლელში დაიბანაკეს ერთურთის პირისპირ ქართველებმა და ბიზანტიელებმა.

დიდხანს, „მრავალდღე“ ზომავდნენ ერთმანეთს თვალით. შერკინების დაწყებას კი თითქოს ორივე მხარე შიშობდა და საომარი ბედისწერისგან მისთვის უმჯობეს ჟამის დარეკვას ელოდა.

და, უცებ, არავინ იცის, რა მოხდა ქართველთა ბანაკში: გიორგიმ ერთბაშად ჯარი აყარა და ოლთისისაკენ წამოემართა.

ბიზანტიელებიც მაშინვე გამოუდგნენ ფეხდაფეხ.

გიორგიმ ოლთისიდან მოსახლეობა დედაწულიანად გაიყვანა, ჯარი გააფრთხილა — ხალხზე ეზრუნათ, და თვითონ ციხე-ქალაქი, მტერს რომ არ ჩავარდნოდა, ცეცხლს მისცა.

ოლთისიდან კოლას გზას დაადგა გიორგი და მისი ლაშქარი.

ისევ კვალში ჩამდგარი მოსდევდნენ ბიზანტიელნი.

თვითონ მეფე და ზვიად ერისთავი ქართველთა წინაკერძს მოუძღოდნენ. ხურსი და რატი უკანაკერძს იფარავდნენ.

სოფელი შირიმნი გამოჩნდა.

გიორგიმ და ზვიადმა ჩამოიტოვეს სოფელი,

ხოლო ხურსი და რატი, ის იყო შირიმნს მიეახლნენ, რომ კეისრის მეწინავე კოჰორტებიც წამოეწივნენ.

ქართველები შეუბრუნდნენ და შეებნენ მტერს.

ხმალთაკვეთება გაჩაღდა უსასტიკესი.

შედრკნენ და უკუიქცნენ ბიზანტიელნი.

გულდაგულ გამოეწთნენ რატი და ხურსი.

მაგრამ თვითონ კეისარმა მოუსწრო ბრძოლას მთავარი ძალებით.

წინ წასულმა გიორგი მეფემ კი ვეღარ შეიტყო, „ვითარმედ ომი არს უკანა-მავალთა ზედა“.

მაშინ „ალბორგნეს“ მეფე, მყისვე უკან შემოაბრუნა და საომრად განაწყო წინამავალი და თანამავალი ლაშქარი.

გიორგისა და ზვიადის გამოჩენამდე აკავებდნენ კეისრის ლეგიონებს ხელჩართულში თავდავიწყებით ჩაბმული ქართველები.

ისევ შედრკნენ და კვლავ გასაქცევად აიშალნენ ბიზანტიელნი.

და სწორედ მაშინ შორიდან ნაძგერალმა მაზრაკმა ძირს დასცა ხურსი ერისთავი.

გულშეძრულნი შედგნენ ქართველნი.

გულმოცემულად შემოუტიეს ბიზანტიელებმა.

რატი კლდეკარელმა კვლავ დაძრა წინ თავისიანნი. თავდავიწყებით შეიჭრა ქართველი ერისთავი ბიზანტიელთა მჭიდრო რიგებში.

გიორგი მეფემ და ზვიად ერისთავმაც მოატანეს ბრძოლას.

მაგრამ რატი ერისთავსაც ვეღარ მოუსწრეს ცოცხალს: შუბებით დაეცხრილათ და მახვილებით აეკაფათ ბიზანტიელებს.

მძვინვარე ყივილით გადაეშვა ბრძოლაში გიორგი მეფე. ქართველები, თითქოს, ახლა იწყებდნენ ბრძოლას.

მაშინ, ბასილი ბასილევსმაც ბრძოლად ჩაუშვა სამარქაფო ლეგიონები.

დიდხანს წონასწორად ქანაობდა ბრძოლის სასწორი.

ისევ გაიჭრა წინ გიორგი. მიჰყვნენ ქართველნი გააფთრებით.

და აი, — „მოისრნეს ბერძენნი დიდნი და ფრიადნი“.

და მარცხს შერიგებულმა კეისარმაც ბრძოლის ველს ზურგი აქცია.

მაგრამ „სულმოკლე იქნეს ქართველნი“, ნადავლს დაეტანენ და ბრძოლას განრინებულ მტერს ბოლომდე ალარ მისდიეს.

სამაგიეროდ, — როცა ქართველები, მათი სულმოკლეობით გამაძღარნი, ანუ ნადავლით დატვირთულნი, წამოვიდნენ — ბიზანტიელებმა მოსდიეს ხელახალ კოჰორტებად და ლეგიონებად დარაზმულებმა.

ქართველები არ მოელოდნენ და საომრად გაუწყობილნი შეხვდნენ მტერს.

შეხვდნენ და იძლივნენ.

ბიზანტიელები არტაანში შეიჭრნენ და საშინლად იავარჰყვეს — გა-

ძარცვეს, გადასწვეს და მცხოვრებთაგან, ვინც სიკვდილს გადაურჩა, ბორკილდებული წაიყვანეს.

გიორგი სამცხეში გადავიდა, ნიალის გზით. იქიდან თრიალეთს მიაშურა. გზადაგზა ჯარებს კრებდა.

ბასილი კეისარი ფეხდაფეხ მოსდევდა. ყველას და ყველაფერს სპობდა და აოხრებდა მაოხრებლობის დიდოსტატი. ბრძანება გაეცა „ბულგართმჭლეტელს“: არ დაზოგონ არც მოხუცი, არც ახალგაზრდა, არც ჩვილი, არც სრულწლოვანი, არც ქალი, არც კაცი“. ასე გაანადგურეს ბიზანტიელებმა ჯავახეთი და თრიალეთსაც შემოუდგნენ ცეცხლით და რკინით.

მაგრამ კეისარმა შეიტყო, რომ თრიალეთში მდგარ ქართველთა ბანაკს წანართა და შაქელთა ლაშქარი შეერთებია მაშველ ძალად. ამიტომ შედრკა იგი, ქართველებს ზურგი აქცია და ისევ ჯავახეთ-არტაანის გზით გაეწია.

ახლა გიორგი მისდევდა ფეხდაფეხ მტერს, შერკინებაც გულით სწყუროდა, „გარნა დაუშალეს შებმა მეორედ“.

ნაქდრევმა ზამთარმაც მოუსწროთ მორკენალთ.

კეისარი ბასილი გამოსაზამთრებლად დაბანაკდა „ქუეყანასა ხალდიასა მახლობელად ტრაპიზონთასა“, საიდანაც იგი მომავალი წლისთვის საზღვაო ბრძოლას იზრახავდა საქართველოს ზღვის განაკიდურთა ასაოხრებლად.

იზრახავდა, მაგრამ გამარჯვების რწმენა ძალზე შერყეოდა ბასილის.

ქართველთა მეფეს ახალი ჯარები ჰყავდა მომავალი წლისთვის საომრად გამზადებული.

შირიმნის ბრძოლაც, მართალია, თავის გამარჯვებად ჰქონდა გამოცხადებული კეისარს, მაგრამ საკუთარ თავთან ბჭობისას არც ამაში იყო მაინცდამაინც დარწმუნებული.

ალბათ, თავის მხრივ, ის „ცხრამეტი წლის ბიჭი“ თავის თავს თვლის გამარჯვებულად შირიმნის ბრძოლაში!

ერთი სიტყვით, ბიზანტიის იმპერატორი უგემურად ელოდა გაზაფხულებას „ქუეყანასა ხალდიასა“.

ზავი სწყუროდა ბასილის.

იქნებ, „იმ ბიჭსაც“ სწყუროდეს ზავი?!

თითქოს, გიორგი მართლა მიხვედრილიყოს ბასილის გულის წადილს და ელჩი გაუგზავნა საზავო მოლაპარაკების დასაწყებად.

ცას ეწია სიხარულით კეისარი.

და მთელი ზამთარი „ვიდოდეს მათ შორის მოციქულნი ზავისა და სიყუარულისთვის“.

თითქოს კიდეც შეთანხმდნენ.

თითქოს კიდეც „შეიყუარეს“ ერთმანეთი.

დაიწერა კიდევ საზავო გარიგება (1022 წ.).

და სწორედ მაშინ იმპერატორმა შეიტყო, რომ მის დასამხობად აჯანყებულან მისგან წინა წელს განპატიჟებული სარდლები — ნიკიფორე ქსიფე და ნიკიფორე ფოკა. ამასთან ისიც გამოირკვა, რომ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ ქართველი არისტოკრატებიც, მათ შორის — გამოჩენილი ტაოელი ქართველი სარდალი და პოლიტიკოსი ფერიის ჯოჯიკის ძე, რომელმაც ჯერ კიდევ 998 წელს თავი ისახელა მამლანის სარდლობის ქვეშ მყოფი ასიათასიანი არაბული არმიის განადგურებაში.

ისე ეტყობოდა, გიორგი პირველსაც ჰქონდა კავშირი ბასილი კეისრის დასამხობად აღძრულ აჯანყებაში.

მაგრამ ბასილის კვლავაც უტყუვრად სწყალობდა ბედი. სანამ შეთქმულნი მის წინააღმდეგ რაიმე ქმედითს იქმოდნენ, მათი მეთაურები თვითონ დაეტაკნენ ერთმანეთს. დაეტაკნენ და ნიკიფორე ქსიფემ ყელი გაჰკრა ნიკიფორე ფოკას, ხოლო თვითონ ქსიფე კეისრის ერთგულმა კარისკაცებმა შეიპყრეს და დააბორკილეს.

ბასილის ბრძანებით, ქსიფე ბერად აღკვეცეს, დანარჩენ შეთქმულთაგან ერთი ლომებს დააგლეჯინეს, დანარჩენებს უბრალოდ თავები დააყრევინეს.

მთავარი მაინც ის იყო, კეისარმა აიჩემა, შეთქმულებს ქართველი მეფე მფარველობდაო, და მისი ბრძანებით, მოკლულ ნიკიფორე ფოკას თავი მოსჭრეს და გიორგი მეფეს გამოუგზავნეს. ამით იმპერატორი ქართველ მეფეს ატყობინებდა, რომ მისთვის უცილაფერი ნათელი იყო და მათ შორის დავა ერთხელ და სამუდამოდ მხოლოდ მახვილთა ჯვარედინს უნდა გადაეწყვიტა.

და ისევ მოვიდა ბასილი ბულგართმჟლეტელი დიდძალი ლეგიონებით ბასიანს და მოსთხოვა გიორგი მეფეს იმიერ და ამიერ ტაო. სამაგიეროდ სამარადჟამო მშვიდობას, კავშირს, მეგობრობასა და მოყვრობას აღუთქვამდა კეისარი ქართველ ხელმწიფეს.

გიორგიც ჩაეგება აბეზარ ხელმწიფეს.

ჩაეგება და ლაშქრის ერთი ნაწილი, ცხენკაციანად 'მძიმე აბჯრით შერკინული მხედრობა, ზვიად ერისთავს ჩააბარა და ბიზანტიელთა ბანაკისაკენ გაგზავნა.

ზვიადი, ბასილი კეისრის შემოთავაზების პასუხად, მასთან სამშვიდობო სიტყვათმიგებაში უნდა ჩაბმულიყო, ხოლო გიორგი, ყოველი შემთხვევისათვის, მაინც საომრად უნდა გამზადებულიყო.

„უკეთუ ინებოს ზავი ბასილი მეფემან, იქმნეს ესრეთ, და უკეთუ ინებოს ომი, განვემზადნეთ მისთვის“, — ფიქრობდა გიორგი მეფე.

ბოლოს და ბოლოს, მაინც არ მოხერხდა უსისხლოდ საქმის გათავება.

ზვიად სპასალარს მისმა მზრუნველობამ აცნობეს — ისე ეტყობა, კეისარი ოდუმალ თავდასხმას უმზადებს ქართველებსო.

აგრე არ უნდოდა და, ზვიად ერისთავის თოროსანი მხედრობა თვითონ დაესხა თავს ბიზანტიელთა ბანაკს.

და ქართველებმა „აოტეს ზოგი ბასილის ლაშქრისა“.

კეისარმა გაქცეულები შეაყენა, თავი მოუყარა და ლეგიონები მტკიცედ შეკრა ქართველთა უკუსაქცევად.

ბრძოლად გასვლის წინ, ბასილიმ ქართველი მეფის ხელმოწერილი და მისი ბეჭდით დაბეჭდული წერილი შუბის წვერზე წამოაგო, მაღლა აღმართა, ჯარებს დაანახა და ზეცას შეჰყვირა:

„იხილე, უფალო, წერილი ესე მათი და საქმე, რომელსა აწ იქმან!“

მერე ჯვარი მოაღებინა, მიწაზე მანდილი გაშალა, ჯვარი ზედ დაასვენა და ზემოდან დასძახა:

„უკეთუ მიჰმცე მე ხელთა მტერთასა, არღარა თაყუანი-გცე უკუნისამდე!“

ეს თქვა და ნიშანი მისცა.

და გამოეყო რუსული დრუჟინა („ტალმანი რუსთა“) ბიზანტიელთა ლეგიონებს.

დაუხვდნენ ქართველნი.

დაუხვდნენ, მაგრამ უმალვე უკანვე გამოაბრუნა ზვიად ერისთავმა თავისი ლაშქარი.

სრულის ძალებით გამოედევნა ბასილი კეისარი.

მეფე გიორგიც ფიცხლად დაიძრა ქართველთა მთავარი ლაშქრით.

სასისხლე ხაზს რომ მიეახლნენ, შედგნენ და ისევ დასცეს ბანაკნი ორკერძოითვე.

მძიმედ ჩაეფიქრებინა გიორგი ზვიად სპასალარის თოროსან სპათა მარცხს და კეისარ ბასილის არმიის სიმრავლეს.

მძიმე საგონებელს მისცემოდა ბასილი კეისარიც, „რამეთუ შიში აქუნდა საბერძნეთით კუალადცა განდგომილებისა“. ამიტომ ისევ აცნობა კეისარმა გიორგი მეფეს: დაე იყოს ჩვენ შორის ზავი და მშვიდობა!

ისევ მიუსხდნენ საზავო მაგიდას და კიდევაც დაზავდნენ (1022 წ.).

ტაო კეისარმა დაინარჩუნა.

დანარჩენი სამხრეთული ციხე-ქალაქები გიორგის დაულოცა ბასილიმ.

გიორგის უფროსი ძე, ოთხი წლის უფლისწული ბაგრატი, კეისარმა მძევლად წაიყვანა კონსტანტინოპოლს, ფიცითა მტკიცითა: „წელსა მესამესა ვამოგიგზავნო ძე შენი“.

ბასილი კეისარმა კიდევაც შეასრულა თავისი სიტყვა: ზავის დადებიდან მესამე წელს (1025) უფლისწული ბაგრატი, მაგისტროსის ტიტულით მართლაც გამოუშვა კონსტანტინოპოლიდან ქუთათისს.

ქართველ უფლისწულს კონსტანტინოპოლის სასახლის კატაპანი მო-

აცილებდა საქართველოსკენ. ის იყო, კიდეც შემოდგეს ფეხი ქართულ მიწაზე, რომ უცებ ახალი მანდატური წამოეწიათ, ახალი, ცინცხალი ამბით: მოულოდნელად გარდაცვლილიყო კეისარი ბასილი II და მის ნაცვლად კეისარ-იმპერატორ-ავგუსტუს-ბასილევს-ავტოკრატორი შექმნილა მისივე ძმა, კონსტანტინე VIII.

და ბრძანებდა ახალი კეისარი: სასწრაფოდ უკანვე, კონსტანტინოპოლს დააბრუნეთო ქართველი უფლისწული ბაგრატ გიორგის ძე!

ბაგრატს კი ფეხად გადმოესწრო ქართულ სამანზე.

ბიზანტიელებიც მოჰყვნენ შლიგინით, მაგრამ „რომეების“ ვერაგობის მცოდნე გიორგი მეფეს დროულად დაუჭერია თადარიგი მოსალოდნელი ხიფათისგან შვილის დასახსნელად: უკვე ქართულ მიწაზე გადმოსულ უფლისწულს ეგებებოდნენ ალმაჭურ ალჭურვილი „დიდებულნი, ერისთავნი და აზნაურნი ტაოელნი, მესხნი და ქართლელნი“.

ბიზანტიელები ერთ ხანს ბრაზიანად ათვალიერებდნენ ბაგრატის უკან მტკიცე კედლად აღმართულ ქართველობას.

მერე, ბასილი მიცვალებულის მანდატურმა დაცინვით უთხრა კონსტანტინე ცოცხალის მანდატურს: უკეთუ ძალგიძს, ახლა შენ გამოიყვანე უკან ბაგრატ უფლისწული, ჩემი იმედი კი ნუღარ გექნებაო. თქვა, გაბრუნდა, გაქუსლა და თავისი კენტურიაც გაიყოლია სრბოლითა უკანმოუხედავითა.

ახალი იმპერატორის მანდატურმაც ისლა მოახერხა, მათრახის ტარი დაეკბინა და ისიც უკანვე გაბრუნებულიყო ხელცარიელი.

ქუთაისის სასახლე დიდის ზარ-ზეიმით შეხვდა „ვერაგთა ქვეყნიდან“ უფლისწულის უვნებლად დაბრუნებას.

●

მალე კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკი კონსტანტინოპოლს გაემგზავრა, ახალ კეისართან, კონსტანტინე მერვესთან შესახვედრად.

მას შემდგომ, რაც ბაგრატ უფლისწულმა, მძევლობიდან თავდახსნილმა ქართულ-ბიზანტიურ „დიაფრაგმას“ გადმოაბიჯა, უმძრახობა სუფევდა კონსტანტინოპოლსა და ქუთათისს შორის.

ხოლო, უმძრახობა და უსიტყვობა ბიზანტიასა და საქართველოს შორის შეუძლებელი იყო დიდხანს გაგრძელებულიყო და იგი უნდა დარღვეულიყო, ან ავად ან კარგად, ან პირზე მთხვევით (წრფელით თუ ფარისევლურით), ან სისხლის თხევით (უკვე მხოლოდ წრფელით... რამეთუ სისხლისთხევა ყოველთვის წრფელია).

და სწორედ ამიტომ მიიცეოდა კათალიკოსი მელქისედეკი კონსტანტინოპოლს, გიორგი მეფის ნაზრახევით და ნასაუბრალით. ბოლოს და

ბოლოს, უნდა გარკვეულიყო, რას ფიქრობდა ახალი ავტოკრატორი — საქართველოსთან მტრობას თუ მოყვრობას, ან რა თხოვნა ჰქონდა, ან რა მოთხოვნა.

ან კიდევ: რა წონისა იქნებოდა თხოვნა და რა წონისა მოთხოვნა.

ყოველივე მაინც კეისარ-იმპერატორის პირადი ნებისად უნდა ყოფილიყო ნავარაუდევი და ნააზრევი.

ხოლო, თვითონ კეისარ-იმპერატორი კონსტანტინე VIII ტახტზე ასვლისას უკვე სამოცდაათ წელს მიტანებული კაცი იყო. მას ორმოცდაათი წელიწადი თავისი დიდი ძმის, ბასილი II-ის თანაძმართველის სახელი ისე ეტარებინა, იმპერიის თანამმართველობა და თანამესაყდრეობა კი არა, არასოდეს საკუთარი კუპის გარდა არაფერი არც თვითონ გახსენებია და გახსენებით არც სხვა ვინმე შეუწუხებია. „ჭამა-სმა დიდად შესარგი“ იმპერიის ტახტ-გვირგვინსაც ერჩიენა და მთელს სამყაროსაც. ანდა, თუ კეისრობა, ან თანაკეისრობა რამედ უნდოდა, მხოლოდ პოხიერი და გემრიელი საჭმელ-სასმელისთვის ესურვებოდა.

ამას გარდა, კოჭის თამაშიც უყვარდა გარდარეულად.

მხოლოდ ერთ რამეში ჰგავდა ძმას, ნიჭიერ ბასილის ეს კონსტანტინე უნიჭო: ქალები არ უყვარდა, არც გარდარეულად, არც ზომიერად, არც ზომადაკლებულად. ეს იყო და ეს.

კოჭის თამაშში დროს ანიავებდა, და საკუთარი ჯანმრთელობაც გაანიავა ამ კეისარმა „გამნიაფებელმა“: უზომო ჭამისაგან პოდაგრა გაუჩნდა. ორივე ფეხი დაუსივდა, ორივეში ჩირქი, თხრამლი და შალალი ჩაუდგა. მაინც არ იმოკლებდა სივრცეს ჭამისას. არც ერთ დღეს არც ერთ რგოლს არ გამოტოვებდა ჭამის ჯაჭვიდან: საუზმარი, სადილი, სამხარი, ზარმელი, სერობა, სერობისკუდი.

ვიტელიუსის შემდეგ, ასეთი მჭამელი გვირგვინოსანი არ მოსწრებია ქვეყნიერებას (ვიტელიუსმა რომის ტახტზე სამი თვე ძლივს მოათია, მაგრამ იმ სამ თვეში მარტო ხის მუცელს ცხრაასი მილიონი სესტერციუმი დასჭირვებია).

ხალხში კონსტანტინე კეისარს უკანასკნივარ სახელად უკვე ზოგი „მთქვლეფავს“ ეძახდა, ზოგი „ღორმუცელას“, ზოგიც „ფუტუროს“.

ახალი კეისარ-იმპერატორი, სხვა სიკეთესთან ერთად, იყო ყოვლად მშიშარა, ეჭვიანი, ცილნაწამების მალემწრმენი და სასჯელისაც მალემიმგები. ყოველ სასჯელთაგან თვალსასეიროდ ამჯობინებდა თვალების დათხრას. ყოველ ნიჭიერს ეჭვის თვალით უთვალთვალებდა. ბასილის დროინდელი წარჩინებული და ღირსეული კარისკაცები გააძევა და თავისი თანამეინახენი, თანამჭამელნი და თანამემუცლენი შემოიყარა სასახლის კარზე.

შეიტყო კათალიკოსმა მელქისედეკმა, რომ ყველას მიმართ დაეჭვებული და უენო კეისარი ერთადერთს — პატრიარქ ალექსი სტუ-

დიტს უსმენდა და უჯერებდა. და ჯერ ალექსის შეხვდა მელქისედეკი. მეორე დღეს კი, ალექსის წარდგინებით, საქართველოს მწყემსმთავარს სალუთო კონსისტორიონში შეხვდა კეისარი კონსტანტინე მერვე.

როგორც ჩანს, მელქისედეკის ჭკვიანმა სიტყვამ დაიურვა ჩლუნგი გონება „მსოფლიო ხელმწიფისა“.

და „მოსცა კეისარმა კონსტანტინემ მელქისედეკს შესამკობელნი ეკლესიათა, ხატნი და ჯუარნი და ყოველნი სამღვდელთმთავრო და სამღვდელო სამკაულნი“.

და წამოვიდა მელქისედეკი კონსტანტინოპოლიდან საქართველოში. წამოვიდა და „მოვიდა ქუეყანასა და სამწყსოსა თვისსა და იყიდა სოფლები ტაოს: ზადკარეკი ხუთითა აგარაითა, და ძალღის-ხევს იყიდა სოფელი ოროთა სამითა აგარაითა. ესე ორნივე სოფელნი მათითა აგარაითა თვისთა ძმათა განძითა იყიდა. და კლარჯეთს მოიგო სოფელი დიდი სხლობანი, აგარა მისი ნაღუარევი. და ჯავახეთს მოიგო სოფელი ტონთიო. და კოლას მოიგო და დააშენა სოფელი დიდი ოროტანი აგარაითა. და ფარავანს ააშენა სოფელი ერთი ზახაროვანი. და საკოეთს შეიპყრნა და ააშენა სოფელი ორნი: ნაქალაქევი და ბერდაძონი, და დაუდგა წმიდასა ამას დედაქალაქსა მცხეთას, სუეტსა ცხოველსა“.

●

გიორგი მეფეს კი, ბაგრატ უფლისწულის დაბრუნებით წვეული სიხარული მალე დიდი მწუხარებით შეეცვალა: მოუკვდა უმრწემესი შვილი, ასული — მართა.

ვერ იქნა და ვერ განიქარვა წუხილი შვილმკვდარმა მამამ.

მეფე იყო და ჩვეულებრივი ადამიანური გლოვის უფლებაც არ ჰქონდა.

დაუნდობლად არღვევდა მის მძლავრ სხეულს სიმძიმილი ვითარცა კაცისა და სიმძიმილნი ვითარცა საზოგადო ქვეყნის პატრონისა.

შეუსვენებელი, მუხლჩაუკრეფელი და თვალმოუხუჭავი შრომით ცდილობდა ჩაექრო საწუხარნი პირადულიც და სახელმწიფურიც.

დადიოდა საქართველოს ყოველ კუთხეში, ციხე-ქალაქებს ამაგრებდა, ხალხს ამხნევებდა და განამტკიცებდა, ქვრივ-ობერთა და უპოვართა ეხმარებოდა, წარბგაშლილი, პირზე ღიმილგადაფენილი ეგებებოდა ყველას, თვითონ უჩინო სიმძიმილით გულდალახვრული.

ერთადერთი სიხარული ჰქონდა: სრულდებოდა მამამისის დიდი კულტურული განაზრახი—მესამე ფერისცვალება სვეტიცხოველისა, არსუკისძის პარწყინვალე ვონებითა და ხელითა.

მაგრამ სვეტიცხოველის დასრულებამდე ორი წლით ადრე სიკვდილმა უწია გიორგი მეფეს.

1027 წელი იდგა.

გიორგი მეფე თრიალეთს ჩასულიყო, „ადგილსა, რომელსა ეწოდების მყინვარნი გინა იწრონი“.

და მოკვდა 16 აგვისტოს.

ასე ერთბაშად მოისრა მეფე გიორგი, კაცი „სავსე ყოვლითა სიკეთითა, ჟამსა ოდენ სიყრმისასა, რომელ არავინ გამოჩენილიყო მსგავსი მისი მამათა შორის ახოვნებითა, ჰაბუკობითა და სიქველითა, ტანითა და სახითა, ცნობითა და სავსე ყოვლითა განგებითა სახელმწიფოთა“.

აღესრულა „და დაუტევა გლოვა და მწუხარება ყოველთა შვიდრთა მამულისა და სამეფოსა მისისათა, იგლოვდეს ყოველნი სიკეთისა, და სიჰაბუკისა, და ახოვნებისა მისისათვის“.

გამეფდა 12 წლისა, იმეფა 13 წელიწადს, აღესრულა 25 წლისა.

თრიალეთიდან ჩამოასვენეს და ქუთათისის ბაგრატოვანში დაკრძალეს, პატარა მართას გვერდით გათხრილ სამარხვილეში.

და იყო მშვიდ: განტევებული ყოველგვარი საწუთისოფლო საზრუნავისგან.

და იყო ბედნიერ: სანატრელი შვილის გვერდით განისვენებდა.

ზეობა ბაგრატ მეოთხისა

გიორგი მეფეს დედოფალ მარიამთან ერთადერთი ძე და ორი ასული დარჩა: ბაგრატი, გურანდუხტი და კატაი.

მეფეს კიდევ ჰყოლია „მეორე ცოლი“, ოვსთა მეფის ასული, სახელად ალდე, რომლისგანაც შესძენიათ ძე — დემეტრე.

(ეს აქედანვე მივინიშნოთ: სწორედ დემეტრეს შტოსგან შემდგომში, მეექვსე მუხლად, წარმოსდგება თამარ მეფის ქმარი — დავით სოსლანი).

ალდე და დემეტრე აფხაზეთში, ქალაქ ანაკოფიას აფარებდნენ თავს.

თვითონ მცირეწლოვნად აღსრულებულ ხელმწიფეს ოჯახიც წვრილშვილიანად დარჩა. ყველაზე უფროსი, ბაგრატი, მამის სიკვდილის ჟამს ცხრა წლისა იყო.

მაშ, საქართველოს ტახტზე მცირეწლოვან ასაკში ავიდა კვლავაც ღირსეული ხელმწიფე ბაგრატიონთა საგვარეულოდან — ბაგრატ მეოთხე (1027—1072).

ყრმობითვე გაუხარები ცხოვრებით დაიწყო მისი წუთისოფელი. მისი ხსოვნის პირველი სტრიქონები უცხოობაში სამწლიანი მძევლობა იყო, მერე, მოზრუნდა, მაგრამ მშობლიურ კერასთან ორი წელიც ვერ მო-

ათია გახარებულმა: აღესრულა მისი ვაჟკაცი მამა და ნაადრევმა ობლობამ მძიმე სევდით აუვსო გული; მაშინვე თავზე საქართველოს მძიმე გვირგვინი დაადგეს და ბავშვობაზეც ხელი სამუდამოდ აიღებინეს.

ხოლო ქვეყანა იყო დაქანცული და სისხლდადენილი ბიზანტიასთან მძიმე ბრძოლებით.

გიორგი მეფის სიცვდილმა მიხრწნილი სული აუფოფინა კეისარ კონსტანტინე „ფუტუროს“.

საქართველოს ლომი მოჰკვდენია და მისი ბოკვერის გალომებამდე დრო დავიჭიროთ და ჩვენ ჩვენი გავინაღდოთო, — კვლავ აფუსფუსდა და აფუთფუთდა ჭიპი დედამიწისა.

და დაიწყო იმით, რომ ბიზანტიელებმა ბასილი კეისრის დროს მიტაცებული ქართული თემებისაგან შექმნეს „იბერიის საკატაპანო“, და ცდილობდნენ ყოველი საშუალებით გაფართოებას ისევ ქართული მიწების ხარჯზე.

და ამისთვის არ ერიდებოდნენ — არა ქრთამს, არა მოსყიდვას, არა ღალატს, არა პირისშლას, არა იარაღს და არა სისხლის დაქცევას.

საქართველოს კი ისევ ღალატობდნენ მეფის მცირეწლოვანებით გათამამებული აზნაურები.

(სხვაც რომ არაფერი, ისე მაინც — ეღალატებოდათ და ღალატობდნენ, ვითარცა — ემღერებოდათ და მღეროდნენ, ეცინებოდათ და იცინოდნენ, ეშურებოდათ და შურობდნენ, ეძულებოდათ და სძულობდნენ).

ბაგრატის გამეფების ჟამსვე ტაოელ დიდებულთა უმრავლესობა, „რომელნიმე ციხოვანნი და რომელნიმე უციხონი“, კოსტანტინოპოლს თავის ფეხით ჩავიდა, კეისარს ეთაყვანა, ეყმო, ემონა და თავი ბაგრატ მეფისაგან განდგომილად გამოაცხადა.

ამ მოღალატე ერისწყეულთაგან ყველაზე დიდები იყვნენ: საეროთაგან — ვ ა ჩ ე კ ა რ ი პ ი ს ძ ე, სამღვდელოთაგან — ი ო ა ნ ე ბ ა ნ ე ლ ი (ბანას ეპისკოპოსი).

შინაურთა ღალატს გარედან ახალი მაოხარი ლაშქრობა მოჰყვა საქართველოში. კეისარმა კონსტანტინე მერვემ ქართველთა სისხლის დაუქცევლად არ ინება საქაოდან საიქიოში გადაბარგება და 1028 წელს მან ნ ი კ ი ტ ა პ ა რ ა კ ი მ ო მ ე ნ ო ს ი წარმოგზავნა „მიუწვდომელისა ძალითა, ლაშქრითა თვისითა და განძითა ურიცხვითა“.

ბიზანტიელებმა ხელახლა ააოხრეს ბასილი კეისრისგან ნაოხარი, ჯერ ისევ ჭრილობაშეუკრავი სამცხე-ჯავახეთი, ხოლო როცა თრიალეთს შემოუდგნენ, აქ ბაგრატ მეფის ერთგული აზნაურები დაუხვდნენ მტერს, კლდეკარის ერისთავის, ლ ი პ ა რ ი ტ ლ ი პ ა რ ი ტ ი ს ძ ი ს წინამძღოლობით. დაუხვდნენ და მარცხნაჭამი უკუაქციეს ბიზანტიელნი, მაგრამ უკუქცეულებმა მაინც მოახერხეს კიდევ ორი ქართველი დიდაზნაურის გადაბირება: ჩ ა ნ ჩ ა ხ ა ფ ა ლ ე ლ მ ა გარყვნილების ტიხე გადასცა

უცხოელებს, ხოლო არჯევან ჰოლოლას ძემ — წერეფთის ციხე.

მაინც თავგამოდებით იბრძოდნენ სქმხრეთელი მამულიშვილნი. ტბეთის ეპისკოპოსმა, საბა მტბევარმა, ჯვარი და ლოცვანი გადაღო, აბჯარი აისხა, ხმალი აიღო და მტერზე საცემად წარუძღვა შავშეთელ მამულიშვილებს.

საბამ ტბეთის ეკლესიასთან ძლიერ გამავრებული საომარი ბანაკი გაანაჩინა, სახელად „სვეტი" დაარქვა და შიგ მისებრ გულმხურვალე თანამემამულეთა ლაშქარი ჩააყენა.

„სვეტიდან" გამოიშრებოდნენ ანაზდაითად საბას მეომარნი, აზნაურნი და უაზნონი, საერონი და სამღვდელონი, მტერს ესხმოდნენ და შავ დღეს უთენებდნენ.

საბას მარჯვენა ხელად ედგა მისებრვე იარაღასხმული ბერი, ანჩის ეპისკოპოსი — ეზრა ანჩელი.

მთელი შავშეთი ფეხზე დაეყენებინათ სამშობლოს საკეთილდღეოდ გასამხედროებულ ბერ-ფიჩოსნებს.

●

1028 წელს მოკვდა კონსტანტინე VIII, კეისარი, რომელმაც თავისი სამწლიანი კეისრობა ღორმუცელობასა და საქართველოსადმი მტრობაში გაატარა. სიკვდილამდე სქმი დღით ადრე კი გაახსენდა, რომ აგრეთვე საჭირო ყოფილა ზრუნვა ტახტის მემკვიდრეობაზე(ც).

კონსტანტინეს ღმერთმა ძე არ მისცა, საიმპერიო ტახტ-გვირგვინი რომ მემკვიდრეობად გადაეცა. მას შემდეგ, რაც დაქვრივდა, აღარც მეორე ცოლი შეურთავს და აღარც საერთოდ გაჰკარებია ქალად ნასახს. და შემორჩა სამი შვილი, სამივე ქალი: ევდოკია, ზოია და თეოდორა. სამივე შინაბერა, გაუთხოვარ და შამაკაცისგან განუცადებელ.

უფროსი, ევდოკია, არც ლამაზი იყო და არც ნიჭიერი. ბავშვობისას ყვავილი მოეხადა და ართვალ ჩოფურად დარჩენილიყო. ამიტომ ნებიერ ქალობაზე უიღბლოდ იმედგადაწურული, სახეაჩეხილი ევდოკია ახალგაზრდობის წლებიდანვე დედათა მონასტერში მონაზვნად აღკვეცილიყო და აგერ, ეს ორმოცდახუთი წელიწადი, აღარც ქალად და აღარც სეფეასულად აღარავის გახსენებია.

მეორე, შუათანა ზოია, იმჟამად იყო ორმოცდაათი წლისა; ხოლო მესამე, თეოდორა — ორმოცდარვა წლისა. ამათ, ვითარცა ქალებს, მაინც ქალები ეთქმოდათ. გვარიანად ლამაზები იყვნენ და ქალური სინორჩეც თითქოს ჯერ კიდევ შემორჩენოდათ. უფრო მაინც ზოია გამოირჩეოდა,

ზოია, — რომლისთვისაც ზედწადებ სახელად „ძოწითშობილი“ დაერქმია დროის ნათლიას.

და სიცვდილს მირქმეულმა კონსტანტინემ გადაწყვიტა კეისრის ტახტი და გვირგვინი ზოია ძოწითშობილისთვის დაეტოვებინა. და ისიც ახლა გაახსენდა კონსტანტინე „ფუღუროს“ — ზოიას, ვითარცა ქალს, არც მამაკაცი აწყენდა და, მით უფრო ბასილისა-დედოფალს, ბასილევს-მეუღლეც აუცილებლად დასჭირდებოდა.

და შეყარა კონსტანტინემ უახლოესი მრჩეველნი — რეფერენდარნი სასიძოს ასარჩევად და საძიებლად. მოიძიეს და აარჩიეს დედაქალაქის პრეფექტი-ეპარქოსი რომანოს არგიროსი, მაშინ უკვე 60 წლისა, თანაც ცოლშვილიანი.

მაშინვე დაიბარა კონსტანტინემ რომანოსი და უთხრა: აირჩიე, რომელი გიჯობს — ცოლთან გაყრა, ჩემი სიძობა და კეისრის ტახტ-გვირგვინი, თუ თვალების დათხრა და ოთხში ამოლებით სიკვდილიო.

თვალების დათხრა და სიკვდილი მირჩევნია ცოლთან გაყრასო, — უპასუხა რომანოსმა სავსებით მშვიდად.

— რაო?! — ლამის გაუსკდა ბებერი ჩინჩახვი კონსტანტინეს. — შეიპყარითო, ბრძანა და შეიპყრეს, ბორკილები დაადეს, დილეგს ჩააგდეს და უმძიმესი სასჯელის მოლოდინში დატოვეს ხელმწიფობის დამწუნებელი.

ეს რომ რომანოსის სათნო მეუღლემ შეიტყო, მაშინვე შემოუთვალა ქმარს: ოღონდ შენ ცოცხალი გადარჩი, კარგად დარჩი და მე სულაც დავიკარგები ამქვეყნიური ცხოვრებიდანო. თქვა ეს, უმალვე სახლიდან წავიდა, სამონაზვნო სქემით შეიმოსა და სამუდამოდ ჩაიკარგა სამონასტრო სამკვიდრებელში.

ზოია და რომანოსი დაქორწინდნენ.

ვათი ქორწინებიდან სამი დღის თავზე კეისარი კონსტანტინეც მოკვდა.

მაშ, ოქროს ჭიპზე დედამიწისაჲა, ნებითა განგებისათა, ახალი ხელისუფალნი აღმოცენდნენ:

ბასილისა-ავგუსტა — ზოია ძოწითშობილი,

ბასილევს-ავგუსტუს-კეისარ-ავტოკრატორ-იმპერატორი — რომანოს III (1028—1034), უკანასკნელი — „არგიროსი“, გინა „ვერცხლი“.

— საქართველოსთან მტრობა არ გვარგებს, — სთქვა ბასილისა ზოიამ.

— მეც ყოველთვის ავრე ვფიქრობდი, — საქართველოსთან მტრობა ნამდვილად მეგობრობით და მოყვრობით უნდა შევცვალოთ, — დაუდასტურა ბასილევსმა რომანოსმა.

ეს იყო ერთადერთი, პირველი და ყველაზე მტკიცე ერთსულოვნება

და ერთაზროვნება, რაიც კი ეჭნებათ განვების ძალით თავმოყრილ ცოლ-ქმარს.

და ამ კეთილმა ხმამ მოატანა საქართველოში.

ამას მოჰყვა ახალი წვევა კონსტანტინოპოლს, ისევ კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკისა.

და შეხვდა „სიყუარულითა დიდითა" რომანოს კეისარი „საყუარელ ქართუელთა" სულიერ მამას, შეხვდა და „მოსცა შესამკობელნი ეკლესიათანი, ხატნი და ჯუარნი, სამღვდელმთავრო და სამღვდელო სამკაული, და წარმოვიდა ქუეყანასა და სამწყსოსავე თვისსა" კათალიკოსი მელქისედეკ.

მეორე ქართული წვევა კონსტანტინოპოლს უფრო ფართო და ღრმა გააზრებით მოხდა 1030 წელს. ამჯერად თვითონ დედოფალი მ ა რ ი ა მ ი, დედა ბაგრატ მეფისა და ქვრივი გიორგი პირველისა გაემგზავრა ბიზანტიის სატახტო ქალაქში.

განზრახვა კი იყო სამუდამო მშვიდობის, მეგობრობისა და მოყვრობის ჩამოყდება ორ ქრისტიანულ ქვეყანას შორის.

დიდის ამბით შეხვდა კონსტანტინოპოლი საქართველოს დედოფლის გამოცხადებას.

კეისარი რომანოს არგიროსი და ბასილისა ზოია ძოწითშობილი სალვთო კონსისტორიონში შეეგებნენ მარიამს.

და იმ დღეს ორივე მხარემ პირობა დადო სამუდამო მშვიდობაზე, კავშირსა და მეგობრობაზე.

კავშირი მტკიცდებოდა ორივე მხარისათვის დიდად სასურველი დამოყვრებით: საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე ცოლად ირთავდა რომანოს კეისრის ასულს (პირველი ცოლისაგან), ე ლ ე ნ ე ს.

რომანოსი ბაგრატს — სიძეს და ხელმწიფეს — არზანიგად (ძღვნად) უგზავნიდა „კურაპალატის" წოდებას...

მოდიოდა ბიზანტიიდან მარიამ დედოფალი. მოჰქონდა მშვიდობა საქართველოსთვის. მოჰყავდა სადედოფლო შვილისთვის, ქართველი მეფისთვის.

ტაოში ჩაეგება მეფე ბიზანტიიდან მომავალთ.

ერთმანეთს შეხვდნენ ბანას.

და იქვე, ბანას ტაძარში დაიწერეს ჯვარი ბაგრატმა და ელენემ, 10—11 წლის ბავშვებმა.

ბანადან ქუთათისს მოვიდნენ და დიდის ზარზეიმით იქორწინეს.

მაგრამ საქორწინო ზარზეიმი მალე სამგლოვიარო ზარმა შეცვალა. თაფლობის თვეც არ გასულიყო, რომ ყმაწვილი დედოფალი ელენე გარდაიცვალა.

ქუთათისისა და კონსტანტინოპოლის სასახლეთა მოყვრობაც ამით დამთავრდა.

ბაგრატ მეოთხემ მეორე ცოლად შეირთო ბორენა — ოვსთა მეფის, ურდურეს ასული.

ბიზანტიასთან მოყვრობის მოშლამ გაათამამა ბაგრატ მეფის მომტერე დიდაზნაურნი. და აუმხედრეს ბაგრატს მისი ნახევარ-ძმა დემეტრე, ოვსის ქალის ალდეს ნაშობი.

ანაკოფიას ჩადიოდნენ მოღალატენი, ალდესთან და დემეტრესთან, და „იყო მათ შორის მი-და-მო საუბარი".

მაგრამ დემეტრემ ვერც გაცილებით მასზე ძლიერი ძმის წინააღმდეგ გამოსვლა გაბედა, ვერც მის დიდსულოვნურ პატიებას დაელოდა, დაჰკრა ფეხი და ისიც კონსტანტინოპოლს გადაიხვეწა.

და, თავშესაფრის საფასედ დემეტრემ ციხე-ქალაქი ანაკოფია კეისარს მიართვა.

და, ამნაირად, ისევ ჩამოდგეს ფეხი ბიზანტიელებმა აფხაზეთს (1032 წ.).

ხოლო ქართველთა მეფეს ანაკოფიისთვის ჯერ არ სცალოდა.

გავიხსენოთ რანის მფლობელი, განძელი ამირა ფადლონ, რომელიც ადრე, 1011—1012 წლებში, ქართული მიწების წარამარა შეწუხებისათვის ბაგრატ მეოთხის პაპამ, ბაგრატ მესამემ სასტიკად დაამარცხა, დახარკა და დაიყმევა.

ახლა, ოცი წლის შემდეგ, იგივე ფადლონ განძელი ისევ გამძლავრდა, და რაკი გამძლავრდა, სიმძლავრეც რად უნდოდა, თუ საქართველოს არ შემოუტევდა! და დაიწყო კიდეც იერიშები ფადლონმა ქართულ საზღვრებზე.

მაშინ ბაგრატ მეოთხემ ბრძოლად გამოსვლა უბრძანა კლდეკარის ერისთავს ლიპარიტ ბაღვაშს და ასევე ძლიერ დიდებულს იოანე აბაზასძეს. და ამათაც შემოიყარეს ლაშქარნი.

ბაგრატმა დამხმარედ უხმო კახეთის მეფეს კვირიკეს, და ისიც წამოვიდა კახთა ჯარით.

მეფემ ტფილისის ამირაც, ჯაფარ ალის ძე, გაიწვია ფადლონთან საომრად. ჯაფარს ქართველ მეფესთან წაკიდება მაშინ ხელს არ აძლევდა და ისიც მის მიწვევაზე აჯდა საომარ უნაგირზე.

ბრძოლა მოხდა ეკლეცთან.

სასტიკად დამარცხდა განძის ამირა.

ქართველებმა „გააქციეს ფადლონ და აუწყვიდეს ლაშქარი, აიღეს ავარი და განძი ურიცხვი. ამიერიდან სიკვდილამდე შეჰვდა ფადლონ".

ფადლონი ფადლონად და განძა განძად, მაგრამ ბაგრატ მეფეს მთავარი საფიქრალ-საზრუნავი მაინც თურმე ტფილისი ყოფილა, — ტფილისის დახსნა აგერ ოთხასწლოვანი ტყვეობიდან.

მაგრამ ტფილისის ამირა ჯაფარ ალის ძე აკი მისი მოკავშირე იყო ფადლონთან ბრძოლაში. ჯაფარმა, ტომით არაბმა, ქართველის საკეთილ-

დღეოდ თვისტომი გაიმეტა და ახლა ბაგრატს სიკეთე მტრობით როგორ უნდა გადაეხადა და გუშინდელი მოკეთის წასახდენად დღეს მახვილი როგორ ამოეწვადა?

მაშინ საკუთარი ხელის გაუსვრელად და სამოკავშირეო სიტყვის გატეხლად განიზრახა ბაგრატ მეფემ ტფილისის დაუფლება. და იხმო მან ლიპარიტ ბაღვაში და იოანე აბაზასძე. იხმო და განაზრახა: იქნებ ისე მოაბერხოთ, ჯაფარ ამირა ტფილისს განაშოროთ და ხმაც ისე დააგდოთ, თითქოს მე ამ განზრახვისა არაფერიც არა მცოდნოდესო.

ბაღვაშმა და აბაზასძემ მეფის ნაბრძანები იტვირთეს და აღსრულებასაც შეუდგნენ. მუხათგვერდს მივიდნენ მცირე ამალით და ტფილისს კაცი გაგზავნეს ჯაფარ ამირასთან. მოსალაპარაკებელი რამ გვაქვს, მოდი და მოვილაპარაკოთო, — შეუთვალეს.

ჯაფარმა ღალატის გეში ვერ აიღო და გულდანდობილად შეხვდა მაწვევრებს.

და ის იყო, საგანგებოდ გამართულ კარავში ფეხი შედგა, რომ ლიპარიტ ბაღვაშის ნიშანზე ჩასაფრებული ქართველები ჯაფარს წაესიენ, მიწას გააკრეს და ხელ-ფეხიც შეუკრეს.

მაშინვე ქართველთა ჯარი ბირთვისის ციხეში შევიდა (1032 წ.).

ბაღვაშისა და აბაზასძის ეს გამარჯვება დანარჩენ დიდებულებს გულზე ეკლად დაესოთ, და შეუჩდნენ ბაგრატ მეფეს: საკადრისი არ არის ეგზომ მუხანათური გზით შენივე მოკავშირისა და მოკეთის გამეტებაო; ან ვის დააჯერებ, რომ ბაღვაშმა და აბაზასძემ ეს უკადრისი საქციელი შენის ბრძანების გარეშე გაბედესო; ამიტომ, სანამ უარესი არ მომხდარა, ამირა გაათავისუფლე და ისევ ტფილისში გაუშვიო.

ეს რჩევაც იყო, თხოვნაც და მოთხოვნაც.

და ბაგრატ მეფემ ბაღვაშისა და აბაზისძის მოქცევა თვითნებობად გამოაცხადა, ჯაფარ ალის ძეს ბორკილები აჰყარა და ტფილისს გაუშვა, ისევ ამირად, ისევ ტფილისის ბატონ-პატრონად.

საქართველო კვლავ უტფილისოდ რჩებოდა.

მაინც მოგებად ესლა იყო, რომ ბირთვისის ციხე, ტფილისის ერთერთი მძლავრი გარე-ბურჯი, ქართველთა ხელში დარჩა.

მალე ბაგრატი დარწმუნდა, რომ მოშურნე და თავპატივა დიდებულებმა შეაცდინეს და ამირა ხელიდან გააშვებინეს.

მეფე ნანობდა, სინანული კი ხუთ წელიწადს გაგრძელდა და, აი, ჩვიდმეტი წლის მეფემ გადაწყვიტა, კვლავ ეცადა ბედი ტფილისის დაუფლებისთვის.

და ისევ უბრძანა საომარი სამზადისი ლიპარიტ კლდეკარის ერისთავს. ლიპარიტიც მოვიდა კლდეკარის ლაშქრით.

იმერეთიდანაც აღიძრა მხედრობა.

კახეთიდანაც იხმო ჯარები ბაგრატ მეფემ.

კახეთში მაშინ მეფედ იყო გაგი, კვირიკეს დისწული. თვითონ კვირიკე უკვე ცოცხალთა შორის აღარ იყო (ცოტა ადრე, ფადლონ განძელის განადგურების შემდეგ, კვირიკეს პირისპირ შერკინებაში მოუკლავს ოვსთა მეფე ურდურე, ბაგრატ მეფის სიმამრი; სამაგიეროდ, რომელიღაც „ოვს მონას“ ნადირობის დროს ზურგიდან მიპარვით მოუკლავს მეფე კვირიკე).

და ბაგრატის მოწოდებაზე, გაგიმაც გამოიყვანა კახთა და ჰერთა ლაშქარი.

და, 1037 წელს, ქართველები მიადგნენ ქართულ სატახტოს საქართველოში გამოსახსნელად (!).

მტკვრის მარჯვენა მხრიდან კლდეკარისა და იმერეთის ჯარები შეწოადგნენ ტფილისს, ისნის მხრიდან კი — კახეთ-ჰერეთის მხედრობა.

ალყა გაგრძელდა ორ წელიწადს.

იმერლებმა და კლდეკარელებმა ზედიზედ აიღეს ორბეთის და ფარცხისის ციხენი. ტფილისი გარეციხეთაგან გაშიშვლდა. სალტე მის გარშემო კვლავ უფრორე შეიწროვდა და შემტკიცდა.

ქალაქში ერთი ლიტრა ვირის ხორცი ხუთასი დრაჰკანი ღირდა.

ამირა ჯაფარ ალის ძეს უკვე გაემზადებინა ნავები და ტივები; იდუმალ მტკვარს უნდა გაჰყოლოდა და განძას მისულიყო ფადლონ ამირასთან თავშესაფარებლად.

წუთიწუთ ქართული სატახტო ქართველებს უნდა ჩაჰბარებოდა.

და კვლავაც უბედობა ქართველთა: მაინცდამაინც მას ჟამსა საქართველოში სამხრეთიდან მოიჭრა ცნობა ახალ მრისხანე დამპყრობელთა შემოსევებისა.

●

მათი სახელი — თ უ რ ქ-ს ე ლ ჩ უ კ ი ა ნ ნ ი.

თურქ-ოგუზნი, ანუ თურქმანნი, ადრე კასპიის ზღვის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ, უმკვიდრო, მოხეტიალე, ქოჩად მავალი მომთაბარე-მესაქონლე ცხოვრებით. მთელ სიცოცხლეს უსახლკაროდ ატარებდნენ, ოდენ ცხენზე ამხედრებულნი, აღმადაღმა აგორებულ ჩარდახებსა და ალაჩოყებში შეხიზნულნი.

სოფელი არ ჰქონდათ და ქალაქი, მტრის შემოსევისა და დანგრევის რომ შეშინებოდათ.

იყვნენ საუკეთესო მხედრები და თავზეხელაღებული მეომრები.

და აღმოსავლურ მსოფლიოს მაშინ დაეძგერნენ, როცა არაბთა ხალიფატი დაძაბუნებულიყო და დაშლილიყო.

დაიწყო მეათე საუკუნის მიწურულს, მათმა ბელადმა, რომელსაც სახელად ერქვა ს ე ლ ჩ უ კ ი.

თითქოს, დაწყებულა — არც მეტი, არც ნაკლები... შარდვით!!

დიახ, სელჩუკს სიზმარი უნახავს: ცეცხლში აფსამდა და მისგან ავარდნილი ნაფსამ-ნაცეცხლარი ნაპერწკლებით და ნაღვერდალით ირგვლივ ქვეყანა იფარებოდა. ასეთი ძილისშორისი კი მკითხავებმა მთელს ქვეყანაზე სელჩუკის თესლისა და მოდგმის გავრცელებად და განსახლებად იწინასწარმეტყველეს.

და დაიწყო სელჩუკმა. ჯერ, თავისი „ნაშარდალი“ მხედრობით, სპარსეთი დაიპყრო და აქ თავისი სახელმწიფოც დააარსა. მერე, აქედანვე გაგრძელდა მისი მოდგმისა და ჯიშის — თურქ-სელჩუკიანთა გავრცელება და განტბორვა ქვეყანასა ზედა.

მიიღეს მაჰმადის რჯული, დიდ სპარსულ და არაბულ კულტურასაც გემო გაუსინჯეს და „გასინჯვა“ იკმარეს.

მთავარ საზრუნავად და არსებობის არსად ომი, დაპყრობა, ძარცვა-რბევა, აოხრება-აწიოკება და მცოცავი მომთაბარული მეურნეობის განვრცობა გაიხადეს.

და იმ წელს, რა წელსაც ბაგრატ მეფე ტფილისს ალყად შემოსდგომოდა, თურქთა სულთანი გამხდარიყო შვილისშვილი სელჩუკისა — თ ო ღ რ უ ლ-ბ ე გ.

ძლიერი პიროვნება ყოფილა თოღრული, ძლიერი მორწმუნე. ყოველდღე უნაკლულოდ აღასრულებდა ყურანის ხუთსავე ლოცვას. კვირაში ორ დღეს მარხულობდა. ყოველ ქალაქში და დაბაში მეჩეთს აშენებდა თავის ფეხთაზე.

და დაძრულა თოღრულ-ბეგი, დაძრულა, ხორასანი დაუპყრია ერთის ამოხვნეშით, მერე ისევ ირანი გადმოუთქერავს და სომხეთში შემოჭრილა ცეცხლით და რკინით.

სადაც იყო, საქართველოსაც უნდა მოსწყდომოდნენ „ნაშარდალნი“ სელჩუკიანთა.

და ქართველ დიდებულებსაც დიდი შრომა ღარ დასჭირვებიათ, რომ ბაგრატ მეფე ჯაფარ ამირასთან დაზავებაზე დაეყოლიებინათ (1039 წ.).

მაშ, ჯაფარ ალის ძე ისევ დარჩა ტფილისის ამირად.

მაშ, თითქმის გამოხსნილი სატახტო ქალაქი ისევ არაბებს შეატოვა ხელში ბაგრატ მეფემ.

და უველაზე უარესი კიდევ ის აღმოჩნდა, რომ მეფემ ზავი ამირასთან ლიპარიტ ბაღვაშის დაუკითხავად შეკრა.

იტკიცა ეს გულზავიანმა ერისთავთერისთავმა და „მიერითგან შეიქმნა ლიპარიტ ქუეგამხედვარად თავისა პატრონისაგან“.

მაშ, კვლავ სიახლით იდგამდა ფეხს შინამტრობა (რაიც საქართველოს არასდროს არ გაჰკვირვებია!).

თურქ-სელჩუკები კი ამჯერად საქართველოსკენ არ წამოსულან და ბაგრატ მეოთხემ მამამისის, გიორგი პირველის დროს განდგომილი კახეთ-ჰერეთის შემოერთება გადაწყვიტა.

მან წინასწარ გადმოიბირა კვირიკე მეფის სიძე, დიდ ქმარი, ა შ ო ტ მ ა რ ი ლ ე ლ ი და ხ ა ხ ვ ი ლ ა ჯ ვ ა რ ი ს ც ი ხ ე ლ ი. მას შემდეგ საომრად შეუხდა კახეთს, მიქელ-გაბრიელის მთასთან გამართულ ბრძოლაში დაამარცხა მეფე გაგი და ტყვედ წამოიყვანა საში ერისთავი — ს ტ ე ფ ა ნ ო ზ ვ ა რ ჯ ა ნ ი ს ძ ე პ ა ნ კ ი ს ე ლ ი, ვ ა ჩ ე გ უ რ გ ე ნ ი ს ძ ე ხ ო რ ნ ა ბ უ ჯ ე ლ ი და ჯ ე დ ი შ ტ ო რ ე ლ ი.

იქიდან თიანეთს გაუდგიდა ბაგრატ მეფე და დაწვა კვირიკე მეფის დიდებული სასახლე ბოდოჯისა.

კახეთის შემოერთების საქმე თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ ლიპარიტ კლდეკარის ერისთავის გამოსვლის ამბავი შეატყობინეს ბაგრატს.

ბაგრატზე გადამტერებულ ერისთავთერისთავს ბიზანტიიდან იქ გადახვეწილი დემეტრე გიორგის ძე ჩამოუყვანია ბიზანტიური ლეგიონებით, და სხვა დიდაზნაურებიც მიმხრობიან მეფის ნახევარ-ძმას, საქართველოს ტახტის „კანონიერ“ მაძიებელს. ბიზანტიელები უკვე შემოსეულან ქართლს და მოსდგომიან ატენს.

კახელებიც შეუერთდნენ აჯანყებულ ლიპარიტ ლიპარიტის ძეს და მისგან ანარჩენ „ხვალინდელ მეფეს“.

ატენის კედლებთან მძიმე ბრძოლა გახურდა.

აქ კიდევ ორმა ერისთავმა უღალატა ბაგრატ მეფეს — ფ ა რ ს მ ა ნ თ მ ო გ ვ ე ლ მ ა და ბ ე შ ქ ე ნ ჯ ა ყ ე ლ მ ა თ უ ხ ა რ ი ს ე ლ მ ა.

მაგრამ მაინც მტკიცედ იდგნენ და თავგამოდებით ერთგულობდნენ ბაგრატ მეფეს ატენის დამცველნი. ბიზანტიელები ვერაფერს გახდნენ და, ნაადრევი ზამთრის მომიზეზებით, კონსტანტინოპოლისკენ გაბრუნდნენ.

დემეტრე გიორგის ძეც — ნაშობი ოვსის ქალისა — თან გაჰყვა უკუქცეულ ბიზანტიელებს.

ლიპარიტ ბალვაში ფრიად შეაფიქრიანა მოკავშირეთა წამოსვლამ და დემეტრეს გაქცევამ.

და ითხოვა შერიგება ბაგრატ მეფესთან.

ბაგრატმა შეირიგა და კლდეკარის ერისთავადაც დატოვა იგი, მაგრამ სამაგიეროდ ერთი ძე, ი ვ ა ნ ე, მძევლად ჩამოართვა მეფემ ლიპარიტს.

იმავე 1045 წელს, ბიზანტიის ახალმა იმპერატორ-კეისარმა, კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე IX მ ო ნ ო მ ა ხ ო ს მ ა კონსტანტინოპოლს მიიტყუა და დაატყვევა სომხეთის ახალგაზრდა მეფე გ ა გ ი კ III. ანისის წმიდა მამებმა და ბერებმა, სომხეთის დედაქალაქის იმჟამინდელმა მესვეურებმა, ანისი მფარველობისთვის ქუთათისის სასახლეს შეავედრეს. ბაგრატმაც

ანისში ქართული ციხიონი ჩააყენა, ა ბ უ ს ე რ არტანუჯის ერისთავის მეთაურობით.

1046 წელს, გაზაფხულზე, ბაგრატ მეფე აფხაზეთს გადავიდა და მიადგა ქალაქ ანაკოფიას, რომელიც ადრე მისმა მეტოქე ნახევარ-ძმამ, დემეტრემ, ბიზანტიელებს მისცა და მიუბედნიერა.

ის იყო, მეფემ ანაკოფია უკვე „მისწურა წასაღებად“, რომ ტფილისიდან იქაური ბერები ეწვივნენ, ამირა ჯაფარ ალის ძის სიკვდილი აუწყეს და სასწრაფოდ ტფილისის დაბერა შესთხოვეს.

ბაგრატმა ანაკოფიის აღება ერთგულ სარდალს, ო თ ა ღ ო ჭ ა ჭ ა ს ძ ე ქ ვ ა ბ უ ლ ე ლ ს მიანდო, თვითონ სასწრაფოდ ქუთათისს გაჩნდა და ახალი ლაშქარი შეჰკიყარა.

ქუთათისში კვლავ ეწვივნენ ტფილისელი ქრისტიანები და კვლავ აწვიეს ხელმწიფე ტფილისს.

ისიც გაეშურა სასწრაფოდ.

დიღმის ველზე გამოეგება ხალხი ბაგრატ მეფეს.

მოედინებოდა დიდი და პატარა, ქალი და კაცი, „ერი ყოველი“, დიდებულნი და მდაბიონი, დარბაზის ერნი და ბერ-ფიჩორისანნი, „და იყო ხმა ბუკთა და დუმბულთა ორკერძოვე საშინელი, რომლისა ხმითა იძვროდა ქუეყანა; და იყო სიხარული ორკერძოვე გასაკვირველი“.

ფიანდაზად ნაფენი გზით მიიყვანეს ბაგრატ მეფე ტფილისის კარიბჭესთან.

და მოართვეს კლიტენი ქალაქისანი.

და შევიდა საქართველოს სატახტოში ქართველი მეფე.

და შებრძანდა სასახლეში, სადაც ოთხასი წელიწადი ისხდნენ მუსლიმი დამპყრობელნი.

ტფილისის ციხის ყოველი კოშკი და გოდოლი პირადად ჩაიბარა და შიგ თავისი ციხიონები შეაყენა მეფემ.

მხოლოდ ისანი გაუძალიანდა ფრიად.

ხიდი ჩაანგრიეს მტკვარზე ისნელებმა.

ბაგრატმა საიერიშო ტარანნი და ფილაკავანნი მიაყენა ისანს და ისრის მერეხი დაუშინა, ვითარცა მეხის წიწილა.

ბრძოლა გაჭიანურდა.

მაშინ ისნის ველზე ბაგრატ მეფეს ეწვია და ეთაყვანა კახეთის ბატონი გაგი, გოდერძის ერისთავთერისთავისა და კახელთა ბრწყინვალე არისტოკრატიის თანხლებით.

მაშ, ბაგრატმა კახელებთან მტრობა თავიდან მოიშორა, მაგრამ ზაფხულის მიწურულს, ისანზე იერიშების დროს, მაინც მოხდა ის, რაის ფიქრიც ვანუშორებლად აწამებდა მეფის გონებას.

თურმე ისევ ამბედრებულა ლიპარიტ ერისთავთერისთავი, ანისს მისულა ქვეშამხედვარად, ვითომ სათათბიროდ მიუწვევია ბაგრატისგან იქ

დადგენილი აბუსერ არტანუჯელი და მასთან სხვა დიდგვაროვანი წარჩინებულნი — ივანე ერისთავი, ივანე დადიანი, ბეჭის-ციხის პატრონი გვარამ გოდერძის ძე — და ყველანი ტყვედ აუყვანია მუხანათური დაცემით.

ქართველთა ამჯერადი ურთიერთმტრობით კი, უსარგებლია სომეხთა კათალიკოსს, პეტროსს, და ანისი ბიზანტიისთვის მიუყიდნია.

საშინლად გულშეძრულმა ბაგრატ მეფემ ისანსაც თავი მიანება, სრულიად ტფილისიც მიატოვა და თავისი მხედრობით სასწრაფოდ ჯავახეთისკენ წარემართა.

ისევ უტფილისოდ დარჩენილიყო საქართველო.

ღალატი ჰყვაოდა საქართველოში.

ღალატი ბარტყობდა ღალატის საბარტყეში.

ეღალატებოდათ და ღალატობდნენ, ისე ვითარცა — ემღერებოდათ და მღეროდნენ, ეცინებოდათ და იცინოდნენ, ეტირებოდათ და ტიროდნენ, ეშურებოდათ და ჰშუროობდნენ, ეხარბებოდათ და ხარბობდნენ...

ყველაზე გამორჩევით ღალატის სინდრომი მძლავრობდა კლდეკარს, ბაღვაშთა ოჯახში.

ახლაც, ამ „კლდეკარულმა სინდრომმა“ დააკარგვინა საქართველოს ტფილისი — კლდეკარელ ბაღვაშთა მუდმივმა ღალატმა დააკარგვინა.

და მიდიოდა ჯავახეთის გზით ბაგრატ მეფე, თავის მხედრობით, ბოღმით ყელდაჩიხული.

ღრტილას დაიბანაკა მეფემ.

აქ მაწყვერელმა მესხთა ლაშქარი აახლა.

და მაშინ ლიპარიტიც გამოჩნდა თავის მხედრობით.

ლიპარიტი გამოჩნდაო?!

მაშინვე მაწყვერელმა მესხთა ჯარით მიატოვა მეფის ბანაკი და ისიც კლდეკარის ერისთავს შეუერთდა.

ლიპარიტს კახელები და სომხები მოჰყვებოდნენ მაშველ ძალებად.

საომარი დღეც მოინიშნა, მაგრამ წინა ღამით ცამ ნაქდერევი თოვლი ჩამოჰყარა, თოვლს საშინელი ქარბუქიც მოჰყვა და ძმათაშორისი სისხლისღვრა აღარ შედგა.

მეფე გამოსაზამთრებლად შიდა ქართლს შევიდა.

ლიპარიტი კლდეკარს შებრუნდა.

დადგა ახალი წელი — 1047. მოიწია არე გაზაფხულისა.

ლიპარიტ ბაღვაშს კვლავ გამოეხმო ბიზანტიიდან დემეტრე გიორგის ძე, რომელსაც დიდძალი მხედრობა და დიდძალი განძეულიც ჩამოჰყოლოდა თან.

დედაც მოსდევდა დემეტრეს, ალდე, ახალშობილი ვაჟიშვილიც, სახელად დავით, რომლის დედაც ამის მშობიარობას გადაჰყოლოდა...

ისევ შეერთებოდნენ კახელები და სომხები ლიპარიტს.

ქართველი დიდებულებიც ორად გათიშულიყვნენ: ერთნი მეფეს მხარს უდგნენ და ჯერჯერობით ღალატს არ უპირებდნენ; მეორენი კლდეკარის ერისთავსა და ტახტისმაძიებელ უფლისწულს შერთოდნენ.

ისევ აჯობა ცბიერებით ქვეშევრდომმა თავის მეუფეს. რაკი ლიპარიტის მცირეწლოვანი ძე, ივანე, მეფეს მძევლად ჰყავდა, წინასწარ მოლაპარაკებით და შეთანხმებით, ლიპარიტმა მისგან დატყვევებული აბუსერ ერისთავი ბაგრატს გაუგზავნა და მის სანაცვლოდ შვილი მძევლობიდან გამოიხსნა.

ისე გამოდიოდა, ჯერჯერობით მეფე ქვეშევრდომის ნებასურვილს მისდევდა, გაუსჯელად და უანგარიშოდ.

ბრძოლის დღეც ჩამოდგა.

და ვიდრე დაიწყებოდა, სრულიად მოულოდნელად მოკვდა უფლისწული დემეტრე გიორგის ძე.

ამან ბრძოლა მაინც ვერ შეაყენა და იგი მოხდა, „თავსა სასირეთის ჭალისასა“.

და ბაგრატ მეფის ბანაკი დამარცხდა.

მეფის ბევრი თანამებრძოლი ტყვედ წაიყვანა გამარჯვებულმა კლდეკარელმა, მათ შორის ისევ აბუსერ ერისთავი.

ბაგრატი დანარჩენ ქვეშევრდომთა განდგომასაც დაუშინდა და ლიპარიტთან კვლავ შერიგება ამჯობინა. ამისთვის იგი, ცხენოსანთა მცირე რაზმით, გაეშურა ხოვლეს, სადაც მაშინ იდგა ლიპარიტი.

მაგრამ გამარჯვებით გაკადნიერებულმა ერისთავმა მეფესთან არც შერიგება ისურვა და არც შეხვედრა. მაშინვე ცხენს მოახტა და თავისი კლდეკარისაკენ გაქუსლა.

ბაგრატსაც ისღა დარჩენოდა, ასე გაწბილებული ქუთათისს გაბრუნებულიყო.

იმავე 1047 წელს სულა კალმახის ერისთავმა, გრიგოლ აბუსერის ძე არტანუჯის ერისთავმა და სხვა მესხმა აზნაურებმა მეფე ისევ შეაგულიანეს და ლიპარიტის წინააღმდეგ ხელახლა აალებინეს ხელში მახვილი.

ბაგრატი ქუთათისიდან წარემართა, რკინისჯვარი გაიარა და ერთგულ აზნაურებს არყის ციხესთან შეხვდა.

მაგრამ აქედანაც რა გამოვიდა!

ლიპარიტ ბაღვაშს წინასწარ ყოველივე კარგად სცოდნოდა მოწინააღმდეგეთა განაზრახისა.

და უგრძნეულად დაეცა იგი არყის ციხეს.

დაეცა და ისევ მოიგო ბრძოლა კლდეკარის ერისთავმა

მოიგო და ბევრი ტყვეც წაიყვანა, მათ შორის ორივე ერისთავი — სულა კალმახელი და გრიგოლ არტანუჯელი.

სულას ლიპარიტმა კალმახის საერისთავოს წართმევა დაუპირა, მაგ-

რამ ვერც თხოვნით, ვერც მუქარით და ვერც ტანჯვით თანხმობა ვერ დააცდენინა.

სამაგიეროდ გრიგოლ არტანუჯელი აღმოჩნდა სულმოკლე: სიკვდილის მუქარით დაშინებულმა დათმო არტანუჯი.

კლავ მაღლა და მაღლა მიიწევდა ლიპარიტ ბაღვაში.

ბიზანტიის სასახლის კარი ზურგს უმაგრებდა, კეისარი თავის მოკავშირედ და მეგობრად თვლიდა.

(თითქოს ბაგრატ მეფე აღარ არსებობდა ამ ქვეყანაზე).

იმავე 1047 წელს ლიპარიტმა, კეისრის საამებლად, ლვინი დალაშქრა, მეზობელი სომხები ააწიოკა და თანამემამულეთა სისხლის დაქცევასაც არ დაერიდა.

1048 წელს თურქ-სელჩუკთა სარდალი იბრაჰიმ ინალი წამოვიდა დიდძალი მხედრობით ბიზანტიის სამფლობელოთა დასალაშქრავად. კეისარმა მონომახოსმაც დაახვედრა ლეგიონები, კეცკამენის სარდლობით.

მაშინვე, ფიცხლავ, ლიპარიტ ბაღვაშიც აწვია ლაშქრად იმპერატორმა.

(თითქოს, ბაგრატ მეფე აღარც ყოფილიყოს ამ ქვეყნად!).

სასწრაფოდ შეუერთდა კლდეკარის ერისთავი თავის მხედრობით ბიზანტიელებს.

(თითქოს, კლდეკარს იქით საკითხავი და სანებართვოც არავისთან არა ჰქონოდეს რა კლდეკარული სინდრომის ნაჩეკს!).

ბრძოლა მოხდა ხადღაც, ბასიანს სამხრეთით, რომელიღაც „არჩოვითის მინდორზე", „გაბუთრუს ციხესთან".

ბიზანტიელთა მთავარსარდალმა, კევკამენმა, ლიპარიტი მისი ქართველებით ფრონტის შუაკერძზე ჩააყენა, ყველაზე სქლად ჩაკოროზმებულ სელჩუკთა პირისპირ.

ბრძოლის დაწყებისთანავე გააოცეს შემმართებლობით ქართველებმა სელჩუკებიც და ბიზანტიელებიც (აკი ასე სჩვევიათ — უცხოელებისთვის თავგანწირვით და თავგადაკვდომით სწორედ უცხოელები რომ გააოცონ!).

მთავარი გმირი, ანუ გმირთა გმირი თვითონ იყო ლიპარიტ ლიპარიტის ძე ბაღვაში.

მაშინ აღივსნენ შურით თვითონ კევკამენი და მისი ბერძენი თანასარდალნი და უეცრად ბრძოლიდან უკუიქცნენ თავისი ლეგიონებით.

ქართველები მარტო შერჩნენ ურდოსთან ბრძოლას.

უცებ, ვიღაც ქართველმა (ქართველმა-მეთქი!) ხმლით უკანა ფეხები ჩაუკაფა ლიპარიტის ცხენს.

დაეცა ლიპარიტი.

ჯგროდ წაესივნენ სელჩუკნი, აღტაცებული ბღავილით შეიპყრეს.

ბორკილები გაუყარეს და ხვარაზნის გზას გაუყენეს, დიდი სულთანის, თოღრულ-ბეგის ძვირფას საჩუქრად და გულგასახარად.

ბაგრატ მეფესაც ლიპარიტ ბალვაშის ტყვეობით დიდი სიხარული ეწვია. განდგომილი აზნაურები, სანამ გვიან არ არისო — სასწრაფოდ ისევ მეფესთან ყმობასა და მორჩილებას შემოუბრუნდნენ.

დაასწრეს და მეფის მფარველობა ითხოვეს თვითონ ლიპარიტის ვაჟებმა, ივანემ და ნიანიამ, რომლებიც მაშინ უფლისციხეში მდგარიყვნენ.

ბაგრატმა უფლისციხე აიღო, ივანე გაათავისუფლა, ხოლო ნიანია მძევლად დაიინარჩუნა.

თურქ-სელჩუკთა მოწოლა კი არ წყდებოდა. 1049 წელს კეისარმა კონსტანტინე მონომახოსმა აღმოსავლეთში ახალი ლეგიონები გამოგზავნა თურქთა ახალი იერიშების უკუსაგდებად.

ახლა კი, როცა ბალვაში აღარ იყო, ბიზანტიის კეისარმა თანადგომა ბაგრატ მეფეს სთხოვა.

მეფემ წყენა აღარ გაიხსენა და ჯარებიც შემოიყარა ბიზანტიელთა მისაშველებლად.

ბიზანტიელთა და ქართველთა ერთიანმა მხედრობამ ბეწვზე მიუსწრო თურქთა ალყისგან ძალადაშრეტილ და დაცემის პირზე მიმდგარ განძას.

თურქ-სელჩუკნი ამჯერად უკუიქცნენ.

იმავე წელს ისევ მიიწვიეს ტფილისელებმა ბაგრატ მეფე ქალაქის დასაკავებლად.

ისევ შევიდა ქართველი ხელმწიფე საოცნებო სატახტოში.

„და იყო სიხარული და მშვიდობა „დიდი“.

მაგრამ უდღეური აღმოჩნდა „სიხარული ესე“ და „მშვიდობა ესე“. ლიპარიტი გამოჩნდა ისევ!

მისი დატყვევებიდან სამი წლის შემდეგ გამოჩნდა.

იქ, უცხო და შორეულ ტყვეობაშიც დიდი სახელი დაეგდო კლდეკარული სინდრომით ნაჩეკს.

ქართველი იყო და მისი დაუშრეტელი ქართული ენერგიაც, როგორც „ქართული წესი“, უცხოობაში „სახელის დასაგდებად“ წარმატებით იხარჯებოდა.

თუნდაც, ეგ არაფერი, რომ ერთხელ, თვითონ სულთანის ბრძანებით მთელი სასულთნოს ჭიდაობის „ჩემპიონს“ დაეჭიდა, მიწაზე დაანარცხა და სულიც გააცხებინა. მარტო ეს გმირობა არ უნდა ყოფილიყო საკმარისი მისი ტყვეობიდან თავის დაღწევისა.

იგი თვითონ ბიზანტიის კეისარმა, კონსტანტინე მონომახოსმა გამოიხსნა ტყვეობიდან, 1051 წელს.

— წადი, ვაჟკაცო, ოღონდ გახსოვდეს, აღარასოდეს თურქთან საომ-

რად იარაღს ხელი აღარ მოჰკიდო, — ეს დაებარებინა მისთვის სულთან თოღრულ-ბეგს გამომშვიდობებისას...

ის იყო ანისს მოატანა ლიპარიტმა, რომ ბაგრატ მეფე ტფილისიდან სასწრაფოდ გავიდა, ქართლის გზა გაიარა და ჯავახეთს დადგა.

დადგა და დაელოდა თავის ქვეშევრდომს მეფე.

ქვეშევრდომი კი მეფესთან არ გამოცხადდა. იგი პირდაპირ კონსტანტინოპოლს ჩავიდა, კეისარ კონსტანტინე მონომახოსს ეახლა, ტყვეობიდან გამოხსნისათვის მუხლები დაუკოცნა და, ბოლოს, ახალი საომარი ძალები გამოსთხოვა ბაგრატ მეფის დასაკნინებლად და დასამცირებლად.

დიდი საფრთხე შეექმნა ბაგრატ მეოთხის გვირგვინოსნობას. ნახევარი საქართველო წაერთმია მისთვის ლიპარიტ ბაღვაშს. თითქოს აღარაცითარი საშველი აღარ უჩანდა მეფეს.

ამიტომ გადაწყვიტა ბაგრატმა, თვითონაც შესდგომოდა კონსტანტინოპოლის გზას და პირადად სწვეოდა კეისარს. ჩავიდა კიდეც ტრაპეზუნდს და იქედან შეუთვალა კონსტანტინე მონომახოსს, შენთან შეხვედრა მწადიაო.

მობრძანდითო, — მაშინვე მიიღო პასუხი.

აემზადა წასასვლელად ბაგრატ მეფე. ქუთათისს, ტახტზე, მცირეწლოვანი ძე დატოვა — გიორგი უფლისწული. პატრონად და მზრუნველად ცოლი, დედოფალი ბორენა და უფროსი ასული გურანდუხტი დაუყენა. ხოლო, დედა, დედოფალი მარიამი და უმცროსი ასული მართა, მათთან ბრწყინვალე ამალაც — ყველანი იახლა და, 1054 წელს, კონსტანტინოპოლს გაემგზავრა.

კეისარი და მისი საიმპერატორო კარი დიდის ამბით შეხვდა ქართველ სტუმრებს, — იმპერატორ-კეისარ-ავგუსტუსი კონსტანტინე IX მონომახოსი და დედოფალი-ავგუსტა ზოია ძოწითშობილი.

სხვათა შორის, კონსტანტინე ზოიას მეოთხე ქმარი იყო — ქმარი, თორემ მანამდე იგი კუროპალატის ჰყავდა, ერთ-ერთ „რიგით კუროპალატად". პირველი ქმარი, რომანოს III არგიროსი (მამამისმა რომ შერთო) ზოიამ აბაზანაში ჩაახრჩობინა თავის პასენიკ-მსახურებს (1034 წ). და ახალ ქმრად და კეისარ-იმპერატორად დაისვა აწ დამხრჩვალი კეისრის ფეხისმფხანელი, მიხეილ IV. შვიდ წელიწადში ზოიამ ესეც მოინელა (1041 წ.) და მესამე ქმრად და კეისრად „მოიტახტიანა" მიხეილ V „კალაფატოსი" („დამგმანელი", „დამჩურთველი" — ადრე რომ ზღვის პირას ნავების ჭუჭრუტანებს გმანავდა და თავსაც ამით ირჩენდა). ერთ წელიწადში ზოიამ ესეც მოინელა — თვალები დათხარა და გააგდო, და მეოთხედ, უკვე 64 წლის ქალმა, საყვარლობიდან ქმრად და კეისრად „დააწინაურა" კონსტანტინე IX მონომახოსი.

ამ „გარდარეული ქალის" ეს მეოთხე არჩევანი სწორედ ღირსეული გამოდგა. კეისარი კონსტანტინე IX მონომახოსი (1042—1055) იყო გვა-

რით წარჩინებული, ძალიან ლამაზი და მოხდენილი, ენამჭევრი და გონგამჭრიახი, შესანიშნავი მხედარი, მორბენალი და მოკრივე, „მსგავსი აქილევსისა“; სწავლა-განათლების, მწიგნობრობის და ხელოვნების მოყვარული, პატივისმცემელი და მფარველი. მისი ბრძანებით ისევ გაცოცხლდა და აღზევდა უნივერსიტეტი მაგნავრის სასახლეში. დაარსდა ორი ახალი ფაკულტეტი — იურიდიული და ფილოსოფიური. ფილოსოფიის ფაკულტეტის მეთაურად, ანუ „ფილოსოფიის პიპატოსად“ იმპერატორმა დანიშნა მიქელ პსელლოსი — სახელგანთქმული ფილოსოფოსი, მწერალი, ქრონოგრაფოსი, რიტორი, გრამატიკოსი და მათემატიკოსი. იურიდიული ფაკულტეტის „ნომოფილაქსად“ კი, კონსტანტინემ დანიშნა ასევე დიდი სწავლული — იოანე ქსიფილინოსი.

და აი, ასეთი „იშვიათი იმპერატორი“ იყო მფარველი ლიპარიტ ბაღვაშისა და მაშასადამე — მომტერე ბაგრატ მეფისა.

ახლა კი კონსტანტინოპოლის საღვთო კონსისტორიონში, ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ ბიზანტიის და საქართველოს გვირგვინოსნები.

და საყვედურს ეუბნებოდა ბაგრატი კონსტანტინეს: ამოდენა ხელმწიფე ბრძანდები, ჩემთან, ასევე ხელმწიფესთან სიახლოვე არ ინებე და ცილაც კერძო კაცი და ჩემივე მონა დაიახლოვეო.

ეს ცოტა მკაცრად ნათქვამი „გამოუვიდა“ და მაშინვე დასძინა ბაგრატმა: კარგი იქნება, თუ მე და ლიპარიტს შეგვარიგებო.

და შეარიგა კონსტანტინე მონომახოსმა, შეარიგა და დააზავა მეფე და მისი ქვეშევრდომი: ლიპარიტს ბაგრატის მეფობა და სიუზერენობა უნდა ეცნო, ხოლო ლიპარიტი მესხეთის მთავრად ცხადდებოდა სიკვდილამდე. ამასთან ბაგრატს უნდა გაეთავისუფლებინა მძევლად აყვანილი ნიანია, უმცროსი ძე ლიპარიტისა.

ასე შეარიგა კეისარმა ქართველები და ისინიც „შერიგდნენ“ და საქართველოში დასაბრუნებლადაც აემზადნენ.

მაგრამ, მოულოდნელად, კეისარმა ლიპარიტ ბაღვაში გამოუშვა, ბაგრატ მეფე კი თავისთან დაიტოვა — ძალიან მიყვარხარ, მომწონხარ და ასე იოლად ვერ შეგელევიო, — „აიკვიატა“ კონსტანტინე მონომახოსმა.

და ჩარჩა ბაგრატ მეოთხე კონსტანტინოპოლს, მთელი სამი წელიწადი, დეკიდ, ასულით, ამალით.

ამ დროის ნაკვეთში ყველაზე მნიშვნელოვანი ამ „ბიზანტიური წვევისა“ მაინც იყო შეხვედრები უდიდეს ქართველ მოღვაწესთან გიორგი ათონელ-მთაწმინდელთან.

●

ჯერ, ბაგრატ მეფის ჩასვლამდეც სწვეოდა გიორგი ათონელი კეისარ კონსტანტინე მონომახოსს. კეისარსაც ქართველი მოძღვარი მიეღო დი-

დის პატივით და თაყვანით, „რამეთუ დიდი სარწმუნოებაჲ აქვნდა მის მიმართ“, და უკითხავს, ვითარმედ: „რაჲსთვის მოშვრა სიწმიდე შენი, კაცო ღმრთისაო, ჩვენისა მომართ ხელმწიფებისა?“

და უთქვამს გიორგის, ვითარმედ: „გიხაროდენ ქრისტეს მიერ, ჰოი ბრწყინვალეო თვითმპყრობელთ შორის! გიბრძანებს ჩემ მიერ გლახაკისა ყოვლად წმიდაჲ იგი სასოჲ და შესაფევრებელი ღმრთისმსახურებისა შენისაჲ წმიდაჲ ღმრთისმშობელი, რათა მარადის სადიდებელი ტაძარი მისი არა განირყვნას წყალთაგან, რომელი ჩამოდის ზედა უბურაობითა მონასტერსა ჩვენსა. აწ ბრძანენ მეფობამან შენმან მოცემად ტყვევი, რომლისა მიერ დაიბუროს წმიდაჲ ეკლესიაჲ რათა მას შინა ელოცვებოდის მეფობასა შენსა“.

მაშინვე „სიხარულით აღასრულა“ იმპერატორმა გიორგის სათხოვარი — საზღვაო უწყებას უბრძანა, დაუყოვნებლივ გაეცათ ტყვია ქართული ტაძრის დასაბურავად. და ასე — დაჰხურა ახალი სახურავი გიორგიმ ათონის „ივერონს“, და ამას გარდა, „გარეგანი შტოჲ აღაშენა და ესრეთ ყოვლითურთ სრულყო წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ...“

ხოლო, როცა ბიზანტიის სატახტოს ბაგრატ მეფე, დედამისი მარიამი და ასული მართა ეწვივნენ, მაშინ ხელახლა წარემართა გიორგი კონსტანტინოპოლს.

დიდის სიხარულით შეხვდნენ ერთმანეთს საქართველოს მეფე, მისი ამალა და ათონელი წმიდა მოძღვარი. ხელახლა, ერთად შეხვდნენ კეისარ კონსტანტინე მონომახოსს, რომელმაც მაშინ ახალი წყალობა გაიღო ათონის ქართული სამწყსოსა და სათვისტომოსთვის; — ბრძანება გამოსცა ათონის ქართველთა სავანეების პრასტინთა (ნავსადგურთა) გაზრდისა და მათზე დიმოსიის (ხარკი) გაუქმებისა.

ბაგრატ მეფის დედა, მარიამ დედოფალი, გიორგის დაემოწაფა და მისგანვე იცურთხა და შეიმოსა სქემით. აქვე, ერთი ლიტრა ოქრო, რომელიც დედოფალს პირადად კეისრისგან ძღვნად მიეღო, მარიამმა გიორგის გადასცა მთაწმიდის ლავრის შესაწირად.

მაინცდამაინც ბაგრატ მეფე მოიხიბლა გიორგი მთაწმიდელის ღმრთივკურთხეული სიბრძნით და სასწაულმოქმედი ქცევებით და ამბობდა ნატვრით გვირგვინოსანი: უკეთუ მეახლოს საქართველოში და იყოს ჩემთან, „არა მეშინის არცა გრძნებათგან და არცა წამალთა სასიკვდინეთა“.

და ეხვეწებოდა ბაგრატ მეფე გიორგის — ინებე და წამობრძანდი საქართველოში, ჭყონდიდის ეპისკოპოსი აღესრულა და შენ იტვირთე ჭყონდიდელობაო; მრავალი წმიდა მარტვილი განისვენებს ჭყონდიდს, ჩემთვისაც იქ გამიმზადებია საფლავიო; წამოდი და დაემკვიდრე საქართველოშიო. მაგრამ გიორგიმ არ მიიღო მეფის თხოვნა — „ყოვლადვე არა

თავს იდვა, რამეთუ ყოვლითა მოსწრაფებითა გაურბოდა დიდებათა კაცთასა და შფოთსა სოფლისასა და სიმდაბლესა შეიტკბობდა“.

მას ჟამსვე კიდევ მოხდა ერთი, იმ დროისათვის და სამომავლოდაც მეტად მნიშვნელოვანი ამბავი.

მესამე წელი მიდიოდა ბაგრატ მეფის სტუმრობისა ბიზანტიაში და უკვე მომკვდარიყო იმპერატორი კონსტანტინე მონომახოსი. ცოტა ადრე მისი მეუღლე, დედოფალი ზოია ძოწითშობილი მოკვდა. ახლა, როცა ტახტი ორივესგან დაცლილიყო, იმპერიის ერთპიროვნული მბრძანებელი შეიქნა ზოიას უფროსი და, თ ე ო დ ო რ ა, მონაზონყოფილი დედაბერი, სამოცდაათი წლისა.

და შეუჩნდა უშვილძირო დედოფალი ბიზანტიისა ბაგრატ მეფეს და დედამის მარიამს — თქვენი მართა შვილად მომეცითო.

— როგორ მოვიქცეთო, — ჰკითხეს გიორგი ათონელს ბაგრატმა და მარიამმა.

მართას ბედი თვითონ გიკარნახებთ, რომ უნდა დათანხმდეთო, — უპასუხათ გიორგიმ.

და აიყვანა ბიზანტიის დედოფალ-ავგუსტამ ქართველთა მეფის ასული შვილად.

ამ ამბიდან კი არ გასულა ერთი თვეც და მიიცვალა თვითონ თეოდორა დედოფალი.

სახელმწიფო გლოვის დღეებში ჰირისუფალთა შორის იდგნენ ქართველებიც.

ის იყო, კუბო მიცვალებულთა დედოფლის ნეშტით ასწიეს და სასახლიდან გასატანად დასძრეს, რომ მეცვსეულად დარბაზში შემოიყვანეს თეთრად მორთულ-მოკაზმული მართა ბატონიშვილი.

და მეცვსეულადვე ყველას საგლოველი დაავიწყდა: ყველას მზერა ქართველ გოგონას შეჰყინვოდა.

ცითმოვლენილ სულიწმიდას ჰგავდა მართა ბატონიშვილი.

და მაშინვე ცითმოვლენილი ღაღადისივით გაისმა:

„შეხედეთ და უწყოდეთ ყოველმან, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა!“

ეს სიტყვა იყო გიორგი ათონელისა.

და ცხრა წლის შემდეგ აღესრულება კიდეც დიდებული მოძღვრის ეს წინასწარმეტყველება.

ახლა კი, თეოდორას სიკვდილის შემდეგ (1056 წ.), ბიზანტიის სასახლის კარის გავლენიანმა ყვერულებმა საიმპერიო გვირგვინი თავზე დაადგეს და კეისრის წოდება ფეხზე ჩააცვეს ასაკით მიხრწნილსა და გონებით ბეჩარა მ ი ხ ე ი ლ VI ს ტ რ ა ტ ი ო ტ ი კ ო ს ს.

ბაგრატ მეფე კი საქართველოს გზას დაადგა მაშინ.

მართა ბატონიშვილიც თან მიჰყავდა.

ხოლო დედა მეფისა, დედოფალი მარიამ, ანტიოქიის გზას დასდგომოდა, იქაურ ქართულ სავანეთა მოსახილველად და მოსალოცავად..

❶

იმ სამ წელიწადს, სანამ ბაგრატ მეფე კონსტანტინოპოლს იყო, კლდეკარის ერისთავთერისთავი ლიპარიტ ბაღვაში ახალ ხვანჯებს ხვანჯავდა საქართველოში.

კლდეკარის სიმაღლიდან საქართველოზე მაცქერალ კაცს უეჭველად საქართველოს მეფობაზე ფიქრიც დაუშრეტლად და დაუღევნელად უნდა ჰქონოდა, მაგრამ ესეც უნდა სცოდნოდა ლიპარიტ კლდეკარელს, რომ მეფის გვირგვინს დანარჩენი დიდებულები მას, „როგორც თვისსწორს“, მაინც არ დაანებებდნენ. ამიტომ ლიპარიტმა მოსისხლე და დაუთმობელი ბაგრატის ნაცვლად, სამეფო ტახტზე ისევ მცირეწლოვანი უფლისწული გიორგი ბაგრატის ძე ამჯობინა.

ამჯობინა, ისურვა და სურვილიც აისრულა: შეუჩნდა ბორენა დედოფალს, სანამ მეფე დაბრუნდებოდეს, მანამ უფლისწული გიორგი მეფობას შევაჩვიოთო და კიდევაც დაითანხმა— მისი შვილი „მძმის დაბრუნებამდე“ მეფედ ეკურთხებინა.

გიორგის მირონცხება ქუთათისში მოხდა. მერე მირონცხებული უფლისწული გადაიყვანეს რუისს და იქვე, რუისის ტაძარში, მროველის ხელით, აკურთხეს სრულიად საქართველოს მეფედ (1056 წ.).

მცირეწლოვან მეფეს, ხალისიან, უდარდელ და ნებაზე იოლად დამყოლ ყრმას „მზრდელად“ თვითონ ლიპარიტ კლდეკარელი დაენიშნა, ხოლო „პატრონად“ — ბაგრატის დაჲ გურანდუხტ.

საეჭვოდ ალარავისთვის დარჩენილა, რომ ლიპარიტ ბაღვაში საქართველოს ნამდვილ გამგებლად იქცა.

აზვავდა ბაგრატიონთა სახახლის კარი.

აზვავდნენ „თვისსწორი“ აზნაურის აღზევებით აღშფოთებული დიდებულები.

გაზულუქებული კლდეკარელის ალაგმვას სათავეში ჩაუდგა ისევ მეფის და გურანდუხტი, ქალი „სრული და უნაცვალო სახითა, სიბრძნითა, სიუხვითა, ღმრთისმსახურებითა და ყოვლითა სიკეთითა“.

გურანდუხტის მოთავეობით კეისარ მიხეილ მეექვსეს დაჟინებით გამოსთხოვეს ბაგრატის გამოშვება. და მაშინ იყო, რომ კეისარმაც ალარ დააყოვნა და გამოისტუმრა ბაგრატი „დიდითა დიდებითა, ნიჭითა და განძითა მიუწვდომელითა“ (1057 წ.).

საგანგებოდ აღჭურვილი ლაშქრით გაეგება ქუთათისის სასახლის საკ-

რებულო ქართულ მიწაზე ფეხშემოდგმულ მეფეს — „ზღვის პირსა ხუფათს".

მტკიცე ფეხით და შეურყეველი ნებით მოვიდა ბაგრატ მეფე „სახლად თვისად ქუთათისს"

ამჯერად კი ვეღარ უშველა ლიპარიტ ერისთავთერისთავს ვეღარც ბიზანტიის კეისარმა და ვეღარც სულტანმა თოღრულ-ბეგმა, რომელთან დამეგობრება ტყვეობის ჟამსვე მოუხერხებია ხერხიან და „ილათიან" ერისთავს.

ბაგრატის მობრუნებიდან დიდი დრო არ გასულა, რომ მისი ერთგული ერისთავი სულა კალმახელი, მისებრ ერთგული მესხი აზნაურების თანხლებით და თანადგომით, თავს დაეცა დლიეში მყოფ ლიპარიტსა და მის ვაჟებს. ლიპარიტი და ივანე შეიპყრეს, ნიანია გაექცათ. კლდეკარს მივარდა ნიანია, მაგრამ იქ მეციხოვნეებმა არ შეუშვეს და ანისს გადაიხვეწა, იქ მდგარ ბიზანტიელებთან თავშესაფარებლად; და, იქვე, მალე კიდევაც „მოკუდა ბერძენთა ყმობასა შინა".

სულა კალმახელმა ბორკილგაყრილი ლიპარიტი და ივანე კალმახის ციხეში ჩაამწყვდია და სასწრაფოდ ბაგრატს აცნობა მომხდარი ამბავი.

ბაგრატი ახალქალაქს მივიდა, სადაც მას გიორგი და გურანდუხტიც ელოდებოდნენ.

აქვე, ახალქალაქს მოჰგვარა კალმახის ერისთავმა მეფეს ძვირფასი პყრობილნი.

მადლიერმა მეფემ უხვად დააჯილდოვა ერთგული ერისთავი: „უბოძა სულას მამულობით ციხისჯუარი და ოძრხე ბოდო-კლდითა, და სხუაცა მრავალი საქონელი და სამღვდელთ-მოძღვრონი, და რაცა უნდოდა".

სულა კალმახელმა მეფეს მოართვა ლიპარიტისგან ჩამორთმეული კლიტენი არტანუჯისა, ყველისციხისა, უფლისციხისა და ბირთვისისა, ხოლო კლდეკარს მაინც უარი ეთქვა დანებებაზე.

კლდეკარის დაცვას სათავეში ედგა ლიპარიტის მწიგნობართუხუცესი, მამაცი მხედარი ა ნ ა მ ო რ ი.

რაკი ანამორმა დანებებაზე მტკიცე უარი შემოთვალა, მაშინ მეფის ბრძანებით, კლდეკარელთა თვალსახილველად, მათი ბატონი ლიპარიტი და ძე მისი ივანე ძელებზე გაჰკიდეს და „განწირეს სასიკვდილოდ".

მაშინ ანამორმა განწირულთა სიცოცხლის დანარჩუნება ითხოვა და სანაცვლოდ ციხესიმაგრის ჩაბარების პირობაც დადო.

დაძლია ბაგრატ მეფე მისმა დიდსულოვნებამ და დათანხმდა. ლიპარიტი და ივანე ძელებიდან ჩამოხსნეს. ანამორმა კლდეკარის კლიტენი მოართვა მეფეს.

ლიპარიტმა შეჰფიცა მეფეს, რომ ამიერიდან სიკვდილამდე მისი ერთგული ყმა იქნებოდა; თან შეჰვედრა ძე თვისი ივანე. მეფემაც არგვეთი უბოძა ივანე ლიპარიტის ძეს, — ბალვაშთა საგვარეულო მამული.

თვითონ ძლეულმა კლდეკარელმა, ისევ მეფის დიდსულოვნური დასტურით, კლდეკარის ხაზინიდან „გამოიღო თავისი ხუასტაგი, ჩაიცუნა ჩოხანი“ და ვითარცა ბერი და მონაზონ-ფიჩოსანი, სამუდამოდ გაშორდა მისგანვე ეგრერიგად აშლილ-დაშლილ პოლიტიკურ ასპარეზოს.

ბერადაღკეცილმა ერისთავთერისთავმა დაირქვა ანტონი და სასულიერო-სამოღვაწეოდ წავიდა ბიზანტიას.

ივანე ბალვაშიც ველარ დადგა არგვეთს და ისიც ბიზანტიას გაიპარა, მამასთან. მერე ისევ ნოსტალგია მოეძალა ახალგაზრდა ბაღვაშს. ახლა უკვე ისევ მშობლიურ მიწაზე თუნდაც მუდმივ შიშის ქვეშ ცხოვრება ერჩივნა უცხოეთში „თავისუფალ კაცად“ დამიწებას. ბოლოს მამამისმა. ერისთავყოფილმა და ლიპარიტყოფილმა მამა ანტონიმ, ცრემლით დალტობილი ასჯა გამოუგზავნა ბაგრატ მეფეს: ჩემი ძე ნიანია უცხოობაში მომიკვდაო, ახლა ეს ერთადერთი შემკვიდრე დამრჩენიაო, ამასაც უცხო მიწაში ნუ ჩამიწვენო, დაე შენმა დიდსულოვნებამ კვლავაც გვაპატიოსო ყველა შეცოდებანი; მიეცი ჩემს ძეს ივანეს სამშობლოში დაბრუნების ნებაო, და სიკვდილამდე შენი ყმა და მსახური იქნებაო იგი.

ისევ მოერია დიდსულოვნება ბაგრატ მეფეს. ნება დართო ივანე ლიპარიტის ძეს საქართველოში დაბრუნებისა. 1059 წელს ჩამოვიდა ივანე. მეფემ ორივე ერთად უბოძა სამბრძანებლოდ — არგვეთიც და კლდეკარიც. მალე სპასალარობაც ჩააბარა ბაგრატ მეფემ ნიჭიერსა და მამაც ბალვაშს.

მალე ამის შემდეგ კონსტანტინოპოლს გარდაიცვალა უველაზე დიდი ფეოდალი იმჟამინდელი საქართველოსა, თვითონ იგი — ერისკაცობაში ლიპარიტ ლიპარიტის ძე ბაღვაში, ბერობაში ანტონი. სიკვდილის წინ ანდერძად საქართველოში დამარხვა უნებებია. ასედაც აღუსრულეს, „დიდითა დიდებითა ერთგულთა და გაზრდილთა მისთა, მოიყვანეს და დამარხეს კაცხს, სამარხავსა მამათა მათთასა“.

ეს მოხდა 1060 წელს.

●

სამი წელიწადი გავიდა, ბაგრატ მეფემ რომ კონსტანტინოპოლი დატოვა და საქართველოში მობრუნდა. ამ სამ წელიწადში კი „დედამიწის შუბლისა“ არ იყოს, „ოქროს ჰიპზეც“ დიდი ამბები დატრიალებულიყო.

ბაგრატის წამოსვლის წელსვე (1057), კეისარ მიხეილ VI სტრატიოტიკოსს მცირე აზიელი (პაფლაგონიიდან) წარჩინებული და უკვე ფრიად სახელმოხვეჭილი სტრატეგოსი ისააკ კომნენოსი აუჯანყდა, აჯანყებულებს პატრიარქი მიქაელ კერულარიოსიც შეეხმარა და ამანვე პირველმა მიმართა იმპერატორს — ტახტზე ხელი უნდა

აიღოო. — რატომ უნდა შეველიო ტახტსო, — იკითხა იმპერატორმა. — ხალხს უნდა ასეო, — მიაგება პატრიარქმა. — სამაგიეროდ რას მპირდებიო, — ისევ იკითხა კეისარმა, როცა კეისრის წითელი წაღები უკვე წაეძრო ფეხებიდან. — სამაგიეროდ ზეციურ სამეფოს მიიღებო, — „ანუგეშა“ პატრიარქმა ბებერი ნაკეისარალი.

მაშ, 1057 წელს ბიზანტიის საიმპერიო ტახტზე ავიდა ისააკ I კომნენოსი, კაცი მამაცი, მტკიცე სულის და დაუთმობელი ხასიათისა. გამეფებისთანავე, ეს პროვინციელი კრიჭაში ჩაუდგა დედაქალაქის მმართველ არისტოკრატიას — საეროსაც და სასულიეროსაც. ახალმა იმპერატორმა დიდკაცობის მიწების კონფისკაციაც კი წამოიწყო; საეკლესიო საქმეებშიც მოინდომა სიუზერენობა და ამისთვის პატრიარქი კირულარიოსი დაემუქრა კიდეც: „მე შენ შეგქმენი, ღუმელო, და მევე დაგანგრევ!“ მაშინ ისააკმა კირულარიოსი შეიპყრო და საპყრობილეში ჩააგდო. პატრიარქი ციხეშივე მოკვდა. მკვდარს არავინ გამოსარჩლებია. მისი ადგილი კონსტანტინე ლიხუდმა დაიჭირა. ახალ პატრიარქს ისააკ კომნენოსთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

მაგრამ ისააკს დიდხანს მაინც არ უმეფია. 1059 წლის მიწურულს, ავადმყოფობის მომიზეზებით, იგი ტახტიდან გადადგა და ბერად აღიკვეცა. მისივე ანდერძით, ბიზანტიის საიმპერატორო მემკვიდრეობა ჩაიბარა კონსტანტინე X დუკამ (1059—1067 წწ.)...

... 1060 წელს კი ბაგრატ ქართველთა მეფემ, რომელიც უკვე „განძლიერდა უფროჲს ყოველთა მეფეთა“, კახეთ-ჰერეთი შემოიერთა, გარდა ორი ციხისა — კვეტარისა და ნახჭევანისა.

იმავე წელს ბაგრატ მეოთხემ, რომელსაც ადრე ბიზანტიიდან „მაგისტროსობა“ და „კურაპალატობა“ ჰქონდა ბოძებული, დამატებით მესამე — „სებასტოსის“ უმაღლესი ტიტულიც მიიღო კეისრისაგან.

იმავე 1060 წელს, შემდგომად ბაგრატ მეფის მრავალგზისი თხოვნისა, საქართველოში ჩამოვიდა გიორგი ათონელი.

„კურთხეულ არს ღმერთი, რომელმაც მოგვიელინა ესეოდენი კაცი მაცხოვრად სულთა ჩვენთა“ — შესძახა მეფემ ათონელ წმიდანს, „ჲანმხიარულებულმან სიხარულითა დიდითა“.

და „იყო სიხარული დიდი ყოველსა მას სამეუფოსა მისსა“...

კვლავაც იმავე წელს, მეფე ბაგრატ მეოთხემ კეთილმძლეობით სძლია ერისა და ქვეყნის საბოროტოდ გამძლავრებულ ხუთთა ძმათა აბაზასძეთა.

ათონელ მოძღვარს კი ერთი დღითაც არ იშორებდა მეფე, რადგან „ვერ განძლებოდა სმენითა თაფლისა უტკბილესთა მათ სიტყვათა მისთაითა“. და ბოლოს, ეს უთხრა ბაგრატ მეფემ გიორგი მთაწმიდელს:

„ჩვენ ამისთვის გავბედეთ მოშრომა და შეწუხება სიწმიდისა თქვენისა, რათა სრულიად აღმოვფხვრა ჩვენი სულისაგან ყოველი ნაკლულევანება და ცთომა უწესო. ამიტომ გთხოვ, დაფარული დაფარულად გვამხილე, ხოლო ცხადი თვალუხვავად განგვიმარტე. რამეთუ რაიცა მიბ-

რძანოს მამობამან შენმან, ესრეთ შევიწყნარო და შევასრულო, ვითარცა ნაბრძანები წმიდა მოციქულთა პირისაგან“.

ეს უთხრა და გიორგი უფლისწულიც შემოიყვანა, მისი ხელი აიღო, ათონელს ხელში ჩაუდო და შესთხოვა მოწიწებით: „აჰა, მოგცემ სულსა ამის ყრმისასა და წინაშე ღმრთისა გთხოვ!“

პასუხად ათონელმა აკურთხა ტახტისმემკვიდრე, დალოცა და დაასრულა სიტყვითა ამითა: „ღმერთმან ორითავე ცხოვრებითა ადიდენ, ვითარცა დიდი კონსტანტინე, შიშსა შინა თვისსა და დაუმორჩილენ ყოველნი მტერნი მისნი!“

და დაიმოწაფა გიორგი მთაწმიდელმა გიორგი უფლისწული. საგანგებო სწავლანი დაუწერა და მისცა, ღმრთივსულიერნი და მცნებანი საღმრთონი. მისცა და უბრძანა, რათა იკითხვიდეს და ისწავლიდეს გულისმოდგინებით და განიადაგებით, რამეთუ მომავალი ხელმწიფე, პატრონი, გამზრდელი და განმსწავლელი ერისა, უწინარესად თვითონ უნდა ყოფილიყო განსწავლული, გაწურთვნილი და განსპეტაკებული ხელისუფალი.

ხოლო სწავლანი გიორგი ათონელისა არ იყო სასწავლონი ოდენ ერთი ტახტისმემკვიდრისა. არამედ დადიოდა ათონელი სოფლიდან სოფელს, დაბიდან დაბას, ქალაქიდან ქალაქს, სამწყსოდან სამწყსოს, და ასწავლიდა ყველგან და ყველას — დიდსა და მცირეს, სეფეწულსა და გლახაკს, აზნაურსა და უაზნოს, მჭონებელსა და უპოვარს, ერსა და ბერს.

ასწავლიდა, ზრდიდა, მოძღვრავდა, კურნავდა (რადგან „მადლი აქვნდა სულთა კურნებისაჲ“) და იყო შუამდგომელი ღმერთსა და კაცს შორის.

ასწავლიდა და ამხელდა.

მოძღვრავდა და განაქიქებდა.

აღსარებად და სინანულად იწვევდა ყველას, დიდით მცირემდის, უმაღლესიდან უდარესამდის. და წმინდანის წინაშე „იწყეს აღსარებად და სინანულად თვით მეფემან, კათალიკოზმან, მღვდელთა და დიაკონთა, მონაზონთა და მოწესეთა, დიდებულთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა. ესრეთ მხურვალითა სარწმუნოებითა მოისწრაფეს, ვიდრემდის საზრდელსაცა ძლივს მიიღებდნენ“.

განანათლა ათონელმა ქვეყანა და „ყოველნივე ცხადნი და დაფარულნი უწესობანი განჰმართნა“. მთავარი კი მაინც ის იყო, არც მეფესა და მეფისანებს დაერიდა და სწორედ უპირველესად მათ მიმართ „აღლესა მახვილი მხილებისაჲ მრავალთა უწესობათათვის უშიშრად და თვალუხვავად, სიბძნით და გონიერად, რათა არა ჰყიდდეს საეპისკოპოსოთა კაცთა მიმართ უწესოთა და უსწავლელთა და ყოვლითურთ სოფლისა შემსჭვალულთა და უწესოებათა და მიმოსლვათა შინა აღზრდილთა, არამედ გამოარჩევდეს კაცთა ღირსთა და წმიდათა, მონაზონებასა შინა აღზრ-

დილთა და ღმრთივსულიერთა მოძღვართა მიერ წამებულთა".. მაშ, უღირსთა დაწინაურებას დაერიდე და ღირსეულნი დააწინაურეო, — აფრთხილებდა მეფეს მოძღვარი. სიმართლის სასწორსაც დიდისა და მდიდრის ჯამალლებლად ნუ მისდრეკ, არამედ მდაბიო, ობოლი, ქვრივი და ჩაგრული განამართლე და გააძლიერე, ვითარცა გვასწავლის დავით წინასწარმეტყველიო.

დადიოდა საქართველოში გიორგი ათონელი — „მონაზონთა და მოწესეთა და ყოველსა ერსა შესატყვისი სწავლითა განანათლებდა. უსწავლელთა ასწავლიდა, ხოლო სწავლულთა ნასწავლსა მათსა ღუნუხებდა და განუმტკიცებდა, მდიდრებს გლახაკთა წყალობას ასწავლიდა, ხოლო გლახაკთა — მოთმინებას და ქველთა საქმისათვის ვარჯიშობას, დაცემულთ აჰღმართებდა, ხოლო დაცემადთა განამტკიცებდა, მოწყლულთა ისრითა უხილავთა მტერთაჲთა განკურნებდა, ხოლო მოწყლვადთა უვნებლად იცვიდა, დათქმულთა ღელვათა შინა ვნებათასა ალმოიყვანებდა, ხოლო დანთქმადთა დანთქმად არა დაუტევებდა. არამედ ვითარცა ხელოვანი მენავეთმოძღვარი, ზღვისაგან ამის სოფლისა დაუთქმელად განარიდებდა"...

და კიდევ — ობოლ, უდედმამო ბავშვთა შეკრებას შესდგომოდა გიორგი ათონელი. თან უნდა წაეყვანა ბიზანტიას და იქ აღეზარდა, ვითარცა მომავალი მოღვაწენი, საქართველოსთვისაც და საქართველოს გარეთ ქართული სავანეებისათვის.

უკვე მეხუთე წელიწადი იდგა საქართველოში გიორგი ათონელის მოსვლისა და ისევ, სანამ უდედმამო ბავშვებს კრებდა, კვლავ ქართულ ეკლესია-მონასტრებში განაფენდა და აბინავებდა წიგნთა ყოველთა, რაიც მის კურთხეულ ხელს და გონებას ეთარგმნა, დაეწერა და დაესვინტაქსებინა ორივე წმიდა მთასა ზედა — ათონსა და შავ მთას.

და იმავე მეხუთე წელს (1065) კონსტანტინოპოლიდან ელჩიონი ეწვია საქართველოს სამეფო კარს, საპატიო სინკლიტიკოს სვინგველოზის მეთაურობით. ბიზანტიის მაშინდელი კეისარ-იმპერატორი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე დ უ კ ა თავისი უფროსი ძისა და ტახტის მემკვიდრის, მ ი ხ ე ი ლ ი ს ათ ვ ი ს ცოლად და ბიზანტიის მომავალ დედოფლად ითხოვდა ქართველთა მეფის ასულს, ბართას.

და ყველამ ისევ გიორგი ათონელს მიაპყრო მზერა.

„აჰა, მამაო, აღესრულა წინასწარმეტყველებაჲ შენი მართას ზედა!" — შესძახა მარიამ დედოფალმა და ეამბორა ხელზე ღვთაებრივ მოძღვარს.

და ყველანი ერთად წავიდნენ კონსტანტინოპოლს: გიორგი ათონელი ოთხმოცი ობოლი აღსაზრდელი ყრმით, და მეფის ასული მართა, მომავალი დედოფალი ბიზანტიისა, ბრწყინვალე ქართული ამალით.

მივიდნენ კონსტანტინოპოლს. ბრწყინვალე შეხვედრა საღვთო კონ-

სისტორიონს. გიორგი ათონელი წარუდგენს კეისარს ქართველ სპათაარძლოს.

(მაშინ სპათაარძლო 12 წლისა იყო, სასიძო —6 წლისა)...

კიდევ რამდენიმე შეხვედრა „უმაღლეს დონეზე“ და...

აი, 29 ივნისი 1065 წლისა, — როცა კონსტანტინოპოლს გარდაიცვალა გიორგი ათონელი.

ოთხმოცმა ქართველმა ობოლმა ყრმამ გადაასვენა მისი წმიდა ცხედარი კონსტანტინოპოლიდან ათონს...

●

1064 წელს თურქ-სელჩუკებმა ისევ დაიპყრეს და აოხრეს სომხეთი. სულტნის ტახტზე ახლად აღზევებულმა ალფ-არსლანმა, გულჯაგრიანმა მიზანთროპმა, „მამაცმა ლომმა“, ანისი აიღო, გაძარცვა, გაატიალა, იქვე ორმო გაათხრევინა, ერთ ათასეულ ქრისტიანს ყელები დასჭრა, ის ორმო მათი სისხლით გაავსო და შიგ საბანაოდ გადაეშვა. სისხლში ბანაობდა და ავზნიანად ბღაოდა: ჰაჰაჰაჰა, ეს შემიწირავს ჩემი მკვდრებისთვისო.

სომხეთი რომ მოითავა, მომდევნო 1065 წელს, საქართველოსკენ წამოემართა ალფ-არსლანი.

ეს თურქთა პირველი ლაშქრობა იყო საქართველოში.

„უგრძნეულად“ შემოიჭრნენ, ცეცხლით და რკინით. ჯერ თრიალეთი აოხრეს, თრიალეთს სამცხე, შავშეთი და კლარჯეთი მიაყოლეს.

ახალქალაქს დაეტაკნენ სელჩუკის „ნაშარდალნი“. ჯერ კიდევ სუსტი, მოუთავებელი კედლებით გარშემორტყმული ქალაქი მაინც მედგრად დაუხვდა მტერს. მესხები თავგანწირვით იცავდნენ ქალაქს. სამ დღეს გაგრძელდა მომხდურთა იერიში და დამხდურთა კონტრიერიში. ბოლოს ქართველები დარწმუნდნენ, რომ კედლებმორღვეული ქალაქი ალყასა და იერიშს მაინც ვეღარ გაუძლებდა, ამიტომ მტერთან ხელჩართული ბრძოლა არჩიეს და ქალაქის კარიც თვითონ გაიღეს. თურქები ნიაღვარივით შეიჭრნენ. ქართველებიც ჩეხვა-კვეთით შეეჭრნენ. ორივე მხრივ მრავალი მოისრა „პირითა მახვილისათა“. მტკვარი სისხლით შეიღება. ბოლოს, რიცხობრივმა სიჭარბემ მაინც თავისი გაიტანა. თურქებმა ახალქალაქი გაძარცვეს, აოხრეს, მოსახლეობა დედაწულიანად წარტყვევნეს.

წუხილით გულშეძრული ბაგრატ მეფე სახელდახელო ძალებს კრებდა ქართლში. სრულიად მოულოდნელად თურქთა სულტანმა ქართველ მეფეს დაზავება და მოყვრობა შემოსთავაზა: შენი დისწული მომათხოვე ცოლადო. მაგრამ ბაგრატის დისწული სომეხთა მეფის კვირიკეს ასული იყო (ბაგრატის დაჲ კატაჲ კვირიკეს ჰყოლოდა ცოლად წყვანილი) ხოლო კვირიკემ უარი თქვა ალფ-არსლანისთვის შვილის მიცემაზე.

მაშინ ბაგრატმა სიძე შეიპყრო და აიძულა, სულტანთან დამოყვრებაზე დათანხმებულიყო.

ქორწინება შედგა. მაგრამ ამ დამოყვრებამ არც ქართველებს და არც სომხებს არავითარი სარგებლობა არ მოუტანა.

1068 წელს თურქებმა მეორედ ილაშქრეს საქართველოში.

ბაგრატ მეფე, აღმოსავლეთ საქართველოს ერთგულ ერისთავებზე დამყარებით, კახეთ-ჰერეთის შემომტკიცებით იყო გართული. დამარცხებულ კახთა მეფე აღსართანს ყველა ციხე დაეყარა და, ის იყო, თვითონ ჩრდილო კავკასიას აპირებდა გაქცევას, სწორედ მაშინ შემოიპრა ალფ-არსლანი. რანი აეოხრებინა და ახლა ჰერეთს შემოსეოდა მისი მხედრობა.

ბაგრატ მეფე კახეთიდან ისევ ქართლისკენ შემობრუნდა. ხოლო, აღსართან კახთა მეფე ალფ-არსლანს ეახლა, დიდძალი მისართმეველი მიართვა, ქრისტიანობა განაგდო, წინდაიცვითა და ხარაჯის გადახდაც დაიკისრა. ალფ-არსლანმაც აღსართანს, ასეთი მონად-დავრდომის საფასურად, კახეთ-ჰერეთის ბატონობა დაუმტკიცა.

სამ კვირას დარჩა ალფ-არსლანი კახეთში. მერე ქართლისაკენ დაიძრა ბაგრატ მეფესთან შესახვედრად. თან, სულტანს მოკავშირე ძალებად ახლდნენ: აღსართან კახთა მეფე, კვირიკე სომეხთა მეფე (ალფ-არსლანის სიმამრი და ბაგრატ მეფის სიძე) და ტფილისის ამირა.

ბაგრატმა ესოდენ მრავალრიცხოვან მტრებთან შებმა უომედოდ ჩათვალა და ქართლიდან აფხაზეთს მიაშურა.

თურქები მარბიელ ჯარებად ჩამორიგდნენ და ცეცხლითა და მახვილით მოედვნენ საქართველოს „მთავარ ქვეყანას“ — არაგვიდან არგვეთამდე.

აყვავებულ, პურ-ღვინით ყელამდე სავსე ქვეყანას მოუსწრო მგლის მადით აშლილმა 50000 ველურმა მომთაბარემ, მოუსწრო და...

„და იყო ქართლსა შინა პური და ღვინო ფრიადი. და დაყო ექუსი კვირა, და იწყო ოხრებად და ხოცად კაცისა, და გარდავიდა მარბიელი მისი არგუეთს. მიუწყიეს და დაარბევეს ვიდრე სურის ციხემდე. და მოისრა ურიცხვი სული ქრისტიანეთა და ტყუე იქმნა; და იქმნა საძაგელ ქვეყანა ქართლისა სახილველად კაცთა: მოოხრდის ყოველი ეკლესიანი და სიმრავლითა მძორისათა არღარა დაედგმოდეს ქუეყანასა თუალნი; და ცოდვათა ჩვენთა მოსაგებელსა რისხვასა ღმერთისასა ზეცით ცაჲ წამებდა, და სისხლის მწვიმელი ღრუბელი აღმოსავლეთით მოეფინა ქართლსა ზედა; და იქმნა ღამე უკუნი, ვითარცა ნათელი დღისა. და იყო ხილვა მისი საშინელი და შემაძრწუნებელი, და არე-არე სისხლის წვიმა ეხილვა კაცთა“.

ზამთარიც დადგა უაღრეს მკაცრი, ყინვა-ნეფხვიანი, ძვალთამსხვრეველ-

ლი. ბევრიც ყინვისგან დაიღუპა მთასა და ტყე-ღრეს გაბიზნული ქართველთაგანი.

თურქებსაც სასტიკად მოუჭირა ყინვამ, ზედ დართულმა ბუქმა და გრიგალმა.

გაიხარა ალფ-არსლანმა, როცა ბაგრატ მეფის ელჩი ეახლა აფხაზეთიდან — ერისთავი ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაში.

შერიგებას და მშვიდობას სთავაზობდა მეფე.

სასწრაფოდ ზავზე დასტურით უკანვე აახლა ალფ-არსლანმა ივანე ბაღვაში ბაგრატს. ოღონდ ხარაჯა მომეცით და სამუდამო მშვიდობას აღგითქვამო, — სთხოვდა და უმტკიცებდა სულტანი მეფეს.

მაგრამ ყინვისაგან ისე შეწუხდა ალფ-არსლანი, ბაგრატის პასუხსაც ველარ დაუცადა, ქართლიდან აიყარა და აღმოსავლეთისკენ გაქუსლა. გზად მიმავალმა ტფილისი და რუსთავი ფადლონს მიუძღვნა, ქართველთაგან მრავალგზის ძლეულ განძის ამირას.

ზამთარიც გაჰყვა თოვლის დნობით, საქართველოდან სისხლის თხევით გასულ თურქობას. დიდროობა დადგა 1069 წლის გაზაფხულის დადგომისთანავე. თოვლისა და ყინვის ნაღნობით აზვავებულმა მდინარეებმა დალაშქრეს თურქთაგან ნალაშქრევი ველ-მინდვრები. მტკვარმა გადმოლახა და გადმოლეკა მისი მიმდგომი „ჭუეყანანი“. ბევრი ჩამორჩენილი და ძარცვა-რბევას თავმიცემული თურქი იმსხვერპლა წყალდიდობამ, მაგრამ სტიქიამ მძიმედ დააზარალა ქართული სამოსახლონიც.

●

გათამამდა განძის ამირა ფადლონი. იფიქრა და ირწმუნა, ახლა დამიდგა დრო, ერთხელ და სამუდამოდ ვაზღვევინო ქართველობას მრავალგზისი მარცხის ჭამა და თავლაფდასხმაო, და ყოვლად კადნიერად შეუდგა ქართლის მიწების აოხრებას.

სასწრაფოდ გადავიდა ბაგრატ მეფე აფხაზეთიდან ქართლს და დადგა დიდგორს, ქართველ მეფეთა საზაფხულოდ სამყოფელს.

ფადლონმა აინუშიაც არ ჩააგდო ქართველთა ხელმწიფის მოახლობა და, ერთბაშად, 33000 მეომრით მოადგა ტფილისს. ისნის მინდორზე დაიბანაკეს ათასეულ კარვებად. აქედან, ღამით, მუხრანისკენ აუყვნენ გზას მათთვის ჩვეული, „დახვეწილი“ ძარცვით და რბევით.

მაშინ გამოყო ბაგრატ მეფემ რჩეული ლაშქარნი და სარდლებად უჩინა სამი ერისთავი — ივანე ლიპარიტის ძე, ნიანია ქვაბულის ძე და მურვან ჯაყელი ყუელისციხელი, და სასწრაფოდ წარგზავნა ფადლონის დასადევნებლად.

გაესწრო ფადლონ ამირას. გამოენთნენ ერისთავები. წილკნის კართან

წამოეწივნენ მტრის უკანაკერძს. წამოეწივნენ და დაერივნენ გაეშებულად. „პირველსავე ხრმლისა მოკიდებასა“ გაიქცა ფადლონ. ქართველებიც მიჰყვნენ ფეხდაფეხ. მისდევდნენ, „მიჰხოცდეს და იპყრობდეს“ მტერსა ოტებულსა.

შობოს ტყესთან, ნარეკვავის ხევში, აუარება მუსლიმანი ჩახოცეს შურისგების ცეცხლით სისხლდადუღებულმა ქართველებმა. ხევი პირთამდე ამოივსო დახოცილ კაცთა და ცხენთა გვამებით. ჩაჟლეტილ მეწინავე მაჰმადიანთა გვამებზე, ვითარცა ხიდ-ბოგირზე, გადარბოდნენ „უკანაკერძნი“.

თავგზააბნეულად, ანგარიშმიუცემლად, ვისაც საით მოუხდებოდა — ტყეებში, ბუჩქებში, ძეძვნარებსა თუ ქვაბულებში და ჭარანძავებში—მიილტვოდნენ და მიძვრებოდნენ მაჰმადის რაინდები, მძარცველები და მკვლელები კაცთა, ქალთა და ძუძუთა ბავშვთა.

გამგელებული მისდევდნენ ქართველები და „ვითა ჴუისა მართვეთა“ (როგორც ჭილყვავის ბარტყებს) იჭერდნენ ტყე-მაღნარებსა და ძეძვნარებში შეჩუმჩრულ მოსისხლეებს.

ღართის ვიწროებებში ისევ წამოეწივნენ მტერს ქართველები, გზა ჩაუჭრეს და „მცირედნი ვინმე გაესწრნეს“ ფადლონისანი. იმ გაქცეულებსაც ხერკის მთამდე მისდიეს, „მოსრეს და ტყუე ყვეს“.

თვითონ ფადლონმა ძლივს გაასწრო თხუთმეტი კაცით. მიჰქროდა ანგარიშმიუცემლად, სიკვდილთან წილყრით. წილკნის გზა გაიქროლა, არაგვი გადაირბინა, ნარღვევთა გზით ერწომდე ისრბოლა. გზა და გზა, გაოცებულ და ცნობისწადილით აღძრულ შემხვედრ ადამიანებს შეუყენებელი სრბოლით შეჰყვიროდა ფადლონი: მე ფადლონის მოციქული ვარ და აღსართან მეფესთან მივრბივარ მახარობლად იმისა, რომ ფადლონმა ბაგრატ მეფე დაამარცხა და გააქცია თავისი ლაშქრით.

მაგრამ ზედ ერწოზე კაცი შეხვდა, რომელიც მას თურმე იცნობდა და უცებ მიახალა ავისმაუწყებლად: „არა ხარ შენ მოციქული, არამედ შენ თვითონ ამირათ-ამირა ფადლონი ხარ!“

მოულოდნელი მეხდაცემით დაშლილმა ფადლონმა ქენებით უთხრა იმ კაცს: „მიიღე ჩემგან ოქრო და ვერცხლი დიდძალი და საკარგავნი მრავალნი, და ნუ შემიწამებ (ნუ გამამტყავნებ); გარდამიყვანე მინდორად და წამომყევ თანა“.

კახელს ფიქრადაც არ შეეძლო ეღალატა თავის ქვეყნისთვის და ასედაც უპასუხა მტრის მუდარას: „ვერ ვიქმ საქმესა მაგას, რამეთუ მკვიდრი ვარ ამის ქუეყანისა“.

მაგრამ არც იმდენად, ს რ უ ლ ა დ ქ ა რ თ უ ლ შეგნებამდე მდგარა ის ქართველი კაცი, რომ ს რ უ ლ ი ა დ საქართველოს დაუძინებელი მტერი სწორედ ს რ უ ლ ი ა დ საქართველოს ხელმწიფისათვის ჩაებარებინა და ისე, რომ ბაგრატ მეფე არც გახსენებია, ტყვექმნილი ფადლონი

ქალეთს მიჰგვარა ვინმე მესხ აზნაურს, ი ს ა კ ტ ო ლ ო შ ე ლ ი ს ძ ე ს.

ხოლო ისაკ ტოლოშელის ძე ხარბი, ანგარი და ბაგრატ მეფის ბოროტი მოძულე აღმოჩნდა. ავმა აზნაურმა არც კი გაამხილა, რომ წარმოშობით მესხი, სწორედ ბაგრატ მეფის ქვეშევრდომი იყო. მან ჯერ მხარგაკრული ამირა მისი მხლებლებითურთ ცხენებიდან გადმოყარა, სრულიად გაძარცვა და გააშიშვლა, მერე ფადლონი ჯორზე შესვა და სასწრაფოდ თელავში აღსართან კახთა მეფეს მიჰგვარა, ბაგრატ მეოთხის მოსისხლე მტერს.

აღსართანმა, ბაგრატის შემოტევის შიშით, ფადლონი სასწრაფოდ თელავიდან ხორნაბუჯს ჩაიყვანა და იქ საგულდაგულო დაცვით ჩამალა და ჩაკეტა.

როცა ბაგრატ მეფემ ესოდენ დიდებულად წარმართული ძლეცის შემდგომ ასეთი სამწუხარო ფინალი შეიტყო, იფიქრა, აღსართანი ფადლონს ბოლოს უჩემოდ კიდევაც გაათავისუფლებს და გაუშვებსო; ამიტომ სანამ ეს მომხდარა, აღსართანს მოველაპარაკებიო და კიდევაც შეგა ეს მოლაპარაკება, რაც იმით გათავდა, რომ ბაგრატმა აღსართანს ფადლონში ორი ციხე გაუცვალა — ბოჭორმა და უჯარმა.

ყველა ეს ამბავი 1069 წელს დატრიალდა.

ახლა ბაგრატ მეფე ისევ ტფილისის დასაპყრობად მიეშურებოდა.

წინ მიუძღოდათ ბორკილდადებული ფადლონ განძელი, რომელსაც წინა წელს აჩუქა ტფილისი სულტანმა ალფ-არსლანმა.

განძელმა მეციხოვნეებმა არ ინებეს უსისხლოდ დაეთმოთ ქართველი მეფისთვის ქართული სატახტო. მაშინ ბაგრატის ბრძანებით, ფადლონი ძელზე გააკრეს და ისე „მიუპყრეს ტფილისსა“.

არც ამან გაჭრა, რადგან ქალაქის ციხიონის უფროსს თვითონ სდომებოდა ტფილისის ამირას ტახტი და ფადლონის სიკვდილი კიდევაც გაახარებდა; ამიტომ ისევ ხმლით, „ჭირვეულად“ მოუხდათ ქართველებს ტფილისის ხელახალი აღება.

ბაგრატმა განსაზღვრა და გაითვალისწინა, რომ ტფილისის დაკარგვას მთელი თურქული და საერთოდ მუსლიმ-ისლამური სამყარო უნდა დაეყენებინა ფეხზე. ამიტომ მან ვითომ „თვისად“ როდი დაიჭირა ტფილისი, არამედ იქ ძველ არაბ ამირათა შთამომავალი დანიშნა მმართველად, ვინმე ს ი თ ლ ა ა რ ა ბ ი, მანამდე დმანისს განდევნილი; დანიშნა და ყოველწლიური ხარკი დაადო გადასახდელად — 44000 დრაჰკანი. ამასთან მძევლებიც აიყვანა მეფემ — სითლა არაბის ძმისწული და სამი განძელი წარჩინებულის ძენი.

იმავ ჟამს ბაგრატმა ქართული ციხიონები ჩააყენა რუსთავში, ფარცხისში, ავარანში, გრიგოლწმიდაში და ქავაზინში.

ბოლოს, თვითონ ფადლონ განძელის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხიც დადგა. მხსნელიც მაშინვე გამოუჩნდა ამ შლეგიან მაოხარს: დიდმა სულტანმა ალფ-არსლანმა სარანგი ა ლ ხ ა ზ ი გამოგზავნა ბაგრატ მეფესთან ფადლონის გათავისუფლების თხოვნით და შუამდგომლობით და იმ პირობით, რომ ამიერიდან აღარ შეაწუხებდა განძის ამირა ქართულ სამანებს. სამაგიეროდ, გაგის „ქუეყანას“ სთავაზობდა თურქთა დიდი სულტანი ქართველ ხელმწიფეს.

ბაგრატი დასთანხმდა. ფადლონი განუტევა მისსავე განძას, ხოლო თვითონ გაგის ციხეში ქართული ციხიონი შეიყვანა მეფემ.

თითქოს უნდა დაესვენა ქვეყანას, მაგრამ არ იქნა და არ დაისვენა ისევ ფადლონ განძელმა, რომელმაც „გატეხნა ფიცნი და შუამდგომლობანი დიდისა სულტანისანი“. ბაგრატ მეფე ქუთათისს იყო, როცა შეატყობინეს, რომ განძელი ამირა ისევ შემოიჭრა და „მოიპარა ქავაზინი“; მერე აგარანს მოსდგომია და აქაურ ციხისთავსაც უბრძოლველად დაუთმია აგარანი.

სასწრაფოდ დაბრუნდა მეფე ლაშქრით აღმოსავლეთ საქართველოში, ფიცხლავ დაეცა მტერს და უმალვე გამოსტაცა აგარანი.

თან ჩრდილოეთით, ოვსეთში, მალემსრბოლი აფრინა თავის ცოლისძმასთან, ოვსეთის მეფე დ ო რ ღ ო ლ ე ლ თ ა ნ (ურდურეს ძე), მაშველი ჯარის თხოვნით. 40000-იანი ლაშქრით გადმოვიდა დორღოლელი საქართველოში. ბაგრატმა ქართველთა და ოვსთა გაერთიანებულ მხედრობას სარდლად უჩინა თავისი ძე, უფლისწული გიორგი, და ფადლონის დასასჯელად გაგზავნა.

გიორგი რანს შეესია, განძა დასცა და დაარბია. აურაცხელი ნადავლი და ნატყვევნავი აიღო და საქართველოში გამოგზავნა (1070 წ.).

დიდი იყო გამარჯვება და სიხარული. სიხარულითვე დასცა დასტური ბაგრატ მეფემ ცოლისძმის თხოვნას სადარბაზოდ შეხვედრაზე. ჯერ ქუთათისს ეწვია ოვსთა მეფე ბრწყინვალე ამალით. დიდი სიყვარულით მოიკითხეს ერთმანეთი და-ძმამ — ბორენამ და დორღოლელმა. აქედან ქართლს გადავიდნენ და ნაჭარმაგევს, ტინისხიდის ჭალაზე მიიღო ბაგრატ მეფემ მოყვრები და მოკავშირენი. თორმეტი დღე იზეიმეს „და განისუენეს ყოვლითა განსუენებითა და სიხარულითა“. ზამთრის მოახლოებამ გაჰყარა მოყვარენი. ბაგრატმა „მისცა ნიჭი და საბოძვარი მეფესა და ყოველსა დიდებულსა ოვსეთისასა. გაგზავნა და წარვიდეს სიხარულითა“.

ფადლონ განძელის მორიგმა გამოხდომამ და ქართველთაგან სასტიკმა განადგურებამ ფრიად ჩააფიქრა და დათრგუნა თურქთა დიდი სულტანი ალფ-არსლანი, სწორედ ფადლონის თავდები და მფარველ-პატრონი. ქართველთა თვალში მისმა სიტყვამ და თავდებობამ ფასი და-

კარგა, მისი რისხვეული მბრძანებლობაც გაწბილდა და დაკნინდა. ამიტომაც ქართველი უფლისწულისგან ფადლონის გაძნადგურების შემდგომ, ალფ-არსლანი საქართველოში მოციქულს მოციქულზე აგზავნიდა, უხვი ძღვენ-საბოძვარითა და ბოდიშებით დატვირთულს. თან ბაგრატ მეფეს „ამოთა ენითა სთხოვდა ხარაჯასა“. თავის მხრივ, ბუნებით ზრდილმა ქართველმა ხელმწიფემ კრძალული სიდინჯით უარი თქვა თურქთა წინაშე რაიმე ვალდებულებაზე,—„არა დაიდვა ბაგრატ მეფემან ხარაჯა“, და ვითარცა სწორი სწორს, „ავლენდა იგიცა მოციქულთა და უკრებდა იგიცა ძღუენსა. და იყო მათ შორის სიტყვით სიყვარული“ (ჰმ, სიტყვით!)...

●

1067 წლის მაისში მოკვდა ბიზანტიის კეისარი — კონსტანტინე X დუკა. — ბაგრატ ქართველთა მეფის მზახალი, მისი უფროსი ძე და ტახტისმემკვიდრე მიხეილი, ბაგრატის ასულ მართა-მარიამზე დაწინდული, ჯერ კიდევ იყო მხოლოდ ცხრა წლისა.

იმპერიის გამგებლობა ქვრივმა დედოფალმა ევდოკიამ იკისრა. ევდოკიას აუჯანყდა და ტახტის წართმევა დაუპირა კაპადოკიელმა დიდკაცმა, პაჭანიგებთან ბრძოლებში სახელმოხვეჭილმა სტრატეგოსმა რომანოს დიოგენმა. აჯანყება აჯანყებულს მარცხით გაუთავდა, ტახტის ნაცვლად ბორკილებიც მიიღო და სიკვდილიც მიესაჯა. მაგრამ უცებ დედოფალმა ჭკუა იხმარა და თვითონ ამჯობინა, ეს მამაცი და მომხიბლავი ვაჟკაცი, მოკვლა-დაკვლის ნაცვლად, თავის გვერდით ქმრად და იმპერატორად დაესვა. ასეედაც მოხდა: 1068 წელს ბიზანტიის კეისარ-იმპერატორი შეიქნა რომანოს IV დიოგენი.

რომანოს მეოთხის კეისრობა გაგრძელდა სამ წელიწადს. 1071 წელს, მანასკერტთან (სომხეთში), დიდი ბრძოლა მოხდა ბიზანტიელებსა და თურქ-სელჩუკებს შორის, ორივე ხელმწიფის — რომანოს დიოგენისა და ალფ-არსლანის პირადი მონაწილეობით. სელჩუკებმა ბიზანტიელები დაამარცხეს, თვითონ კეისარი რომანოს მეოთხეც ტყვედ იგდეს და ბორკილდასხმული და თავლაფდასხმული თან წაიყვანეს.

ბიზანტიის კეისარ-იმპერატორად გამოცხადდა მიხეილ VII დუკა პარაპინაკი, სიძე ქართველთა.

მაშ, დედამიწის „ოქროს ჭიპზე“ იჯდა ასული „დედამიწის შუბლისა“, საქართველოს ხელმწიფის, ბაგრატ მეოთხის შვილი, ქართველობაში მართა, ბიზანტიელობაში მარიამ.

ამბობდა და წერდა მისი მარადდღე ხილვით აღტაცებული მიქელ პსელლოსი, სულიერი მარილი მსოფლიო იმპერიისა:

„რომ დედოფლის ქება არ გამომივიდეს მისი გვარიშვილობის გამო, რომელიც სიმდიდრითა და შთამომავლობით ყველა სხვა სამეფო გვარს აღემატება, მის საქებრად ყველაფერი კმარა — მარტო მისი ხასიათიც, თუნდაც სხვა ღირსებაზე რომ აღარა ვთქვათ რა, — აი, მარტო მისი სახის სიმშვენიერე; თუკი ქალთათვის დუმილი სამკაულია, იგი მარიამისთვის ყოველგვარ სამკაულზე უპატივესი იყო, რადგან არავის სხვას, გარდა თავისი მეუღლისა, ენას არ გააცნობდა, და თავისთავადაც უფრო ლამაზი იყო, ვიდრე მაშინ, როცა საჭიროება მოითხოვდა მოკაზმულიყო“.

ამბობდა და წერდა მისი უახლოესი ადამიანი, იმპერიის პირველი სეფე-ქალი, შესანიშნავი ისტორიკოსი ა ნ ნ ა კ ო მ ნ ე ნ ე:

„მარიამი იყო მაღალი და ტანადი, როგორც კვიპაროსი, თეთრი, როგორც თოვლი, პირსახე ჰქონდა არცთუ ძალიან მრგვალი, მაგრამ გაზაფხულის ვარდივით ალისფრად გაფურჩქვნილი. ახლა თვალების ბრწყინვალებას არ იკითხავ? ვის შეუძლია ამის აღწერა? წამწამები გრძელი და განსაცვიფრებელი, თვალები ცისფერი. მხატვრის ხელი ხშირად გადმოგვცემს ხოლმე იმ ყვავილების ნაირფერობას, რომლებითაც გვასაჩუქრებს წლის სხვადასხვა დროს; მაგრამ დედოფლის სილამაზეს და მისი მომაჯადოებელი მიმზიდველობა, მისი ზნის სანდომიანობა — ყველაფერი ეს აღემატება ფერწერასა და ხელოვნებას. არც აპელესს, არც ფიდიასს, არც რომელსამე სხვა მოქანდაკეს არ დაუტოვებია ამის (მარიამის) მსგავსი რამ ქანდაკება. ამბობენ, გორგონას თავი ქვებად აქცევდა ხოლმე იმ ადამიანებს, ვინც მას შეხედავდა; ხოლო ვინც შემთხვევით მარიამ დედოფალს დაინახავდა, როცა იგი სეირნობდა, ან უცაბედად სადმე შეხვდებოდა — საზღვარი არ ჰქონდა მის განცვიფრებას, ის (მნახველი) გაქვავებული რჩებოდა იმავე მდგომარეობაში, რომელშიც შეხვდებოდა მას (მარიამს), თითქოს წართმეოდა სულიც და გონებაც (მარიამის შემხედვარეს). ასეთი თანაზომიერება ასოთა და ნაკვთთა, ასეთი შეხამება მთელის ნაწილებთან და ნაწილებისა მთელთან, მართლაც რომ არავის არასოდეს არ უნახავს ადამიანის სხეულში. ეს იყო ცოცხალი ქანდაკება, რომელიც ატყვევებდა მშვენიერების მოყვარულთ. ეს იყო თვით ჰიმეროსი (სურვილი და სიყვარული), რომელსაც ხორცი შეუსხამს ამ ჩვენს დედამიწაზე“.

ტახტის მემკვიდრე უფლისწულიც გასაოცრად სრულქმნილი სიმშვენიერისა შესძინა ქართველმა ქალმა იმპერიას — კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ ო რ ფ ი რ ო გ ე ნ ე ტ ი.

„კონსტანტინე მე მინახავს ჯერ კიდევ ჩვილი ბავშვი, მისი ძიძის მკერდზე მეფური ბაფთით თავშემკობილი... რაც შეეხება გარეგნობას და გამომეღავნებულ ხასიათს, რამდენადაც ამათი მიხედვით არის შესაძლებელი მასში ჩაქსოვილი სულიერი თვისებების ამოცნობა, უნდა ვთქვა,

რომ არ მინახავს ამგვარი მიწიერი სილამაზე: მისი სახე სრულყოფილ წრედ იყო ჩამონაკვთული; მისი მსხვილი ცისფერი თვალები სიმშვიდით იყო სავსე; მისი წარბები პირდაპირ სწორ ხაზს ქმნიდნენ, ცხვირის ძირთან პატარა მანძილით იყვნენ დაშორებულნი, ხოლო საფეთქლებთან ოდნავ მოღუნულნი; ცხვირი თავისუფლად ეშვებოდა ნესტოებთან, მაგრამ დასაწყისში ოდნავ ამოზნექილი, ბოლოს რომ უახლოვდებოდა, არწივისებურად კაუჭდებოდა; თავზე თმა მზისებურად უბრწყინავდა. ტუჩები თხელი ჰქონდა; თვალით საამოდ იცქირებოდა, ანგელოზებზე უფრო ნაზად, და სულსაც, ამის ცგამო ამჟღავნებდა არც დაცემულს, არც აფორიაქებულს, არამედ მიმზიდველს, ღვთაებრივი ძრაობით გამხნევებულს" (ამას წერს მიქელ პსელლოსი).

„კონსტანტინე იყო, როგორც ბუნების ძეგლი („აგალმა ფიზეოს"), ღვთის ნახელავი („თეუ ხეირონ") საჩუქარი, თუ შეიძლება ასე ითქვას; თუკი ვინმეს დაუნახავს მაინც, იტყოდა, რომ ეს ოქროს მოდგმის ნაშიერი არისო, როგორც ეს ჰელინურ მითებშია მოთხრობილი" (ამას წერს ანნა კომნენე).

ხოლო თვითონ კეისარი მიხეილ VII დუკა პარაპინაკი, მეუღლე უმშვენიერესი მარიამ დედოფლისა და მამა „ოქროს მოდგმის" კონსტანტინე პორფიროგენეტისა — იყო: „ხასიათით დონდლო („ხაუნოს"), გულუბრყვილო („აფელეს") უზრუნველი („ანიმენოს"), უმეცარი („ჰაპალოს"), მოუქნელი („ადექსიოს"), თავისი პირადი საქმეების გამართვაშიც უძალო („უკ ისხიონ") და სახელმწიფო მართვაშიც სრულიად უქნარა" (ამას წერს ვინმე ე ფ რ ე მ ი, მის „ქრონიკაში").

ამ ერთი ოჯახის ქართულ-ბიზანტიურ „ხასიათთა ნარევს", მალე შესაბამისი შედეგებიც მოჰყვა: ხოლო, მანამდე საქართველოში...

●

ბაგრატ მეფე 1072 წლის ზაფხულს სამშვილდის ტბასთან იდგა.

უფლისწული გიორგიც თან ახლდა, დიდებულთა ამალაც.

უცებ მეფეს „დაეცა სალმობა მუცლისა".

გიორგის მკლავებზე დაეცა საშინელი ტკივილებით მოცელილი.

სასწრაფოდ მარაბდაში ჩაიყვანეს და აქიმნი დაახვიეს.

მაგრამ უარესად გაუმძაფრდა მუცლის ტკივილი.

მარაბდიდან „ტახტით" წამოიყვანეს ავადმყოფი. უფლისციხემდე ძლივს მიატანეს. უკვე აღარ შეეძლო მგზავრობის ატანა მეფეს.

ქუთათისიდან სასწრაფოდ გადავიდნენ მეფესთან დედა მარიამ დედოფალი, მეუღლე ბორენა დედოფალი და ასული მართა — იგივე მარიამ,

დედოფალი ბიზანტიისა (დედოფლობის ერთი წლის თავზე სწვეოდა იგი მშობლიურ ქვეყანას და ოჯახს).

ყველა დარწმუნდა: მეფეს უკვე სააქაო პირი აღარ ჰქონდა.

უპირველესად თვითონ ირწმუნა, რომ სამუდამოდ მიდიოდა ასეთიგად შფოთიანი, მაგრამ მაინც საყვარელი და სასურველი საწუთროსაგან.

დინჯად, უშფოთველად მოიხმო გიორგი, დიდებულთა საკრებულოს მიუბრუნდა და წყნარი, მაგრამ სიტყვაშეუქცეველი სიმტკიცით გამოაცხადა გახელმწიფება გიორგი ბაგრატის ძისა.

დალოცა ახალი მეფე საქართველოსი.

დალოცა ყველა დამსწრე მისი სიკვდილისა.

ცველას ჩამოატარა მზერა.

დედის სახეზე გაუშტერდა თვალი.

გამშრალ კერპად იდგა მარიამი, ნაცრისფერი და ნაცარივით ფერშეუცვლელი.

აღარც ერთი შვილი აღარ დარჩენოდა ცოცხალი ქმრით ადრე დაქვრივებულ მარიამს: მკვდარი იყო გურანდუხტი, მკვდარი იყო კატაი, კვდებოდა ბაგრატი.

მეფეს მწარე სინანული აღებეჭდა ქვაღქცეული დედის ხილვისას და უთხრა მას: „დედაო, მეწყალი შენ, რამეთუ ყოველნი შობილნი შენი წარვიქციე წინა და ეგრეთლა შენ მოჰკუდები“.

კვდებოდა ბაგრატ მეფე.

და მან არ იცოდა, რომ სწორედ მასვე ჟამს სამარყანდის მისადგომთან სიცოცხლეს ეთხოვებოდა მისი დიდი მეტოქე აზიაში პირველობისა, დიდი სულტანი ალფ-არსლან; სამარყანდზე მოლაშქრე სულთანს ვიღაც თურქი უსუფი კარავში შეხტომია და შიგ გულში დაუკრავს იატაგანი.

და ალფ-არსლანიც ისე კვდებოდა, არც მან იცოდა სიკვდილთან წილყრა მისი დიდი მეტოქისა, მამაცი და დიდსულოვანი ქართველი ხელმწიფისა.

ხოლო, დღე ბაგრატ მეოთხის აღსრულებისა იყო 24 ნოემბერი 1072 წლისა.

აღესრულა „კაცი უმშვენიერესი ყოველთა კაცთასა“.

ხელმწიფე — „სრული სიბრძნითა ფილოსოფოსისათა“.

კაცი, რომელსაც ასწავლა ავი ცხოვრების სიდუხჭირემ: „ვიდრე თუალითა, არა ვიხილო, არა ვიწამო“.

უცხო მძევლობაში წაიყვანეს 4 წლისა, მობრუნდა 7 წლისა, გამეფდა 9 წლისა, იმეფა 45 წელიწადს, აღესრულა 54 წლისა.

დაიკრძალა ჭყონდიდის ტაძარში, მისგანვე სიცოცხლეშივე გათხრილ-გამზადებულ სამარტვილეში.

ზეობა გიორგი მეორისა

ქუეყანა თქუენი ოხერ, ქალაქი თქუენი ცეცხლითა მომწუარ, სოფელსა თქუენსა წინაშე თქუენსა უცხო თესლნი მოსჭამდნენ, და მოოხრებულ და დაქცეულ არს ერისაგან უცხო ტომთასა.

ესაია, 1,7.

მაშ, საქართველოს სამეფო ტახტზე იჯდა ბაგრატ მეოთხის მხოლოდშობილი ძე, გიორგი მეორე (1072—1089 წწ.).

გიორგი მეორე არ ყოფილა საქართველოს მძიმე გვირგვინისთვის შესაფერისად სრულქმნილი პიროვნება.

ან, იყო იგი მთლიანობა რამდენიმე პიროვნებისა (!).

იყო გიორგი უმამაცესი რაინდი, უებრო მხედარი, „ცხენოსან-მშვილდოსანი რჩეული“; ბუნებით კეთილი, გულმოწყალე და დიდსულოვანი, მაგრამ სწორედ მისი დიდსულოვნება აღვირახსნილ მოღალატე ფეოდალებისადმი მისთვისაც და ქვეყნისთვისაც ყოველთვის სავნებელ შედეგს იძლეოდა. მერყევი ხასიათი ჰქონდა, დამთმობი და ბოლომდე ლელოგაუტანელი. იყო „განმკითხველი გლახაკთა“, მაგრამ ასევე გულმოწყალე უწყალო და უგლიმი მომტერეებისადმი. იყო „პურად უკეთესი ყოველ კაცთასა“, თავდავიწყებით უყვარდა ლხინი, ნადიმობა და ნადირობა. სწორუპოვარი მეომარი იყო, მაგრამ ბრძოლის ველზე მიღებულ გვირგვინებს მაინც სანადიმო ყანწი და სანადირო მშვილდ-ისარი ერჩივნა.

ხოლო მის ქვეყანას სალხინო და სამეჯლისო ჰქონდა კი არა, შიგნიდანაც და გარედანაც საშინელი სისხლისდენა ელოდა.

გიორგი მეფის გამეფებიდან ხუთი თვე („ზამთარი ერთი და ზაფხულისა ნახევარი“) ძლივს გაიტანა სიმშვიდეში თავი ქართველმა ხალხმა.

1073 წლის შუა ზაფხულში სამი დიდი ფეოდალი აუჯანყდა გიორგის: ნიანია ქვაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე და ვარდან სვანთა ერისთვი. ადრე სამივე ნებით თუ უნებლიეთ ერთგულებდა ბაგრატ მეოთხეს. ახლა კი, როგორც ეტყობა, გიორგის სისუსტე იგრძნეს და კიდეცაც „აუშალეს ქუეყანა“.

ივანე ლიპარიტის ძემ მაშველ ძალად კახელები მოირთო და ჭნის ხეობა დაიჭირა. ნიანია შიგ სატატხო ქუთათისში შეიჭრა, საჭურჭლეები ხელთ იგდო და იქვე ჩადგა ბანაკად. ვარდან ერისთავმა სვანები სამეგრელოს შემოუსია და საშინლად აოხრა.

გაუხტა ახალგაზრდა ხელმწიფე აჯანყებულებს და სამივე დაამარცხა ზედიზედ, მაგრამ სამივესადმი არამცთუ სასჯელი, უბრალოდ „ძვირუხსე-

ნებელი იქმნა"; უფრო მეტიც — კადნიერი მოჯანყენი უხვადაც კი დაჯილდოვა: ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაშს რუსთავი გამოართვა და ალსართან კახთა მეფეს მისცა, სამაგიეროდ ივანეს სამშვილდე და ლორწობანი მიართვა, ნიანია ქვაბულის ძეს — „თმოგვი და სხუანი საქონელნი რჩეულნი", ხოლო ვარდან ერისთავს ასკალანა აჩუქა.

გიორგის ბავშვური გულწრფელობით სჯეროდა, რომ დიდსულოვნებით „დაიწუნარა მეფობა თვისი".

მაგრამ იმ წელსვე ისევ განუდგა კლდეკარის ერისთავი. გიორგი ქუთათისიდან სასწრაფოდ სამცხეს გადავიდა, მესხთა ჯარიც აიყოლია და სამშვილდეს მიადგა. აქვე მას შეუერთდა ალსართან კახთა მეფე, რომელსაც ამჯერად ივანესთან კავშირს გიორგის თანადგომა უმჯობინებია.

ივანე ბაღვაშმა შეტაკება უიმედოდ ჩათვალა, ციხიდან იდუმალ გაიპარა და სამხრეთისკენ მთებს შეეფარა. გიორგიმ ადრე გაჩუქებული ლორწობანიც დაიჭირა და ჯავახეთს გადავიდა. აქ, ეკრანთის ციხეში, ივანე ლიპარიტის ძე თავისი ფეხით მოვიდა და მეფეს შენდობა და შერიგება სთხოვა. ისევ უმტყუნა ნებისყოფამ მეფეს: კადნიერი აზნაურისგან მხოლოდ ფიცი იკმარა და ისევ დაუმტკიცა კლდეკარი და სამშვილდე.

არ გასულა დიდი დრო და ამჯერად კიდევ უარესი კადნიერება ჩაიდინა ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაშმა: გაგის ციხე გიორგი მეფის მეცხოვნეებს გამოსტყუა და განძის ამირას მიჰყიდა, ფადლონს, ქართველთა დაუძინებელ მტერს.

გიორგიმ გათავხედებული ქვეშევრდომის წინააღმდეგ გამოსვლაც ცერ მოასწრო, რომ საქართველოს სამხრეთ სამანებს მალიქ-შაჰი მოადგა, თურქ-სელჩუკთა დიდი სულტანი, მემკვიდრე დიდი ალფ-არსლანისა. ივანე ბაღვაშმა სულტანს მაშინვე თავისი ძე ლიპარიტი შეაგებება და ქვეშევრდომობა შესთავაზა. მალიქ-შაჰი დიდად ნასიამოვნები დარჩა და ახალგაზრდა ლიპარიტ ივანეს ძე თავისთან დაიტოვა. ეს უკვე მძევლობას ნიშნავდა. ლიპარიტიც „კლდეკარული სინდრომის" ღირსეული გამონაჩეკი აღმოჩნდა და მალიქ-შაჰს გამოეპარა!

გარისხებული მალიქ-შაჰი სამშვილდეს ანაზდაითად დაეცა და ივანე ლიპარიტის ძე ოჯახით — ცოლით, შვილიშვილითა და ქვეშევრდომ აზნაურთა სახლეულობით, ყველანი ტყვედ წაიყვანა. სამშვილდიდან თურქები ქართლის სოფელ-ქალაქებს მოენთნენ, გაძარცვეს, გააოხრეს, წარტყვევნეს და წავიდნენ.

საქართველოდან მალიქ-შაჰი განძას მიადგა, აიღო და მის გამგებლად ერთი თავისი სარანგი დატოვა, სახელად ს ა ვ თ ე გ ი ნ, 48000 მეომრით.

სარანგმა საეთეგინმა განძის ამირა ფადლონს ბორკილები გაუყარა და 1074 წლის აღრიან გაზაფხულზე თავის მხედრობა ისევ საქართველოს შემოუსია.

გიორგიც ფრთამალედ გაეშურა მტერთან შესახვედრად.

ბრძოლა მოხდა ფარცხისს, ალგეთის ხეობაში.

ქართველებმა მტერი სასტიკად დაამარცხეს და ქართული სამანებიდან გადარეკეს. ის იყო ჭეშმარიტად „დიდი ძლევაჲ“ მეფე გიორგი მეორისა.

ამ გამარჯვების შემდგომ გიორგი ტაოს ჩავიდა და ბანას დადგა.

ბანაში მეფეს ეწვია გრიგოლ ბაკურიანის ძე, დიდად სახელგანთქმული ქართველი სარდალი და პოლიტიკოსი ბიზანტიის იმპერიისა, დასავლეთის დიდი დიმესტიკოსი, სებასტოსი და „ზორავარი აღმოსავლეთისა“. ბიზანტიის საიმპერატორო კარის წინაშე დიდი დამსახურებისათვის (უცხოეთში უცხოს სამსახურში ხომ ქართველს ვერავინაც ვერ აჯობებს!), გრიგოლ ბაკურიანის ძეს ბოძებული ჰქონდა ქალაქები: ოლთისნი, კარნუ-ქალაქი (ერზერუმი) და კარი (ყარსი). ახლა, სასურველი და სასიხარულო შეხვედრა იმით აღინიშნა, რომ გრიგოლმა „მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მის მიმდგომი ქუეყანა“.

გიორგიმ ქალაქ კარში შავშელი აზნაურები ჩაყენა და თვითონ ჩრდილოეთით წამოვიდა.

გრიგოლ ბაკურიანის ძეც ბიზანტიისკენ გაბრუნდა, სადაც ჩვენ მას კვლავაც შევხვდებით უფრო „დიდი მოცულობის“ ამბებთან დაკავშირებით.

●

მაგრამ გიორგის დიდხანს არც გრიგოლ ბაკურიანის ძისგან ბოძებული ქალაქები შერჩენია და აღარც საკუთარი ქვეყნის გადარჩენის იმედიც კი.

თურქ-სელჩუკების „ნაშარდალმა“ მოიცვა მთელი შუა და წინა აზია. ბიზანტიას წაართვეს აღმოსავლეთი და ცენტრალური ანატოლია.

ამრიგად, ახლა უკვე სამი მხრიდან ერტყა თურქული საფრთხე საქართველოს — აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით.

ამიერიდან მსოფლიოს ყველაზე დიდი დამანგრეველნი „მეზობლობით მოეახლნენ საზღუართა ჩუენთა, განმრავლდა შიში და ჭირი მათგან ჩუენზედა, რამეთუ იწყეს მიერითგან რბევად, ტყუევნად, წუად, სრვად და ტყუეობად ჩუენ ქრისტიანეთა“.

1079 წელს თურქთა ურდომ, აჰმად ამირას სარდლობით, ქალაქი კარიც დაიპირა და ტაო-კლარჯეთსაც შემოესია. გიორგი ყუელის ციხეს იდგა, როცა მტერი „უგრძნეულად“ დაეცა თავს. მეფემ მოღალატე ქართველიც ბევრი შენიშნა მტრის ბანაკში.

(ღალატი ბარტყობდა ღალატის საბარტყეში!).

გიორგი ბრძოლის ველს დამარცხებული გაშორდა და აჭარის გზით

აფხაზეთისაკენ წარემართა. ხოლო თურქებმა ხელთ იგდეს „საჭურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვეცხლისანი, ბავრატეული სასმურნი და სამწდეონი პატიოსანნი, კარავნი სამეფონი და ყოველთა დიდებულთანი“.

ასე დიდძალი ნადავლით დატვირთული ამირა უკვე გაშორებული იყო საქართველოს საზღვრებს, როცა მას წინ შემოეყარა თურქთა ორჯერ უმეტესი ურდო, რომელსაც სათავეში ორი ამირა ედგა — ი ა ს ი და ბ უ ჟ ღ უ შ.

— საიდან მოდიხართო — ჰკითხეს აჰმადს იასმა და ბუჟღუშმა და თან შურით აღვსილი თვალებით ხარბად დაუწყეს ჰაჰა საქართველოდან გამოტაცებულ სიმდიდრეს.

— თქვენ თვითონ საით გაგიწევიათო, — კითხვა შეუბრუნა აჰმადმა.

— საბერძნეთს მივდივართ სალაშქროდო, — იყო პასუხი.

მაშინ აჰმადს უთქვამს იასისა და ბუჟღუშისათვის:

„რად წახვალთ საბერძნეთად? აჰა, ქუეყანა საქართველო, უკაცური და სავსე ესევითარითა სიმდიდრითა“.

და საქართველოს დამაქცევარი აღმოჩნდა ველურის პირიდან გადმოვარდნილი ეს ცინიკური სიტყვა. უსაზღვრო ძარცვა-გლეჯისა და სისხლის თხევის ჟინით აღვსილი უზარმაზარი თურქობა ბიზანტიის გზიდან საქართველოსკენ შემოტრიალდა. ჯგროდ და ხვივილად მოვარდნილნი „მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი. და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შაშვეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვიდრი ყოველი და მასვე ერთსა დღესა დაწვეს ქუთათისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი და დაყვეს ამათ ქუეყანათა შინა თურქთა ვიდრე მოსლვამდე თოვლისა, მოჭამეს ქუეყანა და მოსწყვიდეს, თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ხურელთა ქუეყანისათა“. ვინც მთაში გახიზვნა მოასწრო, იმათ თითქოს საგანგებოდ დამდგარმა სასტიკმა ზამთარმა მოუსწრაფა სიცოცხლე.

ქართველი ხალხის ეს უმძიმესი ტრაგედია მოინათლა, ვითარცა „პ ი რ ვ ე ლ ი დ ი დ ი თ უ რ ქ ო ბ ა“ (1080 წ.).

ამიერიდან ყოველ გაზაფხულს იწყებოდა „დიდი თურქობა“.

აღრიან გაზაფხულიდან დაზამთრებამდე ძარცვავდნენ, აოხრებდნენ და წყვეტდნენ ქვეყანას თურქები. ზამთარს სამხრეთში ატარებდნენ, გაზაფხულზე ისევ მოდიოდნენ... ისევ და ისევ... მოსაჭმელად, მოსაწყვეტად, მოსაძარცვავად, მოსაოხრებლად...

„და არა იყო მათ ჟამთა შიგა თესვა და მკა: მოოხრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა“.

თურქნი მაოხარნი, სელჩუკის „ნაშარდალნი“ ანგრევდნენ და სპობდნენ ყველაფერს ფეხზე მდგარს.

ეკლესიებში ცხენები ებათ.

საეკლესიო მოწესეებს საკურთხევლებზე ყელებსა სჭრიდნენ.

მოხუცებულთ თავებს აყრევინებდნენ.

ჰაბუკებს ჰკოდავდნენ.

ჩვილ ყრმათა იტაცებდნენ.

იწვოდა „შენებული ყოველი“.

მოედინებოდნენ „მდინარენი სისხლთანი, ნაცელად წყლისა ნაკადულთა, მრწყველნი ქუეყანისანი“.

აღარსაიდან ხსნა აღარ ჩანდა.

გაუმზერალი წყვდიადი დამდგარიყო „შუბლსა ზედა დედამიწისასა“. ხოლო, „ჰიპი“ — „ომფალოს ტეს გეს?!“

●

„ოქროს ჰიპიც“ მოეცვა შიშსა და ნევროზს.

გარედან შემოსევები და შიგნიდან აჯანყებები აზანზარებდნენ იმპერიას. დასავლეთიდან სამხრეთ იტალიაში ნორმანები ჩამომდგარიყვნენ, უტიფარი რობერტ გვისკარის ბელადობით. თურქ-სელჩუკებს კი აზიიდან მომავალი სასურსათო გზები გადაეჭრათ კონსტანტინოპოლისათვის.

სატახტოში შიმშილმა დაიბანაკა და დაისაძოვრა. დახოცილთა დამარხვასაც ვეღარ აუდიოდნენ ცოცხალნი. სათრეველებიც აღარ ჰყოფნიდათ, — ერთი საკაცით ხუთ-ექვს მკვდარს მიათრევდნენ, ზერელედ მოქექილი სამარხებისკენ.

ზემოთაც ითქვა უმწეობა კეისარ მიხეილ VII დუკასი, ქართველთა სიძისა. ხელმწიფის სისუსტეს კი ნაყოფად ვიგინდარა-მედროვეობა მოაქვს და იმდროინდელი ბიზანტიის სასახლის კარზეც მედროვე განაგებდა ყოველ საქმესა საკეისროსა — საპურპური-ყველური ნიკიფორე, მოალერსებით რომ ნიკიფორიცას ეძახდნენ.

1073 წელს მცირე აზიაში მდგარი დაქირავებული ჯარი აჯანყდა, მათი სარდლის, რუსელის მეთაურობით. საქმე იქამდეც მივიდა, რომ კეისარმა მიხეილ დუკამ და მისმა ნიკიფორიცამ დახმარება თურქებს სთხოვეს. თურქებმაც მოსისხლეთა „მხსნელობა“ შეიფერეს და მათი დახმარებით აჯანყება ჩახშობილ იქნა.

1077 წელს, მაკედონელთა მხარდაჭერით, იმპერატორად თავი გამოაცხადა ნიკიფორე ვრიენიოსმა. ეს აჯანყებაც კეისარმა მიხეილ

დუკამ უცხო ძალებით, ამჯერად პაპანიგების შემწეობით ჩააქრო და ტახტის მაძიებელსაც თვალები დათხარა.

მაშინვე ახალმა აჯანყებამ იფეთქა მცირე აზიაში, აქაური სარდლის, ნიკიფორე ბოტანიატეს მეთაურობით. ბოტანიატეს მიემხრო კომნენოსების ძლიერი გვარიც. უზურპატორმა თურქებიც კი შეიკავშირა და ყოვლის მხრით განმტკიცებულმა კურსი აიღო დასავლეთისკენ. მისვლისთანავე აიღო ქალაქი ნიკეა, საიდანაც ერთი ნაბიჯიღა დარჩენოდა იმპერიის სატახტოზე თავდასასხმელად.

ნეკროზი გამძლავრდა კონსტანტინოპოლს.

საერთოდ იყვნენ „ოქროსჩიპელნი“ — ნერვული, მღელვარე, ხმაურიანი, მალემრწმენი, ჭორიანი, ღვთისმორწმუნეც და ეშმასმორწმუნეც, ნათლისმოყვარეც და ჯადოსმადევარიც, მოაზროვნეც და მორეგვნეც, მშიშარაც და პანიკიორიც. ერთ პირგახეულ ჭორიკანას შეეძლო შიშის ზარი დაეტეხა მთელი ქალაქისათვის. შიში, კიდევ, შიშს გააჩნია. ეს კიდევ არაფერი, რომ მამაკაცნი ერთბაშად ცვედნებად იქცეოდნენ, არამედ ისეც ხდებოდა, რომ შიშით ქალებსაც საწიდოვნო რიგი მოუწყვებოდათ და ერთბაშად ქალობა ეკარგებოდათ. და გარბოდნენ „ოქროსჩიპელნი“, მამაკაცყოფილნი და დედაკაცყოფილნი, სადაც და საითაც მოუხდებოდათ, უგზოუკვლოდ, ბღავილით, წივილით, წრიპინით, კრჩხიალებით, ყელის ღადვრით, ეკლესიებში მლტოლვარებით და მხოლოდღა ლოცვით— „კირიელეისონ!!!“

სულ დაეკარგა თავი კეისარ მიხეილ დუკას. თავდაკარგულმა ხალხმაც თვითონ გაუღო კარი კეისრობის ახალ მაძიებელს. სასახლეში შევიდა ნიკიფორე ბოტანიატე. თვითონ შემოეგება მიხეილ დუკა, იმპერატორის გვირგვინიც თვითონ მიაწოდა და მიაძახა: აჰა, ეს გინდოდა და უბრძოლველად გაძლევ, ოღონდ ხალხი ხმლისაგან დაასვენე.

უთხრა და სასახლე დატოვა, ბერის ანაფორით შეიმოსა და სტუდიის მონასტერს შეეხიზნა, ისე, რომ მეტჯერ არარაც ქვეყანა მოუკითხავს, არარაც ცოლი და არარაც შვილი.

მაშინ იგი იყო 27 წლისა — აქამდე სიძე და ახლა ნასიძარი საქართველოსი.

დედოფალი მარიამი, ანუ მართაყოფილი, და მისი ძე კონსტანტინე პორფიროგენეტი პეტრეს სახელობის მონასტერს დამდგარიყვნენ, მართოდმართონი.

აია სოფიას ტაძარში კი უკვე ეკურთხებინათ ახალი კეისარ-იმპერატორი — ნიკიფორე III ბოტანიატე (1078—1081 წწ.).

ბოტანიატეს გახელმწიფება მნიშვნელოვანწილად მაინც განპირობებული იყო კომნენოსების ძლიერი გვარის მხარდაჭერით, სახელდობრ — ძმების ისააკ და ალექსი კომნენოსების თანადგომით და თანამბრძოლობით.

ძმებს დიდი გავლენა ჰქონდათ მაშინ იმპერიაში; თვით იმპერატორობის გეშიც აღებული ჰქონდა მათ სისხლს: ისინი იმპერატორ ისააკ I კომნენოსის ძმისწულები იყვნენ.

და, ამას გარდა, სხვა, „სამეფო ნაკადიც“ ახლოებდა მათ „მაძიებლობისთვის“ საოცნებო საიმპერიო ინსიგნიებთან: ძმათაგან უფროსს, ისააკს, ცოლად შეერთო ირინე, ძმისწული ბაგრატ მეოთხე ქართველთა მეფისა, ანუ ბიძაშვილი დედოფალ მარიამ-მართაყოფილისა (ირინე იყო დემეტრეს ასული, იმ დემეტრესი, ბაგრატის მამას, გიორგი პირველს ოსის ქალთან რომ გაეჩინა და თავს კონსტანტინოპოლში აფარებდა).

და ახლაც, ისააკ და ალექსი კომნენოსებს გადამწყვეტი დასტური უნდა მიეცათ ახალი კეისრის მოულოდნელ გადაწყვეტილებაზე: კეისარი ნიკიფორე ბოტანიატე ცოლად ირთავდა წინა კეისრის ნაცოლარს, დედოფალ მარიამ-მართას.

ნიკიფორე ბოტანიატე მაშინ მოხუციც იყო და ცოლიც ჰყავდა. თანაც ცოლი მეორე ქორწინებით. ცოცხალი იყო და ჯერ კიდევ ისევ ახალგაზრდა თვითონ მარიამის ქმარიც. და კიდევ — რიგიანი ქრისტიანისთვის მით უფრო სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლისთვის, ქრისტიანული კანონიკით, დაუშვებელი იყო არამცთუ მესამე, არამედ მეორე ქორწინებაც კი.

მაგრამ ეს მკრეხელური ქორწინება — ისე, რომ პატრიარქ გრიგოლ VII-ის ანათემასაც ანგარიში არ გაეწია — მაინც მოხდა, რასაკვირველია, ორივე მხრიდან აღძრული ინტერესებით: ბოტანიატე, წარმომავლობით მდაბიო და უაზნო, ცოლად ირთავდა მეფის ასულს, ჰეშმარიტ დედოფალს, თანაც სულით და სხეულით უმშვენიერესს; ხოლო, მარიამ-მართა ამ ქორწინებით სამეფო ტახტის მემკვიდრეობას უნარჩუნებდა თავის ერთას, კონსტანტინე პორფიროგენეტს.

მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, ამ დაწყვილებასაც მალე ერთი მხრისთვის იმედგაცრუება მოჰყვა. სახელდობრ, იმედი გაუცრუვდა მარიამ დედოფალს.

დიახ, ამ უჯიშო ბეხრეკმა ბოტანიატემ ეს უმშვენიერესი ქართველი ქალი ისე „მოიბალახ-მოისაძოვრა“ (ბერძნ. „ბოტანიონ“, „ბოტანე“ — „ბალახი“, „საძოვარი“), რომ მის წინაშე დადებული პირობა არა და არ შეასრულა: ტახტის მემკვიდრედ გერის, კონსტანტინე პორფიროგენეტის ნაცვლად თავისი ძმისწული ს ი ნ ა დ ი ნ ი გამოაცხადა.

მაგრამ მარიამ-მართაც არ ბრძანდებოდა ისეთი მარტივად, ვიწროდ ქალურ ბედ-იღბალზე მოწუწუნე დიაცი, რომელსაც არცერთი ქორწინებით „არ გაუმართლა“ — პირველი ქმარი რომ ისე ბედოვლათი შეახვედრა ავმა „ბედ-მდევარმა“, მეორე კიდევ ისე ბეხრეკი და, რაც მთავარია, სიტყვისა და ფიცის გამტეხი.

იგი ძლიერი მოქმედების გმირად ყოფილიყო დაბადებული. მის ვარ-

შემო ძლიერი პოლიტიკური წრეც შეკრულიყო, როგორც ჩანს, უმეტეს წილ ქართველებით და მათთან დამოყვრებული „პროქართული ელემენტებით“.

„მოყვრები“ კი ისევ ის ყველაზე ძლიერი საგვარეულო აღმოჩნდა — კომნენოსთა საგვარეულო. როგორც ითქვა, ისააკ კომნენოსს აკი მარიამ დედოფლის ბიძაშვილი შეერთო ცოლად, მაგრამ ახლა ესეც საკმარისად არ მიიჩნიეს და „მოყვრობას“ „ნათესაობაც“ მიუმატეს: მარიამ დედოფალმა იშვილა ისააკის უმცროსი ძმა ალექსი კომნენოსი, ამ საგვარეულოში ყველაზე ჭკვიანი, ნიჭიერი, მამაცი და მთელს იმპერიაში პოპულარული პიროვნება.

შვილად აყვანის ცერემონიალიც შედგა საჯაროდ, აია-სოფიას ტაძარში: შვილობილი დედობილის წამოსასხამის ქვეშ დგას მუხლებზე, ხელში ანთებული სანთლით, და ისმენს მღვდლის კურთხევას.

ასეთ „დედაშვილობას“ — როგორც საქმით მალე დადასტურდება — საფუძვლად ედო ორმხრივი პოლიტიკური განაზრახი: უკეთუ ალექსი კეისარი შეიქნებოდა, მისი „თანაკეისარი“, გვირგვინისა და წითელი წაღების ტარების უფლებით, უნდა ყოფილიყო კონსტანტინე, ძე მარიამისა.

ამ „მოყვრულ-ნათესავურ-პოლიტიკური ალიანსის“ ერთ უსაჩინოეს თავკაცად გამოსჩანს ქართველი მხედართმთავარი გრიგოლ ბაკურიანის ძე. იგი მაშინ იმპერიის აზიურ პროვინციათა ჯარების მთავარსარდალი იყო და ასედაც ეძახდნენ — „აღმოსავლეთის ზორავარი“. მასთან იყო უმცროსი ძმა, მისი „თანაზორვარი“, ა ბ ა ს ბ ა კ უ რ ი ა ნ ი ს ძ ე.

თვითონ ალექსი კომნენოსი იმჟამად იმპერიის დასავლეთ პროვინციათა საომარ ძალებს მთავარსარდლობდა და ამის მიხედვით მისი ტიტული იყო — „დასავლეთის დიდი დომესტიკოსი“.

ასე რომ, ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ-დასავლეთის საომარი ძალები ქართველის და ბერძნის ხელში იყრიდა თავს.

ამასთან, ალექსის გრიგოლისთვის აღეთქვა — უკეთუ მე კეისარი გავხდები, მაშინ შენ იქნებიო დასავლეთის დიდი დომესტიკოსიც... და ყველაფერი ისე ქმნეს, როგორც თქვეს.

1081 წლის აპრილში, ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ-ბ ა კ უ რ ი ა ნ-კ ო მ ნ ე ნ ო ს თ ა წრემ ისარგებლა იმპერიის ყოველ კუთხეში ატეხილი არეულობით, გარედან თურქთა მოწოლით, კონსტანტინოპოლში შექმნილი ანარქიით და ჯათიით, და თავიანთი საომარი ძალებით იერიში მიიტანეს სატახტოზე.

და „ოქროს ჯიხი“ ერთხელ კიდევ დაეცა და განერთხა მისივე ჯარისკაცების ფერხთა ქვეშე.

და კომნენოსთა და ბაკურიან-სძეთა ჯარისკაცებმაც იჯერეს გული ძარცვა-გლეჯითაც, სისხლის ქცევითაც, დიაცთა დამდაბლებითაც.

ტახტიდან ჩამოგდებულმა ნიკიფორე ბოტანიატემ თავი ბედნიერად ჩათვალა, რაკი დარჩენილი სიცოცხლის დღეები არ მოუსწრაფეს და მხოლოდ მონაზვნად აღკვეცეს. იმასაც, როგორც ყოველ ადამის შვილს, ხორცი ეპმეოდა და თმა ეზრდებოდა შეუჩერებლივ. თმა კვლავაც ამოსდიოდა, ნებართვით და აუკრძალავად, ოღონდ საღარდებელი ახლა ის დარჩენოდა, ხორცის ჭამა რომ ეკრძალებოდა.

ბიზანტიის სამეფო ტახტზე უკვე იჯდა ალექსი კომნენოსი (1081—1118 წწ.).

„თანაკეისრად“ და „მემკვიდრედ“, თავზე გვირგვინით და ფეხებზე წითელი წაღებით, გვერდით ესვა ჰაბუკი კონსტანტინე პორფიროგენეტი, დუკა-ბაგრატიონი, ძე დედოფალი მარიამ-მართა ბაგრატიონისა, „ძეგლი ბუნებისა“, „ნაშიერი ოქროს მოდგმისა“.

თვითონ მარიამს სასთუმალქვეშ ედო ოქრობეჭედი, ახალი იმპერატორისგან წითელი მელნით ხელმოწერილი, საბუთი იმისა, რომ მის ძეს საიმპერიო ტახტისმემკვიდრეობა კვლავაც არ გასცუდებოდა.

ორ წელიწადში, 1083 წელს, მარიამისთვის იმპერატორობის პირობას მეტი დამაჯერებლობა მიეცა: ამ წელს ალექსი კეისარს შეეძინა ასული, ანნა, რომელიც მამამ მაშინვე დაწინდა მარიამის ძის საცოლედ, მაშასადამე იმპერის მომავალ დედოფლად.

მომავალ სადედოფლოს და სასძლოს თვითონ მარიამი ზრდიდა...

ეს „ბედნიერი“ ბაგრატიონ-კომნენოსური „სანათესაო“ ერთ სასახლეში ცხოვრობდნენ ერთად — მანგანის სასახლეში...

დიახ, ჯერჯერობით ყველაფერი ისე იყო და ისე ვიდოდა, როგორც ფიქრობდნენ, ბჭობდნენ, ამბობდნენ.

ჯერჯერობით-მეთქი, რადგან ხშირად, ადამიანები რომ ბჭობენ, ფორტუნა მაშინ სიცილით კვდება.

ფორტუნას სიცილი და ლაზღანდარობა კი ადამიანის ცრემლი, წუხილი, გოდებაა.

და „ოქროს ჭიპზეც“ ლაზღანდარობით ჭიპზე იხეოდა ფორტუნა...

კონსტანტინე პორფიროგენეტი, ანუ „ძოწითშობილი“, ანუ ბაგრატიონულ-მეფური სისხლის „ოქროს ნაშიერი“ ისე ნაადრევად აღესრულება, ვერც ხელმწიფობას ეღირსება, ვერც ხელმწიფის სიძობას.

მარიამ დედოფალიც — შვილის ხელმწიფობის მოსწრებაში რომ ათენაღამებდა — მის სიკვდილს მოესწრება. და ამ დღიდან თვითონაც მკვდარი იქნება, სულით მკვდარი, რაკიღა სულისმიერი სიცოცხლე მის ძეს წაჰყვება, იქ, სულეთში.

უიღბლო „ოქროს ნაშიერს“, კიდევ, მისი საცოლისა და სადედოფლოს ბწარე სინანულიც წაჰყვა — ანნა კომნენოსის, მომავალი მემატიანისა, მისი შფოთიანი დრო-ჟამის ამსახველი, „ალექსიადის“ ავტორისა.

ჯერჯერობით (ჯერჯერობით-მეთქი!), გრიგოლ ბაკურიანის ძეს არ ღალატობდა მისი საწუთისოფლო ბედისწერა.

მადლიერმა ალექსი კომნენოსმა ტახტზე ასვლისთანავე იგი დანიშნა იმპერიის საომარ ძალთა მთავარსარდლად — „დიდი დომესტიკოსის“ და „სევასტოსის“ ტიტულებით.

დიდი ცხოვრების გზა გამოეცლო ამ „გაუცხოებულ ქართველს“. დაბადებით ტაოელი, ძე ბრწყინვალე ქართველი დიდაზნაურის ერისთავთ ერისთავი ბაკურიანისა, ყრმობიდან სიკვდილამდე იყო უერთგულესი მსახური, დაუღლელი მჭედელი და აღმშენებელი უცხო თესლის ისტორიისა, ანუ საისტორიო „ახირებით“, „ბიზანტიად“ წოდებული იმპერიისა.

მაშ, გრიგოლ ბაკურიანის ძეც ეკუთვნოდა საისტორიო მოღვაწეთა იმ „თანავარსკვლავედს“, რომლებიც იშვნენ „შუბლსა ზედა“ და იცხოვრიღვაწეს „ჭიპსა ზედა“ დედამიწისასა.

ასეთი „გაუცხოების ნაკადით“, გრიგოლს მრავლად ჰყვანდა წინამორბედნი, — თუნდაც:

ბაკურ იბერიელი („სიბრძნის მდელო“),
ვეტრანიონ ლაზი,
ბუზმირ იბერიელი,
ფარსმან იბერიელი,
სუბარმახიოს კოლხი,
პეტრე იბერიელი,
იოანე ლაზი,
ფარსმან კოლხი,
ფირან იბერიელი,
რუფინე კოლხი,
ლეონტი კოლხი,
ზავნა კოლხი,
ბაკურ ფირანის ძე იბერიელი,
ფაზა იბერიელი,
თორნიკე პროტოსპათერი,
ფარსმან იბერი იერაპოლისელი.

უცხოობაში სწრაფად იხვეჭდნენ სახელ-დიდებას ქართველნი — გახელებით „სახელისა მეძიებელნი“.

(ქართველნი — „სახელისა მეძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქუეყანასა და მეფესთა თვისსა“, — ითქმება ეს ვახუშტი ბაგრატიონის „ისტორიაში“. შვიდასი წლის შემდგომ.

საკუთარი სახელისა და აღზევებისათვის არც თავის, საკუთარ ქვეყანას დაგიდევენ და არც მეფესო!).

მხოლოდ საქართველოში უპირდათ „სახელის მეძიებლობაში“ პირველობა ქართველებს.

რა გაეწყობა, — ძნელია პირველობა ქვეყანაში („შუბლსა ზედა“), სადაც ყველა პირველია, ანუ ყველს შუბლი ია“.

უცხოობაში კი — მოგეცა ლხენა — რომელ უცხოს შეუძლია „საუცხოო ქართველის“ მეტოქად დგომა!

და იყო იმჟამინდელ „ჭიპსა ზედა“ უძლიერესი „შუბლთაგანი“ — გრიგოლ ბაკურიანის ძე.

„ქართველნი ვართ ნათესავნი მხნენი და მხედრობათა შინა აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩვეულნი“, — იტყოდა თვითონ, სწორუპოვარი მხედარი და მხედართმთავარი.

იგი უნდა დაბადებულიყო ბასილი კეისრის ხელმწიფობის, სადღაც, ბოლო წლებში და ამის შემდგომ იცხოვრა და იღვაწა 15 კეისრის ხელმწიფობის ჟამთა სიგრძეზე — ბასილიდან ალექსი კომნენოსამდე. დროს ეს ნაკვეთი კი უდრის, დაახლოებით, 67—70 წელიწადს.

ბიზანტიის 15 კეისრის ხელმწიფობის საერთო ხანგრძლივობა კი ეტევა ქართველი მეფის ხელმწიფობის ხანგრძლივობაში.

მაშასადამე, გრიგოლ ბაკურიანის ძე თავისი წუთისოფლის 65—70 წლის მანძილზე მოესწრო 18 გვირგვინოსნის ხელმწიფობას, საიდანაც 15 ბიზანტიის კეისარია და მხოლოდ სამი საქართველოს მეფე.

(ასეთი პროპორციაც ნათლად მეტყველებს, რომელი „ორგანო“ უფრო ხშირად ემღვრეოდა და ეშლებოდა დედამიწას — „ჭიპი“, თუ „შუბლი“).

თვითონ გრიგოლისაგან ვტყობილობთ, რომ იგი სხვადასხვა დროს, ან ერთდროულად, განაგებდა: კარს (ყარსი), თეოდოსიოპოლს (კარნუ-ქალაქი, ერზერუმი), ზმოლენს, სომხეთს, სირიას, იბერიას (ტაო).

ბოლოს, მიიღო აღმოსავლეთის დომესტიკოსის („ზორავარის“) თანამდებობა და, როგორც ზემოთ ითქვა, ამ თანამდებობითვე შეხვდა იგი საქართველოს მეფეს, გიორგი მეორეს; შეხვდა და „მოსცა კარის ციხე-ქალაქიდან მისი მიმდგომი ქუეყანა“.

(ერთადერთი სიკეთე, რაიც ამ სიკეთით სავსე „გაუცხოებულ ქართველს“ გაუკეთებია თავის მშობელი საქართველოსთვის... ან რად ვსაყვედურობთ, როცა წელან ჩამოთვლილ მის დიდ „საუცხოო წინაპართაგან“ არც ერთს, არც „ერთადერთი“ და არც საერთოდ თითი თითზეც არ დაეკარებიათ მათი მშობელი საქართველოსთვის!).

1081 წელს, — მაშინვე, რა წელსაც კეისრის ტახტზე ავიდა, — ალექსი კომნენოსმა თავისი მთავარი დომესტიკოსი სალაშქროდ აწვია ილირიაში ჩამომდგარ ნორმანთა ბელადის, რობერტ გვისკარის წინააღმდეგ.

შეჰყარა ლეგიონები გრიგოლ ბაკურიანის ძემ, თანაშემწე სარდლად ნიკოლოზ ვრანა დაინიშნა, მისებრ მამაცი და გამოცდილი თანაშხედარი, და კეისარს ეახლა.

და განდევნეს ნორმანები ილირიიდან კეისარმა და მისმა მთავარმა დომესტიკოსმა.

ესეც ახალი სახელი იყო „სახელისა მეძიებელი“ ქართველისათვის.

გრიგოლს, მისი დიდი დამსახურების კვალობაზე, ბიზანტიის საიმპერატორო კარისაგან საკანგებოდ გაცემული სიგელებით და ხრისობულებით (ოქრობეჭდებით), მიღებული და დამტკიცებული ჰქონია მამულები: ანისში, ტაოში, არმენიაში, მოსინოპოლში, ფილიპოპოლში, ახრიდონში, სიკონში, ხარპეტიკიონში, ვოლერონოში და პეტრიწონში.

პეტრიწონი კი, სწორედ გამორჩეული სიყვარულისა და ყურადღების საგნად ჰქონია გრიგოლ ბაკურიანის ძეს, უკვე დასავლეთის დიდ დომესტიკოსსა და სევასტოსს.

პეტრიწონი (შემდგომში — სოფელი ბაჩკოვო) მდებარეობდა ბალკანეთზე, ძველ თრაკიაში (შემდგომში — ბულგარეთი), როდოპის მთის კალთაზე.

მანამდე პეტრიწონი საკუთრებად ჰქონოდა თვითონ დედოფალ მარიამ-მართაყოფილს, და ალბათ, სწორედ დედოფალმა მიუძღვნა იგი თავის ერთგულ თანამემამულე სარდალს.

და ააშენა გრიგოლ ბაკურიანის ძემ, 1083 წელს, პეტრიწონში სავანე, რამდენიმე ნაგებობით: მთავარი ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისა, ორი ეკლესია იოანე ნათლისმცემლისა და წმინდა გიორგის სახელობისა, სამი სასტუმრო, საავადმყოფო, სემინარია და საძვალე-სამარხი (აქ გადმოასვენა გრიგოლმა თავისი გარდაცვლილი ძმა, აბაზ ბაკურიანის ძე, და აქვე უნდა დაკრძალულიყო თვითონაც).

მშენებლობათა დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ (1084 წ.), პეტრიწონის სავანეს უკვე ჰქონდა თავისი „ტიპიკონი“, ანუ „წესდება“, შედგენილი თვითონ გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ, დაწერილი ქართულ და ბერძნულ ენებზე.

პეტრიწონის „ტიპიკონის“ დაწერიდან განვლო ერთმა წელიწადმა.

დამდგარიყო 1086 წელი. მტრის ახალი შემოსევის ამბავი მოიჭრა კონსტანტინოპოლს. სკვითების ურდოს გადმოელახა დუნაი; სკვითებს ადგილობრივი ერეტიკოსები, მანიქეველები და პავლიკიანები შეერთებოდნენ, ფილიპოპოლთან მოეყარათ თავი და უკვე კონსტანტინოპოლზე სალაშქროდაც იკაზმებოდნენ.

მაშინვე გრიგოლ ბაკურიანის ძე იხმო კეისარმა ალექსი კომნენოსმა; ჯარის შეყრა და საომრად გასვლა უბრძანა. თანაშემწედ მთავარსარდალს ნიკოლოზ ვრანა დაუნიშნა.

ჯარიც შეჰყარეს და სალაშქრო გზაზეც უმალვე გავიდნენ, დუნაის მიმართულებით. ბელიატოვოს ციხეს მიუახლოვდნენ და მოწინააღმდეგის ბანაკიც გამოჩნდა.

პირველი თვალის დაკვრისთანავე მიხვდა გრიგოლ ბაკურიანის ძე: რიცხობრივადაც და პოზიციურადაც მტერს სრული უპირატესობა ჰქონდა.

ამჯერად ისა სჯობს ბრძოლისგან თავი შევიკავოთ და ჯარი აშკარა და

ამაო ამოწუვეტისაგან გადავარჩინოთო, — თქვა დინჯად მთავარსარდალმა.

მაგრამ დაიჩემა მისმა თანაშემწემ ნიკოლოზ ვრანამ — უეჭველად ახლავე უნდა შევებათ მტერსო, და უკეთუ ასე არ მოვიქცევით, მაშინ ლაჩრები გამოვდივართო.

სიტყვა „ლაჩრობამ“ ააფეთქა მოხუცი ქართველის გული. იქნებ, ვინ იცის, ვინმემ მართლა ლაჩრობა დამწამოსო („უცხოელობა“, ქართველობა გამახსენოსო!), და მაშინვე საბრძოლოდ დააწყო ჯარი. შუაკერძში თვითონ ჩადგა, წარუძღვა და ხმალშემართული პირველივე დაეძგერა უკვე იერიშზე გადმოსულ მტრის შუაგულს.

ხმალთაკვეთება დადგა უსასტიკესი. დასაწყისშივე აშკარა აღმოჩნდა სიმართლე ქართველი დომესტიკოსის მწარედ ნაწინასწარმეტყველევისა — ბრძოლად გასვლა იმ პირობებში თურმე მართლა მხოლოდ უაზრო თვითგაჟლეტას უდრიდა. ბრძოლაში დაეცა ვრანა, მიზეზი ამ კატასტროფისა. უკვე ჭრილობებით სისხლისგან დაცლილიყო თვითონ გააფთრებით მებრძოლი გრიგოლ ბაკურიანის ძე. ბოლოს, კვლავ ჭრილობა შორიდან ნატყორცნი ხელშუბით, ყალყზე ავარდნილი ცხენი და, იქვე, უზარმაზარ მუხას შეასკდა სისხლისაგან დაცლილი მოხუცი სარდალი.

უკვე მკვდარი იყო დიდი დომესტიკოსი. მისი ჯარისკაცებიც სულ ერთიანად გაეწყვიტათ გამარჯვებულ სკვით ველურებს და მათ „თანაველურ მწვალებლებს“.

ცხარე ცრემლით დაიტირა კეისარმა ალექსი კომნენოსმა დაღუპული ლეგიონები. მაინც გამორჩეული ცრემლისღვრით იგლოვდა გრიგოლ ბაკურიანის ძეს, უმამაცეს სტრატეგოსსა და უახლოეს თანამებრძოლს, სწორედ რომლის სიახლოვემ და თავდადებულმა სამსახურმა შესძინა მას უზენაესი კეისრული ინსიგნიები.

დაიკრძალა გრიგოლ ბაკურიანის ძე მისგანვე ნაღვაწ-ნაამაგარ პეტრიწონს მისგანვე ნაშენ სამარხსა შინა, მისი ძმის აბასის გვერდით.

იწვა დიდი ქართველი, დიდი საქართველოდან შორს.

ქართველი?!

ნაქართველარი?!

„გაუცხოებული ქართველი“, რომლის მარადიული ქართული ენათმეტყველება, ფიქრთმეტყველება, სიზმართმეტყველება, ქართული წუხილი, ქართული ზრუნვა — მაინც ყოველივე ქართული განივთებულიყო იქ, პეტრიწონში, მისი ხელითვე ნაგებ „საქართველოში“.

თვითონ დედა საქართველოდან კი რა წაეღო და რა ჩაჰყოლოდა მისგან ისე ნალოლიავებ „გაქართულებული პეტრიწონის“ მიწაში?

ისიც არ ვიცით, საქართველოდან წაღებული მუჭა-მიწა მაინც თუ ჰქონდა ყელზე შესკვნილი.

(მაინც რას იწონის — რას-მეთქი და არა რამდენს — ასე მუჭა-მუჭად საქართველოდან გატანილი საქართველოზე!)...

●

კეისარმა ალექსი კომნენოსმა მაინც იხსნა თავისი საბატონო ქვეყანა, — ამ ერთხელაც იხსნა. ხაზინიდან უკანასკნელი გროშები გაიმეტა, ჯარისკაცებს ერთი წლის ჯამაგირი წინასწარ დაურიგა, ლეგიონები გაამრავლა და მათი შემწეობით მწვალებელთა აჯანყებაც ჩაახშო და სკვით-პაჭანიგთა ურდოც დუნაის გადაღმა უკუჰყარა.

საქართველო კი ბიზანტიის იმედად მაინც ვერა და ვერ იქნებოდა.

საქართველოს ბიზანტია და მისი „ერთმორწმუნეობა“ თუ სჭირდებოდა, თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ სჭირდებოდა, ხოლო საისტორიო ბედისწერას ისე მოეწყო, რომ ქრისტიანთა და ევროპელთა მოსისხლე თურქები თვითონ დასჭირვებოდა ქრისტიანთა ხელმწიფეს — ალექსი კომნენოსს, დასჭირვებოდა თვით თანაქრისტიან და თანაევროპელ ნორმანთა შემოტევების შესაკავებლად.

თურქები უკვე ანატოლიაში იყვნენ და იდგნენ მყარად, ფეხმოუცველელად. აქ უკვე ცალკე თურქული სახელმწიფოც ჩამოყალიბებულიყო, რ უ მ ი ს სახელწოდებით, რომლის დამოუკიდებლობა, რასაკვირველია თავისადმი ვასალურ-ქვეშევრდომულ მდგომარეობაში, კიდევაც ეცნო დიდ სულტანს, მალიქ-შაჰს.

მალიქ-შაჰს „შაჰის“ ტიტულის ტარების უფლებაც მიეცა რუმის თურქთა ბელადის, ს უ ლ ე ი მ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს.

და უმწარებდა სიცოცხლეს სულეიმან-შაჰი უწინარესად აზიაში მცხოვრებ ქრისტიანებს — ქართველებს, ბერძნებს, სომხებს. გამორჩევით, სომხებს მისჭირვებოდათ, თურქთაგან სავსებით დამონებულ, სახელმწიფოებრივად სრულიად წარხოცილებს პირისაგან მიწისა.

საქართველოს კი ასე იოლად ვერ ინელებდნენ სელჩუკიანნი. შეუძლებელი ჩანდა, სრულიად შეუძლებელი, „ერთი შებერვით“, თუ ერთი ამოხვნეშით საქართველოს ჩაყლაპვა. ამიტომ ფრთხილად „თამაშობდნენ“ თურქნი „მალულ დაფაზე“; გეგმაზომიერად, თითქოს „იზოგავდნენ“ ეგზომ მადლიან „მოსაჭმელად“ ნოყიერ ქვეყანას. „მოსაჭმელად“ კი ყოველ გაზაფხულს მოდიოდნენ, დაზამთრებამდე რჩებოდნენ, ზამთრის პირზე ისევ უკანვე ბრუნდებოდნენ „ნაჭამ-ნასვამნი“ და ნაოხარნი, რათა მომავალ წელს კვლავ წამოსულიყვნენ საგაზაფხულოდ მათგანვე ველურ-იალაღებად ქცეულ ქართულ მიწაზე „სალაღობოდ“.

1084 წელს სულეიმან-შაჰმა ანტიოქია წაართვა კონსტანტინოპოლის

ტახტს. კონსტანტინოპოლს ენა ჩაუვარდა. მალიქ-შაჰმა ანტიოქიის დაუფლებისთვის მოლოცვა გამოუგზავნა სულეიმანს.

სულ აიშვა და აიწყვიტა სულეიმან-შაჰმა; ანტიოქია ალარ იკმარა, ბიზანტიის უფრო სიღრმისკენ წამოემართა და ზედიზედ დაიჭირა ნიკეა, ნიკომედია და კონია, ყველანი ერთ საბატონოდ შეკრა, ბატონად თავისი ძე, ყ ი ლ ი ჩ-ა რ ს ლ ა ნ ი ჩაუყენა და თვითონ კი ისევ ანტიოქიაში დაბრუნდა.

ნიკეა-ნიკომედიაში დგომა უკვე კონსტანტინოპოლის კარზე დგომას ნიშნავდა და, ვინ იცის, დღე-დღეზე, ამდენი გამარჯვებით გათამამებულ თურქს ბარემ „ოქროს ჭიპზედაც“ აღემართა მახვილი თვისი.

და თუ ეს არ მოხდა, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ სულეიმან-შაჰს თვითონ, ზურგშივე გაურთულდა საქმენი; მის წინააღმდეგ იარაღი აესხა სირიის არაბთა ბატონს, შ ე რ ე ფ ად-დ ო ვ ლ ე ს, რომელსაც ალეპოს (ჰალაბის) დაპყრობა მოესწრო და ახლა ანტიოქიის დასაპყრობად მიიჩქაროდა, ასი ათასიანი არაბული არმიით.

სულეიმან-შაჰიც მიეგება თავისი ჯარებით და ბრძოლაც ამასვე იღბლიანად გაუთავდა: შერეფ ად-დოვლე თვითონ მისმა ჯარისკაცებმა გაათავეს და ბრძოლის ველიც სულ მიატოვეს.

სულეიმან-შაჰს ახლა ალეპოს აღება და მთელი სირიის დაპყრობაც მოუნდა, მაგრამ აქ უფრო საშიში მოპირდაპირე გამოუჩნდა. ეს იყო თვითონ სულტან მალიქ-შაჰის ძმა— თ უ თ უ შ, რომელმაც სულეიმანი სასტიკად დაამარცხა, იქვე, დამარცხებულმა სულეიმანმა საკუთარი მახვილით სიცოცხლეც თვითონვე მოისწრაფა.

ახლა თუთუში შეიქნა მუსლიმური სამყაროს მეორე დიდი მბრძანებელი, მისი ძმის, სულტან მალიქ-შაჰის გვერდით.

ასე „გვერდით ყოფნა“ კი ვერ მოითმინა თვითონ მალიქ-შაჰმა,— თუნდაც ეს „გვერდით მყოფი“ მისი ღვიძლი ძმაც ყოფილიყო. ამიტომ ძმის შემდგომი წინსვლისა და გამძლავრების გასანელებლად, მალიქ-შაჰმა ბიზანტიის გამოყენება სცადა და სწორედ ამ მიზნით, კონსტანტინოპოლს, კეისარ ალექსი კომნენოსთან გაგზავნა თავისი უახლოესი კარისკაცი, სახელად ს ი ა უ შ.

სიაუში ალექსის წარუდგა, მალიქ-შაჰის წერილი გადასცა და სიტყვიერადაც აცნობა: დიდი სულტანი დიდ კეისარს დამოყვრებას სთხოვს— ასულს, ცოლად თავისი ძისა და ტახტის მემკვიდრისათვის. სამაგიეროდ თურქთა სულტანი თურქულ ციხიონებს გაიყვანს მისგან დაპყრობილ ზღვისსანაპირო ბიზანტიური ციხე-ქალაქიდან. თან, ელჩმა კეისარს აჩვენა სულტნის წერილობითი ბრძანებანი მოხსენებულ ქალაქთა ამირებისადმი— დაებრუნებინათ მათი სამმართველო ქალაქები ძველ, ქრისტიან პატრონთათვის.

კეისარი ალექსი კომნენოსი ჯერ მდუმარედ უსმენდა სულტნისაგან

წარმოგზავნილ მოციქულს. ჯერ იგი მთლიანად თვითონ ამ კაცის გარეგნობას, ჰკვიან საუბარს და კეთილშობილურ მანერებს დაეპყრო.

საოცრად მომხიბლავი და შთამბეჭდავი ვაჟკაცი ყოფილიყო სიაუშ.

და უცებ ჰკითხა კეისარმა: თვითონ ვინა ხარ, სადაური, წარმომავლობით, დედით და მამით?

— დედით იბერიელი ვარ, მამით კი თურქიო, — მაშინვე მიუგო სიაუშმა.

დედით იბერიელი, ქართველი?!

მაშ, დაბადებით ქართველი.

ენის ამოდგმით ქართველი.

შობითვე რომ ქართულია მისი ენათმეტყველებაც, ფიქრთმეტყველებაც, სიზმართმეტყველებაც!

ახლა უკვე გასაგები იყო „იბეროფილი“ („გეორგოფილი“, „ქართველთმოყვარე“) ალექსი კეისრისათვის, რატომ ყოფილიყო „ეს თურქი“ ასე მომხიბლავი და დამატყვევებელი.

ხოლო, რაკიღა შენ დაბადებით ხარ ქართველი, უნდა იყო ქრისტიანიც!

მაგრამ, არა, ქრისტიანი არა ყოფილა ეს „თურქად მოსული“ ქართველი — იგი მუსლიმი ყოფილა, ვითარცა თურქი ყოველი.

და შეუჩნდა მაშინ ალექსი კეისარი სიაუშს, მიიღე წმიდა ნათლობა და გახდი ქრისტიანი, მაშასადამე — ერთმორმწუნე არა მხოლოდ ჩვენთა ბერძენთა, არამედ უწინარესად, შენთა მოძმეთა ყოველ ქართველთა, ვითარცა ყოველ ქრისტიანეთა.

შეუჩნდა ალექსი კეისარი და დიდი „შეჩენაც“ ალარ დასჭირვებია; სიაუში თითქოს ამ დღესაც ელოდა და მისცა თანხმობა: ქრისტიანობასაც მივიღებ და აქვე დავრჩები, უკან ალარ გავბრუნდებიო.

ესეც ბუნებრივი უნდა ყოფილიყო ამ „ბუნებრივი ქართველისათვის“ — ან რა დღე დაადგებოდა უკან მიბრუნებულს, მისგან ნაღალატევი სელჩუკიანი სულტანის კარზე...

მაგრამ სანამ შენს ნათლიღებას აღვასრულებდეთ, შენს ხელთ არსებული ეს სულტნის ბრძანებანი ჩემს ციხე-ქალაქებში ჩამდგარ თურქ სატრაპებს აჩვენე და ქალაქები თურქული ციხიონებისაგან დააცლევინო, — განაგრძობდა „ბუნებრივად ცბიერი“ ბერძენი „ბუნებრივად გულუბრყვილო“ ქართველის „დამუშავებას“.

და ამაზე თანხმობის მიცემაც კიდევ უფრო ბუნებრივი უნდა ყოფილიყო „დაბადებით ქართველისათვის“.

და ჩამოუარა სიაუშმა, მალიქ-შაჰის ბრძანებით ხელში, ზღვის სანაპირო ქალაქებს. სინოპიდან დაიწყო, აქ მდგარ თურქ სატრაპ-ამირას მიადგა, ვინმე ხარატიკს, თუ კარატეკინს, სულტნის ბრძანებითვე უბრძანა, ქალაქი დაეტოვებინა მისი ციხიონითურთ. იმას რაღა ეთქმოდა და გა-

ვიდა, ცოფით ატანილი, ისე, რომ ქალაქიდან გასვლისას იქაური ღვთისმშობლის ტაძარი შებილწა, უმალვე, რაღაც „დემონის ჩარევით“, ტვინიც შეერყა და მოღრეცილ პირიდან დუჟიც უხვად დასდინდა; მთავარი კი მაინც ის იყო, რომ ეს ფულზე სიგიჟემდე დახარბებული მძარცველი სიაუშმა სინოპიდან ისე გააძევა, ერთი გროშიც რომ არ გაატანა.

და, თურქი მმართველი რომ გაუშვა, მაშინვე მის ადგილზე, სინოპის „არხონტად“ სიაუშმა დასვა ბერძენი კონსტანტინე დალასენოსი, ნათესავი თვითონ კეისარ ალექსი კომნენოსისა.

სინოპის მსგავსად, სიაუშმა დანარჩენი სანაპირო ციხე-ქალაქებიდანაც თურქული გარნიზონები გააყვანინა და ბიზანტიური ციხიონები შეაყვანინა.

მობრუნდა სიაუში კონსტანტინოპოლს, ქრისტიანად მოინათლა და აქვე დარჩა, ქრისტიანი ხელმწიფის სამსახურად.

თურქთა დიდ სულტანს, მალიქ-შაჰს, ბიზანტიის კეისართან „დამოყვრების საქმე“ ჩაეშალა.

ჩაეშალა მისი „ერთგული ქართველის“ წყალობით.

თავისი შეტოქე ძმა, თუთუში, კი მოიშორა მალიქ-შაჰმა — ბიძაშვილებს დააკვლევინა, — მაგრამ სიაუში?, მისი ღალატი?!

უცნაური კი ჩანდა: ქართველს ეღალატნა უცხოელისთვის!

გასაგები და ბუნებრივი იქნებოდა, ქართველისთვის რომ ეღალატნა, ხოლო ეს „საუცხოო ქართველი“ უცხოელს როგორ ღალატობდა?!

თუმცალა, უკეთუ უკეთ ჩაეუკვირდებით, იქნებ ღალატიც არ ეთქმოდა, — არ ეთქმოდა, რადგან მან ხომ იგი მაინცდამაინც უცხოელისთვის ჩაიდინა!

საუცხოო ქართველმა ერთ უცხოელს მეორე უცხოელის (და არა ქართველის!) საკეთილდღეოდ უღალატა.

ეს კი „საუცხოო ქართველს“ ღალატად არ ჩაეთვლება...

●

საქართველოს კი უკვე სულს ხდიდა „დიდი თურქობა“.

ამაო იყო პირადი სიმამაცე და შემმართებლობა ფარცხისის გმირის, შეფე გიორგი მეორისა.

ბოლოს, გატყდა თავმომწონე ხელმწიფე და გადაწყვიტა პირადად სწვეოდა სულტან მალიქ-შაჰს მის სატახტო ქალაქ ისფაჰანში. ჯერ დიდებულთა თათბირი შეჰყარა, ეთათბირა, ყველამ წასვლა ურჩია და ესეც წავიდა ეგზომ სახიფათო და საშიშ გზაზე — „ესრეთ დადვა სული თვისი და სიცხლნი ქრისტიანეთა ხსნისათვის“.

და აი, 1083 წელს, ისფაჰანში, სელჩუკიანთა მაშინდელ სატახტოში,

ერთმანეთს შეხვდნენ თურქთა და ქართველთა ხელმწიფენი. შეხვდნენ და უმალვე, თითქოს, ძალიანაც მოიწონეს ერთმანეთი. ქართველთა მეფის ხილვით „აღტაცებულმა“ მალიქ-შაჰმა მაშინვე „შეიყუარა“ იგი, „ვითარცა შვილი საყუარელი“. გიორგის სულტანი ეჩვენა, „სახითა სიტკბოებისათა და სახიერებითა აღმატებულ ყოველთა კაცთასა... და ყოვლად უბოროტო...“

და სულტანისაგან „შეწყნარებულ იქმნა“ ქართველი მეფის სათხოვარი, „ვითარცა შვილისა საყუარელისა“.

ამიერიდან შენი ქვეყანა თავისუფალი და ხელშეუვალი იქნება „ზედამარბეველთაგან“ — აღუთქვა გიორგის მალიქ-შაჰმა — მხოლოდ ხარაჯა გადამიხადე ყოველ წელს, და სხვა მხრივ შენი შემწუხებელი აღარ ვიქნებიო. ამას გარდა, კახეთი და ჰერეთიც ამიერიდან შენი იყოსო, ის კი არა და, ჩემს ჯარსაც გაგატან, კახეთ-ჰერეთის დაუფლებაში რომ დაგეხმაროსო.

და გამოისტუმრა ეგზომ „მოალერსებული“ გიორგი მეფე თურქთა სულტანმა.

მოდიოდა გიორგი და ფიქრობდა (უკეთუ ფიქრობდა!), რომ ერთადერთი რეალური, ნამდვილი, რაც მან მოიპოვა, იყო უღელი მტრისთვის ხარაჯა-ხარკის ძლევისა, ამიერიდან „უამთა მრავალთა“. ხოლო, დანარჩენ ორ პირობათაგან — კახეთ-ჰერეთის დაუფლება და თურქთა შემოსევების შეწყვეტა — ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვიერი პირობა იყო და რეალურ ხორცშესასხმელად ნაკლებ დამაჯერებელი.

ის თურქული ჯარიც, რომელიც ახლა საქართველოსკენ წამოსულ მეფეს, „შემწედ“ მოსდევდა — იქნებ უფრო რეალურად, „შემწედ“ კი არა, ადრე ნაჩვევ „შემჭმედ“ მოდიოდა ქართულ მიწაზე.

ასე იყო, თუ სხვაბრე იქნებოდა, ახლა გიორგი მეფე, მისი ფიქრით, მოდიოდა მალიქ-შაჰისგან „განდიდებითა დიდითა“.

და პირდაპირ კახეთს მიადგა მეფე გიორგი, თურქთა ჯარებით.

შეიჭრა და მთავარ ციხეს, ვეჟინს შემოადგა ალყად.

იდგა მაშინ შემოდგომა, „ჟამი სთვლისა“. შემოდგომაც გავიდა, ზამთარიც შემოიქუფრა და ვეჟინის ალყაც, უძვრელად და უწარმადოდ, მხოლოდ ალყად დარჩენილიყო.

უკვე თოვაც დაიწყო, ხვავრიელად, და უცებ, გიორგი მეფემ მთელი თანამედროვე და მომავალი ისტორია გააცვირვა სწორედ „უნიკალურ-ორიგინალური“ ახირებულობით:

„მოეხსენა ნადირობა აჯამეთისა“ და უმალვე — რა დროს ომი და ვეჟინია, უკვე თოვს და აჯამეთის ტყეებში ნადირობის დრო ჩამომდგარა; ახლავე ნადირობად მივდივარ აჯამეთს

თქმა და ქმნა ერთი იყო: ვეჟინს ალყა მოხსნა, თურქთა ჯარი ივრის

ხეობაზე მიუშვა და თვითონ იმერეთს გადავიდა სასწრაფოდ, აჯამეთის ტყეებში გარეულ ტახებზე სანადიროდ.

თურქებმა საშინლად აიკლეს, მოაოხრეს და „მოსჭამეს“ იერის ხეობა, სრულიად კახეთი.

მაშინ აღსართან კახთა მეფემ — მტრის ხელით მტრობა აგრე არ უნდაო და — თვითონაც ეწვია სულტან მალიქ-შაჰს, ქრისტიანობა მოიშორა, წინადაიცვითა, მუსლიმად მოინათლა და კახეთიც ისევ თურქთა ჯარებით დაიჭირა და კახურ ციხეებშიც თურქული ციხიონები შეაყენა.

მეფე გიორგის შეჭირვებამ ლალატის გუნებაზე განაწყო არაგვის ერისთავი ძაგან აბულეთის ძე, რომელმაც ირწმუნა, რომ მეტოქეობის სასწორი საბოლოოდ კახთა მეფისკენ გადაიხარა, გიორგისაგან ნაბოძები ციხეები მუხნარი და ზედაზენი — აღსართანს გადასცა და თვითონაც მის ბანაკში გადაბარგდა.

●

მალიქ-შაჰ სულტანმა საქართველოს აღმოსავლეთი ქვეყანა, შირვან-აზერბაიჯანი სამმართველოდ თავის ბიძაშვილს, ყოთბ ად-დინ ისმაილს მისცა. ამასთან მასვე დაუმორჩილა ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებიც, მათ შორის საქართველო.

ეტყობოდა, ყოთბ ად-დინ ისმაილს დიდი სულტანისაგან სწორედ საქართველოსადმი განსაკუთრებით ფხიზელი და მკაცრი მეთვალყურეობა ჰქონდა დაკისრებული.

ბუნებრივიც უნდა ყოფილიყო ფიქრი ჭკვიანი და ცბიერი მალიქ-შაჰისა: თუ საქართველოს ფლობ, მაშინ შენია სრულიად კავკასია, ამიერიც და იმიერიც.

მთავარია, ქართული ხმლები ვერ ბედავდნენ ქარქაშებიდან დაძვრას. ხარკი-ხარაჯაც თავის დროზე, წესიერად და თვინიერად გადაიხადოს საქართველომ; და კვლავაც—ყოველ წელიწადს „სალაღობოდ სვლა“ საქართველოს იალაღებზე (თვითონ ქართველები „დიდ თურქობას“ რომ ეძახიან).

თურქ-სელჩუკობა სულ „სხვა ჯიშის“ მტერი აღმოჩნდა ამდენ „მსოფლიო მტერთან“ შემხვედრი საქართველოსთვის.

თურქებთან შებმა აღარ ჰგავდა მანამდე ნაცნობ, ჩვეულებრივ, „ტრაფარეტულ“ შეტაკებას, მტერთა ჩვეულებრივ ხმალთაკვეთებას, მხოლოდ მტრულად სისხლისღვრას, მხოლოდ ძარცვას, რბევას და დახარკვას, პომპეუსის, მურვან ყრუს და ბუღა თურქის შემოსევათა მსგავს „მოქცევასა“ და „უკუქცევას“.

არამედ — თურქები მოდიოდნენ დედა-ბუდიანად, დიდიან-პატარიანად, ქალიან-კაციანად, ცხვარიან-ძროხიანად, ცხენიან-აქლემიანად, ვი-

რიან-ჯორიანად, ძაღლიან-კატიანად, ტილიან-რწყილიანად, წვირიან-გვიჯიჯიანად.

მოდიოდნენ მომთაბარენი და უსამშობლონი.

და სწორედ ეს იყო ყველაზე დიდი უბედურება ისედაც მანამდე უამრავ უბედურებათა მტვირთველი საქართველოსთვის.

უბედურების „სიახლე" სწორედ მომთაბარეობა იყო.

ქართველი კაცის ურყევი და უცვლელი საარსებო საფუძველი ხომ მკვიდრი სამეურნეო დარგები იყო — მიწათმოქმედება, მევენახეობა, მებაღეობა, შებოსტნეობა, ცალკე მესაქონლეობა, საამისოდ განკუთვნილი საძოვრებით.

ხოლო თურქი-სელჩუკი მხოლოდ მეჯოგე-მომთაბარე იყო და სხვა კულტურული მეურნეობისა არც რამე გაეგებოდა და არც გაგება ესურვებოდა. მისი „სიმკვიდრე" და „სამკვიდრო", მისი „ფუძე" თუ „საფუძველი", მისი „სოფელი" თუ „დაბა-ქალაქი" ერთი-ორი დღე-ღამით აკინძული კარავი — ალაჩოყი იყო, მისი „სამშობლო" კი — ალმა-დალმა მოარული, ილ-კიალად მოხეტიალე, მთა და ბარად მომთაბარე ყიშლაღიალაღი.

და მიეშვა თურქ-სელჩუკს ცხვრის ფარა და ხვასტაგ-საქონელი ქართველის მადლით, ბარაქით და სინოყიერით გატენილ ყანაზე, სიტკბოებით ფეხმძიმე ვენახზე, ბაღზე, ბაღჩაზე.

ასეთი ღვთაებრივი სიტკბოება და სინოყიერე მანამდე არ უგემნია უდაბნოური სიცხით, სიმწრითა და სიყმილით განაწამებ სამხრეთელ ჯოგსა და მეჯოგეს.

და ცოცხალის თავით რაღას მოშორდებოდა!

და მოდიოდა... და აღარ მიდიოდა.

და მრავლდებოდა ვითარცა ქინქლა.

მრავლდებოდა საქართველოს „მოსაჭმელად" და „შესაჭმელად".

ყიშლაღ-ილალური მომთაბარეობა სჭამდა და ინელებდა საქართველოს მკვიდრ, კულტურულ მეურნეობას. ეს კი ქართულობისა და ქართველობის მოშლასა და „შეჭმას" ნიშნავდა.

დიახ, — თუ მანამდელი ყოველი მტერი — ყოველი პომპეუსი, ბუღა თურქი თუ აბულ ყასიმი — „ჩვეულებრივ", საქართველოს ებრძოდა, ახლა ეს, სელჩუკის „ნაშარდალი" თურქობა მარტო საქართველოს კი არა, საზოგადოდ ქართულობას უქადდა გადაშენებასა და გადავლინებას. ასე იყო, რადგან საკუთრივ ქართულობა არის იგივე (სრული იგივეობით), რაიც ქართული სამეურნეო და კულტურული ცხოვრების წესწყობილებრივი სისტემა.

საგანგებო ყურადღებით წავიკითხოთ — ყველა მანამდელი მტერი საქართველოს წასახდენად მოდიოდა მხოლოდ ხმლით, ხოლო თურქი მოდიოდა ხმლით და ცხვრით.

და, ცხვარი ხმალზე უარესი იყო.

დიახ, მშვიდი და უწყინარი ცხვარი აღწევდა იმას, რაიც ვერ მოეხერხებინა რომაელი იმპერატორების, ირანელი შაჰინ-შაჰებისა და სარკინოზი ხალიფების მსოფლიო სისხლმაქცევარ მახვილებს.

მაშ, ცხვარი სჭამდა საქართველოს, უცხო ცხვარი.

(ცხვარი ერთხელაც იქნება ინგლისსაც შეჭამს, მაგრამ საკუთარი, „მშობლიური ცხვარი“ შეჭამს ინგლისს).

ველურობამ მრავალი ცივილიზაცია გადაჩეხა დაღუპვისა და დაქვესკნელების უფსკრულში. საქართველო და ქართველობა კი, აქამდე ასე ახლოს არ მიმთხვეულა დაღუპვისა და გადაშენების უფსკრულთან.

მაშ, იდგა აგონია საქართველოსი.

თურქ-სელჩუკი ხმლითა და ცხვრით.

ადგილობრივი დიდაზნაური („კლდეკარული სინდრომი!“) სეპარატისტული, განკერძოებითი თავაწყვეტილი ბრძოლით, თანამოძმეთა სისხლის ქცევითა და სისხლის ჩაქცევით.

და უცებისად, ანაზდაითად, ბუნებაც საოცარი სისასტიკით შემოსწყრა კაცთაგან გადათელილ ქართველთა ქვეყანას: 1088 წლის აღდგომა დღეს, — „რომელსა შინა სიხარული და განსუენება ჯერ იყო“ — მანამდე გაუგონარმა მიწისძვრამ დააქცია საქართველო.

მთელი წლის მანძილზე, ირყეოდა და ირღვნებოდა დედამიწა.

იქცეოდა და მტვრად მიდიოდა უზარმაზარი მთანი და კლდენი — ყოველივე „სახედ მტუერისა დაიგალნეს“.

„ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს, და სახლნი დაინთქნეს და დაზულეს, და იქმნეს საფლავ მას შინა მკვიდრთა“.

ეგრეთ ჩამოქცეულ თმოგვის კედლებქვეშ ცოცხლად, ცოლთან ერთად, ჩაიმარხა ერისთავი კახაბერ ნიანიას ძე.

აგონიას მისცემოდა ქართველთ ქვეყანა.

და, ნუთუ მართლა ღვთით გაიწირა საქართველო — „არავე დასცხრა გულის-წყრომა უფლისა ჩუენ ზედა, რამეთუ არა შევინანეთ, არა გულისხმა ვყავთ, არცა ჯეროვნად მოვიქეცით გზათა მიმართ უფლისათა“.

მაგრამ თურმე არა ყოფილა საქართველო გაწირული უფლისა მიერ, რადგან:

1089 წელს, მეფე გიორგი მეორემ გადადგა ნაბიჯი, ყველაზე ჰკვიანური მთელს მის უბედურ ხელმწიფობაში: საქართველოს სამეფო ინსიგნიები მოიხსნა და გადასცა თექვსმეტი წლის მხოლოდშობილ ძეს — დავითს.

კარი მეოთხე

აღმოცისკრებისა

ცეცხლოვანია ძალა მისი
და ზეციური თესლი მისი.

ვერგილიუსი

ჟამსა ყრმობისასა

და ესვენა საქართველო, სულთმობრძავი, სიკვდილთან წილნაყარი, შუბლსა ზედა დედამიწისასა.

და ბნელსა შინა უკუნისასა.

და სწორედ მაშინ, „ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა“.

„სახელითა დიდითა“ — დ ა ვ ი თ.

„საქმითა უდიდესითა“ — ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი.

„სადავითო რიგითა“ — დ ა ვ ი თ მ ე ო თ ხ ე.

„სახელმოდგამი დავითისა, ღმრთისა მამისა“ — მისი 78-ე შთამომავალი.

დაიბადა ქრისტესშობითგან 1073 წელს, ქუთათისში, მამამისის, გიორგი მეორის გამეფებიდან ერთი წლის თავზე.

(ქუთათისი — რიონ-ფასისზე — ოქროს ბალთა საქართველოს ვერცხლის ზოსტერზე).

ბავშვი ბავშვური სიხარულისთვის არ დაიბადა.

როცა სამშობლო ტირის და გლოვობს, ბავშვის გულშიც, ანკარა სიცილ-კისკისის სანაცვლოდ, მრუმე კაეშანი ისადგურებს და იმკვიდრებს.

ყრმობაც დავითისა, ყრმობა-სიჩჩოითვე, იყო კაეშანმოსილი და გაუ-

ხარელი. სწორედ ის ათი-თორმეტი წელიწადი, რასაც უკვე მისი გონითი ბავშვობა ერქვა, მოიცავდა იმ ღვთისრისხვად მოვლენილ უბედურებებს, რაიც ასე სათავედაუწყვედელი დამღუპველობით თავს დასტყდომოდა ქართველთა ქვეყანას.

მოდიოდნენ და მოედინებოდნენ, დაუწყვედელ და დაულევნელ ნაკადებად, „ნაშარდალნი“ სელჩუკისანნი, ელნი, ქოჩნი და მომთაბარენი — მოდიოდნენ ყველა და ყველაფრიანად, ყოველ დედლიან-მამლიანად, ცხენიან-აქლემიანად, ცხვარიან-ძროხიანად, ძაღლიან-კატიანად, ჩარდახ-ალაჩოყიანად, ტილიან-რწყილიანად, წვირიან-გვიჯიანად.

ბოლო წლებში „მოქცევისა“ და „უკუქცევის“ განრიგების დრო შეეცვალათ საქართველოში სელჩუკიანებს. ახლა ყოველი შემოდგომის დამდეგს მოდიოდნენ, ზამთრადაც აქ იდგნენ, გაზაფხულსაც და მხოლოდ ზაფხულში გაეცლებოდნენ ქართულ მიწა-წყალს, სიცხე-პაპანაქებას არარატის ძირას მოილევდნენ და კვლავ საქართველოსკენ დაიძვრებოდნენ, მთელი ცხრა-ათი თვე, ისევ ქართულ სამოთხეში სადგომად და „კლავმოსაჭმელად“ — სამოთხეში, სადაც მუდამ „ითიბება თივა, და აქუს შეშა და წყალი უხუებით, და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თვითოფერი და საშუებელი ყოველი“.

მართლაც, ყოველივე უკლებელად ხვდებოდა მტერს, სარჩოდ, საბადებლად, სამრავლებლად და განსასვენებლად.

მართლაც — ტყესა, ბალახსა და ნარეკალს მოეცვა ქვეყანა, — რადგან ქართველი გლეხიკაცის გლეხური მადლი დაქცეულიყო, — დაქცეულიყო, ვინათგან გლეხი გლეხობიდან გაქცეულიყო და მთებში, ტყე-ღრეში, კლდეთა ქვაბულსა და ქარანძავში გადახვეწილიყო.

მომთაბარეს მხოლოდ საძოვარი და იალაღი უნდოდა და, „შესაფერისად“, ყოველივე იალაღ-საძოვრად გარდაქმნილიყო ქართულ მიწაზე — ქართველი გლეხის გუშინდელი ყანაც, ვენახიც, ბაღიც და ბაღჩაც.

მომთაბარეს არც სახლი ედგა, რომ მტრისგან თუ მიწისძვრისგან მისი დანგრევის შიში და ფიქრი ჰქონოდა. მისი სახლი ქეჩა-ნაბადის კარავი იყო, „ალაყოჩი“, ანუ „ფარგა“, ან კიდევ — „ხარგა“ („ბალანთ კარავი“), — სახელდახელოდ რომ გაშლიდა, გააწყობდა, თუ ხელადვე დაშლიდა, აკრებდა და „სამთაბაროდ“ გავარდნილი თანვე გაიყოლიებდა.

და, „ნაბდის სახლიანებს“ ნასახლარებად ექციათ წლობით ნაშენნაგები და ნალოლიავები ქართული სახლები და შრამელები.

ქართული ყანაც და ქართული ვენახიც ახლა თურქულ ცხვარს ნაყანარ-ნავენახარად ექცია.

ჰეშმარიტად: ქართველისათვის უცხო ცხვარი უცხო ხმალზე გაცილებით სასტიკი და დამანგრეველი მტერი ყოფილიყო.

ნადირიც მიტომ მრავლობდა მაშინ განადირებულ საქართველოში — „სიმრავლითა და თვითოფერითა“.

და ისინიც მოდიოდნენ „დალაღებით“ და „დასაძოვრებით“, რამეთუ აქ ეპოვებოდათ „ცხოვრება სანატრელი: და ნადირობდიან, განისუენებდიან და იხარებდიან. და არა იყო ნაკლულევანება მათ თანა“.

მოდიოდნენ, რადგან სამხრეთული უდაბნოებით განაწამებ, დამშეულ და განადირებულ მომთაბარე ველურებს ეამებოდათ ქართულ სამოთხეში „შუება და განსუენება, თივათა და ველთა შუენიერებითა, წყაროთა და ადგილთა ყუავილოვანთა“.

და აქ, ქართულ ქვე-ყანასა და ზე-ყანასა შუა, სამრავლი თესლიც გაათკეცებით უხელდებოდათ და მრავლდებოდნენ ლაგამაწყვეტით, მრავლდებოდნენ ვითარცა ქინქლა.

და უკვე იყვნენ იმდენი, საქართველოში მოსული თუ საქართველოში ნაჩეკი თურქი, რომ მათი მხილველი კაცი უმალვე ამას იძახდა:

„ყოველი თურქობა ყოვლისა ქუეყანისა აქა არს“.

მაშ, საქართველო თურქული ცხვრისა და ხმლის სამსხვერპლოზე იდო.

ანუ — ცული შემმუსვრელი უკვე ხის ფესვთან ძევს (მათეს სახარებისაგან, 3, 10).

ასეთი იყო მაშინდელი ქართველობის „საწუთროს ჯამი“ (თქმული ქართული ფოლკლორულით: „საწუთროს ჯამში ჩავხედე, სოფელი დავინახეო...“).

და კვლავაც გავიმეოროთ — ქრისტეშობითგან 1089 წელს, მეფე გიორგი მეორემ გადადგა თავის საწუთისოფლო ცხოვრებაში ყველაზე ჭკვიანური ნაბიჯი: მისი ჩვიდმეტი წლის მეფობით ნაწვალები და ნაწამები სამეფო გვირგვინი მოიხადა და თავზე დაადგა თავის იამავარ ძეს, თექვსმეტი წლის დავითს.

(ანალოგიური ზეობის დასაწყისში: ალექსანდრე მაკედონელი იყო 20 წლისა, ჰანიბალი 25 წლისა, იულიუს კეისარი 41 წლისა).

თექვსმეტი წლის ყმაწვილს, ღვთივებოძებული ნიჭისა და ჭკუის წყალობით, ამ ასაკისათვის უჩვეულო სისწორითა და სისრულით აეწონდაეწონა უმძიმესი განსაცდელი მისი ქვეყნისა და დაესახა გზანი იმ განსაცდელთაგან დახსნისა და გადარჩენისა.

აქ, ნიჭთან და ჭკუასთან ერთად, გამოსჭვივის გასაოცარი ალღო და გერში ყრმა გვირგვინოსნისა.

და კიდევ — მადლი მისი გამზრდელისა, სულიერი მოძღვრისა და მწვრთნელისა — გ ი ო რ გ ი ჭ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი ს ა.

გიორგი ჭყონდიდელი იყო — „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი სჯანი და ფრთხილი, თანააღზრდილი აღმზრდელი პატრონისა და თანაგამკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღვაწლთა მისთა“.

როგორც ყველგან და ყოველთვის, ქვეყნის დახსნისა და სამომავლო

კეთილდღეობისთვის ბრძოლის მთავარი ძალა ისევ ახალგაზრდობა უნდა ყოფილიყო და ჰაბუკმა ხელმწიფემაც ტახტზე ასვლისთანავე შემოყარა თავისი თანამოდგამი და თანაკბილა ყმაწვილკაცობა, ისე ვითარცა ოდესღაც ალექსანდრე მაკედონელმა მისი თანამოსაკე „ჰეტერნი“ („მეგობარნი“).

დავით მეფის თანამეგობარ და თანამებრძოლ პატრიოტთა შორის სამაგალითო ყოფილიყო ნიანია კახაბერის ძე, შვილი იმ კახაბერისა, რომელიც თავის მეუღლით, ნიანიას დედით, თმოგვის ნანგრევებში ჩაიმარხა და ჩაინთქა იმ დამაქცევარი მიწისძვრების ჟამს.

მაშ, შემოეყარა „ღმრთივ-განბრძნობილ“ ყმაწვილ ხელმწიფეს ყოველი ქართველი, რომელსაც კი მამულზე ფიქრი არ მოშლოდა და მისი დახსნის იმედიც გულში არ გასცივებოდა.

ხოლო, მამული მტერს წაეღო. მტერს მოეშალა და „მოეჯამა“ შუბლი დედამიწისა. იმას, რასაც „საქართველოს სამეფო სახლი“ ერქვა, ქუთათისიდან მხოლოდ მცირე ლიხამდე, აქაურ მცირე სადგომ წაღვლის-თავამდე თუ მოუწვდებოდა ხელი და დაედგმებოდა ფეხი. ლიხის აღმოსავლეთით კი ყოველი ქართული მიწა-წყალი მოეცვა ტყიურს (ნადირს) და ველურს (თურქს).

ქუთათის-წაღვლისთავში შეყუჟულ და შეკუმშულ სამეფო სახლეულთაგან თუ ვინმე „გაბედულს“ ქართლის ჭალაზე ან ნაჭარმაგევს ფეხის ჩადგმა „მოეპრიანებოდა“, ჯერ წინასწარ საგანგებოდ აღჭურვილი ჯარი უნდა წასძღოლოდა, რათა თურქები დაეზვერათ, გზებზე მათი არყოფნით გული დაეჯერებინათ, ნადირთა ხროვაც დაეფრთხოთ და მათგანაც გზა „გაელეწათ“.

ლიხის მთიდან კასპიის ზღვამდე ჩამდგარიყო თურქი-სელჩუკი — ხმალი ან-ცხვარიანად, ჩარდახ-ალაჩოყიანად, ტილიან-რწყილიანად...

და, უკვე ამოქმედებულიყვნენ დავითი და დავითისანნი.

განუწყვეტლივ, დღეღამსწორებით, ჰედდნენ საჭურველს.

იჭურვებოდნენ.

ირაზმებოდნენ.

იწრთვნებოდნენ..

იწაფებოდნენ — ხმლის ხმარებაში, ისრის სროლაში, შუბის ტყორცნაში, მჯიღის ცემაში.

მტრისადმი სამტროდ გულს იქვავებდნენ და სისხლს იხელებდნენ.

უკვე მტერზედაც თარეშობდნენ. უეცრად, მცქაფრად, თავს ესხმოდნენ, უეცრადვე უჩინარდებოდნენ, კვლავ ელვასავით მიუხდებოდნენ და ასე, თარეშული მიხდომ-მოხდომით სისხლს ადენდნენ და აქამდე არხეინად „მონაჰმევ“ ქართულ ლუკმას შხამად უქცევდნენ.

ტყე-ღრეებსა და ორწოხ-ქარანძავებში გახიზნული ქართველობა გამოყავდათ მამულიშვილებს, მათსავ კერაზე და ფუძეზე აბრუნებდნენ.

ნეო სულს აღუდგენდნენ, კვლავაც მარჩენალ გუთანს აჩვევდნენ და თვითონაც გუთნისდედობდნენ, თვითონაც მეზვერეობდნენ და მესაქონლეობდნენ.

არსი მათი არსებობისა სრულად მოეცვა მხოლოდ ბრძოლას და თავშეწირვას სამშობლო ქვეყნის აღდგენისა და აღზევების საკურთხეველზე.

ასე „მცირედ-მცირედ ბრძოლითა და სწავლითა გუარიანად და ღონიერად წინაძღომითა და მრავალთა ძლევათა მიერ მოგონებითა“ — დავითის ხელქვეით ჩამოყალიბდა რჩეული საომარი ძალა — „მონა-სპა“, დაახლ. 5000 მეომარი, მეფის პირადი ჯარი, „გვარდია“, რომელიც უნდა ყოფილიყო მთავარი ბირთვი ყოველ სამომავლო ომისთვის სახელდახელოდ შეყრილი საერთო ლაშქრისა.

ისევ სელჩუკიანთა

ოთხი წელიწადი გავიდა ეგზომ შრომასა, ბრძოლასა და ღვაწებას შინა.

იდგა 1092 წელი და მოვიდა ამბავი სულტან მალიქ-შაჰის სიკვდილისა. ერთი თვით ადრე, მისი ჭკვიანი და ერთგული ვეზირი, ნიზამ ალ-მულკი მოეკლათ ისმაილიანებს.

(ისმაილიანები — ეს იყო სექტა შიიტებისა, საიდანაც წამოვიდნენ თაობები თავზეხელაღებული და დახელოვნებული მკვლელებისა, სხვადასხვა სახელით — მულიდები, ასასინები, ფიდაები. ამ რელიგიურ-ფანატიკურ მკვლელთა სექტის ბელადი იყო ჰასან ს ა ბ ა ჰ ი, უსასტიკესი კაცთაგანი, რომელმაც სასიკვდილოდ ღვიძლი შვილებიც კი გაიცეტა).

მალიქ-შაჰის მოულოდნელ სიკვდილსაც ისმაილიანთ ნახელავად მიიჩნევდნენ და იყო თუ არა ეს მართალი, მთავარი მაინც ის იყო, რომ დიდი ხელმწიფისა და დიდი ვეზირის დაღუპვას მათი დიდი სახელმწიფოს კატასტროფული რღვევა მოჰყვა.

სასულტნო ტახტ-გვირგვინისთვის ერთმანეთს დაერივნენ „კანონიერი“ თუ „უკანონო“ მემკვიდრენი, რომელთა შორის ორი იყო მთავარი გმირი — ბ ა რ ქ ი ა რ ო კ ი და 7 წლის მ ა ჰ მ უ დ ი, ძენი მალიქ-შაჰისა, სხვადასხვა ქალთაგან. ტახტი, ბუნებრივად, უფროს უფლისწულს, ბარქიაროკს ერგებოდა, მაგრამ მაჰმუდის დედამ, თ უ რ ქ ა ნ-ხ ა თ უ ნ მ ა ქმარი სიცოცხლეშივე აიძულა, ტახტის მემკვიდრედ მისი ძე მაჰმუდი გამოეცხადებინა. მალიქ-შაჰის სიკვდილისთანავე, ავანტიურისტმა დიაცმა მისგანვე ამოგებულ სახელმწიფო საჭურჭლეთაგან ჯარებს ფული უხვად აწვიმა და მათი თავგამოდებული მხარდაჭერით, გერი ციხე-

ში შეაგდო და თავისი ძე სულტნის ტახტზე დააბრძანა. მაჰმუდმა და თურქან-ხათუნმა ორ წელიწადს (1092—1094) იხელმწიფეს. და უეცრად დაიხოცნენ (შესაძლოა, ისმაილიანთა „ყოველისშემძლე სიკვდილის“ ცელით).

სულტნის ტახტი ხელთ იგდო ბარქიაროკმა, რომელიც მის ერთგულ მომხრეებს ადრევე გამოეშვათ ციხიდან. ახალმა ხელმწიფემ ტახტზე ასვლისთანავე თვითონ სატახტო ისფაჰანში მუსრი გაავლო ისმაილიანებს; მაგრამ მალე ისმაილ-ასასინური იდუმალი მკვლელობის თესლი თვითონ ბარქიაროკის პირად გვარდიაშიც დაითესა და რამდენჯერმე თვითონ ახალგაზრდა სულტანიც ბეწვზე გადურჩა სიკვდილს.

დიდი სულტანის ტახტისათვის ბარქიაროკს ბიძამისიც ეცილებოდა, მალიქ-შაჰის ძმა — თ ა ჯ ე დ-დ ო ვ ლ ე თ უ თ უ შ ი, სირია რომ ცალკე სახელმწიფოდ ჩამოეგლიჯა სელჩუკიანთა იმპერიისთვის; თუმცა, გრეის მახლობლად გამართულ ბრძოლაში, თუთუშის, ჯარები განადგურდნენ და თვითონ სულტნის ტახტის ეს მაძიებელიც მკვდარი დაირეცა და დამიწდა (1095 წ.).

მაინც ვერ დაისვენა ტახტზე ბარქიაროკმა, რადგან იმ ტახტისთვის ახლა მას ძმები აეშალნენ. მთელი მისი ხელმწიფობაც იმ ძმებთან თუ ბიძაშვილებთან ჰიდილში ელეოდა. ხან დათმობა-დაზავებით ცდილობდა მათ შემორიგებას, ხან დაშინებით. ყველა მათგანს, თუ „დიდი სულტნობა“ არა, „საკუთარი საუფლისწულო“ ქვეყანა მაინც დაეჩემებინა და იმპერიაც წამდაუწუმ იფლითებოდა და „იკერებოდა“. ალფ-არსლანისა და მალიქ-შაჰის დრო უკანმოუბრუნებლად გარდაქარებულიყო. მსოფლიო სახელმწიფო ლოკალურ სახელმწიფოებად — საამიროებად, თუ სამელიქოებად იშლებოდა. უკვე ცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გრძნობდნენ თავს სირია, ქერმანი, ანატოლია. ზედმეტ-ნაკლები რეალობით, ან მხოლოდ ნომინალობით, ცნობდნენ აქაური მმართველნი თავიანთ თავს დიდი სულტანის ქვეშევრდომებად.

ქართველ მამულიშვილებსაც მეტი იმედი უნდა მისცემოდათ სასტიკი მტრისგან სამშობლო ქვეყნის დახსნისა და გადარჩენისა.

თუმცა მაინც კვლავაც გამოჩნდებოდნენ ველურ-მომთაბარენი კვლავინდებურ „მოსაჭმელ-მოსაძოვრად“, მაგრამ უკვე კბილმოკვეთილად და მუხლჩაკვეთილად.

ღალატსა „საწოლითვე წრთობილი“

უცებ თვითონ ქვეყნის შიგნით იჩინა თავი საფრთხემ. თანაც ეს ახალი საშიშროება კვლავ ძველი საბოროტო ბუდიდან მოდიოდა, ისევ კლდეკარით, ისევ ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტისადმი მარად

მოღალატე ბაღვაშური სინდრომით. ლიპარიტ კლდეკარელმა „იწყო მათვე მამულ-პაპულთა კუალთა სლვა“ და აუჯანყდა დავით მეფეს — „ზაკვიდა წინაშე მისსა მოპოვნებად უსჯულოებისად“.

საქართველოს ყოველ მოღალატეს „უფლება ჰქონდა“, სწორედ აშკარა ღალატი, თავის მხრივ, სწორედ საქართველოსთვის სასიკეთო ღვაწლად და თავდადებად მოენათლა. ასეთი იყო ყოველი მოღალატე ბაღვაშიც, რომელიც ვითომ მხოლოდ საქართველოს პატრონს, მეფეს ებრძოდა, „ორგულება და სიძულილი პატრონთა გუარისაგან მოაქუნდა“ ლიპარიტ ამირას, — თანაც რომ ეს თიკუნი — „ამირა“, ქრისტიანული საქართველოს სამტრო სამყაროდან მიერთმია და მიერქმია „სახითა ქრისტიანე“ კლდეკარის მბრძანებელს.

მაშ, — მე მხოლოდ პატრონს, საქართველოს ულირს პატრონს ვებრძვიო, — ამ ძველი და „ნაცადი“ ფეოდალური მოტივით იბრძოდა კიდევ ერთი ბაღვაში, ნაშიერი დასაბამითვე „უნდო-გვარისა“.

ჰაბუკ ხელმწიფეს კი, გარეშე მტერთან ომის ჟამს, ბუნებრივად, უნდა ეღონა შინა სისხლისქცევისგან თავის დაღწევა და ღალატის გზაზე შემდგარი თანამემამულის მშვიდობიანი შეგონებით მოარშიევება; იღონა და ეცადა კიდეც, მაგრამ არაფერიც არ გამოვიდა: ლიპარიტ ბაღვაშმა არ შეისმინა სიტყვა „პატრონისა“, „არა ინება გულისხმისყოფა კეთილისა“ და განუხრელად „დადგა ყოველსა გზასა არაკეთილსა“.

მაშინ, რა უნდა ექნა დავით მეფეს, თუნდაც ვითარცა მეფეს, თანაც ისეთ ჟამს, როცა მკვიდრეთით ძლივს ფეხზე წამომდგარ ქვეყანას ვინმე შინაური უცებისად ზურგიდან ჩაცემას და კვლავ დაცემას უპირებდა? ასეთ დროს ყველა ჩვეულებრივი გვირგვინოსანი სრულიად მარტივ, უტყუარ და საიმედო გზას არჩევს. ამ გზას ჰქვია სიკვდილით დასჯა, ეშაპება მოღალატისა. უტყუარი ლოგიკაა — აკი მკვდარი აღარ იკბინება! ჭამჭლავნებული მოღალატე ხომ სამარადჟამოდ უვნებელი და უწყინარია და მასთან, მისი მოსპობით, მკვიდრდება ტერორი, შიში, ასე თუ ისე ამლაგმავი სამომავლო და სავარაუდებელი მოღალატური გამოხდომებისა.

ხალხი მხოლოდ ტერორით არის ხალხიო, — ამბობდა ამას ძველი რომაელი დიქტატორი, ლუციუს კორნელიუს სულა, — ტერორი — მარადიულად ყოველი ადამიანის დამთრგუნველი შიში სიკვდილისა; ტერორი — სრულქმნილი, ცხოველმოსილი სახება სიკვდილისა. დე, ჩაითვალოს ადამიანის სიკვდილით დასჯა ბოროტებად, მაგრამ მისი მეოხებით, მისი მომარჯვებით და მოვარგებით ხომ იკურნება მეორე, უფრო დიდი ბოროტება — ღალატი! და ერქვა სულას: ბოროტებით ბოროტების მკურნალი! და არ მომხდარა, რომ ამ „მკურნალს“, ოდნავ საეჭვოც კი, თუნდაც მხოლოდ სიზმარშიც საეჭვოდ ნახული კაცთაგანი, უმალვე სიკვდილის საუფლოში არ გაესტუმრებინოს.

და, რაღა მაინც და მაინც ერთი სულა, როცა ყოველ ხალხში და ყოველ დროში, ჩვეულებრივი ხელმწიფენი — „დიქტატორები“, „მეფეები“, „მონარქები“, „დესპოტები“, „ტირანები“, თუ „იმპერატორები“— სწორედ ასეთი მარტივი და უტყუარი „მკურნალობის მეთოდს“ მიმართავდნენ (აკი მკვდარი არ იკბინება!).

მაგრამ საქართველოს ახალგაზრდა მეფე არ ჩანდა ასე მარტივი და ჩვეულებრივი „მონარქოსი“. მან, — „კეთილმან არა თუ მართალსა, არამედ არცაღა თუ ბოროტსა ადვილად აბრალის, ვინათგან სიბოროტედ არა განსწავლულ იყო, არცა მეჯუელ“.

ახლა კი, როცა კლდეკარის ერისთავის ღალატი აშკარაზე აშკარა შეიქნა, დავითი იმ „უმარტივეს“ და თანაც უშიშროებისთვის „უტყუვრად საგარანტიო მეთოდს“ — სიკვდილს, მაინც განერიდა და მხოლოდ „ინება გაწურთა“ მოღალატისა. მისი ბრძანებით, ლიპარიტი შეიპყრეს და დილეგს ჩააგდეს.

და იყო ასე პყრობილი კლდეკარის ერისთავი „ჟამ რაოდენიმე“ — იმდენ ხანს, რამდენი ხანიც „კმა უნდა ყოფილიყო განსასწავლად გონიერისა ცისიმე“.

თითქოს, მართლა „განისწავლა“ ლიპარიტი, თითქოს მართლა „გაიწურთნა“ და გამოსწორდა: უკვე პატიება შესთხოვა მეფეს, ღმერთი „შუამდგომელად“ დაიყენა, ერთგულება ეფიცა და ასე, „მომტკიცებული მრავალთა და მტკიცე ფიცთაგან“ დაჯერებულმა დავითმა გამოუშვა საპყრობილიდან ლიპარიტი; არათუ გამოუშვა და გაათავისუფლა, დაკლებითაც არაფერი დაუკლია, ისევე ხელუხლებლად დაუბრუნა მისი კლდეკარის საერისთავოც, ერისთავთერისთავის თიკუნ-ტიტულიც და სხვა ყოველი პატივი, რაის მფლობელიც კი ბრძანდებოდა ეს „იქედნეს ნაშობი“ ფეოდალი მანამდე, საპყრობილეში „ჩაყუდებამდე“.

მაგრამ ძალიან მალე ამაო აღმოჩნდა დიდსულოვნება ახალგაზრდა გვირგვინოსნისა. თურმე პყრობილი იგი არცა „განისწავლა“ და არცა „გაიწურთნა“. სიკეთისკენ გაწრთვნა კი არა, სრულიად საწინააღმდეგოდ — ლიპარიტმა მეფისადმი აშკარად „განაცხადა მტერობა და უკეთურებასა იწურთიდა საწოლსა ზედა თვისსა“. აღარც ფიცი გახსენებია და აღარც მტკიცი, ისე — „ვითარცა ძაღლი მიექცა ნათხევარსა და ვითარცა ღორი ინწუბა სანგორელსა მწვირისასა“.

და დარწმუნდა დავითი, „მშვიდი და ღმრთივ-განბრძნობილი“: თურმე მართლაც და, „კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“.

და კვლავ შეიპყრო მეფემ ეს ღალატსა და უკეთურობაზე ჯიშით და „საწოლითვე წრთობილი“ დიდაზნაური, ორ წელს კიდევ ამყოფა საპყრობილეში, სასიკვდილოდ მაინც ვერ გაიმეტა და ექსორია ჰყო — ბიზანტიაში გაასახლა. იქვე, უცხოობაში დაასრულა თავისი ავი წუთისო-

ფელი კლდეკარის ავმა ბატონმა. არავინ უწყის, რა სახით გამოეცხადა მას სიკვდილი, ეს უთვალავსახოვანი ჭიმერა. ალბათ, ნატვრამ და ჯავრმა მოინელეს ერთჟამეულად: საქართველოსადმი ნატვრამ და მისი მეფისადმი ჯავრმა.

დარჩა ძე ერთი, სახელად რ ა ტ ი, რომელიც დავითს მამის ადგილზე დაესვა, კლდეკარის საერისთავოს საპატრონო და საბატონო მემკვიდრეობით.

იქნებ ამ ერთს მაინც, რატი ლიპარიტის ძეს, „მოეხერხებინა“ ერთგულება მეფისა და თავის დაღწევა იმ მარად მოღალატური „ბაღვაშური სინდრომისაგან“, „სახლისაგან განმამწარებელთა“, — ამ ერთს მაინც რომ არ შეესვა „თხლე რისხვისა“, გინა „თხლე ღალატისა“.

ზენიშანისა და ზეძახილისა

დავით აღმაშენებლის ხელმწიფობის დრო-ჟამი მჭიდროდ დაუკავშირდა მსოფლიოში მიმდინარე დიდმნიშვნელოვან საისტორიო მოვლენებს.

სათავე ამ მოვლენებისა — კვლავაც საფრანგეთი.

საფრანგეთს ადრეულ შუა საუკუნეთა მსოფლიო ისტორიაში უკვე ორი უდიდესი, სწორედ მსოფლიოსთვის სანიშანსვეტო სიტყვა ჰქონდა ნათქვამი: ერთი — 732 წელს, პუატიესთან ბრძოლა და აქამდე ყოვლის წამლეკავი არაბული ექსპანსიის უკუქცევა (გმირობა კარლოს მარტელისა), და, მეორე — 800 წელს, რომის პაპისგან საფრანგეთის იმპერიად კურთხევა (იმპერატორობა კარლოს დიდისა).

ახლა კი, XI საუკუნის დასაწყისში, საფრანგეთი მესამე დიდ, კვლავაც მსოფლიოსთვის სანიშანსვეტო სიტყვას ამბობდა.

ეს იყო „ჯ ვ ა რ ო ს ნ ო ბ ა“.

იგი დაიწყება სწორედ საფრანგეთში და უმალვე თავის უმძაფრეს ვნებათა მორევში, მთელი 175 წლით, მოიქცევს და ჩაიქცევს მთელს მაშინდელ მსოფლიოს.

XI საუკუნის ევროპული საზოგადოებანი მოეცვა კრიზისს, მრავალმხრივსა და საყოველთაოს, რასაც შეიძლება დარქმეოდა — „პანევროპული“. ამ მხრივ, „პანკრიზისის“ თვალთახედვით, წამყვანი და ტიპური იყო ფრანკთა სახელმწიფო — საფრანგეთი.

დაცემულია მეფის ხელისუფლება. დავიწყებული და გათელილია კანონი, აყვავებულია უზნეობა და უსამართლობა. გაჩაღებულია განუწყვეტელი ბრძოლა მიწისათვის მიწათმფლობელთა შორის. ქვეყანა სავსეა ყაჩაღებით, მძარცველებით, ქურდებით, ბაცაცებით, მათხოვრებით, მაწანწალებით. შრომითი ოფლის ნაცვლად, დედამიწას აპოხიერებს ადამიანის ხელით დაქცეული ადამიანის სისხლი. შინა სამოქალაქო ხოცვა-

ჟლეტას ერთვის შემოსევები გარეშე მტერთა — ნორმანებისა, სარკინოზებისა, უნგრელებისა. ფრანგი რაინდები კი, ქვეყნის გარეშე მტრებზე უფრო, ერთმანეთს ემტერებიან, ერთმანეთის ქონებას, სისხლს ეხარბებიან და ეტანებიან. ახლა, შიმშილი და ეპიდემია, — 72 წლიდან (987—1059) 48 წელიწადს იყო მოუსავლიანი და შიმშილმოსილი. ხალხი ბუზივით იხოცებოდა. ცოცხლები მკვდართა დამარხვას ვეღარ აუდიოდნენ. უკვე კაციჭამიობასაც აედგა ფეხი შიმშილისგან გაშეთებულ ადამის ძეთა შორის.

ევროპის გონება სრულად დაუპყრია შიშსა და ძრწოლას „ჭეშმარიტი ბოლოისა“ და „ქვეყნის აღსასრულისა“. არავითარი იმედი ხსნისა და გადარჩენისა ადამიანთა შორის, არამედ მხსნელი და გადამრჩენელი დაცემული კაცობრიობისა — მხოლოდ კვლავ იგი, უზენაესი, ღმერთი! ამიტომ ადამიანები განელტვიან ერთმანეთს და მიელტვიან ერთადერთს — ღმერთს, უფალს, შემოქმედსა და მისგანვე შენამოქმედი აწ დაცემული ადამიანის მხსნელსა და მშველელს. ადამიანები განელტვიან ყოველდღიურ სამეურნეო, შემოქმედებით ცხოვრებას და მიელტვიან ასკეტურ, საყოველდღეო ცხოვრებისგან განრინებულ მლოცველობას, ღმერთთან მიმთხვევის გზათა ძიებას.

სრულიად ევროპა პილიგრიმობამ — სამლოცველო მოგზაურობის ჟინმა მოიცვა. სამლოცველო ლაშქრობანი აღმოსავლეთში — იესო მაცხოვრის ნაფეხურ-ნაკვალევთა, მისი ცხოვრების, მოღვაწეობისა და ვნება-წამების მოწმე წმიდა ადგილთა მისამთხვეველად, სალოცავად, სათაყვანოდ და სინანულის ცრემლთა სათხევად. ქრისტესმიერ წმიდა ადგილთა მოხილვა-მოლოცვად მიელტვოდა ევროპის ყოველი სოციალური შრისანნი — არისტოკრატნი თუ მდაბიონი, რაინდები თუ ყმანი, სენიორები თუ ვასალები, მდიდარნი თუ უპოვარნი, მეფეები თუ გლეხები. ყოველი ევროპელი რაინდი ქრისტეს ადგილთა გადარჩენისა და დაცვისათვის ოცნებობდა. ყოველი ევროპელი, აზნაური თუ უაზნო, კაცი თუ ქალი (დიახ, უკვე ქალებიც!), გოლგოთაზე ან ქრისტეს საფლავთან სულის დალევას ოცნებობდა.

და აი, 1095 წელი — წელიწადი მარად რყევადი საკაცობრიო სულის მორიგი „დიადი აფეთქებისა“. იწყება იგი საეკლესიო კრებით იტალიის პიაჩენცეში. კრებას იწვევს რომის პაპი ურბანუს II, წარმომავლობით ფრანგი. ჯერ, კრებამ შერისხა ევროპის გვირგვინოსანნი — გერმანიის იმპერატორი ჰენრიხ IV, პაპის უზენაესობის შეურაცხებისათვის, და საფრანგეთის მეფე ფილიპე, სხვისაგან ცოლის წაგვრისათვის.

მერე იქვე, კრებამ მოუსმინა ბიზანტიის იმპერატორისგან საგანგებოდ წარმოგზავნილ ელჩობას. სახელდობრ, ალექსი კომნენოსი დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროს მოუწოდებდა აღმოსავლეთ ქრისტიანთა

მისაშველებლად და წარმართ მოსისხლეთა, თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ სალაშქროდ. სულფიცხელმა პაპმა ბიზანტიის კეისრის თხოვნა მაშინვე საყოველადყურო მოწოდებად აქცია და გამოხმაურებაც უმალვე მოჰყვა, მეტად აქტიური და ცხოველმყოფელი. მრავალმა გამოთქვა სურვილი და მზადყოფნა აღმოსავლეთში სალაშქროდ წასვლისა.

პიაჩენცედან, იმავე 1095 წლის ნოემბერს, ფრანგი ურბანუს II საფრანგეთს გაეშურა და იქ, ქალაქ კლერმონში, კვლავ შეყარა საეკლესიო ყრილობა, სადაც მოვიდა 14 არქიეპისკოპოსი, 250 ეპისკოპოსი, 400 აბატი, მრავალნი სხვა სამღვდელონი და მრავალთმრავალნი საერონი ყოველი სოციალური შრისა — რაინდები და ყმა-გლეხები, სენიორები და ვასალები, ვაჭრები და ხელოსნები, ყოველი ჯურის საქმოსანნი და უსაქმოდ მოხეტიალენი, მდიდარნი და უპოვარ-მათხოვარნი, მსხვილი ქონების მადევარნი და წვრილმანი ჯიბგირები, შარაგზის ყაჩაღები და თავწყვეტილი ფათერაკების მაძიებელნი. რაკი ხალხის ამოდენა სიმრავლეს ვერანაირი შენებულობა ვერ დაიტევდა, კრება გამართულ იქნა ქალაქ გარეთ გაშლილ მინდორზე.

და აქ, კლერმონში, სამხრეთ საფრანგეთში, პაპმა ურბანუს II-მ წარმოთქვა სიტყვა, რომლითაც მოუწოდა ჯერ რაინდებსა და მაშინვე უველა დანარჩენსაც, სრულიად ხალხს, აღმოსავლეთისკენ, პალესტინისკენ სალაშქროდ, რათა ვიხსნათ საფლავი ქრისტესი და გავწმინდოთ ყოველი სიწმიდენი ურჯულოთაგან; უველამ აიღოს ჯვარი ხელში, რამეთუ თქმულა სახარებისგან: „ვისაც სწადია ჩემს შემდგომად მოსვლა, უარჰყოს მან თავი თვისი, და აღიღოს ჯვარი და შემომიდგეს მე " და, კიდევ, ნურვის დაავიწყდება, რა სიმდიდრენი ელოდება ყოველ მოლაშქრეს აღმოსავლეთში!

მაშ, აიღეთ ჯვარი და... ხმალი!

ჯვარი — ლოცვისთვის!

ხმალი — დაპყრობისთვის!

იხსენით ქრისტეს საფლავი!

იხსენით პალესტინა, მდიდარი ქვეყანა, რომელსაც დასდის რძე და თაფლი!

იერუსალემი — დედამიწის ჭიპი და სამოთხე!

იხსენით და ყოველივე იყოს თქვენი!

და ერთად ამოხეთქილი ბღავილით შეაზანზარა ზეცა ხალხმა — ერმა და ბერმა, დიდმა და მცირემ, კაცმა და ქალმა, საქმიანმა და უსაქმომ, ზნეობრივმა და უზნეომ:

„დე, მოხდეს ასე! ჯვარი და ხმალი! რამეთუ ღმერთს ეს სურს!

„ღმერთს ასე სურს!.." „ღმერთს ასე სურს!!!"

„ღმერთს ასე სურს!" („Deus le volt!").

და იქვე დაიწყო აღმოსავლეთში „სალოცავად“ აღძვრა ორივეს ერთად — ჯვარისაც და ხმლისაც.

მაშინვე დაიწყეს აღმოსავლეთს მოლაშქრეებმა მკერდზე და ბეჭზე ჯვრის მიკერება (მკერდზე — წინსვლისას, ბეჭზე — უკუქცევისას), წითელი ქსოვილისაგან და აქედანვე, შესატყვისად ეწოდათ — „ჯ ვ ა რ ო ს ნ ე ბ ი“.

„ღმერთს ასე ნებავს!“ — „Deus le volt!“ — აი, საბრძოლო ძახილი ამიერიდან ყოველი ჯვაროსანისა, — ძახილი, რომელმაც მთელი 175 წელი უნდა აზანზაროს დასავლეთი და აღმოსავლეთი, ევროპა და აზია.

და ასე აღიძრა და დაიძრა ჯ ვ ა რ ი — ს ი მ ბ ო ლ ო ე ვ რ ო პ ი ს ა — აზიისაკენ, სადაც ადამიანთ ს ი მ ბ ო ლ ო დ ე ს ა ხ ა თ ნ ა ხ ე ვ ა რ-მ თ ვ ა რ ე.

მაშ, ჯ ვ ა რ ო ს ნ ო ბ ა — მ თ ვ ა რ ო ს ნ ო ბ ი ს კ ე ნ!

ჯვარი და მთვარე — მსოფლიო სიმბოლონი!

სიმბოლო, ანუ ზ ე ნ ი შ ა ნ ი!

და — ლოზუნგი, ანუ ზ ე ძ ა ხ ი ლ ი!*

ორივე ზ ე ს თ ა, ორივე — „ზეცითა მონაბერითა“.

მთელი კაცობრიობა, ცალკე ერი, ცალკე ბერი, თუ საერთოდ ცალკე ადამიანიც — მთელ თავის არსებას და არსებობას ხომ მუდამ განუწყვეტლივ ზ ე ნ ა ს და ზ ე ნ ა ა რ ს უკავშირებს — უშუალოდ ცნობიერად თუ ქვეცნობიერ-ზეცნობიერად, გრძნობიერად თუ ქვეგრძნობიერ-ზეგრძნობიერად.

მაშ. ყოველივე არს „ზეცითა მონაბერითა“ (აკი, იმავე XII საუკუნეში აღმოიხდენს და მიმოაფენს რუსთაველი ამ საოცრად ზენაარ სიტყვას!).

და, ყოველივე კაცთაშორისად: ზ ე ნ ი შ ა ნ ი ს თ ვ ი ს და ზ ე ძ ა ხ ი ლ ი ს თ ვ ი ს!

რამდენი სისხლი დაქცევია (და დაექცევა) კაცობრიობას „სიმბოლოსა“ და „ლოზუნგისა“, ანუ ზენიშანისთვის და ზეძახილისთვის!

ახლა ჩვენ წინ XI—XII საუკუნეთა მიჯნაა და აი, იმჟამინდელი კაცობრიობაც, თავისი „ზენიშნებით“ და „ზეძახილებით:“

ევროპა — ჯ ვ ა რ ი და „ღ მ ე რ თ ს ა ს ე ს უ რ ს!“

აზია — მ თ ვ ა რ ე და „ა ლ ლ ა ჰ-ი ლ ა ლ ლ ა ჰ!“

---

* „ზენიშანი“ და „ზეძახილი“ — ნუ დაგვაფრთხობს ეს ორი ქართული ნეოლოგოსი — ბერძნული „სიმბოლოსა“ და გერმანული „ლოზუნგის“ ნაცვლად. უფრო, ალბათ, „ზეძახილს“ გაუჰირდება დამკვიდრება მეტყველებაში, მაგრამ „შეძახილი“ უნდა დაეხმაროს და დაიმკვიდროს თავის გვერდით — თვითონ, „ქვემოდან შე-ძახილმა“, ახლად, „ზემოდან“ მოვლენილი მისი „ნათესავი“ და აზრობრივად გაცილებით დიდი მოცულობის სიტყვა — „ზე-ძახილი“.

ამ ზენიშნებით და ზეძახილებით ჯადოკრულებმა, ორას წელიწადს უნდა უნგრიონ ერთმანეთს გულმუცელი ევროპამ და აზიამ.

იმთავითვე სრულიად კათოლიკური ეკლესია ცხადდებოდა თავგამოდებულ მფარველად და დამცველად ყოველი ჯვაროსანისა,— ყოველ ჯვაროსანს მიეტევებოდა ყოველი მანამდელი ცოდვაც და აწინდელი მკვლელობაც ურჯულოჲსა; გმირად ცხადდებოდა „ურჯულოთ მჟლეტელი“, წმინდანად — მათთან ბრძოლაში დაცემული. ეკლესია იყო მცველი და პატრონი ჯვაროსნის ოჯახისა, მისი ქონებისა, მისი ღირსებისა.

(სხვა რაღა უნდოდა ადამიანებს?! ადამიანებს-მეთქი!).

იქვე ყველას დაასწრო, პაპს მიეჭრა, დაიჩოქა და „საჯვაროსნო“ კურთხევა შესთხოვა პიუის ეპისკოპოსმა, სწავლულმა სამღვდელომ, ა დ ე მ ა რ მ ო ნ ტ ე ი ლ მ ა. მაშინვე იგი აკურთხა და ჯვაროსნულ ლაშქრის ლეგატად და სულიერ მამად დანიშნა ურბანუსმა.

მეორე დღეს ტულუზის გრაფი რ ა ი მ უ ნ დ ი მოიჭრა და თავისი ჯარით პალესტინისკენ ლაშქრობის მზადყოფნა გამოაცხადა (მანამდე, რაიმუნდის მამა, ვილჰელმი, პილიგრიმად ყოფილიყო წასული იერუსალემს).

ჯვაროსნულმა ციებ-ცხელებამ მოიცვა ჯერ საფრანგეთი, მალე მთელი ევროპა. ისევ პაპის მოწოდებით, მომავალი 1096 წლის 15 აგვისტოს, აღმოსავლეთისკენ სალაშქროდ პირველნი, თავიანთი თანამეომრებით, უნდა დაძრულიყვნენ რაინდები, რომელთაც შეკრების ადგილად მოენიშნათ კონსტანტინოპოლი...

მანამდე, საფრანგეთსა და გერმანიაში პაპისგან საგანგებოდ წარგზავნილ აგიტატორებს უნდა შეეყარათ ხალხი და დაეყენებინათ სალაშქრო გზაზე, ისინიც კონსტანტინოპოლისაკენ.

ყველაზე დიდი „აგიტატორი“ აღმოჩნდა ბერი-ასკეტი, პ ე ტ რ ე მ ე უ დ ა ბ ნ ო ე, ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქ ამიენიდან. პეტრემ შეჰყარა ლაშქარი მთლიანად გლეხებისგან, ქალებით, ბავშვებით. ეს უიარაღო და სანახევროდ ფეხშიშველ-ტანტიტველი ბრბოები პეტრე ამიენელმა საფრანგეთიდან გადაიყვანა გერმანიაში და იქიდან, დუნაის დაყოლებით, დიდის ვაივაგლახით მიიყვანა კონსტანტინოპოლს.

ფრანგებს გერმანელები მიჰყვნენ, რაინის ხეობის გლეხობა; წინ თხა და ბატი წაემძღვარებინათ — ძველი გერმანული მითოლოგიის წმიდა ცხოველნი. გალაშქრების წინ, მოლაშქრეებმა რაინის ქალაქებში ებრაელები ამოწყვიტეს — ეს „ქრისტეს მოსისხლენი“, და მათი ქონებაც დაიტაცეს. კელნის ეპისკოპოსმა მოასწრო, თავისთან შეეფარებინა განწირულთა ერთი ნაწილი, მაგრამ ქრისტეს „ერთგულმა ქომაგებმა“ არც მათი მღვდელთმთავრის სახლი დაინდეს, ნაჯახებით დაჩეხეს და იქ შეფარებული ებრაელებიც ამოჟლიტეს („Deus le volt!“). ამის შემდეგ დაეშვნენ, ისინიც დუნაის გზებით, კვლავაც ძარცვა-რბევით, და სწორედ

ამ გზადაგზა, ბევრი მათგანი უნგრელებმა და ბულგარელებმა ამოწყვიტეს, სწორედ მათი მძარცველობისა და თავაწყვეტილი თარეშისათვის, ნაწილმა კი კონსტანტინოპოლს ჩააღწია და ახლა იქ განაგრძო ძარცვა და ყაჩაღობა („Deus le volt!“).

ალექსი კომნენოსსაც აღარ შეეძლო მათი მოთმენა. თვითონაც აღარ დაითმინეს და ყველა ერთად, გერმანელებიც და ფრანგებიც, პეტრე ამიენელის მეთაურობით, რაინდების ჩამოსვლას აღარ დაელოდნენ, კონსტანტინოპოლიდან აზიის მხარეს გადავიდნენ და იქ, ქალაქ ნიკეაში ჩამდგარ თურქობას ბრძოლები გაუმართეს. გაუმართეს და სიცოცხლე გაითავეს. მწოლოდ მცირენი გადარჩნენ სიკვდილს, თვითონ პეტრე მეუდაბნოესთან ერთად. და ასე, ამ „პირველი ჯვაროსნული ლაშქრობიდან“ დარჩა მხოლოდ „ჯვაროსნული ძვლების“ ხორომნი ნიკეის ველზე. („Deus le volt!“).

მაგრამ ახლა უკვე ორგანიზებული საომარი ძალები, რაინდები და მათი ჯარები მოემართებოდნენ ევროპიდან დედამიწის „ოქროს ჰიპისაკენ“.

ოთხ მთავარ ნაკადად მოედინებოდნენ ჯვაროსანი რაინდები. ერთნი, პროვანსელი ფრანგები, ტულუზის გრაფის, რ ა ი მ უ ნ დ ი ს მეთაურობით მოდიოდნენ, ჩრდილოეთ იტალიის, დალმაციისა და ჩრდილოეთ საბერძნეთის (ეპირის) გზებით; მეორენი, ლოთარინგიელი ფრანგები, კარლოს დიდის შთამომავალთ, გ ო ტ ფ რ ი დ ბ უ ლ ო ნ ე ლ ს და მის ძმას ბ ა ლ დ უ ი ნ ს მოჰყავდათ დუნაის დაყოლებით; მესამე ლაშქარი სამხრეთ იტალიელებისა და სიცილიაში ჩამოსახლებული ნორმანებისგან შედგებოდა; ამათ მოუძღოდათ ბ ო ჰ ე მ უ ნ დ ტ ა რ ე ნ ტ ე ლ ი და მისი ძმისწული ტ ა ნ კ რ ე დ ი. ამათ ადრიატიკი გადმოელახათ და ეპირისა და თრაკიის გზებით მიეშურებოდნენ კონსტანტინოპოლისაკენ; მეოთხე ნაკადად ჩრდილოეთ საფრანგეთიდან, ნორმანდიიდან მოედინებოდნენ გრაფი ჰ უ გ ო ვ ე რ მ ა ნ დ უ ა ს ა და ჰერცოგ რ ო ბ ე რ ტ ი ს მეთაურობით, საფრანგეთის და იტალიის გამოვლით, ბრინდიზიდან ადრიატიკის გადალახვით და საბერძნეთის გზებზე შედგომით

სულ 300 000 მეომარი მოეშურება შენს საშველად და ურჯულო თურქების საჟლეტადო, — ატყობინებდა და „ახარებდა“ პაპი ურბანუს II ბიზანტიის იმპერატორ ალექსი კომნენოსს.

ალექსისთანა ჭკვიან კაცს კი უნდა ეფიქრა, რომ სამასი ათასი ევროპელის, მაგრამ მისი ბიზანტიისთვის მაინც უცხოელი დამპყრობელის, თუნდაც „ჯვაროსანი-დამპყრობელის“ შემოსვლა უპირველესად ჯვარს დაუწვამდა თვითონ „ოქროს ჰიპს“ დედამიწისას — სწორედ მისი „ოქროობისთვის“ დაუსვამდა ჯვარს.

და ფიქრობდა ალექსი კეისარი, როგორ ეშველა ქვეყნისათვის, მისგანვე მოწვეული „მშველელებისგან“; და სანამ ის ფიქრობდა, კონსტან-

ტინოპოლი უკვე გავსებულიყო და გატიკნილიყო ჯვაროსნებით. ჯერ გაოცებული და გაოგნებული ათვალიერებდნენ ეს დასავლეთევროპელი „პროვინციელები“ ამ მართლაც გასაოცარ ქალაქს, გრანდიოზული, ბრწყინვალე შენობებით, ფართო და სწორი ქუჩებით, ერცელი მოედნებით, ოქროთი მოვარაყებული ეკლესიებით და მონასტრებით. მალე, გაოცებიდან უხეშ ძალადობაზე და უტიფრობაზე გადავიდნენ. ერთ-ერთ აუდიენციაზე ერთმა ახმახმა ჯვაროსანმა მეომარმა კეისარს დაასწრო და საკეისრო ტახტზე თვითონ დაჯდა და წამოიჭიმა. გრაფმა ბალდუინმა მაშინვე წამოაგდო და განაშორა იგი ტახტს, მაგრამ იმ როყიო „ჯვაროსანმა“ მაინც თავისი ამოანთხია: უკვე ტახტზე მჯდარ კეისრისაკენ ხელი გაიშვირა და შესძახა: აბა, შეხედეთ, ეს ერთი გლეხუჯა ტახტზე დამჯდარა, ამდენი სარდალი კი ფეხზე დგასო!

იმპერატორს ეს შეურაცხყოფა თითქოს არც შეუმჩნევია, მაგრამ უმალვე ყოველ ჯვაროსან სარდალს მკაცრად მოსთხოვა: აზიისკენ გალაშქრების წინ, ყველამ თქვენი მეომრებით მე უნდა შემომფიცოთ ერთგულება, ჩემი სიუზერენობა აღიაროთ და რასაც მცირე აზიაში დაიპყრობთ, ჩემს იმპერიას უნდა დაუბრუნოთო.

იტკიცეს ეს რაინდებმა, განსაკუთრებით გოტფრიდ ბულონელმა. მაშინ ალექსი კომნენოსმა აუდიენცია შეწყვიტა და გოტფრიდ ბულონელს ომით დაემუქრა. გოტფრიდი დაფრთხა. სხვა რაინდებიც დადედლდნენ და ბოლოს ყველა დათანხმდა, თავი ბიზანტიის კეისრის ვასალებად ეღიარებინათ და მცირე აზიის ქალაქებიც, ურჯულო თურქთაგან გათავისუფლებისთანავე, ბიზანტიის იმპერიის წიაღში დაებრუნებინათ.

ასე შეთანხმდნენ უკვე ერთიმეორისადმი უნდონი და მძულვარენი. სიტყვიერად შეთანხმდნენ, გულში კი, გაუმხელელი ზრახვა ემარხათ: ბიზანტიის კეისარს ეს „თავხედი ჯვაროსნები“ კონსტანტინოპოლიდან სწრაფად განეშორებინა და მათი ხმლითა და სისხლით იმპერიის აზიური ნაწილები დაებრუნებინა; ხოლო, ჯვაროსნებს აზიის ქვეყნებიც დაეპყროთ და მერე იქნებ კონსტანტინოპოლიც ზემოდან „ოქროს დელიკატესად“ დაეყოლებინათ...

ალექსი კომნენოსმა ჯვაროსნები სასწრაფოდ, ბოსფორის გადალახვით, აზიის მიწაზე გადაიყვანა, წინ თავისი ბერძნული ჯარიც წაუძღვარა და ყველანი ერთად ქალაქ ნიკეას მიუსია.

ნიკეაში ჩასაგრებული თურქული ციხიონი ჯერ მედგრად დაუხვდა ქრისტიანულ მხედრობას. მაგრამ დაეტყო, ალყას მაინც დიდხანს ვერ გაუძლებდნენ; მაშინ ბიზანტიელებმა თვითონ დაასწრეს ჯვაროსნებს, მათგან იდუმალ ალყაში შეჭირვებულ თურქებს შეეზრახნენ და ნიკეის გასაღებნი თვითონ გამოართვეს, ქალაქშიც თვითონ შეეიდნენ, ხოლო ჯვაროსნებს კარები ცხვირწინ გამოუკეტეს. ჯვაროსნები ასე, ამ პირველ დასაწყისშივე, პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ და ახლა მათ ისღა

დარჩენოდათ, ლაშქრობა განეგრძოთ მცირე აზიის სიღრმეში. და, 1097 წლის 1 ივლისს, დორილაეს ახლოს, მათ სასტიკად დაამარცხეს თურქთა დიდი საომარი ძალები. იქიდან, სამხრეთისკენ მიმავალთ, ფრიად მისჭირდათ შიმშილ-წყურვილისა და სიცხე-პაპანაქებისგან.

კილიკიაში გააღწიეს. აქ, ზღვის პირას, ტანკრედმა (ბოჰემუნდ ტარენტელის ძმისწულმა) ქალაქი თარსუსი ჩაიგდო ხელში. მაგრამ მაშინვე იგივე ქალაქი ტანკრედს ბალდუინმა (გოტფრიდ ბულონელის ძმამ) წაართვა და თავისთვის დაიმკვიდრა. 1098 წელს, ბალდუინმა თარსუსი არ იკმარა, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში გავიდა, ქალაქი ედესა დაიპყრო და იმავე სახელწოდებით — „ედესის საგრაფოც“ დააარსა.

დიდი ბრძოლები გაიმართა ანტიოქიის გარშემო. სულტანმა ბარჭაროკმა ანტიოქიის ემირს, ევროპელთა უკუსაგდებად, 200 000-იანი არმია მიაშველა, მოსულის ემირის, ქერბოგას წინამძღოლობით. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ, ქალაქის შიგნიდან ერთი სომეხი მოქალაქის მოსყიდვის წყალობით, ჯვაროსნებმა მოახერხეს ქალაქში შეღწევა. შეიჭრნენ და სასტიკად დაარბიეს, გაძარცვეს და ამოწყვიტეს ეს მდიდარი და ხალხმრავალი ქალაქი ევროპელმა ჯვარისმტვირთველებმა. რაიმუნდ ტულუზელის კაპელანი წერდა ამ ამბების შესახებ მშვიდი სინდისით: ჯვაროსნებს ანტიოქიაში ქალებისთვისაც არაფერი უკადრებიათ, გარდა იმისა, რომ მახვილით მუცელს უფატრავდნენო. დამშეულ ხალხსაც იმას ურჩევდნენ, დახოცილ თურქთა ლეში მიირთვითო; შემწვარი თურქი ფარშევანგზეც უფრო გემრიელიაო...

ანტიოქია ჯვაროსნებმა 1098 წელს აიღეს, ივნისში. წლის ბოლომდე იქვე დარჩნენ. ქალაქში ეპიდემია გაჩნდა. ამან იმსხვერპლა პაპის ლეგატი ადემარ მონტეილი, რომელიც აქამდე აკავებდა ერთმანეთისადმი ფარული შურითა და მტრობით განწყობილ ბელადებს. მისი სიკვდილი და აიშვეს კიდეც. ერთმანეთს მიეტევნენ ბოჰემუნდ ტარენტელი და რაიმუნდ ტულუზელი. ბოჰემუნდმა ანტიოქია თავისთვის დაიჩემა; რაიმუნდმა — არც შენ, არც მეო, და ანტიოქია ბიზანტიას უნდა დაუბრუნდესო, ბოლოს, როგორც იქნა, რაიმუნდი ანტიოქიიდან გავიდა და სამხრეთით, ზღვის პირას, მეორე დიდი ქალაქი, ტრიპოლი ჩაიგდო ხელში და იმჯერაც ის იკმარა.

ალექსი კეისარსაც უკვე შეეყვანა ბიზანტიური ციხიონები, ნიკეის შემდგომ, კიდევ დანარჩენ მთავარ ქალაქებში — ლაოდიკეაში, ფილადელფიაში, სარდში, სმირნაში, ეფესოში, ფილომელეაში.

ჯვაროსნები კი ერთმანეთში წაკიდებული ბელადებისაგან მოითხოვდნენ იერუსალემისკენ გადაუდებელ გალაშქრებას.

ამასობაში სელჩუკიანებს იერუსალემი ეგვიპტის ფატიმიდური დინასტიის სულტანმა, ალ-მუსტალიმ წაართვა. წაართვა და ჯვაროსნებს შემოუთვალა, რაკი იერუსალემს წმიდა ადგილთა სათაყვა-

ნოდ და სალოცავად მოდიხართ, — მობრძანდით, ილოცეთ და იგალობეთ, მაგრამ კეთილ ინებეთ, უიარაღოდ და ნაწილ-ნაწილად მობრძანდითო.

მაშინ, 25 000 ჯვაროსანი ერთბაშად მიადგა და მიაწვა იერუსალემს. ჯერ ფეხშიშველად შემოუარეს გარშემო წმიდა ქალაქს, ვითარცა მლოცველებმა, მერე იარაღი მოიმარჯვეს და იერიშზე წავიდნენ. იერიში გაგრძელდა დღენახევარს და ქალაქის კედლებზე პირველნი აიჭრნენ და გადაიჭრნენ გოტფრიდ ბულონელი და მისი ძმა ბალდუინი, თავისი მეომრებით. მეორე მხრიდან ბოჰემუნდ ტარენტელი და მისი ძმისწული ტანკრედი მიაწვნენ, კედელი გაარღვიეს და ისინიც შეიჭრნენ.

მაშ, იდგა 1099 წლის 15 ივლისი და იერუსალემი ხელთ ეპყრათ ევროპელ ჯვაროსნებს.

„დეუს ლე ვოლტ!“

და ესეც სურდა და ნებავდა ღმერთს?! რამდენი აოხრება, აკლება, ნგრევა, დაწვა-დაბუგვა და სისხლის ქცევა ახსოვდა იერუსალემს; ხოლო, მის „სათაყვანოდ და სალოცავად“ მოსულ ჯვაროსნებს ლამის დაეჩრდილათ თვით ნაბუქოდონოსორიც, იერუსალემის დაქცევა-დაქვეითების „კლასიკოსი“. უწყალოდ ჟლეტდნენ ყველას, კაცსა და ქალს, ჩვილსა და მხცოვანს. მარტო ომარის მეჩეთში იმდენი მუსლიმანი გაწყვიტეს, რომ „ცხენზე მჯდარ რაინდს სისხლის ტალღები მუხლებზე სცემდა“. მხოლოდ ერთხელ შეასვენეს ხმალი, — როცა ქრისტეს საფლავი გაიხსენეს, სისხლიანი ხელ-ფეხი განიბანეს და თავიდანვე აღთქმულ თაყვანისცემად და ლოცვად ეახლნენ. ეს „აღთქმა“ მოიხადეს და ისევ უმალვე განაგრძეს „მთავარი საქმე“ — დაუნდობელი ჟლეტა „ურწმუნოთა“, რამეთუ — Deus le volt!

ახლა, ვინ უნდა ყოფილიყო მფლობელი და მბრძანებელი იერუსალემისა? ბიზანტია იქ არავის გახსენებია. სასულიერონი იმას მოითხოვდნენ, იერუსალემის უმაღლესი გამგებელი მათგანი უნდა ყოფილიყო — პატრიარქი. მაგრამ მაინც იმათ იმძლავრეს, ვისაც ხელში ყოვლისმმუსვრელი მახვილი ეპყრათ, და იერუსალემის ახალი, ქრისტიანული სამეფოს ერთხელმწიფედ აირჩიეს და გამოაცხადეს გოტფრიდ ბულონელი, რომელმაც, „თავმდაბლურად“, მეფის ტიტულზე უარი თქვა — მე იქ ოქროს გვირგვინს როგორ დავიდგამ, სადაც ქრისტე ეკლის გვირგვინით ეწამაო — და „კრძალულად“ დაირქვა — „დამცველი უფლის საფლავისა“. ეგვიპტელებმა სცადეს იერუსალემის თავისად დანარჩუნება, კიდევაც ილაშქრეს პალესტინას, მაგრამ გოტფრიდ ბულონელმა, ასკალონთან გამართულ ბრძოლაში, დაამარცხა და უკუაქცია ისინი.

მაშ, მე-12 საუკუნე შემოდიოდა და წინა აზიის დასავლეთი მხარე სრულად დაჰკარგვოდათ სელჩუკიანებს: მცირე აზიაში ისევ ბიზანტია იდგა, ედესაში — ბალდუინი, ანტიოქიაში — ბოჰემუდ ტარენტელი,

ტრიპოლისში — რაიმუნდ ტულუზელი, იერუსალემში — გოტფრიდ ბულონელი.

მაშ, მთავარი ყოფილა დალაშქრა, ძარცვა, სისხლისქცევა, დაპყრობა და დამონება, და არა „მხოლოდ“ მლოცველობა.

„დეუს ლე ვოლტ!...“

დამდეგი XII საუკუნისა

ჯვაროსნული მოძრაობის მადლმა თუ ცოდვა-მადლმა ჯვაროსან საქართველოსაც უწია. ქრისტიან ევროპელებთან ჰიდილმა აზიელ მაჰმადიანებს ქრისტიანულ საქართველოზე დაწოლის ძალა გაანელებინა.

მაშინ — „შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა“ და კიდევ უფრო „განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი“.

და, მაშინვე, 1099 წელს, დავითმა თურქთა სულტანს ხარაჯა-ხარკის გადახდაც შეუწყვიტა.

ეს ყველაზე თამამი გადაწყვეტილება იყო დავით მეფისა, და აქაც უტყუარი აღმოჩნდა მისი ჰკუაც და ალღოც: თურქთა სულტანმა ბარქიაროკმა ახალგაზრდა ქართველი ხელმწიფის ამ სითამამეს მხოლოდ დუმილით უპასუხა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ეს ასე იყო. სელჩუკიანი ხელმწიფე მიმხვდარიყო ქართველი ხელმწიფის გამორჩეულ სიმტკიცეს, სიქველეს, დრო-ჟამთა მიხედვით, პოლიტიკური გეშის უცთომელობას. თვითონ მისი იმპერიაც ხომ ინგრეოდა და ამიტომაც დაუდუმებინა სიტყვაც და დაექვავებინა მახვილიც სელჩუკთა დიდ სულტანს ქართველი მეფის ეგზომ ჯიქური გამოხდომის საპირისპიროდ. ამიტომ უკვე ვეღარ მოდიოდნენ თურქნი ძველებური ინტენსიობით და „ვეღარა დაიზამთრებდეს ქართლსა“.

მაშ, თურქ-სელჩუკური უღელი — „მსოფლიო უღელთაგან“ სიმძიმით ერთი პირველთაგანი — უკვე მოხსნოდა ქედიდან საქართველოს, დავით მეფის ღვთივკურთხეული სულისა და გონების წყალობით მოხსნოდა...

ახლა მეთორმეტე საუკუნის კარიბჭესთან იდგა საქართველო.

აი, დავითიც — 27 წლისა.

აი, პირველი წელიწადიც საუკუნისა — ქრისტესშობითგან 1101.

და დავით მეფეს აღარ შეეძლო ქართულ მიწა-წყალზე „შიდასახელმწიფოთა“, თუ შიდასამფლობელოთა არსებობას შერიგებოდა. ვთქვათ, სანამ უნდა დაეთმინა, რომ მდინარე არაგვი სახელმწიფოთა საზღვარი იყო, ცალ-ცალკე სახელმწიფოთა: დასავლეთით საქართველო, აღმოსავლეთით კახეთი!

ორი, ცალკეული, დამოუკიდებელი და „სხვადასხვა“ სახელმწიფო!!!

კახეთი რომ საქართველოდ არ იხსენიებოდა, იგი ვითომ სხვა, „უცხო“ იყო და საქართველოს მიმართ მხოლოდ მოსაზღვრე-მეზობელი სახელმწიფო!

სიცილით კვდებოდა ბედისწერა ისტორიისა (ბედისწერა — ისტორიოსნების იმანენტური და არა მისგან გარეგანი, ტრანსცენდენტური!).

ხოლო სიცილი ესე მხოლოდ დავითს ესმოდა მაშინ (უეჭველად — გიორგი ჭყონდიდელსაც. ამათგან უკვე სხვა „დავითიანებსაც“).

დავით მეფე კი, ასეთ დაცინვას საისტორიო ბედისწერასაც არ შეარჩენდა.

და, სწორედ ახალი საუკუნეც ოცდაშვიდი წლის დავით მეფემ ქართლისა (საქართველო) და კახეთის „საზღვრის“, არაგვის გადალახვით გახსნა. მდინარის მარცხენა მხრივ წამომართულ ზედაზენის მთაზე აიჭრა და იქ მტკიცედ ნაგები ციხესიმაგრე დაიჭირა, — ის ზედაზენი, სადაც ოდესღაც იდგა ერთიან ქართლოსიანთა სალოცავი კერპი — ზადენ.

კახეთში მაშინ მეფედ იჯდა კვირიკე, რომელსაც ხელის გამოღებაც არ უცდია დავით ქართველთა მეფის ეგზომ უეცარი „გამოხდომის“ საპირისპიროდ.

ისევ — შინამოღალატეთა

და ის, რაც ვერ გაბედა კახეთის მეფე კვირიკემ „თავისი კახეთის“ ხელყოფისაგან გადასარჩენად, გაბედა თვითონ დავით მეფის ქვეშევრდომთაგან არაგვის ერისთავმა ძაგან აბულეთის ძემ — ზურგიდან სწორედ თავისი მეფისა და პატრონისადმი.

ესეც ამ ავგულა მებატონემ ჩაიდინა არა კახეთის „ინტერესთა დასაცავად“, არცა კვირიკე მეფის „სასიყვარულოდ“ თუ „სამეგობროდ“, არამედ მხოლოდ საკუთარ პატივმოყვარულ სიხარბეთა სამაძღრისად, საკუთარ ფეოდალურ განკერძოებისად, თუნდაც საკუთარ „მეფობისა“ თუ „ხელმწიფობისად“.

ხელი ჩემი არანაკლებ „მწიფე“ არს, ვიდრე ხელი შენი!— უეჭველად, ეს უხმო ყეფა დუღდა ყოველი ბრაზიანი ფეოდალის გულში მისი თანაბედროვე „ხელ-მწიფის“ მიმართ. ამის ტიპური მაგალითი იყვნენ კლდეკარელი ბაღვაშები და, „ბუნებრივად“, ასეთივე უნდა ყოფილიყო არაგველი ძაგან აბულეთის ძეც.

და, განუდგა დავით მეფეს ძაგან ერისთავი, „შემაწუხებელი ღმრთისა“ და „მძლავრებით ღმრთისათა არამრიდი“. მარტო თვითონ კი არა, ძმაც აიყოლია და შეიკავშირა ყოველ ქართველთა გამაერთიანებელი ტახტის წინააღმდეგ საბრძოლველად; თანაც, ეს უბრალოდ სისხლიერ ძმათა კავშირი როდი იყო, არამედ მთავარი ის გახლდათ, რომ ძაგანის

მოკავშირე ძმა, სახელად მოდისტოს, ერთი ფრიად გავლენიანი სასულიერო მეუფე ბრძანდებოდა — ეპისკოპოსი. ასე რომ, დავით მეფეს ერთად ამხედრებოდნენ ეს ორი ძმა ფეოდალი — საეროც და სამღვდელოც.

ძალიან სწრაფადაც ამოქმედებულან მეფის მოღალატენი: სანამ თვითონ დავითი შეიტყობდა, ძაგან ერისთავმა ერთბაშად დაცემით ხელთ იგდო მცხეთის, წილკნის და შიო-მღვიმის მამულები და საეკლესიო საბატონოდ მისცა და მიუბედნიერა თავის ძმას, ეპისკოპოს მოდისტოსს.

მაგრამ ცუდად გაუთავდათ ძმებს ასეთი კადნიერება. მეფე მოიჯრა ელვასავით. ძაგანი გაექცა და შიო-მღვიმის მონასტერში შევარდა თავშესაფარად. მეფეც მიჰყვა, თუმცა დიდი გარჯაც აღარ დასჭირვებია: თვითონ მღვიმის მონაზონ-მოწესეებმა, მთავარმამათა, შიოსა და მიქაელის მეთაურობით, შეიპყრეს მათთან „შელტოლვილი“ ძაგან „ღმრთისა არამრიდი“ და შებორკილი მიართვეს მეფეს.

ძაგანის ძმა მოდისტოსიც შეიპყრეს — „ღმერთსადა განკუთვნილი ეკლესიების თვისად მიმტაცებელი“ — და ორივე ძმა საპყრობილეში ჩაჰყარა დავითმა, ერისთავობაც წაართვა, ერისმამობაც, სხვა ყოველი პატივიც და ღირსებაც.

ამ გამარჯვებისა და მასში შიო-მღვიმეველ მოღვაწეთა თანადგომის აღსანიშნავად, მეფემ ბრძანა ახალი ტაძრის აშენება თვითონ შიო-მღვიმის სავანესა შინა. ტაძრის მშენებლობის წინამძღოლობა დავითმა მიანდო თავის სულიერ მოძღვართ — არსენის და იოანეს.

„სახლი განმამწარებელთა“

მასვე ჟამს — როცა დავით მეფემ ჯერ ზედაზენი დაიჭირა და მას უკან მოღალატენი, ძაგან და მოდისტოს დილეგში ჩაჰყარა — მოკვდა კლდეკარის ერისთავი რატი ლიპარიტის ძე — სწორედ ის რატი, რომელსაც მეფემ ტახტის მოღალატე მამის, საქართველოდან გაძევებული ლიპარიტის მემკვიდრეობა უკლებელად მიართვა და მიუბედნიერა. იქნებ, ბოლოს და ბოლოს, ბაღვაშთა „განმამწარებელთა სახლიდან“ ამ ერთს მაინც დაეფასებინა მეფის დიდსულოვნება და როგორმე „მოეხერხებინა“ ერთგულების შენახვა მწყალობელი ხელმწიფისადმი. მაგრამ კვლავაც ამაოდ: რატი ლიპარიტის ძეც აღმოჩნდა „კაცი ორგული და ნანდვილვე ნაშობი იქედნესი“.

იქნებ ადამიანის ფსიქიკის ფორმირებაში, მართლაც, ან ზოგჯერ მაინც, ეგზომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება ე. წ. „გეოგრაფიულ გარემოს“? იქნებ, ცაზედეთზე თავმობჯენილი და ყველაზე სრული ქართული სამყაროს თვალმოდარაჯე კლდეკარის მფლობელს მართლა არ

შეეძლო, თუ ვერ წარმოედგინა ქედის დადრეკა სადღაც ქვემოთ, „დაძირულ ქუეყნელის“, „ქუთათისელი მეფის“ წინაშე?!

ვინ იცის, იქნებ მართლა ასე იყო — იქნებ, ასე ეფიქრებოდა ყოველ „ბუნებით მაღალ“ კლდეკარელს... და თუ ასე იყო, — მაშინ ვაი ამნაირ მოფიქრალთ!

ვაითვე გაუთავდათ.

სწორედ გათავდა: რატი ლიპარიტის ძე უკანასკნელი ბაღვაში იყო — უკანასკნელი, რომელმაც ტრადიციულ-ბაღვაშურ ღალატს არ უღალატა და, თურმე, მთელი მისი წუთისოფელი იმანაც მხოლოდ ღალატის ბნელი დერეფნით იარა და იბორგა-იბოროტა, ისიც „მიექცა ნათხევარსა“, ვითარცა ძაღლი, იმანაც „ინგორა სანგორელსა მწვირისასა“, იმანაც შესვა „თხლე რისხვისა, სასუმელი ცოდვილთა ქუეყანისათა“, გინა „თხლე ღალატისა“ და აღესრულა იგი — უკანასკნელი ბაღვაში „განმამწარებელი“.

(აკი გვარიც მათი ეს იყო: „ბაღვივაშ“— „სახლი განმამწარებელთა“).

ახლა იმ „გეოგრაფიულ ცაზედეთზე“, კლდეკარი რომ ერქვა — სწორედ ცით მოვლენილი მეფე იდგა.

მისი ბრძანებით, კლდეკარის მბრძანებლად ცხადდებოდა მეფის მოძღვრისა და უახლოესი თანამებრძოლის, გიორგი ჭყონდიდელის დისწული — თ ე ო დ ო რ ე, ესეც „კაცი გონიერი და დიდად მყოფი“.

„ძეგლი შუენიერი“

მარტო საერო დიდგვაროვანთა თავგასულობის აღკვეთა არ ჩანდა საკმარისი მეფის ერთიანი სახელმწიფოებრივი მმართველობის განმტკიცებისთვის. უარესი უზნეობა და განუკითხავობა სუფევდა სასულიერო-საეკლესიო ცხოვრებაში. დავითის წინარე მეფეთა ზეობათა ჟამს მკვიდრად ჩამოყალიბებულიყო საეკლესიო მმართველობისა და წესწყობილების ზნეობრივად მახინჯი პრინციპები (ჩამოყალიბებულიყო — „ჩამომახინჯებულიყო“!). სამმართველო და საწინამძღვრო იერარქიის ყოველ საფეხურზე დანიშვნა ხდებოდა წოდებრიობის, გვაროვნების, ნათლიმამობის (ნეპოტიზმი) და ნივთიერი დოვლათიანობის მიხედულობით, და არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ადამიანის პირად ღირსებებს — ნიჭიერებას, პატიოსნებას, საქმის ცოდნას, განათლებას, სიქველეს, მამულიშვილობას.

საქართველოს ეკლესია სახარებაში გაკიცხულ „ავაზაკთა ქვაბს“ დამსგავსებოდა — „წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავა-

ზაკთა ქმნილ იყვნეს და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა უსჯულოებასა აწურთიდეს მათ ქუეშეთა ყოველთა. და თვით სახლით უფლისათ და მღდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა".

თუნდაც, აწ მოხსენიებული და ავად სახსენებელი მოდისტოს ეპისკოპოსი, ძმა მისებრ მობოროტე ძაგან ერისთავისა, ტიპური მაგალითი იყო უმაღლეს საეკლესიო წინამძღვართა და მესვეურთა ზნედაცემულობისა.

ერთი სიტყვით, ქართული ეკლესია იყო „დიდთა წყლულებათა შინა" — სამართლებრივად უსამართლო, ზნეობრივად უზნეო და სჯულიერად უსჯულო.

პატივმოყვარეობითა და ანგარებისმოყვარეობით ნაშობი ზნედაცემულობა საერო არისტოკრატიასაც აკი არ აკლდა მაშინდელ საქართველოში, მაგრამ სასულიერო-საეკლესიო მოწესეთა უწესოება უფრო დიდ ცოდვად და უზნეობად ინათლებოდა თუნდაც თვითონ საეკლესიო მორალური კანონიკით, თუნდაც ასეთი წერილობითი შეგონებით: „არა სწორი არს ცოდვა მღდელისა და მხედრისა, არცა ერისა და მღდელთმთავრისა". სამღვდელოსაგან ჩადენილი ცოდვა უფრო მძიმე იმიტომ არის, რომ მან საღმრთო სჯულიერებისა და სინდისიერებისა გაცილებით მეტი იცის (ყოველ შემთხვევაში, უნდა იცოდეს), ვიდრე საერომ. ამიტომ სამღვდელო შეცოდებისთვის უფრო უნდა დაისაჯოს, ვიდრე საერო: მწყემსი უფრო მკაცრად უნდა იგვემოს, ვიდრე სამწყსონი მისნი. ანუ — „რომელმან იცოდის ნება უფლისა თვისისა და არა გან[illegible]ზადოს ნებისაებრ მისისა, იგუემოს ფრიად".

მაშ, გადაუდებლად საჭირო ყოფილა განწმენდა ტაძრისა, აწ „ავაზაკთა ქვაბად" გარდასახულისა.

აკი ადრეც, ორმოცი წლის წინათ, სულკურთხეულმა წმიდა გიორგი ათონელმა მოუწოდა და მოსთხოვა მეფე ბაგრატ მეოთხეს, ქართული ეკლესიისა და საერთოდ საქართველოს სულიერ-სჯულიერი და კანონსამართლებრივი რეფორმების გატარება, მაგრამ ამაოდ გაწბილდა წმიდანი იგი — გაწბილდა, რადგან ბაგრატ მეოთხე არ აღმოჩნდა იმ ძალმოსილების მქონე გვირგვინოსანი, რომელიც ეგზომ მძიმე ტვირთის აზიდვას შეიძლებდა. ბაგრატ მეფე დიახაც დიდი მეფე იყო, მაგრამ როგორც ეტყობოდა, ამ შემთხვევაში თურმე სიდიდეც არ კმაროდა; თურმე ასეთი ტვირთის „განტვირთვას" ს ი დ ი დ ე კი არა, ს ი დ ი ა დ ე წჭირდებოდა. სიდიადე კი, საისტორიო ბედისწერით, ბაგრატს კი არა, ბაგრატის შვილიშვილს უნდა მოჰყოლოდა, „ზეცითა მონაბერითა".

და, აი, ახლა, „დიადი შვილიშვილი“, მეფე დავით აღმაშენებელი, უკვე შესდგომოდა „იმ ტვირთის“ განზიდვას და განტვირთვას.

შესდგომოდა იგი მისი სალოცავი ქვეყნის „დიდთა წყლულებათა კურნებას“.

იდგა 1103 წელი.

დავით მეფეს რ უ ი ს ს ა და უ რ ბ ნ ი ს ში დიდი საეკლესიო ყრილობა დაენიშნა. შეყრილიყო „ერი მრავალი“, სამღვდელონი ყოველი სიმაღლისა — კათალიკოსიდან დაწყებული და მეუდაბნოეთი დამთავრებული; სამღვდელოთა გარდა, მრავლად საეროთაგან „მოძღვარნი და მეცნიერნი“.

რუის-ურბნისის ეს თავყრილობა ვიდოდა დიდხანს და ცხოველმყოფელად — „დღეთა მრავალთა და ფრიადითა გამოწულილვითა“.

ძნელზე ძნელი უნდა ყოფილიყო ბრძოლა „უღირსად გამოჩინებულთა“ წინააღმდეგ. პიროვნულად უღირსნი და მხოლოდ „მამულობის“ ძალით დაწინაურებულნი, უმეტეს წილ „იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი“. ამიტომ უნდა გაძნელებულიყო ამ „ხელუხლებელთა“ დაქვეითება და განპატიჟება.

მაგრამ კვლავაც უმტკიცესი, განუკვეთელი და განურღვეველი აღმოჩნდა ნება დავით მეფისა; მისი წინამძღოლობით, რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე, ჯერ — „ყოველი ცთომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს“, მას უკან, იქვე — „უღირსად გამოჩინებულნი განკუეთნეს, და შეაჩუენნეს“, თანამდებობიდან გადმოყარეს („საყდართაგან გარდამოსთხინეს“). და ყველა ამ „განკუეთილთა“, „შეჩვენებულთა“ და „გარდამოსთხნილთა“ ადგილებზე მაშინვე „ჭეშმარიტნი მწყემსნი და სათნონი ღმრთისანი დაადგინეს“.

მაშასადამე, დავითის ნებით, ამიერიდან, ქართულ საეკლესიო მმართველობაში იკრძალებოდა რაიმე ადგილზე დანიშვნა გვარიშვილობისა თუ წოდებრიობის მიხედულობით, არამედ ყოველი ამაღლება და აღზევება წესდებოდა პირად ღირსებათა — ნიჭის, პატიოსნების, ცოდნისა, თუ საერთო მამულიშვილობის მიხედვით.

(ალბათ, სულკურთხეული გიორგი მთაწმიდელის ნეშტი შეირხეოდა ათონის ივერონის წმიდა ლუსკუმა-სამკვიდრებელში!).

ასეთი იყო რუის-ურბნისის საეკლესიო კრების აზრი და არსი, რაიც იქვე გაფორმდა წერილობითად, ვითარცა სამომავლოდ სავალდებულო და სახელმძღვანელო „ძეგლი შუენიერი ჭეშმარიტი სარწმუნოებისა“.

აი, იგი, „ძეგლი შუენიერი“, დაწერილი არსენი ბერის ხელით, რომელსაც სტრიქონ-სტრიქონ მისდევდა თვალი დიადი ხელმწიფისა (თვალი, რომლის მსგავსი არა უხილავს „თვალსა სხეულიანსა“):

წმიდისა და ღმრთივშეკრებულისა კრებისაჲ, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცულისა მეფისა ჩვენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისაჲთა, პირთათვის, რომელნი ქვემო მოხსენიებულ არიან.

ყოველისავე ხილულისა და უხილავისა სოფლისა და ყოველთავე საცნაურთა და გრძნობადთა ბუნებათა არაარსისაგან არსებად მომყვანებელმან ღმერთმან უხილავთა მათ და ზესთასოფლისათა ძალთა ბუნებაჲ უკვდავებითა და უხრწნელებითა შეამკო, ხოლო ქვეყანაჲსა ამის სოფლისაგანნი ყოველნი ქმნისა და ხრწნილებისა შორის განაწესნა.

ამისსა შემდგომად მოიგონა ახალი რაჲმე და უცხოჲ დაბადებული, რომელსა თვით მის თავადისაცა დამბადებელისა და სიტყვიერისა და პირუტყვისა და ყოვლისავე აგებულისა ბუნებისა ზიარებაჲ თავსა შორის თვისსა მოაქვნდეს და მის მიერ ვითარცა საზოგადოჲსა საკრველისა მიერ შეერთებად ღმრთისა შემოკრბებოდინ ყოველნი დაბადებულნი და თან ხუთნივე სახენი ყოველთა არსთა განყოფილებისანი დაიხსნებოდინ, რომელი ვითარცა რაჲმე სოფელი, მცირე დიდსა შინა, ანუ დიდი მცირესა შინა, დაადგინა ქვეყანასა ზედა, ღმრთივშვენიერი ივი და დიდებული სამოთხე დაასხა აღმოსავალსა ედემისასა.

გარნა ვინაჲთგან მან ნივთად თვითმფლობელობისა მიცემული მისდა სჯული წინაუკმოდ საღმრთოჲსა ნებისა იხუმია და შურითა ეშმაკისაჲთა, და განმცდელობითა დედაკაცისაჲთა ცთომილი ძელისა მისგან ცხორებისა და სამოთხისა და ღმრთისა სიბოროტისათვის ექსორია იქმნა და სიკვდილითა და ხრწნილებითა დასჯილი ბევრეულთა ვნებათა და ძვირთა მიერ უფლებულ იქმნა.

რამეთუ პირველად სისხლთა მიერ ძმისათა მეწამულმყოფელმან ხელთამან კაინ კვალად მეორისა ღმრთისამიერისა წყევისა თანამდებ ყო ქვეყანაჲ, მერმე სიბოროტემან გმირთამან შენანებაჲ არწმუნა დამბადებელსა უცხოჲსა მის ცხოველისა კაცისა ესოდენ საკვირველებით დაბადებისაჲ და წყლითა რღვნისაჲთა აღხოცაჲ ყოვლისა აღდგომისაჲ პირისაგან მიწისა.

ამისა შემდგომად სილაღითმან ხელყოფამან გოდლის მაშენებელთამან შერევნითა ენათაჲთა და მიმოყოფითა ნათესავთაჲთა მეოთხედ დასჯა ნათესავი კაცთაჲ.

ხოლო გამოჩინებამან კერპთა სიბორგილისამან და ნაცვლად დამბადებელისა მსახურებამან დაბადებულისამან სრულიად განაშორა და უცხო ყო კაცი შემოქმედისა ღმრთისაგან.

მერმე ღაღადებამან სოდომელთა სიბილწით სლვისამან წუნწუბასა

თანა აღრეულითა ცეცხლითა მოწვად აიძულა სოფლები ხუთქალაქისაჲ. კვალად გულფიცხელობასა ფარაოჲსსა და უსახურებასა მეგვიპტელთასა უცხოთა მძლავრებათათვის უცხოჲ მიეგო მისაგებელი და გვამთა მათთა უცხოდ დამმარხველი საფლავები.

ამისსა შემდგომად — დიდი მოსე, შჯული, მღვდელობაჲ მსხვერპლნი, სალხინებელნი თითო სახენი, მსაჯულნი, მეფობაჲ, წინასწარმეტყველებაჲ, ყოფადთა წინაწარი ცნობაჲ, სახისშეცვალებითნი ღმრთის გამოცხადებანი.

შერმეცა კვალად — კერპთმსახურებაჲ თვით მის მოსეს მიერ ეგვიპტით გამოყვანებულისა და სჯულდებულისა და ესოდენთა პატივთა ღირსქმნულისა და პირმშოდ ძედ აღსაარებულისა ერისაჲ.

ამისა შემდგომად — კვალად მძლავრებაჲ, კვალად ტყვეობაჲ მრავალგზის მრავალთა ნათესავთა და უკანაისკნელ — ბაბილოვნელთამიერი, რომელთა მეფისა ღმრთის წინააღმდგომსა მოგონებასა საქმით ამხილეს სამთა მათ ჰაბუკთა ისრაიტელთა, რაჟამს საკრველთა რკინისათა განმლეველმან სახუმილმან შეუხებელად დაიცვნა მათნი ადვილად განსალეველნი თმანი და შესამოსელნი.

მერმეცა კვალად — ქალაქი და ტაძარი, კვალად სჯული და მღდელობაჲ და რაოდენნი-რაჲ იყვნეს სჯულისანი და საკვირველისა მის სჯულიერისა მსახურებისანი.

გარნა ვერცა ერთი რაჲ პირველთქმულთა ამათგანი შემძლებელ იქმნა კურნებად ბუნებისა, გინათუ მატანჯელობითთა და საშინელებათა, ანუ ქველისმოქვედებითთა სიტკბოებათაგანი, რომელთა თანა სჯულნიცა უქმ იყვნეს, ბუნებითსა ვიტყვი დაწერილსა, და უძლიერესი სახმარ იყო წამალი სალმობათათვის უბოროტესთა.

ამისთვის თვითგვამოვანი იგი სიბრძნე და ძალი თანაარსი ღმრთისა მამისა სიტყვაჲ, რომელი დასაბამად იყო და ღმრთისა თანა იყო და მარადის იყო, მოვიდა ხატისა თვისისა და უხრწნელთა მათგან და ყოვლად უბიწოთა სისხლთა ჰეშმარიტებით და საკუთრად ღმრთისმშობელისა მარადის ქალწულისათა ხორცნი შეიმოსნა ხორცთათვის და სულსა გონიერსა და სიტყვიერსა შეეზავა სულისათვის ჩვენისა მსგავსითა მსგავსთა განწმენდად, რამეთუ მიუღებელი უკურნებელცა არს და თვისისა ქმნულისა წილ თვით მიითვალა ბრძოლაჲ. და ესრეთ ყოველივე ხორცთამიერი განგებულებაჲ ჯვარისა თანა ვნებათა საფლავსა და ღმრთივშვენიერსა აღდგომასა სრულ ყო რაჲ ქვეყანასა ზედა, დიდებით აღმავალმან ზეცად წარავლინნა ათორმეტნი თვისნი, რომელთაცა მოციქულად უწოდა, რაჲთა, ღმრთისმეცნიერებისა ნათლითა ყოვლით კერძო სოფლისაჲთ განხადონ ბნელი უღმერთოებისაჲ და სახელისა მიმართ წმიდისა სამებისა ნათლისცემითა ასწაონ თაყვანისცემაჲ თანაარსისა ერთღმერთეებისაჲ

და დამარხვითა საცხოვრებელთა მცნებათაჲთა კვალად აგნენ კაცნი პირველსავე ნეტარებითსა დიდებასა.

ესენი ვითარცა შარავანდედნი მზისა მის სიმართლისანი განეფინნეს რაჲ კიდეთა ქვეყანისათა, ყოველი ნივთი კერპბორგნეულისა უღმრთოებისაჲ მახვილითა სულისაჲთა მოჭრეს და ცეცხლითა სარწმუნოებისაჲთა მოწვეს და ერქვნითა ჯვარისაჲთა მოიორნატნეს გულნი შემწყნარებელთა კაცთანი და დასთესეს მათ შორის თესლი კეთილად მსახურისა სარწმუნოებისაჲ და მხოლოჲსა და ჭეშმარიტისა ღმრთისა მსახურებითი თაყვანისცემაჲ მრავალთა, და სიცრუვით მოპოვნებულთა ღმერთთა წილ ღმრთივშვენიერებით ასწავეს და საკერპოთა მათ წილ ტაძართა და ბოძონთა სიმრავლენი ეკლესიათა და საკურთხეველთანი აღუმართნეს ღმერთსა ყოვლით კერძო ქვეყანისაჲთ, და სიძულილი სოფლისაჲ და მტერობაჲ ხორცთაჲ რწმუნებით ასწავეს მათ, რომელთა-იგი ღმრთად შეერაცხა სოფელი და ხორციელთა გემოთა მძლავრებისადა მონად მიეცნეს თავნი, და განცოფებული იგი სიბრძნე ელლენებრისა სიჩჭურისა ვეთისაჲმე სიმარტივითა ღმრთივსწავლულისა მათდა სიბრძნისაჲთა, რომლისათვის — იგი პავლეს ჰბასრობდეს ათინელნი, ყოვლად სიბრძნით მხილებულ ყვეს და არცა ერთისა სიტყვისა ღირსად გამოაჩინნეს მათნი იგი ზღაპართმწერლობითნი ხელოვნებანი.

და დიდისა კლიმინტოსის მიერ დასხნეს კანონნი საეკლესიონი რიცხვით ოთხმეოცდახუთნი, რომელთაგანი ერთი პირველწოდებული ანდრია, ძმაჲ თავისა მოციქულთაჲსა პეტრესი, ვიდრე ჩვენდამდეცა მოიწია და ქადაგა საცხოვრებელი ქადაგებაჲ სახარებისაჲ ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა და ურიცხვნი სიმრავლენი ერთანი განაშორნა საცთურისაგან მრჩობელ ეშმაკეულებისა, და ერთისა ღმრთისა და ქრისტეს მისისა თანაარსით მათით სულითურთ რწმუნებით თაყვანისცემაჲ ასწავა, დაღათუ უმრავლესმან ერმან ქართლისამან სიმრავლესა შინა ჟამისასა დაივიწყა ქადაგებაჲ იგი მოციქულისაჲ და საცთურისავე მიმართ კერპთაჲსა მიაქცია.

ამათისა ქადაგებისა ნაყოფად აღმოეცენნეს ყოვლით კერძო ყოველსა სოფლისაჲთ სიმრავლენი ღვაწლისა დამდებელისა ქრისტეს სიკვდილისა მიმსგავსებულთა მოწამეთანი, ვინაჲთგან სამასნი მცირედთა სხვათა თანა ვიდრე მეფედ ქადაგებადმდე დიდისა კოსტანტინესსა შორის გარდახდეს წელიწადნი, რომელი იგი პირველად ქრისტეანე იქმნა მეფეთა შორის და თვით მოციქულ და ქადაგ საცხორებელისა ქადაგებისა და ნათელსა თავისუფლებისასა მიმფენელ ქრისტიანეთა ღმრთივშვენიერისა მოქალაქეობისა.

ამისთავე უკვე ჟამთა სრულიად მომხვედნა ჩვენცა აღმოსავალმან მაღლით და დედაკაცისა ვისმე მიერ ტყვექმნულისა, რომელსა იგი ნუნნად კაპპადუკიელად აქა სადმე პოვნილნიცა ქადაგებენ წიგნნი საეკლესიოთა

მოთხრობათანი, სარწმუნოებისა მიმართ თვისისა მიიზიდა ყოველი საუსებაჲ ყოვლისა ქართველთა ნათესავისაჲ საკვირველმოქმედებათა ნიშებშემოსილთა სასწაულთაჲთა, რაჟამს-იგი ქართველთა მეფემან მირიან მეფეთა შორის დიდისა კოსტანტინესსა მიელინებითა და მისგან გამოთხოჲთა მეფობისა თვისისა ქალაქად მცხეთად შთამოიყვანა ევსტათი დიდი საყდრისმპყრობელი ანტიოქელთა ეკლესიისაჲ და წმიდათა მიერ ხელთა მისთა ნათელიღო მან და ყოველმან ერმან ქართლისამან. და თვით პატრიარქთა შორის სახელგანთქმულმან ევსტათი ხელითა თვისითა შთადვა საფუძველი მაშინ სადმე მცხეთას აღშენებულისა ეკლესიისაჲ, რომელიცა ფრიადისა თანა გულსმოდგინებისა განასრულეს რაჲ მათ, განწმიდა იგი და ხელთდასხმულ ყო მას შინა მათთვის ეპისკოპოსი კათოლიკოსი.

ამან საუკუნოდ ხსენებულმან მეფემან კოსტანტინე შეკრიბა პირველი და მსოფლიოჲ წმიდაჲ კრებაჲ, ნიკეას სამას ათრვამეტთა წმიდათა მამათანი, რომელთა დასხნეს კანონნი რიცხვით ოცნი, რომლისა პირველად ქმნულ იყვნეს სხვანიცა ადგილობითნი კრებანი, პირველნი — ანკვირიას, რომელსა დაესხნეს კანონნი ოცდაოთხნი, მეორე — ნეოკესარიაჲს, დამსხმელი კანონთა ათოთხმეტთაჲ, ხოლო შემდგომად დიდისა მის და მსოფლიოჲსა კრებისა სხვანიცა იქმნნეს ადგილობითნი კრებანი, ვითარ-იგი ღანგრისაჲ, რომლისა კანონნი არიან ოც, და კვალად ანტიოქიისაჲ, დამსხმელი კანონთა ოცდახუთთა. ამათ თანა—ლაოდიკიისაჲ ფრიგვიისაჲ და კანონნი მისნი ოცდაერთნი. ამათსა შემდგომად — მეორე წმიდაჲ და მსოფლიო კრებაჲ კოსტანტინოპოლის ას ერგასისთა წმიდათა მამათაჲ, რომელთა კანონნი არიან რიცხვით შვიდ. მერმე — მესამე ეფესოისა წმიდაჲ და მსოფლიო კრებაჲ მცირისა თევდოსის მეფისა მიერ შეკრებული, რომელმან დასხნა კანონნი რვანი. მეოთხე — ხალკიდონს ექვსას ოცდაათთა წმიდათა მამათაჲ მსოფლიო კრებაჲ კეთილად მსახურისა მარკიანე მეფისა მიერ შემოკრებული და განმაწესებელი კანონთა რიცხვით ოცდარვათაჲ. მერმე — ადგილობითი კრებაჲ კართაგენისაჲ და კანონნი მისნი ასოცდაათრვამეტნი. ხოლო მეხუთემან წმიდამან და მსოფლიომან კოსტანტინოპოლის შეკრებულმან კრებამან მცირედ იზრუნა საეკლესიოთა კანონთა განწესებისათჳს. არამედ მეექვსემან წმიდამან და მსოფლიომან კრებამან იუსტინიანეს ზე, კეთილად მსახურისა მეფისა, გუმბადსა შინა სამეუფოჲსა პალატისას შეკრებულმან, აღავსო დაკლებული მისი, რამეთუ დასხნა კანონნი რიცხვით ას და ორნი. კვალად ნიკიისა მეორემან წმიდამან კრებამან დასხნა კანონნი ათრვამეტნი. ამისსა შემდგომად არიან სხვანიცა ორნი მასვე სამეუფოსა ქალაქსა ეკლესიასა შინა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთასა შეკრებულნი კრებანი, რომელთა განუჩენიან კანონნი რიცხვით ათშვიდ-

მეტნი. ხოლო წმიდასა და მეშვიდესა წმიდათა ხატთათვის შეკრებულსა მსოფლიოსა კრებასა განუწესებიან კანონნი რიცხვით სამნი ოდენ.

ამათ წმიდათა კრებათა მიერ განჩინებულთა კანონთა თანა არიან სხვანიცა თითოეულთა მამათა მიერ განწესებულნი და თანააღრიცხულნი კანონნი:

დიონვისიოს ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისა კანონნი ოთხნი;

პეტრე ალექსანდრიელთა მღდელთმთავრისა და მოწამისა კანონნი ათხუთმეტნი;

გრიგოლი ეპისკოპოსისა ნეოკესარიელისა საკვირველთმოქმედისა ეპისტოლე კანონიანი;

დიდისა ბასილის კანონნი ოთხმეოცდახუთნი;

მისივე ეპისტოლე კანონიანი დიოდორეს მიმართ;

მისივე ეპისტოლე კანონიანი გრიგოლის მიმართ ხუცისა;

მისივე ეპისტოლე კანონიანი ხორეპისკოპოსთა მიმართ;

მისივე ეპისტოლე კანონიანი მისქვეშეთა ეპისკოპოსთა მიმართ;

მისივე ამფილოქეს მიმართ სულისა წმიდისათვის მიწერილთა მათ თავთაგან;

გრიგოლი ნოსელისა კანონნი რვანი;

ტიმოთე ალექსანდრიელისა კანონნი ათხუთმეტნი;

ფილოთეოს ალექსანდრიელისაჲ ღმრთის გამოცხადებისათვის თქუმულისაგან;

მისნივე სხვანი კანონნი ათნი;

მისივე ეპისტოლე აფიგიონის მიმართ ეპისკოპოსისა;

მისივე ეპისტოლე აგათონის მიმართ ეპისკოპოსისა;

მისივე ეპისტოლე მინაჲს მიმართ ეპისკოპოსისა;

კვირილე ალექსანდრიელთა მთავარეპისკოპოსისა კანონნი შვიდნი;

გენნადი წმიდისა პატრიარქისა კოსტანტინოპოლელისა და მის თანა წმიდისა კრებისა ეპისტოლე მიტროპოლიტთა მიმართ გარემოთა სამთავროთაჲსა.

ესე არიან შეკრებანი წმიდათა და საეკლესიოთა კანონთანი დაბეჭდულნი და დამარხულნი თვინიერ ყოვლისა შემატებისა და მოკლებისა. და ამათი მეცნიერებაჲ და შედგომაჲ და მტკიცედ პყრობაჲ უხმს ყოველთა წინამძღვართა ქრისტეანობითისა მადიდებლობისათა მღდელთმთავართა და მღდელთა და დიაკონთა და ჩვენს შორის მოძღვრად საზელდებულთა მათცა მონაზონთა და ერთბამად ყოველსა სავსებასა მართლმადიდებელთა ეკლესიისასა.

ხოლო ჩვენ ესე ამისთვის მოვიხსენენით, რაჲთა პირველითგან პირი სიტყვისა ჩვენისაჲ განვჰმარტოთ.

ვინაჲთგან დაჰბადა ღმერთმან დასაბამსა ხატებად და მსგავსებად თვისსა კაცი, ვითარცა პირველ ვიტყოდეთ, რაითა მის მიერ ვითარცა

საზოგადოჲსა საკრველისა მიერ ხილულთა და უხლიაჲთაჲსა თავსა თჳსსა შეაერთნეს ყოველნი საცნაურნი და გრძნობადნი დაბადებულნი, სათნოებით რაჲ საკუთარ ექმნას იგი შემოქმედსა თჳისსა, ხოლო იგი ეგევითარისა მის მადლთა სიმდიდრისაგან განშიშვლდა ცთომისა მის მიერ და განდგომილთა და რისხვეულთა მონათა მონებაჲ მოატყუა თავსა. არამედ არა სახიერმანცა დამბადებელმან მისმან, რამეთუ ვითარმცა თავს იდვა უგულებელსყოფაჲ ესოდენისა ხელთა მისთა საქმისაჲ, რომელ არს კაცი, არამედ უხრწნელსა შინა საშოსა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისასა არღარა პირველისაებრ იჩვისა მადლით, არამედ გვამოვნებით შეაერთა იგი თავსა თჳისსა და ზესთა ბუნებისა განაღმრთო მის მიერ მიღებული იგი და მის თანა ერთგვამქმნილი კაცი, და რომელი-იგი იყო პირმშოჲ ყოვლისა აგებულისაჲ, თავს იდვა პირმშო მრავალთა ძმათა შორის ყოფაი, რაჲთა სახელისა მისისა მიმართ წოდებულნი და მადლით ძმად მისსა აღსაარებულნი, რომელი-იგი ყრმათაცა ეზიარა ხორცითა და სისხლითა, და გვამად ერთისა მის ყოველთა თავისა გამოჩინებულნი მუნ აღმიყუანნეს კვალად განხორციელებითა თჳისითა, სადა-იგი თჳით არს თავი სასოებისა ჩუენისაჲ, და თანამოქალაქე მყუნეს წმიდათა და სახლეულ ღმრთისა და სამკვიდრებელად მისსა გამომაჩინნეს სულითა, რაჟამს თავისა მიმართ შემოკრბეს თითოეულებაჲ ასოთა განყოფილებისაჲ და თბისა მიმართ გარდაინივთოს ვითარებაჲ ყოველსა აღსვარულისაჲ.

ვინაჲცა ამისთჳს მოგვეცნეს პირველად ბუნებითი და მერმე დაწერილი სჯული, ამისთჳს იქმნა განკაცებაჲ ღმრთისაჲ, ამისთჳს — ქალწულისაგან შობაჲ, ბაგაჲ, წარგრაგნაჲ, ანგელოზნი მადიდებელნი, ვარსკვლავისა სრბაჲ, მოგვთა ძღუნისმომრთველობაჲ, წინდაცვეთაჲ, ნათლისღებაჲ, ზეცით წამებაჲ, განცდაჲ, ქოლვაჲ ჩუენთჳს და ვნებანი უვნებელისანი, განცემაჲ, შემსჭვალვაჲ, დაფლვაჲ, აღდგომაჲ, აღსლვაჲ ზეცადან: ამისთჳს — ქადაგებანი მოციქულთანი, სისხლნი მოწამეთანი, სწავლანი მოძღვართანი, ოფლნი ღირსთა მამათანი, გულსმოდგინებანი კეთილად მსახურთა და მორწმუნეთა მეფეთანი, წადიერებანი ღმრთისმოყუარეთა მთავართანი, კადნიერებანი ღმრთის სახისა მღდელთმთავრობისა რწმუნებულთანი წინამბრძოლისა თჳისისა თანა, სიმხნით თანაშემწეობანი მღდელთა და სამღდელოთანი, ცოდვისა მიმართ სიმხნით წინაგანწყობანი ნივთთაგან განშიშვლებულისა მონაზონთა დასისანი და ჰათ თანა ერთხმობანი ქრისტესმოყუარისა ერისანი.

ამისთჳს იქმნნეს ქრისტემოყუარეთა და ღმრთივდაცულთა მეფეთა მიერ ჟამად-ჟამადნი კრებანი ღმრთისმოყუარეთა ეპისკოპოსთა და ღმრთისა საათნოყოფილთა მამათანი, რაჲთა საქმეთა მიერ განსრულებულითა სარწმუნოებითა შეაერთნეს ღმერთსა ქრისტეანენი, რომელთასა კეთილად ებაძვა შურსა ჩუენიცა ესე გვირგვინოსანი მრჩობლ მარჯუენე

და შეუვარებული გვირგვინი თავისაჲ და სასურველი ძე დავით, რომელი-ესე ერთბამად მხნეცა არს და ბრძენ, მართალ და წმიდა, იგივე მუუდროცა და მშვიდ, სახიერ და ტკბილ, მოწყალე და ძვირუხსენებელ და მიმსგავსებულ სახიერებასა ღმრთისასა, რომელი აღმოუბრწყინვებს მზესა კეთილთა და ბოროტთა და ზრდის ყოველთა წვიმითა სწორებით. ესე ვინაჲთგან გარეშეთა ბრძოლათა შინა წინადაუდგომელობით უბრძოლელ და გარეშისა სახისა ქმნულებითა სხვათა კაცთაგან შესწორებად შეუძლებელ იყო, რამეთუ კეთილ დიდ არს, ვითარცა გმირი, შვენიერ არს, ვითარცა სიძე, ბრწყინვალე არს, ვითარცა ცისკარი, ნაყოფიერ არს კეთილთა მიერ, ვითარცა აღმოსავალი, ყვავილოვან წარმატებათა მიერ, ვითარცა სამოთხე ღმრთისაჲ. არა თავს იდვა, რაჲთა არა უმეტეს მოღვაწე იქმნეს განბრწყინვებად შინაგანთაცა სიკეთეთა სულისათა, ვინაჲთგან იგინი წარმდინარ, ხოლო ესენი დაუსრულებლობასა თანა ღმრთისასა თანადაუსრულებელ არიან.

ამისთვის შემოკრბა კრებაჲ ღმრთისმოყვარეთა ეპისკოპოსთა, პატიოსანთა მღდელთა და ღირსთა დიაკონთაჲ, ქრისტესმოყვარე მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოეთაჲ სანახებთა ქართლისათა მახლობლად ორთა საეპისკოპოსოთა რუისა და ურბნისისა. გარნა არა თუ უბიწოებასა ქართველთა სარწმუნოებისასა ბიწი რაიმე შეჰხებოდა, ნუ იყოფინ ესე! არა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩვენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელქმნილ ვართ, ვინაჲთგან შემეცნებასა შენსა ღირსქმნილ ვართ — მოწამე არს ჰეშმარიტებაჲ. არამედ სხვათა საეკლესიოთა და სამღდელოთა და საქრისტეანოთა ძიებათათვის, რომელთა თავ და წინამძღვარ და პირ წმიდისა მის კრებისა იყო ღმრთისა მიმართისა საკუთრებისა თანა სიმშვიდითაცა სულისაჲთა მიმსგავსებული მოსესი და მსგავსად დიდისა სამოსელისსა წინამლოცველი ერისაჲ და მხებელი მადლით სრულყოფადთაჲ იოანე, ყოვლად ღირსი მთავარეპისკოპოსი-კათალიკოსი და ყოვლისა საქართველოჲსა დიდი მამამთავარი, და მის თანა სიმრავლე პირველხსენებულთა მათ სავსებისაჲ.

1. და პირველად ეპისკოპოსნი ვინმე ვერ ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღდელთმთავრობისასა და უღირსნი ქრისტეს პირველისა მის მწყემსმთავრისანი განვკვეთენით და უცხო ვყვენით მღდელობისაგან, ვინაჲთგან არაწმიდისა შეხებაჲ სიწმიდეთაჲ არა უცთომელობა არს, და მახლობელი ღმრთისაჲ მახლობელ ცეცხლისა არს და უხმს, რაჲთა ყოვლითურთ ოქრო იყოს. ხოლო არა კრულ ვყვენით და არცა შევაჩვენენით, ნუ იყოფინ! არამედ ლიტონთა ერისკაცთა თანა ზიარებად ფლობილ ვყვენით, უკეთუ ოდენ ამიერითგან მმარხველ იყვნენ სიწმიდისა. და ნაცვლად მათდა სხვანი დავადგინენით, რომელთა ჰასაკისაგანცა და საქ-

შეთაგან აქვნდა წამებაჲ და კეთილად განეწვართნეს ხორცნი დამორჩილებად სულისა;

2. ამას თანა სულმოკლებაჲცა ხელთდასხმათაჲ ვითარცა უწესოჲ და უკანონოჲ დავჰხსენით და განვაწესეთ, რაჲთა ამიერითგან არაღარავინ იკადროს ქმნად თვინიერ, ვითარ-იგი განაწესებს კანონი, რაითა ეპისკოპოსი ოცდაათხუთმეტისა წლისაჲ, მღდელი ოცდაათისა წლისაჲ, დიაკონის ოცდახუთისა წლისაჲ და წიგნისმკითხველი რვისა წლისაჲ ხელთდასხმულ იქმნებოდინ;

3. ამას თანა სხვაჲცა უწესოჲ წესი ხელთდასხმათაჲ დახსნად განვაჩინეთ, ვითარმცა მასვე და ერთსა დღესა ხელნი დაესხნეს ვისმე წიგნისმკითხველად, კერძოდიაკონად, დიაკონად და მღდელად, ანუ თუ ეპისკოპოსადცა, რომელი-ესე უკეთუ იქმნასღა სადა ამიერითგან, ხელთდამსხმელი და ხელთდასხმული ერთბამად განიკვეთნენ მღვდელობისაგან. რაჲმეთუ პირველად წიგნისმკითხველად და კერძოდიაკონად ოდენ ჯერ არს ხელთდასხმაჲ (და ორისავე ამის ერთსა დღესა შესაძლებელ არს ქმნაჲ) და მერმე — დიაკონად. და ვითარცა დაყუნეს დღენი დიაკონობასა შინა და ჰმსახუროს მღდელთა არამცირეთა დღეთა, მერმეღა მოიყვანონ მღდელობად. ხოლო უკეთუ ეპისკოპოსობად მომავალი იყოს, შემდგომად შვიდთა დღეთა ჟამისწირვისა მოიყვანონ ხელთდასხმად ეპისკოპოსობისა. და ამას ვიტყვით მათთვის, რომელთა საჭიროჲ რაჲმე მიზეზი ასწრაფობდეს. ხოლო რომელთა არცა ერთი რაჲ აქვნდეს სათნადო მიზეზი მასწრაფობელად, მათ წელიწადი და წელიწადში დაყუნენ თითოეულსა ხარისხსა შინა და უფროჲსღა — დიაკონობისასა, ვინაჲთგან თვინიერ დიაკონთა სიმრავლისა ვერაჲ მიიღებს შვენიერებასა საეკლესიოთა წესთაგანი. ამისთვის ვამცნებთ ყოველთა ეპისკოპოსთა, რაჲთა უფროჲსღა დიაკონთა განმრავლებისათვის მოღვაწე იყვნენ, პირველად სრულიად მონაზვნად დიდითა სქემითა უბრძანებთ განსრულებასა და ეგრეთღა მღდელობად მოსლვასა;

4. ხოლო წესი ხელთდასხმადთა სრულებისაჲ ეგრეთ აღესრულებოდეთ, ვითარცა ახალთა შინა კურთხევათა ნეტარებით მოხსენებულისა მამისა გიორგი მთაწმიდელისათა დაწერილ არს. ეგრეთ კურთხევაჲ ეკლესიისაჲ და დამყარებაჲ საკურთხეველისაჲ და წმიდა ყოფაჲ ღმერთმყოფელისა მიჰრონისაჲ ეგრეთ სრულ იქმნებოდედ, ვითარცა მუნ შინა მოხსენებულ არს;

5. ხოლო ქრთამისათვის და საფასისა, რომელსა მიიღებენ ხელთდამსხმელნი ხელთდასხმადთაგან, ზემოჲთგანისა წმიდათა მოციქულთა და მამათა მოცემისაებრ განჩინებად ვიკადრებთ ჩვენცა; რაჲთა მოისპოს ეგევითარი იგი ეკლესიისაგან და აღიხოცოს მღდელობისაგან მაკურთხეველისა თვისისა თანა, რომლისა ქმნაი ამიერითგან ნუღარამცა ვის უკადრებიეს, რაჲთა არა იგიცა შევსძინოთ, ვითარმედ შეიჩვენოს, ვითარცა

სვიმონ მოგვი პეტრე მოციქულისაგან. და ნუმცა მიიღებენ რაჲთურთით ნურარას ნუ ოდეს, ნუცა პირველ ხელთდასხმისა, ნუცა თვით მას ხელთდასხმასა შინა, ნუცა შემდგომად ხელთდასხმისა, ნუცა ქრთამსა, ნუცა ძღვენსა, ნუცა ევლოგიასა, ნუცა კათოლიკოსი ეპისკოპოსთაგან, გინა ხუცეს-დიაკონთა და ხორეპისკოპოსთა, ნუცა ეპისკოპოსნი დიაკონთაგან და მღდელთა და ხორეპისკოპოსთა, ნუცა რათ სხვათა სამღდელოთასა დასისაგანთა, ანუ რომელთავე საეკლესიოთა მნეთაგან;

6. მერმეცა სამღდელოთა ჰურჰელთა და ღმრთისადა შეწირულთა სიწმიდეთათვის, რომელ არიან ბარძიმ-ფეშხვემ-სამწერობელნი და ყოველივე ეკლესიათადა შეწირული და ერთგზის ღმრთისადა მიცემული ოქროჲ, ვერცხლი, თვალი, მარგალიტი, ჭიქაჲ, სტავრაჲ, ნაქსოვი, სინი, რვალი, რკინაჲ, ძელი, კეცი, ქვაჲ. ამას განვაწესებთ შედგომითა წმიდათა კანონთაჲთა, რაჲთა არავის ხელეწიფოს ხმარებად მისსა არარად, არცა ტყვეთა სახსრად, დაღათუ ცუდადცა და უხმრად მდებარე იყვნენ და ფერხითა დასათრგუნველად ისხნენ ეკლესიასა შინა და საჭურჭლესა მისსა. ხოლო უკეთუ ვინმე იკადროს ამათგანისა რაჲსაცა გარეგნით მის ეკლესიისა და თვინიერ მისსა, ვითარ-იგი განწესებულ იყოს და ვითარ-სახედცა სამსახურად ეკლესიისა, ანუ საკურთხეველისა შექმნილ იყოს სხვად რადცა ხმარებად, მოელოდეთ აქა უკვე ბაბილოვნელთა მეფისა ბალტასარის და ანანიაჲს და საპფირაჲს სასჯელსა, ხოლო მუნ — ცეცხლსა საუკუნესა განმზადებულსა ეშმაკთათვის და ანგელოზთა მისთათვის;

7. ამას თანა ესეცა მოვიხსენეთ, ვითარცა თვინიერ ეკლესიისა და საკურთხეველისა არცა ნათლისცემაჲ შესაძლებელ არს, არცა გვირგვინთა კურთხევაჲ, არცა მონაზვნისა ეპისტოლითა გინა სქემითა კურთხევაჲ, და არცა მონაზონსა ხუცესსა გვირვინთა კურთხევად ხელეწიფების, არცა ერისაგანსა მღდელსა — მონაზონისა კურთხევად;

8. ხოლო შემდგომად გვირგვინთა კურთხევისა პირველთა და მეორეთა ცოლ-ქმართა წმიდათა საიდუმლოთა ზიარებაჲ უხმს მას დღესა, რომელსა იკურთხნენ უეჭველად, არა თუ გარდარეულითა რაჲთმე ბილწებითა შებღალულ იყვნენ, დაღათუ უზიარებელობითაცა განკანონებულ იყვნენ და მერმე აღსრულებაჲ კანონსა უზიარებლობისა მათისასა;

9. ხოლო მეორეთა გვირგვინთა მაკურთხეველი ხუცესი სამხრობად ნუ მიეკარების მათ თანა, ნუცამცა მეორეთა ცოლ-ქმართა პირველნი გვირგვინნი ეკურთხევიან. ხოლო სხვებრ და არა ესრეთ მოქმედი ამათი ხუცესი უკვე განკვეთისა, ხოლო ერისკაცი უზიარებლობისა თანამდებ იყოს.

10. კვალად ამასა განვასაზღვრებთ, რაჲთა ამიერითგან არღარა ეკურთხეოდინ გვირგვინი ჩჩვილთა ქალ-ყრმათა, არამედ უკეთუ საჭიროდ რადმე იყოს მშობელთა მათდად, დაუწინდნენ იგინი ურთიერთას და, რაჟამს ჰასაკად მოვიდენ ორნივე, მაშინ იქორწინენ. და ქალი ათორმე-

ტისა წლისასა უმცროისი ნუმცა შეყოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა. ხოლო ამის განჩინებისა დამხსნელი თანამდებ იყავნ ზემოხსენებულისა მის განჩინებისა.

11. კათოლიკოსისა და ეპისკოპოსთაგან ხორეპისკოპოსი სჯულისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერი გამოირჩეოდედ მღდელი ანუ დიაკონი და შიშითა ღმრთისაჲთა ემცნებოდედ მას უბიწოდ დაცვაჲ ყოველთავე საქრისტიანოთა წესთაჲ, რაჲთა არარაჲ მათგანი განსცეს ქრთამისათვის, არცა რაჲ განყიდოს ვეცხლად, ვითარცა იუდა უფალი, რაჲთა არა შიშთვილიცა მისი დაიმკვიდროს;

12. შემდგომად ამათსა ამისიცა სათანადოდ ვჰგონეთ მოხსენებაჲ, ვინაჲთგან მოძღვრად წოდებულთა მათ მონაზონთაჲ ფრიადი და აღურიცხველი არს სიმრავლე და ერთსა მონასტერსა შინა ხუთნი და ათნი, მრავალგზის ოცნიცა და ოცდაათნი იპოებიან, დიდი თუ იყოს მონასტერი, და მრავლისა შფოთისა და განხეთქილებისა მიზეზსა შემოიღებს სიმრავლე მათი. ამისთვის განვაჩინებთ, რაჲთა ამიერითგან დასცხრეს ესევითარი ესე უწესოებაი. და პირველად ამას განვსაზღვრებთ, რაჲთა უჴღდელოსა არა ხელეწიფებოდეს განმკითხველობად სულთა, არათუ ეპისკოპოსი იყოს, ანუ მღდელი, ანუ დიაკონი, რამეთუ პირველად შეკრვისა და განხსნისა ხელმწიფებასა უხმს ქონებად და ეგრეთღა განკითხვისა სულთაჲსა ხელყოფად. ამას თანა რაჲთა დიდთა მონასტერთა შინა ორ-ორი, ხოლო მცირეთა შინა თითოჲ ხოლო კმა იყოს მოძღვარი, და უკეთუ ვინმე ამას განჩინებასა გარდაჰხდეს, უეჭველად ესმეს მას, ვითარმედ ხოლო ხდომისაგანთა მათ და ურჩთა ჰეშმარიტებისათა და მორჩილთა სიცრუევისათა — რისხვაჲ და გულისწყრომაჲ, ჭირი და იწროებაჲ და შემდგომი;

13. წესი იგი, რომელსა კრებულთა დასხდომად უწესენ, ნუღარამცა კადრებულ არს ქმნად ამიერითგან, ნუცა მონასტერთა შინა შექმნაჲ სავაჭროთა ერის კრებათაჲ, ნუცამცა რაჲ სხვაჲ სამოქალაქოჲ და სოფლოჲ წესი ქმნილ არს მონასტერთა შინა ოდესცა, რაჲთა არა სალოცველთა მათ ადგილთა ქვაბ ავაზაკთა შექმნითა სულთაცა თქვენთა საფარდულები საღმრთოჲსა სიტყვისა მიერ დაიქცეს, ვითარცა მეკერმეთა მიერ ტაბლები, და წმიდათა მამათა და კრებათა მიერ განკანონებისა თანამდებ იქმნნეთ.

14. ხოლო ერთსა საკურთხეველსა და მასვე და ერთსა წინადაგებასა ზედა წმიდისა შესაწირავისასა მრავალთა სულთათვის მრავალთა მღდელთა მიერ ქმნაჲწმიდისა ჟამისწირვისაჲ უწესო არს და განგდებულ, რომელი-ესე ნუღარამცა სადა ქმნილ არს. უფროჲსღა თავადსა საკურთხეველსა ზედა დიდისა ეკლესიისასა საეპისკოპოსოჲსა გინა მონასტრისასა ერთისა არავისთვის წეს არს ჟამისწირვად არა ოდეს არცა ცოცხლისა, არცა მიცვალებულისათვის თვინიერ აღაპთა და სულისა სახსენებელად

განჩინებულთა დღეთაჲსა. არამედ მის ეკლესიისა მაშენებელთა და შემოწირველთა და ერთბამად ყოველთა სულთა ქრისტეანეთა ცოცხალთა და მიცვალებულთათვის ჯერ არს ჟამისწირვაჲ. ხოლო ერთისა კაცისათვის, ანუ ერთისა სულისათვის ეგვტერთა სადმე შინა, ანუ შტოთა ეკლესიისათა ჯერ არს თითოეულისა ხუცისაგან ჟამისწირვაჲ;

15. რომელნიცა ღმრთის მავნებლობითისა მის წვალებისაგან ხაჩეცართაჲსა, რომელ არიან სომეხნი, მართალსა და უზაკუეველსა სარწმუნოებასა მოუხდებოდინ და წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შეერთებოდინ და ბილწსა მას წვალებასა ერთბუნებიანთა და ერთისა ნებისა და ერთისა მოქმედებისა ღმრთეებისაგან და კაცებისა შეზავებულისა და არცა საღმრთოჲსა, არცა კაცობრივისა, არამედ შერეულისა რაჲსმე და უცხოჲსა ქრისტეს ჰეშმარიტისა ღმრთისა ჩვენისა ზედა სიჩქარით მეტყველთასა შეაჩვენებდენ, ესრეთ განვაწესებთ მათთვის, რაჲთა სრულიად ნათელსცემდნენ ვითარცა წარმართსა, ვინაჲთგან სხვათამა დიდთა ეკლესიათა ვჰპოებთ მოქმედად ამისსა, ვითარ-იგი არს საპატრიაქოჲ საყდარი ანტიოქიისაჲ და ყოველნი მიმდგომნი მისნი ეკლესიანი ყოვლისა აღმოსავლისანი;

16. კვალად განვაწესებთ, რაჲთა არცა მართლმადიდებელი მამაკაცი მწვალებელსა გინა წარმართსა დედაკაცსა, ანუ დედაკაცი მამაკაცსა შეეუღლნენ, ვინაჲთგან ყოველი მართლმადიდებელი ტაძარი არს ღმრთისაჲ დამკვიდრებულისა მის მიერ სულისა მისისა ჩვენ შორის, ხოლო ყოველი ბოროტად მადიდებელი, ანუ ყოველად არა მადიდებელი ტაძარი არს ეშმაკისაჲ. ხოლო ვითარმედ არცა ერთი ზიარებაჲ არს ტაძრისა ღმრთისაჲ კერპთა თანა, ვითარ-იგი ბნელისაჲ ნათლისა თანა, მოწამე არს საღმრთო მოციქული. ხოლო რომელმან ამიერითგან იკადროსღა ქმნაჲ ამათი, განიკანონოს იგი პირველთქმულითა მით კანონითა.

17. ვინაჲთგან ესეცა უწესობაჲ მრავალთა მიერ აღსრულებულად გვესმა უფროჲსღა დიდთა ვიეთმე და წარჩინებულთა და არა ლიტონად კაცთაგან ქმნილად, რომელ არს კიდეს-კიდე და არა ერთგან კურთხევაჲ ცვირგვინთაჲ ქორწინებით ერთხორცქმნადთა მეუღლეთაჲ, ვითარ-იგი ჰყოფენ უსჯულოებით დედაკაცისასა უკვე სხვისა ვისმე უცხოჲსა მამაკაცისა თანა კურთხევასა, ხოლო მამაკაცისასა — მამაკაცისავე სხვისა თანა, რომლისასა რაჲმცა იყო სხვაჲ უუწესოესი და უსაცინელესი, ანუ არა ყოველითურთ მსგავს არსა მარკიონის მოწაფეთა მიერ მკვდრისა წილ ნათლისცემასა ცოცხლისასა? რამეთუ ესე ერთგან კურთხეულნი მამაკაცი და დედაკაცი ნუუკვე შეირაცხნენ ნახევარ მემრუშედ ცოლქმრად, ვინაითგან სხვისაჲ იხსენების სახელი და სხვაჲ წარმოდგომილ არს მუნ, ხოლო ორთა მათ ერთგან კურთხეულთა მამაკაცთათვის რაჲ ვინ მოიგონოს სახელი, გარნა თუ ვინმე ვრცელითა სიცილითა განბასროს ესევითარი ესე სჯულისა და კეთილისა წესიერებისა ჩვენისა და

კაცობრივისა ქცევისა და ჩვეულებისა გარეგანი უსჯულოებაჲ, რომლისათვის ამას განვასაზღვრებთ: რომელნიცა მოაქმედე ესრეთ კურთხეულნი ყოფილ არიან და გარდასრულ არიან, იგინი შენდობილ არიან უმეცრებისათვის, ხოლო უკეთუ აწ სადმე იპოვნენ ვინმე ეგევითარნი, იგინი სჯულიერად ცოლ-ქმრად ნუმცა შერაცხილ არიან. ამიერითგან კვლა ნუღარამცა ვისგან კადრებულ არს ქმნაჲ ამისი, და უკეთუ იქმნას სადა, ოთხნი იგი კურთხეულნი და ორნი მაკურთხეველნი მათნი ხუცესნი ექვსნივე განიკანონნენ.

18. მერმეცა ღმრთის მოძაგებულისა მის და ღმრთის განმამწარებელისა ცოდვათა უბილწესისა საძაგელებისა სოდომელთაჲსა, რომლისაჲ არა უწყით, თუ ვითარ შეეთვისა იგი უბადრუკსა ამას ნათესავსა და სრულიად განაშორნა და უცხო ყვნა ღმრთისაგან, ვიეთთანაცა პოვა თავისა მისადრეკელი, ამას განვასაზღვრებთ სიტყვითა ღმრთისაჲთა და სამოციქულოჲთა ხმითა და მამობრივითა განჩინებითა: დაღათუ მრავალგზის არიან მრავალთა ნათესავთა მიერ მრავალნი და რიცხვისა მძლენი ცოდვანი, ვითარ-იგი მტერობანი, შურნი, სიძულილნი, კაცისკლვანი, მრუშებანი, ცრუფიცებანი და უკანაჲსკნელი და თავი ყოველთა ბოროტთაჲ კერპთმსახურებაჲ და თაყვანისცემისა შეცვალებაჲ დამბადებელისაგან დაბადებულთა მიმართ, გარნა არცა ერთისა მათგანისათვის აღძრულ არს აღუძრველი იგი, ვითარცა თვით იტყოდა აბრაჰამის მიმართ, ვითარმედ — ღაღადებაჲ სოდომისა და გომორისაჲ მოიწია ჩემდა და გარდამოვხედ ხილვად, უკეთუ ღაღადებისაებრ მათისა არიან საქმენი მათნი,— რომლისა შემდგომად იხილეთ, თუ რაჲ იქმნების და თუ ვითარ ნივთნი ესე, სამსახუროდ კაცთათვის დაბადებულნი ღმრთისაგან, წინაუკმო ბუნებისა თვისისა შესცვალებენ ბუნებითსა ძალსა თვისსა და უცხოჲსა ცოდვისა აღსახოცელად უცხოსა მოიპოებენ მოქმედებასა: რამეთუ მარადის აღმართ მოძრავი და სუბუქი ბუნებაჲ ეთერისა ცეცხლისაჲ, ვითარცა ზრქელი რაჲმე და მძიმე, დაღმართ ჰყოფს დამოდინებასა და სახედ მძაფრისა წვიმისა საშინელებით მჩქეფროჲს აღრეული წუნწუბასა თანა მრისხანედ განსალევნელად უკეთურთა მათ სიბილწითა მრავლითა კაცთა; ხოლო წვლილი და თხელი უფერული ბუნებაჲ ჰაერისაჲ, მიზეზი ცხოველთა აღმოფშვინვისა და სიცოცხლისაჲ, სიზრქედ ალმურისა ხშირისა და ფერად ხელით საძიებელისა ბნელისად და შემაშთობელად კვამლად სასწაულად რისხვისად შესცვალებს თავსა მათ ზედა. ამათ თანა ქვეყანაჲ მყარი და მტკიცე, დამტვირთველი სიმძიმესა მას ზედა მდებარეთა გვამთასა, ვერღარა იტვირთავს სიმედგრესა ბილწებათა მათთასა, არამედ პირველად შესძრავს საფუძველთა თვისთა და სიღრმით იატაკთა თვისთაით აღმომდუღარე ჰაერად აღმოიხვამს სიღრმეთა საფუძველისა მათისა სიმტკიცესათა და მიწად გარდამოიხვამს სიმაღლეთა გოდოლტაძრებისა მათისა სიმაგრეთასა. მერმე განაღებს ვიდრე მუნ ჟამადმდე

განუღებელსა პირსა და თანად ქალაქებითურთ და საბლებით შთანსთქამს არღარა კაცებასა, არამედ დამწვრებსა რასმე ძვალებსა და ოდესმე ყოფილთა კაცთა საწყალობელსა ნეშტებსა. ხოლო წყალი იგიცა უცხოდ იხილვების შეცვალებულად მათთათვის და არღარა საშვებელად და სახმარად, არამედ სხვათა ნივთთაგან დაშთომილისა ნეშტისა მათისა აღსახოცელად პირსა ზედა მათეულისა ქვეყანისასა, უფროჲსღა საფლავ მათდა ქმნილისა ჯოჯოხეთისა იხილვების მოდინებულად ეგოდენ შეცვალებული სხვათა წყალთაგან ბუნებითა, რაოდენ იგინი სხვათა კაცთა ჰმატდეს ბილწებისა გარდარეულებითა. ამან უსჯულოებამან ასურასტანელთა იგი უმრავლესთა ნაწილთა ქვეყანისათა დამპყრობელი მეფობაჲ ტყვედ წარუქცია სპარსთა და მიდთა და სრულიად აღმოჰფხვრა ქვეყანით სახსენებელი არა ხოლო მეფე და მძლავრი, არამედ კაცყოფისაცა მათისაჲ. ამან ცოდვამან დიდი იგი და ყოვლით კერძო ყოვლისა ქვეყანისაჲთ ხმაგანსმენილი ნათესავი სომეხთაჲ მეფობითურთ და მთავრობით მათით არა ოდენ დაამდაბლა და დაამხვა, არამედ სრულიად აღიღო კაცთაგან სახელი მათი, რომელთაჲ ვერვინ პოოს დღეს ერთიცა მეფე ანუ მთავარი, მჭონებელი დაუმონებელისა თავისუფლებისაჲ, დაღათუ ყოველიცა ვინ პირი მიწისაჲ მოიხილოს. ამან ბილწებამან სპარსთა იგი მაღალი და მარადის ჰრომთა მეფობისა მხდომი ფლობაჲ, მხეცის ბუნებათა ვიეთმე კაცთა ავაზაკურითა ზედამოსლვითა მიწადმდე დამდაბლებულ ყო და ვიდრე მოაქამდე მძლავრებისა მათისა მორჩილ ყო. ესე არა უწყით, თუ ვინაჲ უკეთურებით შემოეხრწნა მოქალაქობასა ქრისტეს მოსახელისაცა ერისასა, რამეთუ „რაჲ ზიარებაჲ იყო ბელიარისი ქრისტეს თანა?“ და ხელსა უცხოთესლთასა მიცემითა დასასრულ მახვილისა მათისა ქმნითა ნეშტნი ოდენღა დამიტევნა ისრაელისანი, რომელნი უკეთუ ვეგნეთღა მასვე უკეთურებასა ზედა, ჰოი ჩემდა, დავიდუმო ძნელსიტყვაჲ, რომელი ყოველთადა ცხად არს, დაღაცათუ ჩვენ ვჰრიდოთ.

ამისთვის ვამცნებთ ყოველსა — დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკსა, მეფესა და მთავარსა, აზნაურსა და მდაბიორსა, მღდელთა და უმღდელოთა, მოწესეთა და ერისკაცთა, ბერთა და ჭაბუკთა და შუაკაცთა, ყოველსა პატივსა და ყოველსა წესსა და ყოველსა ჰასაკსა განყენებად ამის ვნებისა უფროჲსღა საძაგელისა ბილწებისა. და ესრეთ დაუმტკიცებთ სახელითა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესითა: ყოველმან სულმან ქრისტიანემან მართლმადიდებელმან ამათ სიტყვათა მსმენელმან, რომელმან შემდგომად ამის ძეგლისა წარკითხვისა არა იჴმნას ბილწისა მის სოდომურისა ცოდვისაგან და არა ხოლო საქმით ქმნისა მისისა, არამედ რეცა ლაღობით ფერებისა და სიტყვით თქუმისა რათაცა სამისოთა და მისთა დამსახველთა სიტყვათა და საქმეთაგან, უეჭველად მოიწიოს მის ზედა ამას უკვე საწუთოსა საშინელი რაიმე და ცოცხლივ ჯოჯოხეთად შთამხდელი რისხვაჲ მსგავსად წუნწუბასა თანა აღრეულისაჲ

შის სოდომელთა ცეცხლისაჲ, ხოლო მუნ იგი მიმთვალველ ექმნეს მას, რომელ ვალს წინაშე პირსა უფლისასა და შესწვავს გარემოჲს მისსა მტერთა მისთა. ვინაჲთგან სიყვარული ხორცთაჲ მტრობაჲ არს ღმრთისა და რომელმან განხრწნას ტაძარი ღმრთისაჲ, განხრწნეს იგიცა ღმერთმან, და ამას თანა და ჩვენგან, უღირსთა მონათა, საღმრთოჲსა მონებისა ღირსქმნულთაჲსა, ჰოჲ ჩვენდა, არღარა კურთხევაჲ, არამედ კდემაჲ და მხილებაჲ დაიმკვიდროს საუკუნოჲ.

19. ხოლო ვინაჲთგან მიზეზად ურთიერთას პატივით თაყვანისცემისა ჩვენ შორის მყოფი ხატებაჲ ღმრთისაჲ აღსაარებულ და ქადაგებულ არს დიდთა მოძღვართა და მამათა ჩვენთაგან, ცხად არს, ვითარმედ თაყვანისმცემელი ხატისა ღმრთისაჲ, ღმერთსა თაყვანის სცემს მის მიერ, მაგინებელიცა სადმე ხატისა ღმრთისაჲ ღმერთსა აგინებს უეჭველად. ვითარცა წმიდათა შორის დიდი ბასილი ესრეთ დასწერს ამას. ამისთვის განვასაზღვრებთ, რაჲთა ესეცა ღმრთის შემაწუხებელი და ღმრთისა შეურაცხისმყოფელი ცოდვაჲ სრულიად მოისპოს ყოვლისაგან ენისა და ნათესავისა ჩვენისა, და რომელმან ამიერითგან შეაგინოსღა სული, გონებაჲ და პირი თვისი უსახურითა გინებითა ზემოწერილისა ამის, თანამდებ იყოს იგიცა განკანონებისა...

ახალ „ხელთა“ და „სახელოთა“

მაშ, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებანი, საერთო ქრისტიანული ზნეობის უმკაცრესად განწმენდისა და დაცვის ფონზე, საეკლესიო მართვა-გამგეობის სისტემაში არისტოკრატიის, უფრო ზუსტად — „გენე-კრატიის“ („დაბადებით-ძალაუფლება“) პრინციპებს აუქმებდა და მის ადგილზე ფართო, სრულად ღირსებისმიერ „დემოკრატიას“ ამკვიდრებდა.

მაგრამ დავით აღმაშენებელს ასეთი სრული მოცულობის სამართლებრივ-ზნეობრივი სტატუსი მარტო ეკლესიისთვის როდი ჰქონია მოფიქრებული. იმავე პრინციპებით — „გენეკრატიის“ მოშლით და „დემოკრატიის“ დამკვიდრებით — უნდა ეწინამძღვრა, ეცხოვრა და ეღვაწა მთელ სახელმწიფოს, ყოველ ქართველობას, საეროსაც და სასულიეროსაც, ანუ „ერსაც და ბერსაც“.

ქვეყნის შიგნით სასულიერო და საერო, ანუ რელიგიურ-სარწმუნოებრივ და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ მხარეთა ურთიერთისგან განკერძოებულობა, დაპირისპირებულობა, „მეთაურობისათვის“ ჭიდილი, თუ „კრიჭაში დგომა“ — ზედმეტ-ნაკლები სიმწვავით ახასიათებდა ყველა დროს და ყველა ხალხს. არც ის ყოფილა იშვიათი შემთხვევა, როცა სასულიერო მღვდელმთავარნი — „ეპისკოპოსი“, „პაპი“, თუ „კათოლი-

კოსი“ — თავისი „ზეციური სიუზერენობის“ წინაშე ქედს მოახრევინებდნენ ხოლმე საერო ხელისუფალთა — „მონარქს“, „მეფეს“, „კოროლს“ თუ „იმპერატორს“.

მისანიშნებელ ფაქტად საკმარისია მთელს მსოფლიოში გახმაურებული „კანოსაში წასვლა“, — როცა რომის პაპმა, მიხრწნილმა გრიგოლ VII ჰილდებრანდმა, კანოსაში, სამი დღე-ღამის განმავლობაში, თოვლსა და ყინვაში, შიშველ მუხლებზე დამხობილი ამყოფა გერმანიის იმპერატორი ჰენრიხ IV (მაშინ დავითი ოთხი წლისა იყო).

არც საქართველოსთვის ყოფილა უცხო მალული თუ აშკარა ბრძოლა სასულიერო და საერო ხელისუფალთა შორის. აკი ეპისკოპოსმა მიქაელმა, „რეცა ამბოხებად და მიზეზობად“ შემართულმა, დიდ ვახტანგ გორგასალს კბილებში სისხლი სცა და სისხლი ადინა! შემდეგ, კიდევ, მეფე ბაგრატ პირველს რომ იმ ერთმა ბერმა (საბა იშხნელი) ისე თამამად უთხრა: მე უფრო ჩემი მოძღვრის (გრიგოლ ხანძთელი) ბრძანებას ვემორჩილები, ვიდრე შენსას, მხოლოდ ამ მიწიერი ქვეყნის ხელმწიფესო.

მაგრამ, აი, დავით აღმაშენებელი, თურმე, არც ამნაირ „ჩვეულებრიობის“ მოთმენას აპირებდა თავის სახელმწიფოში. მას ენება, საეროც და სასულიეროც ერთ მთლიან, განუყოფელ და განუკვეთელ მონოკრატიად სჭეროდა ხელში. ამისთვის მან შექმნა ახალი სახელმწიფოებრივი მაგისტრატურა მანამდე ცალ-ცალკე არსებული მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ უ ხ უ ც ე ს ი ს ა და ჰ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი ს მაგისტრატურათა გაერთიანება-გამთლიანებით.

მწიგნობართუხუცესის „სახელო“, ანუ თანამდებობა წინარე XI საუკუნიდან მოდიოდა საქართველოში, და მისი მმართველობითი ფუნქცია მოიცავდა სახელმწიფოს სამდივნო-საკანცელარიო სამსახურს, მეფის ყოველი ბრძანების წერილობით ფიქსაციას, დანიშნულებისამებრ პრაქტიკულ განვრცობას და ცხოვრებაში პრაქტიკულადვე აღსრულების კონტროლს.

ცალკე, საეკლესიო მმართველობის იერარქიაში გამორჩეულად აღინიშნებოდა „ჰყონდიდელი“ — თანამდებობა ჰყონდიდის (მარტვილის) მთავარეპისკოპოსისა. ხოლო, ეს სასულიერო სახელო გაცილებით უფრო გამორჩეულიყო და ამაღლებულიყო თვითონ დავითის აღმზრდელის, მოძღვრისა და თანამებრძოლის, გიორგი ჰყონდიდელის ბრწყინვალე მამულიშვილური ღვაწლმოსილებით და სპეტაკი ზნეობრივი ცხოვრებით.

და გაერთიანებული, ერთად შეკრულ-შემტკიცებული ეს ორი უმაღლესი თანამდებობა — საერო და სასულიერო — ამიერიდან ახალი სახელწოდებით — „მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ უ ხ უ ც ე ს-ჰ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი“ — დავითმა ჩააბარა სწორედ გიორგი ჰყონდიდელს. ამიერიდან ამ ერთი პიროვნების ხელში იყრიდა თავს „ყოველი საურავი“ — საერო-სახელმ-

წიფოებრივი მმართველობაც, სასულიერო-რელიგიური სჯულმდებლობაც და სამოსამართლო კანონმდებლობაც.

თანაც, იგულისხმებოდა მტკიცედ და შეუვალად: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელისაგან ყოველივე უნდა მომზადებულიყო და განხილულიყო მეფესთან ერთად და მხოლოდ მეფის დასტურით და განკარგულებით გასულიყო „ყოველი საურავი“ სახელმწიფოში სამოქმედოდ.

მაშ, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იყო „თვალი ხელმწიფისა“, ან „მეორე კაცი“, რომლის საშუალებით ცხადდებოდა და მოქმედებდა, ერთდროულად — ნება მეფისა და ნება უფლისა.

უეჭველად მისანიშნებელი იყო ისიც, რომ გიორგი ჭყონდიდელი, „კაცი სრული“ სიკეთითა, სიბრძნითა და გონიერებითა, ამავე დროს იყო პირადი ქონებით სრულიად უქონელი, საერთოდ პირადი ქონების დაუნჯების მოძულე და ანგარმოხარბეობის დაუძინარი მომტერე. სწორედ ამნაირ კაცს, თვითონ ბერსა და ამბოკარს, უქონელსა და უმემკვიდრეოს, ძალედვა, დაეთრგუნა და აღეკვეთა ყოველ საზოგადოებრივ წრეში, სამღვდელოშიც და საეროშიც, წრეგადასული ქონებრივი მომხვეჭელობა, მისგან მომდინარე ეგოისტური თავაწყვეტილობა და საერთოდ ზნეობრივი გადაგვარება. სწორედ ასეთი „პრემიერი“ იქნებოდა მიუკერძოებელი და კანონისათვის დაუთმობელი მოსამართლე და მსაჯული, განურჩევლად ყოველთა მიმართ.

იგი საგანგებოდ, უწყებრივად, დანიშნული მწიგნობრების მეშვეობით მეთვალყურეობდა და წარმართავდა ყოველი ცალკე სასულიერო, საერო, პოლიტიკური, სამეურნეო, თუ კულტურული უწყების პრაქტიკულ საქმიანობას.

ასეთი იყო „ხელი“ დავით აღმაშენებლისა მისგანვე შექმნილი ახალი „სახელოსაგან“ — მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი—და „თვალი“ მისი სრულიად ყოველ ქართველობაში, განურჩევლად „ერთა“ თუ „ბერთა“, „დიდთა“ თუ „მცირეთა“, „აზნაურთა“ თუ „უაზნოთა“, „ზეპურთა“ თუ „მდაბიოთა“, „დასისათა“ თუ „გარე-დასისათა“, „წრისათა“ თუ „გარე-წრისათა“, — ყველგან, „ყოველ საურავთა“ შინა, რასაკვირველია, ყოველივე თვითონ მეფის ნებით, მისი დასტურის, გინა „სანქციის“ შემდგომ.

მაგრამ მოსალოდნელი იყო, რომ საუკუნეების წიაღში ფესვნაყარი გენეკრატიული, ანუ წარმომავლობით-გვაროვნული და „მამულობითი“ ტენდენციები კვლავაც ავისმოქმედად ამოქმედებულიყვნენ მტკიცე ცენტრალიზაციის გზაზე შემდგარი სახელმწიფოს კვლავ ასაშლელად და დასაშლელად. დავითს უნდა სცოდნოდა და კიდევაც სცოდნია, რომ მარტო რუის-ურბნისის „ძეგლი შუენიერი“ და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელობის გამთლიანება არ იქნებოდა საკმარისი ბაღვაშთა თუ ძაგანისძეთა ავი „სინდრომის“ ერთხელ და სამუდამოდ დასათრგუნავად.

ამიტომ დავითმა გაატარა კიდევ ერთი ახალთახალი რეფორმა —

„საკარგავთა“, ანუ „მოსაკარგავეთა“, ანუ „მოსაკარგავე აზნაურთა“ შემოღებისა.

„საკარგავი“ — ეს იყო რომელიმე ტერიტორია, ქვეყნის რომელიმე კუთხე, რომელსაც მეფე საგამგებლოდ და სამმართველოდ აძლევდა მისგანვე არჩეულ რომელიმე „მოსაკარგავე აზნაურს“, არჩეულს მისი პირადი ღირსებებისა და, ბუნებრივია, მეფისადმი გამორჩეული ერთგულების მიხედვით, და არა გვაროვნულ-მამულ-პაპურობის მიხედულობით.

ეს იყო პირდაპირი ლახვარი მრავალსაუკუნოვანი გვაროვნულ-წოდებრივი სტრუქტურებისადმი. ამიერიდან რომელიმე ტრადიციული ფეოდალური ერთეული, რომელიმე „საერისთავო“ მისი „ერისთავისათვის“ ლამის გარანტირებულ საკუთრებადაც აღარ დარჩენილიყო. ამიერიდან ამ მიწა-წყლის მეურვე იქნებოდა მეფისგან დანიშნული გამგებელი, ანუ მოხელე და არა მესაკუთრე. საქმე ისე დაიძრა, რომ „მოსაკარგავე აზნაურებს“ უნდა „შეეჯამათ“ მანამდე არხეინად ნაზულუქევი „მეგვარდიდე და მემამულე აზნაურები“.

თანაც, საგანგებოდ მისანიშნებელი იყო, რომ „საკარგავის“ განმგებლად დანიშნული „მოსაკარგავე“ მხოლოდ სამოხელეო ჯამაგირს ღებულობდა, ხოლო თვითონ შემოსავალი „საკარგავიდან“ სახელმწიფოს, ანუ მეფის სრულ გამგებლობაში გადადიოდა.

ამგვარად, მემამულე დიდგვაროვანთა საკუთრება-მამულები ფაქტობრივად სამეფო საკუთრებად „გარდაისახებოდნენ“.

ბუნებრივად, ამის პასუხად, მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო ბრძოლა, — ბრძოლა ისეთი სიაფთრით, როგორც სჩვეოდა საერთოდ „ფეოდალურ ორომტრიალს“.

მაგრამ დავითთან ბრძოლა არ გამოვიდოდა „ჩვეულებრივი ფეოდალური“ ბრძოლა, რაკი თვითონ დავითი აღარ იყო „ჩვეულებრივი მეფე“. ამიტომ ასეთ მეფესთან ბრძოლას ისევ შერიგების „რამენაირ გზათა“ ძიება სჯობდა, და ამჯობინეს კიდეც „გვარდიდოვანთა“ ამ მანამდე გაუგონარ, „შიშისა და ზარის“ მთესველ მეფესთან შერიგება.

„შერიგების“ ერთადერთი გზა კი, ისღა აღმოჩნდა, რომ „მემამულე აზნაურს“ - მემამულეობა-მესაკუთრეობაზე ხელი აეღო და — მამული რომ მთლიანად არ დაეკარგა, იგი „საკარგავად“ მაინც გამოეთხოვა „მეფე-მწყალობელისათვის“.

ასე გაჩნდა საქართველოში ახალი სოციალური გარდასახვის პროცესი: გუშინდელი მემამულე-მესაკუთრე დღეს მოხელე-მოსამსახურედ იქცეოდა, ანუ მანამდე თავნება „მემამულე აზნაურთა“ ხარჯზე, მეფის მსახური „მესაკარგავე აზნაურობა“ ყალიბდებოდა, — ახალი აზნაურობა, გუშინ მეფის ურჩი და ორგული, დღეს კი — „ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა“.

„საკარგავ-მოსაკარგავის“ შემოღება ორგანულად უკავშირდებოდა

კვლავაც უაღრესად საარსებო და სასიცოცხლო პრობლემას სახვალიო საქართველოსთვის. ეს იყო პრობლემა სახელმწიფოს სამხედრო ძალებისა, ლაშქრისა, ჯარისა, არმიისა.

დავითს უკვე ჰყავდა თავისი „მონა-სპა“, მისი პირადი გვარდია, რჩეული და თავდადებული მეომრებით, მაგრამ ეს იყო ზღვაში წვეთი საერთოდ მუდამ „მსოფლიო“ მტრული გარემოცვის ზღვაში თვითონაც წვეთად ჩავარდნილი საქართველოსათვის.

არა და, ფეოდალური საქართველოს ლაშქარი უფრო ფეოდალის საკუთრება იყო, ვიდრე მეფისა. უფრო მეტიც: ხშირ შემთხვევაში ხომ თვითონ მეფის სამტროდაც დასძრავდა ფეოდალი „თავის საკუთარ“ ლაშქარს.

ახლა, კი, მეფისგან დანიშნული მოსაკარგავის უმთავრესი მოვალეობა სწორედ ის იყო, მისდამი დაქვემდებარებულ „საკარგავში“ ლაშქარიც ადგილობრივი „მამულობითი“ ფეოდალის დაუკითხავად შეეყარა და მეფის უშუალო განკარგულებაში, მეფისვე „საკუთრებად“ მიეგვარა.

მალე დავით მეფე, საქართველოს ტერიტორიული გამთლიანებისა და გაფართოების კვალობაზე, მ ა რ ზ პ ა ნ თ ა სამოხელეო თანამდებობასაც შემოიღებს.

„მარზპანი“, ძველი ირანული სიტყვა, ქართულად „ნაპირთა მჭირავად“ ითარგმნებოდა და გულისხმობდა მოხელეს, რომელიც განაგებდა სახელმწიფოს სანაპირო, სასაზღვრო ოლქს. იგულისხმება, — „სანაპიროთა მჭირავებად“ მეფე ნიშნავდა გამორჩეული ღირსებებით, ნიჭით, სიმამაცით და ერთგულებით აღჭურვილ ადამიანებს.

ერთი სიტყვით, მეფე თავისთვის და თავისი სახელმწიფოს სიმტკიცის საყრდენად ახალ სოციალურ ძალებს აყალიბებდა.

მაგრამ ძნელი იყო ხელმწიფობა ქართველთა ზედა, მით უფრო საკუთარი „მე-ობით“ გაზულუქებულ დიდაზნაურთა ზედა. ამიტომ მრავლად გასჩენოდა მეფეს „მაბრალობელნი“, რომელნიც დღეს თუ ხვალ მარტო სიტყვიერ ბრალდებას აღარ იკმარებდნენ და უკვე „ხმალდებაზეც“ გადავიდოდნენ.

და ისევ დავითმა დაასწრო და „მაბრალობელთა ყოველთა“ ახალი ძალა — მ ს ტ ო ვ ა რ თ ა, იდუმალ მზვერავთა და მოთვალთვალეთა მძლავრი ორგანიზაცია დაუპირისპირა. სწორედ მსტოვართა მეოხებით მეფემ წინასწარ იცოდა ყოველივე; არაფერი ნათქვამი თუ განაზრახი აღარ დაემალებოდა — „არა-რა შორიელი არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირედთა საქმე ქმნილი, კეთილი გინა სიტყუა ბოროტი თქმული — არა-რა დაეფარებოდა ყოვლადვე, არამედ რაოდენიცა ვის ფარულად ექმნის ანუ ეთქვის, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა, ვიდრემდის გულის-სიტყუანიცა (ე. ი. გულში მხოლოდ ფიქრად გაელებულიც)“ კი. და იცოდა ყველამ,

რომ მეფე საღალატო სიტყვას ტყობილობდა იმ სიტყვის „პირით ალმოსვლისავე თანა“, და ღალატსაც არავის შეარჩენდა, უმეტეს წილ განპატიჟებისა და გაძევების მისჯით.

უეჭველად, დავითის დროსვე — ყოველ შემთხვევაში, პირველ სახედ მაინც — ჩამოყალიბდა სავაზირო. უმაღლესი სახელმწიფო საბჭო, მეფესთან სათათბირო ორგანო, თავისი რვა ვაზირით.

პირველი ვაზირი იყო თვითონ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი, მეფის ყველაზე ახლობელი პირი, „ვითარცა მამა“. გავიმეოროთ, რომ იგი, ყოველ საერო და სასულიერო საქმეთა მეურვეობის გარდა, იყო უმაღლესი მოსამართლე, „საღმრთოთა მსჯავრითა მართლმსჯული“, „ხელისამპყრობელად უღონოთა და ქვრივთა“. იგი, ყოველ ორშაბათ დღეს, პირადად ღებულობდა ყოველ მთხოვნელს, მოაჯეს, სამართლისა და სიმართლის მაძიებელს. იქვე განიკითხავდა, გამოიძიებდა, განსჯიდა და განჩინებასაც განაჩენდა.

მეორე ვაზირი იყო მანდატურთუხუცესი, შინაგან საქმეთა გამგებელი, შინაგანი წესრიგის მეურვე, სამიმოსვლო და საფოსტო სამსახურების მეთვალყურე. მანდატურთუხუცესის საგანგიოში შედიოდა დავით მეფისგან ახლად ჩამოყალიბებული მსტოვართა ორგანიზაცია. მანდატურთუხუცესი ზოგჯერ იწოდებოდა როგორც სახლთუხუცესი.

შემდგომ მოდიოდა სამხედრო საქმეთა ვაზირი, ამირსპასალარი, ანუ „სპასალართუხუცესი“ და „თავადი ლაშქართა“.

შემდგომ — მეჯურჭლეთუხუცესი, სამეფო და სახელმწიფო ფინანსთა გამგე-ვაზირი.

მერე — მსახურთუხუცესი, სამეფო სასახლის შინა სამსახურთა გამგე-ვაზირი. პირველ ხანებში მსახურთუხუცესი „მცირე ვაზირად“ ითვლებოდა და მხოლოდ სათათბირო ხმა ჰქონდა, მაგრამ შემდგომ ისიც, მეფის ნებით, სავაზიროს სრულუფლებიანი წევრი შეიქნა, გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შემდეგი, რიგით მეექვსე, მოდიოდა ამირახორი. ეს იყო ამირსპასალარის პირველი თანაშემწე, უმცროსი ვაზირი, სათათბირო ხმით.

მეშვიდე — მეჯინიბეთუხუცესი, თავლების მეურვე, ამირსპასალარის თანაშემწე, უმცროსი ვაზირი, სათათბირო ხმით.

ბოლოს, მერვე — ჩუხჩარხი, მეფის პირადი სპასპეტი და მეაბჯრეთუხუცესი, „მონა-სპის“ სარდალი, უმცროსი ვაზირი, სათათბირო ხმით.

რაიმე საზეიმო პროცესიის ჟამს, სავაზირო დაეწყობოდა და ვიდოდა ასეთი ჯვარსახოვანი განრიგებით:

პროცესიას წინ მიუძღოდა მანდატურთუხუცესი, ხელში სამანდატურო ოქროს არგანით.

შემდგომ მოდიოდა თვითონ მეფე.

მეფის მარჯვნივ — ამირსპასალარი, რომელსაც წინ გაწვართულ ორივე ხელზე ეტვირთა შიშველი სამეფო ხმალი. ამირსპასალარს თავის მხრივ მოჰყვებოდნენ მისი თანაშემწენი — ამირახორი და მეჯინიბეთუხუცესი.

მარცხენა მხრიდან მეფეს მოაცილებდნენ მწიგნობართუხუცესჭყონდიდელი და მეჭურჭლეთუხუცესი.

ხოლო, უკან მეფეს მოჰყვებოდა ჩუხჩარხი-მეაბჯრეთუხუცესი, დატვირთული სამეფო ფარით, ლახტით, ქარქაშით, მშვილდით და ისრებით სავსე ნიჯგორ-კაპარჭით.

კარი მესამე

ზენაღლისა

რაოდენ მაღლა შემართულა მხნეობა მისი...

შექსპირი

„დიდი ძლევა“

დავითს ქართული მიწების გაერთიანება, როგორც უკვე ითქვა, დაწყებული ჰქონდა და კიდევაც „წარემატებოდა დიდებითა და განმარჯუებულობითა“. 1101 წელს ხომ მან კვირიკე კახთა მეფეს ზედაზნის ციხე „წარუღო“. მომდევნო წელს თვითონ კვირიკე მოკვდა და კახეთის ტახტზე დაბრძანდა მისი ძმისწული აღსართან, რომელიც არ მგვანებოდა აწ აღსრულებულ ბიძამისს, კაცსა „ჰეშმარიტსა ქრისტიანეს“, არამედ კახეთის ახალ მეფეს „არა რა ჰქონდეს ნიჭნი მეფობისანი, რამეთუ იყო ცუნდრუკი რამე, უსჯულო და უმეცრად უსამართლო“.

გაძლო აღსართან „ცუნდრუკმა“ მეფედ ერთი წელიწადი, ანუ—მეტი არ. გააძლებინეს. 1103 წელს, ჰერეთის დიდებულებმა — ძმებმა არიშიანმა და ბარამმა, და მათმა ბიძამ (დედის ძმა), ქავთარ ბარამის ძემ — ანაზდაითი დაცემით შეიპყრეს აღსართანი და ბორკილგაყრილი მიჰგვარეს დავითს.

ეს ახალი სიხარული იყო მეფისთვის, რომელსაც ისედაც მაშინ დიდ სიხარულად უნდა ჰქონოდა ახლახან წარმატებით დასრულებული რუის-ურბნისის საეკლესიო ყრილობა.

ჰერეთის მამულიშვილთაგან მორთმეული „ძღვენი“ ახალგაზრდა მეფემ დიდი მადლიერებით მიიღო და უმალვე კახეთ-ჰერეთი სრულიად ქართველთა სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად გამოაცხადა.

„მაშ, „აღიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი“, მაგრამ მაინც სისხლდაუდენლად არ განესრულა ეს დიდი საქმე.

დიდი სულტანი ბარქიაროკი, ადრე რომ საქართველოს მეფისგან ხარკის შეწყვეტას შეურიგდა, ახლა კახეთ-ჰერეთის დაკარგვას აღარ შეურიგდა და ფიცხლავ დიდძალი მხედრობა წარმოგზავნა საქართველოს წასახდენად. განძის ათაბაგსაც მოსვლოდა ბარქიაროკის ბრძანება და ქართველთა „ტრადიციულად მომტერე“ განძელსაც უმალვე გამოეყვანა ლაშქარი სალაშქრო გზაზე.

თუმცა რაღა თურქნი, თუ განძელნი, როცა კახეთიდანაც მრავლად აღმოჩნდნენ „მტერთავეთანა გარემოდგომილი“ ქართველ მოძმეთა წინააღმდეგ.

ასე შეიყარა „ურიცხუნი სპანი“ საქართველოს მეფის დასასჯელად და კახეთ-ჰერეთის კვლავ წარსაკვეთად საქართველოსგან.

გარეშე მტერთან ბრძოლაში ქართველთა მცირერიცხოვანება მუდმივი ბედისწერა იყო და ახლაც დავით მეფე „მტერთა ურიცხუთა“ შესარკინებლად გადიოდა „მცირედითა ლაშქრითა და განწირულითა ერითა“.

დავითისთვის ეს ახალი დიდი გამოცდა უნდა ყოფილიყო იმ მხრივაც, რომ იგი პირველად ებმებოდა უაღრესად რიცხვმრავალ მტერს, გაშლილ ველზე, გენერალურ ბრძოლაში, აქამდე მხოლოდ თარეშული, ანუ „პარტიზანული მიხდომ-მოხდომის“ გარეშე. ეს იყო პირველი გამოსვლა „უწყინო ლაშქრობათა და მცირედ-მცირედი ბრძოლების“ ტაქტიკიდან.

და მოხდა ბრძოლა ესე, სამომავლოდ „ხმა-გასმენილი დიდი ძლევაჲ“, ე რ წ უ ხ ს, ჰერეთში, 1104 წელს.

ბრძოლა დაიწყო ქართველი მეფის საარაკო გმირობით. იგი თვითონვე წარუძღვა სიკვდილის ხაზზე თავისიანებს, პირველი მიეჭრა მტრის მეწინავეთ ირგვლივი ჩეხვით და კაფვით. იგი გასაოცარი სისწრაფით „შთაბრიალდებოდა“ იქ, სადაც კი მისჭირდებოდა მის თანამებრძოლთ, მის „განწირულ ერს“. „და ვითა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა, და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა; და თვით გოლიათებრ მიმართებდა და მკლავითა მტკიცითა დაამხობდა ახოვანთა, სრვიდა და დასცემდა წინა დამთხვეულთა (შემხვედრთა) ყოველთა“.

ისე ჩანდა, თითქოს ზეციდან არესი ჩამოჭრილიყოს ტროას ველზე მიწიოსთა შესამუსვრელად. თუ ახლოდან, თუ შორიდან გუნდ-გუნდად მოიერიშე მტრებმა თვითონ მათსავე სისხლში ამოსვრილ მეფეს ერთი ნაჭრევ-ნაკაწრიც ვერ მიაყენეს. ცხენთა დახოცვა კი მოუხერხეს — ლაჯებში გამოუკლეს — ერთი, მეორეც, მესამეც. ახლა მეოთხე ცხენზე ამხედრებული ასრულებდა ბრძოლას ქართველი გვირგვინოსანი.

სისხლის თქეშით კი მართლაც თავით ფეხამდის გალუმპულიყო მეფე.

თუ დავუჯერებთ თვითონ დავითის მემატიანეს (თანაც ისეთს, იშვიათად, რომ რაიმე არ დაეჯერებოდეს), გმირ ხელმწიფეს, — როცა იგი მტერს მახვილს აძგერებდა და განგმირულს ზეატყორცნიდა — „ხრმლით მისით უკმომდინარითა სისხლითა წელნი აღსავსე ესხნეს“, და როცა ბრძოლის დასასრულს, მეფემ წელიდან სარტყელი შეიხსნა, ერთბაშად იმდენი „შეყინებული“ სისხლი ჩამოექცა დედამიწაზე, რომ ყველა იქ მყოფთ, შეძრწუნებულებს, თვითონ მეფე ეგონათ დაჭრილი და სისხლდადენილი. და ესეც გადაჭარბებულად ნათქვამი კი არა, „ესე მრავლისაგან ყოვლად მცირედი და კნინი წარმოვთქვითო“ — გვარწმუნებს მაღალსინდისიერი ისტორიკოსი.

იბრძოდნენ დიდის მხნეობით მათი ხელმწიფის გასაკვირველი გმირობით ფრთაშესხმული ქართველები. სცემდნენ, ერეკებოდნენ, ან შეიპყრობდნენ ისინი ისევ მათივე მეფის სწორუპოვარი ხმალთაკვეთებით ზარდაცემულ მტრებს. ამ დღეს ყოველი „ერთი (ქართველი) ათასთა არა თუ სდევდა, არამედ ხელითა იპყრობდა, და ორთა (ქართველთა) არა თუ წარექცივნეს ბევრნი (მტერნი), არამედ სანთლითა თვით მათვე ტყეთათ და მთხრებლთათ (ორმოებიდან) ტყუედ მოჰყვანდეს“.

გამარჯვება ქართველთა იყო სრული.

შედეგიც — სრული.

სრულად შემოიერთა ძლევამოსილმა ქართველთ ხელმწიფემ კახეთი და ჰერეთი, „ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი“. აქაურ მოღალატეებსაც ღალატი აღარ გაახსენა და ყველას ერთნაირად „მზეებრ მიჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკვიდრთა ქუეყანისათა“.

მაშ, კახეთ-ჰერეთი, აქამდე წარკვეთილი აღმოსავლეთი მხარმკლავი, სამუდამო განუყრელობით და განუკვეთელობით მიერქვა და მიესხეულა უმისოდ ამდენი საუკუნის მანძილზე გახეიბრებულ საქართველოს.

ბრძოლანი „უბრძნეულნი“

ახლა ქართული სხეულის ორივე მხარ-მკლავი, აღმოსავლეთიც და დასავლეთიც, ანუ მარჯვენაც და მარცხენაც, ხელთ ეპყრა დავითს „თვითმპყრობელობით“. მაგრამ გული და დვრიტა საქართველოსი, თვითონ ქართული, მისი დიდი ნაწილი, მაინც ჯერ ისევ ხელთ ეპყრათ მაჰმადიან გადამთიელებს. სათქმელადაც კმაროდა, რომ კვლავაც თურქთა ხელში იყო ტფილისი, სამშვილდე, აგარანი და მთელი ქვემო ქართლი.

იმავე წელს, რა წელსაც დავითმა ერწუხთან თურქთა ჯარები გაანადგურა, სულტანი ბარჭიაროკიც მოკვდა. უფრო ადრე იგი ისმაილიან ტერორისტებს დაეჭრათ მძიმედ და გადარჩენილიყო, ახლა კი მომკვდარიყო ჯერაც ახალგაზრდა კაცი. დიდი სულტანის ტახტზე მ ა ლ ი ქ-შ ა ჰ II

დაბრძანდა. ამანაც ერთი წელიც ვერ იხელმწიფა, ისე აღესრულა და მის ნაცვლად ყიას ად-დინ მუჰამედ I გახელმწიფდა. იგი თორმეტ წელიწადს (1105—1118) დამაგრდება სელჩუკიანთა დიდი სულტნის რყევად ტახტზე.

დავით ქართველთა მეფე კი, უცხო მომტერეთაგან ქართლის გაწმენდას შესდგომოდა.

დაიწყო სამშვილდით, ტფილისისკენ მომავალი სამხრეთული გზების მთავარი ციხებურჯით. ჯერ მეფემ, წინასწარ, იდუმალ თათბირზე მოიხმო გიორგი ჭყონდიდელი, მისი დისწული, უკვე მეფის ნებით თრიალეთ-კლდეკარის პატრონი თევდორე, კიდევ — აბულელი და ივანე ორბელი.

ამათ თათბირი დაუგდო — როდის როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, თვითონ კი აშკარად, მტრისა და მოყვრის საცნობარად, დაჰკრა ფეხი და აფხაზეთს წავიდა, ვითომ „მანდაურ საქმეთა საურავად“.

დაკვირვებული ყოფილიყო მეფე: როცა ქართლში ჩამომდგარი თურქები მას დასავლეთით, ზღვის პირისკენ გაიგულებდნენ, შიში უმცირდებოდათ („უმცრორე ეშინოდის“), სითამამე ემატებოდათ და, მაშასადამე, სიფხიზლე და სიფრთხილეც უნელდებოდათ.

ასე მოხდა მაშინაც — 1110 წელს. როცა დავით მეფის აფხაზეთში წასვლის ამბავი გახმიანდა, თურქები გათამამდნენ და მათ ციხიონებშიც სიფრთხილე განელდა.

სწორედ, მაშინ, ქართველებმა, გიორგი ჭყონდიდელის წინამძღოლობით, მასთან თევდორესა და ივანე ორბელის თანადგომით, ანაზდაითი მიხდომით, „სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდე“.

იმ ღამითვე, ისე რომ თურქებს სულის მოთქმაც აღარ აცადეს, ქართველებმა მათ დააგდებინეს სამშვილდის ახლოს მეორე ციხესიმაგრე — ძერნა.

ამ გამარჯვებებს სწორედ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, და ქართველთა შორის „იქმნა დიდი სიხარული, რამეთუ დღითი-დღე შეემატებოდა საზღვართა სამეფოსათა“. შეემატებოდა, რა? — ისევ ქართული მიწა-წყალი, ამდენხანს რომ დაჰკარგვოდა დედა-ქვეყანას...

სამშვილდე-ძერნას სახით, საქართველოს ტახტ-გვირგვინს დაუბრუნდა დიდი ქართული ციხესიმაგრენი, დიდმნიშვნელოვან სამხედრო და საქარავნო გზაკვანძზე. ამითვე ტფილისში ასე „გაუთავებლად“ ჩაბუდებულ და ჩასაგრებულ უცხო მომტერეებსაც ფრიად სახიფათოდ მოერღვათ და მოუშიშვლდათ აქამდე მათთვის საიმედოდ დამცველი ციხე-გალავანნი სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან.

მაგრამ სამშვილდე-ძერნის დაუფლების მნიშვნელობა ამითაც როდი ამოიწურა. განსაკუთრებით სამშვილდის წართმევამ დასცა თავზარი არა მარტო თვითონ სამშვილდის თურქულ ციხიონს, არამედ მთელი

ქვემო ქართლის თურქობას — ისეთი შიში და ზარი, რომ იმ ღამითვე ყველა აქაური ციხე-ქალაქიდან თურქული ციხიონები ერთბაშად აიყარნენ და საქართველოდან გადაიხვეწნენ. მაშინვე, მტრისგან დაცლილ ციხე-ქალაქებში ქართული ციხიონები შევიდნენ და ჩამკვიდრდნენ.

ასეთი მარცხის შერიგება არ ინება სულტან ყიას ად-დინ მუჰამედმა და მაშინვე, იმავე 1110 წელს, დიდძალი მხედრობა — „ყოველი თურქობა, კაცი ვითარ ასი ათასი“ — წარმოგზავნა საქართველოში.

დავით მეფე, ტაძრეულ-მსახურეულით, ნაჭარმაგევს იდგა, როცა მას შეატყობინეს ეს უეცარი, ბავთი ამბავი: „ყოველი თურქობა“ თრიალეთს მოსულა „უგრძნეულადო“.

მიმწუხრი იდგა, როცა ეს შეატყობინეს.

მაშინვე ჯარი იკითხა მეფემ.

მხოლოდ 1500 მხედარი აღმოჩნდა სახელდახელოდ საომრად გამზადებული.

ახალი ჯარების შეყრას ვეღარ დაუცდიდა და მაშინვე აღჯდა მეფე საომარ უნაგირზე, ის ათას ხუთასი მხედარი აიყოლია და მთელი ღამის შეუსვენებელი ჭენებით ნაჭარმაგევიდან მიიჭრა თრიალეთს.

ინათლა და სისხამზე დაეძგერნენ ერთმანეთს თურქნი და ქართველნი.

აისიდან დაისამდე გაგრძელდა „ბრძოლა ფიცხელი“.

ისევ გადაწონა ბრძოლის სასწორი დავით მეფის სწორუპოვარმა შემმართებლობამ.

თურქთა ურდოს ვეღარც შეეგრძნო და ვეღარც შეეცნო რიცხვითი სიმცირე გავეშებული ხმალთაკვეთებით მოიერიშე ქართველებისა.

ბრძოლის ველიდან გარბოდნენ თურქნი, „ესოდენ ზარგანხდილნი და მოსწრაფენი, ვიდრემდის არცა თუ კარავთა მათთა და ჴურჭელთა მიხედნეს ყოვლად“, ყველაფერი იავარად ქართველებს შეატოვეს და თვითონ, ვინც სიკვდილს გადაურჩა, „განიბნივნეს თვისთა ქუეყანათა“.

მცირედი ჯარით ეგზომ დიდი მხედრობის განადგურება სწორედ რომ საოცარი და საკვირველი უნდა ყოფილიყო. ამიტომ დავით მეფე და მისი თანამებრძოლნი კარგა ხანს დაეჭვებულნი — ემანდ მტერი ხაფანგს რასმე არ გვიგებდესო — ფრთხილი დევნით მისდევდნენ ოტებულ თურქობას და სდიეს მანამ, სანამ არ დარწმუნდნენ, რომ მტერი სავსებით იყო გადახვეწილი.

1115 წელს, დავით მეფის მუხნარს დგომის ჟამს, გიორგი ჭყონდიდელმა, ისევ „უგრძნეული თავდასხმით“, თურქებს ხელიდან გამოჰგლიჯა რუსთავი.

ამრიგად, ტფილისის თურქობას აღმოსავლეთის მისასვლელებიც გადაეჭრა.

იმავე წელს თვითონ დავით მეფე თავისი „მონა-სპით“ ხან სად დაეცა მტერთა ბანაკს და ხან სად. „უგრძნეულად დაესხის და მოსწყვიდნის,

და ესე არა ერთგზის ანუ ორგზის, გინა სამ, არამედ მრავალგზის, ვითარცა აწ ერთი თქუას".

ხოლო, ის „ერთიც, აწად ნათქუამი", მოხდა 1115 წლის დეკემბერში, ქვემო ქართლის გზებს დაშინებულნი, ახლა ტაოს გზით წამოსულან თურქები. სწორედ ტაოს „ჩამოდგნენ დიდნი თურქნი ხარგებითა, ვინათგან ზამთრისა სიფიცხესა და მთათა სიმაგრეთა მიენდვნეს". აქ, კარნიფორისა და ბასიანის მთებში დადგნენ გამოსაზამთრებლად, დედაწულიანად, საქონელ-ხვასტაგიანად და ტილიან-რწყილიანად.

დავით მეფემ ისევ „მოიხელოვნა" ნაცადი „უგრძნეულობის" ტაქტიკა. ქართველთა და მესხთა ჯარებს „მზაობა უბრძანა", თვითონ ქუთათისს გადავიდა და ამით მისგან უშიშროებაში მტერი „უეჭველ ყვნა".

ახალი, 1116 წელიც შემოვიდა, იანვარიც გაიტუზა, თებერვალიც შემოიტუზა და დავითმა ქართლელებსა და მესხებს ბაემნის დღე და ადგილი აცნობა, თვითონაც იმიერ-ქართველთა ლაშქრით, აჭარაზე გავლით, ხუფთისა და ჭოროხის გზებით, გაეშურა კლარჯეთისაკენ, სადაც სწორედ ბაემნად უნდა შეხვედროდა ქართლელებსა და მესხებს.

და ასე — დავითი გაერთიანებული ქართული მხედრობით კვლავაც უგრძნეულად თავს დააცხრა კარნიფორა-ბასიანის მთებში „უშიშად გულდებითა მსხდომარე" თურქობას.

და კვლავაც იყო დიდებული და ბრწყინვალე გამარჯვება დავითისა და დავითიანთა მხედრობისა მტერთა ზედა. ქართველებმა „მოსრეს სიმრავლე მათი ურიცხვი, და აღიღეს დედა-წული მათი, ცხენები, ცხოვარი, აქლემები და ყოველი ნაქონები მათი, რომლითა აღივსო ყოველი სამეფო მისი ყოვლითა კეთილითა".

მომდევნო 1117 წელს დავითს კიდევ ერთი გალაშქრება დასჭირდა აღმოსავლეთისკენ. აქ, ჰერეთის დიდებულებს, ა ს ა მ და შ ო თ ა გ რ ი გ ო ლ ი ს ძ ე ე ბ ს მოუნდომებიათ ჰერეთის კვლავაც წარკვეთა საქართველოსგან და ქალაქი გიში აურჩევიათ თავის „სახელმწიფო რეზიდენციად".

სასწრაფოდ წარემართა დავითი ჰერეთს, მისვლაზედვე აიღო გიში, გაურჩებული გრიგოლის ძენიც ტყვედ აიყვანა და ბორკილგაყრილნი გამოირეკა. ჰერეთი კვლავაც საქართველოს აღმოსავლეთ „მხარმკლავად" დაემტკიცა და განემტკიცა.

იმავ ჟამს დავითს თავისი ძე, უფლისწული დ ე მ ე ტ რ ე, შირვანს გაეგზავნა სალაშქროდ. დემეტრემაც დიდი მამის შესაფერისი ღირსებით განასრულა ლაშქრობა ესე: „ქმნნა ომნი საკვირველნი, რომლითა განაკვირვნა მხილველნი და მსმენელნი"; აქ მან აიღო დიდი ციხე-ქალაქი ქალაძორი და „ძლევაშემოსილი მოვიდა წინაშე მამისა თვისისა, სავსე ალაფითა და ტყვითა ურიცხვითა".

არც ერთი წელიწადი აღარ მიდიოდა დავით აღმაშენებლისგან ნიშანდაუსმელი.

1118 წელს იგი ნახიდურში იდგა, რახსის (არახს-არაქსის) პირას, და აღდგომის დღესასწაულს იხდიდა. და უცებ, ინახად მჯდარ ხელმწიფეს მოახსენეს, რომ თურქები ჯავახეთს შემოჭრილან და თუხარისის ერისთავი, ბეშქენ ჯაყელი მოუკლავთ. უმალვე ზეწამოიჭრა მეფე ტრაპეზიდან და ლაშქრობა ბრძანა. შემოეხვივნენ იქ დამსწრე დიდებულნი და ახლობელნი — ასე ერთბაშად, წამწამისად გალაშქრებას ნუ ინებებთ, ჯერ ავწონდავწონოთო და სხვა მისთანანი. მაგრამ მეფისთვის თქმა და ქმნა ერთი იყო, — მაშინვე ამხედრდა, მონა-სპა აიყოლია და მტრისკენ გაქუსლა. რახსის პირას იპოვა თურქნი ბანაკად მდგარნი. უმალვე, სანამ გონს მოეგებოდნენ და იარაღს მოივარგებდნენ, ელვასავით თავს დააცხრა და „მოსრა სიმრავლე მათი. და წარმოიღო ტყუე და ალაფი ურიცხვი“.

იმავე 1118 წელს, იელისში, დავითმა სომხითს გაილაშქრა და ორი დიდი ციხე-ქალაქი აიღო ზედიზედ — ერთ საღამოს ლორე და მეორე დილით აგარანი.

ყივჩაყი შამომეყარა

ყივჩაყი შამომეყარა
სამზღვარს მუხრანის გზისასა,
პური მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი თავთუხისასა;
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი ხოხობისასა;
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ვურჩევდი ბადაგისასა;
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც,
მიმყვანდა სიდედრისასა.
ან კი ცოლს როგორ მივცემდი,
შვილსა გაზრდილსა სხვისასა.
ხელი მოპხვია, აკოცა,
მოზიდნა ნაწნავს თმისასა;
შესტირა საბრალო ქალმა:
„ვაი, ცოლს ცუდი ყმისასა!“
მეც გულმა ვეღარ გამიძლო,
მოვზიდნე ვადას ხმლისასა,
უმალვე იმან დამასწრო,
ელვასა ჰგვანდა ცისასა,
მაგრამ დაუცდა მუხანათს,
ვენაცვლე მადლსა ღმრთისასა.
ახლა მე შემოვუქნიე.
ვენდე მადლს ლაშარისასა.
გავსჭერი ცხენი და კაცი,
წვერი ვუწვდინე ქვეშასა.
არ იყო ღირსი, მოშორდა
ცქერას ნათელს მზისასა,
ცოლი სიდედრსა მიეჰგვარე,
ის კი იქა სჭამს ქვეშასა.

ხალხური

გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა, მაგრამ დავით მეფე იმასაც კარგად ჰხედავდა, რა ძვირისისხლიანი იყო ყოველი ბრძოლა მისი მცირე და საუკუნეთა გასწვრივ ისედაც უთავჟამო ომებით სისხლნადენი ქვეყნისთვის. დავით აღმაშენებელი მტრის ათასეულებს თავისი ასეულებით ანადგურებდა, მაგრამ ზარალის სასწორზე მისი მხარე უფრო მძიმე სა-

ზარალო პინაკით ეშვებოდა, ვიდრე, ვთქვათ, თურქთა სულტანისა. ბუნებრივიც იყო, რადგან უთვალავი საომარი კონტინგენტების პატრონ სულტანისათვის ათასი კაცის დანაკლისი გაცილებით ადვილი დასაფარავი და დასავიწყებელი იყო, ვიდრე ასი მეომრის დაკარგვა მცირეხალხოვან საქართველოს მეფისათვის.

სწორედ ასე იყო — საქართველო ბრძოლას ბრძოლაზე იგებდა და ამ ძლევამოსილებათა პროპორციულად, ბრძოლისუნარიან მოსახლეობას ჰკარგავდა.

ამასთან, ბრძოლისუნარიანი ხომ შრომისუნარიანის ტოლფასიცაა და ამდენად გამარჯვებულ საქართველოს ერთ უბედურ დღეს ორივე „ველზე“ — ბრძოლისაც და შრომისაც — მძიმე კრიზისი უნდა დასდგომოდა.

მერე — ბრძოლის მოგება ხომ ერთი დიდი საქმეა, მეორე და არანაკლები იმ მოგებით მონაგების დანარჩუნება. მტრისგან წართმეული ყოველი ციხესიმაგრის დასანარჩუნებლად ციხიონი და ციხიონისთვის ცალკე ჯარი იყო საჭირო.

და ხედავდა დავით მეფე, „რამეთუ არა იყო ესეოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რათამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად და კუალად თვით მის თანა მყოფად და მოლაშქრედმცა კმა ეყვნეს დაუცხრომელად მიმოსლვასა ლაშქრობასა მისსა ზამთარ და ზაფხულ“.

ერთი სიტყვით, დავით მეფეს „სამი რიგის“ ჯარი სჭირდებოდა: ერთი — დაპყრობილ ციხე-ქალაქთა დასაცავ ციხიონებად („გარნიზონებად“), მეორე — პირად გვარდიად, და მესამე — მუდმივ, „ზამთარ-ზაფხულ დაუცხრომლად“ მოლაშქრედ. ასეთი „მრავალდარგოვანი“ სამსახურისათვის ქართველთა ჯარები, თუნდაც რაიმე ფეოდალური განდგომაც არ მომხდარიყო, მათი რიცხობრივი სიმცირისა გამო („რამეთუ არა იყო ესოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა“) არასაკმარისი იყო.

მაშ, დავითს სჭირდებოდა, გარდუვალად და გარდუკვეთელად, არმია მრავალრიცხოვანი, იმდენი მაინც, ასე თუ ისე, თუნდაც მცირედად რომ ამოავსებდა იმ „რიცხობრივ ჩავარდნას“, რომელიც საქართველოს მუდამ ჰქონდა მის ურიცხვ (სწორედ ურიცხვ და უთვალავ!) მტრებთან შეტოლებაში, თუ „შერიცხვებაში“.

უეჭველად, განუწყვეტლივ და განუცადებლად, აწუხებდა დავითს ეს ფიქრი და ბოლოს — „აღიღო მაღლად თავი თვისი და მიმოავლო თუალი გონებისა თვისისა და განიცადა კეთილად“.

და „კეთილად განცდა“ ესე აღმოჩნდა უცხოელების საომარ ძალად შემოყვანა საქართველოში!

უცხოელებიო?!

ჯარის სიმრავლე ხომ უცხოთა მოსაგერიებლად სჭირდებოდა და ახლა უცხოთა წინააღმდეგ უცხონი მოჰყავდა?!

ესეც ახალი „უცნაურობა“ (თუ — ალოგიზმი!) ამ აქამდეც „ყველაფრით უცნაურ“ („ალოგიკურ“!) ხელმწიფეში!

მაგრამ აკი ხდებოდა ასეთი „უცნაურობანი“ მსოფლიოს სხვა ხალხთა და სახელმწიფოთა ცხოვრებაში — ესა თუ ის ხელმწიფე უცხოურ ჯარს რომ დაიქირავებდა, — დიახ, დაიქირავებდა, — მოქირავნეობა უკვე დიდი ხნის საისტორიო პრაქტიკა იყო და ასეთი გზით თავის ქვეყანაში უცხო ტომელთა შემოყვანა მაინც და მაინც ქართველთა მეფეს რატომღა უნდა ჩასთვლოდა „უცნაურობაში“?

მოქირავნეობას საქართველოშიც იცნობდნენ, — დაქირავებულ ჯარს „როქის სპას“ რომ ეძახდნენ. დავითსაც ჰყავდა „როქის სპა“, კავკასიელ ტომთაგან, უმეტეს ოვსთაგან, მაგრამ სერიოზული ბრძოლისათვის უმნიშვნელო, უფრო ადგილობრივ, „საპოლიციო სამსახურისთვის“ (საუკეთესო „პოლიციელნი“ იყვნენ ოვსნი, ლუკმის მდევარნი).

მაგრამ საქმეც სწორედ ის იყო, რომ დავითს „ასეთი გზით“ — მოქირავნეობის გზით კი არა, სულ „სხვა“, სწორედ „უცნაური გზით“ მოჰყავდა უცხო ტომისანი საქართველოში.

ამ „გზას“ ერქვა უცხოელთა მასობრივი გადმოსახლება, დასახლება და დამკვიდრება საკუთარ მიწაზე — დედამიწის იმ უმცირეს ნ ა ტ ე ხ ზ ე, რასაც ძ ლ ი ვ ს ერქვა საქართველო!

რაც საქართველო და მისი ქართველი (ან, ქართველი და მისი საქართველო) ამ ქვეყანა-ზეყანას შორის არსებობდა, გამუდმებით და განუწყვეტლივ ყოველი არაქართველი ტომისანი, ახლო მეზობელი, თუ შორეული გადამთიელი — ვინც კი ქართული „მიწის ნატეხის“ ამბავს შეიტყობდა, ყველა კანიდან ძვრებოდა, ჰიპზე სკდებოდა და დანაზე ეხეოდა, როგორმე ეს „ციდან ჩამოვარდნილი მიწუკა“ ქართველისთვის წაერთმია და თავისად გაეთავისებინა და დაემკვიდრებინა.

ასე იყო — „ჩვეულებრივი ბედისწერა“ ქართველისა და მისი საქართველოსი, ანუ საქართველოსი და მისი ქართველისა.

ხოლო ახლა, დავით მეფემ, — უკვე „აღმაშენებელსაც“ რომ ეძახიან — ეს რაო, აღმაშენებლობაა თუ დამაქცევრობა და დამამხობლობა, ღვთით ეგზომ დამცრობილ შენს მიწაზე უცხოელები ჩამოასახლო, დედაწულიანად, ძაღლიან-კატიანად, ტილიან-რწყილიანად, წვირიან-გვიჯიჯიანად?!

თან, საიდან სადაო და — ყ ი ვ ჩ ა ყ ე ბ ი!

სწორედ ისინი!

მერე, ვინ იყვნენ, რა ხალხი, რა ტომისანი, რა ზნისა და თვისებისანი, ახლა რომ საკაცობრიო ბედისწერა თურმე ასე შეჰღიმოდა რომელიღაც „ქართული ღიმილით“?..

ყივჩაყები, ანუ კუმანები, თურქული გვარ-ჯილაგისანი იყვნენ, თურქოღუზთა, გინა სელჩუკიანთა ნათესავებიც. თავდაპირველად შუა აზიას, ტიან-შანის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში ცხოვრობდნენ და მიმოიქცე-

ოდნენ თავისი მომთაბარული ცხოვრებით. მერე, XI საუკუნის დამდეგს ყივჩაყები დასავლეთისკენ დაიძრნენ, ვოლგის ქვემო წელი გადალახეს და მთელს ჩრდილო კავკასიას და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთს მოედვნენ და მოეტკიპნენ. ხუთასი წელიწადი დამკვიდრდა სახელი — „დეშტე-ყიფჩაყ“ — „ყიფჩაყთა ქვეყანა“, გადაჭიმული ტიან-შანიდან დუნაიმდე. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ერთიანი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, არამედ იყო სწრაფცვალებადი სპორადული, ოჯახურ-გვაროვნული გაერთიანებანი; გვარები რომ ურდოებად ერთიანდებოდნენ, ურდოები კი — ტომებად.

სამეურნეო ცხოვრება ჰქონდათ მომთაბარული მესაქონლეობა. უპირველეს „მეურნეობად“ მიაჩნდათ მაინც ომი, ძარცვა-რბევა, წარტყვევნა და ალაფალა. ომში კი სწორედ მამაცნი იყვნენ, შემმართებელნი, დღედაღამსწორებით მოუქანცველი ცხენოსანნი. ცხენოსნობას და იარაღის ხმარებას ყრმობითვე ეჩვეოდნენ, მათი ქალებიც საომრად იწაფებოდნენ და ხშირად ბრძოლად მიმავალ მამაკაცებსაც გვერდიდან აღარ შორდებოდნენ.

ისინი ერთი საუკუნის მანძილზე შიშის ზარს სცემდნენ და სისხლს ადენდნენ რუსეთს, უნგრეთს, ბიზანტიას.

ასეთი იყვნენ ისინი, ერთის თვალის გადაკვრით — ყივჩაყნი.

ხოლო, დავით აღმაშენებელს რა ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ამ ველურ ხალხთან, თან — რა სიახლოვე, ასე ერთბაშად გადაწყვეტით საკუთარ ქვეყანაში მათი ჩამოსახლებაც (ჩამოსახლება-მეთქი!) რომ გადაეწყვიტა?

ესეც ახალი „უცნაურობა“ და სიახლოვე უახლოესი: დავით აღმაშენებელი სიძე იყო ყივჩაყებისა!

ესეც კიდევ — საიდან სადაო?!

რა მოტივი ედო სასთუმლად ამ ქორწინებრივ დაწყვილებას?

დინასტიურ ქორწინებათა „სასთუმალი“ თითქმის ყველგან და ყოველთვის პოლიტიკა იყო. და ეს, ალბათ, არც ქართველი მეფისათვის უნდა ყოფილიყო გამონაკლისი — თუ არა კიდევ სხვა რამ, ამ „გამონაკლისი ბედის“ მქონე გვირგვინოსნისთვის.

ეს დავითის მეორე ქორწინება იყო.

პირველი ქორწინებით, ჭაბუკობის ჟამს, სავსებით „ყმაწვილს“ ცოლად შერთეს სომხის ქალი, რომლისგანაც მას შეეძინა დემეტრე.

ამ საუფლისწულო ძეობის შემდეგ კი, როგორც ეტყობა, დავითის პირველი მეუღლე-დედოფალი, სიკვდილით, თუ სხვა რამ მიზეზით, მალე გაუჩინარდა საისტორიო სახილველიდან.

და ამის შემდეგ დავითს მეორე ცოლად „მოეყვანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გურანდუხტ დედოფალი“, ასული ყივჩაყთა მთავრის, ათრაქა შარაღანის ძისა.

აშკარად ჩანს, რომ დავითს კარგა ხნის გულდასმითი დაკვირვება ჰქონია თავის მოყვრებზე; ეტყობა — დამოყვრებამდეც; და უკვე „უწყ... და კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე, და წყობათა შინა სიმხნე, სისუბუქე და მიმოსლვა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირვლობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თვისისა, და ამათ თანა უადვილეს იყვნეს მოსლვად მახლობელობითაცა და უპოვარებითა".

მაშ, „რამეთუ სხუაებრ არა იყო ღონე", თვინიერ სამხედრო ძალად უცხოელთა მოყვანისა, დავითმა საბოლოოდ გადაწყვიტა მოეყვანა სწორედ ყივჩაყნი, რადგან:

იყვნენ მრავალნი;

ბრძოლებში („წყობათა შინა") მხნენი და მარდად მიმოქცევადნი;

მბრძანებლისა ადვილმორჩილნი და სიტყვაუქცევად ნების დამყოლნი;

ღარიბნი, უქონელ-უპოვარნი და მცირედითაც ადვილად შესანახავნი.

(ყველა ეს თვისება, გარდა საბრძოლო მხნეობისა და სიკისკასისა, უცხო იყო ქართველებისთვის — უკიდურესად პატივმოყვარეთა, „კლასიკური მეებისათვის")...

და, 1118 წელს დავით მეფემ „წარავლინნა კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაყთა და სიმამრსა თვისსა".

ათრაქა შარაღანის ძე დიდის სიხარულით შეხვდა სახელოვანი სიძის შემოთავაზებას და მაშინვე დასტური დაცა მის სისხლიერთა „ბედნიერ ქართულ მიწაზე" გადასახლებას. ისედაც ხომ ყივჩაყნი, ჩრდილოეთიდან რუსთაგან მოწოლით შევიწროებულნი, სამხრეთისკენ მოიწევდნენ, მაგრამ აქ ოვსები უდგნენ, ჩასაფრებით, და აკავებდნენ თავგამეტებით. ამიტომ ათრაქამ დავითს ოვსთაგან სამხრეთული გზის გათავისუფლება და გახსნა ეაჯა.

მაშინ, „ამისთვისცა ბრძანა მეფემან წარსვლა ოვსეთს", ბრძანა და „სიტყუასავე წარემართა" კიდეც. წარემართა და თან წაიყვანა გიორგი ჭყონდიდელი.

ჯვარი გადაიარა ქართველთა მეფემ, ხევი ჩაიარა და მისვლის უმალვე დაიშირა „ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისასა და კავკასიისა მთისათანი".

ოვსთა მთავრებიც მაშინვე ეახლნენ მეფეს „და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა".

აქვე გაჩნდნენ ათრაქა შარაღანის ძე და ძენი მისნი. დავითმა ორივე მხარეს, ოვსებსაც და ყივჩაყებსაც, მძევლები ჩამოართვა და აქამდე მოსისხლე მხარეები შეარიგა — „და ყო შორის მათსა სიყუარული და მშვიდობა ვითარცა ძმათა" (ბედისწერა კი „ხალხთა სიყვარულისა და ძმობისა", სიცილით კვდებოდა).

ამის შემდგომ დავითმა სიმამრისა და ცოლისძმებისგან ჩაიბარა ყივ-

ჩაყოა „სიმრავლე ფრიად დიდი“, სულ 40 000 ოჯახი, ანუ 200 000 სული.

არაგვ-დარიალის კარი, საკინძე საქართველოსი, აზიისა და ევროპის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მაერთებელი მაგისტრალი, დავითმა გამოაცხადა „მშვიდობის გზად“ (ისევ იხრჩობოდა სიცილით ბედისწერა „ხალხთა შორის მშვიდობისა, ძმობისა და სიყვარულისა“!).

მოდიოდა დავით მეფე, მოუძღოდა დედაწულიანად მომდინარე უცხო ხალხს. სასიხარულოდ განესრულებინა მეფეს თავისი „უცნაური“ განაზრახი.

მაგრამ მოდიოდა დიდი წუხილითა და ჭმუნვით გულდამძიმებული, სამგლოვიარო თალხით მოსილი: გიორგი ჭყონდიდელი მოჰკვდომოდა, ოვსეთს ყოფნისას, მისი მოძღვარი, აღმზრდელი, „თანაგამკაფელი ყოველთა გზათა“, „ვითა მამა და უმეტესცა მამისა“.

მისგანვე ახლად მშენებარე გელათის ტაძარში დაკრძალა დავითმა გიორგი ჭყონდიდელი.

(გიორგი ჭყონდიდელი, სიქველით ზეაღმატებული მამულიშვილი — პირველი მკვიდრი მისივე აღზრდილისგან გელათის მირონცხებული ძვალთშესალაგისა).

იგლოვა და აგლოვა მთელი საქართველო დავით აღმაშენებელმა. ორმოც დღე-ღამეს შავი თალხი არ გაუხდია მეფეს. სწორედ მეორმოცე დღეს უფლისწული ვახტანგი (ცვატა) შეეძინა დედოფალ გურანდუხტისგან და „ხარებითა დაიხსნა გლოვა“.

ხოლო, ჩამოყვანილი ყივჩაყები დავითმა განასახლა ქართლის და კახეთის სხვადასხვა კუთხე-კუნჭულში, „ადგილთა მათ მარჯუენეთა დედაწულითა მათითა“, — ისეთ „მარჯუეთა“, სადაც ქართველთა სქლად დასახლებულ გარემოში ადვილი იქნებოდა ამ ველურთა სწრაფი გაქრისტიანება, ქართულ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ტრადიციებში აღრევა და, ბოლოს და ბოლოს, „გაქართველება“.

დავით აღმაშენებლის შორსმჭვრეტელური განაზრახიც თურმე ეს ყოფილა: ყივჩაყთა ქართველობაში ასიმილირება და ამ გზით ქართველობის გამრავლება და, საბრძოლო და სამეურნეო თვალსაზრისით, გამძლავრება.

ასედაც მოხდა. „თვით ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითიდღე, რა სიმრავლე ურიცხვი შეეძინებოდა ქრისტესა“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იგივე „სიმრავლე ურიცხვი შეეძინებოდა“ საქართველოს და მის მეფეს. ეს ნიშნავდა ყივჩაყის გაქართველებას.

სულ მალე, „ყივჩაყი შამომეყარაო“ — ვეღარც ვერავინ იმღერებდა, ვეღარც ვერავინ იტირებდა საქართველოში. მათი ჩამოსახლებიდან მეორე თუ მესამე თაობაში „ყივჩაყის“ ნაცვლად მხოლოდღა „ნაყივჩაყარს“ თუ გაიგონებდა კაციშვილი.

მთავარი მაინც, რისთვისაც მეფის ნებით ქართველს „ყივჩაყი შემოეყარა“ — იყო სამხედრო რეფორმა. პირველ მოსვლაზედვე, ყივჩაყობას დავითისთვის უნდა მიეცა 40 000 მეომარი — ოჯახიდან ერთი მუდმივი მეომრის ანგარიშით. ამათ დაერქვათ „წყობად (ბრძოლად) განმავალი რჩეული ორმოცი ათასი“, რომელთაც დავითმა დაურიგა ცხენები და საჭურველნი, დაყო საომარ ნაწილებად („გუარად-გუარად“), და ყველა ნაწილს დაუნიშნა მისი „სპასალარი და მმართებელი“.

თავის „თანაეროვნულ მონა-სპასთან“ ერთად, ახლა დავით მეფეს, „იარაღ-ქვეშ“, 45 000 მეომარი ედგა. ამას უნდა მიმატებოდა „ეგრეთვე თვისისა სამეფოსა სპანი“, ანუ ჩვეულებრივ, საჭიროების შემთხვევაში, ქუდზე კაცად დაძახებული მოლაშქრენი, „რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენქეთილნი და პირშეუქცეველნი“.

ასე რომ, საერთო ანგარიშით, დავით აღმაშენებელს უნდა ჰყოლოდა 60—70 ათასი ჯარისკაცი და მოლაშქრე. მასთან კიდევ, საჭიროებისამებრ, დამატებით, ზედმეტ-ნაკლებ ძალისად, მეფეს შეეძლო მეზობელ ტომთაგან მოეწვია „როქის სპანი“ — მეომარნი სალაშქრო ქირით.

ამდენი ჯარი საქართველოს არასოდეს არ ჰღირსებია. ამიერიდან ქართველ მეფეს აღარ უნდა დასჭირვებოდა, 1500 ქართველით მტრის 100 000-იან ურდოს დასტაკებოდა. (საერთოდ ხომ ასი ათასები და ხუთასი ათასები (!) საქართველოს წასახდენად, თითქოს, „ნორმად“ დაედგინა ბოროტთა ბოროტ საისტორიო ბედისწერას).

ჯვაროსანთა და მთვაროსანთა

ყოველივე ეს დიდი გარდაქმნა-გარდასახვანი, რაჲთაც საქართველო იმ დროინდელი მსოფლიოს მეწინავე სახელმწიფოთა შორის უნდა დამკვიდრებულიყო — დავით აღმაშენებელმა მოასწრო თხუთმეტ წელიწადში.

ასეთი იყო ის თხუთმეტი წელიწადი შუბლსა ზედა დედამიწისასა, დანარჩენი მსოფლიოსთვის ეპოქა ჯვაროსნული ციებ-ცხელებისა, დასავლეთ ევროპიდან აზიისკენ — „დედამიწის ჰიპის“ გადაელით დედამიწის „წმიდა თვალისაკენ“.

მუდამ მომგებიანობის მაძიებელი ბიზანტიისათვის მაინცდამაინც მომგებიანი უნდა ყოფილიყო, რომ ახლა კავკასიის გასწვრივ ერთმორწმუნე, თანაქრისტიანი საქართველო მძლავრობდა, და ამდენად ამ მხრიდან ურჯულოთა ურდოების მოწოლა უკვე აღარ უნდა დამუქრებოდა ბიზანტიას. ახლა საქართველოში ისეთი დრო დამკვიდრებულიყო (დავით აღმაშენებელს დაემკვიდრებინა „ეს დრო“), რომ ბიზანტიას ქართველებთან სადავო მიწებზე ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა აეღო და „იმ

შუბლის“ მადლი მხოლოდ საკუთარი „ჯიპის“ გადასარჩენად მოეხმარა და მოეშველიებინა.

სამხრეთ-აღმოსავლეთით კი, სირია-პალესტინის გასწვრივ, ახალი ქრისტიანული საფარი გასჩენოდა ბიზანტიას — ცოტა „სხვანაირ-ქრისტიანული“ (კათოლიკური) და არა სულ ისეთი, როგორც ქართული (მართლმადიდებლური), მაგრამ მაინც ქრისტიანული. ეს ახალი, ჯვაროსნული სახელმწიფო-სამთავროები, იმედია, გაანელებენ ამიერიდან თურქთა თავაწყვეტილ ლტოლვას ბიზანტიური სამანებისკენ. რა ვუყოთ, რომ ჯვაროსნებმა არც ერთ კეისარს, — არც ალექსის და არც იოანეს,— იმ მხრივ არ გაუმართლეს, რომ მათგან დაპყრობილი აზიური მიწები ბიზანტიის გვირგვინს არ მიართვეს, მაგრამ მადლად ის მაინც მადლი იყო, რომ ჯვაროსნები საიმედო მცველ ბასტიონებად გადასდგომოდნენ წინ აღმოსავლეთით ქრისტიანულ ბიზანტიაზე მოიერიშე მაჰმადიანურ სამყაროს. ამას გარდა, ისიც ხომ დიდი „ჯვაროსნული სიკეთე“ იყო, რომ სწორედ ევროპელ რაინდთა წინსვლამ ბიზანტიას საშუალება მისცა, კვლავ თავის სამანებში მოექცია მანამდე თურქთაგან მიტაცებული მცირე აზია.

ეს ყველაფერი ასე იყო ბიზანტიისთვის, აღმოსავლეთში, აზიაში — წყალობითა ქართველთა მეფისათა (ერთის მხრივ) და წყალობითა ევროპელი რაინდებისათა (მეორეს მხრივ).

მაგრამ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა კი, სწორედ აღარ ეხატებოდა გულზე ბიზანტიის კეისარს. დასავლეთიდან მოსული მშვილდოსნისგან თვითონ ძლივს უშველა თავს „დედამიწის ჯიპმა“, თვითონ მოიწვია და თვითონ ძლივს გადაურჩა. ძალიან საშიში ყოფილან ეს „დასავლეთელნი“, ეს „ევროპელნი“, ეს „ლათინნი“, ეს „რომაელნი“ — იქნებ არანაკლებ საშიშნი, ვიდრე აღმოსავლელი, აზიელი ურჯულო თურქნი...

მახვილოსანი რაინდები აღარ უნდა გამოჩენილიყვნენ — აღარ უნდა „დაშვებულიყვნენ“ კონსტანტინოპოლს, — მახვილით კი არა, ქისითაც რომ მოდიოდა, იმასაც ვეღარ აკავებდა „ოქროს ჯიპი“ დასავლეთიდან მოსულს. დიახ, — საქმე ის იყო, რომ ჯვაროსნულ ლაშქრობას ვაჭრული ლაშქრობა ასდევნებოდა განუყრელ მარჩიენად. ესენი იყვნენ იტალიელი ვაჭრები და ზღვაოსნები — ვენეციიდან, გენუადან, პიზადან, ამალფიდან. ამ ქალაქ-რესპუბლიკათა ვაჭრებმა და ზღვაოსნებმა გაავსეს მთელი ხმელთა შუა ზღვის აუზი და მისი მიმოსაქცევნი. ყოველ დიდსა და მცირე ბაზარზე უკვე იტალიელი ჩაგრავდა და „ულაპავდა“ ბერძენს, „ოქროს ჯიპელს“.

ამიტომ აღარ უნდა განახლებულიყო დასავლეთევროპული ჯვაროსნობა, თანაც, ბიზანტიის გავლით, ანუ „ოქროს ჯიპის გადავლით“, აღმოსავლეთში.

ასეთი უნდა ყოფილიყო ფიქრი და სურვილი ბიზანტიის სახლსა საკეისროსა, საღვთოსა კონსისტორიონსა.

მაგრამ უმწეო იყო ეს სურვილი აღსასრულებლად. საისტორიო ბედისწერას კარგა ხნით აეხსნა სალტე წამლეკავ ზავთა სათავისათვის. დასავლეთ ევროპას აღარც სურდა და აღარც შეეძლო თავი შეეკავებინა და ხელი აეღო ამ ღვთით მოვლენილი („ღმერთს ასე ნებავს!") ჯვაროსნული ჰემოფილიისგან.

ხოლო, სანამ დასავლეთიდან ახალი ჯვაროსნული ტალღა შემოაღწევდა, მანამ აქ, აღმოსავლეთში, ჯვაროსნებიც თავისას „ჯვაროსნობდნენ", თურქებიც თურქობდნენ, ბიზანტიელებიც ბიზანტიელობდნენ და... ქართველებიც ქართველობდნენ.

აზიაში ევროპელთა ჯვაროსნობა ჩვენ იქ დავტოვეთ, როცა იერუსალემი გოტფრიდ ბულონელს დაეპყრო, ანტიოქია ბოჰემუნდ ტარენტელს, ედესა — ბალდუინს, ტრიპოლი — რაიმუნდ ტულუზელს.

გოტფრიდ ბულონელი, „იერუსალემის სამეფოს" პირველი ხელმწიფე — „დამცველი უფლის საფლავისა" — მალე მოკვდა, 1100 წელს. და მაშინვე მისი ძმა ბალდუინი, 200 რაინდით, ედესიდან იერუსალემში გაჩნდა და ტახტიც მაშინვე დაიჭირა. ტანკრედი, ბოჰემუნდ ტარენტელის ძმისწული, შეეცადა თვითონ დამჯდარიყო იერუსალემის ტახტზე, ძალიანაც ეცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბალდუინმა თავისი გაიტანა და თვრამეტი წელიწადი (1100—1118) იმეფა იერუსალემს. დიდი ენერგიაც გამოიჩინა, დიდი საქმეებიც განასრულა. ვენეციელი და გენუელი ვაჭრები შეიკავშირა, საომარი ძალები გაიმრავლა და მუსლიმანთა — განსაკუთრებით, ეგვიპტელთა შემოტევებიც წარმატებით უკუაქცია, მასთან, ზედიზედ ხელთ იგდო ზღვის განაკიდური ციხე-ქალაქნი — არსუფი, კესარეა, პლოტემაიდა, სიდონი და ბეირუთი.

ტრიპოლის მფლობელი, რაიმუნდ ტულუზელი 1105 წელს მოკვდა. იგი შეცვალა მისმა შვილმა, ბ ე რ ტ რ ა ნ მ ა. ამან კი, საგანგებო ფიცით, ტრიპოლი იერუსალემის მეფის ვასალობაში ჩააყენა.

სირიაში, ანტიოქიაში გამაგრებულ ბოჰემუნდ ტარენტელს კი, იმთავითვე ცუდად წაუვიდა საქმენი. ანტიოქიიდან ჰალაბს (ალეპო) მიადგა, მაგრამ ვერ აიღო, მერე ერთი სომხის რჩევაზე, ფეხი უფრო აღმოსავლეთით წაუცდა, უეცრად თავს თურქები დაესხნენ, დაამარცხეს და თვითონაც ტყვედ წაიყვანეს (1101 წ.). მაშინვე ანტიოქიას მიაშურეს გამარჯვებით გალალებულმა თურქებმა და ალყაში მოაქციეს იქ ჩასაფრებული ჯვაროსნული ციხიონი. სასწრაფოდ ტანკრედი მობრუნდა, — იერუსალემის ტახტის ძიებაში ხელმოცარული. მობრუნდა და ახლა კი იმარჯვა — თურქები დაამარცხა, გააქცია და ანტიოქია თავისთვის დაინარჩუნა. ბიძამისი კი, ბოჰემუნდ ტარენტელი, ისევ რჩებოდა თურქულ ტყვეობაში.

იმავე 1101 წელს ჯვაროსანთა ახალი ტალღები მოაწვა დასავლეთი-

დან აღმოსავლეთს — იტალიელები, ფრანგები, გერმანელები. თითქმის მთლიანად გლეხები იყვნენ, მრავლად ქალებიც ერივნენ. სამ ნაკადად შეესივნენ აზიას. სამივე ნაკადი გაჟლიტეს და გააცამტვერეს თურქებმა.

1103 წელს ბოჰემუნდ ტარენტელმა თავი გამოისყიდა თურქულ ტყვეობიდან, მაგრამ ანტიოქია ვეღარ დაიბრუნა, რადგან იქ გამაგრებულმა მისმავე ძმისწულმა, ტანკრედმა აღარ დაუბრუნა. ბოჰემუნდმა მაინც შეძლო ქრისტიან „მოხალისეთა“ ჯარის შეყრა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ქალაქ ხარრანის ხელში ჩაგდება სცადა, მაგრამ თურქებმა იგი იქაც დაამარცხეს და უკანვე გამოაქციეს. მაშინ აზია მიატოვა ბოჰემუნდმა, ევროპაში დაბრუნდა, ახალი არმია შემოიყარა და დაიძრა აღმოსავლეთისაკენ, მაგრამ აზიისკენ კი არა, ბალკანეთს მოადგა და თვითონ ბიზანტიას გაუმართა ომი. მაშინ კეისარმა ალექსი კომნენოსმა ეს ერთ დროს განთქმული ჯვაროსანი რაინდი კიდეეც დაამარცხა და ზავიც და პატიებაც ამათხოვრებინა. ალექსიმაც დიდსულოვნება ითამაშა, ბოჰემუნდ ტარენტელი ვასალად აიყვანა და ანტიოქიის მმართველობაც მასვე დაუბრუნა. მალე ბოჰემუნდი იტალიაში დაბრუნდა და მალევე (1111 წ.) იქვე გარდაიცვალა.

მაინც და მაინც ვერც დანარჩენ, მანამდე სახელოვან ჯვაროსან რაინდთა შემდგომი ცხოვრება და საქმიანობა წარიმართა ბოლომდე სახელიანად. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ქრისტიანები ერთმანეთს დაერივნენ და მოკავშირეებად, ერთმანეთის ამოსაწყვეტად თუ დასამდაბლებლად, სწორედ ადგილობრივი მუსლიმანი ბეგები და ათაბეგები გაიხადეს. ამ მხრივ, სამაგალითონი იყვნენ ანტიოქიის გრაფი ტანკრედი და იერუსალემის მეფე ბალდუინი.

მაგრამ ამ სამარცხვინო სისხლიან პაექრობაში ჩაერია კეისარი ალექსი კომნენოსი, რომელმაც ტანკრედს მოსთხოვა, ანტიოქია მისთვის ჩაებარებინა. ტანკრედმა გადაჭრით უარი თქვა და თავისი თანამემამულე ნორმანი რაინდები საომრად გაამზადა. ალექსიმ დასახმარებლად პროვანსელებსა და იერუსალემის მეფე ბალდუინს უხმო. და ის იყო, მუსლიმანთა თვალწინ, ქრისტიანები ერთმანეთს უნდა დარეოდნენ, რომ ამ ახალი საისტორიო სირცხვილის ჩადენაში ხელი ისევ თურქებმა — ანატოლიელმა თურქებმა შეუშალეს.

ზემოთ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა დავითის მამის, გიორგი მეორის დროჟამზე მოვუთხრობდით, მაშინ ისიც ითქვა, როგორ მოვიდნენ თურქები ანატოლიაში და შექმნეს აქ თავისი ახალი სახელმწიფო — რუმი. მისი დამაარსებელი იყო სულეიმანი, რომელსაც, როგორც თავის ვასალს, „შაჰის“ ლაკაბი (ტიტული) უბოძა სელჩუკიანთა დიდმა სულტანმა, მალიქ-შაჰმა.

ესეც ითქვა, რომ 1084 წელს სულეიმან-შაჰმა ბიზანტიის ტახტს ანტიოქია წაართვა, მას უკან — ანტიოქიას ნიკეა, ნიკომედია და კონია

მიაყოლა. თავისი ტახტიც ნიკეაში, ზედ კონსტანტინოპოლის ცხვირწინ დაიდგა სულეიმანმა.

მალე თურქებმა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ყველა ქალაქი წაართვეს ბიზანტიელებს.

სულეიმან-შაჰი მალიქ-შაჰის ძმამ, თუთუშმა მოინელა.

1092 წელს ყილიჩ-არსლანმა დაიდგა თავზე შაჰის გვირგვინი ანატოლიაში. მას უკან ჯვაროსნობის ხანძარიც დაინთო ევროპაში, „ოქროს ჯიპზეც“ ჩამოგრიალდა; ბიზანტიელმა და ევროპელმა ქრისტიანებმა ანატოლიელი თურქები დაამარცხეს, მისწურეს და მიავიწროვეს...

1107 წელს ყილიჩ-არსლანი მასთან წაკიდებულ თურქმანებთან შეტაკებაში დაიღუპა და რუმ-იკონიის ტახტი მისი მამაცი შვილის, მალიქ-შაჰის ხელში გადავიდა. და სწორედ ამ მალიქ-შაჰმა, 1110 წელს, სასტიკი ხმალთაკვეთებით შემოუტია ბიზანტიელებს. შემოუტია და ხელთ იგდო ფრიგია და ბითვინია თავის ზღვისპირა ქალაქებით. ალექსი კეისარს უკვე ანტიოქიისთვის აღარ სცხელოდა და ეს ქალაქი, მისი სირიით, საბოლოოდ დარჩა ტანკრედს და მის ნორმანებს. ანატოლიის თურქებთან ბრძოლა 1117 წლამდე გაგრძელდა. ალექსი კეისარმა რამდენიმე წარმატებული გალაშქრებით, შეძლო მტრის უკუგდება და მცირე აზიის ზღვისპირეთის კვლავ ქრისტიანული იმპერიის სამანებში მოქცევა.

პოლიტიკურ ჟურნალისტთა ...

ქართველთა მეფე არც ჯვაროსან-ევროპელი იყო და არც მთვაროსან-აზიელი.

თუ მაინცა და მაინც — იგი უფრო ჯვაროსან აზიელად ჩაითვლებოდა.

და ჯერჯერობით, ჯვაროსანთა და მთვაროსანთა, ანუ ქრისტიანთა და მაჰმადიანთა ამ თხუთმეტწლოვან სისხლთათხევაში, თითქოს, არ ჩარეულა.

თითქოს-მეთქი, რადგან ეს „ჩაურევლობა“ პრაქტიკულად მაინც ჯვაროსანთა და ბიზანტიელთა წისქვილზე ასხამდა წყალს.

ასე იყო, რამეთუ მთელი ეს თხუთმეტი წელიწადი დავით აღმაშენებელი მუსრს ავლებდა მაჰმადიან სელჩუკთა მოდგმას.

ქრისტიანთა და მუსლიმანთა საერთო ჰიდილში მოგება და წაგება ერთმანეთს ცვლიდა, ანუ ერთმანეთს აწონასწორებდა.

ერთადერთი, რომელთანაც ყველა საომარი ხმალთაკვეთება მუსლიმანებს მხოლოდ წაგებით გასთავებოდათ — ეს იყო დავით, მეფე ქართველთა.

რაღაც „ღვთის განგებით“, მართლაც ყოვლად უძლეველი ჩანდა ეს უცნაური „აზიელი ჯვაროსანი“.

ევროპელ ჯვაროსნებთან კი, მისი უშუალო კავშირი ჯერჯერობით არ ჩანდა.

იმ ხანად დავითი „ქორწინებრივი საქმეებით“ ყოფილა „გართული“...

სამეფო სახლეულთა ქორწინებრივ დამოყვრება-დაახლოებას სასთუმლად ყოველთვის პოლიტიკა უძევს-მეთქი. სამეფო და სახელმწიფო დინასტიური კი არა, თვით ჩვეულებრივ, რიგით მოკვდავთა, თუნდაც ე. წ. სიყვარულით „მოტივირებული“ ქორწინებრივი კოიტუსებიც, გარკვეულწილად, ყოველთვის უთქმელ და უჩინარ, რაღაც და რაიმე, მიკრო თუ მაკრო „პოლიტიკურ ანგარიშებს“ ემყარებიან.

სახელმწიფო კართა და სამეფო დინასტიათა ქორწინებრივი დამოყვრება და დანათესავება მაინც ნაცადი გზა და საშუალება იყო უკვე „მოყვარე სახელმწიფოთა“ პოლიტიკური დაკავშირებისა და დამეგობრებისა. რასაკვირველია, სახელმწიფოთა შორის მარადიული ძმობა-მეგობრობისა და ურთიერთ „სულში ჩაძვრენის“ რაიმე „გარანტი-აბსოლუტი“ ვერც ქორწინებრივი გვირგვინ-სკვნა ვერ იქნებოდა, მაგრამ მაინც შეეძლო მას სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთობაში მეტნაკლებად მნიშვნელოვანი როლის თამაში, — თუნდაც თამაში, რაკიღა, ბოლოს და ბოლოს, თვითონ პოლიტიკაც ხომ თვითონ თამაში იყო, გნებავთ — „საკუთრივ თამაში...“

ასე იყო თუ ისე, საქართველოსაც საერთო საკაცობრიო სული და სხეული ედგა და „პოლიტიკურ ქორწინებაშიც“ რაიმე საგანგებოდ, „წმინდა ეროვნულ-ქართულად“ თავის გამოჩენა თუ გამორჩევა სწორედ არ შეეძლო. და საქართველოს სამეფო სახლსაც ჩვეულებრივი პოლიტიკური ქორწინებანი უნდა „ეწარმოებინა...“

ქართულ-ქრისტიანული დინასტიური ოჯახი უფრო ხშირად ქრისტიანულ სამეფო ოჯახებზე ქორწინდებოდა. ასეთი ერთმორწმუნე, „სასურველი საქორწინო კარი“ ქართველი ბაგრატიონებისათვის იყო სამი — ბიზანტია, სომხეთი და ოვსეთი. არ იყო გამორიცხული ქართველ სამეფო სახლეულთა ქორწინებრივი დამოყვრება სხვებთანაც, თუნდაც არაქრისტიანულ დინასტიურ ოჯახებთანაც.

თვითონ დავითის პირველი ქორწინებრივი მოყვრობა ხომ ქრისტიანულ სომხეთს უკავშირდებოდა, მაგრამ სულ მალე იგი მეორე ქორწინებით აკი წარმართულ ყივჩაყობას დაუმოყვრდა და დაუკავშირდა. ამ ქორწინების „პოლიტიკური გააზრებანი“ კი უკვე პრაქტიკულადაც ვიხილეთ.

დავით აღმაშენებელს, როგორც დიდ, მსოფლიო პოლიტიკურ ზრახვათა მზრახველს, ქვეყნის ოთხივე მხარესთან განუწყვეტელ და გაუნელებელ ურთიერთობაზე უნდა ეზრუნა. ამ ოთხი მხრიდან ერთი იმთავითვე, დავითის სამეფო ტახტზე ასვლისთანავე, ნათლად იყო გარკვეული — ეს იყო სამხრეთი, მხარე მტრობისა, სამკვდრო-სასიცოცხლო

ჰიდილისა და რკენა-ღრენისა. „ქორწინების პოლიტიკა“ აქ იმაში მდგომარეობდა, რომ დავითმა სამტრო სამხრეთს სამოყვრო ჩრდილოეთი დაუპირისპირა — ყივჩაყები თურქ-სელჩუკებს.

„მთავარი პოლიტიკაც“ სწორედ ეს იყო. დავითმა თავისი სისხლხორცეული მოდგმის, ქართველობის სისუსტე უეჭველად კარგად იცოდა. იცოდა, რომ ქართველს, როგორც მეომარს, ომის „ბოლომდე მიყვანა“, ანუ უკიდურეს სისასტიკემდე მიყვანა არ შეეძლო. ომის უკიდურესი, ზღვარგადალახული სისასტიკე კი, არის გენოციდი — მოპირდაპირე ბანაკის სრულად ამოწყვეტა, დედაბუდიანად, ქალიან-კაციანად, შვილიან-ძირიანად, სახიან-ჩანასახიანად, ფეხმძიმე ქალთა მუცელზე გაფატვრით, აკვნის ყრმათა შუაზე დახლეჩით — ისე ამოწყვეტა, რომ აღარც კაცი და აღარც ძაღლი კედელზე მიმფსმელიც აღარ დარჩეს. აი, რა არ შეუძლია ქართველ კაცს, — აი, მისი „სისუსტე“ და „უვარგისობა“ მტერთან ბრძოლაში. უეჭველად, ეს იცოდა დავითმა და ამიტომ, ამ „გულსუსტ“ ქართველს ბოლომდე „ვერ ენდო“ და სამხრეთელ თურქს ჩრდილოელი ყივჩაყი შეაგება — ურჯულო ურჯულოს, ველური ველურს, კაციჭამია კაციჭამიას.

ახლა იდგა „საკითხავნი“ აღმოსავლეთ და დასავლეთ მხრისანი. საქართველოს აღმოსავლეთით შირვანი იყო, დასავლეთით — ბიზანტია.

და ორივე იხვეწებოდა საქართველოსთან ქორწინებაზე (გნებავთ — „პოლიტიკურ“) დამოყვრებას — ბიზანტიაც და შირვანიც, „ერთმორწმუნეც“ და „სხვამორწმუნეც“.

დავითს ორი ასული ჰყავდა: უფროსი — თ ა მ ა რ ი, უმრწემესი — ქ ა ტ ა ი.

თამარს, დიდის მოწიწებით, კრძალვით და გულმხურვალებით, ითხოვდა შირვანის შაჰი, მ ა ნ უ ჩ ე ჰ რ II.

შირვანის შაჰები არ იყვნენ დიდი ხელმწიფენი, მაგრამ თვით შირვანი იყო დიდმნიშვნელოვანი ქვეყანა — პოლიტიკურად, სტრატეგიულად, ეკონომიკურად — გაშლილი კასპიისპირეთზე, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაერთებელ სავაჭრო-საქარავნო გზა-მაგისტრალზე. სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ დაძრულ თურქ-სელჩუკური ოკეანის მოწოლასაც ასე თუ ისე აკავებდნენ, თუ „აზომიერებდნენ“ შირვანელები. როგორც ზემოთ ითქვა, ქართველებს შირვანელებისთვის ქალაძორი წაერთმიათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, შირვანი იმჟამად მაინც საქართველოსთან მოკავშირეობას და მეგობრობას მიესწრაფოდა და ქართულ სამეფო სახლსაც სწორედ იმჟამინდელ საერთაშორისო ვითარებაში მომგებიანად უნდა მიეჩნია ასეთი კავშირი, თუნდაც მოყვრობით განმტკიცებული.

და მისცა დავით აღმაშენებელმა თავისი უფროსი ასული, ოამარი, შირვანშაჰ მანუჩეჰრ II-ს.

ხოლო, „აღმოსავლურ ქორწინებას“ მალე „დასავლურიც“ უნდა მოჰყოლოდა — მარად სასურველი, ერთმორწმუნებრივი და კარგა ხნის ტრადიციული, ბიზანტიურ-ქართული ქორწინებრივი დაწყვილება.

ახლა მაინც გამორჩეულად დიდი უნდა ყოფილიყო დაინტერესება „ჰიპისა“ „შუბლისადმი“ — კონსტანტინოპოლისა საქართველოსადმი, რადგან ახლა აქ, „შუბლსა ზედა დედამიწისასა“, აღმართულიყო დავით IV აღმაშენებელი, ახალი დროის ალექსანდრე მაკედონელი, აქამდე მტერთაგან უძლეველი რაინდი, რაც მთავარია, აქამდე უძლეველ თურქ-სელჩუკთა ერთადერთი მძეველი და დამაჯაბნებელი.

და, ძალიან ეჭირვებოდა სელჩუკიანთა წინააღმდეგ ურთულეს და უმძიმეს ჰიდილში კეისარ ალექსი კომნენოსს დამოყვრება „ისედაც მოყვარე“ ეგზომ ამაღლებულ და სახელგანსმენილ ქართველ ხელმწიფესთან.

და, დავითსაც „არ აწყენდა“ მუდამ მოყვარე და ერთმორწმუნე ბიზანტიასთან კავშირ-მოყვრობა და ისიც დათანხმდა კონსტანტინოპოლის სასახლის თხოვნას: თავისი უმრწემესი ასული, სახელად კატაი, ცოლად მისცა კეისარ ალექსი I კომნენოსის უმცროს ძეს, ისააკს (უფროსი ვაჟი, იოანე, ალექსი კეისარს უფრო ადრე უნგრელ პრინცესაზე დაექორწინებინა).

თითქოს, მართლა შეაფიქრიანა და შეაშფოთა სელჩუკიანთა სამყარო ქრისტიან ხელმწიფეთა დამოყვრებამ. სულტან ყილიჩ-არსლანის კარზე, მანამდე რომ ყოველდღე ალექსი კეისრის ავადმყოფ, პადაგრით დასივებულ ფეხებს დასცინოდნენ, ახლა დიდი ქართველი ხელმწიფის მძახლის ასეთ აბუჩად აგდებაზე ხელი აეღოთ და, იქნებ სწორედ „დავითის ხათრით“, უფრო კრძალულ და თავაზიან დამოკიდებულებაზე გადასულიყვნენ.

მაშ, ასე — დავით აღმაშენებლის ასულნი, „ვითარცა ორნი მნათობნი — ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს — ცისკროვან ჰყოფდნენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი“.

მაგრამ ამჯერად დიდხანს არ გაგრძელებულა „ცისკროვან ყოფა“ ქართველი პრინცესებისა. პოლიტიკა, როგორც ყველგან და ყოველთვის, ქალის ცრემლებს ვერც აქ გაუწევდა ანგარიშს. დავით ქართველთა მეფეს შირვანი სრულად უნდა დაეპყრო და მისი უფროსი ასულის, თამარის „აღმოსავლური დედოფლობაც“ ალბათ ამას უნდა შესწირვოდა.

ხოლო, ბიზანტიაში გათხოვილ კატაის ბიზანტიის დედოფლობა არ ეღირსება. მისი გათხოვების წელსვე, 1118 წელს, 70 წლის ალექსი კომნენოსი გარდაიცვალა, დამბლით. და კეისრის ტახტ-გვირგვინი დაიჭირა მისმა უფროსმა ძემ, იოანემ, გარეგნულად ქონდრისკაცმა და ართვალმა, მაგრამ სულით ძლიერმა, ჭკვიანმა და საქმიანმა პოლიტიკოსმა. მისი ძმისა და საქართველოს სიძის, ისააკის ხელმწიფობის საკითხი კი, მისსავე შინა-საოჯახო ფიქრსა, ბოლმასა და ოცნებას არ გაშორებია. ახალი კეის-

რის, იოანე II კომნენოსის დამხობა თუ ვინმემ გულს გაივლო, ეს ისევ მისი დაჲ იყო — ანა კომნენე, მამამისისა და მისი დრო-ჟამის მემატიანე, ერთ დროს ქართველი დედოფლის მარიამ მშვენიერის სარძლო, ანუ ნაადრევად აღსრულებული კონსტანტინე პორფიროგენეტის საცოლე, ახლა ცოლი ჭკუამეჩხერი ნიკიფორე ერიენიოსისა (1077 წელს ტახტის-მაძიებლის და ამისთვის თვალებდათხრილი იგივე სახელ-გვარის მატარებელი ავანტურისტის შვილიშვილი). ესენიც ახალმა კეისარმა უბრალო წარბის შეჭმუხვნით დააფრთხო და დიდსულოვნური მიტევებით სამუდამოდაც დაადუმა.

ხოლო, ისააკ კომნენოსმა, დავით აღმაშენებლის სიძემ, კეისარი ძმისადმი ტახტ-გვირგვინისთვის გაუმხელელი „ბრძოლა“ იმითღა გაათავა, რომ ერთ „მშვენიერ დღეს“, თავისი მშვენიერი ქართველი მეუღლით, და ახლად შეძენილი ძით (იმასაც იოანე ერქვა), დაჰკრა ფეხი და სულაც წავიდა კონსტანტინოპოლიდან, თანაც — მარტო ამ „უმადური ოქროს ჰიპიდან“ კი არა — არამედ, საერთოდ ბიზანტიიდან. და, მერე, წავიდა სად? არც მეტი, არც ნაკლები — თურქებთან! დიახ, იგი გაიქცა ცოლ-შვილით ანატოლიაში რუმ-იკონიის მაშინდელი სულტნის, რუქნ ად-დინ მასუდ I-ის კარზე.

სამშობლოდან, თანამემამულეთაგან გაქცევა ხომ ჩვეულებრივი, „ტრაფარეტული“ ღალატია. თუმცა „სამშობლოობა“ და „თანამემამულეობა“ იქ, „დედამიწის ჰიპზე“ (თუნდაც „ჰიპი“ იგი მართლა ოქროსი ყოფილიყოს!), ისე როდი განეცდებოდათ, როგორც „დედამიწის შუბლზე“, მაგრამ „თანაქრისტიანობას“ და „თანამოქალაქეობას“ მაინც სად უნდა გაქცეოდა ქრისტიანი ბიზანტიელი, თანაც ხელმწიფურ-დინასტიური სახლეულისა. ის კი გაიქცა და წავიდა — ბიზანტიელი ქრისტიანი მისი ქვეყნის და სჯულიერების სამტრო ქვეყანაში და ხალხში...

ასეთი გაქცევანი და სულმოკლე, რენეგატული მი-მო-ქცევანი ბიზანტიაში არც არასოდეს, არც არავის გააკვირვებდა. ეს ზნეობრივი ნორმაც იყო „ოქროს ჰიპისთვის“, ხოლო საქართველოსთვის, გინა „შუბლისთვის“... მოვა დრო და საქართველოშიც ორდინარულ ნორმად იქცევა სამშობლოდან გაქცევაც, უკუმოქცევაც, „გაუცხოებაც“, რენეგატული მი-მო-ქცევაც; დიახ, ასეთი დროც დადგება საქართველოში, მაგრამ შემდგომ, დავითისაგან ხუთასწლოვანი დამანძილებით...

მაშ, ქართველთა სიძე, ისააკ კომნენოსი „ჩვეულებრივი გაქცევით“ გაიქცა — კონსტანტინოპოლიდან იკონიაში. იქვე ჩარჩა, კეისრის ტახტგვირგვინზე ოცნებითა და ბოღმით სიკვდილის კარამდე ყელდაჩიხული.

და აღარც კატაის ღირსებია ბიზანტიის ავგუსტა-ბასილისას გვირგვინი. მან ვერ მიაღწია მართა-მარიამობას — დავითის ასული დავითის მამიდას ვერ მიეტოლა.

ამ „მიუღწეველობისა“ და „უტოლობის“ მიზეზიც მისი ბედოვლათი

ქმარი იყო და ამიტომაც ვერ ეღირსა ამჯერად დედოფლობას სადედოფლოდ „გამეტებული“ ქართველი მეფის ასული.

პირადად ვერ ეღირსა, პირადად-მეთქი, თორემ მასზე მინდობილი ბაგრატიონული, თანაც დავითის „ზეცითა მონაბერითა“ ეგზომ ამაღლებული სისხლი, ბოლოს და ბოლოს, მაინც თავისას გაიტანს — სისხლი, ჯიში, „გენი“, („გენოს“, „გენიკოს“).

მოვა დრო და კეისარ-ბასილევს-ავტოკრატორ-იმპერატორის გვირგვინებით თავს შეიმკობენ: კატაის ძე (ანდრონიკე), ძის ძე (მანუილ), ძის ძის ძენი (ალექსი და დავითი).

დიახ, ასე იქნება შემდგომში, შემდგომ საკეისროებში — კონსტანტინოპოლს, ტრაპიზონს...

ახლა კი, კვლავ იმ საისტორიო სიმაღლეს მივუბრუნდეთ, სადაც სუფევს ხელმწიფე „ზეცითა მონაბერითა“...

ANTEMURALE

1118 წელი თვალსაჩინო პოლიტიკოსთა სიკვდილის წლად შემოვიდა ისტორიაში. საქართველოში მოკვდა გიორგი ჭყონდიდელი, ბიზანტიაში — კეისარი ალექსი I კომნენოსი, იერუსალემში — ჯვაროსანთა მეფე ბალდუინ I, ისფაჰანში — სელჩუკთა დიდი სულტანი ყიას ად-დინ მუჰამედ I, ბაღდადში — ერაყის აბასიდთა ხალიფა ალ-მუსტაზჰირი, ანისში — მანუჩარ ქურთი.

იმავე წელს ბიზანტიაში გახელმწიფდა იოანე II კომნენოსი, იერუსალემში — ბალდუინ II, ისფაჰანში — მუღის ად-დინ მაჰმუდ II, ბაღდადში — ალ-მუსტარშიდი, ანისში — აბულ-სოვარი.

იოანე II ღირსეული მემკვიდრე აღმოჩნდა მამამისის, ალექსი კომნენოსისა. ახალ კეისარს მისმა წრფელმა თუ ფარისეველმა მეხოტბეებმა „კალოიოანე“ („მშვენიერი იოანე“) დაარქვეს. მისი ღირსებანი და „მშვენიერებანი“ უეჭველად დავალებული იყო იმ პოლიტიკური წრით, რომელშიც იგი აღზრდილიყო და გაწაფულიყო. იმ „წრეს“ ხომ თავის დროზე ბაგრატიონ-ბაკურიან-კომნენოსთა წრე უნდა რქმეოდა. იმ „წრის“ ტრადიციები მაინც და მაინც საქართველოს სამეფო სახლის სიძემ, ისააკმა ვერ ასახელა, თორემ იოანემ იმავე ქართულ-ბიზანტიური „სინთეტიზმით“ კიდევაც ბეჯითად ისარგებლა და ღირსებითაც იკეისარა.

ახალი კეისარის წარმატებული კეისრობაც „ერთმორწმუნე“, გინა „მოძმე“ საქართველოს აღზევებითაც უნდა ყოფილიყო გაპირობებული. მარტო ბიზანტიის საკეისრო და მისი „ოქროს ჰიპი“ კი არა, აზიაში ჩა-

მოსახლებული სრულიად ჯვაროსნული სამყარო დავითის საქართველოს დიდი იმედის თვალით უცქერდა.

ცხადად და მკაფიოდ მიმოიქცეოდა მაშინდელ მსოფლიო პოლიტიკის აზრსაბრუნავში ეს განმარტება: საქართველო არის ის ქვეყანა, რომელიც ყოველთვის ჰკეტავდა და აკავებდა, ჯერ, ჩრდილოეთიდან გოგისა და მაგოგის მოწოლას, მერე აღმოსავლეთიდან მიდიელთა და სპარსელთა შეტევებს და ახლა იგი არის სრულიად საქრისტიანოს „წინარე ბურჯი" (Antemurale) წარმართთა და უსჯულოთა უკუსაგდებად.

ხოლო, საბუთად იმისა, რომ ქრისტიანობის ამ საიმედო და სათაყვანო „წინაბურჯს" მართლაც ურყევად ძალუძს უკუაქციოს ყოველი სიდიდის წარმართულ ძალთა შემოტევანი, უტყუარად მეტყველებს აქამდე ოცზე მეტი საომარი შეხვედრის შედეგი ქართველებსა და სელჩუკებს შორის — ყველა ეს შეხვედრა ქართველების გამარჯვებით დამთავრებულა — ყველა-მეთქი, უგამონაკლისოდ! თანაც ისე, რომ ყველა ეს ბრძოლა რიცხობრივად იყო სრულიად უთანასწორო, სასარგებლოდ სელჩუკიანთა, ქართველთაგან მარცხის ნაჭამთა...

ასეთი ყოფილა საქართველო, და მისი მეფე, სახელმოდგამი და „სამოცდამეთვრამეტე შთამომავალი ღვთის მამის", დავით წინასწარმეტყველისა.

. და, კიდევ, გარდა იმისა, რომ დავით ქართველი არის შთამომავალი ღვთაებრივი დავით სიონელისა, საქართველოს უძლეველობას სხვა რამეც, უფრო დიადი და ღვთაებრივი რამ უდგას ჯადო-საძირკვლად: ესაა თვითონ ჯვარი ქრისტესი!

დიახ, დავით ქართველთა მეფე ფლობს სწორედ იმ ჯვარს, რომელზეც ეწამა და აღესრულა თვით მაცხოვარი, იესო ქრისტე! უფრო დაზუსტებით: ეს არის ჯვარი, შეკრული თვითონ ქრისტეს ვნების ჯვრის ნაწილთაგან.

ასე ითქმოდა, ისმოდა და განეფინებოდა ქვეყანაზე ეს ამბავი, უწინარესად იერუსალემის ქრისტიან მღვდელმსახურთა და ჯვაროსანთაგან.

უფრო დაწვრილებითაც ითქმოდა და იწერებოდა კიდეც: ქართველებს რომ ქრისტეს ჯვარი აქვთ, ეს ჩვენ მხოლოდ კი არ მოგვისმენია, არამედ ამას ბერძენთა და სირიელთა ნაწერები გვასწავლიანო. („sicut a grecorum et syrianorum scripturis didicimus"). ლათინებს არაო, მაგრამ აკი ბერძნებს მრავალჯერ დაუწერიათ, რომ ქრისტეს ჯვარი პირველად წმიდა ელენემ, კონსტანტინე კეისრის დედამ მოიძია გოლგოთაზე; დაშალა იგი და იმავე ძელთაგან ორი ჯვარი შეაკერვინა — ერთი იქვე დატოვა იერუსალემს, მეორე კი კონსტანტინოპოლს ჩამოასვენა და დაასვენა. იერუსალემში დარჩენილ ჯვარს სხვა და სხვა დროს შემოსეულ ურჯულოთაგან მრავალი ხიფათი შეემთხვა და, ბოლოს და ბოლოს, იქა-

ურმა ქრისტიანებმა, სულ დაღუპვისაგან რომ გადაერჩინათ ჯვარი იგი მაცხოვრისა დაშალეს, დაანაწილეს, ამ ნაწილთაგან კიდევ რამდენიმე ჯვარი შეკრეს და სათითოოდ და საიდუმლოდ ეს ჯვრები ყველაზე უფრო მტკიცე ქრისტიანულ ქვეყნებში დაგზავნეს. და ერთი მათგანი, პირველთაგანი, საქართველოში მისულა და დამკვიდრებულა.

და არის, თურმე, ახლა ის ჯვარი საქართველოში, ჯვარი ოთხნაწილიანი, ოთხმკლოვანი: ერთი — რომელზეც ქრისტე განრთხმული იყო მხარმკლავით, მეორე — რომელზეც განრთხმული იყო ტანი და ფერხნი მისნი, მესამე — რომელზეც იყო წარწერა პილატესი, და მეოთხე — რომელიც ეგო ძირს, გოლგოთის მიწას და ზედ იდგა თვითონ ჯვარი იგი ვნებისა.

ასეთია ჯვარი იგი, ქრისტესი, ჯვარი „არავითარი ფასისა შესადარი“ (nulli precio comparandum), რომელსაც ახლა, „ღვთის წყალობით“ (Dei gratia), ფლობს ქართველთა მეფე, დავით IV აღმაშენებელი...

„იდუმალი მოსვლა ფრანგისა“

ხოლო იერუსალემში მეფედ იჯდა ბალდუინ II, ანტიოქიაში კი — გრაფი როჟერი. მათი აღზევება ახალ ომებს დაემთხვა. ომის გამჩაღებელი კი აღმოჩნდა დიარ ბაქრის ქალაქთა — მარდინის, მაიაფარიკინის, ამადის, არზანისა და ხარპუტის მბრძანებელი, ნაჯმ ად-დინ ილღაზი, ძე ართუკისა*.

ნაჯმ ად-დინ, ანუ „სარწმუნოების ვარსკვლავი“ მართლაც „ვარსკვლავობდა“ მაშინდელ მუსლიმან ხელმწიფეთა შორის. სარდლის ნიჭიც არ აკლდა და მეომრული სიმამაცე სწორედ ჭარბადაც გააჩნდა. იყო იგი „კაცი დაჰმანი (შემმართებელი) და მრავალღონე“, მხნე და მიზანსწრაფული, თუმცა ლოთი და ხშირად ქედფიცხელობით, სისასტიკით წონასწორობადარღვეული.

დიდ სასულტნო ტახტთან, პირველად, ნაჯმ ად-დინ ილღაზს განხეთქილება და მტრობა ჰქონდა. და მაშინდელი დიდი სულტნის, მუჰამედ I-ის წინააღმდეგ, ჯვაროსნებთანაც კი შეეკრა კავშირი.

ხოლო, 1118 წლიდან, მუჰამედის სიკვდილისა და დიდი სულტნის ტახტზე მაჰმუდ II-ის ასვლის დღიდან, წინა აზიაში ხელმწიფეთ შორის სამეგობრო თუ სამტრო ურთიერთობანი მკვეთრად შეიცვალა. ახალმა სულტანმა უმჯობესად ცნო, დიარ ბაქრის ძლიერ მმართველთან

---

* „ქართლის ცხოვრებით“ (I, 1955, 340) — „ელღაზ, ძე არდუხისი“.

ლოიალური დამოკიდებულებით იგი უფრო ისლამური სამყაროს საერთო მტრის, ჯვაროსნობის წინააღმდეგ გამოეყენებინა, ვიდრე საკუთარი ტახტისთვის დაეპირისპირებინა. ამიტომ მაჰმუდ სულტანმა ნაჯმ ად-დინ ილღაზი დიარ ბაქრის თითქმის დამოუკიდებელ ხელმწიფედ ცნო. ილღაზმაც ეს პატივი სიამოვნებით მიიღო და საპასუხოდ დიდი სულტნის სიუზერენობა თვითონაც, თითქმის, აღიარა.

მუსლიმან ხელმწიფეთა ეს ორმხრივი „თითქმის აღიარება“ საკმარისი იყო საერთო მტრებთან, ქრისტიანებთან კვლავ განხეთქილებათა და ბრძოლათა სერიების განახლებისათვის.

1118 წელს ნაჯმ ად-დინ ილღაზმა თავის ერთგულ თურქმანთა ჯარი ჰალაბში (ალეპოში) შეიყვანა.

ამას არ შეურიგდა ანტიოქიის ბატონი, ჯვაროსანი გრაფი როჟერი და მაშინვე თავისი რაინდებით დაიძრა ჰალაბიდან მაჰმადიანთა გასაძევებლად.

ნაჯმ ად-დინ ილღაზმა ჯვაროსანთა წინააღმდეგ ჯიჰადი, საღვთო ომი გამოაცხადა, ჯარები ალლაჰისათვის სიკვდილზე დააფიცა და მტრებთან შესახვედრად გაემართა.

ბრძოლა მოხდა 1119 წლის 27 ივნისს, ბალატის ველზე. ილღაზიმ ბრწყინვალედ გაიმარჯვა. თორმეტი ათასი ჯვაროსანიდან ოციოდემ თუ გაასწრო ცოცხლად საბედისწერო ბრძოლის ველიდან. ბრძოლაში დაიღუპა თვითონ როჟერი. 70—75 ჯვაროსანი რაინდი ტყვედ წაიყვანეს ჰალაბს მუსლიმანებმა. მათ გამოსასყიდ ფასად გამარჯვებულმა სამასი ათასი დინარი დაადგინა. უმრავლესობამ ამდენის გადახდა ვერ შეძლო და ილღაზმა ამისთვის ყველანი ამოაწყვეტინა.

ის იყო, მუსლიმანები ჯვაროსნებისგან დაცლილ ანტიოქიასაც უნდა დაუფლებოდნენ, მაგრამ ილღაზმა იმ დიდი გამარჯვებისთვის საზეიმო ლოთობას მისცა თავი, ხოლო სანამ გამოფხიზლდებოდა, დაასწრო იერუსალემის მეფემ, ბალდუინ II-მ და, ფრანკთა ჯარით, უპატრონოდ დარჩენილ და სამუსლიმოდ განწირულ ანტიოქიას თვითონ დაეპატრონა.

არ მოეშვა ილღაზი და მაინც მიაშურა ანტიოქიას. ბალდუინიც გამოეგება. შეიბნენ სასტიკი ხმალთაკვეთებით. გაიყარნენ — ორივე მხრიდან მძიმე მსხვერპლით და ორივე მხარის გაუმარჯვებლად; თანაც, როგორც ასეთ დროს ხდება ყოველთვის — ორივე მხარე თავის თავს ინუგეშებდა, „ვითომაც გაშარჯვებული“.

ბალდუინი კი მაინც მიმხვდარა, რომ ილღაზის სახით მუსლიმანთაგან ჯვაროსნებს ყველაზე დიდი მტერი მოევლინოდათ და ამიტომ თვითონაც მაშინვე „ყველაზე დიდი მოკავშირის“ ძებნას შეუდგა.

ასეთი დიდი და დიადი მაშინ სწორედ ქართველთა მეფე იყო, ქრისტიანეთა „წინაბურჯი“ აღმოსავლეთში.

და წამოვიდა საქართველოსკენ მეფე ბალდუინ II, თვითონ წამოვი-

და, პირადად, ყველასგან იდუმალ, მტრისგანაც და მოყვრისგანაც.

მიწურულ იყო 1119 წელი.

გეგუთის სასახლეში, მთელ ღამეს ბჭობდნენ, იდუმალი ბჭობით, „იდუმალ მოსული“ იერუსალემის ფრანგი მეფე და „იდუმალ დახვედრილი“ ქართველი გვირგვინოსანი.

ბჭობა განესრულა და კვლავაც იდუმალ გაუჩინარდა საქართველოდან ბალდუინ.

ერთი თვეც და, ახალი წლის კვირაძალისთვის, დავით აღმაშენებელი ახალ დიდ საომარ სამზადისს შესდგომოდა. ეს იყო განაზრახი თურქთა საბოლოო განადგურებისა, საქართველოსთვის სამხრეთულ სამანთა სამუდამო უშიშროების უზრუნველყოფისა და, ამასთან, იერუსალემის ხელმწიფისადმი უშიშროების უზრუნველყოფისა და, ამასთან, იერუსალემის ხელმწიფისადმი მიცემული პირობისამებრ, მშველელად და ხელშემწედ (ხმალშემწედ!) გამოსვლისა.

ბოროტია, აშორნია, სევგელმეჯ...

დავით მეფეს დაკვირვება ჰქონდა: ქართლის „მოჭმაზე“ დახარბებული თურქები მტკვრის ხეობას სწორედ მაშინ მოაწვებოდნენ, როცა მათი შიშისმზარავი მეფე ქართლიდან სადმე შორს იყო წასული, განსაკუთრებით ისე „შორს“, როგორც აფხაზეთი ყოფილა მათთვის. იცოდა მეფემ, რომ თურქთაგან „მსტოვარნი ზედა ადგიან და ეძებდიან გზათა მისთა“ — იქნებ წავიდეს ქართველთა მეფე იმ „შორეულ აფხაზეთშიო“. და დავითიც არ ამადლიდა მტერს ამ სურვილის აღსრულებას, პირიქით, კიდევაც — „აქუნდის ჩუეულებად, რამეთუ განზრახვით გადავიდის აფხაზეთით და ჩამოიტყუვნის თურქმანნი საზამთროთა ადგილთა მტკურის პირისათა“.

და იმჯერადაც ასე მოიქცა მეფე, — 1120 წლის თებერვლის დამდეგს, გეგუთს ლაშქარი აწვია, გეგუთიდან გაუძღვა და, აფხაზეთს კი არა, უფრო შორსაც, სამხრეთ-დასავლეთით, ზღვისკენ წავიდა და ხუფათს ჩავიდა.

თურქებმაც მაშინვე, „რა სცნეს სიშორე“ დავით მეფისა, გულდადობილად წამოემართნენ, რიცხვით „დიდნი ფრიად“, მტკვრის ხეობაში შემოიჭრნენ და გამოსაზამთრებლად დადგნენ ბორტიას (ბოტორია, ბოტორა).

დავით მეფემაც — რომელსაც კვლავაც თვალთა „არა ჰრულოდა“ — ლაშქარი ხუფათიდან მაშინვე მგლურით წამოასხა, ლიხის მთა „გარდამოიფრინვა“ და, „თებერვალსა ათოთხმეტსა“, უეცრად („უცნაურად“)

და მოულოდნელად თავს დაეცა ბორტიას არხეინად დამდგარ და დატბორილ მტრის ურდოს.

ქართველთა „უგრძნეულობამ“ და „უცნაურობამ“ ისევ გაუჩხიბა გული და მკლავი თურქობას. ვინც მათგან ცხენზე შეჯდომა და „გარდახუეწა“ მოასწრო, მხოლოდ ისინი გადარჩნენ სიკვდილს. დანარჩენნი, ანუ უმრავლესნი, ქართველებმა გაჟლიტეს, ან ტყვედ აიყვანეს, ალაფიც მრავლად დაიალაფეს.

ბორტიადან დანუხს წავიდა მეფე, გამარჯვებული ჯარით. ღანუხიდან შირვანს გავიდა და აქაური დიდი ქალაქი ყაბალა აიღო, „მასვე შვიდეულსა პირმარხვასა დღესა“. აქაც დიდძალი ნადავლი — ოქრო-ვერცხლით მეფემ, — „და აღავსო სამეფო თვისი ოქროთა და ვეცხლითა და ყოვლითა სიმდიდრითა“.

ყაბალადან ქართლს მოვიდა მეფე. მოსვლისთანავე ახალი ჯარი შეკრიბა და, იმ ჯარის თანხლებით, უმალვე ისევ გაბრუნდა შირვანს. ჩავიდა და, 7 მაისს, აღმოსავლეთ კავკასიონის სამხრეთის ხაზზე შეტევა შეტევაზე გადააბა დავითმა, და ზედიზედ აიღო აქაური ყველა ციხესიმაგრე, მათგან უმთავრესნი — ლოზანი, ქურდევანი და ხიშტალანთი. ეს ლაშქრობაც ასე წარმატებით მოილიეს და კვლავაც დიდი ნადავლით დატვირთულნი დაბრუნდნენ ქართველები საქართველოში.

კვლავ არ ცხრებოდა და „არა ჰრულოდა“ დავით მეფე. იმავე 1120 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე, ქართველებმა კვლავაც რამდენჯერმე სძლიეს თურქობას, ამჯერად სომხეთსა და ირანში.

კვლავ იმავე წლის ნოემბერში დავითმა ჯარები დაძრა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ეტყობოდა, ამ ლაშქრობით მას უნდა მოეშალა ეგზომ გათამამებული და სახელგანსმენილი ნაჯმ ად-დინ ილღაზის განაზრახი ჯვაროსანი ხელმწიფის, აწ ქართველთა მოკავშირის, ბალდუინ II-ის შევიწროებისა და განადგურებისა.

როგორც ეტყობა, ილღაზიც გრძნობდა „ჩრდილოურ საფრთხეს“ და მის აღსაკვეთად დიდძალი მხედრობაც ჩაუყენებია მესოპოტამიისა და ამიერკავკასიის სასაზღვრო ქალაქებში.

ერთი ასეთი, ანარჩევი, თურქთაგან მრავალრიცხოვანი ციხიონებით საგანგებოდ გამაგრებული ყოფილიყო სამხრეთ-სომხური ოლქი — ა შ ო რ ნ ი ა (არშარუნია, არშარუნი), საიდანაც სულ ახლოს იყო ილღაზის მთავარი სამბრძანებლონი — მარდინი და მაიაფარიკინი.

(ძალიან მოახლოებოდა მუსლიმანთა „მანათობელი ვარსკვლავი“ ქრისტიანთა „აღმოსავლეთის წინაბურჯს“, და ვერ შეეგრძნო, რომ ეს მისთვის სულ მალე საბედისწერო უნდა გამხდარიყო...).

და, 1120 წლის მიწურულს, დავით მეფე გეზელ-ქორიეით დაეცა ‹აშორნიას. დაეცა და თურქთა სომარი ბანაკნი ერთიანად „მოსრნა და ‹იავარყენა, და წარმოიღო ნატყუენავი მათი ურიცხვი“.

აშორნიადან სირიას მიაშურეს ქართველებმა. მისი სამანები გადალახეს და ჰალაბისკენ აიღეს გეზი, — იქეთ, სადაც მაშინ იდგნენ ნაჯმ ად-დინ ილღაზი და ძე მისი სულეიმანი.

მაგრამ ეს გადამწყვეტი გეზი აეჭრათ ქართველებს. მსტოვრებმა მოულოდნელი ცნობა მოართვეს დავითს: თქვენ რომ წინ მიხვალთ, უკან, ზურგში, თურქთა ურიცხვი მხედრობა საქართველოსკენ მიეშურება სარბევად და საოხრებლადო.

მყისვე შემოაბრუნა ჯარი დავითმა, იგივე მზვერავნი წინ წაიძღვარა და საქართველოსკენ მიმლტოლვარე მტერს კვალში ჩაუდგა. სეგელმეჯთან წამოეწია და სულმოუთქმელი, აფთრული დაცემით ისე ამოწყვიტა, რომ, არამცთუ საქართველოსკენ სალაშქროდ და სანავარდოდ, არამედ ერთი თურქიცა „არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა“.

ყველა ეს ბრძოლა, რიცხვით ათზე მეტი — „ესე ერთისა წლისა“ — 1120 წლის წილხვდომილ ძლევამოსილებად დაემკვიდრა დავით აღმაშენებლის ღვთითმონაბერ ღვაწლთა შინა.

„არა დაუშთათ მთხრობი ამბავისა“

ახალი წელიც დამდგარიყო — 1121. დავით მეფე აფხაზეთს წასულიყო. ბიჭვინტამდე მივიდა „და განაგნა საქმენი მანდაურნი: ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრნა და წუართნა“.

დიდი ზამთარი იდგა. კვლავ თოვდა უწყვეტად, პირაშკმულად.

და ისევ — სხვა რაღა უნდოდათ თურქებს, — ქართველთა მეფე „შორეულ აფხაზეთში“, თან ასეთ ზამთარში და გაუმზერალ თოვლისცვენაში ჩარჩენილ-ჩამწყვდეულა და, აი, სწორედ ახლა დაგვიდგა დრო ალლაჰისათა — და წამოემართა ურდო მათი „გულდებით“ და ასე „გულდებით ჩამოდგეს პირსა მტკურისასა“. ურდოს ურდო მოჰყვებოდა და ივსებოდა ხუნანი, ალგეთისა და მტკვრის განაკიდურნი.

და მოეხსენა ყოველივე ეს ბიჭვინტაში მყოფ დავით მეფეს, „ლომსა მოხელოვნებულსა“, რომელსაც „არა სცოდნოდა, არცა ჰრულობდა ომისათვის, ვერცარა დამხრწეველთაგანი დაიმჭირვიდა“.

და მაშინვე, შეტყობის უმალვე, წამოემართა აფხაზეთით, „თოვლთა საშინელთა“. ლიხის მთას მოადგა და აქ კიდევ მთა თოვლის მთებით დაგრაგნილიყო, — ისე, რომ „გარდანაკუეთსა თოვლისასა აქუნდა სიმაღლე მხარი სამი“ (6 მეტრი*). და თვითონ გაუძღვა მეფე ხალხსა და ჯარს თოვლის სარღვევად, ნიჩბით ხელში. გაჭრა, გათხარა, გზა გაიკვლია და

---

* „ოთხი წყართა ერთი მხარი არს“ (საბა), ხოლო წყართა უდრის 50 სმ., მაშასადამე — ერთი მხარი უდრის 2 მეტრს, ხოლო სამი მხარი — 6 მეტრს.

გაჩნდა ქართლში, სადაც ახალი ჯარიც დახვდა, ის შეიერთა და გაფრინდა ხუნანისკენ. მიეჭრა და ისევ „უცნაურად“ და „უგრძნეულად“ დაერია მტერს გამძვინვარებით; ასე, ქართველებმა ალგეთის, მტკვრის და ბერდუჯის შესაყართა აუზში, თურქთა სადგომები ისე „მოსრეს პირითა მახვილისათა“, რომ არსად ველურ მაოხართ „არა დაუშთათ მთხრობი ამბავისა“.

ეს მოხდა ქრისტეშობითგან 1121 წლის მარტს.

გაზაფხულის მზემ ზეციდან, ზეციდანვე უხვად ნაფრქვევი თოვლის დნობით, საქართველოში წყლის არნახული დიდროობა დააყენა და მტკვარიც თავის „ნადინებსა ვერა დაეტია“ (ისე, ვითარცა დავითის ხმალი „ვერ ეტეოდა“ ქარქაშსა თვისსა, დავიწყებულსა), კალაპოტი გადმოლახა და სრულად დატბორა მიმდგომი სანაპირონი. თურქებმა ახლა ამ წყალდიდობის იმედი დაიჯირეს, — დავითი ამ ზღვადქცეულ მდინარეს ხომ ვეღარ გადმოალაჯებსო, ან სანამ გადმოვა, ჩვენ ჩვენსას მოვიღევთ და მოვრჩებითო — და ახლა ბარდავს შემოესივნენ, სრულის არხეინობით და „გულდებით“.

მაგრამ კვლავ გაუცრუვა იმედები მტრებს დავით მეფემ. მტკვარი გადაცურა, უმეტესად ყივჩაყთა ჯარით, ბარდავს მიუხდა და ორი დღე ანგრია და არბია იქ ჩასაგრებული თურქული ბანაკები. ორი დღის შემდეგ კი მობრუნდა და „ნებიერად მოვიდა შინა სავსე ალაფითა“.

იდგა 1121 წლის ივნისი, 32-ე წელიწადი დავით აღმაშენებლის მეფობისა — წლები მხოლოდ წინსვლისა, მხოლოდ აღმავლობისა, მხოლოდ გამარჯვებათა და ძლევამოსილებათა.

დავითის მიჯრილმა გამარჯვებებმა შვება და მხნეობა მისცეს თურქთაგან შევიწროებულ და ძალმოხდილ ჯვაროსნებს. ბალდუინ იერუსალემელს უკვე წარმატებით წამოეწყო შეტევები ნაჯმ ად-დინ ილღაზის სამფლობელოებზე.

თითქოს, აღსასრული დასდგომოდა წინა აზიაში სელჩუკიანთა მძლავრობის ხანას.

ახალი ხანა მოდიოდა — ქართული, ქრისტიანული.

წინ დიდი სული მოუძღოდა — სული „ზეცითა მონაბერითა“.

დიდგორი — ილიადა საქართველოსი

სელჩუკიანთა მთავარი სულტანატის, ირან-ერაყის ტახტი მაშინ იდგა ჰამადანს. ტახტზე იჯდა მუღის ად-დინ მაჰმუდ II (1118—1131 წწ.).

იდგა კვლავაც 1121 წლის ზაფხული. ჰამადანს, დიდი სულტნის სასახლეს, აუარება ხალხი მისეოდა, ხმაურით, ბღავილით, ტირილით, ყარყაშით, მოთქმით, ვაივაშით. იყვნენ ისინი „ყოველი თურქობისანნი“ —

მოსულნი და წარმოგზავნილნი მესოპოტამიიდან, ანატოლიიდან, სირიიდან, ახლო აღმოსავლეთის ყოველ ქალაქთაგან, ამიერკავკასიიდანაც — განძელები ხომ იქნებოდნენ და იქნებოდნენ, მაგრამ მათთან იყვნენ ქართველთა „თურქნი შინაურნი“ — ტფილელნი და დმანელნი.

(ტფილისს ხომ შინაგანი, თანამოქალაქე მომტერე და მოღალატე ისევე არ გამოელეოდა, როგორც ტილი ელსა-მომთაბარესა!).

და თურქნი ესე ყოველნი, სულტნის სასახლეზე მისეულნი და მიტკიპებულნი, იყვნენ მომჩივანნი და მოაჯენი სულტნის წინაშე.

მომჩივანნი — ქართველთა და მათი მეფის მიმართ.

მოაჯენი — ქართველთა და მათი მეფის მოსპობის აჯა-ვედრებით.

და, ვითარცა შევნოდათ მოაჯეთა და მთხოვართა — შეღებილიყვნენ შავად — „რომელთამე პირნი, და რომელთამე ხელები და რომელნიმე სრულიად“ — შეღებილიყვნენ მურით, ფისით თუ ღვინით. და თავზე ნაცარი დაეყარათ.

ისტერიული წივილ-კივილით, კრხჩიალებით, სხეულის კაწრვა-ხოკვით ითხოვდნენ ეს „შურიანნი“ სულტანთან შესვლას და მის წინაშე სათხოვარის აღვლენის ნებას.

სულტანიც ღებულობდა ალლაჰის მონა-მორწმუნეთა, დიდი სულტანი მაჰმუდ, ძე მუჰამედისა. და რიგად მდგარნი შედიოდნენ დაკაწრულნი, მურიან-ფისიან-დღვინიანნი, ტირილით და კრხჩიალებით სულტნის წინაშე ეცემოდნენ, განერთხმოდნენ და, ბოლოს — „მიუთხრნეს ყოველნი ჭირნი, მოწევნულნი მათ ზედა“, რაიც დამართნოდათ „გიაურ“ ქართველთა და მისი „გიაურ“ მეფისაგან.

აბა, იხილეთ: დიადი ალლაჰისაგან შექმნილ ენგიდუნიაზე, მისგან ალლაჰის ხალხს, აღარ დაედგომებათ სწორედ ურჯულო ქართველთა მიზეზით, მათი და მათი მეფის გადამკიდეთ. თვითონ საქართველოში ხომ ფეხი ამოუკვეთა სელჩუკის მოდგმას დავით მეფემ, მაგრამ მარტო საქართველოც რომ აღარ ვეძიოთ, უკვე ვეღარც შირვანში და ვეღარც სომხეთში ფეხი ვეღარ ჩაუდგამთ ქართველთაგან სისხლნაქცევ და ზარგანხდილ თურქებს; ქართველთა ხელით უწყალოდ იჟლიტება თურქობა თვითონ თურქთა მიწა-წყალზე; ქართველთა ხელშია ტფილის-დმანისგანძის საქარავნო-სავაჭრო გზებიც; თვითონ ტფილისის მუსლიმური ხელისუფლება ხომ უკვე დიდ ხარკსაც უხდის დავით მეფეს — ყოველ წელიწადს ათი ათას დინარს; დღეს თუ ხვალ, იქნებ ტფილისი სულაც წაგვართვას და დაიპყროს ქართველთა მეფემ (ამ სიბრიყვის დაჩემებასაც ბედავენ თურმე ქართველები — ტფილისი ხომ მუდამაც ჩვენი იყო, ქართული, და ჩვენვე უნდა დავიბრუნოთო! რა სისულელე აღარ ითქმება ალლაჰისაგან გაჭედილ ამ ცისქვეშეთში!); და, ეჭვი არ არის, თუ მოინდომა, ტფილისს მართლა წაგვართმევს ქართველი მეფე, რომელსაც

დღემდე, ზეცისა და ქვეყნის გასაოცრად და გასაოგნებლად, ამდენი ბრძოლა გადაუხდია და უკლებლივ ყველა—უკლებლივ ყველა, მეუფეო! თავისად მოუგია! დიდ ისკანდერსაც კი არ მოსწრებია ამდენი ბრძოლის მოგება, ქართველ მეფეს რომ გაუმარჯვია. და შორს აღარაა ის დრო, თურქთა სახსენებელიც კი ამოწყდება ამ დუნიაზე, უკეთუ ახლავე, დაუყოვნებლივ, დიდი სულტანის ნებით და ბრძანებით, სრულიად „ყოველი თურქობა“ არ გაერთიანდება, მაჰმადის მოდგმის ყველაზე დიდი მტრის და მოსისხლის, დავით ქართველთა მეფის, მასთან სრულიად ქართველობის ერთხელ და სამუდამოდ გასანადგურებლად და აღსაგველად პირისაგან მიწისა.

არც იმ ევროპელი ჯვაროსნების აზიიდან გაძევებას არ დაადგება საშველი მანამ, სანამ ეს მათი მოკავშირე დავით ქართველთა მეფე არ მოისპობა და არ მოშორდება ამ წუთისოფელს...

და მოუწოდა მაჰმუდ სულტანმა სრულიად თურქულ სამყაროს — „ყოველ თურქობას“ — ჯიჰადის, ანუ საღვთო ომისთვის შეყრილიყვნენ და დაძრულიყვნენ საქართველოსკენ, მის წასახდენად, მოსათხრელად, აღსაგველად პირისაგან მიწისა. მოუწოდა ყველა მაჰმადიანს, ყოველ „თურქმანობასა სადაღაცა ვინ იყო, დამასკოს და ჰალაბითგან ამოღმართ, ყოველსა მხედრობად შემძლებელსა“.

ელვასავით მოედო ეს ბრძანება და მოწოდება წინა აზიას.

ელვასავით იელვეს მუსლიმურმა დროშებმა და დაიძრნენ სელჩუკიანნი, ყოველნი „მხედრობად შეძლებულნი“, ქართველთა, იმჟამად „ყველაზე საშიშ ქრისტიანთა“ წინააღმდეგ „საღვთო ომად“.

პირველი მოვიდა თავისი მხედრობით ნაჯმ ად-დინ ილღაზი, დიარ ბაქრის, ბაღდადის, მარდინის, ამიდის, მაიაფარიკინის, არზანის, ჭაიფას, ხარპურტის და ჰალაბის მბრძანებელი. მოვიდა (თუ ბედისწერამ მოიყვანა!) იგი — მაჰმადიანთა პირველი მხედარი და მხედართმთავარი, „კაცი დაჰმანი და მრავალღონე“, ქრისტიანთა სისხლით მაძღარი, დღეს კი აზიელ ქრისტიანთა, ანუ ქართველთა სისხლზე მოშიებულ-მოწყურებული!).

მოდიოდა ილღაზი, მოდიოდა და მოისწრაფოდა, მით უფრო გახელებით, რომ ტფილისელ მაჰმადიანებს („ნამდვილ ტფილისელებს“) მისთვის, სულ ცოტა ხნის წინ მოციქული მიეგზავნათ: ოღონდ შენ მოდი და უკვე ქართველთა მეფისგან დახარკულ და ხელდადებული ტფილისის კარებს ჩვენის ხელითვე გაგიღებთ და სრულიად ქალაქსაც მოგართმევთ და მოგიბედნიერებთო!

მოდიოდა ნაჯმ ად-დინ ილღაზ (მაგრამ ვაი, თუ ავი ბედისწერა მოაქანებდა!).

ილღაზს მოჰყვა და გვერდით დაუდგა მისი სიძე (ასულის, გოჰარ-ხათუნის ქმარი), დურბეიზ სადაყას ძე, ევფრატის ქალაქ ჰილას

მბრძანებელი, მამაცი მხედარი; ეთიოპიის, ბაღდადის, სპარსეთისა და ინდოეთის ლაშქრობებში სახელგანთქმული სარდალი.

მოვიდა თოღრულ მუჰამედის ძე, ყაზვინის, ზენჯანის, გილანის და განძის ამირა, ძმა თვით დიდი სულტანის მაჰმედ II-ისა (უფრო გვიან თვითონაც შეიქნება თოღრული დიდი სულტანი).

მოვიდა თუღან არსლან კუზიანი, ამირა ბითლისისა და არზანისა.

მოვიდა ქენ-თოღდი, განძის ათაბაგი, თოღრულ ამირას ქვეშევრდომი. მარტო თოღრულს კი არა, თვით სულტან მაჰმუდსაც ებრძანებინა მისთვის გამოსვლა „მისითა ძალითა“, და ისიც მოვიდა განძელ მუსლიმთა მხედრობით, „მარად სამტრო“ საქართველოს დასალაშქრავად.

და მოვიდნენ ამირები „ყოველთა სომხეთისა“ საამიროთაგან.

და, ასე — შეიყარნენ ერთად მუსლიმთა მხედრობანი, შეიყარნენ და „შეიმტკიცნეს სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა“, სულ — 560 000 მეომარი*.

მთავარსარდლობა სულტან მაჰმუდმა ჩააბარა დროის პირველ გმირს — ნაჯმ ად-დინ ილღაზს.

ასედაც უნდა ყოფილიყო — აკი გმირობის აპოთეოზს საქართველოს დამხობით მიელტვოდა ნაჯმ ად-დინ — „სარწმუნოების ვარსკვლავი“...

მაშ, ილღაზი და მთვაროსან დროშათა ქვეშ მდგარი, საქართველოს დასალახვრავად აღძრული 560000 დელიბაშ-მეომარი!

არა, არ გაუჭირდებოდა-მეთქი მაშინდელ თურქმან-სელჩუკიანობას ამდენი ჯარის გამოყვანა, მაგრამ აქამდე, ამდენ ბრძოლათა გადამხდელთ, სწორედ არასდროს რომ არ გამოუყვანიათ, ესეც სინამდვილე იყო.

პირველად ახლა „იხარჯებოდნენ“ ისინი ასეთი უხვი „ხარჯით“ — ქართველებისთვის იხარჯებოდნენ!

მართლაც და, — როცა „მსოფლიოს მპყრობელ“ მაჰმადიანთათვის იყო სამი „მსოფლიო ქრისტიანული საფრთხე“ — ევროპულ-ჯვაროსნული, ბიზანტიური და ქართული — ამ „სამ მსოფლიოთაგან“ მაჰმადიანებმა ყველაზე დიდ, პირველ საფრთხედ „ქართული საფრთხე“ მიიჩნიეს.

და, მოდიოდა ახლა, მანამდე გაუგონარი სიმრავლით, მაჰმადის მხედრობა საქართველოს აღმოსაფხვრელად.

560 000 მეომარი!

სწორედ რომ „დიდი პატივი“ იყო ქართველობისთვის!

და ქართველთა მეფეც გამზადებულიყო სამაგიერო „პატივის“ მიგე-

---

* ეს ცნობა ეკუთვნის მათე ურჰაელს, ფრანგი გოტიე კი უფრო მეტსაც, 600000 მეომარს ანგარიშობს. შეიძლება, ეს რიცხვები დიახაც ზედმეტ-ნაკლებად გადაჭარბებული იყოს, თუმცა, საერთოდ იმჟამინდელი წინა აზიის მუსლიმანურ სამყაროს ნახევარმილიონიანი არმიის გამოყვანა სრულიად თავისუფლად შეეძლო.

ბისათვის: 55—56 ათასი მეომარი; აქედან: 40 000 ქართველი, 15 000 ყივჩაყი, 500 ალან-ოვსი და 100 ფრანგი ჯვაროსანი.

და მიისწრაფოდა დავითი თავისი ჯარით, ნიჩბისის ხევით, ზემოთ, დიდგორის მთისკენ.

დიდგორისკენ, — რაკიღა მეფეს ცნობები მიეღო, რომ მტერი მოპირდაპირე მხრით, სამხრეთიდან, თრიალეთ-მანგლისის გზებით, სწორედ დიდგორისკენ მოეშურებოდა, ალბათ, აქედან რომ ტფილისისკენ დაშვებულიყო...

მაშ, მოდიოდა „ყოველი თურქობა, მხედრობად შემძლებელი, ყოველი ქუეყანისა“. მოვიდნენ „სიმრავლითა, ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომლითა აღივსო ქუეყანა... თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა“.

„დიდგორთა“, ანუ „დიდგორნი“ — ასე მრავლობითად მოიხსენიებს სამომავლო მატიანეში ამ მარად სახსოვარ სახელს თვითონ დავით მეფის მემატიანე. იგულისხმება ორი დიდგორი, ორივ თრიალეთის ქედისანი — ერთი, ამ ქედის აღმოსავლეთ ნაწილში, სოფელ მანგლისის თავზე, მეორე — იმავე ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, სოფელ დიღმის თავზე. „პირველი დიდგორი“ 550 მეტრით მაღალია „მეორეზე“.

სწორედ აქ, მაღალ დიდგორზე უნდა გადაეჭრა გზა დავითს მანგლისიდან ამომდინარე მტრისთვის. აქ, ღრმა ხევხუვებით, პიტალო ფლატეებით და ღრანტეებით აკვეთილ-დაკვეთილ მიწის პირში უნდა ჩაემწყვდია და ჩაეხლიწა რიცხვით ათჯერ უპირატესი მტრის ურდო, ვინძლო ველად გაჭრის, გაშლისა და ფართო მანევრირების საშუალება არ ჰისცემოდა საერთოდ, ჯიშობრივადაც („გენეტიკურად“) „ველის შვილს“ — „ველ-ურს“.

ასე ინება დავით მეფემ; ინება და გადაწყვიტა, ომის ღმერთისთვის ძალისძალად გამოეგლიჯა ხელიდან ეგზომ უსწოროდ ასხმული ბრძოლის სასწორი — მის ერთ პინაზე რომ 560000 თურქმანის სიცოცხლე იდო, მეორეზე კი მხოლოდ 55000 ქართველის სიცოცხლე.

აი, ის დღეც, 12 აგვისტო 1121 წლისა, — დღე დავით აღმაშენებლის საომარი ხელოვნების აპოთეოზისა, ანუ ილიადა ქართული ჰეროიკისა.

აი, პროლოგოს, ზოგად ხატში, დახატული თვითონ დავითის მემატიანისგან:

„ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა, თუ ვითარ წინა განაწყო სპა მისი, და თუ ვითარ ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო, რაბამ რამე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო, და თუ ვითარ თვისნი სპანი დაიცვნა უვნებელად, — ამათ ყოველთათვის არა ჩუენი, არამედ ვგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მითხრობად ზედმიწევნით ყოველსავე“.

მაშ, მე კი არა, მთელი ქვეყნის ბრძენთა ენაც რომ შეიყაროს, ისიც უძლური იქნებოდა სრულად აღეწერა ყოველივე, რაც იმ დღეს დავით მეფემ მოახდინაო, — ბოდიშობს სიბრძნით, მეცნიერული სინდისიერებითა და ხატოვანი სიტყვიერებით უბადლო ისტორიკოსი. მხოლოდ ზოგადით გვარწმუნებს დავით მეფისთვის მუდამ უტყუვრად დამახასიათებელსა და დამარწმუნებელს:

„უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა“;

„შუენიერად და გონიერად“;

„წყნარად, უშფოთველად“;

„და გამოცდილებით“;

„ყოვლად ბრძნად“...

ხოლო „გამოცდილება“ დავით მეფისა, თითქმის ყოველი საომარი შერკინებისას, გამორიცხავს ყოველგვარ „ჩვეულებრივობას“, გინა „სტანდარტს“, გინა „შაბლონს“; უფრო მეტიც — გამორიცხავს თვით ჩვეულებრივ „ლოგიკასაც“ კი.

დიახ, დავით აღმაშენებლის საბრძოლო „გამოცდილება“, „სტრატეგია“ თუ „ტაქტიკა“ — იყო სწორედ არა ლოგიკური, ანუ „ალოგისტური“.

„ალოგისტოს“ — ეს სიტყვა მის შემოქმედ (ღმერთთა შემდგომ ყოვლის შემოქმედ) ძველ ბერძნებს გაეაზრებოდათ, უკეთეს შემთხვევაში, ვითარცა „უცნაური“, იქნებ „ახირებული“, უარეს შემთხვევაში კი — „გიჟი“, „შეშლილი“, „შერეკილი“, „გადარეული“.

მაგრამ „ჩვეულებრივთათვის“, ანუ „ლოგიკურთათვის“ მალე შედეგით (შედეგით-მეთქი!) დადასტურდება, რომ ეს „ალოგისტურობა“, ანუ „შეშლილობა“ თუ „შერეკილობა“, სხვა არა არის რა, თუ არა თვითონ „გენიალობა“, გენიალობა-მეთქი!

განსხვავებაც სწორედ ეს არის „ჩვეულებრივ“, ანუ „ლოგიკურ“ მოკვდავთა და „არაჩვეულებრივ“, ანუ „ალოგისტურ“ უკვდავთა შორის.

ალოგისტურობა ანუ გენიალობა სწორედ ჩვეულებრივ, საყოველდღეო „ლოგიკაზე“ მიმძლავრებაა, მისი დარღვევა, გადათელვა, დამხობა, დაპირქვავება.

ეს სხვაობაა მიწისა და ზეცისა, ანუ „ქვე-ყანისა“ და „ზე-ყანისა“.

ჩვეულებრივი მიწიერნი „ლოგიკური მიწიერნი“ არიან, მხოლოდ „ლოგიკურად მიწისმტკეპნელნი“, ხოლო „ალოგიკურნი“ მიწას სხეულით ებჯინებიან, მაგრამ „სულნი მათნი ზეცას რბიან“.

ჩვენ აქ საომარი ხელოვნების „ალოგიზმზე“ ვსაუბრობთ მხოლოდ. სწორედ ასეთი „ალოგისტურ-გენიალურნი“ იყვნენ: ალექსანდრე მაკედონელი, ჰანიბალი, იულიუს კეისარი...

და, ახლა, დავით აღმაშენებელი, მეფე ქართველთა — სხეულით მიწიონი, სულით ცისიონი...

ალექსანდრეს საომარი აპოთეოზი: გავგამელას ველზე 47000 მეომრით ანადგურებს სპარსთა 140000-იან არმიას.

ჰანიბალის აპოთეოზი: კანეს ველზე 40000 მეომრით ანადგურებს რომაელთა 80000-იან არმიას.

კეისრის აპოთეოზი: ფარსალოსის ველზე 23000 მეომრით ანადგურებს პომპეუსის 52000-იან არმიას.

ხოლო, დიდგორი მოწმე უნდა გახდეს 55000 ქართველისა და 560000 თურქმანის შერკინებისა.

როგორ ათენებს მთავარსარდალი ბრძოლის წინ ღამეს, მით უფრო, როცა მომდევნო დღეს ასე უსწოროდ აწყობილი ბრძოლის სასწორი ელოდება?

ალექსანდრეს გავგამელას ბრძოლის წინ ღამეს მშვიდად და ღრმად ეძინა. დილით ძლივს გააღვიძეს მისმა „პაჟებმა“.

ჰანიბალსაც წყნარად ეძინა კანეს ბრძოლის წინ, ცინიკური ღიმილით სახეალბეჭდილს.

კეისარი კი, ფარსალოსის წინ, ლათინური ზმნების უღელილებით ტეხავდა ღამეს თავის კარავში.

გავგამელას ბრძოლიდან გასულიყო 1454 წელიწადი, კანეს ბრძოლიდან — 1337, ფარსალოსის ბრძოლიდან — 1169.

ახლა კი იდგა ქრისტეს აქეთ 1121 — წელიწადი დიდგორისა, ანუ დავით აღმაშენებლის საომარი ხელოვნების აპოთეოზისა.

არავინ იცის, როგორ გაატარა ის ღამე ქართველმა ხელმწიფემ. ალბათ, როგორც სჩვეოდა, „წყნარად, უშფოთველად“, ორ ლოცვას შუა — „ლოცვა ძილად მისვლისა“ და „ლოცვა ძილისაგან აღდგომილისა“.

საფიქრებელია, რომ იმ ღამის რომელიღაც კვეთილში, „ძილად მისვლის“ წინ, თუ „ძილიდან აღდგომილის“ შემდგომ, დავით მეფე რაღაც საომარი განაზრახით მოძღვრავდა თავის ძეს, უფლისწულსა და ტახტის-მემკვიდრე დემეტრეს.

12 აგვისტოც გათენებულიყო.

დღე ყველაზე დიდი ბრძოლისა სრულიად დედამიწაზე — დედამიწაზე-მეთქი, ამ მარადიულ ბრძოლათა და სისხლისთხევათა სარეწაოზე...

ჯარი უკვე ფეხზე იდგა, დარაზმული, საომრად ჟრჟოლამორეული, და გამტკნარებით უმზერდა და უსმენდა მეფეს.

დემეტრე აღარ ჩანდა...

სიტყვას მიუგებდა დავითი ჯარს, კვლავაც „წყნარად და უშფოთველად“:

„ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთს რასმეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ჩვენ ყვე-

ლამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უფრო დავიხოცებით, ვიდრე გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდევაც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც აქ შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ და მტერს, როცა საიერიშოდ მოგვიახლოვდება, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ!“

ითქვა და იქმნა: ეს ერთადერთი ამოსავალი, ნიჩბისის ხევიდან რომ აქ, დიდგორის მთაზე ამოსულიყვნენ, დავით მეფემ საგანგებოდ აჭრილ-აკაფული ხეებით ამოავსებინა და ჩაახორგინა, — ვინ იცის, სიკვდილთან შეჭრილ მავან მეომარს გული არ შეუდრკეს და სიკვდილ-სიცოცხლის გზასაყარზე გმირულ რკენას ლაჩრული გაქცევა არ ამჯობინოსო.

ვინ იცის, — ქართველნი ვართ, მაგრამ... აკი მაინც ადამიანნი. და ვინ არის იგი, ვისაც სიკვდილის არ ეშინია?! მერე, მარტო ქართველებიც ხომ არ იყვნენ. ვთქვათ, ყივჩაყნი ხომ ჯერჯერობით მაინც „ნაკლებ-ქართველნი“ იყვნენ და, ვინ იცის, იქნებ მათგან ვინმემ საქართველოსთვის სიკვდილს მაინც სიკვდილისგან გაქცევა ამჯობინოს... ძნელია ძლევა შიშისა სიკვდილისგან, ძნელზე უძნელესი...

სიკვდილის შიშს რომ სძლიო, უნდა იყო ალექსანდრე მაკედონელი, ან ჰანიბალი, ან იულიუს კეისარი, ან დავით აღმაშენებელი...

დიდგორის ბატალია კი იწყებოდა — ყველაზე დიდი ბრძოლა სრულიად დედამიწაზე, სრულიად-მეთქი — დედამიწაზე, ამ „სრულიად“ და მარადიულ ბრძოლათა და სისხლისთხევათა სარეწაოზე...

დავითი იწყებდა.

უკვე დაეწყო, სწორედ „უცნაურობით“, „ახირებით“, „ალოგიურობით“;

მისი ბრძანებით, ქართველთა რიგებს წინასწარ დარჩეული 200 მეომარი გამოეყო, ყივჩაყურად ჩაცმულ-შეიარაღებულნი, და მიაშურეს ამ „ყივჩაყებმა“იქით, სადაც თურქნი „საშინელითა სიმრავლითა“ ზღვად და ტყე-მაღნარად შემოსდგომოდნენ დიდგორის სანახებს.

ასეთ „საშინელ სიმრავლესთან“ საომრად ორასიოდე კაცის გასვლა, ვინ იფიქრებდა, და თურქებმაც მხოლოდ ის ირწმუნეს: უეჭველად ეს ყივჩაყები ქართველებს გადასდგომიან და ჩვენთან („თავისიანებთან“!) შესაერთებლად მოდიანო (აკი ყივჩაყებიც თურქმანული მოდგმისანი იყვნენ), — და გულდანდობილად წამოსულნი გულდაუნდობლადვე შეუშვეს თავიანთ განლაგებაში.

შეუშვეს და შესვლისთანავე ორასივემ ერთწამიერად ისარი შესტყორცნა, უმალვე მახვილებიც დაიძრეს და გაალმასებული ჩეხვით დაერივნენ თურქთა მეწინავე მწკრივებს*.

---

* დავით აღმაშენებლის ეს საომარი მანევრი 630 წლის შემდგომ გაიმეორა მეფე ერეკლე მეორემ, ერევნის ახლოს, აზატ-ხანთან შეტაკებისას.

შიშს ხომ ყოველთვის, განსაკუთრებით კი ჟამსა ომისასა, დიდი თვალები აქვს, და, უკან, სიღრმეში მდგარმა თურქობამ წინა რიგებში ატეხილი უეცარი საომარი ღრიალი, ჩახაჩუხი და არევდარევა, მარტო ორასი კაცის ნახელავად კი არა, ქართველთა სრული საომარი ძალების შემოტევად მიიჩნია, — და უეცრად პანიკა — ყოველ ვაჟკაცობასთან მოპაექრე პანიკა დაცურდა თურქულ ურდოებზე.

და სანამ გონს მოეგებოდნენ, ქართველთა მთავარი ძალებიც მოიჭრნენ და ბრძოლად ჩაიჭრნენ, თვითონ დავით მეფის წინამძღოლობით.

და ახლა უფრო ნათელი გახდა „ალოგისტური განაზრახი“ დავით აღმაშენებლისა. მისგან დიდგორის მთაზე საბრძოლველად ათვლილი ადგილი თურქთა სარდლობას საშუალებას აძლევდა უშუალო, პირისპირ ხმალთაკვეთებაში ჩაება თავისი უთვალავი ურდოებიდან მხოლოდ ერთი ნაწილი — დაახლოებით იმდენნი, რამდენიც უნდა ყოფილიყვნენ თვითონ ქართველები.

მაშ, უშუალო სისხლის, სიკვდილის ხაზზე — მხოლოდ „სწორი სწორზე“, დანარჩენი თურქობა კი — მანგლისიდან დიდგორის მწვერვალამდე ახუნძლული, „ვითარცა მკალი“, უშუალოდ ბრძოლაში მონაწილეობას ვერც მიიღებდა.

მაშ, „სწორი სწორზე“ — ასეთი ჩანს „პირველი ეტაპი“ დიდგორის ომისა.

და, დაიწყო და წარემართა ბრძოლა იგი ბეჯითად ქართველთა ძლევამაუწყებლობით. იბრძოდნენ მათი მეფის გასაოცარი შემმართებლობით მხნენი და მძლენი.

იბრძოდა დავით მეფე, კვლავაც სოლისტი საომარი თალპიონისა, თითქოს მართლაც „ხელი მაღლისა შეეწეოდა, და ძალი ზეგარდმო ფარვიდა მას, და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თვისითა მოსრვიდა ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა“.

დავითს ბრძოლის დაბერება არ უყვარდა და არცა სჩვეოდა. მზე შუბის ტარზე თუ იქნებოდა, რომ უკვე გაქცევას დასდგომოდნენ თურქთა მეწინავენი.

და სწორედ მაშინ, მოპირდაპირე აღმოსავლეთის მხრით, მთიდან და ტყიდან, სამარქაფო რაზმით გამოიჭრა და ბრძოლას ჩაეჭრა უფლისწული დემეტრე დავითის ძე.

და ბრძოლის „მეორე ეტაპიც“ დაიწყო. ქართველთა დაწოლით დიდგორის მთიდან დაცურებული თურქობა მათ ქვემოთ, ფერდობებზე და ხეხუვებში ჩაჭედილ, აქამდე ბრძოლიდან გამორთულ და უქმად ჩახერგილ თურქობას დაეცა, თავის მხრივ დააწვა და დააცურა.

ეს უკვე წარღვნა იყო, ანუ თვითწარღვნა, რომელიც, ცხადია, ზემოდან მოიერიშე ქართველებიდან მოდიოდა, მაგრამ თვითწარღვნის ორი-

ვე „კომპონენტი“ — წამრღვნელიც და წარღვნილიც, ერთნაირად თურქობა იყო. გარბოდნენ ქართველთაგან სისხლნაქცევნი და ზარნაცემნი. ქართულ ხმლებს გადარჩენილებს ეხეთქებოდნენ, ერთად გარბოდნენ უგზოუკლოდ, უანგარიშოდ, ერთმანეთს სთელავდნენ, ჰყლეტდნენ, ქელავდნენ. მისდევდნენ ქართველნი და ხელს უთავებდნენ.

და — ქართული მიწის საპყრობად და საკერძავად მოსულნი, ახლა იმავე მიწის საპოხად და კერძად წვებოდნენ.

რვა დღეს სდევდნენ და ხოცავდნენ ქართველები გაქცეულ მოსისხლეებს. ყველა ჩახოცეს, ვინც საქართველო-სომხეთის საზღვრებს ვერ გადაასწრო.

აუარება თურქობა ჩაწყდა.

„აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა“, — ამბობს მისი ბრწყინვალება ქართველი მემატიანე, და ამასაც დასძენს: მე რაღა ვამტკიცო, როცა უბრალო გლეხებმაც იხილეს, რაოდენი ტყვე წამოესხათ ამ ომიდან ქართველ მეომრებს, თვით მუსლიმანი მეფეებიც კი, არამცთუ სხვანი, მათ შორის გოლიათებიც.

ხოლო, უცხოელნი:

გ ო ტ ი ე — ქართველთა მახვილით ამოწყდა 400000 თურქი;

მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი — ამ ომში თურქთა ყოველი ათასი მეომრიდან ასიც კი არ დარჩენილა ცოცხალი, და — სულ, ქართველებმა ამ ომში გაწყვიტეს 400000 და ტყვედ აიყვანეს 30000 თურქი. ამას გარდა, დახოცილ და უპატრონოდ დაგდებულ ცხენებით და დალეწილ-დაყრილი საბრძოლო საჭურველით დაიფარა სრულიად მიწის პირიო.

ბრძოლის ველიდან სიკვდილს გაექცა თურქთა ყველა სარდალი. თვითონ მთავარსარდალი ნაჯმ ად-დინ ილღაზი, თავში მძიმედ დაჭრილიყო და, უეჭველ, სიკვდილიც არ ასცდებოდა, მაგრამ იგი გააქცია და სამშვიდობოსაც გააღწევინა მისმა სიძემ, თვითონ გაქცეულმა და და მარცხით თავლაფდასხმულმა დურბეიზ სადაყას ძემ.

და სწორედ დიდგორის ომში მიღებულმა ჭრილობამ გაათავა ნაჯმ ად-დინ ილღაზი, „სარწმუნოების ვარსკვლავი“, იმჟამინდელი ისლამური სამყაროს პირველი გმირი და იმედი. (ისედაც, ეს უფრო მართალი და საპატიოც კი უნდა იყოს, ვიდრე, თითქოს, ილღაზი ფლავისა და ნესვის უზომოდ ჭამით მუცელს გადაჰყოლოდეს!).

თვითონ ქართველთა დანაკლისზე, თუ მსხვერპლზე, ამ ომში — ეს იმდენად უმნიშვნელო ყოფილა, რომ არც ერთი ისტორიკოსი სიტყვის ჩამოგდებასა და კალმის დასველებასაც არ თვლის საჭიროდ. თუმცა, ქართველი მემატიანე მარტო ამის თქმას კმარისობს: მეფემან დავით „ვითარ თვისნი სპანი დაიცვნა უვნებელად“.

დიდი, საარაკო გამარჯვებისა და ძლევამოსილების გარდა, ქართველებს ხელთ ჩაუვარდათ დიდძალი ნადავლ-ნაალაფარი: „სპანნი ჩუენნი

და უფროსად ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა და ვეცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა, სრა-ფარდაგებითა, სხვითა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლელთა თვითო სახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთათა, სასმურთა ტურფათა და სანადიმოთათა, საბანელთა და სამზარეულოთათა“, და, საერთოდ, რაც ქართველებმა ამ ბრძოლის შედეგად ნადავლი მოინადავლეს, ყველაფერი, აბა, „რაოდენმან ქარტამან (ქაღალდმა) და მელანმან დაიტიოს აღწერად!“ — დაასკვნის დავითის ისტორიკოსი.

შემდგომაც, ექვსასი წლის შემდგომ, ამას იტყვის კიდევ ერთი დიდი ისტორიკოსი (ვახუშტი ბატონიშვილი): დიდგორის ომში ქართველთაგან აღებულ „ალაფთა ურიცხუელობასა ვდუმებ, ვინაითგან გლეხნიცა თვინიერ ოქრო-ვეცხლთასა არა რასავე აღიღებდნენ“.

ნადავლის უკეთესი და უძვირფასესი ნაწილი — „ყოვლად დიდებული“ და „ძნელად საპოვნელი ნივთები“, „დიდთა და ხორასანთა მეფეთა ტახტნი, საყდარნი (სავარძელნი), კიდელნი (ჭაღები) ფერად-ფერადნი და კვალად გვირგვინნი“, და თვალ-მარგალიტით ასხმული ოქროს მანიაკი, რომელიც სარდალ დურბეიზ სადაყას ძისთვის ჩამოეგლიჯათ ქედიდან ქართველ მეომრებს — და, ბოლოს, ტყვედ წამოყვანილი თურქი სამხედრო მეთაურები — ყოველივე აქ ჩამოთვლილი დავით აღმაშენებელმა შესწირა მისგანვე აშენებულ გელათის მონასტერს; „შეწირნა ღმრთისა სახსენოდ და სამადლობელად ძლევისა მის საკვირველისა“.

„ძლევისა საკვირველისა“ — მთასა ზედა დიდგორისასა!

დავით აღმაშენებელი მისი ძლევამოსილების მწვერვალზე იდგა.

მას, აქამდეც მარად მძლეველს, ახლა ხელთ ეპყრა კვერთხი მძლეთა-მძლეველობისა, კვერთხი — ზეგარდმო ნიჭისა, სიმამაცისა, ვაჟკაცობისა — insignia virtutis.

დიდგორი შედიოდა ისტორიაში, ვითარცა უზენაესი აზმაიფარი — ქებათაქება ქართველთა უებრო გმირობისა და მარადიული უკვდავებისა.

დიდგორით ქართველთა ცხოვრებაში შემოდიოდა „დიდგოროაბა“ — ყოველწლიური დღესასწაული, სახალხო ლოცვით, ლხენით, ზეიმით, სულის აღტევებით და აყვავილებით.

დიდგორის მთას ამიერიდან მადლიერი ქართველი ხალხი დაარქმევს „დავითის მთას“, ხოლო იქვე, ხელოვნური ტაგრუცის მსგავს ერთ მაღალ ბორცვს — კვლავაც ხალხისგან დაერქმევა — „დიდგორის ბრძოლაში დაღუპულ ქართველთა საძმო სამარე“; და ეს ხალხითვე ნათქვამიც სამარადჟამოდ დაემკვიდრება საქართველოში: როცა დიდგორის ომში დაღუპული ქართველი გმირები ამ საერთო სამარეში ჩააწვინეს, რიგად ჩამდგარმა ნაომარმა ლაშქარმა აუარ-ჩაუარა და, ვინ მუჭა-მუჭად, კინ კალთა-კალთად მიაყარა ნაომარი დიდგორის მიწა — და, აჰა, ასე აღიმართა ბორცვი ესე ძმათა საფლავზე!..

მაშ, წელიწადი ქრისტეშობიდან — 1121.

Anus insignis — წელიწადი სანიშანსვეტო!

და ინიშანსვეტებს იგი, დავითის მადლით, სრულად 100 წელიწადი — სრული აღზევებით, სრული სიდიადით.

დიახ, — სწორედ ასი...

რადგან დიდგორის ჰეროიკიდან სწორედ ასი წლის თავზე, 1221 წელს, აქამდე დავითის მადლით ნაპურებ და ნალოლიავებ საქართველოში, ღვთის რისხვად, აღმოსავლეთით, მონღოლური ტაიფუნი მოიჭრება...

მაგრამ ჩვენ კვლავ პირველსავე სიტყვას მოვექცეთ, — იქ, სადაც დგას კვლავაც დავითი — „ნადიდგორალი“.

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

ᲛᲘᲛᲬᲣᲮᲠᲘᲡᲐ

უკეთუ ბოროტსა იქმოდენ, ეშინოდეთ,
რამეთუ არა ცუდად აბიათ ხმალი
მეფეთა.

პავლე შოციქული

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ — „ᲡᲐᲮᲚᲐᲓ ᲗᲕᲘᲡᲐᲓ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝᲓ“

დიდგორის ბრძოლა, ყოველ სხვა „დიდთა“ და „მცირე“ მადლთა ზედა, იყო „პროლოგოს“ ახალი სადავითო ეპოპეისა, რასაც სახელად უნდა დარქმეოდა ბრძოლა ტფილისისათვის.

და, სწორედ მაშინვე, როგორც კი მორჩა დიდგორიდან დაფრენილ თურქთა დევნას და წყვეტას, დავითმა გამარჯვებით გალაღებული ჯარი შემოაბრუნა, ხელახალ საომარ განწესრიგებად დაალაგა და პირდაპირ დაძრა ტფილისისაკენ.

ტფილისი!

საქართველოს წმიდა სატახტო!

სატახტოდ ნაშენი დიდი ვახტანგ გორგასალისა.

მხოლოდ ნაშენი... აკი თვითონ აღმშენებელი ვერც მოესწრო მცხეთიდან ტფილისს ტახტის გადატანას, ისე აღესრულა ბრძოლის ველზე, ნაღალატევი ისრით გულგანწონილი. (ტფილისში სიკვდილიც არ ეღირსა, უჯარმას აღესრულა, მცხეთას დაიკრძალა).

მხოლოდ მისმა ძემ, დაჩიმ (დარჩილ) დაიდგა პირველად საქართველოს სამეფო ტახტი, მისი დიდებული მამისგან სწორედ სატახტოდ აშენებულ ტფილისში.

და მას შემდგომ, ანუ ვახტანგ გორგასლის აღსასრულიდან დავით აღმაშენებლის აღზევებამდე, დროის მანძილი — 600 წელიწადი.

მაშ, ექვსასი წელიწადი — ასაკი საქართველოს სატახტოდ მონათლული ტფილის-ქალაქისა.

და, ამ 600 წლიდან — 400 წელიწადს ტფილისი წართმეული ჰქონდა საქართველოს.

მაგრამ, ვაი თუ არა მხოლოდ წართმეული სხეულებრივად!

არამედ — თვითდაშრეტილი სულიერადაც!

ქართულობით თვითდაშრეტილი — „თვით-მეთქი“, რადგან განუქარვებლად და გაუნელებლად ისმის ეს მწარე „საკითხავი“: უცვლელად და ურყევად ოთხას წელიწადს უცხოეთში (უცხოეთში-მეთქი!) ცხოვრება ქალაქს და მის მცხოვრებლებს ვითომ სულიერადაც არ აუცხოებს?!

ოთხასი წელიწადი ხომ ათი-თორმეტი თაობაა, ადამიანო, — თაობები, რომლებიც დაბადებიდან აღსასრულამდე უცხო სულით იკვებებიან!

„უცხოეთში ყოფნაც“ აღარ ჰქვია ქალაქისთვის ასეთ ყოფნას. ის კი არა, თუ მაინცა და მაინც „უცხოეთია“, იმჟამინდელი ტფილისისთვის საქართველო გაცილებით უფრო უცხო ქვეყანა უნდა ყოფილიყო, ვიდრე არაბეთი, სპარსეთი, თუ თურქ-სელჩუკეთი.

მხოლოდ გარკვეულწილად, თითქოს „სადღაც“ — მაინც ედგა ტფილისს ქართული სული, — მაინც ჩაუქრობლად ღვივოდა საოცარი გამძლეობით მუდამ გამორჩეული ქართული ჯიში („გენი“), და იმ ოთხასწლოვანი „უცხოობის“ ჟამს, ხანდახან, თუნდაც ეფემერულად, გაიბრძოლებდა კიდეც კვლავ ქართულ წიაღს მისაბრუნებლად, ვთქვათ ისეთი „ეფემერულობით“, როგორც ეს მოხდა ბაგრატ მეოთხის დროს.

მაგრამ დომინანტური სული ტფილისისა მაინც უკვე (უკვე-მეთქი!) იყო უცხოური, არაქართული და არაქრისტიანული.

მაშინდელი „ცენტრი“ ტფილისისა — ისანი, მთლიანად მაჰმადიანური არისტოკრატიით იყო დასახლებული. ქვემოთაც, მტკვრის მარჯვენა მხარესაც მაჰმადიანობა სჭარბობდა, ხოლო ქრისტიანობა აქა-იქ თუ ღიობდა „უცხო მინარევებად“.

ამიტომაც ისე დაბეჯითებით გვაუწყებს თვითონ დავით მეფის ისტორიკოსი: „ქალაქი ტფილისი იყო, ოდეს ჯერეთ არა სრულიად შემოყენებულ იყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა, ვითარცა აწ, არამედ სავსე იყო სისხლითა ქრისტიანეთათა; რამეთუ ოდესმე ყვიან ღაღვავად და თვითნიერ მიზეზისაცა მოსრნიან რაოდენნი პოვნიან ქრისტიანენი, ხოლო ოდესმე ქარავანსა თანა შემოყოლილთა თურქთა ზედა გასცნიან შემოვალ-გამომავალნი ქრისტიანენი, და ტყუეობად და სიკვდილად მისცნიან და ესრეთ ისრვოდა ქუეყანა მრავალჟამ, რომელი ესე ფრიად ეძვინებოდა სულსა დავითისასა“.

აი, თურმე როგორი „ქართულობა“ ჰქონია „საქართველოს სატახტოს“ მანამ, სანამ დავით აღმაშენებელი მიადგებოდა მას „გასათავისუფლებლად“. იგი, თურმე, მუდამ „სავსე იყო სისხლითა ქრისტიანეთათა“.

თურმე მაჰმადიანნი, როცა მოეპრიანებოდათ, თუ მათებრივად — „მოეხოშებოდათ“, სახელდახელოდ აწყობდნენ „ღავღავს“*, და ასე, სრულიად უმიზეზოდ („თვინიერ მიზეზისაცა“) ხოცავდნენ ქრისტიანებს, ყველას, ვისაც კი წაეწეოდნენ და მოახელებდნენ.

გამორჩევით აქტიურობდა, მაჰმადიანი ახალგაზრდობა — „ალ-შაბაშ“, „ფითიან“, „ჯევანმარ“ — თითქმის ყოველთვის მათი მეთაურობით ეწყობოდა „ღავღავნი“ ქრისტიან-ქართველთა სარბევ-საჟლეტად.

და კიდევ, ტფილისელი მაჰმადიანნი აქაურ ქრისტიანებს ქალაქში გავლით შემოსულ და გასულ თურქებსაც ჰყიდდნენ, უნდა მოსაკლავად, უნდა ტყვედ წასაყვანად.

და ეს, ამნაირი „ღავღავებით“ ქრისტიან-ქართველთა გენოციდი ხდებოდა ყოველთვის, „მრავალჟამ“, როცა და რამდენჯერაც „მოეხოშებოდათ“ „ნამდვილ ტფილისელ“ მაჰმადიანებს.

სწორედ ასეთი ხანგრძლივად „უცხოობისა“ და „ღავღავობის“ შედეგი უნდა ყოფილიყო, რომ შემდგომშიც, საქართველოს წიაღში მობრუნებულ ტფილისშიც არასოდეს გამოლეულა მოღალატე ქართველობისა, მტრისთვის კარის გამღები და ქართველისთვის ზურგში დანის ჩამცემი.

ამიტომ ჰყვაოდა ღალატი ტფილისში, შემდგომშიც, განუწყვეტლივ.

ამიტომ ითქმოდა ყოველთვის ქართველობაში: ტფილისს მოღალატე ისევე არ გამოლევია, როგორც ტილი თათარსო...

ამიტომ ტფილისი ახლაც რომელიმე ნაჯმ ად-დინ ილღაზს უფრო შეეგებებოდა ზარზეიმით და საკუთარი ხელითაც საკინძე ჩახსნილ-ჩახდილი, ვიდრე დავით აღმაშენებელს.

და კიდევაც, აკი საგანგებოდ მოწვეულიც ჰყოლოდათ ნაჯმ ად-დინ ილღაზი ტფილისელებს.

და, ერთბაშად, დავით აღმაშენებელი კი მიადგათ.

და, ტფილისიც, „ოდესღაც ქართული“, ახლა ქართველ მეფეს შეხვდა არა როგორც გამათავისუფლებელს, არამედ როგორც უცხოსა და მტერს, — დახვდა კარებდაგმანული და მახვილაღმოხდენილი.

და, დავით მეფეც არ მისულა როგორც გამათავისუფლებელი, არამედ — რაკი ტფილისის ასეთი მდგომარეობა ეგზომ „ფრიად ეძვინებოდა სულსა დავითისასა“ — ისიც მივიდა, რათა აეღო და დაეპყრო ვითარცა მტრული ქალაქი, აეღო და „სრულიად შემოყენებულ ექმნა უღელსა ქუეშე მორჩილებისასა“.

მაშ, დავით აღმაშენებელი ახლა „დამპყრობელია“ და არა „განმათავისუფლებელი“, — ანუ ქართული ქალაქის ქართულ „უღელსა ქვეშე“ მომქცეველი!

აი, ხუმრობა, თუ ლაზღანდარობა საისტორიო ბედისწერისა!

---

* ღავღავი — „შეთქმულობა უბრალოთა ზედა“ (საბა).

მაგრამ დავითს არ ეხუმრებოდა და ჯიქურ მიადგა ტფილისს.

ტფილისიც დაუხვდა ამ „უცხო მტერს“.

დავითმა ქალაქი ალყით შეხუთა.

ტფილისში შიმშილი დადგა.

ქალაქის მთავარმა მესვეურებმა (რასაკვირველია, მუსლიმანებმა!) დავითს ელჩები აახლეს და შერიგება სთხოვეს — ელჩებიც, ცხადია, მათი სჯულისანი იყვნენ — ყადი და ხატიბი.

„შერიგებაო“?! — დავითმა არც მოუსმინა „უცხო ტფილისელებს“, ისე უკანვე გამოაძევა მუსლიმი მოციქულნი.

რაკი მტრობა ინებეს, ქართველი მეფეც ტფილისსაც ისე აიღებდა (აიღებდა-მეთქი!), როგორც ღებულობდა და ეუფლებოდა ყოველ ჩვეულებრივ უცხო ქალაქებს.

და, 1122 წლის დამდეგს, დავით აღმაშენებელმა იერიშით აიღო ოდესღაც საქართველოს სატახტოდ გამოცხადებული, „ოდესღაც ქართული ქალაქი“.

აიღო! (და არა — „გაათავისუფლა“).

მისი მემატიანეც ასე ბრძანებს: „აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი“.

აიღო „პირველსავე ომსა“.

აიღო ქალაქი — „ოთხას წელ ქონებული სპარსთა“.

აიღო და ამიერიდან „დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“.

მთავარიც სწორედ ეს იყო: ქალაქი ტფილისი, მისი საწყისიდანვე, ჯერ მისი სოფლობით, მერე მისი დაბა-ქალაქობით, მუდამ ქართული, მერე ოთხასი წლით უცხოთა „ქონებული“, ამიერიდან სამუდამოდ („საუკუნოდ“) უნდა დაბრუნებოდა მისსავე მანამდელ, მიწყივ ქართულობას, დაბრუნებოდა ქართულ სამეფო შთამომავლობას, ვითარცა „საჭურჭლედ“ და „სახლად თვისად“, ანუ სამეფო-სახელმწიფო რეზიდენციად.

მაშ, დამდგარიყო ქრისტესშობითგან წელიწადი 1122, და დავით აღმაშენებელი ხმლის ცემით და სისხლის ქცევით შესულიყო „უცხო ტფილისში“.

შევიდა და, ეგზომ „უცხო მტრობით“ გაავებულმა, ქართველობის ყველაზე აქტიურ მომტერე ტფილისელებს, სულ ხუთას კაცს, ძელზე გასმით და წამებით სული ამოჰხადა.

ამასთან, — არც ნგრევა დაჰკლებია მაშინ ტფილისს, არც რბევა, არც ხანძარი.

მერე, მეფემ, ჩვეული დიდსულოვნებით, გული დაიცხრო და ხალხს მიუბრუნდა. დამშეულნი დააპურა და განაძღო, შიშით ზარდაცემულნი დაამშვიდა და იმედით აღავსო, სახლკარდაქცეულნი კვლავ დაასახლა, ფუძემოშლილნი კვლავ დააფუძნა და დაამკვიდრნა.

ჭრელი იყო ტფილისის მოსახლეობა — ჭრელი ეროვნულადაც, ჭრელი სულითაც და სჯულითაც.

და ბრძანებდა ქართველი მეფე: ყველამ ერთნაირად, ერთი უფლებით და სწორპატიობით, ანუ „ერთნაირი ტფილისელობით“ იცხოვრეთო — განურჩევლად ეროვნული წარმომავლობისა და სჯულიერ-სულიერი განსხვავებისა.

ტფილისი საქართველოა და ქართულ ქალაქად დარჩება იგი აწ და მარადის, — ქართულ, ქრისტიანულ ქალაქად. მაგრამ, რაკი აქამდე აქ ისლამის სჯულისანი ქრისტიანებს ჩაგრავდნენ და ავიწროებდნენ, ეს იმას როდი ნიშნავს, დღეიდან როლები შეიცვალოს და ქრისტიანებმა მუსლიმანები ჩაგრონ და ტანჯონ! ეს არ უნდა მოხდეს, არც მოხდება, არც გვეკადრება და — თუ ვიკადრებთ, ეს „კადრება“ არ დაიშვება! პირიქით უნდა მოხდეს, სწორედ პირიქით — ისე როგორც შვენის ქართველებს, ქრისტიანებს — ქრისტიანული დიდსულოვნებით, მიმტევებლობით, შემწყნარებლობით.

უფრო მეტიც: ახლა დამარცხებულმა მაჰმადიანებმა აქ, ტფილისში, და საერთოდ საქართველოში, არამცთუ დაჩაგრულად და დამცირებულად, არამედ გაცილებით უმჯობესად უნდა იგრძნონ თავი, ჩვენ, გამარჯვებულთა შორის, — უკეთესად, ვიდრე მაშინ, ჩვენზე რომ იყვნენ გამარჯვებულნი.

ასეთი იყო ნება დავით აღმაშენებლისა და მისი ნებითვე და ბრძანებით დადგინდა: ტფილისში, მუსლიმანთა უბნებში და სამეზობლოებში, ღორი რომ ღორია, ისიც არ დაკლან, არც იყოლიონ; არც მათ აბანოებში შევიდნენ, არც ქართველი, არც სომეხი, არც ებრაელი; არც მათ სჯულიერ ლოცვაზე, აზანსა და ხუტბაზე შეუშალონ ხელი; ყველამ თავისი სჯულით ისჯულიეროს — ქრისტიანმაც, მაჰმადიანმაც და იუდეველმაც — ერთი უფლებით, სწორპატიობით. მაჰმადიან-მუსლიმანთ იმის ნებაც მიეცეთ, ყოველ პარასკევ დღეს, მათი სალოცავი მინბარიდან (კათედრიდან), ქართველი მეფისთვის კი არა, მათი ხალიფასა თუ სულტანისათვის ილოცონ. ყველა ტფილისელმა იცხოვროს თანასწორად, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა და სულიერ-სჯულიერი სინდისიერებისა. ხოლო, თუ უსწორობაა, „უსწორობაც“ ეს იყოს, ამ „უცნაური“ ქართველი ხელმწიფის ნებით: ყოველწლიური გადასახადით, ქრისტიანმა გადაიხადოს 5 დინარი, ებრაელმა — 4, ხოლო მუსლიმმა — 3.

იმ დღიდან, თავისთვისაც ეს დაიდგინა და დაიწესა დავით აღმაშენებელმა: თავისი ძის, დემეტრე უფლისწულის თანხლებით, ყოველ პარასკევს მუსლიმთა მთავარ სალოცავ მეჩეთში შედიოდა, ხუტბასა და ყურანის კითხვას ესწრებოდა, ხატიბთა და მუეძინთა ყურანის ცალკეულ გამონათქვამთა გააზრებაში ეხმარებოდა, უსწორებდა, ასწავლიდა, აქეზებდა, ამხნევებდა და, „მრავალი ოქროთი“ აჯილდოებდა და ამდიდრებდა

კიდეც. მუსლიმან მქადაგებლებს, სუფიებსა და პოეტებს სასტუმროებსა და ქარვასლებს უშენებდა. თვითონაც მათთან ერთად ქადაგებდა და პოეტობდა.

ცალკე მონეტებსაც აჭრევინებდა დავითი მუსლიმანებს, არაბული წარწერით, ერთ მხარეს ალლაჰის, მისი მოციქული მუჰამედისა და სულტნის სახეებით, მეორე მხარეს კი იმავე მონეტას მადლიერი მუსლიმნი არაბულად აწერდნენ მათი მწყალობელი ხელმწიფის სახელს — „მეფეთა მეფე დავით, მესიის მახვილი“...

ერთი სიტყვით, დავით ქართველთა მეფე „მეტ პატივს სცემდა მუსლიმებს, ვიდრე მათ პატივს სცემდნენ თვითონ ისლამის მფლობელები“ — მათი ხალიფები, სულტნები, ამირები, თუ ამირთამირები.

ასეთი იყო ახალი, „ტფილისური პოლიტიკა“ დავით აღმაშენებლისა.

ასეთი იყო დიდსულოვნება და მიმტევებლობა ამ საოცარი, „სასტიკი ხელმწიფისა“.

მაგრამ მაინც მუსლიმთა შორის დიდი ყოფილა შიში ქართველთაგან შურისგებისა, მანამდე განუწყვეტელ „ღავღავობით“ სისხლის დენისთვის. ვაი, თუ ამიერიდან ქართველებმა თვითონ გვაზღვევინონ „კონტრ-ღავღავებითო“, — და დაიწყეს წასვლა, გადახახლება ტფილისიდან, უმეტეს წილ მცირე აზიის, ანატოლიის მიმართულებით. და იქაურ დაბა-ქალაქთა შორის სახლდებოდნენ ცალკე უბნებად, „ალ-თიფლისებად“ — ერთ დროს „სვებედნიერი თბილისელი მოქალაქენი“.

(ამაოდ კი შეშინებოდათ ქართველთაგან შურისგებისა: აკი ქართველს შური უცხო სისხლის და თესლისადმი არც გააჩნია; აკი ქართული შურისმგებლობა, ენდოგენურად, ქართული სისხლის და თესლის ფარგლებში მძვინვარებს მუდამ „ცხოველმყოფელად“!).

● . . . . . .

ახლა დმანისი დარჩენილიყო, აქამდე ტფილისის „უძლეველობითა“ და მასთან კავშირით გათამამებული, ახლა კი ქართველთა ხელმწიფის ძლევამოსილებით დადამბლავებული და დამუნჯებული.

დავითი, თითქოს, არ ჩქარობდა დმანისს მისვლას. იქ მისვლა და შესვლა უკვე რაიმე „საჭირველ“ საქმედ აღარ მიაჩნდა მეფეს. ის კი არა და, მანამდე, შემოდგომაზე, სთვლობისას, დავითი „გადავიდა გეგუთს, ინადირა, განისუენა, განაგო მანდაური ყოველი“, ის ზამთარიც იქ მოითია, „ქუეყანასა ქუთათისისასა“, ხოლო მარტში, 1123 წლისა — ქუთათისიდან ჯიქურ წამოვიდა და ისე „აღიღო ქალაქი დმანისი“, ქარქაშიდან რომ ხმლის დაძვრაც არ დასჭირვებია.

ქუთათისიდან, მეფესთან ერთად, სამეფო ინსიგნიებიც წამოსულიყო ტფილისისაკენ.

მაშ, ქრისტესშობიდან 1122 წელი — კვლავაც anus insignis; სრული ერთიანობით აღდგენილი საქართველოს სახელმწიფო ტახტი დგას ტფილისში, ოთხასწლოვანი უცხოობისგან დახსნილ სატახტოში.

ხოლო ტახტზე ზის მხსნელი მისი და მხსნელი სრულიად საქართველოსი, ანუ იგი, „რომელმან შექმნა საქართველო ძალითა მით ძლიერითა"...

„დაპყრობილ ქალაქებს ღმერთები ტოვებენ" — ამბობს ესქილე, მაგრამ ტფილისი არ დაუტოვებია ღმერთს, რადგან — დავით აღმაშენებელს არ მიუტოვებია იგი...

(ერთიანი სახელმწიფო კავკასიელთა

ტფილისის დაუფლების ჟამს დავითს არ გამოჰპარვია, რა საომარი ფუსფუსი დამდგარიყო განძაში, საქართველოს მუდმივ სამტრო-საბუდარში.

და მაშინვე, როგორც კი ტფილისის საქმენი მოითავა, განძისკენ აფრინა ჯარი დავითმა. მისვლისთანავე ქალაქი აიღეს და დაიალაფეს ქართველებმა; დიდძალ ნადავლთან ერთად, მრავლად მცხოვრებლებიც ურმებზე დაყარეს და ცხვრის ფარასავით გამოირეკეს ტფილისისაკენ. ამ ლაშქრობას განძაში დაერთო დიდი მიწისძვრა, რამაც ქალაქი უარესად დაანგრია და დააზარალა.

დიდგორზე თურქთა კოალიციური არმიების კატასტროფამ ცოფი შეჰყარა ამ უბედური ლაშქრობის მამამთავარს, თვითონ დიდ სულტან მუღის ად-დინ მაჰმუდ II-ს; ახლა კიდევ ტფილისის დაკარგვამ და განძის დარბევამაც საბოლოოდ გადააწყვეტინა, სამაგიერო მიეგო ქართველთათვის, მათგან ამდენი მარცხისა და სირცხვილის ჭმევის საპასუხოდ და სარევანშოდ.

პირდაპირ საქართველოზე ამჯერად ვეღარ გაბედა და სულტანმა ქართველი მეფის ქვეშევრდომი ქვეყნით, შირვანით დაიწყო. იგი 1123 წელს დიდი მხედრობით შეესია შირვანს, მისი მთავარი ქალაქი შამახიაც აიღო, ქართველი მეფის ერთგული შირვანშაჰიც ტყვედ იგდო და თვითონ დავით მეფესაც ასეთი კადნიერი წერილი გამოუგზავნა:

— შენ ტყეთა მეფე ხარ და ველად გამოსვლას ვერა ბედავ; შენი ყმადნაფიცი შირვანშაჰი ტყვედ მიპყრია, მისგან ხარაჯასაც ვღებულობ, ხოლო შენ ორში ერთი აირჩიე — ან ჯეროვანი ძღვენი გამომიგზავნე, ან სამალავიდან გამოდი და პირისპირ შემხვდიო.

განრისხდა დავით მეფე, კვლავ აიშალა და აზვავდა საომრად, „მსწრაფლ ხმა უყო ყოველთა სპათა მისთა", და ასე, სწრაფადვე შეყრილი 50000 მეომრით, გაჭუსლა შირვანისაკენ.

როგორც კი მაჰმუდ სულტანმა ქართველთა მოახლოება ცნო, შიშისგან „განკრთა“, შამახიის ველად გაშლილი ბანაკიდან აიყარა, თვითონ ქალაქში შევარდა, შეიკეტა და „გარემოიზღუდა ერთ-კერძო სხრტითა და ხანდაკებითა, და სხვით-კერძო ზღუდითა შამახიისათა“.

ქართველმა მხედრობამაც ალყაში შეხუთა შამახია.

სულ დაკნინდა და დადედლდა თურქთა მეუფე. თითქოს, ფერხთა ქუსლებში გაჰპარვოდა ამასწინდელი მკვეხარა სული:

„მაშინ სულტანმან მრავალთა მიერ ვედრებათა და ძღუენთა და მუდარითთა შეთულილობათა, ვითარცა მონამან ჰირველმან, არღა ძღუენი ანუ ომნი ითხოვნა, არამედ გზა სამლტოლვარო, ფრიად რამე სიმდაბლით და არა სულტანურად, შეიწროებულმან შიმშილითა და წყურილითა მრავალ დღე“

სანამ დავითი ეგზომ „არასულტანურად“ დამდაბლებული სულტანის სასოწართმეულსა და მოხუც ვედრებას პასუხს გასცემდა, მანამ კიდევ ახალი ძალა გამოჩნდა ასპარეზზე. ეს ყოფილიყო ა ღ ს უ ნ ღ უ ლ, ათაბაგი რანისა. სწორედ მისი ხელისუფალის, მაჰმუდ სულტანის საშველად წამოსულიყო იგი შამახიისკენ, „ძალითა მრავლითა“.

გააგება დავითმა თავისი მხედრობის ერთი ნაწილი; მიუხდნენ ქართველები და მიხდომისთანავე 4000 თურქი დაწვინეს და დარეცეს, დანარჩენები მიმოფანტეს; თვითონ აღსუნღულმა, „მარტოდ მეოტმა“, ძლივს შეაღწია შამახიას და მისი დახმარების მოიმედე სულტანს საკუთარი მარცხის ამბავიც „უმახარობლა“.

მაშინ, უკვე სრულიად თავდაკარგულმა მაჰმუდ სულტანმა, სამარცხვინო ტყვეობისგან რომ თავი დაეხსნა, იმაზე უმჯობესი ვერა მოიგონა რა — სასდუნში* შემძვრალიყო და შმორითა და ზინზლით ამოლართხული გამძვრალიყო სამშვიდობოს.

ეს ამბავი მოხდა 1123 წლის მაისში, ხოლო ივნისში, დავით მეფე ისევ მიბრუნდა შირვანს და, „სიცხეთა მათ საშინელთა“, აიღო გულისტანი, აქაური „სახლი თავადი“, ხელახლა „მოირთო“ სრულად ქვეყანა კასპიის ზღვამდე და „აღავსნა კეთილითა ყოველნი მორჩილნი ბრძანებათა მისთანი“.

მაგრამ იმავე წელს, კვლავ დაისაჭიროვა დავითმა შირვანს გალაშქრება. ამჯერად დარუბანდის მმართველი გამოსულიყო ქურთთა, ლეკთა და იქაურ ყივჩაყთა მხარდაჭერით, ქართველთა წინააღმდეგ. მაშინ ქართველებიც „დაესხნენ შაბურანს, დარუბანდელსა, და მოსწყვიდნეს ქურდნი, ლეკნი დაა ყივჩაყნი დარუბანელისანი და აღიხუნეს შარვანისა ციხენი ღასანნი და ხოზაონდი და მიმდგომი მათი ქუეყანა“.

---

* სასდუნი — „მწვირის გასადინარი ნახურეტი“ (საბა).

მაშინვე სომხეთის თურქთაგან საბოლოოდ გაწმენდისა და საქართველოსთან კვლავაც შემოერთება-შემომტკიცების საკითხი დამდგარიყო დავითის საპოლიტიკო განაზრახთა შინა. და იმ წელსვე, როგორც კი შირვანის საბოლოოდ შემოერთების საქმე მოითავა და დარუბანდიდან მობრუნდა, დავითი „მყის აღისრბოლა ვითარცა არწივმან“, სომხეთში „შთაბრიალდა“, თურქები დაიფრინა და ზედიზედ დაისაკუთრა ციხე-ქალაქები: გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯა-ქარი.

სომხეთიდან ჯავახეთს ჩამოვიდა დავით მეფე, იქიდან — კოლას, კარნიფორას, ბასიანსა და სპერს. ყველგან, სადაც კი თურქთა ნარჩენები მოიხილა და მოიხელა, ერთიანად მოსწყვიტა, ან ტყვედ აიყვანა. ბუღთაყურიც ჩამოიარა, იქიდან ოლთისს მოვიდა და რატომღაც ცეცხლს მისცა; ბოლოს თრიალეთს მოვიდა, იმ წელსაც ეგზომ „გამარჯვებებით ბრძოლა-განსრულებული“.

ჯარიც დაშალა თრიალეთს მეფემ, და ის იყო, ამდენი ბრძოლებით დაქანცულმა მეომრებმა მშობლიურ სახლ-კარს მიაკითხეს, რომ უმალვე მეფისგან კვლავ ახალი საომარი წვევა წამოეწიათ.

დიდი სომხური ქალაქიდან, ანისიდან, სომეხი თავკაცები სწვეოდნენ დავით მეფეს; სწვეოდნენ საჩივრით. უჩიოდნენ ანისის მფლობელს, სახელად აბულ-სოვარს (ზემოთ უკვე ვთქვით: 1118 წელს ანისში მოკვდა მისი მმართველი მანუჩარი და ანისის „ტახტი“ ჩაიბარა მისმა შვილმა აბულ-სოვარმა), სჯულით მაჰმადიანს, ტომით ქურთს, ბუნებით „ქალთა მადევარსა და ვაჟკაცობას მოკლებულს“, რომელსაც ამ ბოლო დროს სომხები უაღრესად დაუჩაგრავს და დაუმდაბლებია — ანისის მთავარი ტაძარი მაჰმადიანურ მიზგითად გადაუკეთებია, გუმბათიდან ჯვარი მოუგლეჯია, ძირს დაუნარცხებია და მის ადგილას, შენობის გუმბათზე, ვერცხლის „უზარმაზარი ნალი“ (ნახევარმთვარე) აღუმართავს; „ქრისტიანეთა სისხლითა იგი საყდარი და ქალაქი მოერწყო“, და, ბოლოს, აბულ-სოვარს ქალაქი ანისი მეორე დიდი ქალაქის, კარის სელჩუკიანი ამირასათვის მიუყიდნია 60000 დინარად. და ასე, ამ ორ მაჰმადიან ურჯულოს, აქეთ ქურთსა და იქით სელჩუკს, ქრისტიანული ქალაქები ურთიერთში ყიდვა-გაყიდვის საგნებად გაუხდიათ.

და შველას თხოვდნენ ქართველ მეფეს ანისის „მწიგნობარნი თავადნი“ (თავკაცნი). — შველასაც ეჯებოდნენ, ქვეშევრდომად შევრდომებასაც და თვითონ ანისის მთლიანად ჩაბარებასაც სთავაზობდნენ.

მაშ, დავითის ბრძანება ახალი საომარი წვევისაა, და სამ დღეში უკვე საომარ მწყობრში იდგა 60000 მეომარი. სამ დღეში ჩავიდა და მისვლისთანავე აიღო ანისი, მისი ციხენი („ბოჟანას წყაროთა ზედა მდგომნი“) და „სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი“. ასე, ყოველიე აქაური, ადგილობრივ სომეხთა სურვილისამებრ, მიიღო და მიითვალა ქართველ-

მა მეფემ, — ისე „უჭირველად“, რომ ადგილობრივ „ერთ სულსაც კი სისხლი არ დაზიანებია“.

თვითონ აბულ-სოვარი, კაცი ოდენ ქალთა მოლალე და გულჩუკენი ბრძოლის ველისა, დავითმა შეიპყრო და, მისი რვა ძით და მთელი სახლობით, „მხევალთა და სძალთა“ თანხლებით, „გადაასახლა“ აფხაზეთს.

მაშინვე ანისის მთავარი ლავრის გუმბათიდან ის ვერცხლის „ნალი“ ჩამოაგდებინა ქართველთა მეფემ, მის ადგილზე ახალი ძვირფასი ჯვარი აღმართა და ააბრწყინა, და მიზგითად ქცეული ტაძარი, თვითონ სომეხთა კათალიკოსს ხელახლა აკურთხებინა, სომხურ-ქრისტიანულად.

ანისის კათოლიკე ტაძარში დედოფალი კატრონიკე ემარხა — თვითონ ამ ტაძრის აღმშენებელი ბერძენი ქალი. დავით მეფე, ქართველთა და სომეხთა ბრწყინვალე ამალით იმ მფლავს მიადგა და სამგზის ჩასძახა:

„გიხაროდენ შენ, წმიდაო დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ხელთაგან“.

მაშინვე ხმა გამოვარდა დ განიბნა ხალხში: „დედოფალმაც, „მკუდრისა ძუალთა საფლავით“, ამოსძახაო ქართველ მეფეს პასუხად, სამჯერ: „დიდებაა ღმერთსა!“

და წერდა აღტაცებული სომეხი მემატიანე:

„განთავისუფლდა მონობისაგან სატახტო ქალაქი ანისი“;

„და იქმნა სიხარული ყოველსა სახლსა სომეხთასა“.

„და იყო დავით მეფე წმიდა და სათნო ყოვლად შემკული ღმრთის მოსავობით და კეთილი სამართლიანობით. იგი გამოუჩნდა შემწყნარებელი და მოყვარული სომეხთა მოდგმას“;

„დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით ექცეოდა მას სომეხი ხალხი“.

ანისის დასაცავად დავითმა „დაუტევნა აზნაურნი მესხნი“, ქალაქისა და მისი მიმდგომი ქვეყნების გამგებლობა და პატრონობა კი, ჩააბარა ქართველ დიდებულებს — აბულეთსა და მის შვილს ივანეს.

კვლავაც იმავე 1123 წელს, ანისის აღებისა და შემოერთების კვალდაკვალ, დავით მეფე გაეშურა სამხრეთ სომხეთში, თურქთაგან გაათავისუფლა და თავის სამფლობელო სამანებში მოაქცია ვანანდის, არარატის, ხაბანდისა და არცახის ქვეყნები.

მაშ, სრულიად („ყოველი“) სომხეთი კვლავაც სრულიად („ყოველი“) საქართველოს სამანთა შიგნით მოქცეულიყო. ამ ორი ძველთაძველი ცივილიზებული ერის ტრადიციული „ერთობილი ყოფნა“, უძლიერესი ქართველი ხელმწიფის ხელით, უმტკიცეს საძირკველზე აღდგენილიყო.

სომხეთის შემოერთების შემდგომ, ისევ დასჭირდა დავით აღმაშენებელს „ხელახალი მოვლა“ შირვანისა — „ხელახალი“, ანუ, უფრო ზუსტად — „ახლებური“. შირვანიდან მოსულმა ახალმა ამბებმა მეფე დაარ-

წმუნა, რომ ამ ქვეყნის სრულად შემოსამტკიცებლად ოდენ „ყმადნაფიცობა“ აღარ კმაროდა. აქამდე კვლავაც გაუნელებლად მძლავრობდა თურქული ორიენტაცია შირვანში. სწორედ ეს „ორიენტაცია“ უნდა მოშლილიყო ერთხელ და სამუდამოდ, და ამიტომ დავითმა, 1124 წელს, ერთხელ კიდევ დასძრა ჯარები კასპიისაკენ.

მივიდნენ და მისვლისთანავე, ერთხელ კიდევ აიღეს ქართველებმა შამახია, სატახტო შირვანისა. შამახიას ბირიტი მიაყოლეს და, ბოლოს, კავკასიის უკიდურეს აღმოსავლეთით, ცისა და ზღვის ებგურად აღმართული დარუბანდი დაიჭირეს და დაიმკვიდრეს დავითის მეომრებმა.

ქართველმა მეფემ შირვანის ციხე-ქალაქებში კახთა და ჰერთა ძლიერი ციხიონები ჩააყენა, ხოლო „განმგებლად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა“ დავითმა დაადგინა საქართველოს მაშინდელი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ს ე მ ო ნ ი, სახელოვანი გიორგი ჭყონდიდელის დისწული, მისი „მიმსგავსებული“, „კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი“, რომელსაც ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსობასთან ერთად ეპყრა ალავერდის მღვდელმთავრობაც და ამიტომაც „დამატებით“ იწოდებოდა „ბედიელ-ალავერდელად“.

მაშ, ახლა, ვითარცა სომხეთი, სრულიად („ყოველი“) შირვანი კვლავაც სრულიად („ყოველი“) საქართველოს სამანთა შიგნით მოქცეულიყო.

დავით აღმაშენებლის ვრცელ ტიტულატურას ამიერიდან ემატებოდა — „შირვანშაჰ“.

„და განაგო მეფემან (ამ „ქართველმა შირვანშაჰმა“!) ყოველი საქმე შირვანისა, აღავსნა კეთილითა და საბოძვარითა ქურდნი, ლეკნი და თარასნი“, და შემდგომად ამა სიქველეთა მობრუნდა ქართლად.

და მისი ახლანდელი სრული ტიტულატურა — „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშაჰ და შაჰინშაჰ და ყოველისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობით მფლობელი“.

დავიწყებას მისცემოდა ბიზანტიური თიკუნები — „მაგისტროსი“ თუ „სებასტოსი“, „პროედროსი“ თუ „კურაპალატი“. ის, რაც მანამდელ ქართველ ხელმწიფეებს დიდ პატივად და წყალობად მიეჩნიათ, ახლა დავით აღმაშენებელს ასეთ „წყალობას“ ვინ შებედავდა! თუ მაინცა და მაინც, თვითონ დავითი უწყალობებდა ბიზანტიის კეისრებს ქართულ თიკუნტიტულებს — „ერისმთავარს“ თუ „მამასახლისს“, „თავადს“ თუ „მამფალს“.

დავითი ახლა დედამიწაზე უძლიერესი ხელმწიფე იყო. მისი მოთავეობით წარმართულმა ოცწლიანმა ომებმა თავისუფლება არგუნა არა მხოლოდ ქართველ ხალხს, არამედ სრულიად კავკასიას, ამიერ-იმიერ ყველა ხალხს. დავით აღმაშენებლის გონებისა და მკლავის მადლით, ქართველი ხალხის წინამძღოლობით შექმნილიყო ერთიანი სახელმწიფო სრულიად („ყოველი“) კავკასიის ხალხებისა.

სახელმწიფო ესე, სრულად გაშლილიყო ორ, ერთმანეთისგან დაწყვეტილ („გულდაწყვეტილ“) ზღვათა შორის — ნიკოფსიითგან დარუბანდამდის“ (დასავლეთ-აღმოსავლეთი) და „ოვსეთიდგან არეგაწამდის“ (ჩრდილოეთ-სამხრეთი).

კავკასიური „იმპერია“ — შექმნილი ქართველი ხალხის მძიმედ დაღვრილი სისხლის საფასედ.

ქართველებთან ამ „იმპერიას“ სახელი — „საქართველო“.

ქართველებთან ერთად, აქ თავს იყრიდნენ: სომეხნი, შირვანდელნი, ჭურთნი, ლეკნი, თარასნი, ძურძუკნი, ოვსნი, ღილღვნი, ყივჩაყნი, აფსარნი (ჩერქეზნი), ჯიქნი (უბიხნი)...

ათეულობით „დიდი“ და „მცირე“ ენა ჰყვაოდა დავით აღმაშენებლის „იმპერიაში“, მაგრამ არცერთი ყვავილი არ დაუჭკნია და არ დაუჩაგრავს ჩაღალკულტურულ და მაღალზნეობრივ ქართველ გვირგვინოსანს.

ათეულობით რელიგია, რელიგიური სექტა და თავისუფალი ერესი ჰპოვიქცეოდა დავითისეულ ქრისტიანულ „იმპერიაში“, და ყველა, უკლებლივ და სწორპატიობით, შეწყნარებული და ნებადართული სუნთქავდა და სუფევდა, გულდანდობილი სუნთქვით და სუფევით.

ასეთი იყო დავითის სახელმწიფო — მანამდე გაუგონარი, უწინამორბედო „იმპერია“.

დიახ, „იმპერია“, ლათინთაგან განსმენილი ეს ძველი სახელი, ყოველთვის გულისხმობდა ერთ სახელმწიფოში მრავალი სხვადასხვა წარმომავლობის ხალხთა თავის მოყრას; მაგრამ აქამდე ყოველთვის, ყოველი „იმპერიული თავის მოყრა“ მაინც და მაინც ერთი ხალხის ძალადობა-ბატონობაში ვლინდებოდა დანარჩენ „თანაშეყრილ“ ხალხებზე.

ამნაირი „იმპერია“ კი — დავითს რომ ჰქონდა — სწორედ ნარუქი იყო, სრულიად ახალი, უწინამორბედო („უპრეცედენტო“).

სწორედ ნარუქობა იყო ეს — სახელმწიფო არა მხოლოდ მრავალეროვნულობა, არამედ მასთან, აუცილებლად და გარდუვალად, ყოველი ტომისთვის თანასწორუფლებიანობა, ყოველი სარწმუნოებრივი სინდისისთვის შემწყნარებლობა.

დაე, იყვნენ ერთად, თანასწორად და განუყოფლად კავკასიელნი, ისე ვითარცა ერთიანი და განუყოფელი არის თვითონ კავკასიონი!

ასეთი იყო ნება დავით აღმაშენებლისა.

და, ვაი იმ ქართველს, ვინც ამ მრავალფეროვანი ეროვნულ-რელიგიური, კავკასიური სიმფონიისა და ჰარმონიის დარღვევას შეეცდებოდა!

მაგრამ სახელმწიფო ესე — მაინც იყო უწინარესად საქართველო, — და, ვაი იმასაც, ვინც საქართველოს შიგნით თუ საქართველოს გარეთ ქართველობის სამტროდ და სავნებლად ხმალსა თუ ხმას დასძრავდა!

დავით აღმაშენებლის საქართველოში იმდენი ენა ჰყვაოდა, რამდე-

ნიც ტომი ცხოვრობდა, მაგრამ საერთო-სახელმწიფოებრივი ენა, „ნიკოფსიითგან დარუბანდამდის“, მაინც უნდა ყოფილიყო ქართული ენა.

ქართული ენა საქართველოში უნდა სცოდნოდა ყველას — ქართველსაც და არაქართველსაც. ეს პატივიც იყო, სინდისიც და მოვალეობაც.

ამიერიდან სრულიად კავკასიისათვის და წინა აზიისთვის ქართული ენა ისეთივე დომინანტურ და კულტურულ ნიშანსვეტად იქცევა, როგორც ჰელლინთა ენა ალექსანდრე მაკედონელის დროინდელ ევრაზიაში.

იქ — „ჰელინიზმი“ იყო.

აქ — „ქართლიზმი“.

პირველის დემიურგი — ალექსანდრე მაკედონელი.

მეორის შემოქმედი — დავით აღმაშენებელი.

(ორი, სხვადასხვა დროის — „მონოანთროპოს“)...

ამ თვალთახედვით, ალექსანდრე მაკედონელი მაინც გაცილებით უკეთეს და ხელსაყრელ მდგომარეობაში იყო, ვიდრე დავით აღმაშენებელი. ალექსანდრეს მისი „ჰელინიზმისათვის“, — რაც ევროპიდან აზიაში ჰელინური ცივილიზაციის გატანა-გავრცელებას გულისხმობდა — ნიადაგი დიდი ხნის მომზადებული დახვდა — მთელი ათასი წლის ნამზად-ნაპოხი ნიადაგი. ეს იყო თვითონ იგი, ჰელინურ-ბერძნული ცივილიზაცია, — თვითონ ჰელადა-საბერძნეთი, გეოგრაფიულად — ევროპის კუდის რიკი, ხოლო სულიერ-კაცობრიულად — უზენაესად გენიალური, დანარჩენი მსოფლიოსათვის სანიშანსვეტო.

„დანარჩენი“, მაშასადამე არაბერძნული, იგივე უცხოური, ანუ პირდაპირ ბერძნულად — „ბარბაროსული“.

და, მთელი ათასი წლის მანძილზე, ალექსანდრე მაკედონელის „ცით მოვლინებამდე“, ჰელადა-საბერძნეთი თავისთავად წარმოადგენდა თავისი უზენაესი ნების „ს უ ბ ი ე ქ ტ ს“ მისგანვე „ო ბ ი ე ქ ტ ა დ“ გააზრებული დანარჩენი, უცხოური ანუ „ბარბაროსული“, მსოფლიოს მიმართ.

ამიტომ ალექსანდრესთვის გაცილებით უფრო ადვილი აღმოჩნდა, ხმლით გაეკეთებინა ის, რაიც გონებით უკვე დიდიხნის გაკეთებული ჰქონდა თვითონ ჰელადას. მას შეეძლო (და შეძლო) ხმალზე დაელაგებინა ჰელინური სულის მონაპოვარნი — ჰომეროსიდან დაწყებული, მისივე მასწავლებლით, არისტოტელეთი დასრულებული — და ასე, ხმალზე ატაცებული, გაეტანა და განევრცო საბერძნეთიდან ინდოეთამდე, სრულიად მსოფლიო, „ბარბაროსულ ობიექტზე“ განფენილობით.

ხოლო, კავკასია არასოდეს არ ყოფილა „სუბიექტი“ დანარჩენი სამყაროს მიმართ. პირიქით კი იყო ყოველთვის — განუწყვეტელი „ობიექტი“ ყოველ დროში, ყოველის მხრიდან მოიერიშე სწორედ „სუბიექტური“ ძალებისათვის. უფრო მეტიც: კავკასიას „სუბიექტობა“ არც კი უც-

დია, — იგი მხოლოდ იბრძოდა უცხოურ „სუბიექტურ ძალთა“ მოსაგერიებლად და ეს ბრძოლა, უკეთეს შემთხვევაში, მოგერიების ფარგლებს არ შორდებოდა და იგი, როგორც „მარადიული ობიექტი“, კვლავაც ოდენ „ობიექტად“-ღა რჩებოდა. ეს იყო და ეს.

ახლა კი დასდგომოდა კავკასიას დრო „სუბიექტობისა“, — დავით აღმაშენებელს დაეყენებინა ასეთი დრო, სულ პირველად, უწინამორბედოდ, ნარუქად.

ამიერიდან მას, კავკასიას, შეეძლო ეკარნახა თავისი სიტყვა და განევრცო თავისი ნება — აწ მისგანვე „ობიექტად“ ნაქცევ დანარჩენ ცისქვეშეთზე, პირველ ყოვლისა წინა აზიაზე.

იწყებოდა ახალი ერა კავკასიის ისტორიაში — ერა კავკასიური და უწინარესად ქართული ცივილიზაციის კონტრმიგრაციისა, აქამდე სწორედ კავკასიის და, განსაკუთრებით, საქართველოს მიგრაციულ ათვისებაზე დახარბებული ქვეყნების მიმართ.

დიახ, უკვე თავის სიტყვას ამბობდა შუბლი დედამიწისა.

სიტყვა იგი, ანუ ლოგოსი „ღმრთისა თანა“ („პროს ტონ თეონ“, „აპუდ დეუმ“) — იყო „ქართლიზმი“.

და შეჯირვებულიყო თურქიზმი ქართლიზმის ასე ერთბაშად აღზევებით, აზია–ევროპის გზასაყართა შინა.

თურქობა სელჩუკის მოდგმისა, — რომელსაც აქამდე არ ეგემნა სიმწარე მარცხისა და უკუქცევისა, — რომელსაც თვით სრულიად ევროპის ჯვაროსნული მიგრაციების წინაშეც ოდნავ ნირიც არ შეუცვლია — ერთბაშად დააშინა და დაიჯაბნა სწორედ ჩრდილოეთიდან მიმძლავრებულმა ქართულმა სულმა და ხმალმა.

ქედი დაედრიკათ წინა აზიის მაჰმადიან მბრძანებლებს ქართველი ხელმწიფის წინაშე, — „არავინ წინააღუდგა მას, რამეთუ თვით სულტანი მუნ, სადა იყო, ძრწოდა შიშისაგან მისისა, და არცაღა თვით ძუელად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა ჰგონებდა თვისად ქონებად, არამედ რაოდენცა შორს იყო, აგრეცა ეოცებოდა (ეჩვენებოდა) მძინარესა შიში და მღვიძარესა სიკუდილი“.

და, ბოლოს და ბოლოს, რაკი საქართველოს მოსისხლე მაჰმადიანი გვირგვინოსნები დავით აღმაშენებელთან ვერარას გახდნენ, ისღა დარჩენოდათ, რომ ისინი „ზედას ზედა წარმოავლენდის მოციქულთა ძღუენითა დამშვიდებად პირსა მისსა. რამეთუ წარმოსცნის საჭურჭლენი მძიმენი, ტურფანი, მრავალფერნი, მფრინველნი და ნადირნი უცხონი და ძვირად საპოვნელნი, და ეძიებდა მშვიდობასა და სიყვარულსა“ დავით აღმაშენებლისა.

დავითმა ხომ საერთოდ — „დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი... მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტუერად დასხნა სპარსელნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი“, მაგრამ თუნდაც ყოველ

შაჰმადიან ამირას, ბეგსა თუ ათაბეგსა ნურად ჩავაგდებთ და თავი დავანებოთ, — ქართველთა მეფემ თვითონ „სულტანი დასუა მოხარკედ თვისა, ხოლო მეფე (კეისარი) ბერძენთა (ბიზანტიელთა) ვითარცა სახლეული თვისი... მრწემად მოიყვანნა მეფენი, ხოლო მონად ხელმწიფენი“...

მაშ, დაეწყო დავითის კავკასიურ იმპერიას მსოფლიო „სუბიექტის“ როლის თამაში, — საქართველოს წინამძღოლობით, „ქართლიზმის“ განსახებით.

შვენოდა კიდეც:

კავკასიონი — ვერცხლის შუბლი დედამიწისა!

შუბლი-მეთქი! („მეტაპონ“, „ფრონს“).

„მთათა მეფე — კავკასიონი“ (ეს კი ესქილეს სიტყვებია).

კავკასია!

მსოფლიო ჯადო სუფევს ამ სახელდებაში, — ამ, თითქოს, მართლაც მსოფლიო, თუ „აბსოლუტური სულის“ მქონე ლოგოსში.

არ უნდა იყოს შემთხვევითი არც ის, რომ თუნდაც დავით აღმაშენებლიდან შვიდასი წლის შემდგომ, სწორედ მსოფლიო სულის გენიალური ჰაშნაგირი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი იტყვის ბეჯითად: „მხოლოდ კავკასიელ ხალხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ ერთიანობას საკუთარ თავთან, აბსოლუტურ დამოუკიდებლობას, აღწევს თვითგამორკვევას, თვითგანვითარებას და ამით წინ მიჰყავს მსოფლიო ისტორია... მსოფლიო ისტორიაში პროგრესი მხოლოდ კავკასიის რასის წყალობით მოხდება“.

დავით აღმაშენებლის დრო იდგა და უკვე, „შვიდასი წლით ნაადრევად“, მიეღწია კავკასიას „აბსოლუტური ერთიანობისთვის“, „აბსოლუტური დამოუკიდებლობისთვის“, „თვითგამორკვევისთვის“, „თვითგანვითარებისთვის“, და უკვე კიდეცაც „წინ მიჰყავდა მსოფლიო ისტორია“ ამ უცნაურ „კავკასიურ რასას“.

თუმცა, ეს „მრავალმხრივი აბსოლუტიზმი“ ჯერჯერობით წმინდა პოლიტიკურ შინაარსს ატარებდა. მაგრამ უკვე მკაფიოდ და სახოვნად დაწყებულიყო სულისმიერი „აბსოლუტიზმიც“...

დაწყებულიყო...

შუბლსა ზედა დედამიწისასა...

გაენათი — ნათებად მეორე ცისად

დიახ, დავითის ხმალი მხოლოდ იმისთვის როდი იძვროდა, რომ მის პატრონს უბე ოდენ მტრის სისხლით სავსე ეტარებინა.

იმ უბეში უწინარესად დიდი კულტურული გული ფეთქავდა.

და დავით აღმაშენებელი ახალ კულტურულ საფეთქელს უშენებდა შუბლსა დედამიწისასა.

სახელი იმ საფეთქელისა — გაენათი, ანუ გელათი.

გელათი, — სადაც „მოიგონა აღშენება მონასტრისა“ დავით მეფემ, საქართველოს ძველი სატახტოს, უხუცესი ქართული ქალაქის, ქუთათისის მახლობლად.

თითქოს, მართლაც, გელათი, ახალი სავანის ასაშენებლად მეფის სულში დაჰბადა „მადლმან საღმრთომან“, და დაიწყო კიდეც მშენებლობა — „ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა“.

დაიწყო 1106 წელს, როცა დავითი იყო 33 წლისა.

დაიწყო, აღაშენა და აღმართა „ვითარცა მეორე ცაჲ“.

სწორედ — „ვითარცა მეორე ცაჲ გარდააართხა ტაძარი“ ღვთის მშობლის სახელობისა.

ტაძარი — „რაბამ რამე აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა“.

ტაძარი, — რომელიც სიმშვენიერით „ჰმატს შუენიერებასა ყოველთასა“, და „სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა, და მოქმნულობისა შეუსწორებლობითა“.

აღაშენა მეფემ ტაძარი და „აღავსო სიწმიდეთა მიერ პატიოსანთა ნაწილთა წმიდათასა, და წმიდათა ხატთა მიერ და სიწმიდისა სამსახურებელთა ყოვლად დიდებულთა და სხუათა ნივთთა ძნიად საპოვნელთა“.

მაგრამ გელათი არ იყო მხოლოდ ტაძარი, თუნდაც, ვითარცა ახალი, „მეორე ცაჲ“.

არამედ მთავარი ის იყო, რომ დავით აღმაშენებელმა გელათში ერთდროულად აღაშენა მთავარი ტ ა ძ ა რ ი-პ ა ს ტ ო ფ ო რ ი ო ნ ი ც და ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ა კ ა დ ე მ ი ა ც.

და ამიტომ, დავითის ღვაწლით, გელათი „აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“...

მაშ, — „მეორედ იერუსალემად“ და „სხუად ათინად“.

მაშ, — გელათს ერთდროულად აშენებულა ახალი იერუსალემი და ახალი ათინა — ერთად, ერთმანეთის გვერდით, გნებავთ — ერთმანეთის მარჩბივად.

ხოლო, მარჩბივობა იერუსალემისა და ათინისა გარდუვალად (უვარიანტოდ!) გულისხმობს რელიგიისა და მეცნიერების, ან სასულიერო და საერო-სამეცნიერო აზროვნებათა ერთიანობასა და ერთსხეულიანობას.

ესეც სრულიად ახალი, ნარუჭი, ანუ უპრეცედენტო, უწინამორბედო „გამოცხადება“ დავით აღმაშენებლისა.

სწორედ ნარუჭობა იყო, რამეთუ აქამდე მსოფლიო ცივილიზაციის

ისტორიას არ მოსწრებია ასეთი „შეხმატკბილება“ იერუსალემისა და ათენისა, ანუ ბიბლიური და ჰელინური აზროვნებითი ფენომენებისა. „ხმატკბილობანი“ და „სიმფონიები“ კი არა, თავიდანვე ერთმანეთს კიდევაც გამორიცხავდნენ სიონიზმი და არეოპაგიზმი, სოლომონის ტაძარი-„დვრიმოთალიკონოს“ და პლატონის ჰადართა ხეივანი — „აკადემია“. შემდგომაც, ქრისტიანობის მობრძანებისა და დამკვიდრების კვალობაზეც კვლავ კრიჭაში ედგნენ ერთმანეთს იერუსალემი და ათინა. 529 წელს, ბიზანტიის კეისარმა იუსტინიანემ ათენის უნივერსიტეტი სულაც დაბურა და სასულიერო-ქრისტიანული და საერო-მეცნიერული მსოფლიო ცენტრების ჰიდილი ვითომ ამით მოათავა და მოინელა, რასაკვირველია, ქრისტიანული იერუსალემ-კონსტანტინოპოლის სასარგებლოდ.

მას შემდეგ გავიდა 580 წელიწადი და ახლა ქართველთა მეფე აარსებდა საქართველოში „სხუა“, ანუ ახალ ათინას, თანაც იერუსალემის ჯიბრზე კი არა, არამედ სწორედ მასთან სწორპატიობით და უფრო მეტიც — ორივეს შერწყმით და შეერთებით.

ტაძარი და აკადემია!

სჯული და სული, ანუ რწმენისმიერ და სამეცნიერო-სახელოვნებო ფენომენთა შეთანხმება და შეერთება.

სხვანაირად — გონებისმიერ (ფენომენალურ) და გონებისმიღმიერ (ნოუმენალურ) ძიებათა თავმოყრა.

ისევ — საკუთრივ მეცნიერული სწავლა, ხელოვნება და მათთან კავშირში — რელიგიურ-მისტიკური სასწაულთმცოდნეობა.

და კიდევ ერთი ნარუქობა დავით აღმაშენებლისა: გელათი, ეს „ახალი იერუსალემი და ათინა“, ცხადდებოდა არ მხოლოდ ადგილობრივ, საქართველოს, არამედ „ყოვლისა აღმოსავლისა“, ანუ აზიური მსოფლიოს „სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად“.

სწორედ „მოძღურად“ მსოფლიო „სწავლულებისად“, — და ამით გელათი უნდა ყოფილიყო პირველი კულტურული ცენტრი საქართველოდან (საქართველოდან-მეთქი, და არა ოდენ საქართველოში), რომელსაც უნდა გადაელახა ის, ასე თუ ისე, ლოკალური საზღვრები, რომლებიც ზედმეტ-ნაკლებად გააჩნდათ მანამდე საქართველოში თუ საზღვარგარეთ დაარსებულ ქართულ კულტურულ კერებს.

მაშ, შენდებოდა გელათი — მისი ტაძარი, მისი აკადემია — და მეფე თვითონ იყო ორივეს მთავარი ხუროთმოძღვარიც, ხელოვანი ქვისმთლელიც და ოფლადღვრილი ქვათამტვირთველიც.

იმთავითვე ითხზვებოდა ლეგენდები მეფე-ტიტანის გასაოცარ შრომასა და ოფლისთხევაზე, ღვთაებრივ ძალ-ღონესა და გარჯით განსპეტაკებულ ზნემაღალ სულზე.

თითქოს, ღმერთები — აპოლონი და პოსეიდონი მიათრევდნენ და „მიაფრენდნენ“ მეგალითებს მათგანვე მშენებარე ტროას კედლებზე.

უკვე განსმენილიყო ხმა ქვეყანაზე: გელათის ტაძრის ფუძეში რომ ორი უზარმაზარი ქვის ლოდია (თითო, დაახლ. სამი ტონა!), ის ქვები მდინარე წყალწითელადან ტაძრამდე ამართულ აღმართზე თვითონ დავით მეფემ აიტანა თავისი ზურგითო... არა, იღლიებში ჰქონდა აქეთ-იქით ამოჩრილიო... არა, აქეთ-იქით კი, მაგრამ, მხრებზე ელაგაო... არა, თითოთითოდ აიტანა, მაგრამ ისე, ცალი ხელით რომ ის ქვა ეჭირა, მეორე ხელით წვერ-ულვაშს ივარცხნიდაო... გაიძახდა მეოთხე, მეხუთე, თუ... მესამე...

და კიდევ: ეშმაკი უშლიდა ხელს თურმე დავით მეფეს გელათის მშენებლობაში; და რაკი იმ სატანამ არ იქნა და სატანობა არ დაიშალა, — დაუდარაჯდა ერთ დღეს დავითი, დაუდარაჯდა და დაიჭირა „მისი ხელის მცარავი“ ეშმაკი იგი. ეშმაკმა, — როგორ თუ დამიჭირაო და, უმალვე ჯორად იქცა; დავითმა, — ჯორად იქცაო? აგრე არ უნდაო და მაშინვე პირში ლაგამი ამოსდო, ზურგზედ მოახტა, გააჭენ-გამოაჭენა და ასე ჭენებაში დაიურვა დავით მეფემ ეშმაკი იგი...

უფრო გვიან, ხალხი „ხალხურად“ მოინებიებს, ყოველი დიდი აღმშენებლობა სამი დიდი ხელმწიფის — ვახტანგის, დავითის და თამარის სახელებს დაუკავშიროს. ერთი ლეგენდა დავითს გელათის, მცხეთისა და მარტვილის აშენებას მიაწერს: დავითს მფრინავი რაში ჰყავდაო, ელვასავით დაჰქროდა და დაჰფოფინობდა სამივე ტაძარს; ერთს შესძახებდა მეფე: „ჰეეო!“ — და სამგანვე ერთად დაფრინდებოდა და დაიდგმებოდა ქვები მეფისგანვე დათქმულ ადგილზე (აქაც: სწორედ ისე, როგორც ღმერთები „დააფრენდნენ“ ქვებს ტროა-ილიონის კედლებზე)...

მთავარი ტაძრისა და აკადემიის გარდა, გელათის ხუროთმოძღვრულ ანსამბლოვანში შედიოდა კიდევ ერთი ნაგებობა, ნაშენები კვლავაც დავითისაგან, ვითარცა ჭეშმარიტი განსახება „კაცთმოყვარებისა თვისისა“— ეს იყო „ქ ს ე ნ ო ნ ი“, ბერძნული გააზრებით — „სასტუმრო“, ადგილზე გადაწყვეტით — „სადგომი“ და „სამკურნალო“ ავადმყოფთათვის, საპყართა და დავრდომილთათვის, რომელთაც გამორჩეული გულისყურითა და მზრუნველობით ეპყრობოდა თვითონ ხელმწიფე, გულმოწყალე და დიდსულოვანი. ყოველივეს „უნაკლულოდ და უხუებით“ გაიღებდა დავითი, რაიც კი სნეულთა, ტანგანრღვეულთა და სულით დაცემულთა ფეხზე დასაყენებლად გახდებოდა საჭირო. თვითონ მიდიოდა იგი „ქსენონში“ ავადმყოფთა მოსახილველად, ყველას თითეულ მოიკითხავდა, ყველას მიუალერსებდა, გადაკოცნიდა, ყველას „აფუფუნებდის მამებრ“, გაამხნევებდა, მსწრაფლ გამომთელებას უნატროდა, საკუთარი ხელით გასინჯავდა და შეამოწმებდა ყოველი ცალკე ავადმყოფის სამოსელს, საწოლ-საგებელს, სალუკმაპურო პინაკ-ჭურჭლეულს და საერთოდ ყოველი სახმარი ნივთის ვარგისიანობას...

კვლავ მოვუბრუნდეთ აკადემიას, ახალ, „გელათურ ათინას“, რომელმაც მის მარჩბივის ცალთან, „მეორე იერუსალემთან“ ერთად — უნდა

აღასრულოს სულიერი მოძღვარის როლი სრულიად, ანუ „ყოვლისა აღმოსავლისა“ მიმართ.

ჯერ, დავითმა სრულიად გელათს, ორივეს ერთად — აქაურ „იერუსალემსაც და ათინასაც“, მთელს მათ მოსაქმე, მოღვაწე და მომსახურე ხალხს სარჩოდ, საცხოვრებლად, „საზრდელად“ აჩუქა „მამული ლიპარიტეთი“ — უკვე გადაშენებულ ბაღვაშთა საგვარეულოს ნაქონები კლდეკარის საერისთავო, და მასთან კიდევ „მრავალთა სოფელთა თანა“ მითვლით.

ეს, — რაც შეეხებოდა ხორციელ საარსებოთა უზრუნველყოფას.

ხოლო, მთავარი, რაისთვისაც უნდა ეარსება და ეცხოვრა გელათს...

აი, დავით აღმაშენებელმა დაუცხრომელი ძიებით იძია და გამოიძია („იძინა და გამოიძინა“) მოღვაწენი გელათისათვის. აქ მოიყვანა და „შემოიკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლისა სათნოებითა“. თანაც, მეფეს გელათს მოჰყავდა არა მხოლოდ ქართულ „სამეფოთა შინა პოვნილნი“, არამედ, სადაც კი საქართველოს გარეთ, „ქუეყანისა კიდეთ სადაცა“, ქართველი კაცის ნიჭიერება, განსწავლულობა, ღვაწლმოსილება, „სიწმინდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა“ შეიტყო („იძინა და კეთილად გამოიძინა“) — ყველანი მოიწვია, „მოიყვანნა და დაამკვიდრნა მას შინა“ — გელათს.

ახლა, ვინ უნდა ყოფილიყვნენ, სახელდობრ ის ღირსეული მოღვაწენი, დავითს რომ თანამედროვეთა შორის ასე გულმოდგინე „ძინება-გამოძინებით“ გამოეძია, მოეწვია, მოეყვანა და დაემკვიდრებინა გელათს სამოღვაწეოდ?

პირველი „გელათური წვევა“ მაშინდელ ქართველ მოაზროვნეთაგან უნდა მიეღო სწორედ ყველაზე დიდსა და უპირველესს.

ეს იყო ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ო ნ ე ლ ი — ჰეშმარიტი სიდიდე და მშვენება ქართული ფილოსოფიური სამყაროსა.

დრო მისი ცხოვრებისა — XI საუკუნის მეორე ნახევარი და XII საუკუნის პირველი მეოთხედი. დრო დიდი დავით აღმაშენებლის ზეობისა.

წარმომავლობით, სამხრეთ-ქართველი, მესხი უნდა ყოფილიყო. სხვაბრე — არც გვარი, არც მშობელი ოჯახი და ადგილის დედა არავინ იცის.

ისიც, მრავალი ქართველი კულტუროსანის მსგავსად, ყრმობითვე კონსტანტინოპოლს აღიზარდა, ბერძნული ენისა და აზროვნების წიაღში. სწავლობდა და დიდის წარმატებით დაასრულა მანგანის მონასტერთან დაარსებული (კონსტანტინე მონომახოსმა რომ დააარსა) აკადემია, მთელ მაშინდელ მსოფლიოში განთქმული უმაღლესი სასწავლებელი. მისი მასწავლებლები იყვნენ — ჯერ, მ ი ქ ა ე ლ პ ს ე ლ ლ ო ს ი, მერე — ი ო ა ნ ე ი ტ ა ლ ო ს ი, იმჟამინდელი ბიზანტიური რენესანსის კლასიკოსები.

„რენესანსი“ კი, ანტიკურ-ელინურ ფილოსოფიურ მიმდინარეობათა „აღორძინებას“ გულისხმობდა, — ძირითადად პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებათა „გადამოძღვრებას“, ახალი სახელით — ნ ე ო პ ლ ა ტ ო ნ ი ზ მ ი, რომლის მთავარი წარმომადგენელი, ანუ თავისებური ხიდი ანტიკურ ფილოსოფიასა და XI—XII საუკუნეთა ბიზანტიურ რენესანსს შორის იყო V საუკუნის ფილოსოფოსი პ რ ო კ ლ ე დ ი ა დ ო ხ ო ს ი, მისი თხზულებით — „კავშირნი ღმრთისმეტყველებისანი“.

ნეოპლატონიზმმა თავისებურად შუამავლისა და შემრიგებლის როლი იტვირთა ანტიკურობასა და ქრისტიანობას შორის. ქრისტიანული დოგმატიკა, რომელიც აქამდე არა გონებით, არამედ ოდენ „გამოცხადებაზე“ მინდობით და სასწაულებრივი რწმენით აღიქმებოდა — ახლა, ამ „ახალი პლატონიზმით“ უკვე გონებით, ანუ რაციონალისტური შემეცნება-დასაბუთებით განიხილებოდა. ამიერიდან, ასე ფილოსოფიურ-შემეცნებითი გზით უნდა დასაბუთებულიყო ქრისტიანიზმის დოგმატიკური სიმბოლონი — ღმერთი, ერთარსება, სამპიროვანი და აბსოლუტი.

ასეთი რწმენით დოგმატიკაში რაციონალისტური ფილოსოფიისა და კრიტიკული მეთოდოლოგიის შემოტანა ბიზანტიის ოფიციალურმა სასულიერო და საერო საჭეთმპყრობელობამ ერესად მონათლა და უმალვე ამ „ახალი ერეტიკოსების“ დევნაც გამოაცხადა.

პირველ რიგში დევნილი და რეპრესირებული აღმოჩნდა მანგანის აკადემიის ყველაზე აქტიური ნეოპლატონიკოსი, იოანე იტალოსი, და მასთან მისი მოწაფენი და მიმდევარნი.

დევნილთა შორის აღმოჩნდა იტალოსის, როგორც ჩანს, ყველაზე თვალსაჩინო მიმდევარი, მისი „პირველი მოწაფე“, მისი სახელმოდგამი— იოანე ქართველი, რომელიც ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა, კონსტანტინოპოლი დაეტოვებინა და წასულიყო პეტრიწონს, გრიგოლ ბაკურიანის ძისგან დაარსებულ ცნობილ ქართულ სავანეში. იქ დაემკვიდრა საცხოვრებლად და სამოღვაწოდ. იქვე დაერქვა „პეტრიწონელი“, სამომავლო ისტორიისთვის ერთადერთ სახსოვარ ვვარსახელად.

თითქოს აქ, ქართველთა შორის უნდა ეპოვა მას სიკვდილამდე მყუდრო თავშესაფარი — ქართველთა შორის-მეთქი, მშობლიურ ძმათა, თანასისხლიერთა და თანასულიერთა წიაღსა შინა...

და დაჰყო აქ, პეტრიწონს პეტრიწონელმა, დაახლოებით ათ წელიწადს.

დაჰყო და... ვაი ამისთანა „დაყოფას“!

იყო კვლავაც დაუსვენარი, უფრო დაუსვენარიც, ვიდრე იქ, კონსტანტინოპოლს, სადაც სდევნიდნენ ბერძნებიც, ქართველებიც; აქ კი, პეტრიწონში — მხოლოდ ქართველები.

და ეს დევნა გაცილებით უფრო საძნელო და სამძიმო იყო.

რადგან ღევნა და მტრობა იგი — იყო ქართული...

კლასიკური ქართული დევნა — ქართველისა ქართველის მიმართ (და არასოდეს „საუცხოო უცხოელის“ მიმართ!).

ენდოგენურ შურზე დამყნილი ქართული მტრობა... მხოლოდ და მხოლოდ ქართველთა შორის...

და ჰგოდებდა იოანე პეტრიწონელი:

„ქართველთა და ბერძენთა შორის“, გინა „სენთა, უცხოებათა, და შურთა, და ვერაგობათა“ შინა ვიცხოვრეო. უარესი კი ისაა — სწორედ „ქართველნი თანადგომისა წილ და თქუნისა ესთა ვითარმედ, წმიდასა განგებასა ღმრთისასა კაცი ტომისაგან ჩუენისა უწარმოებია, ხელოვნებითაგან სულისათა დახელოვნებული, ხოლო ხედვათაგან გონებისათა გაგონებული. ვინაჲ თან დაუგეთ, ვაიძულოთ, ლმობითა მისთა უნუგეშინისოთ, ტკივილთა მისთა ვეწამლნეთ, დაფარულთა მისთა ცხადად ვემხარკნეთ, რაჲთა ვითარცა უცხოდ ბუნებისაგან წარმოარსებულსა მსგავსი და ნაცვალი მისი უშთინოთ, რამეთუ მედინისა ბუნებისა არს კაცი და, ჟამია რღვევისა მისისა, უცნაურობს. არ მოიქცნენ ესთა. არა რაჲ ვერ იგულისხმეს ქართველთა, ვითარმედ „ბრჭყალსა ჩემსა უმზირდეს სასაფრხოდ სულისა ჩემისად“. ვინაჲ ძვირთჱსაცა უძვირეს ესე, რომელ ორითა იპყრობვოდეს უმეცრებითა: პირველ — მარტივად უმეცნეობითა და სასწავლოთაჲთა, და კუალად მეორედ — თვით მის უმეცრებისა და უმეცრებითა, ვითარ იტყვის სოკრატ, რამეთუ ძნელ არს სენი, არამედ უფიცხლეს ძნელ არს უმეცრებაჲ სენისაჲ“.

მაშასადამე, ქართველებმა მე, ქართველს, იმის ნაცვლად რომ გვერდში ამომდგომოდნენ, გახარებოდათ მათი თვისტომის „სულიერ ხელოვნებაში“ დახელოვნება და გონების „ხედვაში“ ეგრერიგად „გაგონება“, ნუგეშინი ეცათ, გავემხნევებინეთ, ლხინი ლხინად აღექვათ და ტკივილი ტკივილად — ამის მაგივრად იმათ მტრობა და დევნა გამიჩაღეს. მაგრამ ვაი, რომ უვიცნი და უმეცარნი არიან ეს უბედურნი! ჯერ, მარტივად „სასწავლოთაჲთა“ უმეცარნი და, მერე, რაც მთავარია — საკუთარი უმეცრებისა უმეცარნი, — და სოკრატეც ხომ ამას ამბობდა: ავადმყოფობა ხომ ძნელია, მაგრამ უფრო ძნელია უმეცრება თვითონ იმ ავადმყოფობისაო.

და რომ მე ქართველები ასე მტრულად არ მომქცეოდნენ — განაგრძობდა გულნატკენი ფილოსოფოსი — მათგან რომ მტრობის მაგივრად რაიმე „თანასიყვარული და შეწევნაჲ“ მქონებოდა, მაშინ გენახათ, როგორ მე „ენაჲმცა ენისადა გამეწყო და ხედვაჲმცა ფილოსოფოსთა განცდისაჲ მეარისტოტელურა“!

და აი, ახლა უკვე გელათს მოეხმო და დაემკვიდრებინა „არისტოტელობაზე“ მეოცნებე და „გაუცხოებულ თანამემამულეებზე“ გულნატკენი დიდი ქართველი მოაზროვნე.

ახლა აქ ვარ, გელათს — წერდა. ბოლოს, პეტრიწონელი ბრძენი —

დავით მეფის „წყალობათა და თანადგომასა მინდობილი“, და ამ სიკეთისათვის თავს არ დავზოგავ, „შეძლებისამებრ და ძალისა“ შესატყვისადო...

ხოლო, მისი „შეძლებისა და ძალის“ ნაყოფი იყო მისი დიდებული შემოქმედება, ჯერ ფილოსოფიური:

ორიგინალური — „განმარტება პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისად“; პოეტური ტრაქტატი — „სათნოებათა კიბე“.

თარგმანები — ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“; პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყუელებისანი“; არისტოტელეს „ტოპიკა“ და „განმარტებისათვის“ („პერი ებმენია“).

ისტორიული — თარგმანი I საუკუნის ებრაელი ისტორიკოსის, იოსებ ფლავიუსის „მოთხრობანი იუდაებრივისა სიტყვადასაბამობისაჲ“ („იუდეიის სიძველენი“).

გრამატიკის სახელმძღვანელო (ჩვენამდე არ მოუღწევია).

რელიგიური — იოანე სინელის კლემაქსი („კიბე“); ჰაგიოგრაფიული ხაკითხავნი.

ორიგინალური საგალობლები, იამბიკონი; კვლევანი გრამატიკაში, ლიტურგიკაში, მუსიკაში, მათემატიკაში...

იჯდა გელათს, როგორც თვითონ გვაუწყებს — „კელინსა შინა გაენათისასა“ — ქართველი ფილოსოფოსი და განმანათლებელი, ქართველთა დევნისგან („კლასიკური დევნისგან“!) დასვენებული და ახალი „ქართლიზმის“ (გინა „დავითიზმის“) მშენებლობით დაუსვენარი...

● . . . . . .

იოანე პეტრიწონელთან უნდა დასახელდეს არსენ ვაჩეს ძე, „იყალთოელად“ წოდებული, თვითონ დავითის მემატიანისგან მოხსენიებული, ვითარცა „თარგმანი და მეცნიერი ბერძენთა და ქართველთა ენათასა, და განმანათლებელი ყოველთა ეკლესიათასა“.

მისი დაბადების წელი, ადგილი, ოჯახური წარმომავლობა და პირადი საწუთისოფლო თავგადასავალი არ შემორჩენია და არ შემოჰყოლია ქართველთა ზოგად ისტორიას.

ცხოვრების დრო, „ზოგადად“ — XI საუკუნის ბოლო მეოთხედი, XII-ის პირველი მეოთხედი.

პირად-ოჯახური, „უზოგადესად“ — სახელი არსენ, მამის სახელი ვაჩე (ესეც სავარაუდო), გვარი მაყაშვილი (ძალიან, ძალიან სავარაუდო).

ზედნადები გვარსახელი, „იყალთოელი“ — ესეც მუდმივ სავარაუდო: რა იყო მისთვის იყალთო — დაბადების ადგილი, სამოღვაწეო კერა, თუ ორივე ერთად?

სამაგიეროდ, და საბედნიეროდ, ისტორიაში უფრო სრულქმნილად დარჩა მისი გონითი ღვაწლმოსილება — ვითარცა მწერლისა, ფილოსოფოსისა, პიიტიკოს-ჰიმნოგრაფისა, სასულიერო და სამეცნიერო მოძღვრისა.

ეტყობა, მისმა საწუთისოფლო ბედისწერამ ისიც ყრმობითვე კონსტანტინოპოლს მოახვედრა. ბერძნულიც — ეს მაშინდელი მსოფლიო ენა — „მსოფლიო დონეზე" შეისწავლა. მერე, ისწავლა მანგანის აკადემიაში; დაასრულა დიდის წარმატებით; მისი მასწავლებლები იყვნენ მსოფლიოში განთქმული მოაზროვნენი — მიქაელ პსელლოსი და იოანე ნომოფილაქსი.

აკადემიის დამთავრებისთანავე, კონსტანტინოპოლიდან წავიდა სირიაში, შავ მთაზე და იქ, დიდ ქართულ საგანმანათლებლო სავანეში, ჩაერიცხა სახელოვანი ქართველი მოღვაწის, ეფრემ მცირის „მზრდელთა და მსახურთა" შორის. ეფრემმაც უმალვე იგრძნო და იცნო ახლადმოსული „ოქროს ჰიპელი" ქართველი ჰაბუკის სულიერ-გონებრივი ძალმოსილებანი, გვერდით დაისვა, ჯერ, მთარგმნელობით მწერლობაში გასაწაფავად. მაგრამ ეფრემი ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა (სამწუხაროდ, იგი დავით მეფის მომავალ, „გელათურ აღმშენებლობას" ვერ მოესწრება) და არსენიც მაშინვე (უკვე XII საუკუნის დამდეგს) დაბრუნდა ისევ კონსტანტინოპოლს, კვლავ მანგანის მონასტერში.

გაივლის კიდევ ათი-თორმეტი წელიწადი და მას დავით აღმაშენებელი ჩამოიყვანს საქართველოში. ჯერ ამოღვაწებს გელათში, მერე გაგზავნის იყალთოში და იქ დააარსებინებს ახალ უმაღლეს სასწავლებელს — იყალთოს აკადემიას; იქვე დარჩება არსენი მისგანვე დაარსებული „აკადემიის" მოძღვართმოძღვრად („რექტორად"), ხოლო, თავისი წუთისოფლის ბოლო წლებს იგი გაატარებს შიო-მღვიმის სავანეში.

და, ერთად, ბიზანტიასა (შავი მთა, მანგანა) და საქართველოში (გელათი, იყალთო, შიო-მღვიმე) ნაღვაწი არსენ იყალთოელისა, ოდენ ჩამოთვლით იქნება ესე:

თარგმანი — „იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისაჲ სიტყუაჲ დიდისა შაბათისათვის"; „ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ და ღუაწლი წმიდისა ღირსმოწაფისა ქრისტესა ევგენიაჲსა და მშობელთა მისთაჲ"; „წამებაჲ სამთა აღმსარებელთაჲ — გურია, სამონა და აბიბოისი, და თხრობაი სასწაულსა ევფემიაჲს ზედა ქალისა"; „ხრონოგრაფი" გიორგი ამარტოლისა; დოგმატიკურ-პოლემიკური კრებული — „დოგმატიკონი", სადაც თავს იყრიან: ანასტასი სინელის „წინამძღუარი", იოანე დამასკელის „დიალექტიკა" და „გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ", კირილე ალექსაედრიელის „თარგმანებაჲ ათორმეტთა თავთაჲ", „საუნჯე" (ნაწყვეტები) და „განკაცებისათვის მხოლოდშობილისა"; დოგმატიკურ-პოლემიკური ეპისტოლენი თეოდორე

აბუკურასი, ნიკიტა სტითატისა, ლეონ პაპისა, და კიდევ თერთმეტი უცნობი ავტორის შრომანი, ბოლოს — დიდი „სჯულისკანონი“.

გვიან, იოანე ბატონიშვილი იტყვის მის შესახებ; არსენ იყალთოელი „იყო ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი, ფიზიკოსი, ანატომოსი, ალიღორიულთა შეთხზვათა შინა ჭებული, უცხო და მაღალი მესტიხე და საეკლესიოთა ტიბიკონთა მეცნიერი“.

თეიმურაზ ბაგრატიონიც, ანუ ანტონ კათალიკოსი, არსენ იყალთოელს იოანე პეტრიწონელის გვერდით დააყენებს და მტკიცედ იტყვის, რომ სხვა მაღალ მოაზროვნეთა შორის მე ვიცნობ —

„სხუასა პეტრიწსა, სხუას დიდსა იოანეს.
სხუასა არსენის, ორთავე თანასწორსა;
უცხოდ გამომთქმელს, საკვირველს პიიტიკოსს,
ღმრთისმეტყველ რიტორს, ჰეშმარიტ ფილოსოფოსს“.

● . . . . . .

კიდევ ვინ უნდა ყოფილიყვნენ დავითისგან წვეულნი „უცხო ქართველნი“?

იქნებ, ისინი, არსენ იყალთოელთან ერთად რომ მობრუნდნენ მაშინ ბიზანტიიდან საქართველოში — იეზეკიელი, იოანე ტარიჭისძე და თეოფილე ხუცესმონაზონი.

იეზეკიელი საბერძნეთს, ათონის მთაზე აღზრდილიყო, იერუსალემს უმოგზაურია, წმიდა ადგილთა მოსახილავ-მოსალოცავად. ვითარცა იტყვის ანტონ კათალიკოსი, — იეზეკიელი ყოფილა ღვთისმეტყველი, პიიტიკოსი, რიტორი და ფილოსოფოსი, შესადარისი იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელისა. მას დაუწერია „დაუჯდომელი“, „მოგება სულისა“ და „ლექსნი წმიდათა მამათა შესახებ აკროსტიხურნი“.

„შენნი შაირნი, იეზეკიელ დიდო, აკროსტიხურნი, იასპ-სჭვირუენ სარდიონ, მარგარიტებენ ურთიერთას კიდულნი“, — ამასაც იტყვის ანტონ კათალიკოსი, და აი, ნიმუშიც ამ „მარგარიტ-კიდულთაგან“, მიძღვნილი სვიმონ მესვეტისადმი:

ნათელსა შორის უღამოსა მბრწყინავმან
დაუვალისა მზისა ელვარებითა
უმიმწუხრო, მართალთა საშვებელსა თან,
შვებულება მითხოვე უფლის, სვიმეონ,
მოსავსა შენსა მრწემსა იეზეკიელს
და აწისაცა ღელვიანისა ზღვისა
შფოთთა მშვიდობით ღირს მყავ განწიაღებად.

(„ნათელსა შორის უღამოსა“ — თითქოს, წინამორბედი ასი წლის შემდგომ რუსთაველის შუქმოსიერი ლოგოსისა — „ნათელსა მას უღამოსა“).

და, იქნებ, იეზეკიელიც უნდა ყოფილიყო „გელათური ქართლიზმის“ დამაარსებელთა და მაარსებელთა შორის.

კიდევ უფრო სარწმუნოა იოანე ტარიჭისძის ყოფნა ახლადმშენებარე გელათის სავანეში. ისიც ათონურ სკოლაში იყო აღზრდილი. ანტონ კათალიკოსი მას პატივს მიაგებს, ვითარცა სიბრძნის მოყვარეს, ღვთისმეტყველს, რიტორსა და პიიტიკოსს. უფრო მეტს იტყვის იოანე ბაგრატიონ-ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“: „იოანე ტარიჭისძე იყო ქართველთა აზნაურთაგანი; ამან სიყრმისავე შინა შეისწავლა ფილოსოფია და ღვთისმეტყველება და ენა ბერძენთა, რომელმანცა მრავალნი ქართველნი განსწავლნა სიბრძნის მოყუარებასა შინა“.

იოანე ტარიჭისძეს ეთარგმნა V—VI საუკ. ცნობილი ნეოპლატონიკოსის, ამონიოს ერმისის ორი ნაწარმოები — „მოსახსენებელი ხუთთა ხმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ და „მოსახსენებელი ათთა კატიღორიათადმი არისტოტელისათა“.

აქ ჩამოთვლილ მოღვაწეთა გვერდით, შესაძლოა, ყოფილიყო თ ე ო ფ ი ლ ე ხუცესმონაზონიც, რომელიც „ბრწყინვიდა“ სწორედ იოანე პეტრიწონელისა და არსენ იყალთოელის დროს, მათთან — უცხოეთშიც, საქართველოშიც. იგი იყო „სიბრძნის-მოყუარებასა შინა სრული და ღმრთისმეტყველი, საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი და მთარგმნელი ბერძნულიდან ქართულსა. ზედა“. საგანგებოდ ხაზგასასმელია, რომ თეოფილე მოწაფე ყოფილა სახელოვანი გიორგი ათონელისა. თვითონვე წერს: „საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევაჲ ნეტარისა და წმიდისა მამისა, მზრდელისა და მოძღუარისა ჩემისა გიორგი მთაწმიდელისა, ახლისა ოქროპირისაჲ და მშობელთა მისთაჲ“.

თეოფილე ხუცესმონაზონს უთარგმნია აგიოგრაფიული შრომები, ყველა მეტაფრასული რედაქციებით; შემდეგ — ეპიფანე კვიპრელის „საკითხავი მუცლადღებისათვის ანნაისა, რაჟამს ეხარა შობაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისა“, მისივე „პასუხი ეპისტოლისაჲ, რომელი მიუწერეს მღუდელთავე მისთა აკაკიოს და პავლე თავთაოანებისათვის ოთხმოცთა მათ წვალებასაჲთა“, ანასტასი სინელის „შემოსლვისათვის მარხვათასა და მეექუსისათვის ფსალმუნისა“, კირილე ალექსანდრიელის „საკითხავი, თქუმული ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისათვის და წმიდათა მამათათვის ეფესოჲს კრებისა, რომელი შეკრბეს დამხობისათვის უშჯულოჲსა ნისტორისა“, იოანე ოქროპირის „სიტყვანი ანუ საკითხავნი“, მისივე „ასკეტიკონი“, თეოდორე კვირელის „აღსარებაჲ, მართლისა და უბიწოჲსა ქრისტიანეთა სარწმუნოებისაჲ“, და ბოლოს — „წიგნი ცხორებისათჳს და მოქალაქობათა წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთა“.

აი, ეს ადამიანები, მარილნი ქართული გონებისანი, უცხოეთში დაზრდილნი, უცხოთაგან მოფერებულნი, თანაქართველთაგან ნაგვემნი და „ნაწრთობნი“ — მოეყვანა მაშინ დავით მეფეს დიდი ქართლიზმის სანიშანსვეტო ახალშენში — სავანესა გელათისასა.

მათგან ყველაზე ცნობილნი, „პატრიარქნი“, იოანე პეტრიწონელი და არსენ იყალთოელი იყვნენ.

არსენი, გელათში გარკვეული დროით ყოფნისა და მოღვაწეობის შემდგომ, — როგორც ზემოთაც ითქვა — დავით აღმაშენებელმა გაგზავნა იყალთოს, იქ ახალი უმაღლესი სასწავლებლის დასაარსებლად. და დაეარსა კიდევაც მაშინ, მალე სახელმოხვეჭილი „იყალთოს აკადემია“, რომლის პირველ წინამძღვრად თვითონვე დარჩა მისი დამაარსებელი — არსენ იყალთოელი.

მაშ, იყალთოში — იყალთოელი.

გელათში კი — პეტრიწონელი.

იგი აღარ გადანათლულა „გელათელად“, ან „გაენათელად“; დარჩა კვლავაც „პეტრიწონელად“ — თითქოს, მისი სულისგან განუყრელი „უცხო“ (თუ „საუცხოო“) ქართველობის სიმბოლურ ხსოვნად.

მაშ, იოანე პეტრიწონელი უნდა ყოფილიყო გელათის ახალი კულტურული სავანის მოძღვართმოძღვარი („დიდასკალოს ტონ დიდასკალონ“) და, ამავე დროს, სწავლების, როგორც სისტემის, მთავარი ორგანიზატორიც.

სწორედ თვითონ იოანე პეტრიწონელის შრომებიდანვე გამოსჭვივის პროგრამულ-ორგანიზაციული აღნაგობა, რომლის მიხედვითაც უნდა წარმართულიყო სწავლა-განათლება გელათის აკადემიაში. ეს იყო თვით ბიზანტიურ უმაღლეს სასწავლებლებში დაფუძნებული სისტემა — „ტრივიუმისა“ („trivium“) და „კვადრიუმისა“ („quadrium“), ანუ სწავლება შვიდი საგნისა, ორ ეტაპად: 3+4.

„ტრივიუმი“ — გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა.

„კვადრიუმი“ — რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია.

ასეთი უნდა ყოფილიყო ნება გელათის მოძღვართმოძღვარისა, ხელდებული ნებისაგან დავით აღმაშენებლისა.

დავით აღმაშენებელი კი კვლავაც არაფერს იშურებდა გელათისათვის, საქართველოს, კავკასიის და „ყოველი აღმოსავლეთის“ ამ საგანმანათლებლო ნიშანსვეტისთვის.

და მეფემ გელათი „აღავსო სიწმიდეთა მიერ პატიოსანთა ნაწილთა წმიდათასა, და წმიდათა ხატთა მიერ და სიწმიდისა სამსახურებელთა ყოვლად დიდებულთა და სხუათა ნივთთა ძნიად საპოვნელთა“. და, კიდევ, „ამათ თანა დასხნა“ ამდენ ბრძოლათა ნაალაფარნი — „დიდთა და ხოსროანთა მეფეთა ტახტნი და საყდარნი, სასანთლენი და კედელნი ფერად-ფერადი იავარად მოსხმულნი თვისნი, და კუალად გვირგვინნი და

მანიაკნი, ფიალანი და სასუმელნი, რომელნი მოუხუნა მეფეთა არაბეთისათა, რაჟამს თვით იგინიცა ტყუედ მოიყვანნა, მასვე ტაძარსა შინა შეწირნა ღმრთისა სახსენოდ და სამადლობელად ძლევისა მის საკვირველისა“ (სამადლობელად დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებისა).

და ბრწყინავდა გაენათი — ნათებაჲ ახალი, „მეორე ცისაჲ“ — შუბლსა ზედა დედამიწისასა.

თვითონ — რომელმან აღაშენა

„ესე მრავლისაგან ყოვლად მცირედი და კნინი წარმოვთქვით“

დავითის ისტორიკოსი

გარეგნულად იყო დავითი „შუენიერ ხატითა უშუენიერეს მორთულობითა გვამისათა, შეწყობილ ანაგებითა და ახოვან ტანითა, ძლიერ ძალითა“.

სხეულებრივი ახოვნობით და გოლიათობით, მის შესადარად, გარდასულ ჟამთა ხელმწიფეთაგან, შეიძლებოდა გვეხსენებინა — რამსეს ეგვიპტელი, პოროს ინდოელი, მითრიდატე პონტოელი და ვახტანგ გორგასალი.

თვალები მისი — შუქმოსიერნი, მზის დამკორტნავნი, მზერა-უტეხი („მზე-რა“ — „მზე“ ქართულად, „რა“ ეგვიპტურად), მოყვრისთვის „მადლიერ ხედვითა“, მტრისთვის „საზარელ ლომებრ მკრთომელობითა“. თვალთა სიმძლავრით მისი სადარი — გარდასულთაგან ალექსანდრე მაკედონელი (თუმცა აღიელი იყო ალექსანდრე, ერთი თვალი რომ შავი ჰქონდა, მეორე ლურჯი), მომავალთაგან სოლომონ დიდი, იმერთა მეფე (თვალებით „ქვახეთქია“).

გულით კი იყო დავითი — „უძვრელ და უშიშ“, უფრო მეტად, ვიდრე იგი, ეშმა უხორცო (აკი ეშმაკი ხორციელ ჯორად უქცევია და უჯენებია ამ მხედარს ღმრთისასა!).

მთლიანობა, გინა „სინთეზი“ მისი გმირობისა — ევროპელი აქილევსის შემმართებლობა და აზიელი ჰექტორის კეთილშობილება.

იყო იგი დამატყვევებელი შემხვედრი ადამიანთა, „მაღალ უმაღლესთათვის და მდაბალ უმდაბლესთათვის“; მტერი რომ მტერია, იმისთვისაც შესახვედრად საოცნებო, „საწადელ და საყვარელ სათნოებათა მისთაგან“.

სიტყვა მისი იყო — ლოგოსი ღმრთისა თანა, სიბრძნით ტვირთული, სიმახვილით და სინატიფით განშვენებული.

არამცთუ სიტყვა, დუმილითაც იყო „სასურველ“.

ახლა ღიმილი — „საწადელ ღიმილითა“.

მჭვუნვარებაც კი — „უსაწადლეს მჭვუნვარებითა“.

შეეძლო ერთი მკრთალი გამოხედვითაც მადლით აღევსო მოყვასის გული.

შერისხვა იყო და, კვლავ დუმილით, „მყუდროებით“, ერთი თვალის დაკვრით — იყო „შემრისხველ“.

შექებაც მისი იყო „მაქებელ განმსწავლელობითა“, თანაც იმდენად ზომიერი, რომ „არცა ერთსა კეთილთაგანსა შემაშთობელ უზომოებითა“.

იყო „ყოვლის ხელ გამომავალი“ — დაუღალავი მიწათმოქმედი, მხვნელ-მთესველი და მეზვრე-მევენახე, გინდა ხურო, გინდა ქვისმთლელი, გინდა გალატოზი-ამშენებელი.

დაუღალავი მოლაშქრე იყო, ცხენით თუ ფეხით, პაპანაქება სიცხეში თუ ლოლო ყინვაში, ქარ-გრიგალში თუ თავსხმა წვიმაში.

„შრომანი განუსვენებელნი“ და „ლაშქრობანი მოუწყენელნი“ ასაღკლდევებდნენ და აღამაღლებდნენ მის სხეულსა და სულს.

და სწორედ ასეთი, სხეულებრივ-სულიერი სრულქმნილებით მეფემან „განაგნა ხორციელნი და წარმართნა სულიერნი“.

ორი რამ, ერთმანეთისგან განუყრელად, მთელი სიცოცხლე ხელიდან არ განუშორებია დავით აღმაშენებელს:

ხმალი და წიგნი.

ხმალი ხომ, მართლაც მისი „განუყრელი სხეული“ იყო, მაგრამ წიგნის გარეშე თვით სიცოცხლეც უსაგნოდ და უსიხარულოდ მიაჩნდა მეფეს. წიგნის კითხვა სწორედ მისი სულის ზეიმი იყო.

წიგნები „იყვნეს მისსა საზრდელ, ყოველთა გემოან, და სასმელ ტკბილ და საწადელ; იგინი — შუება, განცხრომა საწურთელ და სარგებელ“.

წიგნებს აგროვებდა („მდიდრად შეიკრიბნა“), ყოველგვარს, საღვთოსაც და საკაცობოსაც, ანუ სასულიეროსაც და საეროსაც, თარგმნილსაც და პირველქმნილსაც.

წიგნს კითხულობდა „აღმოცისკრებად“ თუ „მიმწუხრად“, ინახის თუ სერობის შემდგომ.

წიგნს კითხულობდა ყოველ საქმეთა განსრულებისვე.

წიგნს კითხულობდა ფეხით მიმავალი თუ ამხედრებული.

წიგნი ხელთ ეპყრა ხმალთან ერთად, ბრძოლად მიმავალს, ან მშვილდთან ერთად, ნადირობისას.

წიგნებით დაკაპანებული ჯორები, ცხენები თუ აქლემები მისდევდნენ მეფეს ომში მიმავალს.

კითხულობდა და, როცა კითხვით ის დაუღლელი, „მზის დამკორტნა-

ვი“ თვალი დაეღლებოდა — მაშინ თვალებს „სასმენელნი ანაცვალნის“ და საგანგებო მკითხველთ აკითხებდა და ისმენდა.

უყვარდა წაკითხულის განსჯა, რკვევა და კამათი.

ჩვევად ჰქონდა — წიგნს რომ წაიკითხავდა, ბოლოში ნიშანს დაუსვამდა. და ამ ნიშანთა მიხედულობით ადგენდნენ, რამდენჯერ წაეკითხა მეფეს ესა თუ ის წიგნი. თურმე, თვითონ დავითის ისტორიკოსს ერთი წიგნის, „სამოციქულოს“ ბოლოში დასმული ნიშნები დაუთვლია და გამორკვეულა, რომ ეს წიგნი ერთი წლის მანძილზე ოცდაოთხჯერ წაეკითხა მეფეს.

მეფე წიგნს კითხულობდა თავდავიწყებით, ისე რომ — თითქოს, იმ წიგნში თვითონაც „ცხოველ არს და მას შინა იძვრის“.

ერთხელ, როცა ტფილისი ჯერ კიდევ თურქებს ეპყრათ, მეფე მის დასაზვერად გამოსულიყო სამასი მხედრით. თხუთმეტი კაცი ლოჭინისკენ გაეგზავნა ნახირის გამოსარეკად, დანარჩენებით ავჭალის ხევში ჩამდგარიყო თვითონ. სანამ ის თხუთმეტი მობრუნდებოდა, მეფე წიგნისა და ხმლის ამარად გაშორდა თავისიანებს; თან დაიბარა, ხელი არ შემიშალოთ, ჩემთან ნუ მოხვალთ, სანამ მე თვითონ არ მოვალ თქვენთანო. ასე განაპირდა და განმარტოვდა დავითი, წიგნი მოიმარჯვა და „შეექცა კითხვასა და ესეოდენ წარიტყუენა მისგან (წიგნისგან) გონებითა“, არც კი გაუგია, როგორ დასცემია თავს მისგან წარგზავნილ თხუთმეტ ქართველს ქალაქიდან ანაზდაითად გამოვარდნილი ასი თურქი. საომარმა ყიჟინამ, „ხმა რამე კივილისამ“ და იარაღის ზრიალმა გამოაფხიზლა მეფე. ფიქრზე უმალესვე ამხედრდა, ფიქრზე უმალვე მანძილი გაზომ-გამოზომა: ავჭალის ხევში ჩატოვებული მეომრების მოხმობა და გამოყვანა დააგვიანებდა, ამიტომ თვითონ მარტოდმარტო გაფრინდა ბრძოლის ველისკენ; მიფრინდა, „მსწრაფლ შთაბრიალდა ვითარცა არწივი“, და ის თავდამსხმელი თურქები „დააბნივნა ვითარცა კაკაბნი“. ბევრნი კიდევაც „მოსწყვიდნა“, დახოცილთა ცხენებზე ის თხუთმეტი ქართველი აამხედრა, დანარჩენ თურქებს კვლავ გაეშებით მიეტევა. თურქებმაც, — ვინც ასე ელვად „შთაბრიალებულ“ სიკვდილს, გადარჩენოდა — ქართველებს ზურგი აქციეს, კვლავ ტფილისს მიაშურეს და ასე „მცირედნიღა შეესწრნეს ქალაქს“.

ეს ანაზდაითი შერკინება ასე გათავდა. დავითმა ნაომარი ხმალი აიღო, ქარქაშში ჩასაგებად მოიმართა, მაგრამ... თურმე მტრის თორ-აბჯარზე და ფარ-შუბზე გამალებული ცემისაგან ხმალი იგი „დაღვლარჭნილიყო“ და ქარქაშშიც აღარ ჩაეგო! („ფრიადისა ცემისაგან ხრმალმანცა დაღულარჭლინმა უარყო ქარქაში თვისი“).

მაშ, ეს საოცარი გმირობაც წიგნის კითხვით თავდავიწყებამ არგუნა ამ „მეწიგნე (და მეხმლე)“ მეფეს!

ასე იყო: ყოველთვის, თუნდაც „ესევითარსა საქმესა შინა და ესეოდენ უცალოსა წიგნივე აქუნდეს უსწრაფოესად საქმედ“.

თვითონ უყვარდა ამის თქმა დავითს:

„კაცთა მიმნიჭებელი პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაჲ არს“.

უბრწყინვალესად და უსრულესად იცნობდა მისჟამინდელ მსოფლიო წიგნიერებას, მწერლობას, სასულიეროსაც, საეროსაც, ქრისტეს წინარესაც, ქრისტიანულსაც, მაჰმადიანურსაც. ვითარცა ისლამის დიდი მცოდნე, განძაში ერთ სწავლულ ყადს ყურანის წარმოშობაზე ეკამათებოდა დავით მეფე. ასევე დიდებულად იცნობდა იგი მეცნიერებათა და ხელოვნებათა დარგებს, გამორჩევით — ისტორიას, ფილოსოფიას, ასტრონომიას, ხუროთმოძღვრებას და პოეზიას.

თვითონვე იყო მემატიანეც, სიბრძნისმეტყველიც, ვარსკვლავთმრიცხველიც, ხუროთმოძღვარიც და პიიტიკოსიც.

ისტორიის საგანიც ისე ესმოდა, როგორც ანტიკური დროის მოაზროვნეებს: Historia est magistra vitae („ისტორია არის მასწავლებელი ცხოვრებისა“). თვითონაც მთელ თავის დაუცხრომელ მოღვაწეობაში სწორედ იმას ცდილობდა, რომ „გარდასულთა შემსგავსნი მომავალნი“ განეკვრიტა, კაცობრიობის საისტორიო გამოცდილებით თავისი ხალხის წარსული შეეფასებინა და მისი კრიტიკული მიხედულობით, მომავალი ცხოვრება უმჯობესი და უსწორესი გზებით წარემართა.

მისი განსწავლულობა და დაუცხრომელი ზრუნვა განსწავლულობასა ზედა განსახოვანებულ იყო ჯერ ქართულ სამებაში:

გელათი,

იყალთო,

შიო-მღვიმე.

მერე, საქართველოს გარეთ, სამი მთის სამებაში:

ათონის მთა,

შავი მთა,

სინას მთა.

სწორედ ამ „მსოფლიო სამთა მთათა“ ევრაზიულ მიმოსაქცევ „ქუეყანთა ზედა“, დავით აღმაშენებელი თავგამოდებით ზრუნავდა ქართული კულტურული კერების ასაყვავებლად.

„მან ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმინდისა (ათონისა) და ბოლღარეთისანი. მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა“.

და მარტო ქართული სავანეები კი არა, დავით მეფე დიდძალ შესაწირავებს გასცემდა საერთოდ პალესტინის წმიდა ადგილთა შესაწირად.

დავითმა სინას მთაზე, იქ მანამდე არსებულ ქართულ სავანეთა შორის, თვითონაც „აღაშენა მონასტერი და წარსცა ოქრო მრავალი ათასე-

ული, და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიო სრულებით, და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა რჩეულისა".

და კვლავაც, ყოველთა ამათ გარდა, დავით მეფემ „რაოდენნი ეკლესიანი აღაშენნა, რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილ ყვნა, რაოდენნი ეკლესიანი, წარმართთაგან შეგინებულნი, განწმიდნა სახლად ღმრთისად", არც თავის პროზელიტისტურ მისიას ივიწყებდა მხურვალე ქრისტიანე გვირგვინოსანი და — „რაოდენნი ნათესავნი წარმართთანი შვილად წმიდისა ემბაზისად მოიყვანნა და შეაწყნარნა ქრისტესა, და დადვა მისთვის უმეტესი მოსწრაფება, რათამცა ყოველი სოფელი მოსტაცა ეშმაკსა და შეასაკუთრა ღმერთსა, რომლითა მიიღო მადლი მოციქულობისა, ვითარცა პაველე და ვითარცა დიდმან კონსტანტინე".

საქრისტიანო სავანეებს გადასახადებისა და „მოსაკარგავეთა მაჭირვებელთაგან" ათავისუფლებდა მეფე.

დაუცხრომლად ზრუნავდა დავითი ახალგაზრდა თანამემამულეთა აღზრდა-განათლებისათვის. ჟამიდან ჟამზე ჰაბუკ ქართველებს უცხოეთის კულტურულ სავანეებში აგზავნიდა სასწავლოდ და „საწურთნელად".

ასეთი იყო ღვაწლი უზენაესად გონებავრცელი და ზნეზეციერი გვირგვინოსნისა.

ასეთ განათლებულსა და განსწავლულ ხელმწიფეს დიახაც ძალედვა ისეთი გაოცებისა და აღტაცების გამოწვევა, რაიც მას თავისი მაღალნიჭიერი ლოგოსით მოუხდენია ერთ დიდ საეკლესიო და საფილოსოფოსო საკრებულოზე.

ეს უნდა მომხდარიყო 1123 წელს. კვლავ აეტეხათ რელიგიური ჭინჭყლი მონოფიზიტური ქრისტიანობის სომეხ დოგმატიკოსებს. ქართველი დიოფიზიტებიც ვალში არ დარჩენილან და განახლებულა ეს ძველი საკამათო და სამდურავი ამ უძველეს მეზობლებს შორის.

ქრისტე ერთი ბუნებისა იყო, მხოლოდ ღმერთიო, — გაიძახდნენ სომეხნი.

ქრისტე ორი ბუნებისა იყო; ღმერთიც და კაციც, — კვლავ საპირისპიროს ამტკიცებდნენ ქართველნი.

და მაშინ მოუწოდა დავით აღმაშენებელმა ორივე მხარის ღვთისმეტყველთა, თეოლოგთა და თეოსოფოსთა, ერთსა საკრებულოსა, სადაც ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტათ და ბოლო დაედოთ ამ, აქამდე „უბოლოო" კამათისა და ჭინჭყლისათვის.

ქართველ „მეცნიერთა და ბრძენთა კაცთაგან", არსენ იყალთოელიც მოეწვია მეფეს (იოანე პეტრიწონელი კი არ ჩანს, ალბათ აღსრულებულ იყო იმჟამად ეს, ქართული ფილოსოფიის მეგალოდოქსი).

და შეყრილიყო საგანგებო საეკლესიო კრება ქართველთა და სომეხთა.

ქართველ-სომეხთა, გინა სომეხ-ქართველთა — მარადიულ მეზობელ-

თა და მეგობართა, ურთიერთ ძმათა და ურთიერთ მოკეთეთა და... ურთიერთმეშურნეთა, ურიერთმოჭინჭყლეთა).

თვითონაც მოსულიყო დავით მეფე. თითქოს, ოდენ დასასწრებად და „მეთვალყურედ“ მოსულიყო.

კრება აღმოჩნდა ხანგრძლივი და ჭირვეული. მოპაექრეთა ცხარე და შეურიგალი „სიტყვის-გება ურთიერთას“ დაიწყო „ცისკრითგან“ და გაჭიანურდა ღამის განზოგებამდე — „ვითარცა ცხრა ჟამამდე“, და კიდევ მაინც „ვერას უძლეს დაბოლოებად“. ასეც იყო მოსალოდნელი, როგორც სჩვეოდათ ჰაოსიან-ქართლოსიანებს, „რამეთუ იყო ორკერძოვე ძლევის მოყუარება ოდენ და ცუდ სიტყუათა პაექრობა“. სიცუდე და ამაოება მათი „სიტყუაობისა“ კი ის ყოფილა, რომ მოპაექრენი „შევიდიან შეუვალთა საქმეთა და ძნიად გამოსავალთა“ — ისეთ სააზროვნო სიღრმეებში იჭრებოდნენ, იქ წამოჭრილ კითხვებს პასუხს ვეღარ უძებნიდნენ და უკან გამოსაღწევ გზებსაც ვეღარ აგნებდნენ.

დავით მეფე დიდხანს მოთმინებით უსმენდა „ძლევის მოყვარებითა“ და „ცუდ სიტყვაობით“ შეპყრობილი კრების დინებას, მერე „შეეწყინა“ ამაოთა ამაო ცქერა და სმენა. წამოდგა და თვითონ დაიწყო მეტყველება:

„თქუენ, მამანო, სიღრმეთა სადამე შესრულ ხართ და უცნაურთა ხედვათა, ვითარცა ფილოსოფოსნი, და ჩუენ ვერა-რას უძლებთ ცნობად, ვითარცა უსწავლელნი და ყოვლად მსოფლიონი. და ესე საცნაურ არს თქუენდა, რამეთუ მე შორს ვარ სწავლულებასა და მეცნიერებასა, ვითარცა მხედრობათა შინა აღზრდილი. ამისთვისცა უსწავლელთა და ლიტონთა და მარტივთა მიერ სიტყუათა გეზრახო თქუენ“.

მაშ, — თქვენ, როგორც სწავლული ფილოსოფოსები, ძალიან ძნელად სააზროვნო სამყაროში იჭრებით, ჩვენ კი, როგორც უსწავლელნი სოფლელნი, ვერარას ვგებულობთ; პირადად მეც ხომ მეცნიერებისგან შორს ვარ და მხოლოდ სამხედრო კაცად თუ ჩავითვლები, მაგრამ ჩემი სათქმელი მაინც უნდა გითხრათ, თუნდაც ჩემეული უბრალო და მარტივი სიტყვიერებითო.

და ასეთი, საოცრად კრძალული „წინა-სიტყვის“ („პროლოგოს“) შემდგომ, მეფეს წარმოუთქვამს საკუთრივ სიტყვა, შემდგომი თაობებისთვის, სამწუხაროდ, უცნობი — სიტყვა ისეთი, რაღაც „ზეადამიანური“, რომელსაც მხოლოდ თუ „ღმერთი მოსცემდა უეჭველად პირსა მისსა“. სიტყვა, რომელშიც ეს „ღვთითშთაგონებული“ რიტორი „ესეოდენთა იგავთა და სახეთა წინადაუდებდა, ახსნათა საკვირველთა მიერ წინადაუდგრიმელთა და უცილობელთა, რომლითა დაანთქნა, ვითარცა მეგვიპტელნი, ღა ღაუყო პირი მათი და უპასუხო ყვნა და ყოველად უსიტყველ, ვითარცა ოღესმე დიღმან ბასილი ათინას შინა“.

ასე თქმულიყო სიტყვა იგი, „უეჭველად ღვთითნაკარნახევი“, ხელოვნებით („იგავები“ და „სახეები“) დამშვენებული და მეცნიერებით „წინადაუდგრომელი“ და „უცილობელი“; სიტყვა, რომელმაც მსმენელთ საკრებულოს ისე გადაუარა, როგორც მეწამულის ზღვამ მასში მოსესგან დანთქმულ ფარაონის ჯარს. სიტყვა, მისი საოცარი სიღრმით, სიმაღლით და მომხიბვლელობით, რომ მსმენელებს „დაუყო პირი მათი და უპასუხო ყვნა და ყოელად უსიტყველ“.

ბუნებრივად, მეფის სიტყვა მიმართული იქნებოდა ქრისტეს „ორბუნებიანობის“, დიოფიზიტობის, ან ბერძნულ-ქართული მართლმადიდებლობის დასაცავად და საქომაგოდ.

და, როცა სიტყვა იგი დასრულდა და აუდიტორიამაც მისგან გამოწვეული ხანგრძლივი, „უპასუხო და უსიტყველი“ დუმილისაგან თავი დაიხსნა, პირველნი წამოდგნენ „მწვალებელნი“ სომეხნი, აწ მეფის სიტყვით ძლეულნი და გაწბილებულნი, და კრძალულებით შეჰკადრეს მეფეს:

ჩვენ, მეფეო, თქვენგანვე აქ მოწვეულ მოძღვართა მოწაფე გვეგონე, მაგრამ მოწაფე კი არა, თვითონ ყოფილხარ „მოძღუარი მოძღუართა“, რომლის ფრჩხილადაც არ ჰღირან დანარჩენი მოძღვარნი ყოველნი!

თქვეს, მეფეს ეთაყვანენ და წავიდნენ „სირცხვილეულნი“, ქართული სარწმუნოების გაწბილებული „მაბრალობელნი“.

ასეთი იყო მეფე — გონებით ბრძენი, ენით მჭევრი, გულით მართალი და მწყალობელი.

რამდენ წყალობას იგი გასცემდა, არავის შეეძლო აღერიცხა, „თვინიერ მამისა ზეცათასა“. ერთი ქისა ჰქონდა მეფეს, დილით ფულით გაავსებდა და ღარიბ-ღატაკთათვის დასარიგებლად გაიტანდა. თუკი ქისას საღამომდე დააცალიერებდა, სასახლეში ბრუნდებოდა — „მხიარულსა სულითა და პირითა“. ხოლო, თუ ნახევარზე მეტს ვერ გასცემდა, მწუხარე „სულთქმითა“ იტყოდა: დღეს ვერ გავეცი ჩემი ცოდვებით დამძიმებულმაო, და გადარჩენილ ფულსაც მეორე დღისას დაამატებდა, რომ მომდევნო დღეს მაინც როგორმე ყველა ერთად გაეცა სამწყალობლოდ. და, ფული ესე, მეფისგან წყალობად წარსაგებელი, ყოველთვის იყო არა საბაზინო, არამედ თავისი საკუთარი, „ხელთა თვისთა ნადირებული“.

მეფე იყო და ამოდენა და ამნაირი ქვეყნის პატრონს, რაკი ყოველდღე ასე ხალხის სამწყალობლოდ ქუჩა-ქუჩად სიარული არ შეეძლო, ამიტომ თავისი უახლოესი კაცისა და პირადი მოძღვრის, იოანე ბერისთვის ოცდაოთხი ათასი დრაჰკანი მიეცა, რათა მან, მეფის სახელით, „განუყოს გლახაკთა“ ფული ესე.

კვლავაც, ჟამიდან ჟამზე, როცა კი ოდნავ დროს იპოვიდა, ახლა სამართლის განსაჩინებლად გაიჭრებოდა გზა-შარაზე, სოფელ და სოფელ, აღმართ და დაღმართ. ხალხიც შეჩვეოდა მეფის ამ ჩვევას და იცოდა, გამოჩნდებოდა მეფე მისი, „მაღალ უმაღლესთათვის და მდაბალ უმდაბლესთათვის“; იცოდა და ელოდა მის სამართლიან განჩინებას მდაბიოთა, ქვრივ-ობოლთა, უქონელთა და უპოვართა სამფარველოდ, საპატრონოდ, საალერსოდ და საფერებლად. ადიოდნენ მაღლობთა ზედა, ხეებზე, კლდე-კბოდეებზე და იქიდან „ჰვრეტდნენ“ გზას, რომელზეც უეჭველად გამოივლიდა „მათი მეფე“, მათთვის მოვიდოდა, მათ საპატრონოდ, მათ მჩაგვრელთა დასაჩაგრავად.

კვლავაც, როცა თვითონ — „ლაშქრობაში მოუწყენელი“ და „შრომაში განუსვენებელი“ — მაინც ხალხთან „გზაშარაზე“ პირად შეხვედრისთვის დროს ვეღარ გამოიტაცებდა, ამისთვისაც საგანგებო კაცნი დაედგინა მეფეს — „კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხვარნი მოჩივართანი“, რომლებიც მეფის სახელით შეხვდებოდნენ და განიკითხავდნენ გასაჭირში ჩავარდნილ მოყვასთ.

და კვლავაც — „რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტიოს აღწერად“ სიკეთენი და სიქველენი დავით აღმაშენებლისა.

ამიტომაც მოსთქვამს დავითის თანამედროვე და მისი საქმეების თვითმხილველი მემატიანე: „ვაებისა ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი და სახელოვანი გამომეტყუელნი“ — ჰომეროსი („უმიროს“), არისტობულე („არისტოვლი“) და იოსებ ფლავიუსი („იოსიპოს ებრაელი“), რომელთაგან პირველმა ტროელთა და აქეველთა ომი, აგამემნონის („აღამემნონ“), პრიამოსის, აქილევსის („აქილევი“), ჰექტორის, ოდისევსისა და ორესტეს გმირობანი შეამკო, მეორემ — ალექსანდრე მაკედონელის „მძლეობანი, სიმხნენი და ძლევა-შემოსილობანი“, მესამემ კი — ვესპასიანესა და ტიტუსის ბრძოლები „მისცნა აღწერასა“. და სამივე ეს ისტორიკოსი იმიტომ „შევრაცხენ ვაებისა ღირსად“, ანუ იმიტომ მეცოდებიანო, რომ არცერთს, თავიანთ საისტორიო თხრობისას ფაქტიური მასალა („ნივთნი საქმეთანი“) საკმარისად არ ჰქონდათ და ამ უკმარისობის შესავსებად, თავიანთი ნაწარმოებნი „ხელოვნებითა რიტორობისათა განავრცელნეს“ და გააზვიადესო; აკი თვითონ ალექსანდრე მაკედონელიც იტყოდაო თავისი პირით: „არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებელსა უმიროსს“, — ანუ აქილევსი იმდენად იყო დიდი გმირი, რამდენადაც იგი დიდმა ჰომეროსმა განადიდა და გააზვიადაო.

ჰო და, აი, იმ სამ ბრძენ ავტორს „თხრობათა ნიეთად საქმენი დავითისნი“ ჰქონოდათ და თანაც „ჯეროვნად მათისაებრ რიტორობისა“ დაეწერათ, მაშინ გენახათ, რა დაიწერებოდა და რა გმირი გამოჩნდებოდა ეს ჩვენი მეფე!

თუნდაც თვითონ ალექსანდრე მაკედონელი, რომელიც მისმა „დიდმეტყველმან“ ისტორიკოსმა „ფრთოვანსა ვეფხსა მომსგავსა“ — მაინც ვიტყვიო — განაგრძობს ქართველი ისტორიკოსი — „ჩუენი ესე გვირგვინოსანი და ახალი ალექსანდრე, დაღათუ იყო ჟამთა შემდგომი, არამედ არცა საქმითაცა, არცა განზრახვითა, არცა სიმხნითა უმცირე, და თვით მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქმის ალექსანდრე, არა უმდაბლე, არამედ მრავლითა უმაღლეს მგონიე ესე“.

და რაკი ჩვენი ხელმწიფის დიადი საქმენი სრულქმნილ აღსაწერად ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება, ისღა დაგვრჩენია, „მცირედითა და ყოვლად კნინთა სიტყვითა წარმოვაჩინოთ“, ისე თითქოს — „ბრჭალთაგან ლომსა და ფესვისაგან ყვავილისა ვითარებასა საცნაურ ყოფად ვმეცადინობთ, ვითარცა აჩრდილისაგან კაცთა...“

სხვაგან კიდევ ამასაც იტყვის დავით მეფის ისტორიკოსი: ალექსანდრეს რომ მხოლოდ დავითის ოდენი ჯარი ჰყოლოდა, ვერაფერსაც ვერ გახდებოდა, ხოლო დავითს რომ სპარსეთის მეფობა, ან ბერძენთა და რომაელთა ძალმოსილება, ან კიდევ „ძალი სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმნარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი“.

და ჩვენც ვუმატებთ დიდი მემატიანის ბრძანებულს, სრულის გაბედვით: დიადი ჰელადის შ ი ნ ა გ ა ნ ა დ ამყვავებელი ხომ პ ე რ ი კ ლ ე იყო, უდიდესი პოლიტიკური რეფორმატორი და კულტურული აღმშენებელი, ხოლო ს ა გ ა რ ე ო მსოფლიოურ სარბიელზე უპირველესი, „სოფლიო სახელგანთქმულობის“ მომხვეჭელი — ალექსანდრე მაკედონელი. და ვამბობთ, ჩვენ, გაბედვით-მეთქი: ის, რაც ბერძნული (ჰელინური და ჰელინისტური) სამყაროსათვის ერთნაკრებად იყვნენ პერიკლე და ალექსანდრე, იგივე იყო მთლიანობაში დავით აღმაშენებელი — ვითარცა ერთი, უდიადესი და განუყოფელი მონოანთროპოლს.

ვინ მოთვლის, ისტორიის უხანგრძლივეს ჟამსაბრუნავში რამდენ დიდსა თუ მცირე გვირგვინოსანს მოუჭამია (უკეთუ არ „შეუჭამია“) და მოუთელია თავის წილხვედრი წუთისოფელი, და ვის რა ტიტულ-თიკუნი შეურქმევია თუ შეურქმევიათ მისი სახელის სამარადჟამოდ უკედავსაყოფად: „დიდი“ თუ „მცირე“, „ბრძენი“ თუ „შლეგი“, „გრძელი“ თუ „მოკლე“, „სქელი“ თუ „თხელი“, „მრისხანე“ თუ „გულმოწყალე“, „თეთრი“, „შავი“ თუ „წითური“, „მამაცი“, „წმიდანი“, „ღვთისმოსავი“, „ლომგული“, „ფრინველმჭერელი“, „ამაყი“, „მელოტი“, „წვეროსანი“, „ჩექმოსანი“, და კიდევ რამდენი და რანაირი!

მაგრამ „ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი“?!

მხოლოდ ქართველ მეფეს რომ დარქმეოდა...

ხალხისგან დარქმეოდა...

უეჭველად, ღვთის შთაგონებით.

„აღმაშენებელი“ — ტრადიციული ბერძნულ-ლათინური გადათარგმნით — „ოიკოდომოს“ და „ედიფიკატორ“ — უძლური სიტყვებია. „აღმაშენებლობა“ არაა ოდენ „ამშენებლობა“.

იგი შესაქმე, ანუ დაბადებაა, ბიბლიური სივრცით და სიღრმით, ახალი „შესაქმე“ ახალი, „ზეცით მონაბერი“ სრულქმნილებისა, ერთდროულად და განუყოფლად სულისა და სხეულისა, ანუ „ლოგოსისა“ და „მატერიისა“.

ჯერ აქ, ამ ღვთაებრივ „აღმაშენებლობაში“ იგულისხმება ქართველობა, საქართველო, იქვე კავკასია.

და კიდევ — დანარჩენი „ქუეყანა“ (?!).

დაე, საეჭვო იყოს ეს „მესამე კომპონენტი“ ქართველი გვირგვინისა „აღმაშენებლობისა“.

მაინც სრულიად ადამეთის სანიშანსვეტო ერთეულად (ერთეულად-მეთქი!) კიაფობს დავით აღმაშენებლის სულიერ-სხეულებრივი ხატი შუბლსა ზედა დედამიწისასა.

ერთი მთლიანი — ძირიც, წელიც და მწვერვალიც საქართველოსი.

ერთადერთი, ვითარცა „მონოანთროპოს“, გინა „ანთროპოდაიმონ“!..

(გახსენება ქსენოფანე კოლოფონელისა: ღმერთი აზროვნებს და მოქმედებს ყველაფრით და ყველაფერში).

არსენი ბერსაც უკვე დაეწერა პანეგირიკი მისი სათაყვანო მეფისადმი:

„...უფროსად ბრწყინვალეო თვალო ყოველისა მეფეთა ერთგვამობისაო, რომელი ეგე —

ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყაროჲ ხილულისა სოფლისა შორის;
სჩინო, ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის;
ბრწყინვალე, ვითარცა ეთერი ნივთთა შორის;
ნათლისფერ, ვითარცა ელვაჲ ღრუბელთა შორის;
ცისკროვან, ვითარცა აღმოსავალი კერძოთა შორის;
ტკბილ, ვითარცა არე ჟამთა შორის;
ღმრთის სახე, ვითარცა სიყვარული სათნოებათა შორის;
გულის სათუქმელ, ვითარცა ოქრო მიწათა შორის;
ელვარე, ვითარცა ვიაკინთი ქვათა შორის;
მაღალ, ვითარცა ფინიკი ნერგთა შორის;
შვენიერ, ვითარცა ვარდი ყვავილთა შორის;
აღმატებულ, ვითარცა სამოთხე ქვეყანისა შორის;
ძლიერ, ვითარცა ლომი მხეცთა შორის;
მტკიცე, ვითარცა ანდამატი განუკვეთელთა შორის;
სახელგანთქმულ, ვითარცა ნებროთ გმირთა შორის;

ახოვან, ვითარცა ისო წინამბრძოლთა შორის;
მოშურნე, ვითარცა ფინეზ მღდელთა შორის;
მხნე, ვითარცა სამფსონ მსაჯულთა შორის;
უბრძოლელ, ვითარცა აჭილევ ელლენთა შორის;
ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის;
მშვიდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის;
შურისმძიებელ, ვითარცა იოსია შარავანდედთა შორის;
უზარო, ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის;
განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა აღვისტოს კეისართა შორის;
კაცთმოყვარე, ვითარცა ჩემი იესუ ღმერთთა შორის;
ბუნებით ღმერთი მადლით ღმერთქმნულთა შორის;
მხურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის;
საყვარელ, ვითარცა იოანე მეგობართა შორის;
მკვირცხლ, ვითარცა პაულე მოციქულთა შორის;

სახის დასაბამ ქრისტიანობისა, ვითარცა დიდი კონსტანტინე თვით-მპყრობელთა შორის;

სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თევდოსი სკიპტრისმპყრობელთა შორის, —

სათნო უჩანან ესენი მყუდროებასა შენსა?

განსვენებულ არსა ამათ ზედა სიბოროტისა სულთაჲ მდევნელი დავითიანი სული შენი?

რომელნი-იგი აწ ძღვნად მოგართვნა შენ მწყობრმან შენთა ამათ ნაზირეველთა სიმრავლისამან, რაჲთა შენ მიართვნე ესენი ღმერთსა და მოწყალე ჰყო ამათ მიერ წყალობისმოყვარე უფალი, რომელ მოსწრაფებით შემოკრებაჲ უბრძანე შენ და დიდისა ამისდა ღმრთისა მიმართ მოიგენ, ვითარცა საკუთარნი მონანი, რაჲთა რომელიმე ღმრთისსახისა მღდელმთავრობისა მიერ მახლობელ ექმნებოდის შენთვის ღმერთსა, ხოლო რომელიმე მღვდელმშვენიერითა მეოხებითა შეესაკუთრებოდის დამბადებელსა;

სხვასა სულთქუმანი მოაქვნდნენ,
სხვასა — განდობაჲ ცრემლითა,
სხვასა — ღამეყოველობითნი მღვიძარობანი,
სხვასა — ხმელსარეცელობაჲ,
სხვასა — რაჲთურთით არარას ქონებაჲ,
კეისრისჰსა — ყოველსავე,
ღმრთისასა — მხოლოდ ხორცთა ოდენ და მათცა მარხვითა განლეულთაჲ,
სხვასა — სიტყვაჲ დაღათუ მდაბალი და უნდოჲ, გარნა არავე უერმოჲ, არცა უმუსიკელოჲ მიმზიდველი ყოფად სმენისა;
ამის თანა — შემსგავსებულიცა ძალისაჲ ყოველთა ვედრებაჲ,
ყოველთა ლიტანიობაჲ,
ყოველთა ერთხმობაჲ,
ვითარმედ — დავით კეთილად მსახურისა და ღმრთივდაცვულისა მეფისა ჩვენისა მრავალმცა არიან წელიწადნი!

„მაბრალობელნი“ და საბრალობელნი

მეფის ხვედრია: კარგის ქმნისთვის ავი ისმინოს.

ალექსანდრე მაკედონელი

ასეთი იყო დავით აღმაშენებელი, მაგრამ ადამის მოდგმა („ადამეთი“ *) მაინც ხომ ისეთია, რომ მის წიაღში, არამცთუ კაცის, თუნდაც ღმერთკაცის, — თვითონ ღმერთის მგმობელი და განმქიქებელიც არა-სოდეს გამოილევა.

მით უფრო — რა გამოლევდა საქართველოში, ქართველთა შორის — მგმობელობას ქართველისა ქართველის მიმართ.

ისედაც ხომ „ადამეთში“, ადამის ძეებს, საგმობელის და სალანძღავის თქმა და სმენა უფრო სიამოვნებასა და სიხარულს ანიჭებთ, ვიდრე რაიმე სასიკეთო-საქებელისა.

და მით უფრო — საქართველოში, ქართველთა შორის.

(გმობა, კიცხევა — განუყრელი მარჩიბივი, ენდოგენური, შიდა ქართული შურისა).

გმობა, კიცხევა, „მაბრალობლობა“ — მუდმივი მასალა ღალატისა, „ღადრობისა“, „განდრეკილად სლვისა“.

„მაბრალობლობა!“

მოგვითხრობს დავითის ისტორიკოსი, თვითონ მსმენელიც და თვალითმხილველიც: „ხოლო არიან ვინმე მაბრალობელნი მეფისანი ჯერეთცა ესეოდენ მჭირსედ მოქალაქობასა და მოლაშქრეობისათვის და მხედრობათა მისთა განუსუენებელისა მიმოსლვისათვის და დაჭირებისა, ვითარმედ: „არცა მშვილდი თავს იდებსო მარადის განსხირპულობასა, რამეთუ ჟამსა ხმარებისა მათისასა თითოეული მათი უხმარ იპოვოსო“. და ესევითართა უგიობლისა მისთვის და ყოვლად უმიზეზოსა იტყვიან“.

მაშ, რატომ არ გვასვენებსო, განუწყვეტელი „ხმარებისგან“ რატომ „უხმარ“ გვყოფსო, და თვითონვე უხმარობისა და უსაქმურობისკენ მიილტვოდნენ — იმ დამღუპველი უმაქნისობის უფსკრულისკენ, სადაც მარადიულ არყოფნაში იძირება ყოველთვის ყოველი ღირსება და სიქველე ადამიანისა — კეთილშობილი შრომაც, მამულისათვის ბრძოლაც, მოყვასისათვის თავდადებაც. კვლავაც იმ უფსკრულში დაძირვას შენატროდნენ ისინი, ვინც დავით მეფემ ჭაბუკობითვე ამოათრია და შემოქმედებითი შრომისა და სამამულიშვილო ბრძოლის გზაზე შეაყენა.

---

* ადამეთი — ჩახრუხაძესთან იპოვება ეს სიტყვა.

ვერა და ვერ მოეთმინათ მეფის სიმკაცრე და წესრიგიანობა უქმობის და უწესრიგობის ნოსტალგიით ხელდარეულებს.

და ჰქონდა იგი „უზომოებით“.

სიმკაცრე კი სწორედ ჰქონდა დავით მეფეს.

სიმკაცრე იგი, სისასტიკეშიც რომ გადაერთვის.

უკეთუ ეთქმის სიმკაცრე და სისასტიკე, როცა მეფე და მხედართმთავარი, — თვითონ მუდამ ბრძოლის ველზე სიკვდილს თვალდათვალ შერკინებული, ბრძოლიდან გამოქცეულ თანამებრძოლს საყელოში რომ ხელს ჩაავლებს და უკანვე ბრძოლის ცეცხლში შეაგდებს, ან ბრძოლის შემდგომ ამნაირ ლაჩარს საგანგებოდ დარაზმული ჯარის წინაშე შარვალჩახდილს ან დედაკაცის ნიფხავ-პერანგით „დამშვენებულს“ ჩამოატარებს?!

იქნებ, სიმკაცრე ისიც იყო, რომ ერისა თუ ბერის საკრებულოზე აეკრძალა „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა საძულელი“, ან კიდევ ის, რომ მისი ბრძანებით — „მოსპობილ იყო ყოველი უწესობა ლაშქართა შინა მისთა და ურიცხუსა მას შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთასა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის“.

ან, უკეთუ დაიგმობოდა ისეთი სიმკაცრე, რომლის წყალობით, „სპათა შორის მისთა ყოვლად არა იპოვებოდა ჯაბანად ზრახული“; და, კვლავაც ამა სიმკაცრით, „სწავლითა გუარიანითა და ძღოლითა ღონიერითა“, მოიგებოდა უკლებლივ ყველა ეგზომ მრავალი სამამულო ბრძოლა.

მართლაც და, „ესეოდენი ძლევანი“, მკაცრი, გინა სასტიკი განწესრიგებით, — ისე ხომ არ მიიღწეოდა — „ძალითა ანუ ადგილთა მწუანვილოვანთა ზედა მოსმურობითა და განცხრომითა და მაჩუკნებელთა საქმეთა შედგომითა?“

იცოდა მეფემ, „უბრძენესმან ყოველთა კაცთამან“, — და ამ ცოდნას მას აძლევდა, ერთდროულად — „ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი ჳწ ხილულნი“; ანუ — ძველადაც რომ ასე ხდებოდა და ახლაც ასე ხდება:

„ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თვისთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა“.

ჰხედავ შენ, მკვიდრო ადამეთისა! ქართველის ბუნება ორგულობა ყოფილა — ორგულობა ბუნებითვე, ჯიშობრივად, გენურად (თუ „გენეტიკურად“).

მერე, ორგულობა ვის მიმართ?

ორგულობა პირველყოვლისა („პირველითვე!“), მისი (მასზე) უფროსისა, გინა „უფლისა“ მიმართ.

სწორედ ასეა: ქართველი, მაშ, რისი ქართველი იქნება, თუ სხვა რომელიმე ქართველის უფროსობა ითმინა!

ქართველისთვის მეორე ქართველი სხვა ქართველია — უფრო „სხვაც“, ვიდრე „სხვა უცხოელი“, და იმ „სხვისას“, უფროსობას და „უფლობას“ კი არა, მასთან თანასწორობასაც ვერ მოითმენს და ვერ აიტანს!

მე ქართველი ხომ ვარ, ბუნებით და „გენეტიკით“ — მაშასადამე, უფალიც მე ვარ და არავინ არს სხვა უფალი და სხვა უფროსი ჩემსა ზედა!

მე!!!

(„მეების“, ანუ „მე“-თა ქვეყანაა საქართველო!).

მე ვინ მჯობია, მე იმაზე ნაკლები რით ვარ, ის რა უფლებით უფლობს ჩემზედა?!

ეს არის ფიქრი ყოველი ქართველისა.

და ყოველივე ფიქრად ბრუნავს მის „ცხოველ“ სულში — მხოლოდ ფიქრად-მეთქი, მანამ სანამ ჯერ არ გამძღარა, სანამ არ „განისუქნა“, ხოლო როცა კიდევაც გაძღა, კიდევაც გასუქდა და გაზულუქდა, ფიქრი სიტყვად გადმოიღვარა, ბოლმიან სიტყვად.

სიტყვა „მეორე საფეხურია“, შემდგომად ფიქრისა.

ხოლო, „მესამე საფეხური“ — მოქმედებაა, უკვე ღალატი, უკვე „ღადრობა“, უფროსისადმი, „უფლისადმი“.

მაგრამ თვითონ „უფალი“ იგი, ანუ „კაცი მიწისაგანი (რომელიც) ღმერთსა ემსგავსა“, თვითონ დავითი — იმ „მესამეს“ აღარ დაუშვებს.

ბოროტება და ღალატი გინდა?

ამაზე ფიქრის უფლებას გაძლევს დავითი.

სიტყვის უფლებასაც გაძლევს.

მაგრამ საქმე?

ვაი შენ, მაშინ, საქმითაც თუ შეეცდები მაგ შენი „ორგულ ბუნების გაწყიაღებას!

ამიტომ, საქმე რომ სისხლად არ გექცეს, ფიქრი და სიტყვა იკმარე, ფიქრად ნაგროვები ბოღმა სიტყვად ამოიქციე და დამშვიდდი, მცირე ხნით მაინც, თუნდაც ახალი ბოღმის ფიქრად დაგროვებამდე და კვლავ სიტყვად გადმონთხევამდე.

მანამდე კი საქმეს დავითი თვითონ აკეთებს (შენ თვითონაც გაკეთებინებს!) — საქმეს, რომელსაც იგი ყოველთვის „განასრულებს მაღლად და შუენიერად“.

იგი აკეთებს და, ვისაც უნდა და რამდენიც უნდა, ლომსა ლომობა დაუწუნოს და ბრალად დასდოს, რატომ მაიმუნივით არ იმანჭების, რატომ კვერნასავით არ ცახცახებს („ლომსაცა აბრალონ ეგეევითართა, რამეთუ არა ციდამტკაცლურად იხედავს, არცა კუერნაულად კრთების“).

და, ლომისათვის, ღმერთის მიმსგავსი მიწიონისთვის, „მაბრალობელნი“ გამხდარიყვნენ „საბრალობელნი“.

ესმოდა მეფეს კვლავაც ახალი ნაბრალევ-ნაყარყაშევი: ჩვენი მეფე „შეიყუარნის ვინმე და განადიდნის ვინმეო, და კუალად მოიძულნის ვინმე და დაამცირნისო, ესე აღამაღლის და ესე დაამდაბლისო“.

ყარყაშებდნენ და იმას კი აღარ დაგიდევდნენ და აღარ იძიებდნენ, რაისთვის, რა დამსახურებისთვის განადიდებდა და აღამაღლებდა ვინმეს მეფე, ან რა მიზეზით (მიზეზით-მეთქი!) დაქვეითებდა, თუ „დაამდაბლებდა“, გინა — რაის გამო „შეიყუარნის“, თუ „მოიძულნის?“

აკი ეუბნებოდა იესო მაცხოვარი აბრამის ნაშიერთ, ურვით, წუხილით: „სიტყვაი ჩემი ვერ დაეტევის თქუენ შორის“ *.

და დავითმაც იცოდა, რომ ვერც მისი სიტყვა ეტეოდა იმდროინდელი ზოგად-ქართველის გულში. ვერც ჩაეტეოდა, რამეთუ — არა მხოლოდ ნივთიერ-სხეულებრივად, არამედ, და რაც მთავარია, ზნეობრივად დანგრეული საქართველოდან „აღმოშობილ“ ** ქართველში (იქნებ უფრო „ნაქართველარში“) ძნელი ხდებოდა ახალი ლოგოსის და სულის ჩატევა (სწორედ „ჩატევა“ და არა მხოლოდ „შთაბერვა“).

დავითი უკეთესთა უკეთესი საქართველოს, გნებავთ — ა რ ი ს ტ ო გ ე ო რ გ ი ი ს აშენებას ელტვოდა თავგამოდებით.

სხვანაირად ამ განაზრახს თვისებრივად და ხარისხობრივად ახალი ქართველობის შექმნა ერქვა. მაგრამ უჭირდა, რადგან ასეთი „არისტოგეორგიანული სულის“ ასაშენებლად ფრიად ფხვიერი „საშენი მასალა“ შეხვედროდა.

აკი მან, თექვსმეტი წლის ყმაწვილმა, სახელმწიფო საჭეთმპყრობელობა მიიღო მაშინ, როცა ამ „სახელმწიფოს“, აწ უკვე მის საპატრონო საქართველოს, აპოკალიპტური „ღვთისრისხვის საწნახელიდან სისხლი ცხენთა აღვირამდე“ შემოსდგომოდა ***.

და ძნელი იყო სისხლის მორევიდან აღმოხდენილი და სულამოხდენილი „ძველი“ ქართველობიდან „ახალი“ ქართველობის შექმნა.

გამორჩევით, ის „ორგულ ბუნება“ უნდა დაეთრგუნა დავითს, სწორედ ძველთაგან რომ მოდიოდა — ორგულობა და მზაკვრობა, „ვითარცა ჩუეულება ქართლისა აზნაურთა“.

„მეების“ ქვეყანაა-მეთქი საქართველო!

ყველა ქართველში მარადიულად დუღს ეს საფიქრალი — „მე რომ მეფე ვიყო... მე...“

გამორჩევით — ყოველ „გვაროვანში“, „აზნაურში“, „საზეპუროში“, „ერისთავში“, „ერისმთავარში“.

---

* იოანე, 8, 37.

** ეს სიტყვა იპოვება თამარ მეფესთან და ილია ჭავჭავაძესთან.

*** იხ. გამოცხადება, 14, 19—20.

„მე რომ მეფე ვიყო... მე-ფე... მე...“

„მე მეფე უნდა ვიყო... მე მე-ფე... მე...“

მაგრამ რაკი მეფე ერთია, ხოლო დანარჩენთ მეფობა არ ერგოთ, ეს „დანარჩენნი“ მუდამ მაინც იმისთვის იბრძვიან, ის, ვინც მეფეა, მათ შორის იყოს, ვითარცა compar inter pares — „თანასწორი თანასწორთა შორის“.

დავით აღმაშენებლამდე ბრძოლა ამ პრინციპისათვის იყო ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი, „მეფობის“ ისტორიის მთელს მანძილზე; და ქართველი მეფეები ცოტა მეტსაც აღწევდნენ, ვიდრე „თანასწორობა თანასწორთა შორის“, — სახელდობრ, ქართველი მეფე, დანარჩენ ფეოდალთა შორის მაინც და მაინც იყო primus inter pares — „პირველი თანასწორთა შორის“.

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ დავით აღმაშენებელი ამ „ცოტა უპირატესობასაც“ არ დასჯერდა, „პირველობა თანასწორთა შორის“ არც საკმარისად და არც საკადრისად არ ჩათვალა და თავი გამოაცხადა ერთპიროვნულ, თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ მეფედ, გინა „თანასწორთა შორის უთანასწოროდ“.

დიახ, დავითს ფარისევლური შირმები არ უყვარდა.

ყველაფერი, მანამდელი ადგილობრივი პ ა ტ რ ო ნ ყ მ უ რ ი, ახლა დავით მეფეს თავისთვის ერთპიროვნულ, ზოგადქართულ და თვითმპყრობელურ სამბრძანებლოდ გარდაექმნა და გარდაესახა.

ასეთი უნდა ყოფილიყო, დავითის ნებით, ახალი საქართველო — „არისტოგეორგია“.

ერთიანი და განუყოფელი საქართველო, და მის სათავეში — მეფე, ერთიანი და განუყოფელი თვითმპყრობელობით.

აი, რას ვერ შერიგებოდნენ ძლიერნი „მენი“ საქართველოსი.

და გაისმოდა ბრალობანი მაბრალობელთა.

ბრალობანი ფიქრით და სიტყვით.

ხოლო, საქმე ბრალობისანი? — სრული გამორიცხვით.

ამ „საფეხურზე“ დავით მეფე იყო უმკაცრესად და უსასტიკესად დაუთმობელი.

ხოლო, სიმკაცრე და სისასტიკე მისი — იყო კანონი.

რაკი ადამიანებს ვერ აკავებს და ვერ აწესრიგებს შინაგანი ზნეობა, ამისთვის, — მხოლოდ ამის გამო — გამოგონილი იქნა „გარეგანი“ კანონი.

კანონი კი — დაშინებაა ადამიანისა.

შიში კი ისეთია, ადამიანს რომ აკავებს და... აწესრიგებს.

„ხალხი მხოლოდ შიშით არის ხალხი“, — ამბობდა ქრისტეს წინარე პირველ საუკუნეში, რომის დიქტატორი ლუციუს კორნელიუს სულა, — იგი, რომი რომ სისხლის აბანოდ აქცია, — ყოველდღე რომ ფორუმ რო-

მანიუმზე ადამიანთა წარკვეთილი თავების „გამოფენებს“ აწყობდა.

დავით აღმაშენებელს ასეთი რამ ფიქრადაც არ გაევლებოდა, მაგრამ კანონი რომ სიმკაცრე იყო და „კანონიერი სიმკაცრეც“ საფუძველთა-საფუძველი საზოგადოებისა და სახელმწიფოს სიმტკიცისა და წესრიგიანობისა — ეს კარგადაც იცოდა და განუხრელადაც იქმოდა.

„არა კაც კლა“,

„არა იმრუშო“,

„არა იპარო“,

„არა ცილი სწამო“,

„არა გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა“.

ამ, ყოველი ადამიანისათვის უცილობლად შესასრულებელ მცნებათა განხორციელების გზად, მოსეს მიაჩნდა კანონი, ხოლო ქრისტეს — ზნეობა, სინდისი.

ცხოვრების სინამდვილე კი, მუდამ (მუდამ-მეთქი!) აჩვენებდა, რომ ის „ზეცით მონაბერი“ მცნებანი, ქვაკუთხედნი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წესრიგიანობისა (წესრიგისა-მეთქი!) მიიღწეოდა მხოლოდ მოსეს გზით.

ხოლო, ქრისტეს გზა — ეს უწმიდესი და უნათლესი ქადაგება — მხოლოდ ქადაგებად დარჩა.

ადამიანმა — ზნეობრივად ამ უსრულო არსმა — ვერ იქნა და ფიქრიდან, ზნეობიდან ვერ ამოირეცხა:

სურვილი მკვლელობისა,

სურვილი მრუშობისა,

სურვილი ქურდობისა,

სურვილი ცილისდაწამებისა...

ვერ ამოირეცხა და ქრისტეს მიერ გზაზე ვერ შედგა ადამიანი.

ვერ იქრისტიანა ადამიანმა!

სინდისში, ფიქრში, სურვილში — იგი მაინც მარად მკვლელია, მარად მრუში, მარად ცრუ, მარად ქურდი, მარად ცილისმწამებელი.

მოსეს კანონი და სამართალი — „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“, გამორიცხავს ქრისტეს უსათნოეს შეგონებას: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“, და ადამიანს ბოროტებისთვის ბოროტებით ნუ გადაუხდი! მაგრამ აკი კაცობრიობამ ვერ იქნა და ვერ მოახერხა თავისი „ფხვიერი სულის“ გარდასახვა, და კვლავაც ძალაში დარჩა დანაშაულისთვის სამაგიეროს მიზღვევის კანონიზაცია, ანუ, როგორც ძველ რომში იტყოდნენ — „მკურნალობა ბოროტებით ბოროტებისა“.

ამიტომ — ისევ კანონი, ანუ შიში (ლათინურად — terror — სულა რომ იტყოდა).

დავით აღმაშენებელიც ისეთი უნდა ყოფილიყო: ქრისტიანიზმის

ქადაგება ქადაგებად, მაგრამ უმაღლესი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი წესრიგისათვის — კანონი, კანონი-მეთქი, თუნდაც სასტიკი, თუნდაც სისასტიკით „უზომოესი“.

ამიტომ იყო, რომ იგი მხოლოდ კანონით, სამართლითა და სიმართლით, — „ვითარცა ღმერთი მართალ სჯიდა სამწყსოთა თვისთა თუალუხუავითა მით ბჭობითა თვისითა, და არა სადათ მიდრკებოდა „წამი სასწორისა“.

ამიტომ იყო, რომ იგი — თვითონ, ქრისტიანთა შორის უწმიდესი ქრისტიანი, „სამარადისოდ წმიდითა და განწმენდილითა გულითა“, განასრულებდა „კანონსა უცთომელსა, ყოვლად შუენიერსა და დაწყობილსა“.

ასეთი იყო „კანონიერება“ და „სისასტიკე“ დავითიზმისა:

გასაწვრთნელი უნდა გაიწვრთნას,

დასასჯელი უნდა დაისაჯოს,

განსაპატიჟებელი უნდა განპატიჟდეს,

მოსაკვეთი უნდა მოიკვეთოს,

გასასწორებელი გასწორდეს,

გაუსწორებელი მოისრას.

და ყოველივე — განურჩევლად „დიდისა“ თუ „მცირისა“, „მაღლისა“ „მდაბლისა“, „აზნაურისა“ თუ „უაზნოისა“...

(სხვა გზა აკი არც არის: აკი ადამიანმა, ბუნებით, ზნეობრივად ამ უსრულო, არამდგრადმა, მერყეევმა და მერწევმა არსმა — ვერ იქნა და ვერ იქრისტიანა!).

და იყო დავითიზმი — ხელმწიფობა კანონისმიერი სიმკაცრისა და სისასტიკისა, რათა —

კვლავ არ ჩაფლულიყო ქართველობა „ცხენთა აღვირამდე, ღვთისრისხვის საწნახლიდან ნადენი სისხლის ზღვაში“;

კვლავ არ წაელეკა საქართველო „თბლესა რისხვისასა“;

კვლავ არ ემრავლათ და ემძლავრათ მოღალატეთა, ანუ „სახლთა განმამწარებელთა“.

ამიტომ მუდამ და ყოველთვის, განუწყვეტლივ და განუცადებლად, უნდა სცოდნოდა მეფეს — სად და ვის თაეში რა ფიქრი უდუღდა და პირიდან რა სიტყვა უვარდებოდა.

ფიქრსა და სიტყვას არავის უშლიდა-მეთქი, მაგრამ ერთიც და მეორეც ხომ განაზრახის არსი იყო, ხოლო ყოველი ავი განაზრახი უმალვე უნდა აღკვეთილიყო, — უმალვე, ვიდრე სიტყვა იგი ავადნაქცევი, საქმედქცევას მიემთხვეოდა.

და დააფუძნა დავით მეფემ „ინსტიტუტი“ მსტოვრობისა, იდუმალი მზვერაობისა, მზირობისა, აეშაგობისა.

დააფუძნა და ააწყო კვლავაც მისებრი სრულყოფილებით, ესეც

„ღვთაებრივი“ ჩაგონებით, — „რამეთუ ღმრთისა მიერ იყო მის ზედა ნიჭი ესე და საქმე ყოვლად საკვირველი“.

მოაწყო და სწორედ ასეთი „ღვთაებრივი მსტოვრობის“ წყალობით, ამიერიდან მეფეს — „არა-რა შორიელი არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირედთა, საქმე ქმნილი, კეთილი გინა სიტყუა ბოროტი თქმული, — არა-რა დაეფარეოდა ყოველადვე, არამედ რაოდენცა ვის ფარულად ექმნის ანუ თუ ეთქვის, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა, ვიდრემდის გულის-სიტყუანიცა და მოგონებანი ვიეთნიმე მიუთხრნის მათ, რომელთა ზარგანხდილ ყუნის“.

მაშ, მეფის მსტოვარ-აეშაგებს, თითქოს რაღაც უჩინმაჩინური დახელოვნებით, არარა დაემალვოდათ, არსად — არცა შორსა და არცა ახლოს, არცა ქვეყნის შიგნით და არცა მის გარეთ. მათის წყალობით დავითმა მუდამ უტყუვრად იცოდა, ვინ რას იტყოდა თუ იქმოდა, სულ ერთია, სასიკეთოდ თუ საბოროტოდ, ყველგან და ყოველში — ერში თუ ბერში, ხალხში თუ ჯარში, დიდებულთა თუ მცირებულთა შორის. მერე, არამცთუ ნათქვამნი და ნაქმნარნი, არამედ, თითქოს, ადამიანთა გულსა და გონებაში გავლებული ზრახვანიც კი სცოდნოდეს მეფეს.

სადმე, შორს, ეკლესია-სენაკებში განმარტოებულ ბერ-მონაზონთა ნაფიქრ-ნაქმნარნი, თუნდაც მათგან „ქმნილნი ღვაწლნი და სათნოებანი უწყოდნის ცხადად“ მეფემ. თანაც — „სიშორე გზისა ვიდრე ეკლესიამდე ზომით იცოდის“.

და იყო „საშიშად საზარელ ყოველთა“ ამ უჩინარი მსტოვრობით ყოველ უჩინარ ზრახვათა მხილებანი მეფის წინაშე.

ხოლო, მეფემ ამ „ყოველთათვის საშინელი და საზარელი“ ღონისძიებით, სწორედ „დიდნი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართნა“ და ამიტომ მსტოვრობა იგი „მრავალთა კეთილთა მიზეზ იქმნა“.

სახელდობრ, ყველაზე მთავარი: ამიერიდან „ორგულებასა“ და ზაკვასა, და ღალატსა რასამე ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა“. არამცთუ საქმით, არამედ ღალატსა და მზაკვრობას გონებაშიც („მოგონებადცა“) ვერ გაივლებდა.

კვლავაც მეტი და „საკვირველი“: მეფისა და ქვეყნის საღალატოს თუ სააუგოს კაცი, ცოლი რომ ცოლია — „მეუღლე და ცხედრეული“ — სიტყვით იმასაც ვერ გაუმხელდა, ვერც შვილებთან დაიცდენდა კრინტს, ვერც სხვა ვინმე მოყვასთან, — ვერა და ვერა, რადგან — „ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან“. რომ სიტყვის პირიდან აღმოხდენა და ნათქვამი იგი უკვე მეფისთვის იყო ცნობილი („პირით აღმოსლვასავე თანა სიტყვისასა საცნაურ ქმნილ არს უეჭველად წინაშე მეფისა“.

უკვე ბევრიც გამჟღავნებულიყო და უმალვე კიდევაც დასჯილიყო

ასე სიტყვის წაცდენით — „მრავალნი განპატიჟებულცა იყვნეს და მხილებულ ესევითართათვის“.

და უკვე ღალატზე ფიქრსაც ვეღარავინ ბედავდა — „ვერ ოდეს ვინ განიზრახა ღალატი რაჲთურთით დღეთა მისთა (დავითისა), არამედ იყო ყოველთაგან საკრძალავ და სარიდო“.

იდგა „შიში დიდი და ზარი“, და სწორედ ამა შიშის წყალობით, „ყოველთა კაცთა ესევე საქმე ექმნა წესიერებად და გზად ყოველთა სათნოებათა მიმართ“.

მაშ, შიში ამკვიდრებს კაცთა შორის წესიერებას და სათნოებას!

სწორედ ასე იყო, — „რამეთუ შიშითა მისითა (დავითისათა) ვერ იკადრებდიან უწესოდ სლვად, ვინათგან უწყოდიან არა-რას დაფარულობა წინაშე მისსა“.

დიახ, არარა დაეფარვოდა — არცა სიკეთე, არცა ბოროტება.

და ყველამ უწყოდა, რომ დავითს წესად ჰქონდა — „ქება სათნოებისა, და ძაგება არაწმიდათა და უწესოთა საქმეთა“.

ყველამ იცოდა, რომ ვერარა კაცთაგანი — ვერც სოფლელი და ვერც ქალაქელი, ვერც მხედარი და ვერც მიწის მუშა, ვერც ხელოსანი და ვერც ხელოვანი, ვერც წოდებრივად და ვერც ანაკობრივად — ვერავინაც ვერ გაბედავდა („ვერ იკადრებდა“) არამცთუ ღალატს, არამედ თუნდაც „განდრეკილად სლვას“.

იდგა შიში, იდგა ზარი და ამიტომაც — „ყოველთა კაცთა (შორის) იყო წესიერება, ყოველთა კანონ, ყოველთა პატიოსნება, და თვით მათ მეძავთაცა ყოველთა კრძალულება, ყოველთა შიშ და მმართებელ გზათა საღმრთოთა და მშვიდობისათა“.

და — „ესე დიდნი საქმენი, ღმრთისაგან ოდენ შესაძლებელნი, ესრეთ ადვილად წარმართნა ამით, ვითარცა ვერვინ ადვილ წარმართის ეგრეთ. ამისთვისცა შიში დიდი და ზარი მისი განითქუა კიდეთა ქუეყანისათა, და განკრთეს ყოველნი მკვიდრნი ქუეყანისანი“.

მაშ, იდგა შიში და ზარი.

რამეთუ — სუფევდა „ყოველთა კანონ“.

და იდგა წესრიგი, წესრიგი-მეთქი!

„ნუ ოდეს დამივიწყებთ დავითს!“

ბოლო ხანს „საანდერძო ფიქრებმა“ შეიპყრეს მეფე.

ანდერძი...

ანდერძის დაწერა...

ანდერძის დატოვება...

დატოვება?!

ეს ხომ, უკვე, სიკვდილზე ფიქრია!

ანდერძი და სიკვდილი... მარჩბივნი...

პირველად მაშინ აეკვიატა, შირვანს უკანასკნელ ლაშქრობად რომ მიდიოდა, 1124 წელს.

ეს მისი მესამოცე ლაშქრობა უნდა ყოფილიყო... იქნებ მეტიც... არანაკლები მაინც.

გალაშქრების წინ, შიო-მღვიმის ახალი მონასტრის დასრულების ამბავი მოახსენეს — აი, იმ ტაძრისა, რომლის აშენებაც ოცი წლის წინათ ბრძანა, მოღალატე ძმათა ერისთავთა, ძაგანისა და მოდისტოსის დამარცხებაში მღვიმეველ მამათა თანადგომის სამადლობელოდ.

მაშინვე გაემართა გახარებული მეფე შიო-მღვიმეს; ახალი ტაძარი მოიხილა, მოილოცა, მადლი უძღვნა მის აღმშენებელთ.

ორივე მოძღვარი ეახლა — არსენი და იოანე.

და მაშინვე, სამთავეს გააზრებით, დაიწერა ანდერძი ესე — „ანდერძი შიო-მღვიმის მონასტრისადმი“:

„ნებითა ღმრთისაჲთა მე, დავითს მიწყიეს.

ჟამსა ჩემსა შარვანსა ზედა განმართვისასა შეეეეედრე შეწევნად ჩემდა შესაველდრებელსა ჩემსა წმიდასა მამასა შიოს, ვიხილე ეკლესიაჲ, ჩემ მიერ აღშენებული, დასრულებულად და მივიღე ლოცვა ყოველთა მამათაჲ.

და სასოჭან და განმანათლებელმან ჩემმან, ბერმან არსენი, მიბრძანა ამისა ანდერძისა დაწერა, ხოლო დაკლებულ სისწრაფისაჲ არს.

თუ ინებოს ღმერთმან ჩემი შემოქცევაჲ, უმჯობესად შეიცვალოს, თუ არა, ესე იყოს აწინდელი:

ვინათგან მსთვადმან წყალობად და სულგრძელმან მხედველობათა შინა ცოდვათასა და წყალობითა სიყვარულისა თვისისა მიმართ მიმზიდველმან ღმერთმან ჩემ უღირსსა ზედა აჩვენნა მიუწდომელნი ქველისმოქმედებანი, რომელთათვის ყოვლად უმადლოი ესე, ჯერისაებრ ვერმმადლობელიცა არა მომიძაგა და არა დააცადა ჩვეულებითა წყალობაჲ დღესდღემდე უგბილსა სულსა ზედა, რომელთა კერძოჲ რაიმე და ურიცხვთაგან ერთი მიზეზად თხრობისავე მივსცე თხრობასა.

თვით იგი ოდეს მარწმუნა მის მიერ განგებულსა მეფობასა, თვისითა რაჲთამე განგებითა არა უღირსმჩენელმა შარავანდსა შინა პატიოსანსა უპატიოებისა ჩემისამან, აქათგანვე აღიღო ხელი სიტკბოებითა თვისითა განძღებად ჩემდა.

და თვით მეფე მეფეთაჲ იქმოდა საჭირველთა უჭირველად: ცხადთა წინაალმდგომთა განგებულისა თვისისათა მისცემდა მოსასრველად; იდუმალთა, კვალად ზაკვისა თვის შორის მფარველთა, არა შეუნდობდა სიცბილად, რომელთა თანად თვით მიიღეს ზაკვისა მათისათვის საცთური.

და ერთმან მათგანმან, შემაწუხებელმან ღმრთისა და მონათა მისთა, მძლავრებით ღმრთისაცა არამრიდმან, თანავე ძმისა თვისისა მოდისტოს, წინაუკმოძღსა მღდელთმოძღვრისა, რომელმან ერთმან პატრონთა თვისთა წყალობაჲ მათ ზედა საისრელად აღმახვა, ხოლო მეორემან ღმერთსა და განკუთვნითა ეკლესიები საზეზთმჩენოდ თვისად მიიტაცა, რომელნი-ესე არა ითნნა ესრეთ ყოფად საშჯელმან გამოუძიებელმან, — ცხად არს, რამეთუ ღმრთისამან, — და არცა მიუშვა კვერთხი ცოდვილთა ნაწილსა ზედა მართალთასა: მწყემსი უკაროჲ ჰეშმარიტთა მწყემსთა მიერ დაემხვა. და ძაგანი, მღვიმეს შელტოლვილი, მომცა ღმერთმან, რომელსა შინა არამცირედი ერთგულებაჲ აჩვენეს ჩვენდა მომართ მამათა მემღვიმეთა, რამეთუ იხარებს მართალი, რაჟამს იხილოს შურისგებაჲ. მადლობაჲ აღუვარე დამბადებელსა ღმერთსა და თაყვანის ვეც ღმერთშემოსილისა წმიდისა მამისა შიოს საფლავსა.

ვიხილე წმიდა მთავარმამა, მემღვიმე მიქაელ, და სულითა ღმრთისაჲთა განათლებულნი მამანი; განვიშვი სულითა საწადელისა მისთვის კრებულისა და მხიარულებით აღვივსე სამოთხის მსგავსისა მის ლავრისათვის.

მყის მოუწოდე არსენის ბერსა და განვუცხადე სათნოჲ ჩემი და ვარწმუნე აღშენებად ეკლესიაჲ, საშუალ მონაზტრისა, სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისასა, და მომადლებითა მისითა სრულად ვიხილე.

მიბრძანა სასომან ჩემმან ბერმან არსენი და თვით სულიერმან ბერმან, მოძღვარმან ჩემმან იოანე, რაითამცა წესსა ზედა სვიმონწმიდისასა დავსხენ მონასტრისა მღვიმისა წესნი, რომელნი თვით მათ მიერ აღწერილი ვიხილე ყოვლად შეუენიერად, უცთომელი გზა და წესიერი ცხოვრებაჲ და ანგელოზებრი მოქალაქეობაჲ, რათა ღმრთისათვის ოდენ განკუთვნილნი მას მხოლოსა, თვინიერ საწუთოთაჲსა, ზრუნვასა ჰზრახვიდენ და წინაშე ღმრთისა მეოხებად კადნიერ იყვნენ.

შეწევნითა ყოვლად სახიერისა ღმრთისაჲთა და მადლითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და მეოხებითა შესავედრებელისა ჩემისა წმიდისა შიოისითა მიეცინ სიმტკიცე ეკლესიასა ჩემ მერ აღშენებულსა!

თუ შე ღირს მყოს ღმერთმან ენკენობაჲ მისი ვიხილო, კურთხეულ არს სულგრძელობაჲ მისი, თუ არა — არსენის ბერსა რომელ აქვს კოსტანტი და პერპერაჲ, კალაპოტი გამოუყაროს, მოლესენ, მოხატონ, და ძემან ჩემმან დემეტრე, თანადგომითა კურთხეულის მწიგნობართუხუცესისა და ჩემთა ბერთაჲთა, აკურთხონ ხელითა იოანე ქართლისა კათალიკოზისათა, თანადახვდომითა იმერთა და ამერთა ყოველთა ეპისკოპოსთაჲთა.

ვითარმედ მამათაჲ და პაპათა ჩემთაგან სიგელნი ჰქონან სოფელთათვის მათთა წმიდასა ამას უდაბნოსა, რაიცა სიბოროტითა ჟამთაჲთა შეც-

ვალებულ იყო, მე კვლა გამიახლებიან იგი სიგელნი ანუ მეფეთა შეწირულთა, ანუ მთავართა ვიეთმე და თვით ძველი და ძველისძველი ნასყიდი მონასტრისაგან, ყოველი უბეგროდ, უბაჟოდ და უწყენლად კვლა მომიხსენებია წმიდისა მამისა შიოსათვის.

ქალაქს ტფილის რომელი სპარსთა ქონებასა ჰქონებია, და რომელი აწ უყიდია, და რომელი მე მომიხსენებია, იგი, ანუ წაღმართ მოიგონ, იგიცა, — ყველაჲ უბაჟოდ და უსუხრაოდ ყოვლისა სასეფოჲსა გამოსავლისაგან ჰქონდეს.

ვითა წინამძღვარსა სჯულისა ჩვენისასა, მეუფესა იოანეს, ქართლისა კათალიკოზსა, უბრძანებია და მოუნიშებია ეკლესიისა ჩემისადა, რომელ საქონებელნი სოფელნი და აგარანი ჰქონან, მღვიმესა, საშჯულოჲ სამრებლოჲ არს, ყოველგან თვით მემღვიმისა დიაკონმან მოისამართლოს და ეკლესიისა ზეთად მოახმაროს; და ამისთვის რომელ მიჰრონსა მოანიშებდეს ქართლისა კათალიკოზი, ჩემსა ეკლესიასა შინა სახელი მისი მოიხსენებოდეს პირველთა თანა, მღდელისაგან.

ბროლისა, ბაზიჯისა და მინისა კანდლები, რომელი მე მომიხსენებია და რომელი არსენის დაუდგამს, ნუმცა ვის უკადრებია გამოძღებაჲ!

სასანთლები, სიწმინდის სამსახური და რაჲცა უნდა მისთვის, ოცდაათი ლიტრაჲ ვეცხლი წმიდისა არსენის ხელსა არს.

ცვილი, ვითა გამიჩენიან ვაჭართა ზედა ჟამ-ჟამადი, იგი ამსახურონ.

საზრდელი ძმათა — პური, ხილი ფურნისა, ხუთასისა დრამისა წონი, ნუმცა ოდეს მოაკლდების.

სამდღეროდ ღვინოჲ, ჟამსა სთვლისასა შემსგავსებულად მოსულისა, შინათ მოართვან მსახურთა მონასტრისათა ყოველთა ერთი საწყავი. ეგრეთვე სხვაჲ ყოველი საჭიროჲ სახმარი, შემოსავალთაგან მონასტრისათა.

სხვაჲ: ნაბჭობი, და ჭულბაჭთაჲ, და საზეთეთაჲ, და წისქვილთაჲ ყოველი შესამოსლად განეყოფოდის.

ოცდაათი ჯორი, რომელი აწ მე მომიხსენებია, ამას ნუ დააკლდების.

ძველითგან ვითა სიგელი შეუვალობისაჲ აქვს ცხვართათვის უსაბანჯრობისაჲ, სამი ათასისა ცხვრისაჲ მთასა და ბარს, აწ მე მომიხსენებია ორი ათასი ცხვარი; და ხუთი ათასი ცხვარი, თვით სასეფოჲ მონასტრისაჲ და მათთა მეცხოვრეთაჲ, უსაბანჯროდ, უბაჟოდ და უწყინველად დგეს და იარებოდის ჩვენსა ჰამბარსა გვერდით. და ამისი გამოსავალი ცხვარი ჯორსა იყიდდეს, მატყლი — მსახურთა მონასტრისათა და წველაჲ ძმათა მიეცემოდეს.

ასი ფური მომიხსენებია, რომელი თრიალეთს მთასა, სოფელსა ბჭითს და ბჭითს ზეითს სოფლებს, მათსა საფურესა მუხნარს დგეს. მომეტებული ზროხაჲ ჯორსა და ცხენსა მონასტრისასა სამსახურებელსა იქმოდეს. ხარი სამცხოვრებელთა სამუშაოთა ადგილთა მოახმარონ.

თვალი და მარგალიტი, ჩემისა ხატისათვის რომელი დამიც, და ორნი ბროლისა სასანთლენი, მას ემსახუროს უკლებად.

ბროლისა ბარძიმი და ბაზიჯისა ფეშხვემი სიწმიდისა განახლებისა სამსახურად მოიხმარებოდის.

სხვაჲ ჭურჭელი, იავარი სპარსთაჲ, რომელი არსენისდა და იოანესდა მიმითვალავს, იგი მისსა ჟამსა ჩემსა მონასტერსა გაგზავნოს ძემან ჩემმან დემეტრე.

ძელი ცხოვრებისაჲ და ნაწილნი წმიდათანი, ორი მოთხე სავსე, ესე თვით ამას ჩემსა ეკლესიასა შინა იყოს.

წმიდათა დიდთა მარხვათა ყოველთა პარასკევთა ეკლესიას ტფილსა სეფისკვერსა განუყოფდენ სახსენებლად ჩემდა. და პირველისა შვიდეულისა პარასკევსა თითო კარასეული მიეცეს, სეფისკვერსა და თესლსა თანა შესვაან ყოველთა და მილოცონ ესრეთ:

„უფალო ღმერთო, დავითს მიუტევენ ბრალნი მისნი სიყრმისა და ცთომილებისანი!“

მემსგეფსე ყოველთა კვირიაკეთა ჩემთვის წირვიდეს ჩემსა ეკლესიასა შინა და მამაჲ შემღვომე მას დღესა სერსა უყოფდეს.

რომელსაცა დღესა ჩემი განყოფაჲ იქმნეს ხორცთა ამათგან უბადრუკთა და მრავალმცოდველთა, ღამისთევაჲ და ლოცვაჲ ყონ ყოველმან სიმრავლემან, და მას დღესა ჟამისწირვაჲ ჩემთვის აესრულებოდის.

სოხასტერი, ვითა ბერსა განმანათლებელსა ჩემსა არსენის გაუწესებია და მე ხუდაბუნი შემიწირავს მუხრანს წმიდისა სვიმონ საკვირველმოქმედისადა, რომელმან სამისა დღისა მკვდარი აღმადგინა, იგი, ვითარცა თვით არსენი განაწესის, ეგრე იქნას, გარნა ჩემ მიერ ესეოდენი, რომელი შემდგომად არსენისსა განკრძალული მღვდელი იყოს მახსენებელი ჩემი შეუცვალებელად.

ტფილის საამედოჲთ, ვითა სხვითაცა ნიშნითა თვით ხელითა ჩემითა დამიწერია ასი დრაჰკანი მღდელთა და მგალობელთათვის, ნუვინ დააკლებს. მას დღესა, რომელსა მომიხსენოს ღმერთმან, გაიყონ მღდელთა და მგალობელთა.

ვითა აწ არსენის გაუწესებია ყოველთა კვირათა ღამე ყოველ ღამისთევაჲ, ნუვინ შესცვლის ამას წესსა.

და ტურათის უბანსა რომელ მეზვრენი დაუსხმან და ზვარნი და მიწანი, ამისი პური ეკლესიას მიეცემოდის თითოჲ კვირაის ძალითა და თითო კარასეული ღვინო.

ოდეს ზედაზნისა ციხე და მუხრანი ძველითგან ვეცადე მათგან ძებნითა, მაშინცა არა იყო ნებაჲ ჩემი, მამამან ჩემმან უბოძა, მით რომელ სხვათაცა ჰქონებოდა მათთა გვართა და არავის ოდეს ექნა ჩვენი ერთგულობა.

აწ ძაგანმან სადგომად საებისკოპოსნიცა უდიდესნი გარნა სამთავროდ, თვით ადრითგან მამაობასა ეწერაყე საებისკოპოსოდ, და მცხეთისა საქონებელნი მრავალნი დაემჭირნეს, და წილკანი საყდრისა.

მონასტრისა რაცა იყო: მთასა ციხე, მარანი ანუ მატური იგი სოფელი და მღვიმე მონასტერი შიგან ციხედ და სადგომად ჰქონდეს თვით.

ოდეს მოიქცა სალმობა მისი თავსა მისსა, ყოველი ყოვლითაე უკუნეცით ნაქონები მისა მიმართ თვისებული და მღვიმეს ქონებანი მისნი საავაზაკონი და წარტყვენილი, ვითა მამისა ჩემისა ბრძანებასა შიგან გაჩენით სწერია. აღარ ოდეს მიგეღოს იგი და არცა ვის სხვასა საქმე უც მღვიმესა თანა და არცა მღვიმისა ქვაბთა.

ვითარ-იგი თვით სანატრელისა მამათა ნათლისა შიოჲს ანდერძში სწერია, უფალი მღვიმისა ღმერთია, მეუფე — წმიდაჲ მამაჲ შიო; და მეფეთათვის ლოცვა აღასრულონ, ვითა თვით წერილნი წმიდანი უმოძღვრებენ და ვითა თვით იგინი თვინიერ მეფეთა საწირავისა არაჲ საქმე ყოფილა მღვიმესა თანა, არცა ვის აწ უც საქმე, თვინიერ ლოცვისა და შეწირვისა.

აწ სვიმეონ ბედიელ-ალავერდელისა იყოს შეუდრებულ, რაცა საქმე და საურავი მათი იყოს, იგი იყოფოდის, რომელსა ჩვენ ვერ მიეწინეთ. და შემდგომად მისსა ადგილსა ამითვე წესითა სხვაჲ მწიგნობართუხუცესი იყოს, იგი იურვოდის.

და თვით ძველთა და აწინდელთა ქართლისა კათალიკოზთა ხელნი ვითარად ჰქონან, არცა ქართლისა კათალიკოზის საქმე არს მღვიმესა ზედა, არცა ვის სხვისა ეპისკოპოზისა, არცა ზვერი, არცა მეფეთა, არცა მუხრანისა მგეთა; არცა მღვიმისა შემდგომად ვის აქვს ხელმწიფებაჲ, არცა მათთა აგარაკთა და საქონებელთა თანა ვის საქმე უც.

და ესე ჩემგან აღშენებული ეკლესია ნიჭად ჩვენობისად კმა ეყოს ყოველთა.

ოდეს მუხრანს ვიყვნეთ, წმიდისა შიოჲს ხატსა შეგვამთხვინენ, სამი სეფისკვერი, ერთი ფილას საზედაშე და ფარჩითა კაპარი გვიეელოგიონ. მთავარმან მემღვიმემან მოასვენოს ჯვარი მისი, მას გვაამბოროონ, ჩვენ პატივ ვსცეთ, ვითარცა სულიერსა მამასა ჰშვენის საჯდომელითა და სერითა.

თვინიერ ერთი მიიცვალოს, ვითა თვით წესი არს მისი წმიდისა შიოს საფლავსა ზედა წილგდებაჲ, ამით სხვაჲ განაჩინონ და ჩვენსა დარბაზსა მოიყვანონ, და ჩვენ არგანი მოვახსენოთ და შევჰვედროთ მონასტერი.

და თქვენ, შემდგომად მომავალო მეფენო! ჩემსა ეკლესიასა და მონასტერსა ანდერძითა ამით შეჰგვედრებ წინაშე ღმრთისა შეკრებასა ჩვენსა, რომელ არს სირცხვილისა თანამდებად იხილვნეთ ღმრთისა და ანგელოზთა მისთაგან, მოიხსენნეთ ვედრი ჩემი და ნუ ოდეს დამიეწყებთ დავითს; ჰნახევდით გულსმოდგინებით ქმნილსა ჩემსა ეკლესიასა და ნუ ოდეს ვის გაარყვნევთ კვლა მას დიდებულსა ლავრასა!

და აწ, შემდგომად ამისსა, ანუ მეფემან, ანუ მთავარმან, ანუ ეპისკოპოსმან, გინა მონაზონმან, გინა ხელისუფალმან ვინ, თუნდა გლეხმან და თუნდა აზნაურმან ანუ ანდერძი ესე ჩემი შეცვალებად იურვოს, ანუ ვინ საურავი მოუღოს, ან ქრთამისათვის, ანუ თუ თვით იქმოდეს, ანუ მძლავრებით და ანუ თუ ღვთისმსახურებასა რასმე აჩვენებდეს, ანუ მღვიმესა შიგან სადგომად იურვოდეს, ანუ თავისათვის რადმე მოსახმარებლად, ანუ გარეშე მონაზვნისა მწიგნობართუხუცესისა სასაურაობასა ვინმე იკადრებდეს, რაჲ გვარი გინდა ვინ იყოს — პირველად შენ, დაუსაბამოო და დაუსრულებელო ღმერთო, მიაწიე რისხვაჲ შენი დაუსრულებელად მის ზედა! ნუმცა უხილავს ნათელი ღმრთეებისა შენისაჲ, ნუმცა მიეცემის წყალობაჲ შენი ნუცა ცვარისაგან ზეცისა, ნუცა ნაყოფისაგან ქვეყანისა! იყავნ სამკვიდრებელი მისი ოხერ და ნაშობნი მისნი მოსასრველ, მოლოდებასა შინა წყალობისასა რისხვაჲ შენი ეწიენ, გონებისა, ცნობისა და ხედვისაგან ოხერ ყავ იგი, ღმერთო!

ხოლო შენ, ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, განყოფასა მისსა ხორცთაგან განყავ იგი ნაწილისაგან ცხოვნებულთაჲსა და შური იძიე, ვითარცა მგმობარსა შენსა ნესტორს ზედა!

ხოლო შენ, წმიდაო ღმერთშემოსილო მამაო შიო, ოდეს დაჯდეს ქრისტე ღმერთი განსჯად ყოველთა ტომთა და საქმეთა, წარმოუდეგ და განესაჯე, და ვითარცა შემაწუხებელსა შენსა ზედა, ეგრეთ შური იძიე პირითა ღმრთისაჲთა!

უკეთუ ჟამი მომცეს ღმერთმან და სხვაჲ უახლესი ანდერძი დავწერო, იგი თქვენ, თქვენმიერითა კანონითა, უჯვარობითა, წყევითა და შეჩვენებითა დაამტკიცეთ, წმიდაო მეუფეო ქართლისა კათალიკოზო და ყოველნო მღვდელთმოძღვარნო!

და თუ სხვისა დაწერად ჟამი აღარ მომხვდეს, თვით ესე დაამტკიცეთ! და რათაცა რას ვინ მღვიმესა დააკლებდეს, კანონითამცა თქვენმიერითა კრული არს გაუხსნელად!

სიმტკიცეო ყოველთაო, ღმერთო, მტკიცე მტკიცედ აქციე!“

●

ასე დაიწერა ანდერძი ესე.

დაიწერა და აღარ გათავდა, — კვლავაც გაგრძელდა ანდერძზე ფიქრი.

გაგრძელდა, რამეთუ გრძელდებოდა სიკვდილზე ფიქრი.

კვდება ყოველი მეფე, ვითარცა ყოველი მიწიერი — ადამიანი.

თუნდა იყავ „ვითარცა ღმერთი“, მაინც ხარ მხოლოდ „ვითარცა“, მაშასადამე — მაინც შვილი და კერძი სიკვდილისა.

გინდა იყავ ალექსანდრე მაკედონელი.

გინდა იყავ დავით აღმაშენებელი.

მაინც ხარ მხოლოდ „მოკვდავი ღმერთი“.

მაინც მოკვდავი.

და მოკვდავმა ღმერთმაც უნდა იფიქროს, თვითონ რომ წავა, ვის დაუტოვოს ხელმწიფური ინსიგნიები, სრულიად სამეფო-სახელმწიფო და სამწყსო, თუ არ მისგან დატოვებული ნამეფარ-ნამწყემსარი ქვეყანა.

და აი, საანდერძო ფიქრს ჩაჰყოლოდა დავით მეფე...

აი, მისი საოჯახო ცხოვრება...

პირველი ქორწინება ჰაბუკობის ჟამს — სავსებით „ყმა-წურილს“ შერთეს ცოლი, სომეხი ქალი.

ამისგან შეეძინა პირმშო უფლისწული — დემეტრე (დიმიტრი), ახლა სავსებით დასრულებული ვაჟკაცი, ტანით და სულით ღირსი მემკვიდრე დიდი ხელმწიფისგან ესოდენ აღზევებული ქართული ტახტისა.

მეორე ქორწინება — დედოფალი გურანდუხტი, ყივჩაყთა მთავრის, ათრაქა შარაღანის ძის ასული.

ამისგან ჯერ ორი ასული — თამარი და კატაი, შირვანისა და ბიზანტიის დედოფლები, ხოლო 1118 წელს, გიორგი ჰყონდიდელის აღსრულებიდან ორმოცი დღის თავზე, მეფე-დედოფალს შეეძინათ უფლისწული ვახტანგ, ანუ შინაური სახელით — ცვატა.

ძალიან უყვარდა უმრწემესი ვაჟი დავით მეფეს. მიტომაც არ სურდა სამეფო ტახტის უწილადოდ დაეტოვებინა იგი.

ხოლო, ტახტისმემკვიდრეობის ტახტი ხომ პირმშოობის პრინციპს ემყარებოდა: ტახტი ეკუთვნოდა მეფის უფროს ძეს, მას უკან ამისვე უფროს ძეს, და ასე მუდამ — უფროს ძეთა უფროს ძეობით.

მაგრამ ახლა დავით აღმაშენებელს საწერანი მოემარჯვებინა და ტახტის მემკვიდრეობის ძველ წესს „ასწორებდა“:

საქართველოს მეფე შეიქნება დემეტრე (დიმიტრი) — ეს „ძველი წესით“, ხოლო დემეტრე-დიმიტრის ევალება თავისი უმცროსი ძმა (ნახევარძმა) ცვატა-ვახტანგი სამეფოდ აღზარდოს და თავის შემდგომ მეფობა მას გადასცეს, — ესეც „ახალი წესი“.

ცვატა-ვახტანგის შემდგომ კიდევ ერთი ასული შესძენია მეფეს — ისიც თამარი, დემეტრემ უმრწემეს თამარზეც უნდა იზრუნოს, ვითარცა საკუთარ დაზე და მამის „შვილსა საყუარელზედა“...

აწვალებდა საწერანს დავით მეფე. ახალ ანდერძს წერდა — „ახალი

წესებით". ამიტომ უნდა „ეწვალებინა", და „ეწამებინა" — თვითონ მუდმივად წამებულს.

წერდა დავითი — ჰერმესის, ფსიხოპომპოსის ფრთათა ავი შრიალის ქვეშ...

და დაიწერა ანდერძი იგი, სამომავლოდ მისი ოჯახისთვის საბედისწერო.

დაიწერა მისი კარნახით, არსენი ბერის ხელით:

„გიბრძანებს და მოგახსენებს მეფეთა მეფე დავით, დღეთა შინა სიკვდილისა და სოფლით განსვლისა მისისათა, ჩემ მიერ, უნდოჲსა და უღირსისა, მლოცველისა მათისა ბერისა პირითა, თქვენ, ყოველთა დიდებულთა და წარჩინებულთა სამეფოჲსა მისისათა: კათოლიკოსთა, ეპისკოპოსთა, ერისთავთა და ყოველთა შეწყალებულთა.

უკვდავი და დიდებისა მოყვარე და მეფობისა ტრფიალი მედვა ბუნებაჲ, და არა მიოდეს მოვიხსენებდი დღესა ამას სამარადისოდ საფლავად მისლვისა ჩემისაჲა, და ვერ უძლე დატევებად საწუთოჲსა, ვიდრე არა დამიტევა მე საწუთომან და დამძიმებული ცოდვათა სიმრავლითა მწუხარედ განმიყვანა წინაშე მსაჯულისა.

რამეთუ მრავალნი წყალობანი ყვნა ჩემ ზედა სოფელსა ამას შინა, რამეთუ მომცა პირველად შვილი ესე ჩემი დიმიტრი, სიბრძნითა, სიწმიდითა, ახოვნებითა და სიმხნითა უმჯობესი ჩემსა, და ნამდვილ ესევითარი ჯერ იყო მეფე, მოცემული ღმრთისა მიერ მკვიდრთათვის სოფლისათა მართლმორწმუნეთა.

მე წარვედ წინაშე მსაჯულისა, მისისაებრ განმგებელი მეფობისა.

რამეთუ მხიარულ ჰყოფდის ყრმაჲ ესე დაფარულთა გულისა ჩემისათა და მენებაცა მოცლა საწუთოჲსაგან მეფეყოფითა მაგისითა, რომელი-ესე ღმერთმან და მე და ორის წლითგან მოძღვარმან ჩემმან უწყით.

გარნა მძლო საწუთომან, და წალმართ ქადებულნი ჟამნი მიმტყვენავე და მომაგო ჩემნი და მამისა ჩემისა ჯირნი, რომელთა მიმიქცევიან ამისგან პირნი და თვალნიცა.

გარნა განბჭო მართლადმსაჯულობამან ღმრთისამან და, ესერა, მიწოდა მე, და უწოდა მაგას მეფობაჲ, მამული და ახლად მოგებული ღვაწლითა ჩემითა და თქვენითა: ნიკოფსითგან დარუბანდისა ზღვადმდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწადმდე.

და მივანდვენ შვილნი და დედოფალნიცა, შუამდგომელობითა ღმრთისაჲთა, რათა ძმაჲ მისი გაზარდოს. და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ იყოს ცვატა, შემდგომად მისსა მეფე ყოს მამულსა ზედა. და დათა მისთა პატივ სცეს, ვითარ შვილთა ჩემთა საყვარელთა.

ამას ყოველსა თანა წარუძღვანე წმიდაჲ ძელი ცხოვრებისაჲ და

მივეც დროშა ჩემი სვიანი, აბჯარნი ჩემნი სამეფონი და საჭურჭლენი ჩემნი ზემონი და ქვემონი.

ხოლო დრაჭკანი, კოსტანტი ცვატას და ჩემნი ლალნი და თვალ-მარგალიტნი ხახულისა ღმრთისმშობლისადა შემიწირავს.

ხოლო დუკატი და პოტინატი ატენისა საჭურჭლისა, იგიცა ჩემითა სისხლითა მოგებული, თუ ელეოდეს მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღვარსა ჩემსა, თუ არა, ნახევრისათვის წინაშე ღმრთისა ვესაჯები, რათა რომელი მონასტერნი მამულისა ჩემისანი განმიმწარებიან, მოძღვარმან ჩემმან უკუნცემითა მათითა ალოცნეს ჩემთვის.

ხოლო დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძვალე შვილთა ჩემთა უსრულად, და წარმყვა მისთვისცა ტკივილი სამარადისოდ.

აწ შვილმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულ ყოს ყოვლითურთ საუკუნოდ ჩემთვის და მისთვის და მომავალთა ჩემთათვის, რომელნი მიმიცემიან, მისგან ნურას მოაკლებს.

და ადგილნი, რომელნი მიშოვებიან უმკვიდრონი და უმამულონი, მათგანნიცა, ვითარცა ბერმან არსენი და კათოლიკოსმან გამოარჩიონ, მეფემან დიმიტრი მიცემითა წერილთა და სიგელთა განასრულენ ყოვლითურთ უნაკლულოდ".

ასეთი იყო ანდერძი.

და იმ დღესვე დავითმა საქართველოს ტახტზე დასვა დემეტრე; საკუთარი ხელით „დაადგა თავსა შუენიერსა გვირგვინი ქვათაგან პატიოსანთა... და შეარტყა წელთა ძლიერთა მახვილი, ეჰა, რაბამ სვიანად ხმარებული, და შემოსა პორფირი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანსა. და დაულოცა ცხოვრება წარმართებული და განგრძობა დღეთა ბედნიერობით, თაყუანისცემად მისა მეფეთა ქუეყანისათა და ყოველთა წარმართთა მონებად მისა, გამობრწყინვებად დღეთა მისთა სიმართლე და მრავალი მშვიდობა".

„ბალოგანი სინანულისანი"

ერთხელ, მძიმედ დაჭრილმა ალექსანდრე მაკედონელმა უსაშველო ტკივილისაგან დაიგმინა. ამ „ღმერთის გმინვამ" კი გააკვირვა იქ დამსწრენი.

„შენ გტკივა, ღმერთო?!"

„ეჰ, მეგობრებო, ნუთუ მართლა გჯერათ, რომ ჩემს ძარღვებში ქაცმშვილის სისხლი კი არა, მართლა იქორი დაედინება?!" (იქორი — ღმერთთა უხრწნელი სისხლი — „ამბროტონ ჰემა" — ჰომეროსის „ილიადადან" გაიხსენა ამ „მოკვდავმა ღმერთმა").

ერთხელ ესეც უთხრა თავის თანამებრძოლს, პტოლემაიოსს, ერთი

რომელიღაც ბრძოლიდან ერთნაირად დასისხლიანებული რომ გამოვიდნენ:

„შეხედე, პტოლემაიოს, მგონი მე და შენ ერთნაირი სისხლი გვქონია“.

მაშასადამე, მეც მოკვდავი სისხლისა ვყოფილვარო (რა ვუყოთ, რომ თავის მხრივ პტოლემაიოსს სხვანაირად უნდოდა „გაეგო“: მეც ალექსანდრესავით ღმერთი და ძმა-სისხლიერი ვყოფილვარო!).

და, კიდევ, ამასაც იტყოდა ხოლმე ალექსანდრე: ორი რაიმე სისუსტე ჩემში მარწმუნებს, მეც უბრალო, მოკვდავი ადამიანი ვარ — ქალისადმი ლტოლვა და ძილიო...

დიახ, ასეთი ყოფილიყო ისიც — გინდა ღმერთი(ვით), მაგრამ მოკვდავ-სისხლიანი...

და, არც დავით აღმაშენებლის ძარღვებში მდგარიყო იქორი, — ქართველი მეფის სისხლიც თურმე სისხლი ყოფილა ჩვეულებრივი მიწიერისა, მოკვდავისა, — სისხლის, რომელსაც აქვს უნარი გაცივებისა და... გაშრობისა.

და იცოდა ეს თვითონ სიკვდილმა, მარად უძლეველმა და მარადიულად ყოვლისმმუსვრელმა.

და დასდევდა იგი დავით აღმაშენებელს(აც).

დასდევდა ფეხდაფეხ, წამწამისად, თითქოს ხან სურვიელი ტრფიალებით, ხან შიშრეულად, ხან გაბედულად, ზოგჯერაც სულ ახლოს მიბრჯნით, თვალში თვალის განწონვით.

სამოცზე მეტ ბრძოლაში პირისპირ შეხვდა დავით მეფეს სიკვდილი, პირდაპირ, თვალდათვალ, მაგრამ სამოცჯერვე უკუიქცა ამ საოცარი კაცთაგანის სიმამაცით განმკრთალი და გაფითრებული.

მერე სიკვდილმა ბრძოლის ველს თავი მიანება და აღმაშენებელს ჟამსა აღმშენებლობისასა მოუნდომა შეხება „საწერტელითა თვისითა“ და უკვე გელათის ტაძარს აღწეული მეფე იმ სიმაღლიდან ჩამოაგდო და მიწას დაანარცხა. ხალხში ხმა გავარდა მაშინ: სამას ხუთი აქიმი დაეხვია სიკვდილის ხელში მოქცეულ მეფეს, სამასხუთივე უძლური აღმოჩნდა და სიკვდილსაც ის იყო უნდა ეზეიმნა, მაგრამ მოიჭრა სამას მეექვსე მკურნალი, გვარად ა ვ შ ა ნ დ ა ძ ე, რომელსაც მეფე თორმეტი ფურ-ირმის ნაწველ რძეში ჩაუწვენია და ესრეთ განუგდია სიკვდილი მისი სხეულიდან.

აგრე არ უნდაო, და ახლა უფრო ბოროტი გზით მოინდომა სიკვდილმა ამა ქვეყნიდან განპატიჟება ამა ქვეყნისვე უპირველესი კაცთაგანისა. ამჯერად მან შინაგამცემთა ხელით სცადა ბუმბერაზი გმირის მოცელვა და „მოწერტვა“.

დიახ, ღალატით, — „და ესე არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალგზის“.

ერთხელ, ქართლის რომელიღაც ციხისათვის ბრძოლის ჟამს, შუადღის სიცხეში, მეფე პერანგის ამარად გამოვიდა კარვიდან.

მკერდზე მცირე ოქროს ხატი უბრწყინავდა, მთავარანგელოზისა.

ზედ ქართული ასომთავრულით ეწერა: „ღმერთო ყოვლისა დამბადებელო, ადიდე შენ მიერ გუირგუინოსანი დავით, აფხაზთა და ქართველთა, ჰერთა და კახთა მეფე, მზე ქრისტიანობისაჲ. ამინ“.

კარებთან შედგა და უეცრად კოშკიდან მძლავრად ნასროლმა ქვაბურმა გაიზუზუნა.

მეფის შიშველ მკერდს წივილით დააცხრა ისარი და... თითქოს პიტალომ აისხლიტაო, ძირს დაეცა ისარი იგი ჭვინტმოქცეული.

ისარი სწორედ იმ ხატს მოხვედროდა.

ისევ მოსცარვოდა ხელი სიკვდილს.

მერე სანადირო ველზე გაჰყვა სიკვდილი ნადირობის მოტრფიალე მეფეს (ნადირობის სიყვარული მამისგან დაჰყოლოდა).

მუხრანის სანახებს მიჰყვებოდა მონადირე მეფე, თან წიგნის კითხვას ჩაღრმავებული. ძაღლების ყეფამ გაჰყარა წიგნს. ტყიდან ირემი გამოჭრილიყო. დავითმა მშვილდ-ისარი გამართა და ცხენი მოსხლიტა. სწორედ მინდორზე მუხანათად ჩაკვეთილი ხრამი ვერ შენიშნა კენტავრივით გაფრენილმა, და კენტავრი იგი ერთბაშად ორად განიპო: ცხენი ხრამის კბოდეს შეასკდა, ხოლო უნაგირის ძარძაყიდან ასხლეტილი მხედარი შორს დაენარცხა „და ესოდენ შეიმუსრა, რომელ სამ დღე ყოვლად უსულო მდებარე იყო უძრავად“.

სამ დღეს სიცხლს აღებინებდა მკერდიდან (რა გაეწყობა, არც ალექსანდრე მაკედონელის ძარღვებში დაედინებოდა იქორი, არც დავით აღმაშენებლის ძარღვებში).

შიო-მღვიმის მოწესეებმა უპატრონეს მაშინ ხელმწიფეს (აკი სამადლობელ ანდერძშიც აღენიშნა).

და კვლავაც ძლეული წავიდა სიკვდილი.

ბოლოს, მოსწყინდა სიკვდილს საარაკო გმირთან თამაში და მასთან მივიდა სულ უბრალო, უთვალავჯერ ნატკეპნი გზით და ნაცადი წესით. იქ მიაკითხა, სადაც სიკვდილს მიელის ყოველი ჩვეულებრივი კაცთაგანი.

შინ!

სახლსა შინა...

სარეცელსა ზედა...

ძილსა შინა...

(„ძილი და სიკვდილი ძმები არიან“ — ეს ძველბერძნული ანდაზაა)...

1125 წლის დამდეგს დავით მეფე ტფილისის სასახლეში იყო.

საახალწლო დღეები იმ წლის საშინაო და საგარეო განაზრახთა განსჯას მოანდომა.

რომელიღაც დიდი საომარი ლაშქრობებისათვის ემზადებოდა მეფე იმ ზამთარს.

სწორედ ამ „დიდთა საქმეთა და უფროსთა ლაშქრობათა“ წარმართვაზე ფიქრობდა დიდი ხელმწიფე, როცა უეცრად ფიქრი შეიბრუნა და მის აზრსაბრუნავში ერთბაშად ამოიმართა მარადიული საკითხავნი ცხოვრებისანი — სააღსარებო საკითხავნი.

დიახ, — რა იყო ჩემი წუთისოფელი, ანუ საწუთრო, ანუ „საწუთოი“, ვითარცა კაცისა, ვითარცა ხელმწიფისა... ანუ ვინა ვარ, ანუ ვინ ვიყავ მე?!

ჩემი „მე!“...

და იმ დღეებში უნდა განესრულებინა დავით აღმაშენებელს „გალობანი სინანულისანი“, გასაოცარი აღსარება, პოეზია და ფილოსოფია, ზენაარული, ჰეშმარიტად — „ზეცითა მონაბერითა“.

აი, ისიც:

გალობა პირველი

რომლისაცა წინაშე
ქედდადრეკილ არს ყოველი,
მუხლი ყოველი მოდრკების და ენაჲ ყოველი
შენსა ხმობს აღსარებასა,
მეცა, სიტყვაო,
აღმსარებელსა მომხედენ!

ხატსა თჳისსა მამსგავსე
და საკრველად გრძნობადისა
და გონიერისა მყოფობისად დამაწესე
შენებრ აზრთა სიტყვებისა
ჩემ შორისცა შეკრებითა,
ხოლო მე უმადლო გექმენ.

ბუნებითნი რაჲ ძალნი
არა რჯულთაებრ ვიხუმიენ,
მსგავსებისაგან დავაკლდი და დავჰბადე ბოროტი,
ხოლო ხილულთამიერსა გემოვნებასა
ვრცელად განუხვენ გრძნობანი.

ქალწულო, ბრალეულთა
თავსმდებო, რომელმან სიტყვაჲ
განაზრქე ხორცითა და კარვითა მიწისაჲთა,
სიზრქე უსასოებისაჲ განმძარცვე,
რაჲთა მონანული შეგივრდე შენ!

გალობა მესამე

ბუნებითსა რაჲ პორფირსა
თვითმფლობელობასა თანა
მეფობისაცა შარაჟანდნი
მარწმუნენ, ხოლო მე ვნებათა ბილწთა
მონებად მიეჰყიდე თავი,
რამეთუ „რომლისაგანცა ვინ
ძლეულ არნ, მისდაცა დამონებულ არნ“.

კაენის მკვლელებრი ცნობაჲ,
სეითის ძეთა ლირწებაჲ,
გმირთა სიღოდით მავალობაი,
ხუთქალაქელთა შეგინებისა მწვირე
უფროჲსად ვამრავალწილე,
ვითარცა რაჲ ალმართ მსრბოლმან
მდინარემან უკეთურებისამან.

მეგვიპტური გულმძიმობაჲ.
ქანანელთ ჩვეულებანი
მსხვერპლვაჲ ნაგებთაჲ, ზმნაჲ და სახრვაჲ,
კოწოლი თმათაჲ და სხვანი, რომელთაჲ
შენ ჰბრძანე არამსგავსებაჲ,
უწარმდებესად მოვიგენ
თვით მათ პირმშოთა სახეთასაცა.

ამისთვის იყო ჭალწული
და ხორცქმნაჲ სიტყვისაჲ,
რაჲთა დედობრიეთა ოხათა მიერ
ცხოვნდენ ცოდვილნი, რომელთა პირველი,
საშუალი და დასასრული
მე ვარ, ვითარცა უფსკრული,
შესაკრებელი ბილწებისა ღვართაჲ.

გალობა მეოთხე

ისრაელისა მეფეთა
ვჰბაძევდ, გარნა უსჯულოთა,
და რავდენ მეძლო, ვსცთებოდე მაღალთა ზედა
კუმევისა და წარმართთა აღრევისა მიერ
და ძალთა ცისათა თაყვანისცემისა.

ზენაისა მოძრაობისა
ასურასტანული ზმნობაჲ,
და ცთომილთა ვარსკვლავთა და უცთომელთა
კრებაჲ და განყრაჲ, სვე და ბედი, და შობის დღე
ვითარ საღმრთოთა უსმენელმან, ვიჩქურენ.

ელლინთა მიერ ვერ ცნობაჲ
სიბრძნითა ღმრთისაჲთა ღმრთისაჲ
ცვალებაჲ თაყვანისცემისაჲ სრულეყავ, რაჟამს
თითოეულისა ენებისა კერპსა ეპმსახურე.

ამისთვის ღმერთ-მამაკაცებრ
მოქმედ იქნა ზეშთა ღმერთთაჲ,
რაჲთა კაცებრ უწყოდნის ენებანი ჩვენნი,
და ღმრთეებრ იხსნიდეს ბრალთაგან,
რომელთა ღმრთისმშობელად ქადაგონ ქალწული დედაჲ

გალობა მეხუთე

სჯულნი დაეთრგუნენ
წიგნისანი და ახალი ბუნებითურთ,
და სჯულისა შენისა მოწამე, სჯული
გონებისაჲ, ცოდვისა
და ხორცთა სჯულსა დაეამონე.

თითოეულთა
მხეცთაგან შეზავებულსა მხეცსა ეემსგავსე
მრავალგვარსა და მრავალხატსა, და სხვა-ჟამ სხვებრ
ხილულსა და მკსენარსა
ბუნებისაებრ თითოეულისა.

არა შეეძრწუნდი
მანგლისაგან მფრინვალისა, რომელი
შურსა სიკვდილისასა მიჰხდის, რომელნი ჩემებრ
მიმდემად ცრუდ ფუცვიდენ
განსაკრთომელსა სახელსა შენსა.

ამისთვის სისხლთა
ქალწულებრივთაგან ხორცნი ღმრთისანი,
და ახალი შეზავებაჲ ღმერთი და კაცი,
რაჲთა იოხდეს დედაჲ
ჩემებრ განწირვით უსასოქმნილთა.

გალობა მეექვსე

სოლომონისაჲსა
წურბლისა მსგავსად ვერ მაძღარი
სხვათა სოფლის კიდეთა ვეძიებ დაპყრობად
და ღმრთისა საზღვართა ვაბრალობ,
ვითარცა მცირეთა და უნდოთა,
ჩემისამდე უძღებებისა და გულისთქუმისა.

ბოროტად გარდაეპხედ
საზღვართა, და შეეპრთე სახლი სახლსა,
და აგარაკი აგარაკსა, და უუძლურესთა
მივპხვეპე ნაწილი მათი
და ვიღწიდ უმეზობლობასა,
ვითარმცა მარტოჲ ვმკვიდრობდ ქვეყანასა ზედა.

მბრძოლ ვეჴმენ ყოველთა
წესთა შჯულისა შენისათა
და ქორწილთა მიერ ხენეშთა ვპმძლავრე საწოლსა ჩემსა,
და სახეთა მიერ ბოროტთა
მიცემითა ვაცოდვე ერი ჩემი,
ვითარცა მეფეთა მისთა — ისრაელი.

ამისთჳს ქალწული
დედაჲ და შობაჲ ახალი
სიტყვაჲ, რაჲთა ახალი ხატყოფაჲ მეორედ მისცეს
ცოდვით განმრყვნელთა მისთა,
დედობრივთა რაჲ ოხათა ბრძმედითა
დაადნოს ყოველი ნივთი შეცოდებისაჲ!

გალობა მეშვიდე

ვეცხლი, ვითარცა
მიწაჲ, და ოქროჲ, ვითარ თიხაჲ უბნისაჲ ვიუნჯენ,
თაყვანის ვეც ანგაჰრებისა მამონას,
ვითარ-იგი ძველთა მათ —
ბაალს და ასტარტეს
და ქამოსს საძაგელსა.

სიტყვაჲ წმიდაჲ და
ბჭეთა ზედა მამხილებელი მოვიძულენ, ხოლო
მლიქნელთა ძმაცული სიყვარაგე ვითნე,
და შემასმენელთანი
დავიტკბენ ზრახვანი,
და ცრუნი განვსცენ მჯავრნი.

ცრემლნი ქვრივთანი
და ობოლთა ბრგუნვილი ტირილი არ შევიწყალე,
არა განუხვენ ნაწლევნი მოქენეთა,
უფროჲსღა შენ, ქრისტე,
რომელი იზრდები
მცირედითა ზრდითა მათითა.

ამისთჳს შობაჲ
ღმრთისაჲ ადამიანისაგან დედაკაცისა,
რაჲთა მიწით შობილთა კაცთა ცთომასა;
ვითარცა ღმრთისა დედაჲ
დაჰხსნიდეს ქალწული,
და იოხდეს ცოდვილთა.

გალობა მერვე

ესენი ეცოდენ სახარებისა სჯულთა
და მცნებათა შენთა შინა,
მცემელთა რაჲ ყვრიმლისა მიპყრობასა,
და გლახაკთათვის განწიშვლებასა,
და რაჲთურთით არა ფიცსა
შენ, სჯულისმდებელი ჩემი, ჰბრძანებდი
და გულისქუმითა მიმხედველობასა
განსრულებულად მრუშებად დასდებდი.

დაღათუ ესრეთ განეხრწნენ ყოველნი გრძნობანი
და ყოლად ხრწნილება ვიქმენ,
გარნა არავე აღვიხვენ ხელნი,
არცა დავდევ სასოებაჲ ჩემი
მრთისა მიმართ უცხოჲსა, არცა
უცხოთესი რაჲმე სარწმუნოებაჲ
საწვრთელ ვყავ სულისა, გარეშე მისსა,
რომელი მასწავეს ღმრთისმეტყველთა შენთა.

და აწ, შომდრეკელი მუხლთა გულისათაჲ,
ვხმობ, ვითარცა სხვაჲ მანასე:
მილხინე, ჰოი მეუფეო, მილხინე
და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა,
და ნუ იხსენებ ძვირთა ჩემთა,
და ნუ დამსჯი მე ქვესკნელთა თანა,
რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთაჲ,
ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან.

საკუთრად ღმრთისმშობელად გქადაგებთ, უხრწნელო
ქალწულო, და გვრწამს, ვითარმედ
პატივი ხატისა შენისაჲ შენდამო
წიაღმოვალს, ღმრთისმეტყველთაებრ,
და ცოდვილთა მოქცევასა
ანიშებ მის მიერ, ვითარცა ცხადჰყოფს
თეატროჲ იგი მრჩობლთა სოფელთაჲ,
სიკეთე ეგვიპტისაჲ, ღირსი მარიამ.

გალობა მეცხრე

ჟამი რაჲ წვლილთა და ხმელთა აღმოფშვინვათაჲ წარმოდგეს,
ზარი მეფობისაჲ წარხდეს და დიდებაჲ დაშრტეს,
შვებანი უქმ იქმნენ,
ყვავილოვნებაჲ დაჭნეს,
სხვამან შიიღოს სკიპტრაჲ,
სხვასა შეუდგენ სპანი,
მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!

გან-რაჲ-ეღოს წიგნი დღესა შინა სასჯელისასა
და მე ქედდადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად,
მსაჯული მართალ სჯიდე,
მსახურთა რისხვაჲ ქროდის,
მართალნი ნეტარებდენ,
ცოდვილთა ჰგეემდეს ცეცხლი,
მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!

ვინაჲთგან აღსაარებით გრძნობად და შეკრებად იწყო
ძვალი ძვალსა თანა და ნაწევარი ნაწევარსა,
და განხმელთა მოჰბერა
სული კეალად შობისაჲ.
მრწამს, ვითარმედ აღვსებაი
სრულყოს ღმერთმან ჩემ შორის
ყოვლისავე სინანულით აღდგომისაჲ.

მარტიო, სრულო, სამშზეო, ერთ(ს)კროვნებაო,
განმინათლე მხედველობითი სულისაჲ, რაჲთა
გიხილო ნათელი
ნათლითა უფლისაჲთა,
სულითა ღმრთისაჲთა ძე
გამოგვიბრწყინეო მაშინ
დაუსრულებელთა საუკუნეთა.

არაჲ უხილავს მზესა ქალწული დედაჲ თვინიერ ბჭნსა,
არცა ჩემოდნად ბრალეულსა — ნათელი მისი,
გარნა მე შენითა
ოხითა, დედოფალო,
ვესავ ხილვად ნათელსა
ძისა შენისასა
და ნათელსა ზეშთა საუკუნეთასა.

მაშ, „გალობანი სინანულისანი“ — სახელითვე სწორუპოვარი აღმონაცენი ზოგად-ღვთაებრივი სიტყვიერებისა; აღსარება, მონანიება და ლოცვა თვითონ სიტყვის (ლოგოსის), ანუ თვითონ ყოვლის(შე)მოქმედი უფლის წინაშე.

შენს მსგავსად, შენს ხატად რომ გამაჩინე, ხოლო მე ამ ღვთაებრივი მადლის მაგივრად, ეგზომ უმადლო და უმადურ გექმენ!

ბუნებისაგან მონიჭებული ძალები „სჯულთაებრ“ ვერ გამოვიყენე და მრავალი ბოროტება „დავჰბადეო“ (ალბათ, ამას ეძახდა „ბოროტებას“: მისი ერისა და ქვეყნის მტრებს ღალატისა და ბოროტებისთვის „ბოროტებით“ რომ უხდიდა და უსწორდებოდა და არა მამამისივით „სიკეთით“).

ღვთაება–ლოგოსიდან, ღვთისმშობელს ჰვედრის მეფე-მომნანიებელი: შენს წინ ვიჩოქებ და ვინანიებ, ქალწულო, ბრალეულთა თავსმდებელო, სიტყვა რომ ცოდვილ მიწა-სხეულად მაქციე.

სამეფო შესამოსელით და თვითმპყრობელის გვირგვინით რომ შემამკე, მე ბილწ ვნებებს დავემონე. არც კაენური მკვლელობა დამკლებია, არც სეითური ბილწებანი, სიმთვრალენი, მრუშებანი, ყოველი „შეგინებისა მწვირე“ მე უარესად „ვამრავალწილე“. ყოველ ცოდვილთა შორის მე ვარ ცოდვილი უდიდესი — პირველიც, შუაც და დასასრულიც. მე ვარ ყოველ სიბილწეთა შესაკრებელი.

მიწიერ გრძნობებს რომ კარები ფართოდ გავუღე, „ხორცთა სჯულს“ დავემონეო (უეჭველად, საყვარელი ქალისადმი ტრფიალებაც „იმონებდა“ სხეულებრივი ანაგებით სრულქმნილ კაციშვილს. ალექსანდრე მაკედონელიც რომ ასეთ „სისუსტეს“ უჩიოდა).

ციურ ძალებს ვეთაყვანებოდიო, ვარსკვლავთა და ცთომილთა ვსწავლობდი და ვუკვირდებოდიო, საღვთო საქმეებში ვიჩქურებოდიო — ვეჭვობდიო (მეცნიერებას „სწუხდა“ ხელმწიფე).

საღვთო წიგნთა სჯულნი დავთრგუნეო და მათ ნაცვლად „სჯული გონებისაჲ“ ვიწამეო (ისევ მეცნიერულ „ცოდვას“ მიანიშნებდა მეცნიერი გვირგვინოსანი).

„სხვათა სოფლის კიდეთა ვეძიებდი დასაპყრობლად“ (დიახაც, „ცოდვილი“ იყო მშობლიური ქვეყნის სამტრო ქვეყანათა დალაშქრა-დაპყრობაში).

„მარტოჲ ვმკვიდრობდიო ქვეყანასა ზედა“ (დიახაც, მარტო იყო, მარტო სული — მონოანთროპოს).

„ქორწილთა მიერ ხენეშთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა“ (რა სიმძიმილია ამ ძუნწ სიტყვებში; არ კი გაგვიმხილა, რა „ხენეში“ სულთაძვრანი წაჰკიდებოდა მის ხელმწიფურ სარეცელს. ორცოლიანობა? ან რა იყო, რა ნებითა და უნებობით პირობაქმნილი მისი ორივე ქორწინება? ან იქნებ სხვა რამე „მძლავრობა“. მოეხდინოს ეფემერად გრძნობას აყოლილ მეფეს მისი საქორწინო სარეცლის მიღმა!. ეს ხელახალ აღსარებად გამოსჩანს ადრე ნათქვამისა — „უფალო ღმერთო, დავითს მიუტევენ ბრალნი მისნი სიყრმისა და ცთომილებისანი!“).

ოქრო-ვერცხლი თიხასავით ვიუნჯე, მლიქვნელობასა და მსტოვართა შენასმენს ყური შევუტკბე.

გულისთქმას ვყვებოდი და მრუშობას მივსდევდი (ისევ ქალი!).

თუმცა ყოველი გრძნობა გავრყვენ და გავბრწენ, მაგრამ არასდროს უცხო ღმერთის წინაშე არ მილოცია, არც უცხო რაიმე სარწმუნოება სულში ფიქრადაც არ გამივლია (მაშ, ვიყავ მარად ქრისტიანი, უმტკიცესი, შეურყვნელი და შეურყეველი).

და, თითქოს, ეს წმიდა ქრისტიანობა მაინც უფლებას აძლევდა მეფეს, ეთხოვა ღვთისმშობლისა და თვითონ მისი ღვთაება-ძისთვის, განკითხვისა და მსჯავრდების ჟამს, შეიწყალონ, მიუტევონ და „დააღნონ ყოველი ნივთი შეცოდებისაჲ“ მისნი.

გამორჩეულად, ღვთისმშობლისადმი მოწიწება გამოსჭვივის მეფის საოცარ აღსარებაში. ღვთაება-დედის ნათელი უფრო მაღალია, ვიდრე მისი ღვთაება-ძისა. მე შენი ნათლის უშუალო ხილვას ვერ შევიძლებ, მაგრამ შენის მეოხებით შენი ძის ნათელს კი ვიხილავო.

ღვთისმშობლის სინათლე, ღვთისნიერ მეფეს, სრულიად უზენაეს, მიწიერთათვის მიუწვდომელ, თითქოს, „ყოველ ნათელთა უნათლოეს“ სამყაროდ წარმოუსახავს.

და, თითქოს, მიჰქროდა ზეცად, ცისად-ცისად, იმ „უნათლოეს“ სამყაროსთან მისამთხვევად, თუ განსაზავებლად „გალობანი სინანულისანი“, ნაშობი „შუბლისა დედამიწისა“.

ემანაცია ადამეთის ზღვარდაუდებელი წუხილისა.

წუხილი — სიხარულზე უფრო ბუნებრივი ბუნება ადამიანისა (!).

ხოლო, დიდი ბუნება დავით აღმაშენებლისა — დიდი წუხილი მისი.

წუხილი მარტოხელა სიდიადისა.

„მარტო ვმკვიდრობდი ქვეყანასა ზედა“ — გმინვა მისი მარტოსულიდან.

სწორედ მარტო იყო და მარტოსაგან წარიმართებოდა ყოველი „მართებანი და განსაგებელნი, კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი, განხეთქილობათა კრძალვანი, სამეფოსა წუნარებისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინობანი, მთავართა ზაკვისა ცნობანი, მხედართა განწესებანი, საერონი შიშნი, სახელოთა და საბჭოთა სჯანი, საჭურჭლეთა შემოსავალნი, მოციქულთა შემთხუევანი და პასუხნი, მეძულვნეთა ჯეროვანნი მისაგებელნი, შემცოდეთა წყალობითნი წურთანი, მსახურებულთა ნიჭმრავლობანი, მოჩივართა მართალნი გამოძიებანი, მოსაკითხავთა შესატყვისნი მოკითხვანი, სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი, და რაოდენნი ვინ აღმოწყვნეს სიტყვითა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმეთასა, რომელთა შინა ვერვინ ძუელთა და ახალთაგან მეფეთა ემსგავსა, ვითარცა საქმენი წამებენ მზისა შარავანდთა უბრწყინვალესნი და ცხადნი, რომელნი სიბრძნითა თვისითა ქმნა“.

და ყოველივე, ამ აღუთვალავი და „აღმოუწყველი“ სიკეთისა და მადლისათვის — „მე უმადლოდ“... ამას იძახდა თვითგვემით და თვითდამდაბლებით.

მარტო იყო.

და უკეთუ არ იყო მარტო, — მასთან მხოლოდ წუხილი იყო.

(წუხილი — ბუნებრივი ბუნება ადამიანისა... დიდი ბუნებრივი ბუნება დიდი დავით აღმაშენებლისა).

და იმ ჟამსაც მარტო იყო, როცა მასთან, „სახლსა სადავითოსა“, შევიდა იგი, ვისაც სახელად ერქვა... „სიკვდილი“ (თუ — „ჰერმეს ფსიხოპომპოს“).

შევიდა, რათა საამქვეყნიოს უდიადესი ბინადარი წაეყვანა საიმქვეყნიოდ — იმ „შვენიერსა“ ქუეყანაში, „რომლისა შუენიერება არა უხილავს თვალსა სხეულიანსა“.

გაბედულად, შინაურულად შემოვიდა, რამეთუ სწამდა: არც დავით ქართველთა მეფის ძარღვებში ჩქეფდა იქორ...

და იდგა 1125 წელი, 24 იანვარი, დღე შაბათი, ჟამი მიმწუხრისა, — როცა საქართველოს მოუკვდა დავით აღმაშენებელი.

და, განა, ოდენ საქართველოს?!

არა ოდენ შუბლსა დედამიწისასა, არამედ სრულიად დედა-მიწას მოკვდომოდა იმჟამად მისი ყველაზე დიდი შვილი.

ტფილისის სასახლეში „ჰრულითა რათამე შუენიერითა დაიძინა“ მან.

იწვა დევკაცი თვალდაწუხვილი, რომელმაც მანამდე „არა სცა ძილი თუალთა, არცა ჰრული წამთა, არცა განსუენება ხორცთა“.

იწვა „სახლსა სადავითოსა“ დავით აღმაშენებელი.

დიდი ხელმწიფე, — რომელმაც სამშობლო თავისი „მოსტაცა ეშმაკსა და შეასაკუთრა ღმერთსა“.

ანუ — რომელმან აღაშენა საქართველო.

ანუ — „რომელმან ძალითა მით ძლიერითა“, ისევე შექმნა საქართველო, ვითარცა მაღლით უფალმა სრულად სამყარო.

(მართლაც ძლიერი და უძლეველი ყოფილა სიკვდილი, „რომელმან ძალითა მით ძლიერითა“ დაინადავლა დავით აღმაშენებელი!).

დავით — სულითა ღუთის ანაბეჭდითა.

დავით — „მესიის მახვილი“ და თვითონ მესია საქართველოსი.

დავით — ქართველი პერიკლე და ალექსანდრე.

დავით — გამათავისუფლებელი, გამაერთიანებელი, მრავალმხრივი რეფორმატორი და უბრძენესი სჯულმდებელი.

დავით — უბრწყინვალესი მხედართმთავარი და სწორუპოვარი მხედარ-მეომარი.

დავით — „მაშჭერებელი და მაძგერებელი ცხენთა და აბჯართა“.

დავით — სამოცზე მეტი ძლევამოსილების კვერთხთა მფლობელი.

უქმად ესვენა ხმალი მისი, აქამდე მუდამ დაუსვენარი, მარად ქარქაშდავიწყებული.

უქმ იყო ხელმწიფური ბეჭედი მისი, წარწერითა მღაღადებელი — „ჯვარითა მტერთა მძლეველი — მე დავით ვარ უძლეველი“.

იწვა დიადი მამა და პატრონი ერისა თვისისა.

დიდსულოვანი შემწყნარებელი მოყვასთა და ერთა ყოველთა.

იწვა იგი — „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშაჰ და შაჰინშაჰ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობით მპყრობელი“.

კავკასიელ ხალხთა „საძმო იმპერიის“ დამაარსებელი.

„წინა-ბურჯი“ (antemurale) მსოფლიო ქრისტიანული სამყაროსა.

უგანათლებულესი მწიგნობარი და სწავლული.

უმშვენიერესი პოეტი-პიიტიკოსი.

დიდმეცნავი თეო-ფილო-სოფოსი.

კაცი, რომელშიც ენთო ყველაზე დიდი ქართული სინათლე.

ქართველი, რომელმაც გახსნა და განახვნა მანამდე დახშული, ან დასახშობად განწირული ყოველი სადინარი ქართული სულისა.

იწვა იგი — მესაფუძვლე ახალნერგი ცივილიზაციის — „ქართლიზმისა“.

იწვა სიკვდილის საუფლოში — მეუფე ქართველთა.

გამეფდა 16 წლისა, იმეფა 36 წელიწადს, აღესრულა შობითგან 53-ე წელსა.

მისი სახელი მარად სალოცავი გახდება საქართველოსთვის.

მისი სახელი შერჩება მისგანვე ძლევამოსილებით სვეამაღლებულ ქართულ უქარქაშო ხმლებს — „დ ა ვ ი თ ფ ე რ უ ლ ნ ი“.

მისი სახელი უმშვენიერეს სამკაულად დაებეჭდება მისგანვე მარად გამარჯვებებით აღზევებულ ქართულ სახელმწიფო დროშას — „დ ა ვ ი თ ი ა ნ ი“...

ტფილისიდან გელათს წაასვენეს, მისგანვე დაფუძნებულ დიად სავანეს.

გელათის ეზოს მთავარ შესასვლელთან, მთავარი ლავრისა და აკადემიის გზაბოძალზე გათხრილ სამარტვილეში ჩაასვენეს.

ზედ, მისივე გოლიათი-ცხედრის ტოლფარდი ქვალორფინი დაადეს („სარქველი სიქველისა“), და ზედ ეპიტაფიად ეს ამოკვეთეს:

„ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, რამეთუ მთნავს, ამას დავემკვიდრო მე“.

ხალხშიც ეს ლეგენდა დაბადებულიყო:

დავითმა დაიბარა — გზაზე დამმარხეთ, რათა ჩემმა ხალხმა ჩემს ცოდვილ გულზე იაროსო...

და, კიდევ ეს ლექსი:

გიამბობ სიფრიადესა
დავითის, აღმაშენთასა,
მტკიცესა მკლავსა, განმგესა,
წყობასა სპარაზენთასა.
მაღლით განცდასა ქვენათა,
ლალვათა აღნაგზენთასა
და ქველთა საქმეთ ურიცხვთა,
გლახაკთად მინაფენთასა.

გითხრობ წმიდათა ადგილთა,
ნიშთა მათ მოსახსენთასა,

ვინა მიიღო საზომი
მათ უთვალავთა ძღვენთასა, —
ხიდთა, გზათა და ზღუდეთა,
ხანაგათ, კვლავ საყენთასა,
და იყო დიდი სიმრავლე
განარკვთა, თქმულთა ბრძენთასა.

მკურნალთ ხადოდის სულისა
და ხორცთ შექმნილთა სენთასა,
მოწლედ სწყალობდის მოძღვართა,
ათონით მონავლენთასა,
ათენსა სწვრთნიდის ჰაბუკთა,
იყალთოს მონასმენთასა
და სთესდის მადლს და სიბრძნესა
სულმნთებთა აღმაფრენასა.

მაგრამ ქართველ ხალხს მაინც სამარადჟამოდ მკერდზე დაებეჭდა არსენ იყალთოელისგან შეთხზული ლექსი-ეპიტაფია:

ვის ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნენ,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა იქით გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს.

თერძული კეთილი ეთერძოთ და თესლი სიმართლისა ჴსთესოთ.

ძველი ქართული მანუსკრიპტი

წათელი დაუღამებელი უძღვის მეფობასა შენსა.

გრიგოლ ხანძთელი

მიხარიხ — გიმზერ,
ეჰსწუხვარ — და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე.

გრიგოლ ორბელიანი

კარი პირველი

დავითიდან თამარამდე

ზეობა დემეტრე პირველისა

ჯერ კიდევ სინორჩე სიგრილისა არ დაუფლებოდა დიდი ხელმწიფის გულმხურვალებით აღსავსე გელათურ მიწას.

. დავით აღმაშენებლის ქვრივი, დედოფალი გურანდუხტ, მონაზონთა ამალით, თვითონ მონაზვნის ჩოხით და სქემით მოსილი, იერუსალემის გზას შედგომოდა.

ასე გადაეწყვიტა დედოფალს: იერუსალემს მისულიყო და იქვე დარჩენილიყო სიკვდილამდე, ქრისტეს მსახურად და თავისი ღვთაებრივი თანამეცხედრე-გვირგვინოსნის სულის საოხად, დაუცხრომელ ლოცვად და გოდებად.

შაოსანთა კორომს განძეულიც მიუძღოდა, ოქრო-ვერცხლისა, ქეთილშობილ ქვათა და თვალ-მარგალიტთა; ეს — იერუსალემელ ქვრივობოლთა და უქონელ-უპოვართათვის დასარიგებლად.

ხოლო, ყველაზე დიდი განძი მაინც იყო ის იშვიათი ჯვარი, შეკრული თვით მაცხოვრის ჯვარცმის ძელთაგან, აქამდე რომ დავით აღმაშენებელს ედგა თავისი ტახტისა და ქვეყნის ებგურად საქართველოში, ჯვარი — „არავითარი ფასისა შესადარი" (nulli precio comparandum), თვითონ ოქრო-ვერცხლით მოჭედილი და „აღმოსავლეთის მარგალიტალმას-ზურმუხტ-იაგუნდ-საფირონებით შემკულ" ლუსკუმაში ჩასვენებული.

და მიუძღოდა ახლა ის ჯვარი იერუსალემისკენ მიმავალ ქვრივ დედოფალს, მიუძღოდა და მიდიოდა სამუდამოდ საქართველოდან. მიჰქონდა და ვერ კი გრძნობდა ქალი იგი „ნაყივჩაყარი", თუნდაც „წმიდანი და განთქმული სიკეთითა", თუ რა უიშვიათეს, სამომავლო-საისტორიო რელიკვიას უკარგავდა საქართველოს.

აი, იერუსალემიც, და დედოფალმა მიიტანა ჯვარი იგი ჯვარის მონასტერს და იქვე, ქართულ ლავრაში დაემკვიდრა სამონაზვნო სამსახურად. და ის ჯვარიც იქ ესვენა ერთ დროს... ის „ერთი დრო“ კი მალე გავიდა, ძალიან მალე — როგორც სჩვევია დროის ქროლვას. და ჯვარი იგი მაცხოვრისა, სალოცავი დიდი დავით აღმაშენებლისა, ქართული ტაძრიდანაც გავიდა და ქართველთათვისაც სამუდამოდ დაიკარგა. იგი გაყიდა თვითონ დედოფალმა, უეჭველად დიდი რაიმე გაჭირვებით ნაიძულარმა.

მყიდველი კი აღმოჩნდა ვინმე ანსელუს, ანუ ანსო, ფრანგი საეკლესიო მოღვაწე, რომელიც მაშინ იერუსალემში მსახურობდა ქრისტეს საფლავის კანტორ-მეფსალმუნედ.

თავისი ქვეყნისთვის, თავისი საფრანგეთისთვის ეყიდნა ეს, აქამდე ქართულად ნაგალობევი სიწმიდე ფრანგ მგალობელს.

ამიერიდან პარიზის ღვთისმშობლის, ნოტრდამის საკუთრებად უნდა ქცეულიყო ქართველთა ჯვარი.

ჯვართან ერთად, ამ წერილსაც უგზავნიდა ანსელუსი პარიზს, ნოტრდამის ქრისტიანთა საკრებულოს, მათ მწყემსმთავარ გალონ ეპისკოპოსს და სტეფანე მთავარდიაკონს:

„...იმ ძღვენთაგან, ღმერთმა რომ მომანიჭა, ძღვენი ერთი, უპატიოსნესი და უდიდებულესი, ანუ ჯვარი, თვით წმიდა ჯვრის ძელთაგან ქმნილი, მე, თქვენმა მოყვარემ, თქვენი ეკლესიის, თქვენდა და თქვენი ქალაქის საპატიოდ, სასახელოდ და ამაღლებლად, გამოვატანე თქვენს ერთგულ ანსელმს... როგორც ბერძენთა და სირიელთა ნაწერები გვასწავლიან, ქრისტეს ჯვარი ოთხ ძელთაგან ყოფილა შეკრული: ერთზე პილატესეული ზედწარწერა ეწერა, მეორეზე იესო ქრისტეს გაშლილი მკლავები და ხელნი იყო მიკრული, მესამეზე ეკიდა ტანი მისი, ხოლო მეოთხეში თვით ჯვარი იყო ჩაჭედილი, უფლის გვერდიდან და ფერხთაგან ნაღვარევი სისხლით შეღებილი და კურთხეული... იმ ჯვარს უაღრეს თაყვანს სცემდა და სიყვარულს უფენდა დავით ქართველთა მეფე, სანამ იგი ცოცხალი იყო. ეს იყო დავითი, რომელსაც, მისი წინაპრებივით, ეჭირა და დარაჯობდა კასპიის კარებს, გოგისა და მაგოგის შემზღუდავსა (და წინააღმდგომს), რასაც ახლა (დავითის შემდგომ) მისი შვილი ასრულებს — მეფე ქვეყნისა და სამეფოჲსა, რომელიც ჩვენთვის (ევროპელთათვის) სწორედ წინაბურჯია მიდიელთა და სპარსელთა წინააღმდეგ. დავითის სიკვდილისა და მისი ძის გამეფების შემდეგ, მისმა მეუღლემ, — უფრო სიწმიდით, ვიდრე გვაროვნებითი (წარმომავლობითი) ბრწყინვალებით სათაყვანომ — წესი მიიღო მონაზნობისა, სარწმუნოების სამოსელი ინება და მცირე ამალით იერუსალემს მოვიდა, ამ ჯვარისა და მრავლად ოქროს თანხლებით. და იყო წადილი მისი არა

შინ დაბრუნება, არამედ აქ მშვიდობასა და მყუდროებაში სიცოცხლის დასრულება. (საქართველოდან) წამოღებულ ოქროთაგან (დედოფალმა) ზოგი წმიდა ქალაქის მონასტრებს დაურიგა, ზოგი გლახაკებსა და მგზავრებს უწილადა, ამის შემდგომ კი... იერუსალემს აღმართულ ქართველ დედათა მონასტერში დაემკვიდრა... ბოლოს, (საქართველოდან) წამოღებული (განძი) სულ დაარიგა, გასცა და მონასტრის საჭიროებისათვის დახარჯა. მერე ქვეყანა შიმშილობამ შეაწუხა, დედოფალიც თავისი მხლებლებით გასაჭირში ჩავარდა, და თუმცა ბევრი რამ საჩუქრად ან სესხად მიელო, მაინც მისი ქველის გრძნობით იძულებული გახდა, მასზე მიბარებული მონასტრის საჭიროებისათვის ისე მოქცეულიყო, როგორც საკუთარი ხორციელი საჭიროებისათვის არასგზით არ მოიქცეოდა. ამრიგად, ის ძელი (ჯვარი), არავითარი ფასის შესადარი, ამ მიზეზით (სამონასტრო საჭიროებით) ფასად იქცა, და, აჰა, (მე თქვენ) გამოგიგზავნეთ. გეუდრებით, გქონდეთ პატივი, როგორც გმართებთ, ხოლო, რათა სახსოვარ იყოს თქვენს მომდევნოთა და მემკვიდრეთათვის, ესეც ჩაიწერეთ თქვენს წიგნთა შინა: „ანსელუსმა, ჩვენმა ხუცესმა, ჯვარი ესე, წმიდა ჯვარის ძელთაგან ქმნილი, მოგვაწოდა იერუსალემით ჩვენ და ეკლესიასა ჩვენსა“. გთხოვთ აგრეთვე სამაგივრო მომაგოთ და ჩემი სიკვდილის შემდგომ თქვენს ლოცვებში მომიხსენიოთ...“

და ასე გაემგზავრა ქართული ჯვარი იერუსალემიდან პარიზს, ამ ახალ გზაზედაც თავის თავგადასავლებით, ხოლო იქ, პარიზში, უცვლელ და ურყეველ წესად იქცევა: ყოველ წელიწადს, ივნისის მეორე ოთხშაბათს, ჯვარი იგი, შორეულ საქართველოდან მოვლინებული, ნოტრდამიდან ქალაქს გარეთ, სენ-დევისის ველზე გამოასვენონ და იქ აღმართებულ, ამ ყოველ ქრისტიანთათვის საოცნებო „უპირველესი სიწმიდის“ წინაშე ილოცოს, ილიტანიოს და იფსალმუნ-იგალობოს სრულიად ფრანგულმა საქრისტიანომ.

ესეც წესად იყო: ხალხის წინაშე ქადაგებისა და ლოცვა-კურთხევის ჟამს, ეპისკოპოსი იმ ჯვარს ჯერ აღმოსავლეთისკენ განაპყრობდა (იქ, სადაც იყო საქართველო), მერე სამხრეთისკენ (იქ, სადაც იყო თვითონ პარიზი).

ასე გაგრძელდება ექვსას სამოცდაათ წელიწადს, დიდ ფრანგულ რევოლუციამდე (1789—1795 წწ). ხოლო, ყოველი რევოლუცია აჟი ყოველთვის სწორედ უპირველეს ტრადიციულ სიწმიდეთა დამხობით და ძარცვა-რბევით იჩენს თავის „რევოლუციურ სახეს“...

და ის ქართული „აღმაშენებლური“ ჯვარიც, „არაფრისა ფასისა შესადარი“ სიწმიდე, ნოტრდამის სხვა მრავალ საუნჯეთა შორის, ხელყვეს რევოლუციის „რაინდებმა“, ანუ — როგორც ერთი იმდროინდელი წერილი ნათლავს — „წვირიანმა, გარყვნილ ადამიანთა ხროვამ“.

ჩვენ კი, ისღა დაგვრჩენია, წინარე სიტყვას დავუბრუნდეთ. გურანდუხტ დედოფალი, იმ ჯვარის გარდაველენიდან, მალე აღესრულა, და იქვე დაიკრძალა, იერუსალემს, ქართულ ლავრაში.

საქართველოს სამეფო ტახტზე კი დემეტრე პირველი იჯდა, ძე დიადი ხელმწიფისა, მამისგან ეგზომ ხოტბა-შესხმული — ჩემი შვილი მე მჯობიაო — აგრე, არამცთუ ზეპირ, ქარსგასატანებელ სიტყვით, არამედ წერილობითად, ანდერძითაც რომ დაწერა და დააქვავა, სამომავლოდ მარად სახსოვრად, იმ სულკურთხეულმა. მჯობიაო — „სიბრძნითა, სიწმიდითა, ახოვნებითა და სიმხნითა“, — ღვინის საუფლოში ნაფრქვევ სადღეგრძელოს კი ჰგავს ასე ერთბაშად წამოსროლილი „ატესტაცია“ — უბრძენეს კაცსაც შვილის სიყვარულით რომ მოერთვება ხოლმე. თუმცაღა, დემეტრე მაინც უნდა ყოფილიყო მისი დიადი მშობლის ღირსეული ძე, უკეთუ „სიბრძნითა“ და „სიწმიდით“ იმდენად არა, „ახოვნებითა და სიმხნითა“ მაინც, ეს მან მამის სიცოცხლეშივე დაადასტურა წარმატებულად. სამაგალითოდ ისიც კმაროდა, 1117 წელს, დავითისგან შირვანს სალაშქროდ წარგზავნილმა ჰაბუკმა უფლისწულმა „ქმნა ომნი საკვირველნი, რომლითა განაკვირნა მხილველნი და მსმენელნი, გამოიღო ციხე ქალაძორი. და ძლევა-მოსილი მოვიდა წინაშე მამისა თვისისა სავსე ალაფითა და ტყვითა ურიცხვითა“.

მერე, კიდევ, დიდგორის ბრძოლაშიც ხომ დემეტრე „მეორე გმირი“ იყო, თავისი დიადი მამის შემდგომ...

მაშ, იყო დემეტრე „მხნე ხდომათა შინა და მძლე ბრძოლასა შინა“, მაგრამ მაშინ ყველას გმირობას, ძისას თუ ძირისას, მაინც თვითონ დავითის ღვთაებრივი შარავანდედი ასულდგმულებდა და განაბრწყინებდა, ხოლო ახლა ეს „მამის მჯობნელი“ ტახტისმემკვიდრე უკვე ტახტზე მარტოდმარტო იჯდა, ღვთაებრივი მამისაგან „მიტოვებული“.

მაშინ, „ჟამსა დაობლებისასა“, იყო იგი 30 წლისა; ხოლო, ბედისწერის უცნობელი კარაბადინით, უნდა ემეფნა და მეფობითვე ეცოცხლა კიდევ დაახლოებით იმდენსავე — 31 წელიწადს (1125—1156).

აწ უდავითოდ დარჩენილ საქართველოს კი მხოლოდ ეს ესურვებოდა ამ ახალი, „მამით ობოლი“ მეფისაგან: რაც აქამდე მამის ღვაწლით მოეპოვებინა, შვილს უდანაკარგოდ დაენარჩუნებინა. მამის ხმლით შემოხაზული „ქართულ იმპერიას“ შვილის ხელმწიფობის ჟამს არარა დაჰკარგვოდა.

არა და, იმავე 1125 წელს, სანამ დავითის საფლავი გაცივებას, ხოლო დემეტრეს ტახტი გათბობას მოასწრებდა, ირანელები შემოესივნენ დმანისს და ხუნანს. სულტან ნასირ ად-დინ სუკმან მეორეს წარმოეგზავნა თავისი მხედრობა, დავითის სიკვდილით გულმოცემულს.

დემეტრეც მაშინვე ჩაუხტა და ჩაეგება ქართული ლაშქრით სუკმანის ამ „სუქმეთიანებს“. ჩაუხტა, სასტიკად დაამარცხა, სპარსთა ჯარი

ჯარად ამოწყვიტა, მათი მეთაურებიც ცოცხლად აღარ გაუშვია (თავნი ყოვლისა სპარსეთობისა დახოცნა და ამოსწყუიდნა"), ნადავლიც უხვად დაინადავლა და ასე ძლევამოსილებით მობრუნდა ტფილისს.

მას უკან, დიდი სომხური ქალაქის, ანისის საქმენი აიშალ-აიწეწა და მასზე ზრუნვა და ურვა დაჭირდა ქართველ ხელმწიფეს. ჯერ გავიხსენოთ: 1123 წელს დავით აღმაშენებელმა თვითონ სომეხთა თხოვნისა და მიწვევის კვალობაზე, ანისის მაჰმადიანი მმართველი, ქურთი აბულ-სოვარი, თავისი რვა ძით, აფხაზეთს გადაასახლა და მის ნაცვლად ანისის მმართველობა ქართველ დიდებულს, აბულეთსა და მის ძეს— ივანეს ჩააბარა.

ხოლო, ახლა, დავითის სიკვდილის შემდგომ, გაძევებული აბულ-სოვარის შვილებს ანისის კვლავ დაბრუნებისთვის დაეწყოთ ზრუნვა,— დაეწყოთ ფრთხილად, „საშიშ ქართველებთან" სისხლის საქცევრად შეხვედრაც რომ არ დასჭირვებოდათ. და, მოხდა ასე მარტივად: აბულ-სოვარის უფროსი ძე, სახელად ფადლუნ, ხორასანის სულტნისაგან წაქეზებული და შეგულიანებული, თვითონ მისულა ანისს, პირადად შეჰხვედრია იქ ქართველი მეფისგან სამმართველოდ ჩაყენებულ აბულეთს, მასთან ადგილობრივ თავკაცებს, და უთხოვია ანისის გადაცემა მისთვის, როგორც „ნამდვილი" და „კანონიერი" მმართველისათვის. ხოლო, აბულეთს მაშინვე, უყოყმანოდ და უპროტესტოდ, მიურთმევია და მიუბედნიერებია ანისი მთხოვნელისთვის. ასე მიჯობდა, ჩემი შვილი ივანე და აქაური ქრისტიანები რომ გადამერჩინაო,— იმართლებდა თავს შემდეგ აბულეთი.

მაგრამ უფრო მართალი უნდა იყოს სხვა წყაროთაგან (სამუელ ანეცი, მათე ურჰაეცი) მონათხრობი: ფადლუნ აბულ-სოვარის ძე დიდი თურქული მხედრობით მოადგა ანისს და ალყაშიც მოამწყვდია იგი. ერთი წლის თავზე ქართველებმა ანისი დათმეს. ქურთი აბულ-სოვარის მოდგმამ, ანუ „შედადიანთა დინასტიამ", ამჯერად ფადლუნ მეოთხის სახით, ანისში მმართველობა აღიდგინა.

დავით აღმაშენებლისეული ეგზომ ინტენსიური უძლეველობით განებივრებული საქართველოსთვის ეს „პირველი მარცხი" მარცხად მაინც ვერ ჩაითვლებოდა, რადგან დემეტრემ ქრისტიანული ანისი მაჰმადიან შედადიანს მხოლოდ იმ პირობით დაუთმო, რომ იგი და მის შემდგომ მისი მემკვიდრეები მაინც ქართული ტახტის ქვეშევრდომნი და მოხარკენი უნდა ყოფილიყვნენ. მაშ, ანისი საქართველოს არ ეკარგებოდა, „აღმაშენებლურ იმპერიას" არ განეკვეთებოდა, არ „განეწვალებოდა". და, რაც განსაკუთრებით მისანიშნებელია, ეს ქურთი მაჰმადიანი ფადლუნიც და მისი შემდგომი მემკვიდრეებიც შეუდარებლად უფრო მორჩილი და ერთგული ქვეშევრდომები აღმოჩდნენ დემეტრე მეფისა და

საერთოდ ქართული ტახტისა, ვიდრე ის ქართველი აბულეთი, მისი ძე და მათი ნაშიერნი აღმოჩნდებიან...

1138 წელს, აღმოსავლეთით ქალაქმა განძამ გაამჟღავნა საქართველოს მეუფებისგან განდგომა-განკვეთის სურვილი. დემეტრემაც სასწრაფოდ შეყარა ლაშქარი. ქართველებს მიწისძვრამ დაასწრო და განძა მიწასთან გაასწორა. დემეტრე მაინც მივიდა, დანგრეული ქალაქი აიღო და დაინადავლა, ჯერ კიდევ ფეხზე მდგარ ალაყაფს რკინის კარები ჩამოხსნა, წამოიღო და გელათის ლავრას შესწირა (დღემდე ინახება იგი გელათში, არაბული და ქართული წარწერების ნაშთებით. არაბულად: „სახელითა ღვთისათა ყოვლად მოწყალისა და შემწყალებლისა! ამ კარების დამზადება ბრძანა მბრძანებელმან ჩვენმან ამირამან, სახელოვანმან საიდ შავირ ჰაზლას ძემან — ღმერთმან ხანგრძლივყოს მპყრობელობა მისი! ყადი აბულ-ფარაჯ მუჰამედის, ძისა აბედ-ალაჰისა წინამძღოლობით, ღმერთმან ხანგრძლივყოს გამარჯვებანი მისნი. ნაკეთები იბრაჰიმისა, ძისა ოსმანისა, ძისა მჭედლისა ანქავედჰისა, წელსა 455-სა (1068)". ქართულად, დემეტრე მეფის ბრძანებით: „...მეფემან დიმიტრი... ნანი დაარღვია და ეს კარი მუნით (მოიტანა) წელსა მეფობისა მისისა: იგ, ხოლო დასაბამითგან (ხღ(მ)ბ)".

1153—1154 წლებში დემეტრე მეფეს ისევ დასჭირვებია ხმლის აღმოხდენა ანისისათვის. მაშინ არზრუმის ამირა სალდუხი შემოესია დიდძალი ჯარით ანისს. დემეტრეც წარემართა ქართული მხედრობით და მისვლისთანავე სასტიკი ხმალთაკვეთებით სძლია მომხვდურებს; სძლია და თვითონ სალდუხ ამირა ტყვედაც დაიხელთავა. ერთ ხანს ასე იყოლია პყრობილად, მერე გაათავისუფლა დიდსულოვნურად.

ასეთი იყო საომარი საქმენი დემეტრე პირველისა, „ხელმწიფისა დიდისა და სახელოვნისა, ჰაბუკისა გურგასლიანისა" (ვითარცა ამკობს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"). დიდი მამისგან დანატოვარი დიდი საქართველო უკლებად შეენახა და დაენარჩუნებინა შვილსაც.

ხოლო ოჯახი, მისი პირადული ცხოვრება, მამის ოჯახურ „პირობებზე" უფრო მშფოთვარე და არამდგრადიც ჰქონია შვილს.

დემეტრეს დედა, დავით აღმაშენებლის პირველი ცოლი სომხის ქალი იყო — სახელითაც, გვარითაც, ოჯახშვილობითაც, პირადი ბუნებახასიათითაც ისტორიისთვის სრულიად უცნობი. დავითისგან სინანულით ნათქვამ-დანატოვარი ეს სტრიქონი — „ქორწილითა მიერ ხენეშთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა" — მის ორივე ქორწინებას ეხება, „სომხურსაც" და „ყივჩაყურსაც", მაგრამ რომელს რა კუთხით და რა სამზირით, ეს კი აღარ ჩანს. ორივემ თავთავის მხრივ, თითო ვაჟი შესძინეს შეფეს: სომეხმა — დემეტრე (დიმიტრი), ყივჩაყმა — ვახტანგი (ცუატა). შამისათვის ასეთი ძეობანი ბედნიერებაა, დიახ — არის, მაგრამ...

იყო? ალმოჩნდა?.. არა, არ ალმოჩნდება და არ დარჩება ბედნიერებად.

სათავე კი, ისევ დავით ალმაშენებლის ანდერძიდან მოდიოდა, — იმ სტრიქონიდან, დავითი რომ ბრძანებდა: მეფობა დემეტრემ, თავის შემდგომ ცუატას (ვახტანგს) გადასცესო; მაშასადამე, აქამდე არსებული ტახტისმემკვიდრეობის წესი დააღღვიეთო! წესი კი ისეთი იყო, სამეფო მემკვიდრეობა, უცილობლად და ურყევად, მამიდან უფროს ძეზე გადადიოდა, ამისგან კიდევ ამისვე პირმშო ძეზე და ასე შემდეგ, და არავითარ შემთხვევაში ძმიდან ძმაზე, ანუ საძმო ჩამორიგებით. დავითმა კი, არა მარტო ძმებში, არამედ ნახევარძმებშიც კი გააწილადა სამეფო მემკვიდრეობა — ასე გამოდიოდა: სომხის ქალისგან ნაშობმა უფროსმა ძემ ყივჩაყის ქალისგან ნაშობ უმცროს ძეს გადასცეს ჩემი ტახტი და გვირგვინიო!

და ედო წინ დემტრე მეფეს მამის (და რანაირი მამის!) ანდერძი.

ერთი რამ კი უკვე შეესრულებინა მეფეს ამ ანდრძიდან წარმატებულად: გელათის ტაძარი დაესრულებინა და ეკურთხებინა.

ხოლო მთავარი რამ — სამეფო სკიპტრა, ტახტი, გვირგვინი — იმ ძმას (ნახევარ ძმას!), ვახტანგი თუ ცუატა რომ ჰქვია, იმ ყივჩაყი ქალის ნაშობს უნდა გადავსცეო?!

დავითი რომ მოკვდა, ცუატა შვიდი წლისა დარჩა. მის მერე გასულიყო ხუთი წელიწადი. ცუატა თორმეტი წლისა გამხდარიყო. რაღა უკლდა და, უკვე ამოსვლოდა სამეფო კბილი ცუატა-ვახტანგს.

და, უცებ, ყველაზე მთავარი: დემეტრეს თვითონ ჰყავდა ძენი, ორნი, უფროსი დავითი და უმცროსი გიორგი. და სამეფო ტახტიც, მრავალსაუკუნოვანი მკაცრი ტრადიციის მიხედულობით, ეკუთვნოდა უფროს ძეს, დავით დემეტრეს ძეს.

მაშ, ეს კანონი არ უნდა დარღვეულიყო, მაგრამ თუ მაინცდამაინც დარღვევა უნდა მომხდარიყო და სამეფო ინსიგნიები ძმობის ხაზით დარიგებულიყო, მაშინ „ნახევარ-ძმა“ ცუატაზე მეტად მეფობა მეფის „სრულ-ძმას“, უმცროს გიორგისაც კი ეკუთვნოდა.

არა, ეს ცუატა-ვახტანგი როგორმე უნდა ჩამოეშორებინა დემეტრეს, უნდა... და უცებ, რაც უნდოდა, მიუძღვნა და მიუბედნიერა კიდეც განგებამ...

სწორედ იმ 1130 წელს (ცუატა-ვახტანგი რომ თორმეტი წლისა გამხდარიყო), დემეტრემ შეთქმულების ამბავი შეიტყო. შეთქმულებას ივანე აბულეთის ძე ჩასდგომოდა სათავეში — შვილი იმ აბულეთისა, ადრე დავით მეფეს რომ ანისის მმართველად ჰყავდა დანიშნული. შეთქმულნი დმანისს შეყრილიყვნენ და იქ გადაეწყვიტათ — დემეტრე მოეკლათ და ვახტანგი გაემეფებინათ. თვითონ აბულეთი წინააღმდეგი ყოფილა ამ შეთქმულებისა, შვილის, ივანეს წინაშე ჰაღარა თმებიც

ჩამოუშლია და უთხოვია, ასეთ ბოროტებას ნუ ჩაიდენო, მაგრამ ვერაფერს გამხდარა. დემეტრემ კი დაასწრო — ვახტანგიც, ივანეც და მათი ყველა მომხრეც შეიპყრო და იქვე, დმანისის ციხეში ჩაყარა. მეფე თვითონ მისდგომია იმ ციხეს და ივანესთვის ნიშნის მოგებით შეუძახია: აბა, ჰა, მოდი და შემიპყარიო! მაშინვე ივანესაც ეს უპასუხია, თითქოს სინანულით: არა, მეფეო, მე თქვენი შეპყრობა კი არა, თქვენი ძმა მოგეცით ხელში, მეფობას რომ ეძიებსო. ამის გაგონება და, დემეტრემ ვახტანგი მაშინვე ციხიდან გამოიყვანა და თვალები დაუშრიტა; მალე თვითონ ივანესაც თავი გააგდებინა, შეთქმულების დანარჩენი მონაწილე და მოერთგულენიც დააბოცვინა. მხოლოდ ერთმა, ივანეს ძემ, თირქაშმა გაასწრო სიკვდილს. მან შაჰ-არმენს შეაფარა თავი და იქიდან აქტიურობდა საქართველოს სავნებლად. დემეტრემ თირქაში მაინც იგდო ხელთ და საპყრობილეში ჩააგდო.

თვითონ მთავარი გმირის, ვის გარშემოც ეს ამბები დატრიალდა — აწ დაბრმავებული ვახტანგ-ცუატას სახელიც სამუდამოდ ქრება ისტორიიდან.

ამ ტრაგიკული ამბიდან განვლო ოცმა წელიწადმა, ან ქრისტესშობითგან დამდგარიყო წელი 1150, და დემეტრე მეფეს თვითონ საკუთარ ოჯახში დაუტრიალდა უარესი ტრაგედია. ამის მიზეზიც თვითონვე ყოფილა მეფე, ერთდროულად — ვითარცა მეფე და ვითარცა მშობელი.

დემეტრეს ხომ ორი ძე ჰყავდა: უფროსი — დავითი და უმცროსი — გიორგი. სამეფო მემკვიდრეობა, უსიტყვოდ და ულაპარაკოდ, აკი დავითს ეკუთვნოდა; მაგრამ მამა, თვითონ დემეტრე, თურმე თავიდანვე ყოფილა „მარჩეველი ძისა უმცროსისა“ გიორგისი, ხოლო „მლარწველი მკიცხველი“ უფროსი დავითისა („ვითარ ისაკი იაკობისადმი“), და ასე მიკერძოებით, როგორც ეტყობა, სამეფო ტახტ-გვირგვინიც მემკვიდრეობად უმცროსი უფლისწულისთვის მოენიშნა უფროს შვილზე რატომღაც გულაყრილ დემეტრე მეფეს.

ტახტის მემკვიდრეობის ტრადიციულ წესში ასეთი „სიახლე“, ალბათ სიახლედაც აღარ ჩაეთვლებოდა დემეტრეს, რაკიღა უმცროსი შვილისადმი ასეთი „უპრეცედენტო უპირატესობის“ მინდობების მაგალითი აკი მის მშობელს, თვით დავით აღმაშენებელს მიეცა მისთვის.

და, ბოლოს და ბოლოს, დავით უფლისწული, ვითარცა კანონიერი ტახტის მემკვიდრე, „კანონიერადვე“ აჯანყებულა „უსამართლო მამის“ წინააღმდეგ. აჯანყებულა და მომხრეებიც მრავლად ჰყოლია აჯანყებულს. მაგრამ აჯანყება ჩაფლავდა. დემეტრემ გაიმარჯვა. დამარცხებული დავით უფლისწულის თანამებრძოლნი და თანამგრძნობელნი მეფემ მკაცრად დასაჯა — „რომელნიმე ექსორია ქმნილნი... რომელნიმე სიკვდილითა და რომელნიმე განპატიჟებითა“, ხოლო თვითონ დავით უფ-

ლისწული არც დაუსჯია, ხელიც არ უხლია! როგორ მოხდა ეს — უცბოდ დარჩა შემდგომ დროთათვის.

მაგრამ უტყუვრად მაინც ჩანს, ოჯახს შიგნით მამა-შვილთ შორის ყრუ მტრობა სდუღდა და შედეგმაც, ოთხ-ხუთ წელიწადში, კვლავ იჩინა თავი. 1154 (თუ 1155) წელს დემეტრე მეფემ მეფობა მიატოვა და ბერად შედგა! „შეიმოსა ჩოხა და სქემა". ტახტიც და გვირგვინიც უფროს ძეს მიუგდო და თვითონ, აწ ახალი, დამიანე ბერის სახელით, გარეჯის უდაბნოში ამოყო თავი.

საქართველოს სამეფო ინსიგნიებით კი, მასზე მეოცნებე დავით უფლისწული მოკაზმულიყო — მეფე დ ა ვ ი თ მ ე ხ უ თ ე.

ახალმა მეფემ გამეფებისთანავე სწორედ მამის საწყინარ და საჭიშპო საქმეთა განსრულებას მიჰყო ხელი. პირველი ის იყო, დემეტრესგან ციხეში ჩაგდებული თირქაშ ივანეს ძე (აბულეთის შვილიშვილი) კიდევაც გაათავისუფლა და გვერდით ამირსპასალარადაც დაისვა.

დემეტრე მეფეყოფილი კი დავითგარეჯში, ნათლისმცემლის მონასტერს იჯდა და, თუ იამბიკო-ლექსებს თხზავდა და თუ შვილს სწყევლიდა და ღმერთს მის სიკვდილს ევედრებოდა გაალმასებით.

და, თითქოს, მართლაც „ვედრებისა შემასმენელმან ღმერთმან" შეისმინა და „უწია" მამის წყევლამ დავით მეხუთეს — მალე „უწია": მხოლოდ ექვსი თვე, ნახევარი წელიწადი ძლივს მოათია სამეფო ტახტზე და გარდაიცვალა. ვინ იცის, იქნებ უფრო მკვლელობაც იყო, ვიდრე მხოლოდ სიკვდილი, ჩუმი, მდუმარი, საწამლავის იდუმალებით.

ქართული წყაროები ამის შესახებ სდუმან, სომეხი (მხითარ გოში) კი გვიმხელს: დავით მეფე ორბელებმა მოწამლესო.

საქართველოს ტახტზე კი, ისევ დემეტრე იჯდა — გარეჯიდან ტფილისს სასწრაფოდ წამოსული, ბერობისგან განტევებული, სქემა მოხსნილი და კვლავ სამეფო ძოწით მოსილი და მოკაზმული.

მაგრამ მისი მეფობის თვითაღდგენიდანაც დიდ დროს ალარ გაუვლია. მომდევნო 1156 წლის დამდეგს დემეტრე მეფე ბელტის ციხეს იყო და იქ მიიცვალა, 61 წლისა — „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშაჰ და შაჰინშაჰ და ყოელისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობით მფლობელი" (ტიტულითა დავით აღმაშენებლისათა!; და, კვლავაც — „სვიანი და გამარჯუებული, სიმაღლესა და სიმდიდრესა შინა მდაბალი, და გლახაკთა მოწყალე, ობოლთა და ქუვრივთა განმკითხველი, მაშენებელი საყდართა და ეკლესიათა... ტკბილად მოუბარი, უხვი და მაბოძებელი" (შემკობითა დავით აღმაშენებლისათა!).

სწორედ იყო დიდი ხელმწიფე — თუნდაც, სიდიდედ ისიც კმაროდა,

რომ მისი ხელმწიფობის ჟამს მისი დიდი მამისგან ტანასხმულ დიდ საქართველოს იოტის ტოლიც არარა დაჰკლებია.

იოანე ჰიმჰიმელსაც, პოეტსა და ფილოსოფოსს, ტყუილად როდი შეუქია „შესხმა-მითხრობით“: დემეტრე მეფე — „აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა მეციხოვნე და ზღვართა დამდებელი და ზღუათა ზღუამდინ მპყრობელი“.

უცხოელებიც, ვთქვათ, შირვანელი პოეტები რომ ხოტბას ასხამდნენ:

ხაკანი შირვანელი: მეფე დემეტრე დავითის ძის ქება მე ოქროს მელნით დავწერეო;

იგი სახელმწიფოს საძირკველია და კეისარს ვუწოდებ;

ისკანდერსაც (ალექსანდრე მაკედონელი) როდი აწყენს, თუ დემეტრე მეფეს, კეისარს კი არა, ისკანდერსაც დავარქმევ...

ფალაქი შირვანელი, დემეტრე მეფის დასატირებლად:

ცის თაღმა განკითხვის დღე მოუვლინა ქვეყნიერებას,

გულს ავი ხნარცვი დაურჭო,

სახელმწიფოს ძარღვისაგან სისხლი აქცევინა,

მწუხარებამ ლხინი დაახშო, რამეთუ აღესრულა დემეტრე დავითის ძე, ბაგრატის მოდგმა,

თვითნაბადი თესლის ნაყოფი,

მესიის მახვილი,

ცის სივრცე რომ დროშად და ფარად წაიმძღვარა,

ბედის მზე რომ ხელთ დაეჭირა,

გამუდმებით რომ ქვეყანაზე ახალ-ახალ ბუნებას ქმნიდა,

ხელმწიფობას რომ სიდიადე ჩააქსოვა და ნიჭი მოიხვეჭა.

დედალ კატას რომ ხვადი ლომის ძალა შესძინა...

●

განათლებით და განსწავლულობითაც „ეჯიბრებოდა“ დემეტრე მის დიად მამას. ფლობდა ბერძნულ, არაბულ, ასურულ და სომხურ ენებს (1148 წელს არაბულ და ასურულ ენებზე პირადი მიმოწერა ჰქონდა სელჩუკიანთა დიდ სულტან მუიზ ად-დინ სანჯართან).

და, კვლავაც მამამისივით — საქართველოს მეფეც იყო და საქართველოს პოეტი-პიიტიკოსიც. აი, მისი იამბიკონი:

1. შიო მღვიმელისა

შენის დაფნისა იშიოებს ასურსა,
ისავსებს ქართლი ნილოსსა ნაკადულთაებრ.
ორბობს, მოხუცი, მღვიმე ფართობს სამყაროდ.
იბერწისწულებს მრავლად უდაბნოს ესე,
სულსა აღმრთისებს, მტევრისა მტევრად დამტევი.

2. შიო მღვიმელისა

ცასა ბეწვითა ეკიდა, ენახე, კაცი
და მასვე კაცსა შუბის წვერს ედგნეს დარბაზნი,
მუმლსა ზედა ჯდა, მინდორს სდევდა ქურციკთა,
და ზღვასა ზედა მოარბევდა ცხენითა,
და ესრეთ ღაღადებდა: ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ!

3. ღ მ რ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ა

ღმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი
დედა, ქალწული, შვენიერი შროშანი,
მას ახარებდა ანგელოსი ფრთოსანი:
შენგან იშვება მეფე გვირგვინოსანი,
და მას ჰმონებდეს მეფე მრავალყმოსანი.

4. (კვლავაც) ღმრთისმშობლისა

(სამარადისოდ უკვდავი ლექსი-საგალობელი)

შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თავით თვისით მზე ხარ განბრწყინვებული.

ბელტის ციხიდან წამოასვენეს და დაკრძალეს გელათს, მისგანვე ნაკურთხ წმიდა ტაძარსა შინა.

იქ, სადაც ჯერჯერობით (აკი ყოველივე ამ ქვეყნად არის — „ჯერ-ჯერობით!“) იწვნენ ორნი:

დიდი გიორგი ჰყონდიდელი,

დიადი დავით აღმაშენებელი.

აწ აღსრულებულ მეფე დემეტრე პირველს დარჩა ორი შვილი: გიორგი და რუსუდანი.

მაშ, ქრისტესშობითგან იდგა 1156 წელი და საქართველოს სამეფო ტახტზე ასულიყო გიორგი მესამე (1156—1184 წწ.), ძე დემეტრე პირველისა, შვილიშვილი დიდი დავით აღმაშენებლისა.

ახალი დიდი ხელმწიფე, სიმამაცით და რაინდობით აღმატებული, ჰეშმარიტად „ლომთა უმხნესი და არწივთა უმაღლესი“, ხელუცთომელ მოისარი და მახვილოსანი, მონადირე და მონადიმე დაუცხრომელი, ხელგაშლილად „წყალობისა მიმფენელი“, ერთნაირად — „იმერთა და ამიერთა, ზემოთა და ქვემოთა“, დიდებულთა და აზნაურთა, სპასალართა და სპასპეტთა, შინაურთა და გარეშეთა.

თავიდანვე საყოველთაოდ საცნაური გამხდარა, რომ გიორგი თურმე არ აპირებდა, მამამისის მსგავსად, ოდენ დავით აღმაშენებლისგან დატოვებული მემკვიდრეობის უკლებელად გადარჩენითა და დანარჩუნებით დაკმაყოფილებულიყო, არამედ სწორედ მისი დიდებული პაპის მიბაძვით, ახალი ქვეყნების დაპყრობა-შემოერთება განეახლებინა და საქართველოს „მსოფლიო საბრძანისი“ კვლავ უფრო გაეფართოებინა და გაევრცელებინა.

ამიტომ გიორგიმ, მაშინვე — „რა იპყრა შარავანდედი მეფობისა, შვიდ სამეფოდ განწესებული, აღმკულმან პორფირითა და გვირგვინითა, აღიჭურნა მკლავნიცა მუსრვად და მოწყუედად წინააღმდგომთა ქრისტეს სჯულისათა: აგარიანთა, ისმაიტელთა და მამადიანთა“.

სამხრეთით, სომხეთისა და რანის საზღვართა გასწვრივ, ისევ მძლავრობდნენ და საქართველოსადმი მტრობით ტანში იჭმებოდნენ თურქული სასულტნოები და საამიროები, მათგან ყველაზე ძლიერნი — ხლათისა და შაჰ-არმენთა სახელმწიფონი.

გიორგის პაუზები არ უყვარდა და გამეფებისთანავე ტახტიდან უნაგირზე გადანაცვლებით, სამხრეთისკენ დასძრა ქართული მბედრობა, ქალაქ კაღზევანს შეიჭრა, იქ ჩასაგრებული შაჰარმენი ნასირ ად-დინ სუქმან II სასტიკად გაანადგურა, და „წარმოტყუევნა“ არა მხოლოდ კაღზევანი, არამედ მასთან „ყოველი ხევნები კლდოვანი და ქალაქები აშორნისა“.

მეფობის დამდეგითვე ამ წარმატებული ლაშქრობით გულნაჯერებმა გიორგი მეფემ მომდევნო წლები ქვეყნის შინაურ საქმეთა გამგებლობას მოახმარა, ჟამ-ჟამ ნადირობისა და ნადიმობის „წიაღსვლებით“ გატაცებულმა...

1160 წელს გიორგი მეფემ შეიწყნარა ერაყ-ირანის ახალი სულტანის, ყიას ად-დინ სულეიმან-შაჰის დაჟინებითი თხოვნა და

ცოლად მისცა თავისი დაი რუსუდან. მაგრამ ქორწინება უიღბლო გამოდგა. ერთი წელიც ძლივს განესრულა, რომ ქართველთა სიძე გარდაიცვალა და რუსუდანიც ლეჩაქგაშავებული დაბრუნდა ტფილისს. და ასევე დარჩება იგი მუდმივ ქვრივობაში...

იმავე 1161 წელს, გიორგი მეფემ ქალაქ ანისს დაადგა თვალი. მიუხედავად იმისა, რომ მამამისის, დემეტრესგან ანისის მმართველებად ჩაყენებული შედადიან აბულ-სოვარის ნაშიერნი ქართული ტახტის წინაშე ერთგულ ქვეშევრდომობასა და მოხარკეობას არ ღალატობდნენ, გიორგიმ მაინც არ ისურვა, ეს დიდი ქრისტიანული ქალაქი (სადაც „ათას და ერთი ეკლესია“ იდგა!) მაჰმადიანი მმართველობის ქვეშ ეგულებინა.

და, შუა აგვისტოს, დასძრა ლაშქარი გიორგი მეფემ ანისისაკენ. მყის მივიდა და „მყის მიმხდომმან სამ დღე ყო ომთა სიმრავლე და ძგერა ჰუნეთა“. ათასამდე მუსლიმი გაწყდა. შედადიანნი გაიქცნენ და გადაიხვეწნენ. გიორგიმ „ხელთ იგდო ქალაქი ნებისაებრ თვისისა, და არა დამბრუნებელმან და შემტყობელმან დაიმჭირა სადგომად, ტახტისა მისისა შესანახავად და გასამაგრებლად“.

ეტყობა, სამხრეთულ სამფლობელოთა სამბრძანებლოდ, იქაურ „სატახტოდ“ მოსურვებოდა ანისი ქართველთა მეფეს. სამმართველოდ ქალაქი ესე გიორგიმ თავის მანდატურთ-უხუცესსა და ამირ-სპასალარს, ივანე ორბელს „დაუგდო“, თანაშემწედ „მეფემან დიდებულმან“ სარგის მხარგრძელი „მიუგდო“, ციხიონად ორი ათასი რჩეული მეომარიც დაუტოვა და თვითონ კვლავაც საქართველოს შუაგულისკენ წამოემართა.

მობრძანდებოდა გიორგი მეფე — „მოჰმართებული თვისთავე სანადიროთა, სათამაშოთა და გასახარებელთა“.

მაგრამ მის საყვარელ „ნადირობა-თამაშობაში“ თურმე ხელი უნდა შეშლოდა მეფეს. სამხრეთის მაჰმადიან მბრძანებლებს მოთმინება დააკარგვინა ქართველთა ახალმა სწორედ სამხრეთულმა გამარჯვებებმა. განსაკუთრებით ანისის დაკარგვას ვერ შერიგებოდნენ მაჰმადის სჯულისანი, და ერთბაშად „აღიძრა ნაღველ-ფიცხელობა და ქედმაღლობა აგარიანთა და ისმაიტელთა“, — აღიძრა, შეიყარა და წამოემართა ალმაჭურად აღჭურვილი მუსლიმური სამხრეთი ქრისტიანული ჩრდილოეთისკენ — სულ, არა უმცირეს 80000 მეომრისა.

მოთქარუნობდნენ ურდონი საქართველოს „ერთხელ და სამუდამოდ წასახდენად“, და მოუძღოდნენ: შაჰარმენი სულტანი ნასირ ად-დინ სუკმან II, დიარბექირის ამირა კუტბ ად-დინ ილღაზი და არზრუმის ამირა ალ-მელიკ სალიკ-სალტუხ სელჩუკიანი.

გიორგი მეფე კი, იმ დღეს, — როცა მტრის აღძვრის ამბავი აცნობეს — ნაჭარმაგევს იყო ჯირითითა და ისრის სროლით გართული. მტე-

რი მოდისო? — და მეფემ სასწრაფოდ „იხმნა დასნი და დასნი“ ქაო თველთა მხედრობისა. გვიანობისაც აღარ იყო და მეფემ ლაშქარს სრულ წვევასაც აღარ დაუცადა, — აღარ დაელოდა „სახელგანთქმულ ჰაბუკთა ლიხთიმერეთით“, — უკვე გამზადებულ ქართლელთა ჯარი იმარა და მისი თანხლებით — სულ 9000 მეომრით — ფრთამალედ გაჭუსლა სამხრეთისაკენ.

მაშინ გიორგი მესამეს თანამოლაშქრეობდნენ: მწიგნობართუხუცესი იოვანე, სუმბატ „სვიმონ-ქმნილი“, ამირახორი ლიპარიტ სუმბატის ძე, ბექა სურამელი და ქირქიშ აბულეთის ძე.

ხოლო, სამხრეთელი სულტნები და ამირები უკვე ანისს მოსდგომოდნენ და იერიშებიც გაეჩაღებინათ ქართულ ციხიონსა ზედა.

გამორჩევით აქტიურობდა სალიკ-სალტუხ არზრუმელი, ქართველთა მიმართ „მსგავსად მზეცთასა აღმლესველი კბილთა“, „დიდითა და მიუწდომელითა ძალითა და უჰამრავითა ლაშქრითა... მაშქერებელი და მაძგერებელი ცხენთა და აბჯართა“.

გიორგიმ ჯარი მტრის თვალდათვალ შეაყენა, საომრად განარიგა, მერე — „მტკიცედ აზევებულმან ჰუნეს ზედა“ — თავით ბოლომდე ჩამოუქროლა, ცხენი კვლავ შუაკერძს შეაყენა და ზახიანი ხმით „გასცა ღაღადი და სწავლა გულსა მხედართასა, ვითარმედ:

„კაცნო ძმანო, ერთსულნო და ერთრჯულნო! თქვენ კარგად იცით, რაზომ დიდად კეთილ არს სიკვდილი ქრისტესათვის და სამშობლოსათვის, გამორჩეული სიკვდილი თვით ბუნებითა მკვდართა სხეულთაგან. კარგად იცით, რაოდენ უფრო სასახელო არს მხნეობრივ სიკვდილი, ვიდრე სიკვდილი სენითა განდნობითა განლეულებასა შინა. მხოლოდ გმირული სიკვდილი არგუნებს ვაჟკაცს უკვდავებას. ჩვენ ხომ აქამდე გვესმის ძველთა მომთხრობელთაგან, რაოდენი კეთებანი თავს ისხნეს საღმრთოთა სჯულთათვის ტომმან ებრაელთამან, ანდა ძველ ჰელინბერძენთა, რომელთაც წინამძღოლობით უცთომელი სპასპეტის, თემისტოკლე ათენელისა, — ვინაც ზღვაც კი მტკიცე ჰყო მტერთან საომრად — სძლიეს ქსერქსე, რომელიც მისი უთვალავი მხედრობით უკუნრღვეულ იქმნა ათენელთა ერთისსა ოდენ ქალაქისაგან.

„და აწ ფრთოვანნო ლომნო ჩემნო, აღვიხვნეთ ლახვარნი და ჰოროლნი და ვუგმირნოთ ურწმუნოთა!“

სიტყვა განსრულა და ხამ ნაწილად გაჰყო ლაშქარი მეფემ — თითოეულში სამი ათასი მეომრით. ერთ ნაწილი ამირახორ ლიპარიტ სუმბატის ძეს ჩააბარა, მეორე — ბექა სურამელს, მესამე თვითონ დაინარჩუნა და, „ღიმილითა და სიცილით მლაღობელმან“ შეუძახა ლიპარიტსა და ბექას: ჩვენ სამთაგან მჯობნი ის იყოს, ვინც პირველმა უხეთქნოს და ძირს დასცესო მტრის დროშა!

სამი მხრიდან, მჭიდროდ შეკრული შუბების „ჯაგრისით“ გამართულნი, მიეტევნენ ქართველები უთვალავ მტერს.

ბრძოლა მძიმე იყო, სისხლდამდინარი.

გიორგიმ გაარღვია მტრის შუაგული, ფართო წიაღსვლით შეიჭრა მასში, თვითონ მიეპრა გულდაგულ და ხმალი „უხეთქნა“ მედროშეს, „მკლავითა აჩილიანითა“. დროშა დაეცა და მისმა დაცემამ დასცა სული მაჰმადიანთა და კვლავაც ქართველთა ძლევამაუწყებლობით შეჭანდა ბრძოლის სასწორი მეომარი არესის ხელში. უკვე ივლტოდნენ უწესრიგოდ და უგზოუკვლოდ ისლამის მხედრობანი. მისდევდნენ და სჩეხდნენ ქართველნი. სდიეს, სანამ მზე „შთაეწურა“. მას უკან შემობრუნდნენ და იხილეს მტრის გვამებით დარეცილი და დახერგილი საომარი თალპიონი. 7000 მუსლიმი მეომარი ესვენა მკვდარი; 2000 ტყვედ აეყვანათ ქართველებს; ამათ გარდა, ტყვეობის ბორკილებით შეეკრათ ექვსი სარდალი-სარანგი და 150 ამირა. აურაცხელი ნადავლიც ერგოთ გამარჯვებულებს: „სიმრავლე ქარავთა და სარაფარდათა, სიმდიდრე თუალთა და მარგალიტთა, ოქროთა ჭედილთა და უჭედელთა, აქლემთა, ცხენთა და ჯორთა და ყოველთა განძთა, სოფლისა სიმდიდრეთა და მონაგებთა, აღსარიცხად გარდარეული“.

ანისის მცხოვრებნი დიდხან, მრავალ ათეულ წელთა მანძილზე, მათი ქალაქის მისადგომ-შემოგარენში მოიძევებდნენ ქართველთა ხელით დალეწილ და დამიწებულ თურქულ საომარ აღჭურვილობას და ჟანგით დაგესლილ საჭურველით შეჭურვილ ადამიანთა ჩონჩხებს, ნამუსრევებს.

მაშინ სამი დღე დაჰყო გიორგიმ ანისში. ქალაქის მცხოვრებლები დააწყნარა და დააშოშმინა. ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად ეროვნული წარმომავლობისა და რელიგიური რწმენა-სინდისისა, დიდძალი საბოძვარი გაიღო, სულ — 40000 დრაჰკანი. ტყვეობიდან გამოიხსნა და მშობლიურ კერას დაუბრუნა სამშობლოდან ფეხამოკვეთილი ყველა ანისელი, ისევ განურჩევლად წარმომავლობითი გვარჯილაგისა და სარწმუნოებისა.

ანისიდან გიორგი მეფე არზრუმ-კარნუქალაქისაკენ წარემართა. ქართველებმა არზრუმელთა ლაშქარიც სავსებით გაანადგურეს, ხოლო მათი ამირა სალიკ-სალტუხი ტყვედ წამოიყვანეს. მერე სალტუხის დამ, შაჰ-ბანუ ვარმა (რომელიც ცოლად ჰყავდა ხლათის სულტანს) გიორგის ძვირფასი ძღვენი გამოუგზავნა და ძმის გათავისუფლება სთხოვა. რაინდმა მეფემაც აღასრულა თურქთა დედოფლის სავედრებელი.

მომდევნო 1162 წელს, ზაფხულში, გიორგიმ ახალი დიდი ლაშქრობა მოაწყო სამხრეთისაკენ. ამჯერად მან დალაშქრა დვინი, დიდი ქალაქი, „რომელ არს არარატისა ძირსა ზღვარი სომხითისა და ადარბადაგანისა“ (სამშობლო ლეგენდარული თრდატ მეფისა, ღმერთმა რომ ღორად აქ-

ცია!), სადაც მაშინ მუსლიმანთა ახალი საომარი ძალები შემომდგარიყვნენ.

ბრძოლა ქალაქის მისადგომებთან გაიმართა. ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს მოპირდაპირე. მაჰმადიანთაგან, ვინც კი სიკვდილს გადაურჩა, ქალაქს მიაშურა თავშესაფარად. ქართველებიც მიჰყვნენ ლტოლვილ მტრებს და თვითონაც შეიჭრნენ ქალაქში. დვინის ქრისტიანი მოსახლეობა სიხარულით შეეგება თანამორწმუნე გამათავისუფლებელთ. გიორგი სასტიკი წინააღმდეგობისთვის სასტიკადვე გაუსწორდა მუსლიმ დამპყრობლებს.

ქართველები დიდძალი ტყვითა და ნადაელით დაბრუნდნენ უკან. „სიმრავლემან ტყუეთა და საუნჯეთამან დაფარა პირი ველთა და მთათა“, — ნადავლით „აღივსო სამეფო ქალაქი ტფილისი“, — ისე ჰარბადაც „აღვსებულა“, რომ ქალაქის ბაზარზე თითო ტყვე, თითქოს, „თვითო დრამად გინა ფუკად („ხის ანათალი“)“ იყიდებოდა...

ქართველების ახალმა დიდმა გამარჯვებებმა კვლავაც შეძრა, შეარყია და ფეხზე წამოშალა სრულიად მაჰმადიანური სამყარო. კვლავ შეიყარა უზარმაზარი მხედრობა ხვარასნის, ერაყისა და ირანის მუსლიმანთაგან.

საქართველოსკენ მოლაშქრე ურდოებს სათავეში ერაყ-ირანის სულტანი ჩასდგომოდა, სახელად — ა რ ს ლ ა ნ, რომელიც გიორგის სიძის (რუსუდანის ქმრის), სულეიმან-შაჰის სიკვდილის შემდგომ ასულიყო სულტანის ტახტზე.

საქართველოსკენ ამხედრებულ არსლან სულტანს გვერდით მოსდევდა სპარსი ათაბაგი ე ლ დ ი გ უ ზ.

წამოემართნენ, საქართველოს სამბრძანებლო სამანები გადმოლახეს, სომხეთს შემოესივნენ, ქალაქ გაგს დაეტაკნენ, აიღეს და ააოხრეს.

მაშინ, „ცნა ესე სახელგანთქმულმან და უძლეველმან მხედარმან და უებრომან ჰაბუკმან გიორგი მეფემან და მსწრაფლ შემყრელმან შვიდთავე მისთა სამეფოთა, იმერთა და ამერთამან, გამოასხნა ოვსნი და ქუეყანანი დიდძალნი და მომართა სულტანსა, მყოფსა აურაცხელითა და უამრავითა ლაშქრითა“.

როგორც კი ფრთამალედ მომქროლავი ქართული მხედრობა გამოჩნდა, გული შეუდრკათ სულტან არსლანს, ათაბეგ ელდიგუზს და „ყოველთა ფალავანთა და დიდებულთა მათთა“, და თქვეს:

„არა არს კაცი დღეს პირისპირ შემბმელი გიორგისი და მისთა ლაშქართა ქუეყანასა ზედა; მივრიდოთ თავი და ვეფაროთ!“

თქვეს და ქალაქი გაგი საკუთარ ბანაკთან ერთად დააგდეს და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ იოტნეს. ქართველებმა ერთხანს მისდიეს მტერს, მდინარე ეკლეცზე კიდევაც წამოეწივნენ, უკანაკერძონი ცხენებიდან ჩამოყარეს და მდინარეში ჩახოცეს. აქ ქართველი დიდებულები,

განსაკუთრებით ჰერეთის ერისთავი ვარდან კოლონკელის ძე, შეუჩნდნენ მეფეს, გაქცეულ მტერზე უფრო შორს გამოდევნება ღვთის მიმართ „აღზუავებულობა“ იქნებაო, და შემდგომ იერიშებზე ხელი ააღებინეს.

მეფე შემოიქცა, ლაშქარი განუტევა და თვითონ მცირე ამალით დმანისისა და ლორეს მთებს მიმართა სანადიროდ. აქ მას ხლათის სულტანის, შაჰარმენ იბნ სოკმან ალხოტბისაგან ელჩი მოუვიდა, ვითომ მშვიდობიან-მეზობლური ურთიერთობის ჩამოსაგდებად, ხოლო სინამდვილეში „მოციქული სულტანისა, კაცი მოგვი და ტრელი“ (მზაკვარი), ქართველთა დასაზვერავად მოსულიყო.

არც ეს სცოდნია გიორგი მეფეს: გაგიდან გაქცეული არსლან სულტანი და ელდიგუზ ათაბაგი გელაქუნს ასულან, იქ ახალი ძალები შეუოუკრებიათ, მარაღის მთავარი აღსანკორიც და სხვა მრავალი ამირა და ათაბაგი შემოუერთებიათ; გელაქუნიდან მუსლიმანთა ურიცხვი მხედრობა ქალაქ ანისს შემოსევია; ანისის მმართველი თორელი, „დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე“, მტერს მედგრად დახვედრია.

და ყოველივე ამის შესახებ გიორგიმ არც მაშინ იცოდა არაფერი, როცა შაჰარმენის ელჩი ლორეს მთებიდან გაისტუმრა. ხოლო ის ელჩი-მსტოვარი სულტნებს ეახლა, ქართველი მეფის ადგილსამყოფელი და მისი ბანაკის მცირერიცხოვნება აუწყა და ზედაც დაურთო: ახლა დაგიდგათ ჟამი ქართველთა მეფის ხელთგდებისა და უკეთუ იგი ხელიდან გაუშვით, სამარადჟამოდ ფუჭი იქნება შემდგომად ყოველი ცდა მის სავნებელ-საზიანოდო.

შუაღამე გადასულიყო. ღრმად ეძინა სანადირო კარავში მეფეს, ნადირობით დაღლილ-დაქანცულს. და მტერი მოიჭრა უგრძნეულად. მონადირენი წამოიჭრნენ და ძილღვიძილიდან თავდაუხსნელნი ეტაკნენ იარაღს. გიორგიმაც ძლივს მოასწრო აღჭურვა-ამხედრება. ფიქრიდან თავდაუღწევლად და ფიქრზე უმალესად შეება მომხდურებს ხელმწიფე „ლომთა უმხნესი და არწივთა უმაღლესი“. ფიცხელი ხმალთა-კვეთებით მისდევდნენ ქართველები წინ გაჭრილ მეფეს. რიყრაჟის ციაგზე საცნაური გახდა მაჰმადიანთა მხედრობასთან ერთმუჭა ქრისტიანთა შებრძოლების ამაოება. ამირსპასალარი ივანე ორბელი პირველი მიეჭრა მეფეს და ეაჯა უკან გამობრუნებულიყო. სხვებიც მიცვივდნენ და ძალით, თითქმის „შეპყრობისა სახედ“, გამოიტაცეს მეფე უეჭველი სიკვდილის გარემოდან.

ერთხანს მოსდიეს მაჰმადის მხედრებმა „გამოქცეულ მეფეს“, მაგრამ როცა ბევრმა მათგანმა გახელებით შემობრუნებულ ქართველებს თავი უსაზმნოდ შეაკლა, დევნას თავი დაანებეს და უკან გაბრუნდნენ.

„ნუ უკუე, მეფევ, ჟამი არს ომისა, და ჟამი არს სიყვარულისა. ვინათგან ყოველსავე საქმესა მიაჩანს, რამეთუ ოდესმე ალექსანდრეც

იძლევა დედაკაცისა მიერ, და ეგრეთვე სამსონ დალილასაგან და სოლომონ სიბილასაგან", — ანუგეშებდნენ გზაზე მხლებელნი ჯაერით გულდამძიმებულ გიორგის.

მაჰმადიანი მბრძანებლები კი, თავის მხრივ, მიხვდნენ, რომ ასეთი მუხანათური გზით მოპოვებული წარმატება სრულ გამარჯვებას არ ნიშნავდა და არც ქართველი მეფე შეარჩენდათ მზაკვრულ თავდასხმას. ამიტომ, სანამ გვიან არ გამხდარიყო, არსლან სულტანმა ელდიგუზ ათაბაგი გიორგი მეფეს ელჩად აახლა და შერიგება სთხოვა. დიპლომატიური წიაღსვლები დიდხანს გაჭიანურდა. სულტანი ქალაქ ანისის დაბრუნებას ითხოვდა და სამაგიეროდ ამიერკავკასიის მიწა-წყალთა შეწუხებაზე სამარადჟამოდ ხელისაღებას აღუთქვამდა. გიორგი არ თანხმდებოდა: არც ანისის დათმობა სურდა და არც მომავალ „სამხრეთულ ლაშქრობებზე" აპირებდა ხელის აღებას. ბოლოს, იძალა გიორგის დამ რუსუდანმა, წინარე სულტნის ცოლყოფილმა, ძმა მცირედ დათმობაზე დაიყოლია და ზავიც ასეთი პირობით გაფორმდა: ქალაქი ანისი სამმართველოდ გადაეცა მაჰმადიან არსლან მაჰმუდის ძეს, მაგრამ იგი მაინც საქართველოს ყმადნაფიცად და ქვეშევრდომად დარჩა. ეს ამბავი 1165 წელს მოხდა.

ომები ერთხანს შეწყდა. გიორგი მეფე „დაჯდა სიხარულად და განსუენებად და ნადირობად". მთელი ამიერ და იმიერ კავკასია ზღვიდან ზღვამდე მოიარა და მოინადირა. ერთი სიტყვით, „სუფევდა და იხარებდა სუფევითა ულუმპიანითა". მაგრამ „სუფევა და განსუენება" რაღაცნაირ უცნაურ მოვლენად მოევლინა მარადჟამეულ ომსა და სისხლისთხევას შეჩვეულ ქართველობას. ქართულმა ლაშქარმაც თითქოს ძაბუნად იგრძნო თავი. ბოლოს შეუჩდნენ მეფეს სახელისა და ქონების ხვეჭას დახარბებული დიდებულები: „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა!" გიორგიც დათანხმდა და ჯარები სალაშქროდ იმისდა კვალად განაწესა, თუ რომელ მხარეში რა საფრთხე იყო მოსალოდნელი ქართული მბრძანებლობის საპირისპიროდ.

ეს უცნაური, „უცხო ლაშქრობანი" 1166 წელს მოხდა:

ტაოელებმა, კლარჯელებმა და შავშელებმა დაარბიეს ოლთისი და ბანა;

სამცხელებმა და თორელებმა — კარი და აშორნია;

სომხითარებმა (ქვემო ქართლელებმა) — რანი;

იმერლებმა და ქართლელებმა — განძა და ხლათი;

კახელებმა და ჰერებმა — შირვანი.

პირდაპირ რომ ითქვას, ამ ლაშქრობათა „უცნაურობა" (ქართული ხასიათისთვის სწორედ რომ უცნაური) მათ მძარცველურ ბუნებაში გამოიხატებოდა.

1167 წელს მეფე გიორგი მესამე გეგუთში იყო, და აქ სტუმარი ეწვია, ბიზანტიიდან, სახელად ა ნ დ რ ო ნ ი კ ე; ეწვია თავისი ოჯახით.

სტუმარიც და მასპინძელიც, ორივე დავით აღმაშენებლის შვილიშვილები იყვნენ, პირველი — ასულისაგან (კატაი), მეორე — ძისაგან (დემეტრე). მაშ, მამიდაშვილი სწვეოდა გიორგის.

დავითის ისტორიაში („რომელმან აღაშენა") უკვე აღნიშნა კატაის ბიზანტიური ქორწინებისა. იგი ხომ 1118 წელს ცოლად შერთეს კეისარ ალექსი I კომნენოსის უმცროს ძეს, ისააკს, რომელსაც კეისარ-იმპერატორობა არ ეღირსება; იგი უფროს ძმას, უკვე გახელმწიფებულ იოანე II-ს შემოსწყრება და ბიზანტიიდან სულ გადაიხვეწება, თანაც თურქულ რუმ-იკონიაში, სულტან რუქნ ად-დინ მასუდ I-ის ხიზნად. ოჯახიც თან წაეყვანა — ცოლი კატაი და ახალშეძენილი ძე იოანე. იქ კი, თურქთა კარზე შეხიზნულს მეორე ძე შეეძინა, ანდრონიკე. ბოლოს, მაინც მიბრუნდა კონსტანტინოპოლს ისააკი, თავისი ცოლ-შვილით. ვითომ კეისარ-ძმასაც შეურიგდა და სიცოცხლე ტახტის ამაო ოცნებაში გაუთავდა. არც უფროსმა ძმ, იოანემ, არ გაუმართლა, — იგი ისევ იკონიაში გაბრუნდა, სულტანს დაუსიძევდა და სამუდამოდ გათურქდა. ერთადერთ „საკეისრო იმედად" უმცროსი ძე, ანდრონიკე დარჩენილიყო. მაგრამ 1143 წელს, კეისარი იოანე II რომ მოკვდა (ნადირობისას დაიჭრა სასიკვდილოდ), ტახტი უმალვე მისმა ძემ, მანუილმა დაიჭირა, ანდრონიკემ კი ხელის განძრევაც ვერ მოასწრო... და მას შემდეგ, აგერ ოცდაოთხი წელიწადი კვლავ მეფობს მანუილ I, ანდრონიკე კი ახლა, საქართველოში სტუმრობისას, უკვე ორმოც წელს გადაცილებული კაცია! თუმცა, ვინ იცის, ორმოცი წელი ხომ ბერძნებისთვის „აკმე" არს — მწვერვალი ვაჟკაცობისა!..

მით უფრო, ანდრონიკესთვის, ამ საოცარი, განუზომელი ენერგიის მქონებელი გოლიათისთვის, ორმოცი, გინა ორმოცდაათი, თუნდაც საშოცი წელიწადიც „აკმე" უნდა ყოფილიყო.

ბიზანტიაში ანდრონიკეს ძველ ათენელ გმირს, ალკიბიადეს ადარებდნენ — მისებრ სულით და სხეულით ძალოვან ვაჟკაცს, უმამაცეს და უნიჭიერესს; ქართული ჯიშიც უხვად უმჟღავნებდა ქართველი ქალის ნაშობს, — ნადირობის და ნადიმობის თავდავიწყებით სიყვარული, იქნებ, დიდი ქართველი პაპის, მეფე გიორგი მეორისგან მოსდევდა, და, კიდევ — პოეტური ნიჭი, ლექსის, შაირის მთხზველობის უნარი, უეჭველად ესეც პოეტურ-ბაგრატიონულ დედულეთიდან მოჰყოლოდა, და კიდევ, ისევ ბაგრატიონული გვარჯილაგისგან — საოცრად მომხიბლავი, ქალთა დამატყვევებელი რაინდული „მი-მო-ქცევანი"...

და, ვინ იცის, მისთვის მართლაც ჯერ კიდევ არ იყოს გვიან კეისრული ინსიგნიების დაუფლება... ვინ იცის... ჯერ კი, ახლა, 1167 წელს, ანდრონიკე საქართველოშია, სტუმრად თავის ბიძაშვილთან, მეფე გიორგი მესამესთან, რომელსაც უხმობენ „ლომთა უმხნესად და არწივთა უმაღლესად"...

მაგრამ, მაინც და მაინც, ოდენ სანათესაოდ, სალაღობოდ, სანადიროდ და სანადიმოდ, საშაიროდ და საარშიყოდ მოსულიყო საქართველოში ბიზანტიელი ტახტის მაძიებელი?!

ნუ იყოფინ! რაღაც სხვა „საფენელი" უნდა ჰქონოდა ამ „ბიძაშვილ-მამიდაშვილურ" სტუმარ-მასპინძლობას.

ტფილისში მოსვლამდე ანდრონიკეს — ამ „ბიზანტიელ ალკიბიადეს" ტახტისმაძიებლობას უკვე გარკვეული „ალკიბიადური ისტორია" ჰქონია გავლილი. ჯერ, დასაწყისში, კეისარ მანუილ I კომნენოსთან, მაშასადამე, მის ღვიძლ ბიძაშვილთან, ანდრონიკეს თითქოს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონოდა; სწავლითაც ერთად სწავლობდნენ, „ქალურ საქმეებშიც" ერთად „გადიოდნენ". 1115 წელს, მანუილს „თავისი ანდრონიკე" ბელგრადის, ნიშისა და ბრანიცოვის მმართველადაც კი დაუნიშნავს. მაგრამ ეს დანიშვნა ბიძაშვილთა შორის მალე საბედისწერო გამოდგა. ანდრონიკეს საიდუმლო კავშირები გაუბამს მადიართა (უნგრელთა) სახახლესთან, არპადოვიჩთა დინასტიის მეფე გ ე ზ ა II-სთან, რომელიც საომარ მდგომარეობაში იყო კონსტანტინოპოლის სასახლესთან. იმპერატორმაც აღარ აცივ-აცხელა, ღალატის გზაზე შემდგარი ბიძაშვილი შეიპყრო და ციხეში ჩააგდო. შვიდი თუ რვა წელიწადი მოათია ანდრონიკემ პატიმრობაში და ბოლოს გაქცევა მოახერხა. გაიქცა და, მრავალი თავგადასავლისა და ფათერაკის გადალახვით, ბოლოს და ბოლოს, თავი ამოყო რუსეთში, მთავარ იაროსლავ გალიცკის წინაშე. გალიცკი პირდაპირ დაატყვევა ამ ბიზანტიელმა გმირმა. მანუილმაც ისევ დათმობა ამჯობინა და კვლავ შემოირიგა რუსეთს გახიზნული ბიძაშვილი. მერე, ერთ წელსაც ძლივს გაევლო და ისევ აიშალნენ ბიძაშვილები — ტახტისთვისაც, ქალებისთვისაც... მანუილმა ანდრონიკე კონსტანტინოპოლიდან მოიშორა და კილიკიაში გაამწესა მთავარსარდლად. კილიკიიდან ანტიოქიაში გადავიდა ანდრონიკე, თვითნებურად; იქ კიდევ ერთი ქალი მოხიბლა და მოიყირჭა — გრაფინია ფილიპა, და ამ შემთხვევაშიც მთავარი მაინც ის იყო, რომ ეს ლამაზი და თავქარიანი ქალი თვითონ კეისარ მანუილის ცოლისდა გახლდათ, მარია დედოფლის დაჲ. ანტიოქიიდან იერუსალიმს გაქუსლა ანდრონიკემ, იქ ახალ გამეფებულ ჯვაროსან ხელმწიფეს, ა მ ა ლ რ ი ხ ს შეხვდა, ისიც მოხიბლა, მოხიბლულისგან კი ქალაქი ბერიტი მიიღო საჩუქრად. აქაც არ დაიშალა დონჟუანობის ამ დაუცხრომელმა წინამორბედმა და ახლა დეოფალი თეოდორა ჩაიწვინა სარეცლად, წინარე მეფის, ბალდუინ III-ის ქვრივი, ამალრიხის რძალი (ძმის ცოლი) და მანუილ კეისრის ძმისწული, მაშასადამე, თვითონ ანდრონიკეს ბიძაშვილი...

მანუილი გააცოფა ანდრონიკეს თვითნებობამ და კადნიერებამ. და შეიტყო ანდრონიკემ, სწორედ მისი სატრფოსგან, თეოდორასგან შეიტყო, რომ კეისარ-იმპერატორი მას, დღე-დღეზე, შეპყრობას და თვა-

ლების დათხრას უპირებდა. მაშინ კი იერუსალემიდან ფეხი დაკრა და, აი, საქართველოში ამოყო თავი ანდრონიკე კომნენოს-ბაგრატიონმა.

გიორგიმ დიდი, ხელმწიფური სტუმარმასპინძლობით და სწორედ ძმური სიყვარულით მიიღო „თავისი სისხლი და ხორცი“.

მაგრამ საზეიმო-სანათესაო განწყობილებას ისევ საომარი აღკაზმულობა უნდა შეერთოდა — საომარი განგაშის ხმა შირვანიდან მოჰქრა.

შირვანს მაშინ გიორგის მეორე მამიდაშვილი განაგებდა — დავით აღმაშენებლის „აღმოსავლელი შვილიშვილი“, სწორედ დავითის უფროსი ასულის, თამარისა და შირვანშაჰ მანუჩეჰრ II-ის ძე, სახელად ა ღ ს ა რ თ ა ნ (ახსიტან).

აღსართანი გიორგი მეფეს, მამიდაშვილობის გარდა, „უჩნდა ვითარცა შვილ-ყოფად, ვითარცა ერთი დიდებულთა მისთაგანი“. ახლა ხაზარები და ყივჩაყები შემოსეოდნენ შირვანს დარუბანდის კარით, და შეელას ითხოვდა აღსართანი ბიძაშვილი-ხელმწიფისაგან.

მეფის ბრძანებით, „შეიყარა ლაშქარი იმიერით და ამიერით“. თვითონ წარუძღვა გიორგი, ანდრონიკეც თან წაიყვანა სალაშქროდ. ქართველებმა კასპიას მიაშურეს და ჯიქურ აიღეს შირვანის „ქუეყანა მუსკურისა და შარაბამისა“, ქალაქები შაბურანი და დარუბანდი, უკუაქციეს და შორს ჩრდილოეთით განავლტოლეს ხაზარნი და ყივჩაყნი. გიორგიმ ჩრდილოელ ურდოთაგან დახსნილი შირვანი ისევ თავის ქვეშევრდომ მამიდაშვილს დაუმკვიდრა და საქართველოსკენ გამობრუნდა.

ხოლო, ეს კი აღარ ჩანს, როგორ გაგრძელდა ანდრონიკესა და გიორგი მეფის სტუმარ-მასპინძლობა შირვანიდან მობრუნების შემდეგ. მალე კი დამთავრდა, მაგრამ არც ის ჩანს, რით დამთავრდა; ან რატომ აიჩქარა ფეხი სტუმარმა საქართველოდან. იგი წავიდა რუმ-იკონიას, სულტან ქ ი ლ ი ჩ ა რ ს ლ ა ნ II-ის კარზე.

აქ მას თურქთა სულტანმა საბატონოდ მისცა ტრაპიზონის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე, ხალდია, სადაც ნება ეძლეოდა თურქი „მოხალისენი“ მოეკრიბა და ეძარცვ-ერბია ბიზანტიის საბატონო დასახლებანი. ალბათ, ასეთი „მოხალისეობა“ ვერ მიიღო საქართველოში ანდრონიკემ და ამიტომაც ქართველებს — ამ „აღმოსავლეთის ქრისტიან ბურჯებს“, ისევ სწორედ ქრისტიანთა მოსისხლე თურქებთან თანადგომა არჩია.

ჯერჯერობით ასე დარჩება, ჯერჯერობით, — აკი მისი ცხოვრებაც ხომ მსწრაფლცვალებადი „ჯერჯერობა“ იყო! თურქი „ვოლონტერებით“, „მშობლიური“ ბიზანტიის მიწებს ძარცვავდა, აწიოკებდა, ქრისტიან ტყვეებს თურქულ მონობაში ყიდდა; არც იმას აგდებდა რაიმედ, თანამორწმუნეთა მტრობისა და ნათესავებთან სისხლის დაღვრისთვის კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ ანათემას რომ გადასცა.

ბოლოს, თითქოს, ყველაფერი მაშინ უნდა გათავებულიყო. როცა ტრაპიზონის გამგებელმა ნიკიფორე პალეოლოგოსმა ერთ შეტაკებაში

ანდრონიკე ტყვედ იგდო და მანუილ კეისარს მიჰგვარა. მაგრამ კვლავ სასწაულებრივ იხსნა თავი სიკვდილს მიმთხვეულმა — ისეთი მონანიება გაითამაშა, იმპერატორიც, პატრიარქიც, ყოველი ერიც და ბერიც მწარედ ატირა, და ერთხელ კიდევ მიიღო შეწყალება ამ ვითომ „გასწორებულმა უძღებმა შვილმა“...

საქართველოში კი ყოველივე თავისი გზით ვიდოდა. გიორგი მეფემ, ანდრონიკეს გასტუმრების შემდეგ, ზედიზედ „უცხო ლაშქრობით“ ალაშქრა ჯარი ბასიანს, ნახჭევანს, მასისს, ღაღუას, ბარდავს და ბელაყანს. უამრავი განძი დააგროვა გიორგიმ უჯარმას, რომელიც აღაშენა და სადაც აღესრულა დიდი ვახტანგ გორგასალი, „ლომი იგი ლომთა და გოლიათი გოლიათთა“.

ბოლოს, გიორგი ისევ ანისის საქმეებს დაუბრუნდა. მას გულს ესაკლისებოდა, რომ ადრე მუსლიმან სულტნებს დაუთმო და ანისში მათი სისხლის კაცი დასვა მმართველად. 1173 წელს გიორგი ანისს დაეცა, აიღო და მისი მმართველი არსლან მაჰმუდის ძე ბორკილდადებული წამოიყვანა. ანისი ქართველთა მეფემ, სომეხი ეპისკოპოსის, ბ ა ს ე ღ ი ს თხოვნით, სამმართველოდ მის ძმას, ა პ ი რ ა ტ ს ჩააბარა.

ისევე შეიყარა და წამოემართა საქართველოსკენ თურქთა მხედრობა. შირაკს შემოესივნენ და ააოხრეს. გიორგიმ მეტი აღარ აცალა, ფრთამალედ ჩაუხტა, დაამარცხა და ისევ სამხრეთისკენ აოტა მტერი.

ქართველთა მრავალმა ძლევამოსილებამ მათ მეფეს მაშინდელ აზიაში საბოლოოდ დაუმკვიდრა უპირველესი ხელმწიფის სახელი. მაჰმადიანი მბრძანებლები, „შორს მყოფნი და ახლოს მყოფნი, მეძღუნედ და მოხარკედ მისდა იყვნეს, და ყოველნი სანაპირონი სამეფოსა მისისანი უშიშად ჰქონდეს“.

ქვეყნის შიგნითაც გიორგის თითქოს სიმშვიდე დაემყარებინა — „ყოველი სამოქალაქო აქუნდა დაწყნარებით“.

მაგრამ საგარეო სარბიელზე სწორუპოვრად აღზევებული კაცის ხელმწიფობას სწორედ საკუთარი ქვეყნის შიგნით გამოუჩნდა დამხობის მომასწავებელი საფრთხე.

გავიხსენოთ: გიორგის უფროს ძმას, დღემოკლე მეფეს, დავით მეხუთეს დარჩა ძე — დემეტრე, ანუ დემნა, ამჯერად უკვე 23—25 წლის ვაჟკაცი, „სახე-კეთილი და ყოვლითა ხელითა მარჯუე, ნასწავლი, მსგავსი სახლიშვილობისა მათისა“.

და, ბუნებრივიც უნდა ყოფილიყო, ასეთ ნასწავლ-განათლებულ, შომხიბლავ, თანაც ყოვლითურთ „ხელ-მარჯუე“ ჭაბუკს საქართველოს ტახტზე ასვლაც მოსურვებოდა.

მერე, რაც მთავარია, დავით აღმაშენებელზე ადრინდელი ტახტის-მემკვიდრეობის წესით კიდევაც ეკუთვნოდა ტახტი მეფე დავით მეხუთის პირმშოსა და იმავარ ძეს.

კვლავაც მთავარი ისიც იყო, რომ საქართველოს გულზვავიან დიდებულებს ისევ გაეცოცხლებიათ ატავისტური ვნება განკერძოებისა და განდგომისა. დავით აღმაშენებლის მძლავრი ხელით დარტყმული ლახვარიც კი არ აღმოჩნდა სრულად მომაკვდინებელი, და საქართველოს დიდაზნაურნი ისევ ანახლებენ ბრძოლას ძლიერი, დაშუაგულებული ხელისუფლების დასამხობად. ისინი ვერ შერიგებიან გიორგი მესამის მტკიცე, სასტიკსა და განუყოფელ, სწორედ ფეოდალებთან წილდაუდებელ მბრძანებლობას.

მოტივიც ბრძოლის დაწყებისა ძლიერი ჰქონდათ. ტახტისმემკვიდრეობის ძველი წესით, მეფობა ეკუთვნის გარდაცვლილი მეფის უფროს ვაჟს და არა ძმას. მაშასადამე, ამდენ ხანს — მთელი ოცდაორი წელიწადი — საქართველოს უკანონო მეფე ჰყოლია — გიორგი მესამე, დავით შეხუთის ძმა; ხოლო კანონიერი მეფე, დემნა-დემეტრე, დავით მეხუთის პირმშო და ერთადერთი ძე, ამდენ ხანს იჩაგრება, რაკი მის კუთვნილ ტახტ-გვირგვინს არ უთმობს უკანონოდ გახელმწიფებული ბიძა-გიორგი.

შეთქმულებას სათავეში ჩაუდგა ამირსპასალარი ივანე ორბელი, რომლის ასულიც ცოლად ჰყავდა დემნა ბატონიშვილს. სიძე-სიმამრს მიემხრნენ ყველა ორბელის გვარისანი, ამათ გარდა — სამცხელნი, ჰერნი, კახნი და „სადაცა ნათესავი და ნატამალი მსმენარი მათდა იყო“. ამათ გარდა, შეთქმულებს შეუერთდნენ: ქართლის ერისთავი და ამირახორი ლიპარიტ სუმბატის ძე, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, ანანია დვინელი, ივანე ვარდანის ძე, გრიგოლ ასათის ძე, შოთა ძე ართავაჩოსძისა, კახა ჯავახი შვილებითურთ, დიდი გამრეკელი, მემნა ჯაყელი, გრიგოლ ანელი აპირატის ძე და ძმები სარგის და ვარამ მბარგრძელნი თავიანთი ვაჟებით (სარგისის ძენი — ზაქარია და ივანე, ვარამის ძენი — ზაქარია და სარგისი).

ასე დაიწყო 1172 წელს დემნა ბატონიშვილის ამბოხი.

მეფე მაშინ სახატეს იდგა არხეინი „განსუენებით“. აქვე მან შეიტყო ავი ამბავი შეთქმულებისა. სასწრაფოდ ტფილისს მივიდა და ლაშქრის შეყრას შეუდგა. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მეფე. განდგომილნი, რომლებიც ქვემო ქართლში, ლორეში გამაგრებულიყვნენ, 30 000-ზე მეტ მეომარს მოითვლიდნენ. ხოლო მეფეს ჯერჯერობით მხოლოდ მცირერიცხოვანი ამალა აღმოაჩნდა. მაინც ჩვეული სიმტკიცით, გულუძვრელობითა და წინდახედულებით შეხვდა გიორგი ამ უმძიმეს განსაცდელს. სასწრაფო წვევაზე 500 მხედრით პირველი მოიშურა ყუბასარ ნაყივჩაყარი. მას ძლიერი ჯარით მოჰყვა ახალგაზრდა ჰიაბერი.

მეფის ფიცხელმა საომარმა სამზადისმა დააბნია შეთქმულთა მეთაურები. ზოგიერთებმა, სანამ გვიან არ იყო, განდგომილთა ბანაკი კიდევაც მიატოვეს და სინანულის ცრემლთა თხევით მეფეს ეახლნენ. ასე

მოიქცა ჯერ დიდი გამრეკელი, შემდეგ გრიგოლ ანელი და ყველა მხარგრძელი.

მეფემ ყველა დიდსულოვნებით შეიწყნარა და უხვადაც დაასაჩუქრა.

როცა შეთქმულთა ძალა საგრძნობლად შემცირდა, ხოლო მეფის ბანაკი გამძლავრდა, გიორგი ტფილისიდან ჯიქურ გავიდა, განდგომილი ტაშირი მოარბია, მეამბოხენი „აოტნა, გააქცივა, შეიხვეწნეს ციხესა ლორისასა“. მეფემ აგარას დაიბანაკა და ლორეზე საიერიშოდ ჰიაბერი გაგზავნა. ლორედან ლიპარიტ სუმბატის ძე, ქავთარ ივანეს ძე და ანანია დვინელი შაჰ-არმენთან და ელდიგუზის შვილებთან გაქცეულიყვნენ შემწეობის სათხოვრად. მათ ახლა მუსლიმანთა მხედრობით მოსურვებიათ გიორგი მეფის დამხობა და საქართველოს აკლება.

მაგრამ დააბრუნა გიორგიმ. ახალი ძალები მოირთო ჰერეთიდან, ლეკეთიდან და „სხვანი კავკასიითა“, და ფიცხელი „კუეთარ-კუეთებით“ ერთხელ კიდევ დაამარცხა მეამბოხენი. ამ შეტაკებისას შეთქმულთაგან დაიღუპა გრიგოლ ასათის ძე, ხოლო ივანე ვარდანის ძე და შოთა ძე ართავაჩოსძისა გიორგის მეომრებმა ტყვედ წამოიყვანეს. მეფის ბრძანებით ორივეს თავები დააგდებინეს.

დემნა ბატონიშვილი და ივანე ორბელი გადარჩენილი ძალებით ისევ ჩაიკეტნენ ლორეს ციხეში. მეფემ ალყით შეხუთა მოღალატეთა თავშესაფერი. მალე სასო წარეკვეთათ და სრულებით „დაუღონოვდეს ლორეს შინა მდგომნი“.

ვეღარ გაუძლო თვითონ მთავარმა გმირმა, დემნა ბატონიშვილმა. ღამით, სიმამრისა და სხვათაგან იდუმალ, დემნა თოკით ჩამოეშვა ციხის კედელზე, ბიძა-ხელმწიფეს ეახლა, მუხლებში ჩაუვარდა და საწყალობლად აქვითინებულმა პატიება და სიცოცხლის დანარჩუნება შესთხოვა.

მეორე დღეც და ივანე ორბელიც მისი უკანასკნელი თანამებრძოლებით დაბორკილებული გამოიყვანეს ციხიდან.

გიორგიმ განაჩენი განაჩინა: ივანე ორბელს ჯერ თვალები დათხარა, მერე თავიც გააგდებინა; ასევე დანარჩენი განდგომილი ორბელნი ყველა სიკვდილით დასაჯა, ზოგიერთი მოღალატე სამშობლოდან გააძევა.

ავად მოეპყრო გიორგი ძლეულ ძმისწულს. ერთ ხანს კლდეკარის ციხეში იყო ჩაკეტილი დემნა. მერე ჯალათები მიადგნენ. ერთმა თვალები დაუშრიტა, მეორემ ლაჯებში დანა დაადო და... დაასაჭურისა. დემნა ჭკუაზე შეცდა. დიდხანსაც აღარ უცოცხლია. უფრორე სირცხვილით სიმძიმილმა მოინელა ზრო-შვენიერი ჭაბუკი. გელათის სამეფო საგოდებელი არ აღირსეს და მცხეთას დაფლეს მისი ცხედარი.

გიორგიმ დასჯილ ორგულთა ადგილებზე ერთგული, თუმცა „უგვარო“ ადამიანები დააწინაურა. მანდატურთუხუცესობა და ამირსპასალარობა ყუბასარ ნაყივჩაყარს მისცა, მსახურთუხუცესობა—ა ფ რ ი დ ო ნ ს, მეჭურჭლეთუხუცესობა — ყ უ თ ლ უ-ა რ ს ლ ა ნ ს, მეჯინიბეთუხუცე-

სობა — ჰ ი ა ბ ე რ ს. იმ ჟამს სამღვდელოების თხოვნაც დააკმაყოფილა და ეკლესია გაათავისუფლა „ყოვლისა ბეგარისაგან“.

შინაურ მტერთა ძლევით მაინც ვერ გაიხარა მეფემ. ჯერ თავის სისხლიერთა ღალატმა და მერე მათთან სასტიკმა ანგარიშსწორებამ დაანაღვლიანა და დაზაფრა ბუნებით ხალისიანი გიორგი მეფე.

ადრეც აწუხებდა, მაგრამ ახლა, სამეფო ტახტისათვის სისხლის დაღვრის შემდგომ, საბოლოოდ ჩააგდო საგონებელში ტახტისმემკვიდრეობაზე ფიქრმა.

ცოლი გიორგის ადრე ჰაბუკობის ასაკშივე შერთო მამამისმა დემეტრე მეფემ, ოსთა მეფის, ხ უ დ ა ნ ი ს ასული, სახელად ბ უ რ დ უ ხ ა ნ, გასაოცრად ლამაზი ქალი („მისებრი სძალი არა ეხილა ქართლის თემსა“). ძლიერი სიყვარულითაც უყვარდა თავისი მეუღლე გიორგის, მაგრამ მეფეთათვის ყველაზე დიდი სასურველი სურვილი კი ვერ შეუსრულა ბურდუხანმა გვირგვინოსან ქმარს.

ძე არ გაუჩნდათ ტახტის მემკვიდრედ.

1166 წელს პირველი შვილი შეეძინათ გვირგვინოსნებს.

მაგრამ... ქალი.

ქალიო?!

მაგრამ სწორედ ის „პირველი“, გინა „პირმშო“ — იყო თ ა მ ა რ ი.

მერე, თამარს მოჰყვა მისი დაი — რ უ ს უ დ ა ნ.

1178 წელს, დემნა ბატონიშვილის ამბოხების ჩაქრობიდან მეორე წელს, გიორგი მეფემ ნაჯარმაგევის სასახლეში შეჰყარა წარმომადგენელნი „შვიდთავე სამეფოთა“, სამღვდელონი, საერონი და სამხედრონი — „ყოველნი პატრიარქნი და ებისკოპოზნი, დიდებულნი იმიერთა და ამიერთა, ვაზირნი და სპასალარნი და სპასპეტნი“.

გამოვიდა მეფე და „აწვია დედოფალთა დედოფალი, ბედნიერი და სვიანი ცოლი მისი ბურდუხან“.

მერე მეფე-დედოფალმა აწვია „შვილი მათი თამარ, ნათელი და ბრწყინვალება თუალთა მათთა და მანიაკი ყოველთა მეფეთა, და გვირგვინი ყოველთა ხელმწიფეთა“.

მარჯვნივ დაისვა გიორგიმ თამარი და „დაადგა გვირგვინი ოქროსა თავსა მისსა, ოქროსა მის ოფაზისა, აღმკული იაკინთთა, ზმირთა და სმარაგდოთა მიერ“.

თამარი მამა-ხელმწიფის თანამოსაყდრედ, ანუ თანახელმწიფედ, და მომავალ ერთხელმწიფედ ცხადდებოდა.

გიორგიმ ფიცი ითხოვა დარბაზის ერისაგან.

მაღალმა საკრებულომ მუხლი მოიყარა ღვთაებრივი ასულის წინაშე — წარჩინებულნი „ერისანი ლიტანიობდეს წინაშე პირისა მისისა“.

მაშინ თამარი იყო 12 წლისა.

ამ დიდ საზეიმო წელს საგლოველი წელი მოჰყვა. გარდაიცვალა დედოფალი ბურდუხან, თანამეცხედრე გიორგი მესამისა, დედა ღვთაებრივი თამარისა.

ამის შემდეგ გიორგი მესამემ კიდევ ხუთ წელიწადს იცოცხლა, ქვეყანას კვლავ მორჭმით განაგებდა, თამარს ხელმწიფობას აჩვევდა, საქართველოს მტრებს შიშის ზარს სცემდა და მეგობრებს ემეგობრებოდა. კვლავ „სძღუნობდეს და სძმობდეს მას მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანი, და ჰრომთანი, და ჰინდოთანი, და ხონელნი; და ეგრეთვე სულტანნი ხორასნისა, ბაბილოვნისა, შამისა, ეგვიპტისა და იკონიისანი ჰმონებდეს, და შემდგომნი ამათნი სკვითნი, ხაზარნი, ალანნი, ხუარასანი და ხუარაზმშა, და ბერეთელნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელნი, და ყოველნი ენანი და ნათესავნი მაშრიყით მაღრიბამდე“.

1183 წელს კონსტანტინოპოლიდან ამბავი მოვიდა ტფილისს: ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე ასულიყო ანდრონიკე, მამიდაშვილი გიორგი ქართველთა მეფისა. თურმე კონსტატინოპოლს და მის ახლომახლო მიმოფანტული ქართველები შემოეყარა და მათი მხარაბმით გაეკვლია გზა კეისრობაზე ოცნებაში შემოღამებულ გმირს. ტახტზე ასულიყო და მაშინვე ახალი ცოლიც შეერთო. ამ ცოლთა-ცვლაშიც სწორუპოვარ ცინიკოსს — უკვე 63 წლის ბებერს ახლა 11 წლის გოგო შეერთო!

ხელმწიფედ კი კარგი გამომდგარა კეისარი ანდრონიკე I. მანამდე ყოველგვარი, საკუთარი და სხვისი ფინანსების უთავბოლოდ მხარჯველი და მფანტველი, ახლა სახელმწიფო თუ პირადი ხაზინის თადარიგიანი ხარჯვით, მომჭირნეობითა და თადარიგიანობით, ათასი წლის წინანდელი რომის ყველაზე ძუნწ და მომჭირნე იმპერატორს, ვესპასიანე ფლავიუსსაც კი გააკვირვებდა. ანდრონიკეს ახალი, ფისკალური რეფორმით, საგრძნობლად შეუმსუბუქებია მშრომელი ხალხის დუხჭირი მდგომარეობა. მკაცრად აღეკვეთა თანამდებობათა გაყიდვა. მაღალ თანამდებობებზე, განსაკუთრებით სამოსამართლო პოსტებზე აწინაურებდა მცოდნე, ჭკვიან და პატიოსან ადამიანებს. უსასტიკესად სჯიდა უსამართლობისა, უწესრიგობისა და მექრთამეობისათვის. დაუბრკოლებლად პირადად ისმენდა ყოველ საჩივარს და ყველას მიუგებდა და მიუსჯიდა შესაბამისად. მე მშრომელი ხალხის მეფე ვარო, გლეხების მეფეო, — გაიძახდა ანდრონიკე და ერთი ეკლესიის წინ ისეთი სურათიც გამოაფენინა, რომელზეც თვითონ ეხატა „გლეხი კეისარი“, ხელში ცელით, გლეხურად ოფლდაღვრილი და დამაშვრალი...

სიბარულით უნდა აღნიშნულიყო ეს ამბები ტფილისის სასახლეში.

სასიხარულო და საზეიმო განწყობილება კი, გიორგი მეფეს ერთის ნეთითაც არ უნელებდა ფიქრსა და ზრუნვას ქვეყნის შიგნით სამეურნეო წესრიგიანობის, საზოგადოებრივი სამართლიანობისა და საყოფაცხოვრებო ზნეობრიობის განმტკიცებისათვის. ამ შემთხვევაშიც მეფე გიორგი მესამე პაპამისის, დავით აღმაშენებლის განუბრელი მიმდევარი იყო და ზოგჯერ „მიმდევრობაზე“ დამჭარბებელიც.

ადამიანებს ხომ ოდენ ზნეობა, ოდენ შინაგანი სინდისი ვერ აკავებს, ვერ აწესრიგებს, და მას საამისოდ „დამატებით“ სჭირდება კანონი.

და გიორგი მეფეც „უმატებდა“, დაუზარებლად: მან ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობა-ავაზაკობის აღმოსაფხვრელად, საგანგებოდ მოწვეულ საკრებულო-დარბაზობაზე, დაადგინა — ჩამოხრჩობა. და კიდევაც უსწრაფესად აღიკვეთა ეს დანაშაულობანი საქართველოში (ნამდვილად, ადამიანს, ამ ზნეობრივად „ფხვიერ ცხოველს“, ადამიანური წესრიგიანობისათვის გარდუვალად სჭირდება კანონი — „შიშითა მის მიერითა“. აკი დიდი დავითიც ასეთი იყო: ქრისტიანიზმის ქადაგება ქადაგებად, მაგრამ უმაღლესი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი წესრიგისათვის — კანონი, კანონი-მეთქი, თუნდაც სასტიკი, თუნდაც სისასტიკით უზომოესი და უზომოესი!)...

●

1184 წლის 27 მარტს, ვნების კვირის სამშაბათს, გიორგი მეფე სტაგირს იყო, კახეთში.

და ამ დღეს მას სიკვდილი ეწვია.

და განესრულა მისი 28-წლიანი ხელმწიფობა.

მომკვდარიყო „მონადირე მთათა და ბართა, ბრძანებითა მპყრობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოსა და სამხრისა“.

ხელმწიფე „ლომთა უმხნესი და არწივთა უმაღლესი“.

„მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშაჰ და შაჰინშაჰ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობით მპყრობელი“.

თამარი ტფილისს იყო. ისნის სასახლეში, როცა მამის სიკვდილი შეატყობინეს.

ამის გამგონე „თამარი, პირი იგი ეთეროვანი, და უკიმირო ჰაერი, და უმრუმო ნათელი — შეიზღუდა ბნელითა“.

სამი დიდებული ქალი მიუძღოდა გიორგი მესამის საგლოველ პროცესიას: დაი მისი რუსუდან და ასულნი — თამარ და რუსუდან.

„ჟამისა სიძნელისა“ გამო, ჯერ მცხეთას დაკრძალეს გიორგი, მერე, იმავე წელს გელათს გადაასვენეს სამეფო საძვალესა შინა.

ქართველთა უზარმაზარი სამფლობელონი, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, მრავალი ხალხით დასახლებული: კავკასიელთა სახელმწიფო ხელთ დარჩა თვრამეტი წლის ქალს.

სახელი მისი იყო — თ ა მ ა რ...

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

ᲐᲚᲛᲝᲪᲘᲡᲙᲠᲔᲒᲘᲡᲐ

„ᲨᲔᲘᲒ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘ!“

მაშ, ქრისტესშობითგან იდგა წელიწადი 1184.

ტახტი ობლად იდგა.

თამარი გლოვად იჯდა — „შთაცმასა და დაფენასა ძაძისასა“.

დარბაზიც, ობოლი და მგლოვიარე, ცალკე სადარბაზოს შეყრილიყო — დარბაზი, „დარბაზის ერი“, საქართველოს „შვიდთა სამეფოთა“ საბჭო-სათათბირო, და ბჭობდა უძეოდ გარდასული გიორგი მესამის სამეფო მემკვიდრეობის, სრულიად საქართველოს ტახტზე აღსაყრდების „საკითხავთა ზედა“.

და, კვლავ მხოლოდ თამარის გამეფება გადაწყვიტა დარბაზის ერმა. ერთხმად ცნეს და აღიარეს, რომ თამარი, თუმცა ასაკით ჯერ კიდევ „ყრმა არს“, მაგრამ „მეცნიერებითა, ცნობიერებითა, გონიერებითა და შუენიერებითა“ — არის აღმატებით სრულქმნილი სამეფო-სადედოფლო ქალწული გვირგვინპყრობისთვის.

ასე ცნეს და მაშინვე — „განიყარეს გლოვა და დასცეს საყვირსა, ვითარცა ოდესმე სოლომონისთვის, და დადგეს სვიანი ტახტი ვახტანგეთი, საყდარი დავითიანი... აღმართეს სკიპტრა დიდებულთა, ძელი ჯუარისა და მის თანა დროშა დავითისი, არასოდეს მობერილი წინაალმდგომთაგან ნიავთა“.

ჯერ თამარი გლოვიდან უნდა გამოეყვანათ და შუამავლად მამიდა, რუსუდან დედოფალი შეუგზავნეს სენაკსა საგლოველსა. შენ ერთადერთი დარჩენილხარო სამეფო სახლის მშობელთაგან, თანაც ხომ შენი დიდი ხათრი აქვს თამარს, ვითარცა დედის თანასწორისა, ამიტომ შენვე ეახელ თბოვნითა და ჰაჯითა ჩვენითა და შესთხოვე, გლოვა იქმაროს ღვთაებრივმა ქალწულმა, რათა ინებოს ხელმწიფობა — „ხელ-ყოს ხელითა მეფობასა და კურთხევითა გვირგვინოსან-ყოფად აღვიდეს, და

ამაღლდეს და დაჯდეს საყდარსა თვისთა მამათასა აღპყრობითა და აღძღუანებითა ძელისა ცხოვრებისათა... და მან დაიპყრნეს კიდენი ქუეყანისანი და მეფობდეს იგი ზღვითი-ზღუადმდე“.

შევიდა რუსუდანი, მოახსენა ყოველივე დანაბარები, ევედრა, ეაჯა და ბოლოს, თამარი „ძალითა-სამე დამორჩილ იქმნა“ — შეიწყნარა სამოციქულო „დიდებულთა შვიდთავე სამეფოსათა“.

და გამოვიდა საგლოველი სენაკიდან.

ძაძა განიძარცვა, სახელმწიფო-სამეფო სამოსელით მოიკაზმა და ხელმეორედ, ამჯერად ერთპიროვნულ მბრძანებლად და „თვითმპყრობელად“ ავიდა ტახტზე — „მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა, ელვარება და მზეებრ მაშუქებელი სხუათა“.

„ვინათგან ლიხთ-იმერითგან იყო წესი დადგმად გვირგვინისა თავსა სამეუფოსა“ (ქუთათისის დედაქალაქობის ტრადიციით!) — ახლაც დასავლეთ-ქართველ სასულიერო და საერო მესვეურთ უნდა მოერთოთ და მოეკაზმათ საქართველოს ხელმწიფე ხელმწიფური ინსიგნიებით.

და პირველნი მიეახლნენ ღვთაებრივ ასულს: ანტონ საღირის ძე, ქუთათელი ეპისკოპოსი, და კახაბერ კახაბერის ძე, ერისთავი რაჭა-თაკვერისა. ამათ აიყვანეს ტახტზე თამარი და დაადგეს თავზე უმძიმესი და უმშვენიერესი გვირგვინი „ყოველი“, გინა „შვიდთა სამეფოთა“, გინა „ზღვითი ზღუადმდე“ საქართველოსი.

მას უკან, სამეფო ხმალი მოიღეს და წინ დაუდეს მეფეს დიდებულებმა: ვარდანის ძეებმა, საღირის ძეებმა და ივანელის ძეებმა.

აიღო ხმალი იგი კახაბერ ერისთავმა, მიეახლა და შეარტყა წელზე აწ გვირგვინოსან ქალს, ვითარცა ლაშქრის მთავარსარდალს.

„შეიბ მახვილი შენი წელთა შენთა, ძლიერო, შუენიერებითა შენითა!“

მაშინვე, აღლუმად დარაზმულმა ჯარებმა ერთგულების ფიცი მიუძღვნეს უმშვენიერეს ქალს, ხელმწიფეს და საომარ-სამხედრო ხელისუფალს: „თაყუანის-ცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა შვიდისავე სამეფოსათა“.

მეფედკურთხევა ქალწულისა იქცა დიდ სახალხო ზეიმად და დღესასწაულად: „ამას შინა ჰკრეს სპერმურთა, ბუკთა, ჭოსთა და წინწილთა, და იყო ზარი და ზაჰმი ქალაქსა შინა, სიხარული და შვება და იმედი უიმედო ქმნილთა“.

ასე შეიქნა სახელმწიფო საჭეთმპყრობელი და მეფეთა მეფე „შვიდთა სამეფოთა საქართველოსი“ თამარ „შვიდმნათობიერი“.

და ახალმა ხელმწიფემ ხელმწიფობა დაიწყო იმით, რომ იმავე დღეს, ჟამსა მისი აღსაყდრებისა, აურაცხელი საბოძვარი გასცა ხალხისთვის — ობოლთა, ქვრივთა, უჭონელთა და უპოვართათვის.

„ნეტავ რა არის მისთანა — მეფე თამარ ქალისთანა!“, უკვე მღეროდა ხალხი, „წურილი ერი“.

ხოლო დიდგვაროვან აზნაურებს ქალი-ხელმწიფის ქალურობა იმის იმედად მიუჩნევიათ — ახლა კი დრო დაგვიდგა, წინა „ავ მეფეთა“ წყალობით დაკარგული პატივი ახლა დავიბრუნოთო, და მაშინვე, თამარის ტახტზე ასვლისთანავე, „ფიცი ყვეს“ და ჯერკვლად განაცხადეს: ადრინდელი ხელისუფლების (გიორგი მესამეს გულისხმობდნენ) დადგენილ „უგვაროდ და უხმარ“ მოხელეთა უფროსობას ვეღარ მოვითმენთო, ისედაც მაგ „უჯიშოთაგან“ ჩვენ, „დიდგვარიან მსახურეულთ“, ბევრი ზიანი და უპატიურობა გვიგემნიაო, ამიტომ დაუყოვნებლივ იმ „უჯიშოებს“ ხელისუფლება უნდა წაერთვათ და უზენაესი საპატიო და სამმართველო „სახელონი“ (თანამდებობანი) ძველ-დიდებულ გვარიშვილთა წარმომადგენლებს დაუბრუნდეთო.

მაშ, ისევ შეექმნა საფრთხე დიდი დავით აღმაშენებლისგან წამოსულ უკეთილშობილეს განასაჯს, რომლის მიხედვით ხელისუფალ თანამდებობებზე დაწინაურება უნდა მომხდარიყო არა შთამომავლობითი გვაროვნულ-წოდებრივი ნიშნეულობით, არამედ პირადი ღირსებებით, ნიჭიერებით, პატიოსნებით, მამულიშვილური თავდადებულობით. გიორგი მესამეც ხომ თავისი დიდებული პაპის მიმდევარი იყო და უმაღლესი „სახელოებიც“ ღირსეულ და ერთგულ „უგვაროებისათვის“ დაერიგებინა. ხოლო, რაც სასტიკსა და ულმობელ გიორგის ვერ შევბედეთ, ახლა დრო დაგვიდგა და „სუსტ ქალს“ უნდა დავათმობინოთო, — დაადგინეს დიდგვარიანებმა და გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანასაც ფიცხლავ შეუდგნენ.

მათ უპირველეს ყოვლისა „უჯიშო ხელისუფალთაგან“ მიზანში ამოიღეს მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი ყუბასარ ნაყივჩაყარი და აფრიდონი, ძველად „აზნაურის ყმობაში“ ნამყოფი, შემდგომ გიორგი მეფისგან მსახურთუხუცესის თანამდებობაზე აღზევებული.

და თამარს ჭირვეული ხმაურითა და ყარყაშით აღვსილი მოთხოვნა შეჰბედეს: ყუბასარი და აფრიდონი თანამდებობიდანაც უნდა გადააყენო და ქონებაც ორივეს უნდა ჩამოართვაო.

ყუბასარი ისედაც ფილენჯისგან იყო მაშინ დაავადებული და დავრდომილი — ენა, ხელი და ფეხი წართმეული ჰქონდა, და ამიტომ ამასაც იმიზეზებდნენ გაფიცხებული დიდგვარიანები: ავადმყოფ კაცს ორი ესოდენ დიდი თანამდებობა — მანდატურთუხუცესობა და ამირსპასალარობა, როგორ უნდა ეჭიროსო.

თამარს მამისეული „გულუძვრელობა“ და სისასტიკე არ აღმოაჩნდა და თავისი დიდხელმწიფობის პირველი დღე მოიერიშე მოძალადეთა

წინაშე დათმობით დაიწყო. ორივე, ყუბასარიც და აფრიდონიც, მამისა და პირადად მისი ერთგული და თავდადებული ადამიანები, თანამდებობიდან გადააყენა, თანაც ორივეს გიორგისგან ბოძებული ციხე-ქალაქებიც ჩამოართვა: ყუბასარს — ლორე, აფრიდონს — თმოგვი. შემდგომში თამარს ავადმყოფი ყუბასარისათვის სიკვდილამდე ხელმწიფური პატივი მაინც არ მოუკლია, მაგრამ აფრიდონი კი დიდგვარიანთა „ნებითა“ სავსებით „მოიშალა და დაიმხო“.

ერთბაშად სამი უმაღლესი სახელო გათავისუფლდა: ამირსპასალარობა, მანდატურთუხუცესობა და მსახურთუხუცესობა.

ხოლო, სანამ დიდებულები დაცლილ თანამდებობებზე ერთიმეორეს ეცილებოდნენ და თამარსაც სასურველი კანდიდატების შერჩევა ვერ მოესწრო, უეცრად სატახტოში სავსებით მოულოდნელი და უცებისი ხმა გავარდა.

ხმა, — ვითარცა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა.

„ჯორის სახედ“

გიორგი მესამის დროიდან დაწინაურებულ „უგვაროთა“ შორის იყო მეჯურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი. არავინ იცის, როგორ მოხდა, რომ ყუბასარის და აფრიდონის დამამხობელმა დიდგვარიანებმა „უჯიშო“ და „უაზნო“ ყუთლუ-არსლანი დასამხობად „ვერ გაიმეტეს“, თუ „ვერ გაუბედეს“. ეს კი უეცრად შეიქნა საცნაური: ყუთლუ-არსლანს თავისი საკუთარი პოლიტიკური განაზრახი ჰქონია გამზადებული, საკუთარი და სავსებით განსხვავებული, მანამდე გაუგონარი და მოულოდნელი. მისი პოლიტიკური „ფორმულა“ ასეთი ყოფილიყო:

ისანში, მეფის სასახლის გვერდით, უნდა აშენდეს საგანგებო სახლი — „კარავი“, სადაც სწორედ მეფისაგან დამოუკიდებლად, მის დაუკითხავად და მის დაუსწრებლად, გაიმართება საგანგებო უმაღლესი საკრებულო „დასის“ სხდომები; აქ შეკრებილნი იქნებიან „განმგებელნი მიცემისა და მიღებისა, წყალობისა და შერისხვისანი“, ხოლო ამის შემდეგ, საკრებულოზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, აქ, უმეფოდ, მის დაუკითხავად მიღებულ კანონებს, „წყალობებს“ თუ „შერისხვებს“, მხოლოდ შემდეგ „ეკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინღა სრულიქმნებოდეს განგებული ჩუენი“.

ერთი სიტყვით, სრულიად უმაღლესი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იმპერიუმი, რომელიც ქართველ მეფეებს ამდენ საუკუნეთა მანძილზე ხელთ განუყოფლად ეჭირათ, ახლა შუაზედ უნდა გახლეჩილიყო: უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება ამ „ისნის კა-

რავს“ უნდა დაეჭირა, ხოლო მეფეს მარტო აღმასრულებელი ხელისუფლება დარჩენოდა.

ასეთ განაცხადში სწორედ რომ დიდი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი აზროვნების სიმწიფე და კულტურა გამოსჩანს. სრულიად აზიის მხცოვან ისტორიას ასეთი რამ არ მოსწრებია, ხოლო რა იცოდნენ ყუთლუ-არსლანმა და მისმა „თანამოდასეებმა“, რომ მათი პოლიტიკური განასაჯი რაღაცნაირი „წინამორბედი“ უნდა გამხდარიყო გვიან-ევროპული „პარლამენტისა“, „გენერალური შტატებისა“, გინა „კონსტიტუციონალური მონარქიისა“.

არასოდეს არც ერთ მონარქს უბრძოლველად არ დაუთმია თავისი „აბსოლუტური იმპერიუმი“. და თამარმაც პირველად სცადა ხელმწიფური სიმტკიცისა და ნებიანობის გამოჩენა. მან ძალიან კარგად შეაფასა, რასაც ნიშნავდა „ისნის კარავი“: ეს უნდა ყოფილიყო „დასასრული ხელმწიფობისა“ მისისა. ამიტომაც „იწყინა და გაიკვირვა უკლებელმან გონებითა და საუნჯემან სიბრძნისამან“. თან ისიც შეიტყო თამარმა: ყუთლუ-არსლანს თურმე „საკანონმდებლო კარვის“ დაფუძნებისა და მისი მეთაურობის გარდა, გადაწყვეტილი ჰქონია, მეჭურჭლეთუხუცესობასთან ერთად, ხელთ ეგდო ამირსპასალარობა და ერისთავობა რეზიდენციით ქალაქ ლორეში.

ძალიან მაღლა აფრენას ლამობს თურმე ყუთლუ-არსლანი — „ცხოვარი ჯორის სახედ ორ ბუნებისა მყოფელი“.

თამარის ფიცხელი ბრძანებით ყუთლუ-არსლანი შეიპყრეს და დილეგში ჩააგდეს.

ეს პირველი „რეპრესია“ იყო ქალი-ხელმწიფისგან განსრულებული.

მაგრამ ყუთლუ-არსლანი თურმე მარტო არა ყოფილა. მას ჰყოლია თავისი „დასი“, ფიცით შეკრული, სწორედ ის „დასი“, რომელიც ისნის კარავში კანონმდებელ საკრებულოდ უნდა დამჯდარიყო. თურმე ჯარიც ჰყოლიათ გამზადებული, რათა საჭირო შემთხვევაში მახვილის კვეთებასაც არ დარიდებოდნენ.

განდგომილებმა იარაღის ავი ჟღრიალით მოითხოვეს მათი ბელადის გათავისუფლება.

თამარის მომხრეებსაც უკვე ჯავარდნებზე დაედოთ ხელი.

სისხლის სუნი ჩამოწვა.

ხოლო, თამარს ფიქრადაც ვერ წარმოედგინა, რომ მისი ხელმწიფობა შინაური, ძმათაშორისი სისხლისთხევით დაწყებულიყო.

დიდი ხელმწიფური სიბრძნე, დახვეწილი ტაქტი და მომზიბლავი რომანტიკა გამოსჭვივის თვრამეტი წლის ქალი-ხელმწიფის გადაწყვეტილებაში, ასეთ კრიტიკულ ჟამს. ქალმა-ხელმწიფემ სწორედ ქალის გუმანით იცოდა, რომ მისი თანამემამულენი — სულ ერთია, მისივე მომხრენი თუ მოწინააღმდეგენი — უზენაესი კრძალვით და პატივით ეპყრო-

ბოდნენ სწორედ ქალს, მათი ოჯახისა და ქვეყნის წმიდათაწმიდა სალოცავს, ქალის შეუვალ სიტყვას, ქალის მანდილს.

და თამარმა საომრად აღძრულ მოწინააღმდეგეთა ბანაკში გაგზავნა ყველაზე საპატიო დესპანნი — ორი მანდილოსანი, კეთილშობილნი, სახით სახიერნი და ზნესრულობით უსპეტაკესნი, ორი „საპატიო დიოფალი“, ერთი — ხუაშაქი ცოქალი, ქართლის ერისთავთერისთავის რატის დედა; მეორე — კრავაი ჯაყელი, „დედა აწ მყოფთა სამძივართა“ (სამძივარი — ქართული არისტოკრატიული გვარი).

მანდილოსანმა მოციქულებმა მისვლისთანავე დააცხრეს „დასელების“ ავი ყარყაში. მათ გადასცეს თამარის ფიცი, რომ იგი ყუთლუ-არსლანის გარდა არც არავის ბრალს დასდებდა, არც ვისმეს დასჯიდა. ხუაშაქმა და კრავაიმ იარაღაყრილი „მოჯანყეები“ თამართან მოიყვანეს. ქალთაგან მოყვანილებმა ქალი-ხელმწიფის წინაშე მუხლი მოიყარეს, თაყვანი სცეს და სამარადჟამო ერთგულება შეჰფიცეს; თავის მხრივ, თამარმა აღუთქვა, რომ „დარბაზის“ უფლებებს გააფართოებდა და დიდმნიშვნელოვან საკითხებს მასთან „თანადგომითა და ერთნებაობით“ განიხილავდა და გადაწყვეტდა.

დარბაზისერნი თამარ მეფისა

საგანგებოდ მოწვეული დარბაზის დასტურით, თამარმა შეადგინა ახალი სავაზირო:

მწიგნობართუხუცესი და ჰყონდიდელი — მიქაელ მირიანისძე. მიქაელი იმავე დროს იყო ქართლის კათალიკოს-პატრიარქი. თამარს არ სურდა ეგზომ მაღალი რწმუნებანი მიქაელისა, რომელსაც გიორგი მესამის გარდაცვალებისთანავე რაღაცნაირად „მოევერაგა“ ეს დიდი თანამდებობანი. მაგრამ ჯერხნობით თამარმა დათმო კათალიკოსის კადნიერების წინაშე;

მანდატურთუხუცესი — ჭიაბერი, თამარის მამის გაზრდილი კაცი. ყუბასართან ერთად, ჭიაბერის ერთგულებამ და თავდადებამ აკი გადამწყვეტი როლი შეასრულა დემნა ბატონიშვილის შეთქმულების ჩახშობაში;

ამირსპასალარი — სარგის მხარგრძელი, შორეული წარმოშობით ქურთი, სარწმუნოებით გრიგორიანი, აღზრდითა და კულტურით ქართველი. იგი ადრე დემნა ბატონიშვილის მომხრეთა და თანამებრძოლთა შორის აღმოჩნდა, მაგრამ შეთქმულნი გადამწყვეტ ჟამს მიატოვა, ისევ მეფის ბანაკს დაუბრუნდა და ამის შემდეგ არც გიორგისთვის და არც მისი სახლეულისთვის აღარ უღალატია (უფრო სწორად: ღალატი აღარ გაუბედავს, რადგან საამისო „ამინდი“ აღარ დაჰდგომია).

ამირსპასალარობასთან ერთად, თამარმა მას უბოძა ლორე და სომხითი;

მეჯურჯლეთუხუცესი — კახაბერ ვარდანისძე, კაცი „დიდი და გუარიანი“;

ამირახორი — გამრეკელი თორელი, ესეც გიორგი მესამის დროს დაწინაურებული პოლიტიკოსი. გამრეკელმა თორელმა პირველმა მიატოვა დემნა ბატონიშვილის ბანაკი და თავისი ძალებით მეფეს შეუერთდა:

ჩუხჩარხი — მარუშისძე;

ხოლო, ერისთავებად თამარმა დაადგინა:

ბარამ ვარდანისძე — სვანეთისა,

კახაბერ კახაბერისძე — რაჭა-თაკვერისა,

ოთაღო შარვაშისძე — აფხაზეთისა,

ამანელისძე — არგვეთისა,

ბედიანი — ოდიშისა,

რატი სურამელი — ქართლისა,

ბაკურ-ყმა ძაგანისძე — კახეთისა,

ასათ გრიგოლისძე — ჰერეთისა,

ბოცო ჯაყელი — სამცხისა.

მაშინვე საეკლესიო საქმეებსაც მიჰხედა თამარმა. თვითონ გულმხურვალე ქრისტიანსა და უზენაესი ზნეობრივი სისპეტაკის მქონე დედოფალს დროზე შეუმჩნევია ზნეობრივი რყევანი ქართული ქრისტიანული ეკლესიისა, რომლის ზედა ფენაში კვლავ გამოჩენილან პატივმოყვარე კარიერისტები, გარყვნილი შარლატანნი, ხარბი ანგარმადევარნი. თვით სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მიქაელ მირიანისძე ყოფილა „უწესობათა“ მაგალითი, რაკიღა მან „წინაუკმო რამე იწყო წესთაგან ეკლესიისათა და ჭყონდიდელ-მაწყვერლობა და მწიგნობართუხუცესობა მოევერაგა უფლისაგან“; თამარს საეკლესიო ღონისძიებით უნდოდა თავგასული მღვდელმთავრისათვის ერთდროულად ერთიც ჩამოერთმია და მეორეც — მწიგნობართუხუცესობაც და კათალიკოსობაც. ამისთვის და საერთოდ სხვა უზნეო საეკლესიო პირთა განსაპატიჟებლად მოიწვია საეკლესიო კრება. იერუსალიმიდან ჩამოიყვანა განთქმული საეკლესიო მოღვაწე ნიკოლოზ გულაბერისძე, რომელსაც ადრე საქართველოს კათალიკოსობაზე უარი უთქვამს და უბრალო ბერული ჩოხით პალესტინას გადახვეწილა. თამარმა ნიკოლოზ გულაბერისძეს შეახვედრა ანტონ საღირისძე, ქუთათელი ეპისკოპოსი, „დიდად განთქმული სათნოებასა შინა და ძლიერი საქმით და სიტყვით“ .

ეს ორი „წმიდა ბერი“ უმეთაურა თამარმა საეკლესიო კრებას, თავგასული მიქაელ კათალიკოსის საპირისპიროდ.

წინასწარ თვითონ დამოძღვრა თამარმა ქრისტიანი მოძღვარნი:

ყოველივე კეთილად გამოიძიეთო, სიმართლე დაადგინეთ და გულბოროტნი ეკლესიიდან განაძევეთო; თუ მართალი არ ვიყო, ნურც მე მომერიდებით, რადგან ეს გვირგვინი მეფობისთვის მაქვს და არა ღმერთმბრძოლობისთვისო; მთავართა წინაშე სიმდიდრისთვის ნუ იმლიქვნელებთ და გლახაკთა ზედა სიმკაცრისათვის უპატიურად ნუ მოიქცეთო; სიტყვა იყოს თქვენი და საქმე ჩემი; თქვენ გვასწავლეთ, ჩვენ ვისწავლით; ხელი ხელს მივცეთ სჯულიერების დასადგენად, „თქუენ ვითარცა მღვდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე; თქვენ ვითარცა მნენი, მე ვითარცა ებგური“.

ასე თქვა თამარ „ღმრთივ-განბრძნობილმა“, მცირე ხანს კიდევ დარჩა მისი სიტყვით მოხიბლული და განლიგებული საკრებულოს წინაშე; მერე ადგა, გულაბერისძისგან და ქუთათელისგან კურთხევა მიიღო და „წარვიდა პალატად თვისად“.

საეკლესიო კრება კი შფოთიანად წარიმართა. კათალიკოსი მიქაელი გააფთრებით იცავდა თავსაც და თავისიანთა თავგასულობასაც. ბოლოს, საქმე იმით გათავდა, რომ უღირსი ეპისკოპოსნი გადააყენეს, მათ ნაცვლად ღირსეულნი დაადგინეს, მაგრამ თვითონ მიქაელს ვერც კათალიკოსობა დააგდებინეს, ვერც ჭყონდიდლობა, მაწყვერლობა და მწიგნობართუხუცესობა...

თამარი, თითქოს, ჯერჯერობით „შეზღუდულ მონარქად“ გამოსჩანდა.

პირველი საქორწინო გვირგვინი

ვემთხვიო იმ ხელს, შენ დონემდე მე რომ
მამაღლებს.

გ ო ე თ ე, „ფაუსტი“.

რისთვის მაგონებთ იმ ნახევრად-ქვრივობას
ჩემსას
და ამ ქვრივობით გამოწვეულ უბედურებას?

გ ო ე თ ე, „მშვენიერი ელენე“.

თვრამეტი წლის ქალწულს ერთ წელიწადში გარდახდა თავს უმძიმეს შინასახელმწიფოებრივ მოვლენათა გადაწყვეტა და მოვლა-პატრონობა: დიდაზნაურთა, „კაცთა დაუდგრომელთა“ შემოტევა, ერთგულ თანამოსაგრეთა დაცემა, ყუთლუ-არსლანიანთა იერიშები, ეკლესიის, ვითარცა „ავაზაკთა ქუაბის“ გაწმენდა, გულზვავიან კათალიკოსთან და მწიგნობართუხუცესთან ჭიდილი.

ახლა თამარი ცხრამეტი წლისა იყო.

ერთი წელი ძლივს გასულიყო, რაც სახელმწიფო გვირგვინი დაადგეს თავზე.

ხოლო, ხელმწიფე-ქალისთვის მარტო ხელმწიფური გვირგვინი არა ყოფილა საკმარისი. თამარი ქალი იყო და უნდა გათხოვილიყო. საპატარძლო გვირგვინსაც უნდა დაემშვენებინა მისი უმშვენიერესი ხატება.

თვითონ უარს ამბობდა გათხოვებაზე, მაგრამ მას არც ეკითხებოდნენ. თურმე თამარის ქორწინებაც არა ყოფილა თამარის საქმე. დიახ, იგი უნდა გათხოვილიყო, მაგრამ არა როგორც ქალი კერძოობითი, არამედ როგორც მეფე-ქალი, რომელსაც თავისი ქმარი სახელმწიფოსთვის უნდა მიეძღვნა, ვითარცა ხელმწიფე და მბედართმთავარი. და იგი უნდა გამხდარიყო დედა, მაგრამ არა დედა როგორც კერძოობითი, არამედ როგორც დედა სახელმწიფოს სამეფო ტახტის მემკვიდრისა და ვითარცა დედა და დედოფალი სრულიად საბელმწიფოსი.

ასეთი უნდა ყოფილიყო „სახელმწიფო ჯვარისწერა“ ცხრამეტი წლის თამარ მეფისა.

და საქართველოს მესვეურებიც უნდა დამსხდარიყვნენ მათი ხელმწიფე-ქალის ქორწინების გადასაწყვეტად.

თამარი საქმროს არჩევისთვის გამართულ ბჭობასაც არ დასწრებია. იგი ისე განაპირებულიყო, როგორც მორჩილი გოგონა ტირანი მამისა, რომელსაც სახლში სასიძოს შემოყვანა თვითონ გასათხოვარი შვილის დაუკითხავად გადაუწყვეტია.

მერე, ვინ უნდა ყოფილიყო ღირსი თამარის ქმრობისა?

ქალი — საარაკო სიმშვენიერისა, „უკლებელი გონება და საუნჯე სიბრძნისა“ და მფლობელი აზიაში უმძლავრესი მონარქიისა.

ვინ უნდა გამხდარიყო ასეთ ბედნიერ განძთა მფლობელი, რომელი მეფე, უფლისწული თუ პრინცი?

საქართველოს სატახტოში უკვე მოდიოდნენ უმშვენიერესი და უბრძენესი მეფე-ქალწულის დაუფლების სურვილით „ცოფ-ქმნილი“ სასიძოები, კეთილშობილნი, გმირნი, ნიჭიერნი, სახიერნი, „მიჯნურნი ლომნი და მზენი“; მოდიოდნენ და მოჰქონდათ ძღვენი უთვალავი, მოჰქონდათ აღთქმა სიყვარულისა, ერთგულებისა, თავგანწირვისა, მორჩილებისა, სულიერ-სჯულიერი თანადგომისა და თანაზორვისა.

„უბრწყინვალესისა და უნათლესის“ მაძიებელთა შორის პირველობდა ბერძენი უფლისწული ა ლ ე ქ ს ი, უფროსი ძე კეისარ ანდრონიკე პირველისა. თამარსაც უკვე აგრძნობინეს, რომ დარბაზის ერის ერთ ნაწილს სწორედ ალექსი მიუჩნევია საქართველოს ღირსეულ სასიძოდ.

მაშინვე ცივი უარი ბრძანა თამარმა: ბიზანტიელი უფლისწული ხომ ჩემი ნათესავია (პაპიდასშვილიშვილი!) და მისი ქმრად შემოთავაზება უკადრის და უზნეო საქმედ მიმაჩნიაო.

უარი ბრძანა და საერთოდ, „უწადინელმან ქორწინებისამან“ ერთბელ კიდევ „იაჯა ხსნა ქმროსნობისაგან“.

მაგრამ მაინც განაგრძობდა ბჭობას სამეფო დარბაზი — საერონი, სამხედრონი, სამღვდელონი.

ღირსი სასიძო კი არ ჩანდა.

ოვსთა მეფის ორი ვაჟი ბრწყინავდა თამარის მთხოვნელთა შორის — „შუენიერნი და სახე-კეთილი მოყმენი, მოჰაჯენი და მთხოვნელნი, ღირსნი და მონდობილნი ჰაბუკობისანი“.

მაგრამ არც მათ გაუღიმათ ბედმა სანატრელმა.

თითქოს-და მართლაც ქვეყნად „აღარ დაებადა ღმერთსა სწორი თამარისი“.

მთავარი მაინც ის იყო, რომ სამეფო კარს თამარის გათხოვება უფრო თავისთვის უნდოდა, ვიდრე ქვეყნისთვის და თვითონ თამარისთვის.

ბოლოს და ბოლოს, მაინც ხომ უნდა თქმულიყო, თუ ვინ იქნებოდა სიძე საქართველოსი.

და ითქვა.

თქვა აბულასანმა, ქართლისა და ტფილისის ამირამ:

მე ვიცი ღირსი საქმრო თამარისა — ეს არის რუსი უფლისწული, სახელად გიორგი, გინა იური, შვილი სუზდალის ხელმწიფის, ანდრია ბოგოლიუბსკისა, იმ ანდრია დიდისა, რომელსაც მონებდნენ სამასი მთავარნი რუსთანი. ანდრია რომ მომკვდარა, გიორგი მცირეწლოვანი დარჩენილა და ბიძას გამოუდევნია, მაშინ ნოვგოროდს მყოფი, ხოლო ამჯერად დევნილი გიორგი ყივჩაყეთში აფარებს თურმე თავს, ქალაქ სუნჯაში.

ეს მოახსენა აბულასანმა დარბაზის ერს და მაშინვე ყველა სხვა სჯისიძო ჩაიჩრდილა და ჩაიფერფლა. ძლიერად აქებდა „რუსი უფლისწული“, „ძე დიდი ხელმწიფისა“, „დიდი, ერთმორწმუნე ქრისტიანი ხალხის შთამომავალი“.

მაშინვე კაციც მონახეს, რომელმაც კარგად იცოდა ჩრდილოეთის, ყივჩაყეთის გზები და მისავალ-მოსავლელნი. ეს კაცი იყო მკვიდრი ტფილისელი დიდვაჭარი, სახელად — ზანქან ზორაბაბელი. დარბაზმა მას ფიცხელი ბრძანება მისცა, სასწრაფოდ გადასულიყო ჩრდილოეთ კავკასიაში, მოეძებნა რუსი უფლისწული და ჩამოეყვანა საქართველოში.

და, შეუსვენებლივ მიჰქროდა ზანქან ზორაბაბელი, დღეღამ-სწორებით, ცხენთა გამოცვლით. ქალაქ სუნჯას მივიდა, რუსი სასიძო მონახა და ქართველ მესვეურთა სურვილი და გადაწყვეტილება ამცნო.

მოულოდნელმა, აუწერელმა სიხარულმა მოიცვა გული დევნილი და მიუსაფარი უფლისწულისა.

რა მომხიბლავად და გამაოგნებლად ჟღერდა „თამარ“, და „საქართველო!“

და ზანქან ზორაბაბელმაც ფიცხლავ გამოუყენა რუსი სასიძო საქართველოსკენ.

თამარმა არც ახალი სასიძოს არჩევისა იცოდა რაიმე, არც მის მოსაყვანად კაცის გაგზავნისა, ისე შემოიყვანეს რუსი უფლისწული ტფილისში.

„სამგზის სანატრელი“ თამარის საქმროს ხილვის მოსურნე ხალხი გამოეფინა უცხო უფლისწულის საჭვრეტად.

სამეფო დარბაზიც გამოვიდა, კათალიკოს-პატრიარქი, ვაზირნი, მთავარნი და დიდებულნი.

ყველა მოხიბლულიყო.

მოდიოდა სასიძო, „მოყმე სახე-კეკლუცი, სრული ანაგებითა და შუურეტთაგან საჩენი გუარისშვილად“.

ბოლოს, თამარისთვისაც ხომ უნდა მოეხსენებინათ და მოახსენეს კიდეც: სასიძოც მოვიყვანეთ და ქორწილიც ახლავე უნდა გადავიხადოთო.

თამარი გააოგნა და აღაშფოთა ახალმა მოულოდნელმა კადნიერებამ.

— ეს რა საკადრისიაო, კაცნო, ჩემს შეუტყობინებლად ასეთი საქმის გადაწყვეტა? ანდა, რა ვიცით ამ უცხო კაცის ხასიათი, ბუნება, საქმე და საქციელი? არა ვიცით რა მისი — არცა მხედრობა, არცა ზნეობა, არცა რა ქცევა. მანამ მაინც მაცალეთ, სანამ მის სიკეთეს თუ სისუსტეს რასმე შევიცნობდეთ და შევიტყობდეთო, — ბორგნეულად იძახდა თამარი.

მაგრამ არ ეშვებოდნენ, ჰირველულად ეტანებოდნენ და ეძალებოდნენ. წინ რუსუდანი გაემძღვარებინათ, მისი მამიდა, რომლისადმი, ვითარცა დედისადმი, ესოდენი ხათრი და რიდი ჰქონდა თაძარს. ჩასჩიჩინებდნენ: სამეფო სახლი უნაყოფოდ გარდაეგებაო, თუ ტახტის მემკვიდრე დროზე არ მოგვეველინებაო, მხედრობა კიდევ მხედართუფროსს საჭიროებსო და სხვა მისთანანი.

ბოლოს და ბოლოს, „რასღა მრავალს ვიტყოდით? შემდგომად მრავლისა ცილობისა“, გატყდა თამარი.

ამგვარად, „თვინიერ ნებისა თამარისა ყვეს ქორწილი“.

ხოლო, ქორწილი იყო „სახედაუდებელი და იგავმიუწვდომელი: სიმრავლენი სახეობათანი, ძღუნობანი და ნიჭებანი თუალთა და მარგალიტთანი, ოქროჭედილთა და უჭედელთანი, სიმდიდრეთა და ლართა ქერულთა და უქერულთანი, მსგეფსამდე სიხარული, შუება, ძღუნობანი, გაცემანი“.

ასე განესრულა თამარ მეფის პირველი „სახელმწიფო ჯვარისწერა“, 1185 წლის მიწურულს.

საქორწინო ნადიმ-ღრეობის მეშვიდე დღეს უსიამო ამბავი მოვიდა სასახლეში: ტფილისიდან წასულ, იმედგაცრუებულ ოვს უფლისწულთაგან უმცროსს თამარისადმი „მოუთმენელი სურვილითა და სიყვარულით“ გზაზედ ბნედა შეჰყროდა და ნიქოზის ტაძართან მიახლებული აღსრულებულა კიდეც. იქვე დაუკრძალავთ, რაჟდენ პირველმოწამის ტაძარში, თამარის ტრფიალების სურვილით სიცოცხლეწართმეული უფლისწული...

იმ საბედისწერო ქორწინების ჟამს, კიდევ, კონსტანტინოპოლიდან ახალი ამბავი მოვიდა, ქართველთათვის. ალბათ, ააშფოთარი და, გარკვეულწილად მაინც დასაფიქრებელი.

ტახტიდან ჩამოეგდოთ კეისარ-იმპერატორი ანდრონიკე I, ქართველთა ნათესავი — დავით აღმაშენებლის შვილიშვილი, დემეტრე პირველის დისწული, გიორგი მესამის მამიდაშვილი, თამარის პაპიდაშვილი.

დედამიწის „ოქროს ჭიპზე“ ახალი კეისარი აღზევებულიყო, მორიგი ავანტიურისტი, ი ს ა ა კ II ა ნ გ ე ლ ო ს ი. მისი ბრძანებით, აწ დაცემული და შეპყრობილი ანდრონიკესთვის ცალი მკლავი მოეკვეთათ და ცალი თვალიც მოეთხარათ. მას უკან, აქლემზე შეესვათ და ქუჩები ჩამოეტარებინათ; ხალხიც „ხალხურად“ მოქცეულა და „მისი“ გუშინდელი „სალოცავი ხელმწიფე“, უკვე ნახევრადმკვდარი, საოცარი „მრავალფეროვნებით“ ეწამებინა; ბოლოს, ქალაქის მოედანზე თავდაღმა დაეკიდებინა და ისე ეცემა მუდამ ადამიანის წამებაზე მოწყურებულ ბრბოს; და ოდენ ამ სიტყვათა თრთოლვით ჩაძირულიყო სიკვდილში ანდრონიკე, ოდესღაც სიცოცხლით და სივაჟკაცით აღსავსე ადამიანი: „უფალო, უფალო, შემიწყალე მე; ხოლო თქვენ — რაისთვის ამსხვრევთ ლერწამსა აწ დამსხვრეულსა?!“... და ასე მოკვდა, და ბრბომ მკვდრის ცქერა მანამ არ მოიწყინა, ვიდრე იგი ბოლოს და ბოლოს არ ჩამოლპა და ძვლის ხორომად თვითონვე არ ჩამოიყარა...

ძალიან კი შვენოდა ასეთი სიკვდილი „ოქროს ჭიპს“.

მისი ბუნება შვენოდა...

...ანდრონიკეს ორი ძე დარჩენოდა — ა ლ ე ქ ს ი და დ ა ვ ი თ ი.

(ალექსი ხომ თამარის ხელს ეძიებდა... მაგრამ აკი თამარმა „აღმოაჩინა“ რომ ისინი ნათესავები იყვნენ!).

ახლა კი ორივე — ალექსი და დავითი, საქართველოს გზას ადგნენ.

რათა თავი დაეღწიათ ბიზანტიისგან, ანუ — სიკვდილისგან.

მაშ, მოილტვოდნენ ბერძნულ-ქართული სისხლით ნაჯვარი უფლისწულნი საბერძნეთიდან საქართველოსკენ, „ჭიპიდან“ „შუბლისკენ“ — ალექსი (ბერძენთა საყვარელი სახელი) და დავითი (ქართველთა საყვარელი სახელი)...

თამარისა და გიორგის ქორწინების წინარე ხანს ქართველებს ორჯერ მოუხდათ დიდი ბრძოლა სამხრეთიდან შემოსეულ დიდძალ მტრებთან.

ჯერ არანისა და გელაქუნის გზებით შემოიჭრნენ თურქნი-სელჩუკნი „ქუეყანასა პალაკაციოს და ძაღლის-ხევად წოდებულსა“. გზა გადაუჭრა თამარის ლაშქარმა ძარცვა-რბევით მომდინარე ურდოს. გამრეკელი კახას ძე მიუძღოდა ქართველობას. სახტიკ ხელჩართულში „სვისაგან თამარ უძლეველისა მცირეთაგან დიდნი იძლივნეს“. მრავლად გაწყდნენ თურქნი. დიდხანს სდიეს ქართველებმა გაქცეულ მტრებს. დიდძალი ნადავლით შემობრუნდნენ და წარსდგნენ „წინაშე თვითმპყრობელისა“.

იმავე ჟამს, კარნუ-ქალაქიდან, შამიდან (სირიიდან) და გარმიანიდან წამოვიდა უთვალავი თურქობა. მათმა მხედრობამ და ქვეითმა ჯარებმა გაავსეს კლარჯეთისა და შავშეთის ქვეყნები. გაუხტნენ მოიერიშე მტრებს გუზან აბულასანის ძე ტაოელი და ბოცო ბოცოს ძე ჯაყელი. „თამარის ბედზე და სახელზე“ საარაკო გმირობით შეებნენ თურქებს ტაოელთა და მესხთა ჯარები. ისევ „სძლია ბედმან და სვემან თამარისამან“ — უამრავი თურქობა ჩახოცეს ქართველებმა შავშეთის, კლარჯეთის, ტაოსა და ბასიანის ხევებში. კვლავაც დიდძალი ნადავლნაალაფევი და ტყვე-მომტერენი აახლეს ქართველებმა თამარ „ღმრთივგვირგვინოსანს“.

1186 წლის ადრიან გაზაფხულზე თამარმა ლაშქარი შეჰყარა სამხრეთ-დასავლეთ თურქთა დასალაშქრავად და დასაშინებლად.

სარდლობა თანამეცხედრეს ჩააბარა.

თამარის ბრძანებით, „ააბეს დროშა სვიანი და ხმარებული“, წინ წაიმძღვარეს ჯვარი ძელიცხოველისა, „მცველი და მფარველი მეფეთა სკიპტრისა“.

თამარმა მხურვალედ დალოცა ჯარი და მეუღლე-სარდალი.

პირველად მიუძღოდა გიორგი რუსი ქართულ მხედრობას.

ქართველებმა ზედიზედ დალაშქრეს კარის, კარნიფორისა და ბასიანის თურქთა ბანაკნი. ისევ „გამარჯვებულნი შემოიქცეს და მოვიდეს წინაშე პატრონსა მას ღმრთივ-განათლებულსა“.

დიდი სიხარული ჰქონდათ ქართველობას.

დიდი სიხარული უნდა ჰქონოდა სამეფო სახლობასაც, რამეთუ თამარის „სახე-კეკლუცი“ მეუღლე საომარ საქმეებში ფრიად გაწაფული აღმოჩნდა.

ამის შემდგომ, სამხრეთით, დვინის მიმართულებით გაგზავნა თამარმა ლაშქარი. ამჯერად ქართულ მხედრობას მიუძღოდნენ მხარგრძელები— „ძენი სარგისისანი“ (ზაქარია და ივანე) და „ძენი ვარამისანი“ (ზა-

ქარია და სარგისი). ქართველებმა დვინიც დალაშქრეს, მტერი აოტნეს და ისევ „გამარჯვებულნი და აღსებულნი და სახელოვანნი მოვიდეს წინაშე მეფეთა“.

მერე, ზედიზედ, ერთმანეთის მიჯრით აეწყო ლაშქრობანი: „ლაშქრობდეს ქუემონი ქუემოთ, და ზემონი ზემოთ, და შუანი შუათ, და ყოველგან ძლევა-შემოსით და გამარჯუებით“.

1187 წლის აღრიან გაზაფხულზე თამარმა შორეული ლაშქრობისათვის გააწყო ლაშქარი. ამჯერად ირანის შუაგულის გავლით, პართიისაკენ უნდა აეღო გეზი ქართველობას. ამ დიდი, საპასუხისმგებლო ლაშქრობის მეთაურობა ისევ თავის მეუღლეს, გიორგის ჩააბარა თამარმა. გიორგი რუსმა ისევ ისახელა თავი. მისი მოთავეობით ქართველებმა ეს შორეული ლაშქრობაც დიდი წარმატებით განახორციელეს, იქაური ქალაქები აიღეს, ნადავლი და ტყვეები წამოასხეს და ისე მობრუნდნენ „თამარს სუე-სრულსა და ნათელ-ბრწყინვალესა წინაშე“.

პართიაში ძლევამოსილი ლაშქრობის შემდგომ თამარი და მისი სახლობა იმერეთს გადავიდა „განსასუენებლად“. მერე იქიდან გამობრუნდნენ და შირვანს გაემართნენ ბრწყინვალე ამალით. შემოეგებათ შირვანშაჰი „დიდითა ნიჭითა და ძღუენითა“. რამდენიმე დღის ბჭობის, ნადირობისა და „განსუენების“ შემდგომ ქართველთა ხელმწიფეებმა შირვანშაჰი დატოვეს „პატივითა ძმებრივითა“ და ისიც ქართულ სამეფო კარს კვლავ „მონებდა და მსახურებდა მონებითა ყმებრივითა“.

ტფილისს მობრუნებულმა თამარმა შეიტყო, რომ კვლავ დამდგარიყო გელაქუნს თურქმანთა ურდო, სიმრავლით „ზღვის ქვიშა სახეობითა“. ისევ წარგზავნა თამარმა გიორგი ლაშქრით. ქართველები გელაქუნს ჩაიჭრნენ, თურქებს „დაესხნეს, ამოწყვიტეს და აღიღეს დიდძალი ნატყუენავი და იავარი“. უკან, საქართველოსკენ გამობრუნებულთ, უეცრად ახალი ურდო შემოესიათ — „ყოველი თურქმანობა“, რომელთაც შამელი დიდებულები მოუძღოდნენ — როსტომ და იალღუზალფესი, რომლებიც თურმე ყიზილ-არსლან ათაბაგს დაუქირავებია საქართველოს ასაოხრებლად.

შეუტრიალდნენ და შეებნენ მტერსა აბალსა „მოყმენი თამარისანი“, ისე შეებნენ, შეუტიეს და გააქციეს, რომ თურქთაგან ერთმანეთს „უსწრობდა ბერი ყრმასა და ყრმა ბერსა, პატრონი ყმასა და ყმა პატრონსა“.

ისევ „დიდი ძლევით“ შემკული საომარი დროშებით წარდგა ქართული მხედრობა „წინაშე მეფისა და დედოფლისა ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და სამხრეთისა“.

1187 წლის მიწურულს კიდევ ერთი დიდი ბრძოლა გადაიხადეს ქართველებმა. ამჯერად ჰერეთის ერისთავმა ასათ გრიგოლისძემ მეფე-დედოფლისაგან განძის დალაშქვრა ითხოვა. თამარმა დასტური

ბრძანა. ისევ გიორგი რუსი წარუძღვა ლაშქარს; თან ახლდნენ მხარგრძელები და მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი. განძა აიღეს, დაარბიეს და მერე ბელაყნამდის აუყვნენ ლაშქრობით. შემდეგ რახსის ნაპირებს შეუდგნენ და მასისამდე მოარბიეს. ამ ლაშქრობებში დიდი რაინდული სიმამაცით თავი გამოიჩინეს ვარდან დადიანმა და თვითონ სარდალმა გიორგი რუსმა.

1187 წელი მიიწურა — დიდ ძლევამოსილებათა წელი.

ამ წელს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: გარდაიცვალა ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი. მის ნაცვლად თამარმა დანიშნა გამრეკელი თორელი.

მეორე საჭორწინო გვირგვინი

და იყო საქართველო „ამას ესევითარსა მშვიდობასა, გამარჯუებასა და ზეობასა“.

და უეცრად ასეთი „ზეობის ჟამს“, სავსებით მოულოდნელად, დამანგრეველი მეხის სიმძლავრით გავარდა „უცხო რამე და უმსგავსი საქმე, შეუმსგავსებელი და დაუჯერებელი კაცთა გონებისაგან“.

თამარის ქმარს ყოვლად შეუწყნარებელი ჩვეები აღმოაჩნდა.

განუზომლად სვამდა, უზომოდ მთვრალი მეფისათვის უკადრის სახედ ლაზღანდარობდა და ჯამბაზობდა, შფოთსა და აყალმაყალს სტეხდა, შიმუნვარ ქალებს ებღლარძუნებოდა და ელაციცებოდა.

ყველაზე უარესი მაინც მისი სოდომური სენი ყოფილა. ამის შეწყნარება კი მართლაც ყოვლად შეუწყნარებლად მიიჩნეოდა ზნემაღალი დედოფლის კარზე.

თამარი ორწელიწადნახევარს იბრძოდა ნაძალადევი მეუღლის გასაკურნავად და „გამოსასწორებლად“.

ეს იყო ბრძოლა იდუმალი და თავგანწირული.

ითმენდა თამარი, „ვითარცა გურდემლი“.

ყველაფერი ამაო გამოდგა.

ორწლინახევრის შემდგომ გიორგის უმძიმესი მანკიერების ამბავი მეფე-დედოფლის მტკიცედ დაგმანული სანთიობოს კარებიდან გამოიჭრა და ყველასათვის საცნაური შეიქნა.

სასახლის კარს თავზარი დაეცა. ატყდა ყრუ დრტვინვა, მითქმა-მოთქმა და მიეთ-მოეთი. სირცხვილით ალანძულნი დააბოტებდნენ სადარბაზოში თამარის უიღბლო ქორწინების მოთავენი.

ახლა აშკარად, პირდაპირ მიუჩინა თამარმა გიორგის მკურნალნი და მწვრთნელნი. გიორგი კი არავის იკარებდა, არავის უსმენდა, მოძა-

ლებულ „მწურთნელებს“ ლანძღავდა, სცემდა და „ასოთა აღმოგდებით“ სტანჯავდა.

ბოლოს, ბიბლიური იერემიას სიტყვებით ამცნეს თამარს უკურნებლობა გიორგისა:

„ვკურნებდით ბაბილონსა და არა განიკურნა“.

თამარსაც უკვე აღარ შეეძლო მეტის მოთმენა.

დარბაზის ერი შეჰყარა, ტახტზე დაბრძანდა და მის წინ მდგარ გიორგის საჯაროდ განუცხადა:

„თუმცა საღმრთო სჯული გვასწავლის, არა განვეშოროთ პირველსა საწოლსა, მაგრამ რაკი მე არა მიძლავს განმართვა მრუდე ხის აჩრდილისა, უბრალოდ განვიყრი მტუერსაცა, რომელი აღმეკრა მე შენ მიერ“.

ეს ბრძანა, მაშინვე ფეხზე წამოდგა და სადარბაზოდან გავიდა.

ვაზირები, ერისმთავრები და ეპისკოპოსნი კარგა ხანს მდუმარედ შესცქეროდნენ გიორგის, რომელსაც თითქოს სავსებით გასცლოდა ნიშატი სიცოცხლისა.

ბოლოს, რუსუდან დედოფლის წარდგინებით, დარბაზის ერმა დაადგინა გიორგის განპატიჟება საქართველოდან.

საქართველოს მეფეთა-მეფე ქალი იყო და, ვითარცა ქალმა, „ცრემლ-მდინარებასა შინა“ გამოიტირა თავისი უიღბლო ჯვარისწერა.

მისმა მცირე ამალამ მიაცილა გიორგი შავი ზღვის ნაპირამდე. ჩასვეს ხომალდში, რომელიც თამარის ბრძანებით ადრევე აევსოთ „აურაცხელითა ლარითა, სიმდიდრითა და საჭურჭლითა“.

მიცურავდა გიორგი რუსი კონსტანტინოპოლისაკენ, უკან დარჩენილიყო ორივე ქვეყანა — მისი რუსეთიც და „მისი საქართველოც“.

წავიდა „უბედური გიორგი“ და დარჩა „უბედური თამარი“.

დარჩა ვითარცა ათენა, სიბრძნისა და მეომრული რომანტიკის მეუფე ღმერთ-ქალი, მარად ქალწული პართენოს...

ისევ დაიძრნენ „უზენაესი სასიძონი“ საქართველოს სატახტოსაკენ. მოდიოდნენ ქრისტიან და მუსლიმან სამეფო ინსიგნიათა მფლობელნი, მემკვიდრენი, თუ ხელმწიფური მემკვიდრეობის მაძიებელნი.

მოდიოდნენ „მეტრფენი მეფეთა მეფე თამარისა“, შორეულ-უცხოელნი და შინაურ-კავკასიელნი.

მოდიოდნენ „აღმოსავლით დასავლეთამდი“.

მოდიოდნენ თამარის „სახებრწყინვალებით გახელებულნი“, დიდძალი ძღვენით, ხანგრძლივი დროით, მშობლიური ქვეყნისა და სჯულის „შეწირვით“, ოღონდ კი ეპოვნათ ხელი თამარ „შვიდმნათბიერისა“.

უკვე ძალიან ფრთხილობდნენ საქართველოს მესვეურნი. აკი მათი მიზეზით, ნასწრაფევი დაუკვირვებლობით და სიჯიუტით ესოდენ დაისაჯა მეფე-ქალი.

უარი უთხრეს ბიზანტიელ უფლისწულს.

უარი უთხრეს ასურასტანის, მესოპოტამიის, ერაყისა და სირიის (შამის) ტახტის მემკვიდრეებს.

უარი უთხრეს იკონიის (რუმის) სულტანის, ყიზილ-არსლანის ძეს, რომელიც მამამ ციტადელში ჩაკეტა, ისლამიტური სჯული რომ არ დაეგდო და ველად არ გაჭრილიყო თამარის სიმშვენიერით „ხელქმნილი“ მემკვიდრე.

მერე, 1188 წლის შემოდგომაზე, კარნუ-ქალაქიდან (არზრუმი) მოვიდა „სალდუხის ძის ძე, მ უ ტ ა ფ რ ა დ ი ნ“. ყველაფრის შეწირვისთვის მზად იყო მუტაფრადინი, ოღონდ კი თამარის ქმრობას ღირსებოდა. იგი მოვიდა „დიდითა ლაშქრითა, მრავლითა დიდებულითა, ხოჯაებითა და საჭურისითა, მონებითა და მხევლითა, ბარგითა და სიმდიდრითა, სახელმწიფოთა ძღუნითა კმასაყოფინელითა, თუალისა და მარგალიტისა, საჭურჭლეთა და ლართა თანა ავაზებისა და ტაიჭებისა სიმრავლითა“.

ქართველებიც „წესისაებრ სახლისა სახელმწიფოსა მიეგებნეს“. არც ის გაუხსენებია ვისმეს მუტაფრადინისთვის, რომ მისი პაპა სალდუხ-ამირა ანისზე შემოსევისას თამარის პაპამ, დემეტრე მეფემ სასტიკად გაანადგურა, კიდევაც დაატყვევა და მერე ტყვეობიდან განუტევა დიდსულოვნებით.

აუდიენციაც „წესისაებრ“ ჩატარდა თამარის სადარბაზოში. სტუმარი აღმოსავლური წესით ეთაყვანა საოცნებო მეფე-ქალს. ეს იყო და ეს. ამის შემდგომ მხოლოდ „რამინისებრი ცრემლთა ნაკადთ-მრავლობა“ შერჩა მუტაფრადინს. თამარს აღარ უნებებია მასთან შეხვედრა, ხოლო ქართული სასახლის კარი დიდის პატივით ართობდა სტუმარს, რომელსაც თითქოს აღარც კი სურდა საქართველოდან წასვლა. გაუთავებელ ღრეობა-ნადიმობასა, ზმა-სმასა და ნადირობაში გავიდა შემოდგომა და ზამთარი. თამარმა ზამთარი ქვემო ქართლში გაატარა. ღანუყობის (გაზაფხულის) დამდეგს თამარი ტფილისს დაბრუნდა და მუტაფრადინსაც იმედი მიეცა, იქნებ ახლა მაინც ვიხილო „ამაყი და ლაღი“ დედოფალიო. მაგრამ ქართველმა დიდებულებმა, „შესატყისობად თამარისა“, სასიძოს სულიც არ მოათქმევინეს, ისე გააქანეს ტფილისიდან. ამჯერად ქვემო კახეთისა და რანის სანადირო მინდვრებსა და ტყე-მაღნარებს შეუყენეს, აქაური დიდკაცობის შეხვედრებითა და თანხლებით.

როცა ტფილისს მობრუნდნენ, დედოფლის ხილვის უსაზმნო ლოდინითა და უთავეამო ნადიმობა-ნადირობით დაქანცულ მუტაფრადინს უარი ათქმევინეს „მიუწვდომელი“ თამარის ხელის ძიებაზე. სამაგიეროდ აღუთქვეს, რომ ცოლად მაინც თამარის მამის ასულს შერთავდნენ (?!).

თურმე გიორგი მესამეს ხარჭისგან ნაშობი ასული ჰყოლია ერთი, და სწორედ ის შესთავაზეს ცოლად მუტაფრადინს. რაც უნდა ყოფილიყო, მაინც თამარის სისხლისად ითქმოდა ეს ქალი და რაკი „სხვა

მხრივ“ საშველი აღარ იყო, მუტაფრადინმა ესეც დიდ პატივად ჩათვალა და „თამარის სიძობას“ დათანხმდა. ქორწილიც ტფილისში გადაიხადეს. მერე დიდძალი მზითევით, ძღვენითა და საბოძვარით დატვირთული სიძე-დედოფალი გაისტუმრეს.

ბოლოს, კიდევ ერთი „მაღალი სასიძო“ მოვიდა ტფილისს. ეს იყო შირვანშაჰი აღსართან, „მიხდილ ცნობათა სიყვარულისაგან“ თამარისა. გარეგნულად, ვითომც სტუმრად და „რეცა დარბაზობის სახედ“ მოსულიყო შირვანშაჰი საქართველოში. მაგრამ ნამდვილი ამბავი ძალიან მალე გამჟღავნდა: თურმე ისიც სჯულის დაგდებას აპირებდა, ოღონდ კი თამარის ქმრობას ღირსებოდა. პირადად თამარისთვის ვერ გაებედნა და დიდი საგანძურის გალებითა და ხვეწნა-ქენებით მასთან დაახლოებულ დიდკაცობას სთხოვდა შუამდგომლობას. განსაკუთრებით ქრთამის მოყვარე მიქაელ კათალიკოსზე მიუტანია იერიში აღსართანს. თამარმა კი ყველა შუამავალი გაკიცხა, შეარცხვინა და ბოლოს მკაცრად ბრძანა: კვლავ აღარავინ გამიბედოს თქმა რაიმესი ამ საქმეზეო.

ასე რომ, — შირვანშაჰიც გაბრუნდა შირვანს დიდად მჭმუნვარე, თუმცა უხვი ძღვენით და მისართმეველით ჯორკიდებული.

მოდიოდნენ და მიდიოდნენ სასიძოები.

ერთი წელი კი გავიდა გიორგი რუსის განტევებიდან. საქართველოს სამეფო ტახტს უმემკვიდრეობა ემუქრებოდა. ამიტომ „მოეცვა შვიდივე ესე სამეფო შეჯირვებასა“.

მაგრამ გამოჩნდა ღირსეული საქმრო თამარ „სუე-სვიანისა ხელმწიფისასა“.

ეს იყო დავით სოსლანი, ოვსთა მეფის, ჯადრონის ძე.

წარმოშობით დავით სოსლანი ბაგრატიონთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. გავიხსენოთ: მეფე გიორგი პირველს, დედოფალი მარიამის გარდა, „მეორე ცოლიც“ ჰყავდა, სახელად ალდე, ოვსთა მეფის ასული, რომლისგანაც დაიბადა დემეტრე. ალდე და დემეტრე, გიორგის სიკვდილის შემდგომ, აფხაზეთში აფარებდნენ თავს, ქალაქ ანაკოფიაში. დემეტრე ერთ ხანს, ბიზანტიის კეისრისა და ლიპარიტ ბაღვაშის დახმარებით, ამაოდ ცდილობდა საქართველოს ტახტის დაუფლებას. მას სიკვდილის შემდგომ მცირეწლოვანი ძე დარჩა, სახელად დავითი. ჯერ კიდევ ცოცხალმა ალდემ თავისი შვილიშვილი აფხაზეთიდან ოვსეთს გადაიყვანა, თავის-სახლობაზე. დავით დემეტრეს ძე ოვსთა მეფის კარზე გაიზარდა, მეფის ერთადერთი ასულიც ცოლად შეირთო და სიმამრის სიკვდილის შემდგომ ოვსეთის სამეფო ტახტიც ჩაიბარა. დავითის შემდგომ ოვსეთს (რასაკვირველია, საქართველოს მეფის ხელქვეით) განაგებდა მისი ძე, სახელად აგრეთვე დავითი. სწორედ ამ დავით დავითის ძეს ცოლად ჰყავდა დავით აღმაშენებლის უმცროსი ასული, თამარ მრწემი. ამ ქორწინებამ კი, წარმოშვა ათონი,

ხოლო ათონის შემდგომ ოვსეთის ტახტზე დაჯდა ძე მისი ჯადრონ. სწორედ ამ ჯადრონის, გიორგი პირველის მეექვსე შთამომავლის ვაჟი იყო დავით სოსლანი.

ისედაც, დავით სოსლანი თამარის მამიდას, დედოფალ რუსუდანს ჰყავდა ნაშვილები, რუსუდანის სახლში იყო დავითი აღზრდილი, ისე ვითარცა თვითონ თამარიც დიდად იყო დავალებული მამიდის დედობრივი მზრუნველობისაგან.

მომხიბლავი ვაჟკაცი იყო დავით სოსლანი, „ყრმა ფრიად შუენიერი ასაკითა, ვითარცა შუენის მეფეთა შვილსა“, „ფერ-ნაკუთად კარგი, ბეჭ-ბრტყელი, პირად ტურფა და ტანად ზომიერი, ორთავე კერძოთა გუართაგან საბელმწიფო“.

ეს რაც შეეხება გარეგნობას და გვარიშვილობას. ხოლო, საომარ ხელოვნებაში იყო ნამდვილი „ჰაბუკი და ლომი მისათხრობელი... შემმართებელი, მოლაშქრე, მკვირცხლი“, სწურუპოვარი მშვილდოსან-მოისარი, „რაინდობითა უსწორო“ ცხენოსანი, დაუღალავი მცურავი და მოასპარეზე.

ბოლოს, „ზრდილობითა კეთილად წურთილი“, დიდად განსწავლული მწიგნობარი, მეცნიერი და მორალისტი ყოფილა ქართულ კულტურასა და ტრადიციებზე აღზრდილი უფლისწული.

სხვა მხრივაც ბუნებრივი უნდა ყოფილიყო თამარის საქმროდ დავით სოსლანის მინიშნება. ესაა ტრადიციული მოყვრობა ქართულ და ოსურ სამეფო საბლეულთა შორის. სომეხთა შემდგომ, არავისთან ისეთი ხშირი მოყვრულ-ნათესაური ურთიერთობა არ ჰქონიათ ქართველ მეფეებს, როგორც ოვსების სამეფო კართან (მანამდელი ისტორიით: ოვსთა მეფეს ცოლად მისცა ფარნავაზმა თავისი ერთადერთი დაი; გიორგი პირველს „მეორე ცოლად“ ჰყავდა ოვსთა მეფის ასული ალდე; ბაგრატ მეოთხეს ცოლად ჰყავდა ოვსთა მეფის ასული ბორენა; ოვსეთის მეფეს ცოლად ჰყავდა დავით აღმაშენებლის უმცროსი ასული; გიორგი მესამეს ცოლად ჰყავდა ოვსთა მეფის ასული ბურდუხანი).

მაშ, გადაწყვიტა სამეფო დარბაზმა დავით სოსლანი მეფეთა მეფე თამარის საქმროდ. ისევ დედოფალ რუსუდანს აცნობეს და შუამავლობაც მასვე სთხოვეს თამართან. რუსუდანმაც ფრიად გაიხარა და მაშინვე გაეშურა სასახლისაკენ.

მშვიდად მოისმინა თამარმა მამიდის რჩევა და შუამდგომლობა. ფიქრს ჩაუღრმავდა მეფეთა მეფე. იგი კარგად იცნობდა დავით სოსლანს. ამიტომ ყოყმანიც არ უნდა დასჭირვებოდა, ისე უნდა ეთქვა ან „ჰო“, ან „არა“. ბოლოს, ხანგრძლივი ფიქრის დასკვნა ასე ბრძანა თამარმა:

ღმერთი არის მოწამე, არასოდეს ჩემი გული ქმროსნობის მოწადინე არა ყოფილაო, არც პირვანდელი ქორწინება მსურდა, არც ახლანდელი მომსურვებიაო. მაგრამ რაკი ღმერთსა და მშობლებს ჩემთვის სამეფო

ტახტი მოუნდვიათ, მე იძულებული ვარ, სწორედ ტახტის საწაღმართოდ ამ თხოვნას დავთანხმდეო.

განსაკუთრებით „მეცნიერებისათვის“ მოიწონა თამარმა დავით...

ასე გადაწყდა და „წარვიდეს დიდებულნი იმერნი და ამერნი“, და მოიყვანეს დავით სოსლანი.

დიდუბის სასახლეში შეხვდნენ ერთმანეთს სადედოფლო და სასიძო.

ჯვარისწერაც დიდუბეში შედგა, ქორწილიც დიდუბეში — „ქორწილი შესატყვისი და შემსგავსებული ხელმწიფობისა და სახელზეობისა მათისა“; ქორწილი, რომლითაც „მშუებელნი იხარებდეს, გლახაკნი განდიდრდებოდეს; იყო ზმა მგოსანთა (იქნებ, მათ შორის ჭაბუკი შოთა რუსთაველიც?) და მუშაითთა, სახიობათა მჭურეტელნი იყო რაზმთა სიმრავლე და სრულ-ქმნა ამასა შინა“.

წელი იყო 1189.

თამარი — 23 წლისა.

იგი მეორედ თხოვდებოდა.

შემდგომად ქორწილისა, „შემოვიდეს ტფილისად, დასხდეს ტახტსა ბედნიერსა ორნი მნათობნი, ორნი მზენი, ორნი განმანათლებელნი. განიხარა დიდითგან მცირემდე ყოველმან ერმან“.

„სარგებლისა მოწადინეთა“

1189 წელი მიქაელ კათალიკოს-ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სიკვდილით დასრულდა, „და არავინ შეწუხნა მისთვის, არცა დიდი და არცა მცირე, რამეთუ ყოველნი სძულობდეს“.

მაშინვე თამარმა დავითგარეჯიდან გამოიწვია ანტონი გლონისთავისძე, „ნანდვილვე კაცი ღირსი ქებისა, ჰეშმარიტი ქრისტიანე, მართალი, წრფელი, უმანკო, სახიერი, მოწყალე ყოველთა, ტკბილი, მდაბალი, პატრონისა ერთგული უზომოდ“, ეკლესიათა და სავანეთა დაუცხრომელი მაშენებელი. ანტონი ადრევე, გიორგი მესამის დროსვე იყო საქართველოს კათალიკოსი და მწიგნობართუხუცესი, მაგრამ გიორგის სიკვდილისთანავე მიქაელ მირიანისძეს რაღაც ხრიკებით მოუხერხებია მისთვის ამ უმაღლეს თანამდებობათა წართმევა. ახლა თამარმა ხელახლა დასვა ანტონ გლონისთავისძე ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად.

ხოლო, კათალიკოსობა თევდორეს მიუგო თამარმა.

მაგრამ ამა ქვეყნიდან ერთი გესლიანი მიქაელის წასვლა არა ყოფილა საკმარისი „ამა ქვეყნის“ დასაწყნარებლად და დასაამებლად. ბევრი ყოფილან თამარის კარზე „სარგებლისა მოწადინენი“, რომელთაც თურ-

მე გულზე ლახვრად დასცემიათ საქართველოს სამეფო ტახტთან დავით სოსლანის გამოჩენა.

ერთი წელი ძლივს შეინახა თავი ფარულმა შურმა, პატივმოყვარეობამ და გულღვარძლიანობამ, და სავსებით მოულოდნელად მოიხსნა თავი ბოროტების გუდამ.

1191 წლის დამდეგს თამარ მეფემ კარნუ-ქალაქს (არზრუმს) „წარავლინა საქმისა რასათვისმე“ მოადგილე მეჭურჭლეთუხუცესისა. ეს კაცი (რომლის სახელიც ისტორიამ არ შემოინახა) ყოფილა „სჯულითა ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი“.

არავინ იცის, შემთხვევით თუ წინასწარ გარიგებით, მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი კარნუ-ქალაქში შეხვედრია გიორგი რუსს, რომელიც აქ კონსტანტინოპოლიდან ჩამოსულა საქართველოს ტახტ-გვირგვინისა და დედოფლის კვლავ დაბრუნებისა და დაუფლების განზრახვით. გიორგიმ ყოველივე სრულად გაანდო ტფილისიდან ჩამოსულ მოხელეს და თან ქართველ ერისმთავრებთან შუამდგომლობაც დაავალა დახმარებისა და მხარში დგომის თხოვნით.

ერთის შეხედვით ამ უცნაურ და პერსპექტიულად უნიათო განაცხადს უეცარი აფეთქება მოჰყვა. ერთბაშად აიწყვიტა ლაგამი ფეოდალურმა შინამავნეობამ.

გიორგი რუსს პირველი მიემხრო გუზან, ტაო-კლარჯეთისა და შავშეთის პატრონი. მას მიჰყვა სამცხის ერისთავი და სპასალარი ბოცო ჯაყელი, მათვე მიერთო მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი მთელი დასავლურ-ქართული სამფლობელოებით, „ლიხთ-იქით ნიკოფსიამდის“. ასევე დადიანმა დასავლეთ საქართველოს ყველა საერისთაოთა მფლობელნი დააფიცა გიორგი რუსისადმი ერთგულებასა და თანადგომაზე.

ამგვარად, მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო გიორგი რუსის საომარ ბანაკში აღმოჩნდა.

საომარი ძალები გეგუთში შეჰყარა დადიანმა. აქედანვე ტაოსაკენ აფრინა ლაშქარი გუზანთან შესაერთებლად. და გამოუძღვნენ გიორგი და გუზანი იმერთა, ტაოელთა, კლარჯთა და შავშელთა მხედრობას და მოვიდნენ სამცხეს. აქ მათ შეუერთდა ბოცო ჯაყელი. სამცხიდან ყველა ერთად, „მგლური მარშით“, წამოემართნენ და მოვიდნენ გეგუთს, სადაც მათ ვარდან დადიანი ელოდებოდათ იმერთა მთავარი ძალებით.

რაოდენ მოულოდნელი, საოცარი და საკვირველი შეიქნა თამარისათვის მისგან დიდსულოვნებით განტევებული ნაქმრევის გამოხდომა და, განსაკუთრებით, სამტრო ბანაკში საქართველოს ჩადგომა!

მაგრამ მალე გამოერკვა ადამიანთა უმადურობითა და მზაკვრობით გულშეძრული მეუფე-ქალი. სასწრაფოდ უხმო „ყოველთა ერისთავთა ერთგულთა“. ფრთამალედ მოიჭრნენ ამირსპასალარი გამრეკელი თო-

რელი, ჰერეთის ერისთავი ასათ გრიგოლისძე, კახეთის ერისთავი ბაკურ-ყმა ძაგანისძე, ქართლის ერისთავი რატი სურამელი და ქვემო ქართლიდან ოთხი მხარგრძელი — ზაქარია და ივანე სარგისის ძენი და ზაქარია და სარგისი ვარამის ძენი (მხარგრძელებმა იცოდნენ, რომ „პოლიტიკური ამინდი“ ისევ თამარისთვის ნათობდა). სამცხიდანაც მოვიდნენ მოლაშქრენი, რომელნიც მათ ხელისუფალს, ბოცო ჯაყელს, არ გაჰყოლიან თამარის სამტრო ბანაკში. ყველამ ერთად ერთგულება და თავდადება შეჰფიცა თამარს მოღალატეთა დასათრგუნავად.

თამარმა დასაწყისში მაინც სცადა ძმათაშორისი სისხლისღვრის თავიდან აცილება. ჯერ კათალიკოსი თევდორე და ანტონ ჭუთათელი („ერთადერთი ერთგული ლიხთ-იმერით“) მიუგზავნა „გეგუთის ბანაკს“. მერე კიდევ ზედიზედ სხვა ეპისკოპოსები, ეჯიბნი და მესტუმრენი, მაგრამ ვერაფერს გახდა თამარი. უსისხლოდ საქმის გათავება არ მოხერხდა.

ეს „დიპლომატიური წიაღსვლები“ არ დამთავრებულიყო, რომ „გეგუთის ბანაკი“ საომრად აღემართა. მისი ერთი ნაწილი, რომელსაც თვითონ გიორგი რუსი, „მეფე-საგონებელი“ მოჰყვებოდა, ლიხზე გადმოიჭრა, გორამდის და ნაჭარმაგევამდის ქართლის დასახლებანი სრულიად გააოხრა და გაატიალა. მეორე ნაწილი, დადიანისა და ბედიანის წინამძღოლობით, სამხრეთით წარემართა; გაიარეს რკინისჯვარი, ციხისჯვარი და გადასწვეს ქალაქი ოძრხე.

ოძრხეში ისევ შეიყარნენ საომარ ბჭობად დადიანი, ბედიანი, ბოცო ჯაყელი და გუზან ტაოელი. დაადგინეს — ზედიზედ აეღოთ ჯავახეთი, თმოგვი, ახალქალაქი, თრიალეთი და სომხითი. აქ, სომხითში, დიდი იმედები ელოდათ: თამარს გადასდგომიან გაგის პატრონი ი ვ ა ნ ე ვ ა რ დ ა ნ ი ს ძ ე და კაეწონის პატრონი მ ა ყ ა.

მეტის დათმენა სწორედ შეუძლებელი იყო.

თამარმა უბრძანა ამირსპასალარ გამრეკელ თორელს და იმანაც დასძრა ლაშქარი. ჯავახეთისკენ გაეშურნენ გულდაგულ. თამარის ლოცვა მიჰყვებოდათ, „ხელი საუფლო და სიტყვა ოქრო-ნექტარი“. ჯავახეთს ერთგული მესხები შემოეგებნენ და შეუერთდნენ.

მტკვარს მიადგნენ მარცხენა მხრიდან, ხიდს მიაშურეს და ხიდის მეორე მხარეს მოწინააღმდეგის ბანაკიც გამოჩნდა. ისინიც აიშალნენ და წამოემართნენ.

ზედ ხიდზე დაეძგერნენ ერთმანეთს. ხიდი გაიჭედა და გაიზნიქა. საჭურველ-კვეთებისა და ხელდახელ-შეხვეთქებისგან მეომრები მდინარეში ცვივოდნენ და ტალღებისგან მუხლმოკვეთილნი კვლავ განაგრძობდნენ რკენას.

დაღამდა.

მტკვრის ყინულა წყალს წელს ქვემოთ დაედუნებინა სხეული მეომართა.

ბრძოლა შეწყდა.

ისევ ხიდის ორივე მხარეს ჩაიკრიფნენ მოპირდაპირენი.

მთელი ღამე ბჭობდნენ სარდლები ორივე მხრისა ორივე მხარეს.

გული შედრკომიათ მეამბოხეებს, თამარის მოყმეთა თავზეხელაღებული შემოტევით დამფრთხალთ ეს უთქვამთ: აღარ ძალგვიძს წინააღეუდგეთ „მხეცქმნილობასა“ თამარის ლაშქრისასა, ამიტომ „მივრიდოთ სიმაგრისაკენ“ და იქიდან ვეცადოთო „ღალატსა და ძლევასა“.

დილით გამრეკელმა თორელმა მგლური სრბოლით გადაიყვანა ლაშქარი ხიდზე. მეამბოხეებიც სასწრაფოდ აიყარნენ და სირბილით მიაშურეს „მთასა ტორნაძიად სახელდებულსა, ღონედ სიმაგრისა საძებნელად“. მაგრამ ვერც იქ შეიმაგრეს კვალდაკვალ მომდინარე ლაშქარი თამარისა და ახლა მდინარე ხინგრისაკენ გაუტიეს ფრთამალე სრბოლით.

აქ, თმოგვსა და ერუშეთს შორის, მდინარე ხინგრის ხეობაში, ნიალის ველზე, ისევ შეიბნენ მოპირდაპირე ბანაკებად განლტოლვილი თანამოძმენი. თავგამეტებით სცემდნენ ერთმანეთს ძმანი-მოყმენი „იმერთანი და ამერთანი“. მათი ომი „ქმა იყო ძუელთაცა გოლიათთა ჭაბუკთა ომად, რომელთა ზედა მოვიდოდეს ქუეითთა და სიმწუავენი და მოკუეთილებანი ისრისანი, მფეთებანი ხრმალთანი და მხეთქებლობანი ჰოროლთანი“.

ბრძოლა დასრულდა თამარის დროშის გამარჯვებით.

საქართველოს ტახტის მაძიებლის ბანაკში ბევრი ქართველი გაწყვეტილიყო.

გუზან ტაოელის, ბოცო ჯაყელისა და ვარდან დადიანის კისრებზე იწვა ქართველთა ხელით დაქცეული ქართველთა სისხლი.

თამარის სარდალთაგან მხოლოდ ივანე მხარგრძელი დაჭრილიყო მსუბუქად.

გამარჯვებულნი აღარ გამოედევნენ დამარცხებულთ: თამარს არ უსიამოვნებოდა ძმათა შორის უსაზმნოდ თხევა სისხლისა.

გამარჯვების ამბავი სარგის ვარამის ძე მხარგრძელმა უმახარობლა თამარს, მაშინვე ბჭობად დასვა თამარმა მასთან იმჟამად მყოფი მანდატურთუხუცესი ჭიაბერი, ჰერი და კახი დიდებულები. ახლა საჭირო იყო ქართლში მოთარეშე მეამბოხეთა მეორე ნაწილის განადგურება, ამჯერად თამარმა ლაშქარს უსარდლა დავით სოსლანი.

მტკვარზე და ნიალის ველზე მომხდარ ბრძოლათა ამბავი უკვე შეეტყოთ ქართლში მოთარეშე მეამბოხეებს. ამიტომ ისინი დავით სოსლანთან შეხვედრას სულაც აღარ დაელოდნენ, ისე გაიქცნენ და გაიფანტნენ.

თამარი ნაჭარმაგევს იდგა. აქ ეახლა მას დავით სოსლანი და აჯანყების სრული აღკვეთის ამბავი მოახსენა.

მალე თვითონ მეამბოხენი გამოჩნდნენ. ყელზე თოკშებმული მოდიოდნენ, თამარს ფეხებში უცვივდებოდნენ და შეწყალებას ევედრებოდნენ.

უფრო მძიმე დამნაშავენი, განსაკუთრებით ლიხთ-იმიერი დიდებულები, პირადად წარდგომას ვერ ბედავდნენ და თამართან შესარიგებლად შუამდგომლობას დედოფალ რუსუდანს, კათალიკოს თევდორეს, მანდატურთუხუცეს ჭიაბერს, ან ყველაზე გავლენიან ეპისკოპოსებს ევედრებოდნენ. და არც ამჯერად გაცუდებულა იმედი თამარის დიდსულოვნებისა და მიმტევებლობისა. მან პირობა ბრძანა: არავის სიცოცხლეს, მათ შორის „მთავარი გმირის“ გიორგი რუსის სიცოცხლეს, არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. მაშინ კი გაბედეს მოღალატეებმა თამარის წინაშე გამოცხადება. გიორგი რუსიც წინ გაიძღოლეს და ისე ეახლნენ ნაჭარმაგევს მეფეთა მეფეს.

თამარმა პირობისამებრ ყველას სიცოცხლე აჩუქა.

თავისი „უბედური ქმარყოფილი“ ისევ გაუშვა კონსტანტინოპოლს, „მისსა სუე-უბედურსა გზასა“.

თამარმა არც ერთი მეამბოხე სიკვდილით არ დასაჯა; მხოლოდ ეს იყო, რომ ზოგიერთ ორგულ, გაუსწორებელ დიდებულს უმაღლესი „სახელონი“ დააგდებინა. ვარდან დადიანს მსახურთუხუცესობა ჩამოართვა და ერთგულ ივანე სარგისის ძე მხარგრძელს გადასცა. ამასვე საპატრონოდ მისცა „კაენი და კაეწონი გელაქუნით და სხვათა მრავლითა სახარაჯოთა ქალაქითა და ციხითა“. ზაქარია ვარამის ძე მხარგრძელს თამარმა სამმართველოდ მისცა ქვეყანა გაგიდან განძამდე. მის ძმას სარგის ვარამის ძეს თმოგვი უბოძა. ჭიაბერმა მიიღო „ჟინვანი, ქალაქი და ციხე, მრავლითა მთიულეთითა“. ამათ გარდა, „შეიწყალეს და დალოცეს სხუანიცა დიდებულნი მრავალნი“.

იმ წელს (1191) მიწურულს გარდაიცვალა გამრეკელი თორელი და მის ნაცვლად თამარმა ამირსპასალარად დანიშნა ზაქარია სარგისის ძე მხარგრძელი, რომელიც მანამდე ლორეს განაგებდა. ახლა, ლორესთან ერთად, რუსთავიც მიიღო საპატრონოდ ახლადაღზევებულმა ზაქარიამ.

„ერთადერთი დასჯილი“

თითქოს ყოველივე მიწყნარდა, მაგრამ სამხრეთიდან ისევ მოიჭრა ღალატის ხმა. არ იქნა და არ დაისვენა გულგესლიანმა გუზან ტაოელმა: ტაოსკარი, ვაშლოვანი და „სხუა ციხენი მრავალნი“ საქართველოს მოსისხლე შაჰ-არმენს გადასცა, ხოლო თვითონ, მისებრ მოღალატე აზნაურებით, კოლას მთებში გაიქცა და იქიდან „ავაზაკობდა მალვით“.

ნასწრაფევად ფეხამოკვეთილ მოღალატეს ცოლ-შვილი ტაოში დარჩენოდა. შაჰ-არმენს ლაშქარი გამოართვა, თავის ვაჟს ჩააბარა და ტაოსკენ გამოუშვა. გუზანის ძეს ტაოს ციხეებში თურქთა ციხიონები უნდა ჩაეყენებინა და ოჯახიც როგორმე საქართველოს საზღვრებიდან გაეტაცნა.

თამარის ბრძანებისთვისაც არ დაუცდიათ, ისე აღეკაზმნენ ფანასკერტის პატრონი ზაქარია ასპანის ძე, კახა სამძივარი და სხვანი პატრიოტი კალმახელი აზნაურები.

ბრძოლა იყო უთანასწორო. დიდძალი თურქობა ახლდა გუზანის ძეს. „დიდად დაჭირვებული ომი“ გადაიხადა მცირერიცხოვანმა ქართულმა მხედრობამ. ბოლოს მაინც გასტეხეს მტერი ქართველებმა. მრავალი თურქი გაწყდა, მრავალი ტყვედ ჩავარდა. გამარჯვებულებმა ხელთ იგდეს თვითონ გუზანის ცოლ-შვილი. მერე გუზანისგან გაყიდულ ციხეებს შემოუბრუნდნენ და ყველგან თამარის ერთგული ციხიონები აღადგინეს.

თამარის წინაშე წარდგნენ გამარჯვებულნი.

თამარმაც „მიჰფინა ნათელი წყალობისა“ ერთგულ მოყმეებს.

ხოლო, კოლას სამხრეთით, ტაოსა და კარნიფორის განსადრეკელზე, მთიან საძოვრებზე მთიბავმა გლეხებმა თვალი დაადგეს სამხრეთისკენ გამალებით მიმლტოლვარე კაცს; საეჭვო კაცად მიიჩნიეს და შეიპყრეს.

გუზან ტაოელი აღმოჩნდა.

მაშინვე ხელფეხშეკრული ფანასკერტისკენ გააქანეს და ზაქარია ასპანის ძეს მიჰგვარეს მოღალატე დიდკაცი.

ფანასკერტელმაც უმალვე ცხენზე შემოიგდო ძვირფასი დავლა და საქართველოს სატახტოსკენ გაქუსლა.

კარგად იცოდა ზაქარიამ თამარის გულმოწყალებისა და დიდსულოვნების ამბავი; ვაი თუ, ახლაც აპატიოსო გაუსწორებელ მოღალატეს თამარმა ქვეყნის ღალატი, — ამიტომ პირდაპირ დავით სოსლანს მიჰგვარა ტყვე გუზანი.

დავითსაც კარგად სცოდნოდა, რომ თამარი კვლავაც დიდსულოვნური პატიებით შეეცდებოდა მარად გაუმართავი ძაღლის კუდისა და უკუღმართად მავალი კირჩხიბის „განმართვას“.

ამიტომ ისწრაფა დავით სოსლანმა: სანამ თამარი შეიტყობდა, მანამ ბრძანა თვალების დათხრა საქართველოს გაუსწორებელი მოღალატისა...

და გუზან ტაოელი, მარად ღალატსა და მზაკვრობასთან ერთად, ისტორიაში შევიდა ვითარცა ერთადერთი დასჯილი კაცთაგანი დიდი თამარის დროისა.

ერთადერთი და ისიც არა ნებითა თამარისა. — მარად „მოწყალისა და გაურისხებელისა“.

კარი მესამე

ზენაღლისა

„საუფლისწულო — საბედო ლაშქრობანი“

და ვიდოდა ჟამი „თამარ სუე-სვიანისა ხელმწიფისა“, კვლავაც „იმატებენ ზარნი, ლაშქრობენ მოყმენი, არს მარჯუება, სიხარული, შუება და ნადირობა მთათა და ბართა“; და იდგა წელი 1193 — წელიწადი ახალი, სანატრელი სიხარულისა: იქ, ტაბახმელას საზაფხულო სასახლეში, მოხდა დიდი ძეობა — თამარს შეეძინა ჯაჟი, ანუ საქართველოს შეეძინა უფლისწული — ტახტის მემკვიდრე.

აწ დედა-დედოფალმა თავის ნანატრ ძეს დაარქვა, გ ი ო რ გ ი, „სახელი ახოვნისა მამისა თვისისა“.

და, კიდევ, ძესა, რომელიც „დახატული ბუნებისაგან იშვა და წარმოიჩინა“ — ზედნადებ სახელად დაარქვეს ლ ა შ ა, რაიც აფსართა ენითა* ნიშნავდა „განმანათლებელს“, ანუ „ქუეყნისა მანათობელს“.

მაშ, მოვლენოდა საქართველოს გიორგი ლაშა, რომლის შუბლზეც უჩინოდ და უცნობელად ეწერა სამომავლო ავბედითობა მისი ქვეყნისა...

მაგრამ ბედისწერისა ადამიანებს რა გაეგებათ, ან — კიდევაც რომ გაეგებოდეს, რას გააწყობენ. ადამიანთა ცოდნა ხომ ოდენ წარსულსა და წუთ-სააწმყოს არა შორდება... ხოლო, აწმყო იგი მაშინ საქართველოში იდგა მხოლოდ სალხინოდ და საბედნიეროდ.

და აღინიშნებოდა დიდი ზარ-ზეიმით ლაშა-გიორგის დაბადება. თამარმა, დავითმა, აწ „მშობელთა ბედნიერთა“, დიდძალი წყალობანი გაიღეს, ეკლესიები შესაწირავებით აღავსეს, ქვრივ-ობოლნი, უქონელნი და უპოვარნი გაამდიდრეს, ტყვეები გაათავისუფლეს.

დიდძალი ძღვენი და მისართმეველი მოართვეს ახალშობილ ტახტის-შემკვიდრეს ქვეშევრდომთა „შვიდსავე სამეფოთა“.

---

* აფსართა, ანუ აფსუათა (l) და არა აფხაზთა, ანუ ქართველთა...

ასევე — „მცნობთა გარეთ ბერძენთა მეფეთა, სულტანთა, ათაბაგთა და ამირათა სპარსეთისათა წარმოავლინეს ნიჭნი და განძნი კმასაყოფელნი“.

ბარე ათი ლაშქრობაც მოაწყვეს ქართველებმა იმ წელს „სხივოსანი“ უფლისწულის „ბედისა და სუეს“ ასამაღლებლად.

ჯერ ბარდავს გაემართნენ, აიღეს, ნადავლი გამოიღეს და ტყვეც მრავლად წამოასხეს. მაგრამ მაშინვე ტყვეები, სულ 3000 („სამ-ბევრობა“) სული, გაათავისუფლეს „დღეგრძელობისათვის თამარისა და ძისა მისისა“.

ბარდავის დალაშქვრიდან ერთი თვეც არ გასულიკო, რომ ქართული მხედრობა დავით სოსლანის მთავარსარდლობით არზრუმისაკენ (კარნუ-ქალაქი) გაემართა. არზრუმელებს მოეშველნენ „სურმანელი, კარელი და სალდუხის ძე ნასრ-ადინ და ორნი ძენი მისნი ლაშქრისა სიმრავლითა, ქუეითისა და ცხენოსნისათა, უამრავითა“. ციხკრის ჟამს დაწყებული საშინელი ბრძოლა, „წყობა ჰუნეთა და ხეთქება აბჯართა“, გვიან დაღამებამდე გაგრძელდა — „ღამის ბინდმან ულხინა გაყრად“. არზრუმის მცხოვრებლები „კბილთა ღრჭენითა და წვერის ფხურვითა“ ხედავდნენ ქართველთა გამარჯვებას, ალაფის აღებასა და მუსულმანთა დაბორკილებას. ჰხედავდნენ და ბოღმიანი ცრემლით იტყოდნენ: როგორ ვიძლევით ქართველთაგან, როცა დიდმა მაჰმადმა ჩვენ აღგვითქვა ძლევის მახვილით!.. მეორე დღეს, „ვითარცა განთენდა“, ისევ ჰკრეს საომარ ბუკთა და დაფდაფთა. არზრუმის კარი გაიღო და ქალაქის ციხიონები გამოიჭრნენ, გარეთ მდგარ თავისიანთა ბანაკს შეუერთდნენ და ერთიანი ძალებით გაეწყვნენ საომრად. ქალაქის კედლებზე და სახლთა სახურავებზე მოისარნი და მოშურდულენი გადმომდგარიყვნენ ქართველთა „დასასეტყველად“.

დავითმა მტრის საომარი განლაგებანი თვალსაწიერში მოიქცია, თავის მხედრობას მხედრული ნავარდით ჩამოუქროლა და იერიში ბრძანა. ქართველები მიეჭრნენ და „მისლვასავე დასტეხეს სახედ მეხის-ტეხისა“. მუსლიმთა ლაშქარი დასაწყისშივე გატყდა და აირია. უწესრიგოდ უკუქცეულებმა ქალაქის კარები ბჭეთაგან ჩამოაგდეს და თავდასახსნელად შიგ შეცვივდნენ, პანიკით მოცულნი, ურთიერთ-მთელავნი და ურთიერთ-მმუსვრელნი. ძრწოლამოსილ მეომრებს ვეღარ აკავებდა ვერც ქალაქის შიდა-მცხოვრებთა ხვეწნა-მუდარა, ვეღარც ქალთა ცრემლი და კიცხევა, ვეღარც ხოჯა-მოლათა სჯულისმიერი მუქარა.

ისევ ძლევამოსილი დაბრუნდა ქართველთა მხედრობა.

თითონ ააბლა დავით სოსლანმა მეფეთა მეფეს ძლევის ამბავი, გამარჯვებულმა მხედართმთავარმა, ბედნიერმა მამამ და მეუღლემ.

კარნუ-ქალაქზე გამარჯვებას ისევ მოჰყვა ახალი ლაშქრობა. ამჯერად გელაქუნისკენ წარუძღვა ჯარებს დავით სოსლანი. ქართველებმა „ჩა-

იარეს ხაჩიანი, და ჩავიდეს ქუეყანად ყარყარისად და მიუწიეს ბელაყნამდის, და მოარბიეს ყოველი არეზი". არეზიდან განძას მოადგნენ. სასტიკი შეტაკების შემდგომ განძაც აიღეს ქართველებმა, შამქორი გამოიარეს და ტფილისს დაბრუნდნენ.

დაბრუნებისთანავე დავითმა ზაქარია და ივანე მხარგრძელებს უბრძანა ლაშქრობა სამხრეთით, რახისკენ (არაქს-არეზი). ლორედან გავიდნენ მხარგრძელნი. შუა გზაზე ამბერდის, ბიჯნისისა და გარნისის თურქთა ერთიანი მხედრობა შემოეფეთათ, საძარცვავად და სამეკობრეოდ წამოსულნი. შუა გზაზედ ეკვეთნენ ერთურთს მოპირდაპირენი. ქართველებმა ისევ სასტიკად დაამარცხეს მტერი. ისევ „ავსებულნი, სახელოვანნი მოვიდეს წინაშე დავით სუე-ამაღლებულისა და თამარ ღმრთივ-დამყარებულისა".

მალე ამის შემდგომ მსახურთუხუცესი ივანე მხარგრძელი კაენიდან ჩამოვიდა, დავითს წარუდგა და ახალი დიდი ლაშქრობა შესთავაზა. ამჯერად თამარის მეუღლემ ჯარები წარმართა „მოსარბეველად დიდისა გელაქუნისა, სპარსი-ბაზრისა და გორალაუქისა". კვლავ დიდი იყო ქართველთა გამარჯვება. ისევ ხელთ იგდეს დავლა და ხვასტაგი, სიმრავლით „შემსგავსებული ქვიშათა". ძლევამოსილების აღსანიშნავად, დავითის ბრძანებით ქართველებმა სპარსი-ბაზრის სასულტნო-საასპარეზო მოედანზე იზეიმეს და იასპარეზეს.

ბოლოს, იმავე 1193 წლის მიწურულს, ისევე გამოჩნდა გიორგი რუსი: კონსტანტინოპოლიდან წამოსულა, ჯერ საქართველოს სამხრეთული საზღვრების გასწვრივ უვლია, მერე სპარსეთის ათაბაგს მიჰკედლებია, ათაბაგისგან ჯარებიც მიუღია, ირანში მოსულა და იქიდან კამბეჩოვანში შემოუხრილა მაოხარი ლაშქრობით.

დროზე შეიტყო ხორნაბუჯის პატრონმა სადირ მახატლისძემ, თავის სამ ძესთან ერთად სახელდახელოდ მცირე ლაშქარი შეჰყარა და მგლურით გამოედევნა დიდძალი ნაძარცვითა და ნატყვენაით გაბრუნებულ მტერს. ხორნაბუჯელები მრავალრიცხოვან მუსლიმურ მხედრობას „მიეწივნეს და გააქცივნეს, ჩამოყარნეს და დახოცნეს".

თამარის ნაქმრევი სამუდამოდ გადაიხვეწა...

ახალი ძლევამოსილების ამბავი თამარს შეატყობინეს.

იჯდა დედოფალი, მის კალთაზე ლომს დაედო თავი (ეს ლომი შირვან-შაჰს გამოეგზავნა ძღვნად. თამარს ისე შესჩვეოდა, კალთაში უჯდებოდა და ხელებს ულოკავდა, ხოლო, როცა განარიდებდნენ, ცრემლებს ღვრიდა და ღმუოდა მწუხარედ ნადირი).

იჯდა თამარი, მდუმარედ ისმენდა ახალ ბრძოლათა გარდახდის ამბავს, ლომს უსრესდა ყურებს, არ უკვირდა თვინიერება ნადირისა, მაგრამ უკვირდა მარადიული მტრობა კაცთა, ადამიანთა...

1194 წელს, ლაშა-გიორგის დაბადებიდან ერთი წლის შემდგომ, თამარს და დავითს მეორე შვილი შეეძინათ, ასული, რ უ ს უ დ ა ნ, სიმშვენიერით „შემსგავსებული თვისი“ დედისა.

ხოლო, მომდევნო წლისთვის დიდი ხმალთაკვეთება ელოდა „სანანავარდო გამარჯვებებით“ გალაღებულ ქართულ მხედრობას.

საომარი საფრთხე ამჯერად სამხრეთ-აღმოსავლეთიდან წამოიმართა, ირანიდან, სადაც ამ სამი წლის წინათ (1191), თავზეხელაღებულ მკვლელებს, მულიდებს, ანუ ასასინებს მოუკლავთ სულტანი ყ ი ზ ი ლ ა რ ს ლ ა ნ ი. ხოლო, ყიზილ-არსლანის მემკვიდრეობა მის სამ ძმისწულს გაუნაწილებია: უფროსს, ხ უ ტ ლ უ-ი ნ ა ნ ჩ ი ს ერგო „ერაყი ხუარასანამდის და ბაბილოვნამდის“; მომდევნო ძმას ამირა ა ბ უ ბ ა ქ ა რ ს — „ადარბადაგანი სომხეთამდის“; ხოლო მესამე ძმას, ა მ ი რ მ ი რ ა ნ ს — „არანი გურგანის ზღვით გელაქუნის ზღუამდე“.

გაჩაღდა ბრძოლა ძმებს შორის ერაყ-ირანის სასულტნოში პირველობისთვის. დაწინაურდა აბუბაქარი, რომელმაც ჯერ უფროსი ძმა დაამარცხა და გააქცია, მერე მომდევნო ძმასაც გამოენთო. მაგრამ ამირ-მირანმა დაასწრო და შირვანს გაიქცა. აქ იგი შირვანშაჰს კიდევაც შეეფარა და კიდევაც დაუსიძევდა. აბუბაქარიც არ დაერიდა რომ შირვანშაჰ აღსართანი თამარ მეფის ნათესავი და ყმადნაფიცი იყო, და შირვანს შეიპრა დიდძალი მხედრობით. ბელაყანს მდგარი აღსართანი და ამირ-მირანი სასტიკად დამარცხდნენ და შამახიისკენ გაიქცნენ. მაგრამ ვერც დევნილებმა და ვერც მდევრებმა შამახიას ვეღარ მიასწრეს: საშინელმა მიწისძვრამ დააქცია შირნავის სატახტო ქალაქი. თვით აღსართანის ცოლი და შვილები სასახლის ნანგრევებში ჩაიღუპნენ.

თავზარდაცემულმა შირვანშაჰმა და ამირ-მირანმა საქართველოსკენ აფრინეს ეჯიბნი დახმარებისა და დახსნის სათხოვრად.

თამარმა შირვანის შვილა ბრძანა და მაშინვე „წარავლინა შიკრიკნი წუევად ლაშქრისა იმერით და ამერით“.

როგორც კი დახმარების სასიხარულო ამბავი შეიტყვეს, აღსართანი და მისი სიძე ამირ-მირანი თვითონ წამოემართნენ საქართველოსკენ თავისი ამალით, შირვანისა და რანის ლტოლვილი დიდებულებითა და სახლეულებით.

თამარი და დავითი მაშინ ბრძანდებოდნენ „ჭალასა აგართასა“. აქვე შეყრილიყო დიდძალი მხედრობა, „ვითარცა გროჲ შავარდენთა“ სრულიად საქართველოს ყოველი კუთხიდან.

ქართველთა საომარი ძალები საზეიმო აღლუმად შეხვდნენ შირვანიდან მოსულ სტუმრებს:

ჯერ შეეგებნენ ოვსნი და ყივჩაყნი;

შემდგომად — ჰერნი და კაბნი;

შემდგომად — ქართლელნი;

შემდგომად — მესხნი, თორელნი, შავშელნი, კლარჯნი, ტაოელნი;

შემდგომად — სომხითარნი;

შემდგომად — აფხაზნი, სვანნი, მეგრელნი, გურულნი, რაჭველნი, თაკვერელნი, მარგველნი.

ბოლოს „ხელისუფალნი და შინაურნი“ მიეგებნენ და სამეფო კარავში შეუძღვნენ სტუმრებს.

ხოლო, კარავში ისხდნენ „ტახტსა ზედა ოქრო-ჭედილსა თვით თამარ, დავით და ძე მათი გიორგი“. ყრმა უფლისწულს გვერდით უჯდა დედოფალი რუსუდან, მამიდა თამარისა, გამზრდელი დავით სოსლანისა.

პირველი მიეპყრა და ეთაყვანა საქართველოს სამეფო სახლეულს აღსართანი, „ვინათგან შინაური და თვისი იყო“ იგი. მას ამირ-მირანი და რანელ-შირვანელი დიდკაცობა მიჰყვნენ სათაყვანოდ.

ერთ კვირას გაგრძელდა დარბაზობა, პურობა, ნადიმობა და საომარი აღკაზმულობა.

აბუბაქარსაც არ გამოჰპარვია ქართველთა საომარი სამზადისი და მთელი ირანულ-მუსლიმანური სამყარო მოიხმო შემწედ და მოკავშირედ. ბაღდადის ხალიფამაც გამოგზავნა ლაშქარი, ოქრო-ვერცხლიც უხვად გაიღო, „რათა შეკრიბონ ყოვლით-კერძო ლაშქარი ურიცხვი“ და ყოველივესთან ერთად სახალიფოს დროშაც წამოუმძღვარა ისლამიტთა გასამხნევებლად და ქრისტიანთა ზარდასაცემად.

მართლაც, საქართველოს სამტროდ „შეკრბა ესეოდენი, ვიდრემდის არცა რიცხვი იცოდეს, ვერცა ერთსა თემსა დაეტეოდეს“.

თამარის გამეფებიდან ათი წლის მანძილზე ქართველობას ოცზე მეტი ლაშქრობა ჰქონდა გადახდილი და მოგებული. მაგრამ ყველაზე დიდი ბრძოლა, მუსლიმურ-კოალიციურ არმიებთან, სწორედ ახლა ელოდათ ქართველებს.

და უკვე დამდგარიყო სალაშქრო აღლუმზე ქართველთა მხედრობა.

გამოვიდა თამარი და წუნარად მიმართა მისი ხილვით და კრძალვით განაბულ ჯარებს:

„ძმანო ჩემნო, ვიცი კვლავაც არ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისა მტრისათვის და სიმცირისა თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩუენთანა არს. მაშ, შეისწრაფეთ ქუეყნად მათდა ძალითა ჯვარისათა, მკლავითა უმტკიცესითა და გულითა უმართლესითა!“

მერე, მოიღო დროშა გორგასლიან-დავითიანი და გადასცა დავითს, მეუღლეს, მეფეს, მხედართმთავარს.

მთავარსარდალს გვერდით დაუყენა ანტონ გლონისთავისძე, ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი.

დალოცა თამარმა ჯარი.

დალოცა დროშა.

დალოცა ხმალი.

და გაეშურა ლაშქარი საომარი სიმღერის გრიალით.

ხოლო თამარმა „წარიხადნა სამოსელნი ფერხთანი, და ფერხივ შიშულითა ფერხითა“ მეტეხის ტაძარს მივიდა, ლოცვად — ლაშქრისა, ხალხის და ქვეყნისათვის.

ქართველთა ლაშქარმა გარდაბანი გაიარა, მდინარე ეკლეცი გადალახა, რანს მიუახლოვდა და მზვერავებმა ამბავი შემოაგებეს დავით სოსლანს, — ჩვენის თვალით ვიხილეთო მტერნი, „ათასნი ათასთანი და ბევრნი ბევრთანი, უმრავლესნი რიცხვისანი, ვითარცა მკალნი და ვითარცა ქვიშა ზღვისა“, შამქორიდან ვიდრე განძის კარამდე გადაშლილანო ბანაკნი მტერთა.

დავითმაც სასწრაფოდ დასძრა ლაშქარი შამქორისაკენ.

15 ივნისი იდგა 1195 წლისა, ხუთშაბათი.

დღის მიწურულს ქართველებმა შამქორს მიატანეს და მტრის პირისპირ დაიბანაკეს.

მთელ ღამეს ესმოდათ ქართველებს მოლა-მუყრითა და მუეძინთა კივილი შამქორის მინარეთებიდან.

ის ღამეც განესრულა. პარასკევი თენდებოდა, 16 ივნისი.

დავით სოსლანს უკვე გაეწყო ჯარი საომრად.

თვითონაც მძიმედ აღჭურვილიყო მთავარსარდალი, მაღალ ზერდაგზე ამხედრებული.

მოკლე სიტყვით მიმართა ჯარებს. მოაგონა „სიმხნე და მარჯუებულობა პაპათა და მამათა“, გმირობანი ვახტანგ გორგასალისა, დავით აღმაშენებლისა და მათთა მოყმეთა.

მერე დავითმა ჯარი სამ ნაწილად გაჰყო: ორი მოიერიშე რაზმი (მარჯვენა და მარცხენა) და ერთიც თადარიგი, რომელიც ზაქარია და ივანე მხარგრძელებს ჩააბარა. მოიერიშე მარჯვენა რაზმს წაუმძღვარა ანტონ გლონისთავისძე, ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, „შესახედავთაცა ჰაბუკი“, რომელსაც ახლა ჯვარის ნაცვლად ხმალი ეპყრა ხელთ, და პირდაპირ შამქორის მთავარ კარიბჭისკენ წარგზავნა დავითმა საიერიშოდ.

თვითონ დავითი მთავარი რაზმით მარცხენა მხრისკენ დაიძრა, შამქორის ჩრდილოეთიდან და მტრის ზურგიდან შემოსავლელად.

მარჯვენა ფრთიდან მოიერიშე ქართველობას მდინარის გადასავალზე, ზედ ხიდზე შემოეგება აბუბაქარის ლაშქარი. და „შეიქმნა ომი და კუეთება“, ისე რომ ხიდისა და გზის სივიწროვისგან მხოლოდ მეწინავენი აწყდებოდნენ ერთმანეთს. როგორც იქნა, ქართველებმა მდინარე და ხიდი დიდი სისხლის ფასად უკან მოიტოვეს და ციხესიმაგრის კარიბჭეებს მიეტანენ. მაგრამ აქ აბუბაქარმა ურიცხვი მხედრობა შეახვედრა

თავაწყვეტილი კონტრიერიშით. ბრძოლა ერთ ხაზზე შენივთდა. მოპირდაპირენი გამხეცებული ასკდებოდნენ და აკვდებოდნენ ერთიმეორეს. მისჭირდათ ქართველებს. „მოუკლეს ცხენი ზაქარიას ვარამის ძესა, და დაუკოდნეს სხუათა მრავალთა დიდებულთა“. აგვიანდებოდა მარცხენა მხრიდან თვითონ სოსლანის შემოვლით მანევრს; აქ ქართველებს გზა შეხვდათ უვალი, ღირღოლოვანი, ფლატე-ქარაფოვანი და კაპან-ქვაღოჯიანი. მაშინ თადარიგი დასძრეს ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა. ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა. კვლავ წონასწორად ქანაობდა ბრძოლის სასწორი. აბუბაქარს შეუწყვეტლივ მოჰყავდა ახალ-ახალი რაზმები სიკვდილის ხაზზე. მხარგრძელებმა თითქოს იმარჯვეს, მაგრამ ვერ გაიმარჯვეს და ამაოდ „წახეთქნეს ნახევარნი ლაშქართა და რაზმთანი“. უკვე მთელის ძალებით იბრძოდა აბუბაქარი. საეჭვოდ აღარ დარჩენოდა, რომ სულ მალე ბრძოლა მისი ძლევამოსილებით გათავდებოდა. ქართველთათვის გულდამგესლავად ფრიალებდა შამქორის კედლებთან ხალიფასაგან „ღაზოდ წარმოგზავნილი“ დროშა სრულიად მუსლიმთა.

და უეცრად შამქორის ჩრდილო მხრიდან გრიგალივით მოიჭრა დავით სოსლანი და მისი მხედრობა.

წინ, ამაყი ფრენით მოუძღოდათ „დროშა იგი გორგასლიანი, რომელიც სინდეთს შესვლითგან მოსპეტაკობდა“ (შვიდასწლოვანი გამოძახილი ინდოეთს ვახტანგ გორგასალის ლეგენდარული ლაშქრობისა!).

ქართული დროშის, მხედართმთავრისა და მხედრობის უეცარმა გამოჩენამ თავზარი დასცა მუსლიმანებს — „რაჟამს იხილეს მეფე, დაეცათ რისხვა ღმრთისა უხილავი“.

მაშ, ქართველები ბრძოლას მაშინ იწყებდნენ, როცა აბუბაქარს იგი მისთვის ძლევამოსილი დასასრულის პირას ეგონა.

და მიეტევა დავითი, „მსგავსად აჭილევისა“.

მეფის მხედრობას მოწყდა მხედარი და ხალიფას დროშისკენ გაქანდა ხმალაღმართული. ეს შალვა ახალციხელი იყო. მედროშეთა გუნდს მიეჭრა, მათგან მეწინავე ალმედად (მხარიღლივ) გაჰკვეთა, დანარჩენები მიმოფანტა და უმალვე დაიხელთავა ხალიფას დროშა.

სავსებით გატყდნენ ალლაჰის მხედრები.

მთელის ძალებით მიესივნენ ქართველები, „ვითარ არწივნი და ვითარ ვეფხნი ეკუეთნეს“.

ორად „განსქდა“ მუსლიმანთა ლაშქარი და ორი მხრისკენ გაიქცა — განძისკენ და გელაქუნისკენ.

პირველი გაექცა ბრძოლის ველს თვით ამირათ-ამირა აბუბაქარი და „მიწევნულმან ხნარცვსა სადმე მცირესა მიწასა შინა დაფლა თავი თვისი“.

ხოლო ქართველები მისდევდნენ გაქცეულ მტრებს, სდიეს და „დაათვრნეს ისარნი სისხლითა და ხრმალნი ჭამდეს ხორცთა მტერთა მათთასა“.

განძამდე და გელაქუნამდე სდიეს და შემოიქცნენ გამარჯვებულნი. დავითთან შეიყარნენ, ნაომარ ველზე. არც ერთი მეომარი არ დაბრუნებულიყო ხელცარიელი. ვის დიდი რანგის მტრის მეთაური მოჰყავდა მხარგაკრული — ამირა, ათაბაგი თუ სხვა სარანგი, ვის კიდევ ერთი ან რამდენიმე მუსლიმი მეომარი.

თვალით გადაზომა მტრის გვამებით დარეცილი ბრძოლის ველი დავით სოსლანმა.

მოგებული იყო დიდი ომი.

პირველი მიეახლა ანტონ გლონისთავისძე ჰყონდიდელი, მიულოცა, ხოტბა შეასხა და გადაეხვია.

ეახლნენ მეფეს მისი „მადიდებელნი სპანი და სპასალარნი და სპასპეტნი“.

„პირითა მხიარულითა“ მიეჩრნენ შირვანშაჰ აღსართან და ამირ-მირან, „თაყუანისცეს, დალოცეს და ქება შეასხეს მეფესა და ბუმბერაზთა მისთა“.

შერცხვენილნი იდგნენ მხარგრძელნი, რამეთუ მაინცდამაინც ვერ ისახელეს თავი, რამეთუ თავის წილ შეტევისას ამაოდ „წახეთქნეს ნახევარნი ლაშქართა რაზმთანი“...

დაღამდა. იქვე დაიბანაკეს.

მთელ ღამეს შამქორის მინაერთებიდან, წინაღამინდელ მუყრ-მუეძინთა ყივილის ნაცვლად, ქრისტიანული საგალობლები ესმოდათ ქართველებს.

მომდევნო დღეს, 17 ივნისს, შაბათის სისხამზე, შამქორის კარიბჭენი ყურთამდე განიხვნა, ციხიონის მეთუარები გამოვიდნენ, დავითს მიეახლნენ და ქალაქის კლიტენი მიართვეს წელში მოღაულებმა.

იმ დღესვე ქართველ მთავარსარდალს ჩაბარდნენ შამქორის ახლო-მახლო სხვა სიმაგრენი.

დავითმა ამირ-მირანი „ითაყვანა“ და შამქორი მას უწყალობა საპატრონოდ. აღტაცებულმა ამირ-მირანმა სიკვდილამდე საქართველოს ყმადნაფიცად იფიცა თავი.

შამქორიდან განძას მიადგა დავით სოსლანი თავის მხედრობით. ხმალზე ხელის მოვლებაც არ დასჭირვებიათ, ისე „გამოეგებნეს დიდებულნი და დიდვაჭარნი, ყადნი და მულიმნი. დავრდომით მიწა-ჭნით თაყუანისმცემელთა შეასხეს ქება დავით მეფესა და ცრემლით მოქენეთა შეავედრნეს თავნი თვისნი და შვილნი; განახუნეს კარნი ქალაქისანი, და

მიუფენდეს სტავრასა ქართა-სრამდი სულტნისა, და გარდაასხმიდეს თავსა ოქროსა და ვეცხლსა, დრამასა და დრაჰკანსა“.

და დავით სოსლანი „შევიდა სრად, აღვიდა და დაჯდა ტახტსა სულტანისასა“.

ეს იყო უაღრესად საზეიმო წუთები: ქართველთა მეფე იჯდა საქართველოს მოსისხლე სულტანთა ტახტზე!

(მანამდე, 1525 წლით ადრე, ასეთივე საზეიმო წუთები თავის თანამებრძოლებს განაცდევინა ალექსანდრე მაკედონელმა, როცა იგი ბერძენ-მაკედონელთა მარადიულ მოსისხლე სპარსელ-აქემენიდთა ტახტზე დაჯდა პერსეპოლისში).

დაჯდა სულტანის ტახტზე დავით სოსლანი და თავისი თანამებრძოლი „ვაზირნი“ ქართული სახელმწიფო კარის გარიგებით დაისვა თავის სიახლოვეს.

გაიმართა „ზარი და ზეიმი“. მერე „შეიქნა პურობა და ნადიმობა შესატყვისი ჟამთა და მის დღისა“.

ბოლოს, დავითმა განძიდან გამგზავრების წინ, თამართან მახარობლად აფრინა მანდატურთუხუცესი ჭიაბერი.

მეფეთა მეფე ტაბახმელას იდგა, როცა ჭიაბერი მოიჭრა საჩიხარულო ამბით. დიდი წუხილის მსგავსად, დიდი სიხარულის მოსმენაც აუღელვებლად და „აღუზავებლად“ შეეძლო თამარს. შამქორთან გამარჯვების ამბავიც ასე მოისმინა — „აღუზავებელითა და წყნარითა ტკბილითა სულითა და ლმობიერითა გულითა“.

დავითიც გამოჩნდა ძლევამოსილი მხედრობით და აღლუმად დადგა დიდუბეს.

გაეგება თამარი. ცისკროვან სახით შეხვდა ერთგულ მოყმეებს. მადლიერებით და სიყვარულით სავსე მზერა მიუძღვნა ყველას თითოეულად, სწორპატიობით.

მის წინ გამოატარეს ბრძოლის ველიდან მოღებული ნაალაფევი, ურიცხვი ლარი, ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი, საომარი აღჭურვილობა, თორმეტი ათასი ტყვე მუსლიმანი, ორმოცი ავაზა, ოცი ათასი ცხენი, შვიდი ათასი ჯორი, თხუთმეტი ათასი აქლემი.

მოიღო შალვა ახალციხელმა ხალიფას დროშა და ფერხთა წინაშე დაუფინა თამარს. მას სხვა დროშებიც მოაყოლეს, წართმეული ათაბაგთა, ამირათა და სხვა სარანგთაგან.

თამარმა მაშინვე ხალიფას დროშა აიღო და ძვირფას მანიაკთან ერთად გაგზავნა ხახულს, იქაურ სახელგანთქმულ ლავრაში შესაწირავად.

შამქორული ძლევის აღსანიშნავი ტრიუმფი დასრულდა. თამარმა, „მადლ[illegible]ა და წყალობისა გარდამხედელმან გაჰყარნა ლაშქარნი“.

მაინც ცოცხლობდა და არა ცხრებოდა აბუბაქარი. როცა შამქორსა და განძას ქართველთა ცხენების თქარათქური მიწყდა, აბუბაქარი იმ „სამალავი ხნარცვიდან“ ამოძვრა და ნახჭევნისკენ გაქუსლა. აქ ხელახლა დაიწყო ჯარების შეყრა სამუსლიმო სამეფოთაგან. თან განძა-შამქორში ქართველთაგან დასმულ მეტოქე-ძმას, ამირ-მირანს, მკვლელები მიუჩინა აბუბაქარმა. იმათაც „მისცეს წამალი სასიკუდინე და დასნეულდა“ ამირ-მირანი.

ტფილისს მოვიდა ამირ-მირანის ავადმყოფობის ამბავი. დავით სოსლანი მცირე ამალით აღიკაზმა და განძისაკენ გაემართა, მაგრამ ვეღარ მიუსწრო: ამირ-მირანიც მომკვდარიყო, აბუბაქარიც მოსულიყო, ძმის მომხრეებიც დაემარცხებინა და განძელებიც ერთგულებაზე დაეფიცებინა.

განძიდან ფეხად გაასწრო აბუბაქარმა რისხვით ატანილ დავით სოსლანს. გასწრება მაინც გასწრება იყო და დავითსაც ისღა დარჩენოდა, ტფილისს მობრუნებულიყო. თამარი ძალზე შეაწუხა ამირ-მირანის სიკვდილმა და აბუბაქარის ‚კადნიერებამ. შავით შეიმოსა, ცრემლიც დაღვარა და სასწრაფოდ საომარი სამზადისიც ბრძანა.

მანამდე ივანე მხარგრძელი განძიდან წამოსულ აბუბაქარს გელაქუნთან დახვდა და დაამარცხა. იმავე 1196 წელს ივანემ გელაქუნთან ერთად ამბერდიც შემოუერთა საქართველოს; ხოლო ახალი საუკუნის დამდეგს, 1201, წელს, ივანე მხარგრძელმა ბიჯნისიც მოაქცია ქართულ სამანებში.

1202 წელს თამარ მეფემ აბუბაქარისა და მის მიმდევართა დასასჯელად შეყრილი მხედრობა („იმიერთა და ამიერთათა“) ორ ნაწილად გაყო. ერთს სათავეში დავითი ჩაუყენა და განძისაკენ გაგზავნა, მეორეს თვითონ უწინამძღვრა და ამხედრებულმა დვინისაკენ დაძრა ლაშქარი.

სწორედ დვინში გამაგრებულიყო ამირა აბუბაქარი.

თამარმა ქალაქს ალყა შემოარტყა. ლეგენდარული დედოფლის მოხვლამ შიში და სასოწარკვეთა დაასადგურა დვინის ციხეში. თვითონ აბუბაქარმა, სავსებით დაბნეულმა და დაფანტულმა, ლოთობას მისცა თავი. მაგრამ რაკი ქალაქმა კლიტეთა წარმოგზავნა მაინც დააგვიანა, თამარმა იერიში ბრძანა. ქართველებმა დვინის მაღალი კედლები გადალახეს და ქალაქში შეიჭრნენ. მუსლიმანთა ციხიონი ერთხანს უსაზმნოდ ექლიტებოდა მოიერიშე ქრისტიანთა მახვილს, ხოლო, როცა წინააღმდეგობა შეწყვიტეს, ქართველებმაც იარაღს ხელი შეუშვეს და ქალაქის მოსახლეობას, განურჩევლად ეროვნული და სარწმუნოებრივი წარმომავლობისა, შეწყალება და პატივი მიუგეს. ასეთი იყო ნება თამარ მეფეთა მეფისა, რომელიც, მის დიდ წინაპარ ხელმწიფეთა მსგავსად,

რელიგიურ, „საღვთო ომებს“ როდი აწარმოებდა „ურჯულო არაქრისტიანეთა“ წინააღმდეგ. იგი მხოლოდ ქართველთა და მათ მოძმე-მეზობელთა დაუძინებელ მოსისხლეებს ებრძოდა თავგამოდებით.

დვინის აღების შემდგომ თამარი საქართველოში დაბრუნდა და „დადგა აგარათა მორჭმითა და სუფევითა“.

ამასობაში დავით სოსლანმა განძა ხელახლა აიღო, აბუბაქარის მომხრენი ამოწყვიტა და ოცდახუთი დღის შემდგომ მდიდარი ალაფით დატვირთული დაბრუნდა ტფილისს.

იმ ზაფხულს მეფე-დედოფალი იმერეთს გადავიდა. ერთ ხანს ქუთათისს, გელათსა და გეგუთს ისვენებდნენ, მერე შავი ზღვის სანაპიროებისაკენ გაუყვნენ.

საქართველოს მეუფეთა „განსუენებით“ უსარგებლიათ სამხრეთელ მოსისხლეებს და „ქუეყანა არტაანისა, იაღანის ხევისა, პალაკაციო წაეღო თურქთა“.

ისევ შეჰყარა თამარმა ლაშქარი, ისევ უსარდლა დავით სოსლანი და აფრინა სამხრეთისაკენ. ქართველებმა თურქები ქართული მიწებიდანაც გადარეკეს და თურქული სამანებიც რბევითა და ტყვეებით გადალახეს.

1203 წელს დავით სოსლანმა ისევ დალაშქრა ადარბადაგანისა და სომხეთის მიწებზე შემოსახლებული თურქული ციხიონები. ორჯერ აიკლეს ქართველებმა ხლათის შაჰ-არმენთა სასულტნო და აიღეს ქალაქები: არჭეში, მანასკერტი და ატ-ტინი. აქედან მათ უშუალო საფრთხე შეუქმნეს კარნუ-ქალაქის საამიროს.

რაკი ცალ-ცალკე ვერაფერს გახდნენ, ხლათის სულტანმა და არზრუმის (კარნუ-ქალაქის) ამირამ თავიანთი საომარი ძალები შეაერთეს, იკონიის (რუმის) სულტანისგანაც დამხმარე მხედრობა მიიღეს და ჩრდილოეთისკენ გამოეშურნენ.

ქართველთა ლაშქარი, რომელსაც ზაქარია ვარამის ძე მხარგრძელი („უმცროსი ზაქარია“) სარდლობდა, დამარცხდა. თვითონ ზაქარია ბრძოლაში დაეცა.

ახლა ამირსპასალარი ზაქარია სარგისის ძე („უფროსი ზაქარია“) წარემართა რევანშისა და ბიძაშვილის სისხლის ასაღებად, მაგრამ თურქებმა ერთ ხევში დაბანაკებულ ქართველობას ხევიდან გასასვლელები ჩაუკეტეს და ყოველის მხრიდან იერიში მიიტანეს. ქართველებმა ბრძოლის ველს დიდის მსხვერპლითა და დანაკარგით დააღწიეს თავი. ხლათი თურქებმა დაიჭირეს.

ეს, ზედიზედ, მეორე დამარცხება იყო თამარის დროის ქართული მხედრობისა. მორალურადაც ავი პერსპექტივა ამოიმართა „უძლეველად“ სახელგანსმენილი ქვეყნის წინაშე. საჭირო იყო დაუყოვნებლივ აღდგე-

ნილიყო ქართველთა სწორუპოვარი სიმძლავრის აწ შერყეული ავტორიტეტი.

ამ აუცილებლობის სასწრაფოდ აღსრულებას ქართველობასთან ერთად ითხოვდნენ ერთმორწმუნე, მეზობელი სომხებიც.

სასწრაფოდ ამოქმედდა საქართველოს სახელმწიფო კარი.

1204 წლის გაზაფხულზე კვლავ გამოიყვანა და დალოცა ლაშქარი თამარმა. ამჯერად ისევ დავითი უსარდლა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ გაისტუმრა.

ქართველები შეიჭრნენ ხლათში, იქ მდგარი თურქობა გაანადგურეს და ქალაქ კარისაკენ (ყარსი) წარემართნენ. კარი დიდი ქალაქიც იყო და დიდი თურქული ციხიონიც იცავდა მას. დავითმაც ძლიერი ალყა შემოარტყა კარს. ქალაქი გაძალიანდა. მეციხოვნენი უშვერი ლანძღა-გინებით გადმოჰყიოდნენ მოალყეებს. ხოლო, როცა ალყაში მოქცეულებს საჭმელ-სასმელი გაუთავდათ, სიცოცხლის შენარჩუნების საფასურად იარაღის დაყრა გადაწყვიტეს. მაგრამ რაკი „ეშინოდათ სიტყუათა მათთათვის გინებისათა“ — ვაითუ დავითმა არ გვაპატიოსო — შემოთვალეს: იარაღს დავყრით, თუ ქალაქის ჩასაბარებლად თვითონ თამარი ინებებს მობრძანებასაო.

თამარიც კარისაკენ გაეშურა. თან ლაშაც წარიტანა. მეციხოვნეებმაც მაშინვე მოართვეს ქალაქის კლიტენი. შევიდა თერთმეტი წლის ლაშა-გიორგი და ჩაიბარა კარი და მისი ციხე-კოშკები.

თამარმა ახლადდაპყრობილი კარი და მისი მიმდგომი მხარე სამმართველოდ გადასცა ივანე ახალციხელს, შალვა ახალციხელის ძმას.

ივანე ახალციხელმა თამარის ესოდენ პატივს ახალი გამარჯვებით უპასუხა. იგი თავისი ლაშქრით კარის „ქუეყანასაც“ გახცდა და „წარუღო თურქთა გარეშემონი ქუეყანანი, აიხუნა და მიითუალნა, და წარმოგზავნა მახარობელი მეფესა წინაშე“. თამარმაც ახლად დაპყრობილი მიწები სამფლობელოდ მისსავე „დამპყრობელს“ უბოძა.

ერთი სიტყვით, ახალ, XIII საუკუნეშიც ქართველებმა საერთაშორისო ასპარეზზე მძლავრი ნაბიჯებით შემოსდგეს ფეხი.

XII—XIII საუკუნეთა განსადრეკელზე, აზიისა და ევროპის გზასაყარზე, შუბლსა ზედა დედამიწისასა — კვლავ მსოფლიო ძალისხმევით გუგუნებდნენ ქართული ზარები.

●

იმხანად სომეხ და ქართველ თეოლოგთა პაექრობაც მოხდა. ქართველი მეფის ბევრმა ქვეშევრდომმა გრიგორიანობა მიატოვა და მართლმადიდებლობა მიიღო („მრავალი სიმრავლე სომეხთა მოვიდა ნათლისღებად“). ასევე მოიქცა ივანე მხარგრძელი. იგივეს ურჩევდა თავის

უფროს ძმას, ზაქარიას: ქართველებს „მართალი სარწმუნოება უპყრიეს“ და შენც, ვითარცა ისედაც ჭეშმარიტი ქართველი, სარწმუნოებაც ქართული მიიღეო. თავის მხრივ კი ზაქარიას ეს უპასუხნია: „ეუწყი ძმაო, რამეთუ მართალი სჯული არს ქართუელთა“, მაგრამ მაინც გრიგორიანობა დაუნარჩუნებია ზაქარიას.

ასე ერჩია ზაქარია მხარგრძელს. შორს უმიზნებდა ცბიერი პოლიტიკოსი: იგი საქართველოს ხელმწიფეთაგან სომხური პროვინციების მმართველობას გამოელოდა...

საზღვრებს გადაღმა

კვლავაც გავიხსენოთ და გავიაზროთ, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე, ანუ მცირე აზია ჩრდილო-აღმოსავლური ქვეყანა — ძველთაგანვე, თამარის დრომდე ორიათას ხუთასი წლის მანძილზე, მარად უწყვეტად ქართული ტომებით დასახლებული ქვეყანა იყო. უძველესი სახელი ამა ქვეყნისა — პ ო ნ ტ ო, რომელსაც ძველთაგანვე უკვე ჰქონდა ნათქვამი თავისი დიდი სიტყვა მსოფლიოს ისტორიაში. მარტო იმის გახსენებაც კმარა, რომ ეს მცირე „ქართული სახელმწიფო“ ქრისტეს წინარე ხანაში, თითქმის მთელი საუკუნე სათავეში ედგა აზიელი ხალხების ბრძოლას რომის მსოფლიო იმპერიის ექსპანსიური მოწოლის უკუსაგდებად („მითრიდატეს ომები“, „ფარნაკეს ომი“).

ქართველი პოლიტიკოსებიც, დიდნი და მცირენი ყოველთვის გრძნობდნენ დასავლეთიდან მონაბერ „პონტოურ-ქართულ სუნთქვას“, და მათგან ვისაც ძალედვა ცდილობდა კიდეც იქაური „მშობლიური მიწა-წყლის“ შემოერთება-შემომტკიცებისათვის.

და, ეს საზრუნავი მით უფრო თამარისთვის არ უნდა ყოფილიყო უცხო.

მაშინ პონტოს ქვეყანა, მისი მკვიდრი მოსახლეობით — კოლხებით, ლაზებით, ჭანებით — ბიზანტიის სამანებს შიგნით მოქცეულიყო.

ბიზანტიის სატახტო კი ჩვენ იქ დავტოვეთ, ანდრონიკე კომნენოს-ბაგრატიონის დამხობისა და „ბიზანტიური ბუნებისად“ წამების შემდეგ, კეისრის ტახტზე ისააკ II ანგელოსი დაბრძანდა. ამ „ანგელოსმა“ ათ წელიწადს (1185—1195) იხელმწიფა. იყო იგი გვარიანად ბრიყვი, უნიჭო, პატივმოყვარე და მამლაყინწა. ტახტზე ასვლისთანავე ისააკი შეუდგა წინარე იმპერატორის, ანდრონიკესგან ნაგროვები საგანძურების ფუქსავატურ ხარჯვას და ფანტვას. ყოველდღე ახალი, სრულიად უცმელი ხიტონი უნდა ჩაეცვა და უძვირფასეს სუნამოში დაბანილიყო ეს ახალი იმპერატორი. უცებ დაცარიელებული ხაზინის ხელახლა შესავსებად გააჩალა ხალხის პირდაპირი ძარცვა და მძიმე გადასახადების გაწერა. 32 წლის კეისარმა ცოლად შეირთო 10 წლის მარგარიტა, უნგრეთის მეფის, ბელა III-ის ასული. ამ ახალმა, უსწორო ქორწილ-

მაც ახალი „უსწორო გადასახადის“ გაწერა დაისაჭიროვა. გადასახადს კი აჯანყება მოჰყვა. აჯანყება ჩახშობილ იქნა.

და მაშინ, ბიზანტიაში, საქართველოშიც და ყველგან, ჯვაროსნულ ევროპასა თუ მთვაროსნულ აზიაში — გავარდა ხმა ყოვლის შემარყეველი: ეგვიპტის ახალმა მბრძანებელმა, წარმომაელობით ქურთმა, სახელად სალაჰ ად-დინმა, ანუ სალადინმა, პალესტინაში, ხიტინთან, ტიბერიადის მახლობლად, 1187 წლის 4 ივლისს, სასტიკად გაანადგურა ჯვაროსნები, ხოლო იმავე წლის 2 ოქტომბერს აიღო და დაისაკუთრა იერუსალიმი.

თვითონ ბიზანტია კი, შინააგონიას მოეცვა. არც ერთი წელიწადი ისე აღარ ვიდოდა, — თუ თვითონ სატახტოში არა, იმპერიის რომელიმე კუთხეში მაინც აჯანყება არ აფეთქებულიყო. გამორჩეული მძვინვარებით, იმპერიის შუაგულისკენ მოიწევდნენ აჯანყებული ბულგარელნი, ვლახერნი და მათი ხელშემწე ყივჩაყ-კუმანნი. 1195 წელს ისააკ კეისარი თვითონ წარუძღვა არმიას ბულგარეთისკენ, მაგრამ ზურგში ძმამ ჩასცა მახვილი, ალექსი ანგელოსმა. ძმამ ძმა შეიპყრო, თვალები დათხარა და საპყრობილეში ჩააგდო.

მაშ, „ოქროს ჭიპზე“ კეისრად ახალი დამნაშავე დამჯდარიყო, ძმის მკვლელი ალექსი III ანგელოსი, რომელმაც შერცხვენილი „ანგელოსობა“ აღარ ინება და უფრო სახელიანი „კომნენოსი“ დაირქვა.

და იყო ეს „ფსევდო-კომნენოსი“ მისგანვე დამხობილ და დაბრმავებულ ძმაზე უნიჭო და უნებო, თუმცაღა უფრო ლმობიერი და დამთმობი, როცა მისი ლმობიერობაც და შემწყნარებლობაც მხოლოდ ენების მომტანი იყო სახელმწიფოსთვის: უფრო თამამად და თავაწყვეტით იძარცვებოდა და იფანტებოდა სახელმწიფოს მაცოცხლებელი და მაარსებელი წყაროები. მექრთამეობა, თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა, სახელმწიფო გამცემლობა და ღალატი სულსა და ძარღვში ჩასდგომოდა და ჩასხივებოდა „ოქროვან ბიზანტიას“. თვითონ კეისრის ისედაც ღატაკი გონება მისი ცოლის, ბასილისა-დედოფლის, ეფროსინე დუკენას ფავორიტებისა და საყვარლების თვალთვალით იყო დაკავებული. მხოლოდ ერთხელ გაბედა რქანაყარმა ბასილევსმა „ზომაზე მეტად“ გათავხედებული კურო-მეტოქის სიკვდილით დასჯა, ცოლიც მონასტრად განუტევა, მაგრამ მალე უკანვე მოიყვანა, მობოდიშებით...

იმპერია კი დღე-დღეზე უნდა დაცემულიყო. იღბალი, რომ ქრისტიანთა ახალი დიდი საფრთხე — სალადინი ამაღლება-აზვირთებისთანავე მოკვდა (1193 წლის 3 მარტი). მაგრამ ევროპა ახალი, მეოთხე ჯვაროსნული ომისათვის ემზადებოდა, კვლავაც, რალა თქმა უნდა, „ერთმორწმუნე ბიზანტიის“ გავლით; ხოლო თვითონ ბიზანტიას ეს „გავლა“ რად დაუჯდებოდა, ყველამაც კარგად უწყოდა, ყოველმა ჯვაროსანმაც და ყოველმა მთვაროსანმაც.

ახალ, მეოთხე ჯვაროსნულ ლაშქრობას ჯერ გერმანიის იმპერატორი ჰ ე ნ რ ი ხ VI ჩასდგომოდა სათავეში. მაშინვე მას ბიზანტიის კეისრისათვის ასეთი მოთხოვნა, თუ ბრძანება (!) გამოეგზავნა: ყოველ წელიწადს 50 კენტინარი ოქრო უნდა გადამიხადოო. ალექსი კეისარს ეს დამცირებადაც არ მიუჩნევია, ისე ხვეწნა-მუდარით, როგორც იქნა, ის 50 კენტინარი იმ „ალემან (გერმანელ) მბრძანებელს“ 16 კენტინარამდე ჩამოამცრობინა. მაშინვე ხალხზე შესაბამისი გადასახადიც გააწერა, მოურიდებლად, მისი პირდაპირი სახელით — „ალემანიკონ“ — „გერმანელთა“ გადასახადი. ამას ხალხის აჯანყება მოჰყვა. კეისარიც დაფრთხა, დადედლდა და გადასახადიც გააუქმა; ცოცხალი ქვეშევრდომები ამით დააშოშმინა და მკვდრებს მიადგა — წინარე მეფეთა სამარხებიდან იქ ჩატანებული ოქრო-ვერცხლი ამოკრიბა და ამოფხიკა. თან ამ მარადიორ კეისარს იმითაც „გაუმართლა“, რომ ჰენრიხ VI მოულოდნელად, 1197 წელს მოკვდა. ხოლო, მისმა შემცვლელმა იმპერატორმა, ფ ი ლ ი პ ე შ ვ ა ბ ე ლ მ ა, გერმანიის შიგნით ატეხილი შფოთიანობის მიზეზით, უკვე გამზადებულ ჯვაროსნულ ლაშქრობაზე ხელი აიღო.

მაგრამ შეფერხება ახალი ჯვაროსნობისა მხოლოდ შეფერხება იყო. ახალი, XIII საუკუნე ახალი შფოთით, ნგრევითა და სისხლის ქცევით ემუქრებოდა დედამიწას — ამ მარადისად კაცთაკვლისა და სისხლისთხევათა სარეწაოს.

1198 წელს რომის პაპმა ი ნ ო კ ე ნ ტ ი მ ე ს ა მ ე მ საგანგებო ენციკლიკით მოუწოდა ევროპას ახალი, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ, ურწმუნოთა ამოსაწყვეტად, პალესტინის წმიდა ადგილთა დასახსნელად.

„Deus le volt!“

და უმალვე სალაშქროდ აღიმართნენ: ფრანგები, ფლამანდიელები, გერმანელები, ინგლისელები, უნგრები, სიცილიის ნორმანები, ვენეციელები.

1202 წელი ჩამოდგა. ჯვაროსნები ვენეციაში იყრიდნენ თავს. და უცებ მათ წინაშე ბიზანტიიდან გაქცეული უფლისწული გამოცხადდა, სახელად ა ლ ე ქ ს ი, ძე კეისარ ალექსი მესამისგან დაბრმავებული და საპყრობილეში ჩაგდებული ძმის, ისააკ ანგელოსისა.

მაშ, მოვიდა კონსტანტინოპოლიდან გამოქცეული ალექსი ისააკის ძე და მუხლებში ჩაუვარდა პაპს, ინოკენტი მესამეს, და შეჰღაღადა აქამდე დათრგუნვილი სამართლიანობის აღდგენა, ანუ აღდგენა მისი და მამამისისა ბიზანტიის კეისრის ტახტზე. ინოკენტიმ გადაჭრით ვერაფერი თქვა. სამაგიეროდ ფილიპე შვაბელმა თქვა, მით უფრო, რომ იგი ალექსის ცოლისძმა ყოფილიყო.

ფილიპე შვაბელმა ჯვაროსანთა დანარჩენი ბელადებიც აიყოლია და

გადაწყდა: ბიზანტიის კეისარ-იმპერატორის ტახტიდან ალექსი მესამე ჩამოეგდოთ და მამა-შვილი ისააკი და ალექსი აღედგინათ.

მომდევნო, 1203 წელი შემოდიოდა.

ახალი, XIII საუკუნე იდგამდა და იღონივრებდა ფესვებს.

დედამიწას კი, მისი „ოქროს ჭიპი" ულპებოდა.

ხოლო, „შუბლს" თამარი უმშვენებდა.

თამარის იმჟამინდელი ფიქრი კი პონტოს ქვეყანა იყო — ერთადერთი ქართული ქვეყანა, რომელიც საქართველოს გარეთ, ეგზომ შერყეული და შერცხვენილი ბიზანტიის სამანებში დარჩენილიყო.

„თამარის იმპერია"

1203 წელს საქართველოში ჩამოვიდნენ და თამარს ეწვივნენ სა-ზღვარგარეთის ქართულ სავანე-მონასტერთა მოღვაწენი. თამარმა დიდის ამბით მიიღო ისინი, „მრავალ დღე არა გაუშვნა", ხოლო როცა გაუშვა, ყოველ მათგანს „მისცა დიდძალი ოქრო, თვით მათთვის და ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად".

როცა ასე უხვად დასაჩუქრებული სამღვდელონი გავლით კონსტანტინოპოლს მივიდნენ, მოხდა სავსებით მოულოდნელი და გაუგონარი ამბავი: ისინი გაძარცვა... თვითონ კეისარმა, ბოროტმა და ანგარმა ალექსი III ანგელოსმა; ეს თვით კონსტანტინოპოლში არავის გაჰკვირვებია, რადგან კეისარი „ანგელოსი" აკი მიცვალებულ კეისართა საფლავებს ძარცვავდა.

ხოლო თამარი გააოცა და უზომოდ განარისხა ბიზანტიელი ხელმწიფის ესოდენ აშკარა ავაზაკობამ.

მაშინვე „სხვა უფროსი" ოქრო გაუგზავნა კეისრისაგან გაძარცვულ ბერებს, ხოლო, რაც მთავარია, სასწრაფოდ ჯარი შეჰყარა იმერთაგან და პონტოსაკენ აფრინა.

სწორედ ამ ჯარმა ერთიმეორის მიყოლებით დაიკავა — „ლაზია, ტრაპიზონი, ლიმანი, სამსინი, სინოპი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, ერაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსანი".

ქართველები ორას კილომეტრზე იდგნენ კონსტანტინოპოლიდან.

კეისარ ალექსი მესამეს ქართველებისთვის აღარ სცხელოდა: ჯვაროსნული ევროპა უფრო ჰზარავდა ამ „ქონდრის იმპერატორს", ვიდრე ჯვაროსნული „ბურჯი აღმოსავლეთისა".

თამარმა კი, „პონტოს ქვეყანა" ბიზანტიისგან თავისუფალ ქვეყნად გამოაცხადა, ცალკე სამეფოდ, ცალკე „იმპერიად", იმ ძველი, აწ წაქცევაზე მიმდგარი „იმპერიის" საპირისპიროდ.

სატახტოდ ტრაპიზონი გამოაცხადა.

და ეწოდა — „ტრაპიზონის იმპერია".

„ფილიალი“, გინა „შვილი“ საქართველოსი.

შენამოქმედი თამარ შვიდმნათობიერისა.

ხოლო, ტახტზე — ახალი იმპერიის, ახალ ტახტზე, ახალ კეისრად, ბასილევსად, იმპერატორად?!

ბერძნულ-ქართულ სისხლთა ნაჯვარი, საქართველოში გაზრდილი და დავაჟკაცებული თამარის პაპიდის შვილიშვილი, ალექსი კომნენოს-ბაგრატიონი.

თამარის ბრძანებით, ალექსი ტფილისიდან სასწრაფოდ გაიქცა, ტრაპიზონს მივიდა და გამზადებულ ახალთახალ ტახტზე დაბრძანდა.

იქვე, თანამოსაყდრეც გააყოლა თამარმა ახალ იმპერატორს, მისივე უმცროსი ძმა, დავით კომნენოს-ბაგრატიონი *.

მაშ, იდგა ქრისტესშობითგან 1204 წელი და მსოფლიო ისტორიაში არსებობას იწყებდა ახალი სახელმწიფო, ახალი „იმპერია“, ძველ-ქართული „პონტოს სამეფოს“ ახალი სახე, „ფილიალი“, გინა „შვილი“ სრულიად საქართველოსი, შენამოქმედი თამარ შვიდმნათობიერისა.

---

* ჰეშმარიტებას წერს აკადემიკოსი კუნიკი: „კომნენოსები ჯერ კიდევ ყრმობისას მოხვდნენ საქართველოში, სადაც მიიღეს კიდევაც აღზრდაც. მათი დედაენა იყო ქართული. რაკი იზრდებოდნენ და აღზრდასაც მათი ნათესავის (თამარ მეფის) კარზე ღებულობდნენ, ისინი ყოველთვის ქართული ცხოვრებისა და ქართული ცნებების გაჯერებას განიცდიდნენ... ბიზანტია აღარც ახსოვდათ და ბერძნულ ენასაც ისე, „უცხო ენად“ სწავლობდნენ, როგორც ქართველ დიდებულთა შვილები. ასე რომ, ოცი წლის ასაკში ალექსი და დავით კომნენოსები უფრო ქართველი დიდებულები იყვნენ, ვიდრე ბიზანტიელები“.

ასევე წერს გამოჩენილი ბიზანტინოლოგი უსპენსკი:

„შავ ზღვისპირეთზე კომნენოსთა დამტკიცება არის საქმე თამარის ხელისუფლებისა... კომნენოსთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება არის მხოლოდ ეპიზოდი საქართველოს ბრძოლაში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე პირველობისათვის, იგი არის გაგრძელება თამარის მამის პოლიტიკისა, რომლის ჯარები აღწევდნენ ერზრუმამდე და თვით ტრაპეზუნტამდე“. და კომნენოსები იყვნენ „იარაღნი თამარის პოლიტიკისა“... თვითონ ტრაპიზონის იმპერიის ბუნებაც უპირველეს ყოვლისა უნდა აიხსნას „მოსახლეობის ეთნოგრაფიული ხასიათისა და ისტორიის თავისებურებით, რომელშიც ელინიზმს გაბატონებული ადგილი არ სჭერია. საჭიროა გვახსოვდეს, პონტოს ძველი ისტორია და პონტოს მეფეების პოლიტიკური მიმართულება, ისევე როგორც თავისებურებანი ტრაპიზონელი ბერძნების ენაში... არ შეიძლება წინ არ წამოვწიოთ და განსაკუთრებული გულმოდგინებით ხაზი არ გავუსვათ იმ პირობებს, რომელნიც XIII საუკუნის დამდეგს და იმპერიის შექმნის შემდეგ თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში მიუთითებენ ადგილობრივი, ლაზური ტენდენციების ბატონობაზე ტრაპიზონში, რომელთაც ზურგს უმაგრებენ ტფილისიდან და მხარს უჭერს თვით ტრაპიზონელი მეფეების სულისკვეთება, რაც მთლიანად და სავსებით საქართველოსკენ იყო მიმართული“.

ხოლო, კონსტანტინოპოლი, „ოქროს ჭიპი დედამიწისა“, უკვე აეღოთ ევროპელ ჯვაროსნებს, — აეღოთ ისეთი ჟინით და გახელებით, როგორითაც აიღებდნენ და აიკლებდნენ „ურწმუნოთა“ რომელიმე ქალაქს — რომელიმე ედესას, ალეპოს, თუ დამასკოს.

გულდედალ და ჰკუამეჩხერ ალექსი მესამეს ათასი გირვანქა ოქროსა და სამეფო სამკაულთა გატაცება მოესწრო, ქალაქიდან გაქცეულიყო და გადახვეწილიყო.

დაცარიელებულ კეისარ-იმპერატორის ტახტზე გამარჯვებულმა ჯვაროსნებმა აქამდე პყრობილი და დაბრმავებული ისააკ II აღადგინეს და გვერდით, თანაკეისრად, მისი ძე ალექსი IV მიუსვეს.

და ისხდნენ მამა და შვილი, გვარად ანგელოსნი, ერთ ტახტზე — მათივე „ანგელოსობით“ სრულიად მორყეულსა და შერცხვენილ ტახტზე...

ერთი წელიც ვერ მოათიეს. „საძულველ ლათინთაგან“ გამეფებულნი თვითონ კონსტანტინოპოლის აჯანყებულმა ხალხმა დაამხო, 1204 წლის 25 იანვარს. ხალხის მოთხოვნითვე, ჯვაროსნები დათანხმდნენ კეისრის ტახტი დაეჭირა ალექსი V მურუფლოსს („სქელწარბიანი“). მაგრამ ვერც ამ „სქელწარბიანმა“ გაამართლა ხალხის იმედი. ჯვაროსნებთან ბრძოლაში ისიც დამარცხდა და თავს გაქცევით უშველა. ჯვაროსნებმა კი აღებული და ბოლომოღებული ქალაქი ხელახლა აიღეს, საშინლად აიკლეს, გაძარცვეს, გაატყავეს, ააწიოკეს.

აკი „ღმერთს ასე სურს!“

„Deus le volt!“

ბასიანი

მაშ, დამდგარიყო ქრისტეშობითგან XIII საუკუნე, ოდეს იძირებოდა „ჭიპი“ დედამიწისა.

ხოლო, შუბლი კვლავ მაღლდებოდა, მადლით ივსებოდა, ნათლით იმოსებოდა.

ქართველთაგან დაშინებულიყო თურქთა სამყარო. ქართულ მახვილთა განუკვეთელი შეტევებისგან „მოაკლდებოდა ძალსა მოჰმადიანთასა, და მცემელიცა ებანსა, რამეთუ ქრისტიანეთა ორღანონი ხმოვანებდეს კიდით კიდემდე“.

თითქოს სამუდამოდ „დაშრტა სასოება ბუსურმანთა“.

ისღა დარჩენოდათ „ყოვლითურთ უღონოთა“, როგორმე ხარკისა და ძღვენის მირთმევით მოეგოთ გული „წყალობის-მოყუარე თამარისა“ —

თურქი სულტნები, ამირები და ათაბაგები ფაიქს ფაიქზე აგზავნიან საქართველოს სასახლის კარზე, ძღვენითა უთვალავითა, მრავალფერითა და უცხოფერითა, მუდმივი ხარკისა და მორჩილების აღთქმითა, ოღონდ კი ქართველებმა „დააყენონ მახვილი მსრველი და ჯაჭვი შემკვრელი“.

მაგრამ იყო მათ შორის ერთი, რომელიც თამარის წინაშე „იჩემებდა ზაკვით სიყუარულსა, და გზავნიდა მოციქულთა მშვიდობისათვის მრავალჟამ, და ძღუენთა შუენიერთა მრავალთა“.

ეს იყო რუქნ ად-დინი, სელჩუკიან ხელმწიფეთაგან ყველაზე მძლავრი მბრძანებელი, იკონიის (გინა რუმის) სულტანი.

რუქნ ად-დინი არ ჯერდებოდა, რომ მცირე აზიის ორი მესამედი მისი სასულტნოს საზღვრებში იყო მოქცეული. მას შავი ზღვის სანაპიროზე დახელთება ესურვებოდა, მაგრამ ქართველებმა უკვე გადაუჭრეს გზა „ტრაპიზონის იმპერიის“ შექმნით; მას სომხეთის დამონებაც სურდა, მაგრამ ისევ ქართველები გადასდგომოდნენ წინ და, საერთოდ, სანამ საქართველო ფეხზე იდგა, არც იკონიელ სულტანს და არც სხვა რომელიმე მაჰმადიან სკიპტროსანს წელში გამართვა და ქართველთა მახვილით დატეხილი შიშიდან თავის დაღწევაც არ ეღირსებოდა.

და საქართველოსთან გადამწყვეტი ომისათვის რუქნ ად-დინმა ფეხზე დააყენა მთელი ქვეყანა. „არა დაუტევა თვინიერ დედაკაცისა სოფელთა შინა, არამედ ყოველნი აამხედრა“. არც ოქრო-ვერცხლი დაუზოგნია მოკავშირეთა მისამხრობად და საომარ ხარჯად. „განახუნა პაპა-მამურნი საუნჯენი და გამოყარნა ოქრო აურაცხელნი, და წარგზავნიდა ოქროთა შეკრებისათვის მხედრობისა“.

რუქნ ად-დინის მოწოდებაზე თავიანთი საომარი ძალებით მოვიდნენ: აბულასტანის მბრძანებელი მუღის ედ-დინ თოღრულ შაჰი, ეზინკის (ერზინჯანი) ამირა და რუქნ ად-დინის სიძე მელიქ ფაჰრ ად-დინ ბაჰრამ შაჰი, შამის (ასურეთის) სულტანი და ბირიტის ამირთ-ამირა.

მხოლოდ არზრუმის ამირამ, ალა ედდინ სალიყმა შემოუთვალა რუქნ ად-დინს უარი საომარ ძალთა გამოყვანაზე. მაშინ განრისხდა რუქნ ად-დინი, ალა ედდინი ამირას ტახტიდან გადააგდო და არზრუმის საამირო მუღის ედდინ თოღრულ შაჰს გადასცა. ამნაირად არზრუმელი მუსლიმანობაც შეუერთდა საქართველოს დასამხობად აღმართულ მაჰმადის დროშას.

უზარმაზარი ურდო შეიყარა — 400 000 თურქი მეომარი.

მაშასადამე, მასშტაბი უნდა ყოფილიყო დავით აღმაშენებლის დროინდელი დიდგორის ომისა.

მაშ, ისევ მოდიოდა „ყოველი თურქობა“ საქართველოს წასახდენად.

უზარმაზარ, „მთასავით მაღალ“ ცხენზე ამხედრებული მოუძღოდა რუქნ ად-დინი „ვარსკვლავთაებრ ურიცხვ“ მხედრობას.

ბასიანს მოვიდნენ და იქ დაიბანაკეს.

წინასწარ ფაიქი აფრინა რუქნ ად-დინმა ტფილისისაკენ.

სულტანი წერილს უგზავნიდა საქართველოს მეფეთა მეფეს.

წერილში გაუგონარი თავხედობა ეწერა:

„მე ნუქარდინ, სულტანი ყოვლისა ცისა-ქუეშისა, უმაღლესი, მიმსგავსებული ძლიერებასა ანგელოზთასა, თანამდგომი ღმრთისა, მოვლინებული დიდისა მოჰმედისაგან, მოგიმცნობ მეფესა ქართველთასა თამარს. ყოველი დიაცი რეგუენია, და შენ გიბრძანებია ქართველთათვის ხრმლისა აღებად და მუსულმანთა ხოცად. აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემი, რამეთუ ვეღარასოდეს გაბედოთ აღება ხრმლისა, რომელიც მაჰმად მოციქულსა მხოლოდ თავისი ერისათვის უბოძებია, მოვდივარ, რათა სამაგიერო მოგიზღო სპარსთა და თურქთა ესოდენი აკლებისათვის, რათა აღვხოცო ყოველი მამაკაცი მაგ ქვეყნისა, და ცოცხალი მხოლოდ იგი დავტოვო, რომელი წინა მომეგებოს, თაყუანი სცეს ჩათრსა (ცარავსა) ჩემსა, სასოება იგი თქუენი ჯუარი წინაშე ჩემსა დალეწოს და მოჰმადი აღიაროს“.

დიდსულოვნებით დაითმინა თამარმა ეს ყოვლად უზრდელი და უგუნური პატრუცაგი რუქნ ად-დინისა. მხოლოდ ეს იყო, „სულთითქუნა სიღრმით გულისათ“.

სანამ რუქნ ად-დინის კადნიერი წერილით რისხვამორეულ დარბაზებში თამარის პასუხი იწერებოდა, მანამ თურქთა მოციქულმა დარბაზისერთა წინაშე კიდევ უარესი, გასაოცრად ბრიყვი და უზრდელი სიტყვა ამოაყრანტალა:

„უკეთუ მეფემან თქუენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად; და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტნისა!“

ასეთი გაუგონარი თავხედობა სწორედ აღარ შეიძლებოდა უპასუხოდ დარჩენილიყო.

ყველას დაასწრო ზაქარია მხარგრძელმა, მოციქულს მივარდა და ისე „უხეთქა ხელითა პირსა“, რომ თურქი იგი უგრძნობელად, „ვითარცა მკუდარი დაეცა და იდვა“.

როცა გონს მოიყვანეს და ფეხზე წამოაყენეს, ზაქარიამ უთხრა მისგანვე გალახულ ელჩს: შენ რომ მოციქული არ ყოფილიყავ, ჯერ ენის ამოკვეთა და მერე თავის გაგდებინება იქნებოდა შენი სამართალიო.

მაშინვე მხედრობის წვევა ბრძანა მეფეთა მეფემ. „მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოფსით დარუბანდამდის“. ჯავახეთს მოიყარეს თავი ჯარებმა, ხოლო თამარი ვარძიას მიბრძანდა.

ფეხშიშველი შევიდა თამარი „ვარძიისა ღმრთისმშობლისა წინაშე და ცრემლით შეავედრა სოსლან დავით და სპა მისი; დროშა მისი სვიანი“.

გამოვიდა, დროშა დავითს გადასცა. ლაშქარი დაიძრა.

სამხრეთისკენ მიდიოდა ქართული მხედრობა.

წინ თამარი მოუძღოდა, ქვეითად, ფეხშიშველი, ლოცვით და ცრემლით.

ერთი დღის სავალზე მიუახლოვდნენ ქალაქ კარს, რომელიც ამას წინათ დაიხსნეს ქართველებმა თურქებისაგან.

შედგნენ. თამარმა რუქნ-ად-დინის მოციქულის მოყვანა ბრძანა. მოიყვანეს. თამარის ბრძანებითვე მდიდრულად შემოსეს. დიდძალი ოქროც უბოძეს. თურქს გვერდით ქართველი ფაიქი დაუყენეს თამარის საპასუხო წერილით სულტანისადმი. და ორივე ერთად გაუშვეს რუქნ ად-დინთან.

თამარის წერილი რუქნ ად-დინისადმი ასეთი იყო:

„ძალსა ყოვლისა მპყრობელისასა მინდობილმან, მარადის ქალწულისა მარიამისა სახოებით მოსავმან და პატიოსნისა ჯუარისა მვედრებელმან წავიკითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი, ნუქრადინო, და ვცან სიცრუენი შენნი, რომელთა ბჭე ღმერთი იყოს! შენ ოქროსა მევიერეთა სიმრავლისად მინდობილ ხარ, ხოლო მე არცა სიმდიდრესა და არცა ძალთა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და ჯუარისა წმიდისა, რომელი შენ ჰგმე, აწ წარმომივლენიი ყოველი მხედრობა ქრისტეს მოსახლე არა შენდა თაყუანისცემად, არამედ დამხობად შენდა სიზუავისა მაგის და ამპარტავნისა გულისა შენისა. იყავნ ნება ღმრთისა, ნუ შენი! სამართალი მისი, ნუ შენი! ხოლო მე ვუწყი გახრწნილობა მსახურთა შენთა. ამისთვის წარმომივლენიეს მსახური ჩემი, რათა წიგნისა შენისა პასუხი ადრე მოგართუას და განგაკრძალოს, რამეთუ ჩემ მიერ წარმოვლენილ სპათა ფერხნი ესერა კართა შენთა ზედა დგანან“.

ელჩები განუტევა და ამხედრებაც ბრძანა თამარმა.

თვითონ მაღლობზე ავიდა, მუხლებზე დაეშვა და დიდხანს ილოცვიდა ცრემლთა თხევით.

მერე წამოიმართა მეფეთა მეფე და ჯვარისცხოვლის მოღება უბრძანა ჯვარისმტვირთველს. წამოეშველა ბასილი ეზოსმოძღვარი. ჯვრის ერთი მხარე დაიჭირა თვითონ თამარმა, ხოლო მეორე — ბასილიმ და ჯვარისმტვირთველმა.

სარდლებს და ერისთავებს უბრძანა დედოფალმა და ისინიც რიგად წამოემართნენ ამბორსაყოფად ჯვრისა და კალთისა მეფე-ქალისა. ჯერ მთავარსარდალი მიეახლა, დავით სოსლანი, მერე მეწინავე სარდლები — ძმები შალვა და ივანე ახალციხელნი, ზაქარია მხარგრძელი; შემდეგ. თორელნი, ჭიაბერი და ყოველი ერისთავნი, „იმიერნი და ამიერნი“.

ბოლოს, თამარმა ორივ ხელით აღმართა ჯვარი და ლაშქარიც დაიძრა.

და ასე იდგა თამარი, ფეხშიშველი, ტანაშვეტილი, ცრემლით ნაბანი ღვთაება-სახით. მანამ იდგა და არწევდა ჯვარს ჯვარსახოვნად, ვიდრე მის წინ უკანასკნელმა მეომარმა არ ჩაიარა.

მიდიოდნენ ქართველნი საომარ ველზე, „მინდობილნი ღმრთისანი და თამარის ცრემლთანი“.

თამარი სამცხისკენ შემობრუნდა. მოვიდა ოძრხეს და კვლავ დადგა ლოცვად. მასთან შემოკრბენ სამღვდელონი და ბრძენი საერონი.

ამათ შორის ყოფილა ორი ყველაზე სახელგანთქმული — იოანე შავთელი, „ქაცი ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღუაწებათა შინა განთქმული“, და მეორე — ევლოგი, „სალოსად წოდებული და წინასწარ-მცნობლობისა ღირსქმნილი“.

მთელი ღამე ლოცვად იდგა თამარი.

„იყვნეს მიმდემნი ღამისთევანი და ლიტანიობანი“.

ხოლო, დავით სოსლანი თავისი ლაშქრით ბასიანს მივიდა და თვალი დაადგა თურქთა ბანაკს, გაშლილს „ადგილსა ბოლოსციხედ წოდებულსა“. ქართველებმა ნახეს, რომ „ბანაკსა სულტანისასა არა იყო რიცხვი ცხენისა, ჯორისა და აქლემისა მათისა, კარვებისა და სარაფარდაგებისა მათისა, მინდორი იგი ძლივს იტევდა კარვებსა მათსა“.

ეტყობოდა, თამარის წერილს გულზვავიანი სულტანი არ შეუშინებია და არც „განკრძალულა“ იგი. პირიქით, თურქები „ესრეთ ნებიერად მდგომარე იყვნეს, და არა უდგა დარაჯი სულტანსა“.

დავითმა ფიცხლავ განაწყო ლაშქარი საომარი წყობით.

მეწინავე, მოიერიშე ჯარს უსარდლა ძმები შალვა და ივანე ახალციხელები, ზაქარია მხარგრძელი და თორელნი, ხოლო ძირითადი ძალები ორად გაყო: მარჯვნივ — აფხაზ-იმერნი, მარცხნივ — ქართლელნი, კახნი და ჰერნი.

ჯერ „წყნარად ვიდოდეს“ ქართული ლაშქარი.

სულტანის ბანაკიც აიშალა საომრად. მაგრამ როგორც კი ქართველებმა ცხენები ააჩქარეს და ერთბაშად ზვავად იგრიალეს, თურქთა ურდო მოიერიშე „ქაფარის“ (ურჯულო) ხილვით შეძრწუნდა და სასწრაფოდ ამხედრებული გასაქცევად აგორდა.

ქართველები ყიჟინითა და იარაღის ზათქით გამოეწთნენ.

მაგრამ სულტანმა შემოაბრუნა „გაქცეული ტყე-მაღნარი“.

„და იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი, რომელი ძუელ-ოდესმე ქმნილ იყო მხნეთაგან ეგევითარი ომი“.

ბრძოლა გაგრძელდა დიდხანს, შენივთებულად, „მყოვარჟამ და მოსწყდებოდეს ორგნითვე, ხოლო უმეტეს სულტნისა სპანი მოისრვოდეს“.

მაინც არ იძვროდა ბრძოლის სასწორი.

შუადღის ზემხურვალი დააცხრა ბასიანის ველს.

„მაღალ მთასავით“ ცხენზე ამხედრებული და მაღალი საჩრდილობელის ქვეშ მდგარი რუქნ ად-დინი გახელებული უყიოდა თავისიანებს.

ცხენები დაუხოცეს ქართველ სარდალთა უმრავლესობას: მსახურთუხუცეს ივანე მხარგრძელს, ზაქარია გაგელს, შალვა და ივანე ახალციხელებს, თაყაიადინ თმოგველს „და სხუათა მრავალთა თავადთა“.

ძალზე მისჯირდათ ქართველებს: „კნინღა სიელტოლად მოიდრიკნეს“.

მაგრამ არ გატყდნენ უცხენოდ დარჩენილი ქართველი სარდლები. ხოლო, როცა მათმა მხედრებმა ქვეითად მებრძოლი სარდლების საოცარი სიმამაცე იხილეს, თვითონაც დაქვეითდნენ და განურღვეველ კედლად შეკრულნი მიჰყვნენ მეთაურებს.

დროზე შენიშნა დავით სოსლანმა: ცხენოსანმა ლაშქარმა მოულოდნელად დაქვეითებული მეომრები არ დამიზიანოსო და სასწრაფოდ თავისი მხედრობა ქვეითებს განარიდა და მაშინვე ღრმა რეიდით მტრის მარჯვენა ფლანგს შეუტია. იგივე უბრძანა ზაქარია მხარგრძელს, რომელმაც თავის მხედრობით თურქთა მარცხენა ფლანგისკენ გაქუსლა.

პირველი მიეპრა დავით სოსლანი, „ვითარცა აქილევი“. „მასვე წამსა შინა დავით და სპა მისი მივიდა, ვითა მგელნი ცხოვართა, ეგრეთ შეუცვივდეს ურიცხუსა მას სპასა, შინა სულტნისასა“.

მაშინვე, დავით სოსლანის მოყმეთაგან „პირველსა მოკიდებასა და ხეთქებასა ხრმალთასა“, ქართველთა გამარჯვების მომასწავებლად დაქანდა ბრძოლის სასწორი.

ამირსპასალარიც უკვე მოსწოლოდა სულტანს მარცხენა მხრიდან.

მასვე ჟამს შალვა ახალციხელმა მიატანა რუქნ ად-დინის „მაღალ საჩრდილობელს“ და სასულტნო დროშას. ხმალი უხეთქა ახალციხელმა მედროშეს. ორივ დაეცნენ — დროშა და მედროშე. იმ წამსვე „საჩრდილობელიც“ თავზე დაემხო სულტანს. მაინც გაასწრო — გაქუსლა თავისი „მთასავით ცხენით“.

და მასთან ერთად თურქთა ლაშქრის „ეგოდენი სიმრავლეც განსქდა, იძლია, დაიპანტა“.

დაქვეითებული ქართველებიც მაშინვე ცხენებს მოახტნენ და ხმალამართული გამოეხთნენ.

გარბოდა რუქნ ად-დინის ლაშქარი, ვითარცა „თუალ-გარდუწდომელი მაღნარი მიწითურთ მოგლეჯილი და დაზულეული“. გარბოდნენ, ერთმანეთს სთელავდნენ, „ურთიერთს დასთრგუნვიდეს“.

ქართველებმაც სდიეს დაღამებამდე. სდიეს, „ხოცდეს, ჩამოჰყრიდეს და იპყრობდეს“.

მეორე დღეს, სისხამ დილით, ქართველებმა მოიხილეს ბასიანის ველი; „ვითარ რიყე“ იყვნენ დარეცილნი მაჰმადის მონანი, მათი დალეწილი საჭურველნი და ქართველთა ხელით დაფხრეწილი დროშები.

აურაცხელი ნადავლი დარჩათ გამარჯვებულებს. „აღივსნეს ოქრო-

თა და ვერცხლითა და ჟურჭლითა პატიოსნითა“. ანგარიში არ ჰქონდა ცხენ-ჯორთა, აქლემთა, საჭურველთა, კარავთა და სხვათა მსგავსთა...

ასე განესრულა ბასიანის ომი.

ასე დათრგუნეს ქართველებმა მათი სამშობლოს გასანადგურებლად აღძრული უკანასკნელი „დიდი თურქობა“ სელჩუკის მოდგმისა...

დიდი გამარჯვების ამბავი ოძრხეში აახლეს თამარს. მალე თვითონ ძლევამოსილი მხედრობაც ეახლა სათაყვანო დედოფალს.

ოძრხედან ტფილისს მივიდნენ და დიდი ტრიუმფი გადაიხადეს.

რუქნ ად-დინის სახელმწიფო დროშა და მის მოკავშირე სულტანთა და ამირათა დროშები თამარის ფერხთა წინაშე დაალაგეს.

მერე ძვირფასი ტყვეები მოჰგვარეს თამარს. სარდალთაგან მხოლოდ რუქნ ად-დინსა და მუღის ედდინს გაესწროთ სამარცხვინო ტყვეობისაგან. დანარჩენები ბორკილდასხმულნი იდგნენ ახლა საქართველოს მეფის წინაშე: მელიქ ფაჰრ ად-დინ ბაჰრამ-შაჰ ეზინკელი, შამის სულტანი, ბირიტის ამირთ-ამირა და „სხუა სულტანნი და ამირანი“.

თამარმა ყველა, ერთის გარდა, ერთხანს ციხედ იყოლია, მერე შეიწყალა და გაათავისუფლა.

ხოლო „ის ერთი“, თამარის დიდსულოვანი შეწყალების უღირსი, აღმოჩნდა ეზინკის ბოროტი მბრძანებელი მელიქ ფაჰრ-ად-დინ ბაჰრამ-შაჰი, რომელიც თამარმა დასაჯა სრულიად „უცხო“ სასჯელით:

გაყიდა და... გასაყიდ ფასად აიღო ცხენის ნალი („განყიდა ნალად ცხენთა“)!

იმ წელსვე, როცა დიდი ძლევამოსილებით მოტანილი სიხარული ჯერ კიდევ არ განელებულიყო, ქართველებმა შეიტყვეს სიკვდილი რუქნ ად-დინისა. ბასიანის ჯავრი სამარეში ჩაჰყოლოდა ქართველების ბოღმით ავსებულ სულტანს.

ბასიანის შემდგომ

საზეიმო განწყობილება სუფევდა საქართველოში.

„ამა დღითი-დღე წარმატებათა და განდიდებათა შინა იყო სკიპტრის მპყრობელთა ყოველთა უბრწყინვალესი თამარ; უმეტეს შეუმატებდა ღმრთისმსახურებასა, ეკლესიათა და მონასტერთა კაზმასა და შენებასა, ობოლთა და ქურივთა შეწყალებასა და სამართლისა მოფენასა“.

შემოდგომით სამეფო სახლეულნი იმერეთ-აფხაზეთს გადადიოდნენ და „განაგიან საქმენი მანდაურნი“, გეგუთისა და აჯამეთის უღრან-მაღნარებში ნადირობდნენ, მერე ისევ ქართლს ბრუნდებოდნენ, შემდეგ ქვემო ქართლს და კოლა-არტაანს ეწვეოდნენ.

წლის დასასრულს ხარკი და ხარაჯა მოჰქონდათ: განძელთა, „აღმართ-ქალაქელთა“, ნახჭევნელთა, კარნუ-ქალაქელთა და ეზინკელთა.

„იშუებდეს და იხარებდეს“ დიდი და მცირე, გარნა „ესრეთ სიხარულსა შეუთქვს მწუხარება“.

გარდაიცვალა დავით სოსლანი, ღირსეული მეუღლე თამარისა და საქართველოს უპირველესი მხედართმთავარი, „კაცი აღსავსე ყოვლითა სიკეთითა, საღმრთოთა და საკაცობოთა, შესახედავად განშუენებული. წყობათა და ომთა შინა მხნე ვინმე გულოვანთაგანი, უხვი და მდაბალი და სიკეთე აღმატებული“.

გელათს დაკრძალეს დავით სოსლანი, ქართველ მეფეთა საძვალეში.

გლოვად დაჯდა თამარი — „შთაცმასა და დაფენასა ძაძისასა“.

მაგრამ გლოვა მისი უნდა დარჩენილიყო, ვითარცა პირადი საგლოველი, ხოლო სახელმწიფო კვლავ ხელმწიფურ საქმიანობას მოითხოვდა ხელმწიფისაგან.

და თამარმა მგლოვიარე წელსვე თანამოსაყდრე მეფედ დაისვა ძე თვისი, 12 წლის ლაშა-გიორგი.

დავით სოსლანის სიკვდილმა კი, მაინც გაათამამა თურქი მაოხარნი. ჯერ, მაიაფარაკინისა (ჩრდილოეთ მესოპოტამიაში) და ხლათის სულტნები სომხური მიწებისთვის დაერივნენ ერთმანეთს. ხოლო, სომხეთის მიწა-წყლისთვის ბრძოლის ატეხვა საქართველოსთან ომის განახლებას ნიშნავდა.

1207 წელს, პირველი მარცხიანი ლაშქრობის შემდეგ, მაიაფარაკინის სულტანმა ნაჯმ ად-დინ აიუბმა სასტიკად დაამარცხა ხლათის სულტანი ბალბანი, რომელმაც თავის მხრივ დასახმარებლად მოუხმო არზრუმის გამგებელს მუღის ედდინ თოღრულ-შაჰს. ხლათელმა და არზრუმელმა შეერთებული ძალებით უკუაქციეს ნაჯმ ად-დინ აიუბი. მაგრამ მუღის ედდინმა მოკავშირე ბალბანი მოკლა და ხლათს თვითონ დაეპატრონა. ხლათის მოსახლეობამ არზრუმელი არ გაიმეფა, იგი გააძევა და ქალაქი ნაჯმ ად-დინ აიუბს გადასცა.

ამას სომეხი ხალხის აჯანყება მოჰყვა. აჯანყებულებმა აიღეს ვანი და არჭეში. სომხებს მიეშველნენ ქართველები, რომლებმაც ხელთ იგდეს თვითონ ხლათი და მაშინვე გადასცეს აჯანყებულ სომხებს. მაგრამ ახალი საომარი ძალებით მოიცრა ნაჯმ ად-დინ აიუბი, ხლათი დაიჭირა და სომეხი მოსახლეობის დედაწულიან ამოწყვეტას შეუდგა.

როგორც კი ამ ამბავმა თამარის ყურამდე მიაღწია, მაშინვე საომარი სამზადისი ბრძანა. ლაშქარს მსახურთუხუცესი ივანე მხარგრძელი უსარდლა და სამხრეთისკენ აფრინა.

ქართველებმა სომხები შეიერთეს და ძლიერი იერიშით არჭეში აიღეს. ნაჯმ ად-დინ აიუბმა ხლათიდან გამოსვლა და არჭეშის გადარჩენისათვის ზრუნვა ვერ გაბედა.

ივანე მხარგრძელმა იმჯერად არჭეშის აღება საკმარისად ჩათვალა და თურქი ტყვეებითა და ნადავლით დატვირთული უკან გამობრუნდა.

მომდევნო წელს (1208) ისევ გაემართა ივანე მხარგრძელი ხლათისაკენ. იქ ამჯერად ახალი ამირა დამჯდარიყო — მ ე ლ ი ქ ა ლ-ა ვ ჰ ა დ.

ქართველებმა ალყაში შეხუთეს ხლათი. ყველაფერი კარგად მიდიოდა. ქალაქი დღე-დღეზე უნდა დანებებულიყო, მაგრამ მოულოდნელი რამ მოხდა. ერთ დღეს სადილი გაუგრძელდა ქართველთა მთავარსარდალს. ღვინოს მიეძალა მხარგრძელი. საღამოს ცხენს მოახტა და ხიდზე გადასვლა მოინდომა. თანაშემწენი არ ანებებდნენ, რადგან მდინარის მეორე ნაპირას თურქთა საფრები იყო მოსალოდნელი. მაგრამ უღვინოდაც თავზეხელაღებული იყო ივანე, უშიშარი, გინა „გულმხეცი". არ დაიშალა, ცხენს ქუსლი ჰკრა და ხიდზე შეაჭენა. რამდენიმე მეომარიც მიჰყვა ასაბიად. ის იყო, სარდალი ხიდის ნახევარს გადაშორდა და ერთბაშად მდინარეში ჩაინთქა: თურმე თურქებს იდუმალ ხიდის ფიცრები აეყარათ და ზედ თივა წაეფარებინათ.

ქართველთა ბანაკში გონს მოსვლაც ვერ მოასწრეს, ისე დააცხრნენ ჩასაფრებული თურქები წყალში ჩავარდნილ მხარგრძელს; შეიპყრეს და მხარგაკრული ქალაქში შეაქანეს.

მოულოდნელი წარმატებით გახარებულმა ალ-ავჰადმა წინ დაისვა ქართველთა მთავარსარდალი და საზავო პირობები უკარნახა: ივანეს 5(100 თურქი ტყვე უნდა გაეთავისუფლებინა, 100 000 დინარი ფულად უნდა გადაეხადა, რამდენიმე ციხეც უნდა დაებრუნებინა და მისი პირმშვენიერი ასული, სახელად თ ა მ თ ა, ალ-ავჰადისთვის ცოლად მიეთხოვებინა.

ივანე ტვეობიდან თავდახსნას ჩქარობდა, ვაითუ ტფილისში ამ უბედურმა ამბავმა ჩამასწროს და მსახურთუხუცესის თანამდებობაც დაკავებული დამხვდესო, და ამირასაგან ნაკარნახევ ზავს დათანხმდა. ალ-ავჰადმა ქართველ სარდალს მძევლებიც ჩამოართვა და ტყვეობიდან გამოუშვა. ივანემ ზავის ყველა პირობა აღასრულა, მხოლოდ თამთა არ მისცეს ცოლად ალ-ავჰადს.

თამარმა აპატია ეს „უნებლიე მარცხი" თავის ერთგულ ყმას.

მთავარი მაინც ის იყო, რომ ქართველებმა ვანის ტბამდე და მანასკერტამდე თურქ-სელჩუკთაგან გაწმინდეს სომხეთის მიწები, სომეხ-ქართველებს ერთი მთლიანი, განუყოფელი მშვიდობიანი ცხოვრება დაემყარებინათ ამ მრავალგზის სისხლნანთხევ და ნაწამებ მიწაზე.

მაგრამ თამარის დროს ერთხელ კიდევ სცადეს მაჰმადიანმა დამპყრობლებმა სომხეთის მიწების დაპყრობა და დათრგუნვა.

დიდმარხვა იდგა და თამარი გეგუთს ბრძანდებოდა, როცა სამხრეთიდან მალემსრბოლებმა საშინელი ამბავი მოართვეს: არდაველის (არდებილის) სულტანი წამოსულა დიდი მხედრობით ადარბადაგანიდან. ჩუმად, ხალხის უწყინრად გამოუვლია რახსისა და სურმარის ხეობანი და „უგრძნეულად მოსულა ანისს". სწორედ „დიდ-შაბათის მწუხრს"

იდუმალ დაუბანაკებია ქალაქის ახლოს. ანისელებს, ისე რომ მტრის მოსვლა არც გაუგიათ, ღამეც არხეინად გაუტარებიათ და ცისკარსაც გულდანდობილი ზეიმით შეხვედრიან. ხოლო, როცა „ცისკარი მოეახლა და ჰკრეს ძელსა და განახუნეს კარნი ქალაქისანი“, თურქები ანისელთათვის სრულიად მოულოდნელად გრიგალივით შეჭრილან ქალაქში. შეჭრილან და დედაწულიანად გაუწყვეტიათ უიარაღო ხალხი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა. გარდა იმისა, რაც ქუჩა-ბანდებსა და ფოლორცებში დაუქლეტიათ, თორმეტი ათასი სომეხი მარტო ეკლესიებში დაუკლავთ „ვითარ ცხვარი“. სიკვდილს მხოლოდ ის გადარჩენილა, ვისაც ციხეში, გამოქვაბულში ან სხვა რამ სამალავში ჩაჩუმქვრა და ჩაკეტვა მოუსწრია.

სომეხთა მუხანათურმა და მხეცურმა ჟლეტამ შეაძრწუნა და განარისხა თამარი. მაშინვე საომარი მზადება და არდაველის სულტანის სამაგალითო სიმკაცრით დასჯა ბრძანა. ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა ბრძოლის გეგმა შესთავაზეს მეფეს. მთავარი იყო, სულტანს ქართველთა მიახლოება არ გაეგო და თავის თურქობასთან ერთად ციხეებსა და სამალავებში თავშეფარება არ მოესწრო. რაკი თურქებმა სომხები დიდ საქრისტიანო დღესასწაულზე ამოწყვიტეს, ჩვენც სამაგიეროდ თურქებს მათ დიდ სამუსლიმო დღესასწაულზე, რამაზანობაზე უნდა დავეცეთო. ამიტომ თურქებმა რომ ეს განზრახვა ვერ შეგვატყონ, ჩვენ მათ მოსაჩვენებლად მცირე რაზმით მხოლოდ ანისს ჩავალთ და მთავარ ძალებს რამაზანობის წინა დღისთვის დაველოდებითო. ხოლო მთავარ ძალებად სამცხე-ჯავახეთის, კახეთ-ჰერეთისა და სომხითის (ქვემო ქართლის) ლაშქარი უნდა ვიკმაროთო; ქართლისა და იმერეთის მხედრობა საერთოდ არც უნდა გამოვიყვანოთ, რადგან ქართლელთა ამოძრავება მტერს შეუმჩნეველი არ დარჩება და წინასწარ თავშეფარებას მოახერხებსო.

თამარმა დასტური ბრძანა. მხარგრძელებიც ანისს ჩავიდნენ მცირე რაზმით, ხოლო, როცა რამაზანობა მოახლოვდა, თამარმა „უბრძანა მესხთა, თორელთა, თმოგუელთა, ჰერ-კახთა, სომხითართა“ და წარგზავნა ანისს. თვითონ მეფე კოლას ჩავიდა და იქ დაელოდა ლაშქრის დაბრუნებას.

ანისიდან მხარგრძელებმა სწრაფი სვლით გაიყვანეს ლაშქარი; „გარდავლეს გელაქუნი და ჩავლეს ისპიანი, გავიდეს ხუაფრიდის ხიდსა“ და ღამით „უგრძნეულად“ მიადგნენ არდაველს.

მიიდრიკა წინაღამე რამაზანისა. „აიდი განთენდებოდა, რომელ არს აღვსება“ მუსლიმთა. და ის იყო, არდაველის მთავარი მიზგითიდან იყივლა მოლამ და დანარჩენ მუყრ-მუეძინთა ყივილიც აჰყვა, რომ ქართველებმა ცხენები მოსხლიტეს და ქალაქში გრიალით შეცვივდნენ. არდაველი ხელის გაუნძრევლად დანებდა მოულოდნელად მოვარდნილ

მტერს. მხარგრძელთა ბრძანებით, მიზგითებში ლოცვად დაჩოქილი თორმეტი ათასი მუსლიმი მოკლეს — სანაცვლოდ იმდენივე სომხის გაჟლეტისათვის ანისის ეკლესიებში. მოკლეს თვითონ სულტანი. მისი ცოლშვილი ტყვედ აიყვანეს. ამას გარდა, „სხუა უმრავლესი ერი მოსწყვიდეს, და სხუა ტყუე-ჰყვეს“. დიდძალი სიმდიდრე ირგეს გამარჯვებულებმა: „ესრეთ აღივსნენ სიმდიდრითა აურაცხელითა, თუალითა და მარგალიტითა, ოქროთა და ვერცხლითა, ჭურჭლითა ოქროსა და ვერცხლისათა, შესამოსლითა, საფენელითა და ყოვლითა სიმდიდრითა ეგოდენ გამდიდრებულისა ქალაქისა, რომელ მოთხრობა ძნელ სადმე არს. აღივსნეს ცხენითა, ჯორითა, აქლემითა, საქონელი მათი თვით მათვე სახედართა ძლით აჰკიდეს და წამოემართნეს“.

იგივე გზით გამობრუნდნენ ძლევამოსილნი. ანისს მოვიდნენ და აქაურებს აღდგომას დაქცეული სისხლის აღება ახარეს.

ანისიდან კოლას მივიდნენ „მეფეთა მეფესა და მზეთა-მზესა და დედოფალთ დედოფალსა წინაშე“...

ეს ამბავიც — ქართველთაგან სომეხთა სისხლის ზღვევინება — 1208 წელს მოხდა.

ლაშქრობა სპარსეთს

ერთ დღეს თამარს ეახლნენ ამირსპასალარი ზაქარია, მსახურთუხუცესი ივანე და ვარამ გაგელი, და მოახსენეს:

„ძლიერო ხელმწიფეო, შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინვებულო! იხილე და განიცადე სამეფო თქუენი და ცან სიმხნე და სიქველე სპათა შენთა; გულისხმა ყავ, რამეთუ მრავალი ახოვანნი, მხნენი და რჩეულნი იპოებიან სპათა შენთა შორის, რამეთუ არა არს წინააღმდგომი მათი. აწ ბრძანოს მეფობამან თქუენმან, რათა არა ცუდად დავიწყებასა მიეცნეს სადმე სპათა შენთა საქმენი, არამედ აღვამხედროთ ერაყს, რომ-გურსა ზედა, რომელ არს ხუარასანი, და ცნან ყოველთა სპათა აღმოსავლეთისათა ძალი და სიმხნე ჩუენი. და უბრძანე სპათა საქართველოსათა — მზა იყუნენ ლაშქრობად ხუარასანს. დაღათუ არავინ ქართველთაგანი მიწევნულ არს ხუარასანს და ერაყს, არამედ ბრძანე, რათა ნიკოფსით დარუბანდამდე აღიჭურნენ და მზა იყუნენ!“

მაშ, სრულიად ირან-სპარსეთის დალაშქვრას სთავაზობდნენ თამარს მისი სარდლები.

დიახაც დრო დამდგარა, ერთხელ ქართველებმაც ილაშქრონ ასწლეულთა მანძილზე საქართველოს წასახდენად და აღსაგველად მომდინარე ირანის მიწებზე.

თამარმაც აწვია დარბაზი; აწვია და „მოუწოდა ყოველთა წარჩინე-

ბულთა ამის სამეფოსათა, იმერთა და ამერთა“ და გაიმართა ბჭობა სპარსეთს დიდი ლაშქრობის თაობაზე. დარბაზმაც ერთხმად დაასკვნა გალაშქრება და მაშინვე შეუდგნენ საომარ სამზადისს.

იდგა 1209 წელი, „მოიწია არე სთვლისა“ და ტფილისში დასრულდა ჯარების შეყრა, „ნიკოფსიითგან დარუბანდამდე“.

თამარმა გულდასმით დაათვალიერა ლაშქარი და „იხილა აბჯარითა კეთილითა და პატიოსნითა და მოეწონა აბჯარი და ცხენკეთილობა მათი, სიდიდე და სიმხნე სპათა მისთა“. მხედრობის „მოხილვის“ შემდგომ, თამარმა „მოიღო დროშა სვიანად ხმარებული გორგასლიანი და დავითიანი“, ისევ ვარძიის ღვთისმშობელს შეავედრა, ლაშქარი გულმხურვალედ დალოცა და დროშა ამირსპასალარ ზაქარიას გადასცა.

დაიძრა ქართული მხედრობა დიდ ლაშქრად ირანისაკენ.

სწორედ დიდი ისტორიული მოვლენა შემოდიოდა ქართველი ხალხის მატიანეში...

ჯერ „ჩავლეს პირი ნახჭევნისა და გავიდეს ჯუღას და რახსსა და შევლეს ვიწრო იგი ხევი დარდუზისა“ და აქედან მიადგნენ დიდ ქალაქს მარანდს. მარანდელებს დროზე შეუტყვიათ ქართველთა მოახლოება და მახლობელ მთებში გახიზნულან დიდიან-პატარიანად. ქართველმა სარდლებმაც ასე ივარაუდეს, რომ მარანდელთა ლაშქარი მთებში იქნებოდა ჩასაფრებული. ამიტომ გამოყვეს ხუთასი რჩეული მეომარი, ყველა „დიდებული და აზნაური“, უსარდლეს „კაცი მხნე“, თაყაიადინ თმოგველი, და გაგზავნეს ქალაქს ზემოთ წამომართულ მაღლობზე, მტრის დასაზვერავად. თუ იქ მტერი მართლა აღმოჩნდებოდა, თაყაიადინს დაუყოვნებლივ ამირსპასალარისთვის უნდა ეცნობებინა და თვითონ ძირითად ძალთა მოსვლამდე შებრძოლებას განრიდებოდა.

მაღლობს შეუდგა თაყაიადინ თმოგველი და მისი რაზმი. პლატოზე ავიდნენ, დადგნენ და მზერა მიაპყრეს „ღირღალთა და კლდეთა მაღალთა“. მარანდელნი მართლა იქ ყოფილან ჩასაფრებულნი და ქართველთა სიმცირე რომ იხილეს, მაშინვე სრულად გამოიჭრნენ ყიჟინით, ხვიეილით, ღრიანცელით. თაყაიადინ თმოგველმა დაივიწყა ამირსპასალარის გაფრთხილება, ფიცხლავ შუბი გამართა, რაზმს შეუძახა და იერიშზე გადმოსული მტრისკენ გაქანდა. მამაც მეთაურს მიჰყვა ხუთასი ქართველი მეომარი, შუბგაწვართულნი, მძვინვარე ყიჟინით.

როცა ქართველთა მთავარმა ძალებმაც მოაღწიეს და პლატოზე ავიდნენ, ცოცხალთაგან იქ არავინ არ დახვედრიათ. ბრძოლის ველი ირანელთა გვამებით იყო დარეცილი, ხოლო მათ შორის არც ერთი ქართველი არ აღმოჩნდა — მხოლოდ ხუთასი ქართველის შუბი იპოვეს ხუთასი მუსლიმანის მკერდში დარჭმული.

მაშ, საღდა იყვნენ თვითონ თაყაიადინ თმოგველი და მისი მეომრე-

ბი? აღარ იცოდა რა ექნა გაოცებულ და გაოგნებულ ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელს. მაგრამ დიდხანს არ გაუვლია და მთებიდან დაეშვა თმოგველი თავისი ხუთასივე მებრძოლით.

ყველაფერი ნათელი გახდა: ქართველებს იერიშზე გადმოსული მტრის ჭარბი ძალები დაუმარცხებიათ, უკანვე გაუქცევიათ, თვითონაც გამოდევნებიან და ისე თავდავიწყებას მისცემიან, შიგ მთებში შეჰყოლიან გაქცეულ და თავზარდაცემულ მტერს.

როცა საერთო სიხარული და აღტაცება ჩაცხრა, ზაქარია „აბრალებდეს თაყაიადინსა“ და „მჭისედ ეტყოდა სიტყუასა ამბავის უცნობებლად შებმისათვის“.

მარანდის დაჭერის შემდგომ, ქართველები გაემართნენ თ ა ვ რ ე ჟ ი ს ა კ ე ნ (თავრიზი). მოსალოდნელი იყო, რომ ესოდენ დიდი და მნიშვნელოვანი ირანული ქალაქი უომრად მტერს არ დანებდებოდა. მაგრამ „ვითარ ესმა თავრეჟს მყოფთა მისელა ქართველთა ლაშქრისა, განკრთეს, და ძრწოლამან შეიპყრნა ყოველნი მკვიდრნი თავრეჟისანი“. მაშინვე ქალაქის მესვეურებმა ელჩობა გააწყვეს და ქართველებს შემოაგებეს. შეწყალებას ითხოვდნენ, მორჩილების პირობას დებდნენ, დიდძალი ხარკისა და ძღვენის გაღებას აღუთქვამდნენ. „განკვირვებულ“ ქართველებსაც ისღა დარჩენოდათ, აღეთქვათ„ მშვიდობა და უვნებელ განლა ქუეყანისა მათისა“. მაშინ „მოვიდეს ყადნი, ხოჯანი, დარვეშნი და ყოველნი თავადნი თავრეჟისანი, მოიღეს ოქრო და ვერცხლი, ლარი, ცხენები, ჯორი და აქლემი, თუალი, მარგალიტი, შესამოსელი, საზრდელი კმასაყოფი ლაშქართათვის“.

ქართველებმა თავრეჟში მცირე ციხიონი დატოვეს და სამხრეთისაკენ გზა განაგრძეს.

ადარბადაგანი ჩაათავეს და მ ი ა ნ ა ს (მიანე) მიადგნენ. აქაურ მელიქს უკვე შეეტყო თავრეჟის უბრძოლველად მორჩილება და თვითონაც ქედდადრეკითა და ნებაყოფილობითი ხარკის გაღებით გადაწყვიტა საკუთარი თავისა და ქვეყნის გადარჩენა. ქართველებსაც არ სწყუროდათ სისხლის დაქცევა და სიამოვნებით მიიღეს მიანელთა შემოთავაზება. მელიქმაც „სტუმართათვის“ მოიღო „ოქრო და ვერცხლი და ქვანი ძვირფასისანი. აღავსნა მანაც ყოველითა სიმდიდრითა“ ქართველნი ზაქარიამ მიანაშიც დატოვა მცველი-ციხიონი და ახლა ზანგანისკენ დასძრა ლაშქარი.

ზ ა ნ გ ა ნ ი (ზენჯანი) მანამდე „მცირე ქალაქი“ იყო, ალიზის კედლებით გარშემორტყმული. მაგრამ მის მესვეურებს ქართველთა ირანში შემოჭრის ამბავი რომ შეუტყვიათ, „ქალაქი ძლიერად გაუმაგრებიათ“ და როგორც კი მტერი მოადგათ, „იწყეს ფიცხლა ბრძოლა“.

ზაქარიამ ზანგანის კედლები ჯარებს უბნებად მიუზომა და უბრძანა, „რათა შესთხაროონ“. ყველაზე უწინარეს მესხთა მეომრებმა „შეხუ-

რიტეს“ და შეანგრიეს ზღუდე და პირველნი შეიჭრნენ ქალაქში. შეიჭრნენ „შინა და იწყეს ხოცად და სრვად ვინცა მეომარი იყო“, ხოლო ქალსა, ბავშვსა და მხცოვანსა ხელსაც არ ახლებდნენ. ამასობაში, ქართველთა სხვა ნაწილებმაც შეანგრიეს თავის „წილხვედრი“ კედელნი და ქალაქში შეიჭრნენ.

ზანგანელებიც დანებდნენ და დიდძალი სიმდიდრეც გაიღეს ხარკად ქართველთა.

ქართველები ზანგანს ერთხანს „დადგეს და მცირედ განისუენეს“ მერე გეზი ხორასნისკენ აიღეს. მთელი დღე იარეს. მიმწუხრს ერთი „მცირესა სოფელ-ქალაქსა მუსულმანსა“ მიაღწიეს; ის „სოფელ-ქალაქი“ მტრულად შეხვედრისათვის მტრულადვე მიანგრიეს და დაღლილ-დაქანცულნი ისევ დასასვენებლად დადგნენ.

დილით ადრე ისევ განაგრძეს გზა, სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. უკვე შორს გასცდენოდნენ კასპიის სამხრეთ სანაპიროებს.

გამოჩნდა დიდი ირანული ქალაქი ყაზმინი. ქართველებმა მგლური იერიშით მიაშურეს. ყაზმინელებმაც უიმედოდ ჩათვალეს ყოველგვარი წინააღმდეგობა. ქართველები ქალაქში შევიდნენ და დიდძალი ალაფი აიღეს. მცხოვრებთაგან არავინ შემოკვდომიათ. მხოლოდ მძევლები აიყვანეს.

ყაზმინიდან აღმოსავლეთისკენ გაემართნენ. ერთმანეთს ცვლიდნენ მაღალი. თოვლიან-ყინულიანი მთაგრეხილები და თვალუწვდენელი ალმურიანი უდაბნოები (1540 წლის წინათ ამ გზებით მიაქროლებდა თავის მხედრობას ალექსანდრე მაკედონელი).

კასპიის სამხრეთ-აღმოსავლეთით გააღწიეს ქართველებმა და საკუთრივ ხორასანში შეიჭრნენ. აიღეს და დაარბიეს განთქმული ქალაქი გურგანი (გორგანი). დალაშქრეს ქალაქები „უშინაგანესისა რომგურიასა“ (ავღანეთი).

აქედან სულ რამდენიმე დღის სავალზე იყო ინდოეთი...

უკვე აღარ შეეძლოთ წინსვლა აურაცხელი ალაფითა და ნადავლით დატვირთულებს, ამიტომ „შემოიქციეს გამარჯვებულნი და ძლევაშემოსილნი ქართველნი“. ასე განასრულეს, რომ „ვერავინ წინა-აღუდგა სპარსეთს შესულთა, ვერ ხუარასნისა სულტანი, ვერ ერაყისა და ვერა რომელი თემი“.

ქართველები ხორასანს ჯერ კიდევ არ გამოშორებიან, რომ ჩრდილოეთ ირანში, ქალაქ მიანაში ვიღაცამ ცნობა მოიტანა: ხორასანს მოლაშქრე ქართველებს „დიდი სულტანი“ და გილანელნი გარს შემორტყმიან და ისე გაუწყვეტიათ, ერთი მთხრობელი რა არის, ისიც კი არ გაუშვიათო.

ამის გამგონე მეანის მელიქი და მისი მუსულმანი მოქალაქენი აღ-

ტაცებაში მოვიდნენ, მერე მათთან მცველ-ციხიონად დატოვებულ ქართველებს დაერივნენ, ცოცხლად გაატყავეს და ძელებზე გამოჰკიდეს. განწირულთაგან მხოლოდ ერთმა მოახერხა გაქცევა და გადამალვა.

მაგრამ გამოჩნდა ხორასნიდან მომავალი ქართველობა. მიანის მელიქისათვის ეს ზარგანხდა იყო, თუმცა გონი მაინც მოიკრიბა და ქალაქში შემოსულ ქართველებს კვლავ დიდძალი ძღვენი მიაგება.

ზაქარია მხარგრძელმა მცველები მოიკითხა, ადრე მისგან დატოვებულნი.

„თავრეჟს წარვიდნენ მუნ დატოვებულთა მცველთა თანა", — იცრუა მელიქმა.

მაგრამ მოვიდა ის ერთადერთი გადარჩენილი ქართველი და თავისიანებს აუწყა, რა დღეც დამართეს მუსლიმანებმა ამ ქალაქში დატოვებულ ქართველებს. მელიქს და მის ამალას ენა ჩაუვარდათ. ქართველთა სარდლობა უსაზღვრო რისხვამ მოიცვა. მაშინვე მელიქი შვილებითა და მკვლელთა ამალით იქვე ჩახოცეს; ქართველთა გატყავებისათვის იმათაც ტყავი გახადეს და ქალაქის უმაღლეს „საყივარზე" — მინარეთზე ჩამოჰკიდეს. „ქალაქი მოაოხრეს, მოწუეს, ტყუეყვეს, ხოლო სიმდიდრე რომელ წამოიღეს, შეუძლებელ სადამე არს აღრიცხვად".

წამოემართნენ საქართველოსკენ.

ესოდენ ძლევამოსილნი მოდიოდნენ, მაგრამ მთავარსარდალი მაინც გულჯავრიანად მოუძღოდა მხედრობას.

არავის უმხელდა, რომ აგერ მერამდენედ იგრძნო თავი ცუდად. ეს დასჩემდა ამ ლაშქრობის ჟამს: სვირინგები აყრიდა ჯერ იღლიებს ქვეშ, მერე მთელ ტანზე; ცივი ოფლი ასხამდა ჟამიდან ჟამზე, სახსრებშიც ამტვრევდა. მერე ისევ ქრებოდა სვირინგები, უსიამო ჟრჟოლა და მტვრევაც შეუშვებდა ხელს...

ადარბადაგანს შემოვიდნენ. უ ე ნ ი ს (უჩენი) მცხოვრებნი შემოხვდნენ დიდძალი ძღვენით, მერე ისევ თავრეჟელნი გაეგებნენ „ძღუენითა ურიცხვითა, და მოართუეს სიმდიდრე აურაცხელი".

საქართველოს საზღვრებს უახლოვდებოდნენ.

მდიდარი ნადავლიდან წინასწარ უძვირფასესი აარჩიეს და თამარს გამოუგზავნეს, „თვით მეფეთა მზისა და მზეთაცა მზისათვის წარმოვზავნეს თუალნი დიდ-ფასისანი, ძვირად საპოვნელნი, და ჰურჭელნი უცხონი".

შემოვიდნენ საქართველოს სამფლობელო საზღვრებში. გადმოიარეს რახსი, ნახიჭევანი.

ტფილისი დიდი ზეიმით შეეგება ძლევამოსილ მხედრობას.

თამარი გამოვიდა.

„მხიარულ იქმნა მეფეთა მეფე, მმადლობელი ღმრთისა, მხიარულითა პირითა გაეგება, ზეიმითა და დიდებითა“.

ზეიმი იდგა საქართველოს სატახტოში.

„იყო ხმა ბუკთა და დუმბულთა“.

ისნის სასახლეში დიდი დარბაზობა გამართა თამარმა.

შეიყარა დარბაზის ერი და მეფეთა მეფის ტახტის წინაშე ყველანი „დასხდეს წესისაებრ“. გამარჯვებულებმა „მოიღეს არმაღანი ურიცხვი და დადვეს მეფის წინაშე“.

სამაგიერო გაიღო გულუხვმა და გულმოწყალე მეფეთა მეფემ: „მრავალნი გასცა ობოლთა და გლახაკთა ზედა, და ლაშქართა ზედა გაჰხა საჭურჭლე დიდი“.

ზეიმი დასრულდა.

მცირე ხანიც გამოხდა და ზაქარია მხარგრძელს ისევ გაუხსენა ირანიდან გამოყოლილმა უცხო სენმა. სვირინგებმა დაჰფინა მთელი სხეული. დაუშავდა და დაუჩირქდა. შეუძლებელი შეიქნა განკურნება მისი.

და მიიცვალა ზაქარია ამირსპასალარი.

დარჩა ძე ერთი, სახელად შ ა ნ შ ე...

როცა ზაქარია მხარგრძელის საგლოველი განესრულა, მის ნაცვლად თამარმა ამირსპასალარობა ზაქარიას უმცროს ძმას, ივანეს უწყალობა

ივანე მხარგრძელი დიდად ნასიამოვნები დარჩა თამარის ესოდენი წყალობით, მაგრამ მცირეოდენი ყოყმანის შემდგომ მაინც შებედა მეფეთა მეფეს: ესოდენი პატივი ჩემთვის დიდზე დიდია და ღირსიც არა ვარ მისი, მაგრამ რაკი თქვენ ასე გინებებიათ, მე რომ ჩემი ძმის სახელდებისა არ შემრცხვეს, ესრეთ შემეწია, ამირსპასალარობის სანაცვლოდ ათაბაგობა მიბოძეო; ესეც ვიცი, ათაბაგობა ჩვენში წესად არ არისო, იგი მუსლიმთა ადათია და მეფეთა გამზრდელად იწოდებისო, მაგრამ მაინც გეაჯები, იქნებ მიბოძო ათაბაგობაო.

თამარს დიდსულოვნად გაეღიმა და ბრძანებით აღასრულა თხოვნა მისი პატივმოყვარე ყმისა.

ეს იყო პირველი ათაბაგი საქართველოში — „ათაბაგი“.

ხოლო მსახურთუხუცესობა, რომელიც აქამდე ივანეს ეჭირა, ვარამ გაგელს უბოძა თამარმა.

იმ წელს საქართველოს მთაში დიდოელთა და ფხოველთა რაღაც „განდგომა“ მომხდარა.

თამარმა ათაბაგი ივანე მხარგრძელი წარგზავნა. მხარგრძელმა მთიელები „ჩააწყნარა“...

იმ წელსვე ივანე ათაბაგმა თავისი მშვენიერი ქსული, თამთა, ცოლად მისცა ხლათის ახალ სულტანს, ა ლ-ა შ რ ა ფ ს.

ოლიმპიური სიმძლავრითა და სიმშვიდით სუნთქავდა საქართველო.

ასეული წლების წინათ მიტოვებული ქარქაშები მოიკითხეს დავით-ფერულმა მახვილებმა.

მხოლოდ ქართველებს შეეძლოთ იერუსალიმში გაშლილი ეროვნული დროშებით შესვლა.

ბრწყინავდნენ ქართული კალამი, ყალამი და საჭრეთელი.

ზეობაში და მზეობაში იდგა დიდი იმპერია „ნიკოფსიითგან დარუბანდამდის“ (ჩრდილოეთით) და სინოპიდან არდაველამდის (სამხრეთით).

კვლავ უფრო გაზრდილიყო და გაშლილიყო ერთიანი სახელმწიფო კავკასიელთა.

მასში შედიოდნენ:

საკუთრივ საქართველო, მისი საერისთავოებით: ჰერეთი, კახეთი, რუსთავი, ტფილისი (მეფის დომენი), ქართლი, ორბეთი, ლორე, კაენი, გაგი, თორი, ჯავახეთი, თმოგვი, სამცხე, ტაო, ჰანეთი, აჭარა. ქუთათისი (მეფის დომენი), არგვეთი, რაჭა-თაკვერი, სვანეთი, გურია, ოდიში, ცხუმი;

სომხეთი: ანისი, დვინი, ბიჯნისი, სივნიეთი, ხაჩინი (არწახი);

შირვანი: შირვანი, დარუბანდი;

ჩრდილოეთ კავკასია: ქაშაგეთი, ოვსეთი, დურძუკეთი, ღუნძეთ-ლეკეთი;

ქვეშევრდომნი: ტრაპეზუნტის იმპერია, კარნუ-ქალაქის საამირო, ეზინკის საამირო, შაჰ-არმენთა სასულტნო, ადარბადაგანი, განძის სასულტნო.

იჯდა თამარი ერთიანი კავკასიური იმპერიის ტახტზე.

მის დროს სრულიქმნა დიდი დავით აღმაშენებლის მიერ საფუძველდებული ეთიკეტი საქართველოს სამეფო კარისა.

და ჩვენც ასე უნდა წარმოვიდგინოთ დარბაზობის ცერემონიალი მაშინდელი საქართველოს სამეფო კარზე.

მეფეთა მეფე, პორფირით მოსილი, გვირგვინით თავშემკობილი და სკიპტრით ხელში, ზის ოქროჭედილ ტახტზე.

დარბაზობის დაწყებისას პირველი შემოდის გელათის აკადემიის მოძღვართმოძღვარი. იგი მიდის ტახტის წინ დაგებული ნოხის ნაპირამდე და თავს დაუკრავს მეფეს. მეფე წამოდგება, ნოხს მთლიანად გამოიცლის, მოძღვართმოძღვარს ნოხის ნაპირთან შეეგებება, სამაგიერო სალამს მიუძღვნის და მის მხლებელს მიმართავს: „მოახსენე, ბრძანო-

სო“. თუ მოძღვართმოძღვარს რაიმე სათხოვარი აქვს, მაშინვე შეუძლია მოახსენოს მეფეს.

მერე შემოდის კათალიკოსი. მის თაყვანს მეფეც თაყვანით უპასუხებს, მაგრამ ისე, რომ ნოხის მხოლოდ მესამედს გადმოიცლის.

ახლა მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი ეახლება და ორჯერ ეთაყვანება. მეფე სამ ნაბიჯს გადმოდგამს, საპასუხო სალამს მიუძღვნის და გადაკოცნის.

შემდეგ ვაზირები მიჰყვებიან. ჯერ ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი მიეახლებიან და ორჯერ ეთაყვანებიან. სამაგიეროდ მეფეც ორგზის უპასუხებს და სალმის მიცემას ხელების მაღლა აპყრობით დაასრულებს; ხოლო მეჭურჭლეთუხუცესისა და მსახურთუხუცესის ორგზის თაყვანისცემაზე მეფე ასევე მისალმებით და უფრო „უმდაბლე ხელის აპყრობით“ უპასუხებს.

ერთად შემოდის სამი არქიეპისკოპოსი — ქუთათელი, იშხნელი და სომხითის მიტროპოლიტი. მეფე მათ თაყვანზე ორ-სამ ნაბიჯს გამოიყოლის და ისე უპასუხებს სალმით.

დანარჩენ სასულიერო და საერო პირებს, რიგით ეპისკოპოსებს, ვაზირებს და ერისთავებს, მეფე სალმით ადგილიდან, ტახტიდანვე უპასუხებს.

მაღალი სახელოს მოხელეთათვის და საპატიო სტუმრებისათვის დარბაზში ოქროჭედილი სელები და მაგიდებია ჩარიგებული.

პირველ მაგიდას უზის საქართველოს კათალიკოსი.

მეორე მაგიდას — გელათის მოძღვართმოძღვარი და დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი.

მესამე მაგიდა განკუთვნილია საქართველოს პოლიტიკურ მფლობელობაში მყოფი ოთხი მეფისათვის, ესენია: ტრაპიზონის მეფე, შირვანშაჰი, შაჰ-არმენი და ოვსთა მეფე.

მეოთხე მაგიდასთან სხედან: ჭყონდიდელი, ქუთათელი, იშხნელი და სომხითის მიტროპოლიტი.

მეხუთე მაგიდასთან — ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი.

შემდგომ მაგიდებს უსხედან რიგითი ეპისკოპოსნი, ვაზირნი და ერისთავნი.

ასეთი იყო თამარის კარი.

ხოლო, თვითონ თამარი...

რომლისა სიკეთისა მითხრობა კაცთაგან შეუძლებელ არს.

ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი

რომლის ხილვითაც მხოლოდ ღმერთნი არ ბრმავდებიან.

გოეთე

ვითარცა ქალი, იყო ქალთაგან უმშვენიერესი;

ტანად — ტანოვანი;

ნაკვთად — ნაკვთოვანი;

სახედ — სახიერი;

იერსახად — არამიწიერი;

„შუენებითა აფროდიტიანითა“;

„სატრფო საჭურეტი დაბნედამდის“.

ღაწვნი — ღვთაებრივ სპეტაკნი, მკრჭალი ვარდისფრით შეფერილნი.

თვალნი — გრემანნი, აღსავსე ხიბლით, სიბრძნით, შუქმოსიერებით.

„მორცხვი ხედვა, ლაღი მიმოხედვა, ტკბილი პირი, მხიარული და ულიზღო სიტყვის სინარნარე“.

დადიოდა, ვითარცა „უკიმირო ჰაერი და უმრუმო ნათელი“.

ვითარცა — „თუალი უღამო და დღე უუკუნო, და საწადელ და საშუებელ სულისა და ხორცთა“.

ვითარცა — „მზე და მზეთა და ნათელი ნათელითა, ელვარება და მზეებრ მაშუქებელი სხუათა“.

სიბრძნით იყო სწორუპოვარი მისსავე ბრძენ საუკუნეში — „ღმრთივგანბრძნობილი“, გინა „უკლებელი გონებითა და საუნჯე სიბრძნისა“.

იყო მოსაუბრე „სიტყვითა ოქრონექტარითა“.

სიტყვა მისი იყო „ტკბილ და ძვირუხსენებელ“.

იყო ზნეობით ზეციურად უსპეტაკესი.

და ყველა ერთად: სილამაზე, სიბრძნე, სიტყვა და ზნეობა მისი — „სანთელი იყო გონიერთა და უგუნურთა. პირველთა განმანათლებელ და მეორეთა დამწუელ. აღვირი იყო უწესოდ მკრთომელთა და დეზ უდებთათვის; კანონი სირცხვილისა მოხუცებულთა და კუერთხი რკინისა ჭაბუკთათვის“.

მისთვის მისი სახელმწიფო უნივერსალური მოვლენა იყო.

უნივერსალური იყო მისი ხელმწიფობაც, რამეთუ არარა საქმე, არცა დიდი და არცა მცირე, მისგან დაუკითხავად და მისი სიბრძნისგან განურჩეველად არ განესრულებოდა.

იყო საოცრად თავმდაბალი, გულმოწყალე და დიდსულოვანი შემწყნარებელი. ჰქონდა „სიმდაბლე (თავმდაბლობა) უზომო, სიმაღლე შეუსწორებელი, სიმშვიდე საქებელი, სიმჭისე (სიმკაცრე) ჯეროვანი, ლმო-

ბიერება მოწლე (მოწყალე), მოწყალება თანალმობილი, უმანკოება უზაკველი, სიწრფოება უსიცრუო, სახიერება ზოგად-ყველასათვის, სიუხვე აღუზუავებელი (უამპარტავნო)".

გაუსწორებელ გამცემთა და ქველგამხედვართა მიმართაც მუდამ იყო მსაჯული დინჯი და „გაურისხებელი". მის დროს არც სიკვდილით, არც სხეულის დასახიჩრებით არავინ დასჯილა (თვინიერ გუზან ტაოელისა, რომელსაც აკი თამარის შეუტყობინებლად დასწვეს თვალები), არც ტაჯგანაგებით უცემნიათ ვინმე. ყოველივე მკაცრად აკრძალა სწორუპოვარმა ჰუმანისტმა ხელისუფალმა: სიკვდილით დასჯაც, ასოს მოკვეთაც, ყოველი სახის გახეიბრება, ჯოხებით ცემაც. ასეთ სისასტიკეთა გარეშეც, დიდი კაცთმოყვარეობით, სიბრძნითა და მიუკერძოებელი სამართლიანობით შეძლო თამარმა „ესევითარსა კაცისა უვნებლობასა შინა უვნებლად და მშვიდობით დაჭირვა და მოწურითა კაცთა ქედფიცხელობისა და გონება-ურჩებისა". ამიტომაც მის სამეფოში „საყდართა და მონასტერთა დალეწვასა ვერვინ იკადრებდა. ქარავანსა ვერვინ ძარცვიდა... ერთიცა ქათამი არსად მოიკლვოდა; მპარავი ავის-მოქმედი აღარ იყო; თუ ნაპარევი ვინმემ ჰპოვის, კარსა ზედა მიიღოს და დროშათა ქუეშე დადვის".

ჰეშმარიტი პატრონი იყო თავისი ქვეყნისა და ხალხისა, „პატრონი ღმრთივგანათლებული", გინა „პატრონი ღმერთ-შემოსილი".

უმდიდრესი ხელმწიფე იყო, მაგრამ თვითონ სადა, მოკრძალებული. „უქონელი" ცხოვრებით ცხოვრობდა. მისთვის სავსებით უცხო იყო ჩვეულებრივ, დემობორ * მონარქთა „წურბლის მსგავსი ვერ-მაძღრისობა", ხოლო ხალხისთვის, ქვრივთა, ობოლთა, უქონელთა, გლახაკთა და უპოვართათვის, გასცემდა „სიუხვითა მზეებრითა".

თვითონ იტყოდა ღიმილით თამარ:

„მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა".

ეკლესიებთან „საზრუნველონი" დაარსა უქონელთათვის", და „განამდიდრებდა სამზრუნველოთა ეკლესიათა, ქურივთა და ობოლთა და დავრდომილთა, ზოგად ყოველთა ზედა".

მისი ბრძანებით, საგანგებოდ დადგენილი „სარწმუნონი ზედამდგომელნი" ყოველი წლის შემოსავალს ანგარიშობდნენ და სახელმწიფოს მთელი შემოსავლის მეათედ წილს ღარიბებსა და უქონელ-უპოვრებს ურიგებდნენ, „ყოვლისა ნაათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებელად ერთისა ქრთილისა მარცულამდეცა". უხვად აჯილდოებდა მეფე ლაშ-

---

* დემობორი — „ხალხის მჭამელი", პირველად ჰომეროსმა იხმარა ეს ტერმინი მეფეთა ბუნების გამოსახატავად.

ქრად გასულ ყმა-აგრიკოლებს. ამიტომაც მის დროს „აზნაურის ყმანიც მათთა პატრონთა სწორედ იმოსებოდეს“.

„გლახაკთა და მოჩივართა გამკითხველს“ გულის სიღრმემდე ებრალებოდა უძლურნი და საპყარნი. თავის მახლობლად დააბინავებდა მათ. თვითონ „ზრდიდის საზრდელთა და ყოვლითა სახმარითა“, საკუთარი ხელით აჭმევდა, საკუთარი ხელით სარეცელს გაუწყობდა, დააწვენდა, დალოცავდა და გაამხნევებდა.

სამაგალითო ქრისტიანი მოწესე იყო ქრისტიან ხალხთა მეუფე. ვითარცა ზეცა და დედამიწა, ისე შორს იდგნენ ერთმანეთისაგან „ქრისტიანულ-ფილანთროპული“ ზნეობა თამარისა და „ქრისტიანულ-მიზანთროპული“, ანგარებიანი და სისხლიანი მორალი ევროპის „ჯვაროსანი“ ხელმწიფეებისა. საქართველოში ისევ უცხო იყო სისხლიან ბოროტებამდე აყვანილი რელიგიური ფანატიზმი. თამარმა შესანიშნავად იცოდა ქრისტიანიზმის, ვითარცა იმდროინდელი „იდეოლოგიური ფენომენის“, პირველთაგანი მნიშვნელობა: რამეთუ მისი ეგიდის ქვეშ შეერთებულ ქრისტიან ხალხებს საკუთარი „ეროვნული სახე“ არ დაეკარგათ. ამიტომაც იყო თამარი უპირველესი, „დაუცადებელი“ ქრისტიანი „მოწესე“, გინა „მორალისტი“. ამიტომაც იყო, რომ მან ყოველთვის „ვითარ მოწესემან უწინარეს ძილისა ლოცვა და ფსალმუნება გარდაიხადა“. ამიტომ იყო, რომ ხალხის, ომში წასული მხედრობისა და სახელმწიფო დროშისათვის ლოცვაში მთელ ღამეებს ქალი-ხელმწიფე შიშველ მუხლებზე დაცემული ათენებდა. ამიტომაც თამარის დროს, თამარის სპეტაკი ცხოვრების შემყურე, ვერავინ — ვერც სასულიეროთაგან, არამცთუ უზნეო ქცევას, უბრალოდ ერთი ბილწიანი და ბიწიანი სიტყვის დაძვრასაც ვერავინ გაბედავდა.

დიდი დავით აღმაშენებლის მწიგნობრულ ტრადიციებზე აღზრდილმა, თავისი დროის „უგანათლებულესი სამყაროს“ სათავეში მდგარმა სკიპტროსან-გვირგვინოსანმა კარგად იცოდა, რომ ქრისტიანულ ტაძართა სენაკებში, ქრისტიანულის გარდა, იწერებოდა საფილოსოფოსო, სამეცნიერო, სახელოვნებო წიგნებიც...

და თამარი შეიქნა ყველაზე დიდი აღმშენებელი და მზრუნველი ტაძართა და სავანეთა. მან აღაშენა, აღადგინა, გადააკეთა, გადაარჩინა, ან „რომელიმე დარღვეულნი აღაშენა“, ეკლესიები, ლავრები და სავანეები — პალესტინაში, კვიპროსზე, სინას მთაზე, შავ მთაზე, საბერძნეთში, ათონის მთაზე, პეტრიწონში, მაკედონიაში, თრაკიაში, რუმინეთში, ისავრიაში, კურუხეთში და კოსტანტინოპოლში. აღაშენა, მორთო, მოკაზმა და აურაცხელი ოქრო-ვერცხლითა და საბოძვარით აავსო ისინი, მათი ქრისტიანი მოწესენი, მეცნიერ-მწიგნობარნი და უთვალავი ქრისტეს-გლახაკნი.

ცისმარე დღეს შეუსვენებლივ იღვწოდა თამარი. იცოდა „წყნარმა და

ნარნარმა, ცნობიერმა და გონიერმა“, ადამიანური უქმობისგან წარმოსდგებოდა ადამიანური ბოროტებანი. ყველა დასაქმებული ჰყავდა. „არცა თვითონ უქმობდა და არცა თვისთა ყმათა აუქმებდა“.

შრომობდა ქართველი ხალხი. შენდებოდა ტაძრები, სავანეები, სრასასახლენი, ციხესიმაგრენი, გზები, ხიდები, ფუნდუკები, სარწყავ-საირიგაციო სისტემები, ჯებირები, წალსადენ-აქვედუკები.

„და გრძელ სადმე არს ყოვლისა მოთხრობილობა, რომელ საბერძნეთს და ყოვლისა ელადას-შინანი მონასტერნი უხვად წყალობადმოფენილ ყვნა და საქართველოს მცირითგან მონასტრით საყდარ-ეკლესიანი არა დაუტევა რომელ არა წყალობით აღავსო“.

აშენებდნენ, სჭედდნენ, კვეთავდნენ, წერდნენ, ხატავდნენ.

გაჩნდა მრავალი:

„თამარის-სასახლე“,
„თამარის ციხე“,
„თამარის ხიდი“,
„თამარის წყარო“,
„თამარის ეკლესია“,
„თამარის სავანე“,
„თამარის ხატი“,
„თამარის ჯვარი“,
„თამარის ყელსაბამი“,
„თამარის სარტყელი“,
„თამარის ქოში“...

რად ღირს თუნდაც მხოლოდ გეგუთი, ბეთანია, ყინწვისი და... ვარძია.

ვარძია! გასაოცარი ნაშობი ადამიანის გონისა და ხელისა, კლდეში ნაკვეთი ქალაქი, ციხესიმაგრე, სალოცავი პასტოფორიონი, სადარბაზო, სავანე...

ვარძია, გეგუთი, კოლა, აგარანი, ტაბახმელა, დური, ნაჭარმაგევი, ნადარბაზევი — აი, საყვარელი სადგომ-სამყოფელნი თამარ მეფისა.

დიაცი იყო და უყვარდა საქმენი სამამაცონი:

მშვილდოსან-მახვილოსნობა.

ნადირობა,
ჯირითობა,
მხედრობა.

დიაცი იყო და უყვარდა „ხელსაქმარი“ სადიაცონი:

მატყლის ჩეჩვა და ძაფის რთვა,

ქსოვა და ბეჭვა,
ჭრა და კერვა,

ჭარგვა და კემსვა მანეულებად.

დავით სოსლანს და გიორგი ლაშას მისი ხელით შეკერილი და მოჭარგული ჯუბა ემოსათ.

საკუთარი ხელით ნაქსოვ-ნაკერს საკუთარი ხელით აცმევდა ღარიბს, ქვრივს, ობოლს, უძლურს, დავრდომილს.

მრავლად დააბიჯებდნენ ქვეყანაზე „ბედნიერი“ მათხოვრები და მაწანწალები — ბედნიერნი, რამეთუ ემოსათ ნახელავნი თამარ შვიდმნათობიერისა...

კარი მეოთხე

მიმწუხრისა

„ცასა ცათასა“

პოეზიის მუზა ხომ ყოველ მეფე-ბაგრატიონს ეტრფოდა განუშორებლად.

და თამარიც იყო პოეტი ჭეშმარიტი.

და ვითარცა „გალობანი სინანულისანი“ დავით აღმაშენებელს, და „შენ ხარ ვენახი“ დემეტრე პირველს, ისეთივე სიმშვენიერით ამკობს თამარ შვიდმნათობიერს მისი ლექსი — „იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად აღწერილი“:

ცასა ცათასა

ცასა ცათასა დამწყებ არს ღმერთმთავრობა,
ძე საუკუნობს პირველი და კვლავადი,
სულმან წმან ღმერთმან სრულყო მოქმედებადი,
სამებით სრულმან ერთითა ღმრთეებითა,
მიწით პირველის, პირმშოჲსა კაცისა.

შენ მიერ მისთვის დრკუსა მის განმგებელი
დრკუი მიდრკა უვნებელი ვნებისადმი,
ივნო და ვნება პირველი უვნებელ ყო,
შენგან შობილმან ჩვენ ღირსგვყვნა აღმოშობად
ბნელით ნათელსა, ნათელთა მხედველობად.

შენგან, ქალწულო, რომელსა შენთვის დაეით
როკეიდა, ძისა ღმრთისა ძედ შენდა ყოფად,
მე, თამარ, მიწა შენი და მიერიევე,
ცხებულობასა ღირსმყავ და თვისობასა.
ედემს, ღადირთად, სამხრით და ჩრდილოეთით.

შუამფლობელი იავარს შენდა ვმრთელობ,
ხალიფას დროშა თანავე მანიაკსა
შევრთე, ცრუ-სჯულთა მოძღვრისა ღაზოდ მძღვანი,
ვინ დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან,
მოირთხნა, მოისრნა სულტნითა, ათაბაგით.

ერანს ებრძოლეს ჩემ მიერ მისთა სპათა
ჩვენნი მხედარნი, მოსავნი შენნი, სძალო,
მოწყულნეს, მოსწყვიდეს აგარის ნათესავნი.
მუნით მოსმულთა ნიჭთაგან ერთსა ამას
შენდა შევწირავ, მიოხე ძეებრ, ღმერთო!

მეხოტბეთა

იყო თამარის დრო-ჟამს პოეტი გრიგოლ ჩახრუხაძე, დაბადებით მოხევე („მოხევის ძეთა ჩახრუხაძეთა"), რომელსაც შეუთხზავს ხოტბა-პოემა თამარისადმი, მანამდე უცნობი, სრულიად ახალი და თავისთავადი ლექსთაწყობით, სიტყვათწარმოებით, ჯვარედინი თუ შიდაგარე რითმათა სიუხვით და პლასტიკური მიმოქცევით. სახელიც შესატყვისი დარჩება ამ ახალ, ნარუქ ლექსწყობას ქართული პოეზიის ისტორიაში — „ჩახრუხაული", — თუმცაღა, მეორე სახელიც — „შავთელური"...

პოეტური აღნაგობის სიახლესთან ერთად, ნაწარმოები გვიჩვენებს მისი ავტორის ფართო ფილოსოფიურ განსწავლულობას. მართლაც ყოფილა იგი „სიბრძნით ღვთიური" (ვითარცა იტყვის არჩილ მეფე), „უცხო პიიტიკოსი... მთქმელი მესტიხე, დიდი სიბრძნის მოყვარე, ყოვლად საქები, რიტორთ-მსტიხთ გვირგვინი" (ვითარცა იტყვის ანტონ კათალიკოსი), „მეცნიერებით სრული და რიტორ-მჭევრ-მოუბარი..., რომელსა უწოდდენ ქართველნი მესტიხეთ გვირგვინად..." (ვითარცა იტყვის იოანე ბატონიშვილი).

აი ისიც — თვითონ თხზულება ჩახრუხაძისა, „თამარიანი", ანუ „ქება მეფისა თამარისი":

შესავალი

1. 1. მო, ფილოსოფონო, სიტყვითა არსნო,
თამარს ვაქებდეთ გულისხმიერსა!
2. დიონისითგან, ვით ენოსითგან
სრულნი ქებანი ამძლეთ ძლიერსა!
3. სოგრატ სიბრძნითა, სარამა გრძნითა
ვიყვნეთ, ვერა ვიქმთ საწადიერსა;
4. უმიროს, პლატონ სიტყვა დამატონ,
თვით ვერა მიჰხვდენ შესატყვიერსა.

2. 5. არისტოტელო, ბრძენთა ტომელო,
თუ არა შესძლებ ენა-ძლიერსა,
6. ათინას თქმულა, სიღრმით დანთქმულა;
ვერავინ სრულ-ჰყოფს მას მეცნიერსა.
7. გულისხმის-ყოფად, გონება-ყოფად
მისთანისათვის მაძებნიერსა;
8. ვინ გული ესე სიბრძნითა სთესე,
ანუ ვის ძალ-უძს შენგან მიერსა?

3. 9. ხელ-ვჰყოფ კადრებად, ქებად დარებად,
მჭვრეტთა ვაუწყო გონებიერსა;
10. ღაწვი მწყაზარი — ა, მულღაზარი,
უგავს ელობა კრონოს ციერსა
11. ნაელვებითა, მზისა ენებითა
ცისკროვნად ვხედავ შუქ-მოსიერსა.
12. აჰა, მზიანად მიზეზიანად
მთვარესა გაჰხდი უნათლიერსა.

I

4. 1. ვინ ჩნდა ეგმისად, მსგავსად აწ მისად
წინასწარ მთქმელი მისთა მთქმებულად
2. თუ გერვინ გნახის, მით ივაგლახის,
შეიქმნებოდის განცვიფრებულად;
3. ვერ მრავლებისა გატევრებისა,
თამარ, შენ გიცნობ განცხადებულად!
4. ჩვენ გთქვათ: „ეს რად ჰგავ? — ზეციერად ჰგავ
შვიდთა მნათობთა დაშვენებულად".

5. 5. მოუბარისა მის მდუღარისა
დილარგეთისგან აღშფოთებულად
6. ბროლისა ველსა თვალ-უწდომელსა,
ინდონი ეყვნეს დამონებულად.
7. შუქნი კრთებიან, ემუქფებიან,
ზუალ ინინებს დაქადებულად.
8. გულისა ნებო, მზეო, ინებო,
თამარ ჩანს შენად რუსხა მკლებულად.

6. 9. თუ მოვანება გწადდეს, თუ ნება.
ვისგან უფრო აქვს დამეტებულად,
10. ვის ძოწეული, ვარდ-გაწეული
ღაწვი უმწყაზრობს განბრწყინვებულად,
11. ვინ ჩნდეს სამყაროს, ალვა აყაროს,
ან თამარ ჩნდების განმთავრებულად,
12. მეშურნებოდეს, რად მიმყვანობდეს,
რომე ვინ იყოს მოშორებულად.

7. 13. ლერწამ ტანისა, ხაროსა ხისა
მიმსგავსებულ ხარ განკვირვებულად!
14. თაესა კლვად სდებდეს, ხვეპით ეძებდეს
შენსა ნახვასა მიახლებულად.
15. ვინა შვენებდენ, სულთ აშენებდენ,
სამონოდ მოგცენ ერთ-უფლებულად.
16. ბნელი თუ უყო, ელვა განუყო,
მაშინც არ ითქმი დაბნელებულად.

8. 17. მე თუ ესტირ ოდე, ვისღა ვსტიროდე,
თუ არ შენ გქვრეტდე დადუმებულად?
18. დავით მხნე, ბრძენი, რომელსა ზენი
ხდად-ჰყოფენ ზესთა წარჩინებულად,
19. ბრევის ისარსა, — ვიტყვი: „ის არსა
ეფრემის ძირთა აღმორჩებულად,
20. ვინ ხრმლითა ბადრობს, უშიშ-უკადრობს
მტერთა სრეისათვის აღმართებულად“.

9. 21. რომლისა ძემან, უბინდოდ მზემან,
ლაშა-ყე გიმზო წარმართებულად, —
22. ვიტყვი: „მას მზესა! ვინ განუწესა
ღმერთსა ღმრთისაებრ შეყვარებულად,
23. ძესა სანდომსა, ვახტანგის ტომსა,
რომელ ენატრა მისად სწრებულად,
24. ვითა იწადა, რა დაიბადა
სპარსთა სიმაღლე და-ცა-დებულად?“

10. 25. მით ლხინი თქვენი იყვეს საშვენი
ალაბს — დამუშკოს დასულტნებულად!

26. მოწონეს თავი, ცნეს მათი ნაკი
მაშინ დანთქმისა მიახლებულად;
27. სწრაფით მოხარკე იქმნეს მოხარკე,
თავის მმონები მით შეძლებულად.
28. თვით ამან დაკით ქმნა, უნდოდა ვით,
ურჩ-ქმნილთა ძებნად მოწოდებულად.

11. 29. ყარყუმს და არანს, მით ზედა არანს
როსტომ ებრძოდა თვით შეძლებულად.
30. ყოველითვე მჯობენ სძლო დიდად მჯობენ,
ვინ ჩნდეს მას თემსა განმთავრებულად.
31. სხვაცა ჩანს მათი შარავანდ-მნათი
მისგან ნაოტი დამონებულად.
32. მონებენ ზღვანი, სიტყვაცა-მავნი:
არვინ ჩნდა თქვენად ასწორებულად.

12. 33. გამოჩნდა ზვაკი, მძლედ ჰქონდა თავი,
იბრღვენდა მხეცებრ განძვინვებულად.
34. მდედრნი და ცუდნი, ძალ-შეუზღუდნი
კაცნი რომე ყვნეს დატყეევებულად,
35. მათსა ძლევასა და აწ რჩევასა
გაეამაყნეს ალაღებულად.
36. უთხარ მთავართა ესე: „ჰკავართა
მათ ზედა განმხდნენ გასახრმლებულად!“

13. 37. ურიცხვი ერი, მოყმე და ბერი
წამო-ცა-ვიდეს ამხედრებულად.
38. არ ზარ-მოსულსა ეთქვა მოსულსა:
„ქაფარსა ნახავთ გაბასრებულად!“
39. იტყოდა: „ვჰკადრე, მე შევქმნე ადრე
მათი ქვეყანა მოოხრებულად“.
40. რა გესმა მშვიდსა, საქმესა შვიდსა
ხელ-ჰყავ სიბრძნითა არ შფოთებულად.

14. 41. უბრძანე სპათა: „ლხინად ვლი სჯათა,
რომლისაგან ვჩანთ ნათელ-ღებულად!“
42. განამხნენ მხნენი, თავის კლვად მთნენი,
თქვენთა სჯულთათვის სისხლ-წამებულად.
43. დაასკვნეს ომი, წაუძღვა ლომი
დავით დავითის მიბაძვებულად,
44. მხნედ და სვიანად, აგარიანად;
არა განრისხდა გაზი ესებულად.

15. 45. ელნი ელნობდეს, ვინ სოგრატ გრძნობდეს,
იგია მისთვის შემსგავსებულად;
46. გინა უმიროს, გულსა უგმიროს,
ვის ძალ აქვს ცნობა განმარტებულად,

47. ანუ ენოსა მე უენოსა
რად ვინ მაბრალებს ვთქვა დაკლებულად?
48. მათ რომე წიგნნი გასცნეს ჟამისნი,
მცნობნი მით იქმნენ განცვიფრებულად.

16. 49. მოუხდეს ზედა, რა ზედი-ზედა
ცხენს ლომი მელებს დაჯაბნებულად,
50. მართ ვითა ნახეს, მით ოვაგლახეს,
თავი მცრადა ქმნეს, ცნობა-ვნებულად.
51. მათგანვე იენეს, მით განიბნივნეს,
განდრკეს მეოტნი განრიდებულად;
52. თანა-მეყოფნი წარვიდეს მსრბოლნი,
შეიქმნა შიში ზარ-აღებულად.

17. 53. მან იქალაქა. აღსრულდა აქა
შენით აღთქმული თვით ქადებულად.
54. თქვენგანმან ოცმან, ბევრისა მხოცმან,
სძლო მათთა სპათა დამეტებულად.
55. არ იცის ერთ მან, ათასი ერთმან
მით წარიქცივნა მიდევნებულად.
56. მოჰმადის ტომნი უკრავ-უომნი
მოსრნეს, მოსწყვიდნეს განქიქებულად.

18. 57. აღივსნეს ტყვითა, ლარ-პირუტყვითა,
არ დარჩა კაცი არ შოებულად.
58. ეზინკას მფლობი, არ შენაფლობი,
სეგორს დამჭეედად ჰგავს შესწრებულად.
59. უარ-ყვეს თნებით: „არ მოვეთ ნებით,
ვიყავთ უნებლივ მოცთუნებულად“.
60. გვესმინა, სითგან იქმნეს დღესითგან
მოჰმადიანნი მოყვანებულად.

19. 61. ჩვენ, ერნი შენნი, შენ მიერ შენნი,
ერთ-ხმობით ვიტყვით განმარტებულად:
62. „რა არს-ქმნა იყოს, ვირე თვით იყოს,
ღმერთმან თქვენცა გყვნეს ძითურთ გებულად“.
63. საულს მეფობა ართო, მეფობა
დავითს მიჰმადლა შეფიცებულად.
64. შენგან იშვების, პირველ შიშელდების
საშოთხესაე კეალად შვებულად.

II

20. 1. სიბრძნით ქმნა ღმერთმან; სამებით ერთმან,
ცა და ქვეყანა — არს მეცნიარი! —
2. მნათობთა დასი, სხვა ბევრ-ათასი
ჰაერი, ეტლი, ქართა მქნიარი.

3. დასდვა ბრძანება და ამცნო მცნება
თვისად და თვისად შესაშინარი:
4. „აღრაცხენ ტომნი მცთომნი, უცთომნი,
უსიტყვ-მოსიტყვნი და მოუბნარი!“

21. 5. თამარ! შენ გიძნობ, ასულად გიცნობ:
მზე დაუვალი, შუქ-მომფინარი!
6. მხიარულ იქენ! ნაქმარი გიქენ,
გესმნეს ნატიფნი და მშვიდი, წყნარი,
7. ელვა-ეთერი და სიტყვიერი,
დარმანის ველი ედემს მაღნარი;
8. არს ცნობათ მოთხე, ვითა სამოთხე,
წყლად წყალი მრწყველი, მუნვე მდინარი.

22. 9. სიუხვით ზღვებრი, სიმაღლით ცებრი,
მდაბლად მოწყალე, ჰვრეტად ნარნარი,
10. მძლეთა მძლეველი, თვით უძეველი,
კედრით კედრამდის მძლედ სასმენარი —
11. ასეთი ესე არს ეს მოწესე,
ჯვართაცა, ღმერთო, არ მომთმინარი.
12. დიდსა მსაჯულსა ამტკიცებს სჯულსა,
ღმერთმან მით მოგვცა შისი საქნარი.

23. 13. კაცები გმონებს და გიპატრონებს
ვეფხთა კლდოვანი, ლომთა შამბნარი,
14. არსნი მზედ გხმობენ, შვიდნი გამკობენ,
ვინცა შეგცოდა თავის საქნარი.
15. ვერ მიგწვდენ ქებად — სხდენ თვითვე ენებად! —
პლატონის ენა, დავითის ქნარი.
16. . . .

III

24. 1. თამარ წყნარი, შესაწყნარი,
ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი,
2. მზე-მცინარი, საჩინარი,
წყალი მქნარი, მომდინარი.
3. მისთვის ქნარი რა არს? — ქნარი
არსით მთქნარი, უჩინარი.
4. ვარდ-შამბნარი, შამბ-მაღნარი,
ღაწვ-მწყაზარი, შუქ-მფინარი.

IV

25. 1. ვინ არს ებანი? ვინ არსე ბანი,
არა არს სათნი სახელოვნებად!
2. მან ცათა მარის, მანცა თამარის
გან მზე აბნელა მაცისკროვნებად?

3. ადამეთ ერთა ადამ ეთერთა
დასახა სახებრ მსგავსი პოვნებად.
4. არსთა ღაღადი: „რად არს-ღა ღადი
მზე შენგან მთმევად უეტლოვნებად?!“

26. 5. შენ არე მთენი! შენ არე მთენი
არ გგვანდეს შუქთა პაეროვნებად!
6. არა თუ ზევსი არათ უზევსი,
არ, შენ ხარ მნათი დაუყოვნებად!
7. მის მიერ მისად მისმი ერმისად,
სხვათა მნათობთა მართ ბინდ-მხდოვნებად.
8. არს ასულ-ტანი — არსა სულტანი
არა თუ შენა სამაროვნებად.

27. 9. არამედ გარე, არა მედგარე
თვით და ხალიფას გამკიცხვანებად.
10. მეტყვის მით ენოს მეტყვის: „მითენოს
წყვდიად, რომელ ჩანს ვარდი თოვნებად.
11. არ აქა, მანდა არ აქამანდა
არა ნარგისთა შამბი მოვნებად“.
12. ეგე ნათელი! ეგე ნათელი
რა ნახოს, მზესა აქვს ბნელოვნებად.

28. 13. შენსა სადარსა! შენსა სადარსა
ვერა ვსჴვრეტ ცხადად და ნახსოვნებად!
14. თქვენა ზენათა მზეო ზენათა, ,/
თუმცა მზე ეთერს ნამტკიცოვნებად...
15. . . / . .
16.

V

29. 1.
.
2.
. . . . . .
3. მაგრამ კალ, იბი, რადგან კალიბი
შენთა შუქთა სძლევს შუქ-მტაცებარე,
4. ვინ ნახა სადა, ნასახად სად ა
შენებრ ნათელთა ბნელი მცებარე?

30. 5. ანუ ვის ესმის, ან უვის ეს მის
და არა იქნეს განმცვიფრებარე?
6. მჴვრეტნი ვიტყვითა, მჴვრეტნი ვიტყვითა:
„ანუ თუ სიზმრად მაოცებარე!“

7. ანუ ცნა ურად, ან უცნაურად
სოფლისა წყალთა დამშვენებარე,
8. რადგანცა დახვალ, რადგან ცად ახვალ
ზუალო, ეტლი, მთვარე მცებარე.

31. 9. რომელ ვანება, რომ ელვანება
შენ ოდენ გქონდეს მაცისკრებარე!
10. არა გეთნია არ აგეთნია
მნათობნი, მით ვცნენ დამბნელებარე.
11. მანათო ვლითა, მანა თოვლითა
ღაწვ-მულღაზარობს გამომღებარე.
12. ვინა ტრედია? ვინატრე, დია,
ძე ღმრთისა შენდა მწედ მწოდებარე.

32. 13. ვის აქვს შენებრი დამამშვენებრი
ქცევა, გონება, სული მწლფებარე?
14. ვინანი, სადა ვინ ანისადა
მისთა მოყმეთა მარცხო მზღებარე?
15. წუხად ანელმან რა თქვას ან ელმან
დღეს მუსულმანთა მოსათნებარე? —
16. აგარის ერთა სალმობიერთა
სხვაცა ვინ იყო ხრვად შემძლებარე?

33. 17. არ მით ავნებდა, არმით ავნებდა,
რომე ჩანს ლომებრ შემძახებარე;
18. ოს დიდმან დავით ოს დიდ მან დავით
ფარუხ შემუსრა წინამგებარე,
19. მანგლის პირითა მანგლის პირითა
ოდეს მუნით ყო მეოტებარე
20. შენ მისნი ერნი! შენ მისნი ერნი
გარნისს მოგიხსნა მით გემქებარე.

34. 21. შამბთა ვით ისრი, შენგან ჩანს ნისრი
შენებასავე ძრწოლად ებარე.
22. გამცრობს ერაკლე: სპარსთა ერ აკლე,
მოსრენ მოსწყვიდენ ანათებარე.
23. წაუღე რანი, წა, უღერანი
ყელსა დაასხენ ჩამომდებარე.
24. მიუშვენოდეს, მიუშვენ ოდეს
ამბერდად. რა ვთქვენ, დვინის მებარე.

35. 25. თუღამე მთენი, თუ ღამე მთენი
აქილოს ჰპოვნე, მამაკლე ბარე;
26. ვინ ეფრემს თვისობს, სიმხნითა ისობს
მბრძოლთა სისხლითა ხმელთა მღებარე.
27. იგი ვარდ-გული, იგი ვარდ-გული,
ხე ედემს რგული, ნაშენებარე.

28. ჯავარ მოწყალე, ჯავარ მოწყალე,
თურქთა მრისხანედ შემრისხებარე.

36. 29. აქა მან დაცით აქამანდა ვით,
სხვამცა ვინ ჰგვანდა მეისრე ბარე?
30. ბერთა საჩევნი, ჭაბუკთა მლხენი,
ძმათა შვებისა მოუკლებარე,
31. მეჯლისთა შინა, დიდებულთ შინა
ლაშქართ სიუხვით მამთოველებარე.
32. ბეერჯელ ნაყოფად არსმცა ნაყოფად
ლაშა თქვენ მიერ ნამორჩებარე.

VI

37. 1. ახალო პირო, მძლეო ნოსრ ვითა, —
ბრძენმან გასახა, ასურმა, ისო.
2. მხნეო და გმირო, ბობქარ ოხერითა
ითხრის მგოდებმან ფლასურმა ისო,
3. ვაჲ, გაუხშირო მტერთა მოსრვითა.
შენი თქვეს: „შამი, ა სურმა ისო“.
4. ესრე ატირო გულსა მოკრვითა,
ხრმალი მოფხვრისა ნასურმა ისო.

VII

38. 1. ჰე, ფილოსოფნი დაწყებად მყოფნი,
გონება-ვრცელნი რიტორთა წვევად,
2. ელენთა შვილნი, ელადს სწაელილნი,
ენა-მზეობდეს სიტყვათა რჩევად,
3. ფსალმუნთა მთქმენსა, შენსა სასმენსა
ათძალი ჰქონდეს ქნარ-სიტყვთა რევად,
4. ეგრეცა მსგავსად ვერ გრძნობდეს გავსად,
ფერო ეთერსა ელვათა სრევად.

39. 5. თუ ვისცა ვუქი შენი ხმა-შუქი,
ელვ ანუ მზევად, ანუ მთვარევად.
6. არა გაქვს ბნელი, ხარ საძებნელი
ხვეჭით და ნდომით შენამართევად.
7. მესმა ათენით: თქვენ გაათენით,
ცუდად გაიჭრნეს ღამეთა თევად
8. ზენით მნათობნი, ეტლთა მთიებნი,
არ მათად სჴვრეტენ მართ ნამათევად.

40. 9. იტყვიან ფიცით: „რაც ოდენ ვიცით
თქვენგან ნარბევთა სამყაროს რბევად,

10. ცისკრობს მოხედვა მოკლის, მო ხედვა
ალვისა მორჩთა რტოთა მორჩევად".
11. ამხედრდეს ოდეს, სხვა ვინღა რბოდეს
ნათლისა სხივთა დაუმალევად?
12. გაბაონს ისო რა გნახა, ისო
ურჩთა გულებსა მახვილი ლევად.

41. 13. აჯა და ლოდნა! ამით ხვდა ლოდნა
მის განძევართა ელვათა ძევად.
14. უბრძანა აქარს: „გაქვს! რაცა აქ არს,
სათნოა ღმრთისა მით განრისხევად".
15. რა ქმნა ის აჯა, ქოლვით ისაჯა
მუნ მოხეეჯითა სახმართა ზღეევად.
16. განატრო ელთა: უმძიმს ტროელთა
არ შენთვის მკვდარ-ქმნა ელენთ სათნევად.

42. 17. ივდითის მწყდარი არს შვიდგზის მცდარი,
რომე ჩანს შენგან არ მონაკვლევად.
18. სამფსონ პალატად ჩანს-ყე ღალატად,
თავი დალითას განაპარსევად.
19. დორიადარა რად ვთქვა შენ დარად,
ანუ დებორა გაგულქველევად?
20. არ ჰქონდა ნება, არცა შვენება
ნათელთა შენთა დასამსგავსევად.

43. 21. იყო ეთერი მაგრა ეთერი
არა ჰყვა მასცა სულ-ნახუთევად.
22. რამინს უშენოდ სტკივის: უშენოდ
შვრებოდა ვისის ნამიჯნურევად.
23. ოსან ოს რეტი არს შენამჭვრეტი,
გმო თავის ბედი, თმო ნატანჯევად.
24. სალას სალმობად უჩანს-ყე დალმობად
სხვათათვის ხელ-ქმნა ლხინ-უნახევად.

44. 26. უგავს შატბიერს, გულად ლაყბიერს,
ანალათისა რად დაშვრა ძევად?
26. და სტირს კაენის — ეს, ვით კაენის
ძმის მკვლელობისა დანაბრალევად.
27. ამან თავი რად მართ აზავირად,
შექმნა ლეილის ნამიჯნურევად,
28. ნებით რად არა შენ გემუდარა,
ანუ სამონოდ მოგმართა ძლევად?

45. 29. წყალთა არსთასა, ძალთა სპარსთასა
უძლოდ გიტყვიან, არ შეუძლევად:
30. ხაფად დაგესხნეს, ქმრად რომე გესხნეს,
აწ ძვალთა მათთა გაუხდეს რყევად;

31. ერანს მფლობელი, შეუფლობელი
ბობოქარ გახადე ნაცარ-ნასხმევად,
32. ლომთა თავადად, თქმული ავადად
სხვამცა ვინა ჩანს ხლათს ნამარხევად.

46. 33. ვიცით შარვანით, მყოფი არ ვანით,
გაშას გასული ნაგაშპასევად,
34. სხვანი მრავალნი, დაუთვალავნი
მდომელ-ტრფიალნი შვებისა წვევად.
35. უცხოთა მაგით, ჳვრეტითა შმაგით
კალიბათა სჩანს შეუსახევად,
36. ფერით ამო მზე, გონებად მომზე,
სწორუპოვარი, წყალ-ჯავარ ქცევად.

47. 37. ლაღი მწყაზარი, არა დამზარი,
რაცა სამს ურჩთა გარდასახდევად.
38. ითქმი უღამო, ტკბილი და ამო
მოწყალებისა ნაუფსკრულევად.
39. სიბრძნითა საესი, ყოლ არ მოთაესი,
ვინცა იპოვოს ნაორგულევად.
40. არა მაგ ზმნითა, არ ამა გზნითა
მჳვრეტნი ვინ იყოს სხვა დაუწვევად?

48. 41. ი ცის კარებით იცისკარებით
შენთა ბროლ-ვარდთა ზრო ნაფურჩნევად.
42. დრუნგილის ფიცრად, მტკიცედ საფიცრად
შენი თავი ჩანს შუბლ-ნაელევად.
43. ატევრებ თმითა, სულისა დგმითა
ანატრებ გნახოს ვინ განაძლევად.
44. ნაყბიერ პირსა, მზე-დანამჳვირსა,
შენის ნარგისთა განაცისკრევად.

49. 45. ა, გრძელობს ყელი, დაუნაყელი
სული ვის შერჩა მახვილ-უკრევად.
46. თუ გიქო ტანი, მოწმობს სულტანი,
არ დამაჩნდების ცუდ-ნაჭორევად,
47. ეთერთა მთენნი თქვენგან ნარცხვენნი
შენვე გეძებენ ღონისა წვევად.
48. ლხინი ითხოვე, თვით რაღა ჰპოვე,
გაუშვენ ჩინნი ეტლ-წანაგვრევად.

50. 49. იტყვიან მნახნი, ხმა-მაღლად მზახნი:
„ილვისოს ველსა ჰგავს ნაჯუფთევად“.
50. ღაწვთა არესა შუქნი მთვარესა
მელნისა ტბანნი დგანან მორევად.
51. ჰე, ნახე სახე: შამბნარისა ხე
ინდოთა ცვად ყონ ნამუხთალევად!
52. არ ძალ-მიძს ქება, მე დადუმება
მით აღვირჩიენ აღვირ-ნასხმევად.

51. 53. თუ ძნობდეს ენოს, კვლა დაიყენოს
პლატონ მუსიკი მწყობრ-შენასხმევად;
54. უხმნა უმიროს, სამფსონ და კვიროს
აწ შენთვის აღძრნა გამოსაკვლევად.
55. იპოვნენ იცდარად და ვერ მიმხვდარად
შენის მსგავსების დასასახევად.
56. ნათელი უთქმან, შენვე დაგინთქმან,
თვალნი ვერ გსახვენ სხივ-შესადგმევად.

VIII

52. 1. ასრე მეწყალი, რომელ თვალთაგან
ცრემლთა ნაკადი ღვარულად მოდის,
2. ვითა მოვკვდები, რომლის ჭირითა
მაგალითები აღარ ითქმოდის,
3. შენთა მოყმეთა რა ჰქმნან, რომელთა
დედა და მამა აღარა სმოდის? —
4. მუნ დაიხოცნეს, სადა სახელი
ქვეყანისაცა არა ისმოდის.

53. 5. შენ გულსა ესე იმედად უთხარ:
„ვითარცა შორით კვლა მოვიდოდის“.
6. მაღრიბსა დაყვნეს ჟამნი მრავალნი,
აჰვაზს, მოსულსა ქვა-ოქრო ჰქონდის,
7. ანუ ნაზარეთს ჩინთა და ხანთა
გზა მოემოკლოს, მოისწრაფოდის,
8. კონსტანტინოპოლს ნავნი ააგენ,
ზღვა წყნარად იყვის, ტაროსი ჰქონდის.

54. 9. მობაღდადენი ბარდავს მოვიდეს,
მახარობელი ჩვენთანა რბოდის;
10. ათი ათასი მარ-გაკვეთილი
ბიბი მოჰყვანდის, მოეზაოდის.
11. აქლემთა ტურფათ მძიმე ტვირთითა
მონა-მხევლები წინა უძღოდის.
12. შენ გაეგებო სურნელთა კმევად,
მუჯამრი გქონდის, ალვა იწოდის.

55. 13. მარა მარმარნი მკლავნი მოგხვიენეს,
სიხარულითა სული იწოდის.
14. მას გაუმთელდეს გული მოკლული,
აღარა ოდეს ლახვარს ისოდის.
15. ქაბასა მფლობი დიდი ემირი
მას შიგანს მთხრებლსა თვისად ისმოდის,
16. მოჰმადის ხმობად, მიზგითად შესლვად,
თაყვანის-ცემად მას შიგან გცოდის.

IX

56. 1. ვიცი, გეწყალი: დამნთქამს მე წყალი,
ნოეს ნაკადი, მოქცევი ღვარი.
2. რაღა კელა მოვკვდე? თუ არა მოვკვდე,
ვაიმ, მაგალითო, მე ოდენ ვარი!
3. ჩემსა მოყმესა, ლომთა მოძმესა,
ვის არად უჩნდის სახლი და კარი,
4. დამეტეს მჭნელად: გაიკრეს ველად,
სადგურად ჰქონდის ლომთა შამბნარი.

57. 5. არვისად სწორად ჩავიდის შორად,
ინდოეთს იყვის მისი საზღვარი.
6. ამოვლნის ინდნი, ხანნი და ჩინნი,
არარად უჩნდის მას მათი ზარი.
7. ატალას მოჰყვის, ქვეყანას მოსცვის,
არვისი ჰქონდის შესაპოვარი
8. ხაზარეთს დაჰყვის, რუსეთსაც გაჰყვის,
ზღვის პირით ქროდის ტაროსთა ქარი.

58. 9. წავიდის ხმელსა, იონთა ველსა,
მუნ, სადა მეფედ ზის კეისარი.
10. მოვლნის ქალაქნი, ზღვისა ალაგნი,
სრულად ეგვიპტე, არაბთა მხარი.
11. ამანს მოვიდის, თავი იდიდის,
რა ხამდის, მუნცა ქმნის იგ საქნარი.
12. მოიქცის გარე, მოძებნის მთვარე,
შიშ-ჰაერ პირი, მნათობის დარი.

59. 13. მოჰყვანდის ქალი, საჩემო სძალი,
მორცხვი, მორიდი, ბრძნად მოუბარი.
14. მოვლის სპარსეთი, სხვა ქმნის ასეთი,
სულტანი ნახის ცათა მცთუნარი,
15. იგავნი უთხრნის, მეფენი უქნის,
მათადვე სწორად მათი ლაშქარი.
16. მოყვასთა წინად პირი ბმნის შინად,
ჩემთვის მოჰქონდის ხმელთა ავარი.

60. 17. ოქროსა სწონდის, ტურფები ჰქონდის
ფერად-ფერადი, მრავალი გვარი.
18. ჰყვანდის მოყმები, მონა-მხევლები,
თვალ-მარგალიტი, სურნელ-ამბარი.
19. ვერა შევიგნი, მოვიდის წიგნი, —
მო-გლახ-ვლეოდი! დამეცის ზარი,
20. დამტყდიან ცანი! — „კლავ განველი ზღვანი“ —
დავრჩი უსულოდ, მართ ვითა მკვდარი.

61. 21. რა მას ვიგონებ, ვერას ვიწონებ,
ველთა გაჯრასა ოდენ მზა ვარი.
22. . .

23.

24.

X

62. 1. გხმობ, თამარ, მზესა, უმზესად ზესა,
მით რომელ უცხო ხარ სახილველი,
2. უკლებლად სათნი გცისკრობენ ღაწვნი,
გტურფობს მოხედვა ბროლ-ვარდობს ყელი.
3. გაქვს არსთა წყალი, — თვით მე გეწყალი, —
მშვიდი და წრფელი მოსახვეჭელი.
4. განცვიფრდეს არსნი, ხმა-მაღლად მზახნი,
ამას იტყვიან: „ჰე საკვირველი!

63. 5. თუ არს მთოვარე, რად მზეობს არე?
რად არა ოდეს შეიქმნა ბნელი?
6. ანუ თუ ელობს, რად დანთქმა გვღელობს,
აწ მსწრაფლ გვეწვევის შარავანდელი?“„
7. სამყაროს სრული ედემს ასრული
ჩანს შვიდთა მნათთა მანათობელი.
8. ხსნად ადამისად, შექმნად ამისად
უწოდა ღმერთმან, თვით აღძრა ხელი.

64. 9. თუ არვინ იცის, მისებრ ვინ იცის
მიწის ნაყოფი ეტლთა ამსლველი?
10. ბნელთა მთენოსა გკადროთ ენოსა,
ანუ უმიროს ყობადთა მცნელი.
11. ანუ გთქვათ ისინი: არს ბრძენთა თვისი,
ასკილიპოსებრ გონება-ვრცელი!
12. არ გგვანდეს დარი, ხოსრო, დადარი,
საამ-აქილევ, დებორა ქველი!

65. 13. არცხვენ მოზეთა, მოსამომზღვრეთა
ღმრთად ზევსის ნაქვსთა ვიეთთა მთხზველი.
14. მათ თუ ოცნებით, შენ ღმრთისა ცნებით
ითქმი ხაწადად ყოველთა მთქმელი:
15. დადირთა მთოვნი, შენებრთა მხცოვნი
და მუსულმანთა სიმართლით მსრველი,
16. ურჩთა კლვად მკოდი, სულტანთა მგოდი,
ხალიფას სვისა ჯავართა მშლელი.

66. 17. ბობქარ რადა რბის? — დ:სდვას დვინსა რბის,
ოდესმე ლხინთა საზღვარი ბნელი.
18. სხვათა მძლეართა, ხარკთა მძლეართა
ზედა სხვა შიში ჰმატს საშინელი,
19. რომელ დღეს ტაოს მოემატა ოს,
ისპირს და შარვანს მოელაა ძნელი.
20. მათ გულსა ალმით მით გაჳიალმიი
ქოსთავე თანა სანიჭ-საძღვნელი.

67. 21. არს ლხინთა მთმობი, მართ ვითა მგმობი,
ეფრემის ძირთა ისართა მთლელი.
22. თუ ქებად თქვენად ბრძნად ქმნეს მათ ენა
გამომეტყველებრ როგორებრ მთქმელი,
23. ბრძნად მაქებართა ეჳერეტ მჭიქებართა:
„მა-შამსსა ჰგასეო“ — მით გრძნობდეს ელი,
24. ანუ რა გნახოს რასა გასახოს
ნათლისგან კიდე სხივ-განსაცდელი?

68. 25. იტყვის: „მწვავს მე ნებრ, მე მცქაფრობსმეხებრ
დავით ძლიერი მხნე, უძლეველი,
26. წყნარი და მკრძალი, მოყმეთა ძალი,
მეფეთა სკიპტრა-პორფირთა მცმელი.
27. თქვენი თქმა რიტოს: „ყმა ყოს, ვინ სჳრიტოს;
აქვსმცა სუფევად ათასი წელი!“
28. სამებად ქსული საუფლო სული
მისთვის მოგბერა, არს თქვენი მცველი!

XI

69. 1.

2. . . . . .
3. მაშა, მეხელი. მაშა, მეხელი,
მით ვამგებლობდე, და-ცა-ესცე ნალი!
4. ვინ აშენ ებრად ვინ ა შენებრად
თვალთ-შეუდგამი ნათლის მფენალი?

70. 5. ღმრთისაგან ეგე, ოს თამარ ეგე
ნახელოვნებად მისადენალი,
6. ანუ შუქითა, მსგავსად უქითა,
ბნელთა ცისკრულად გაჰთენალი;
7. არ ავი დია, ა რავი დია
ვიცით ნახული და ნასმენალი!
8. ყოელითურთ უკლი, ერთგულთა უკლი,
ურჩთა კლვად ზინდანს შემაყენალი.

71. 9. მეფე მთავართა, მფლობი ჯავართა,
სოფლისა წყალთა დამაშვენალი.
10. მიეც ქადილსა, სრულ-ჰყავ წადილსა
ვახტანგს სწორებით შემას-მქენალი;
11. ბობოქარ მგოდები, მცრად ნაწოდები,
დავითის ხრმლით ა შემარცხვენელი.
12. მით გააშენე, მით გააშენე,
რომელ გულითურთ მანაყე ნელი.

72. 13. მე ცად ვინები: მეცა დვინები!
თქვენად ვქმნა ნებით, ვჩნდე მოხსენალი:
14. მბრძოლთა მხარკემან გძღვნას მოხარკემან
ელიჯად ოქრო დასატენალი.
15. არ ეც ნასარად, არ ეცნას არად:
ხალიფას სისხლთა რად სდის ტენალი?
16. ბრძნად ლამაზ ენით ვინ ითქმის ზენით
სწორუპოვარი, მძლედ სახსენალი?

73. 17. მოემან გებით, მოე მანგებით
ყავ ბაღდადიცა გასაჩენალი.
18. არსად არსა რა, არსად არს, არა,
შენებრ უკლები და საჩენალი!
19. . . . . .
20.

XII

74. 1. გულო, აბა, მო, დაუსაბამო,
თამარ ვთქვა ნათლად დასაბამისად,
2. მზეებრ საუანე, სულის სავანე
თან-გამწყოდ ძისად, სწორად მამისად!
3. ვძებნეთ ქნა რისთა? — დღე ბნელ ქმარისთა,
მითვე ნათლითა დღე ქმნა ღამისად.
4. უმსგავსო პირი, იესეს ძირი
ასულად ვიცნი აბრაჰამისად!

75. 5. ცად ქმრად უცადი არს განუცადი
ღმრთივ განბრწყინვებად და კამკამისად.
6. მჭვრეტელთა ურჩი, ვარდი ნაფურჩი
გამცდელთა შეიქმს მსგავსად დრამისად.
7. სამყაროდ ისრის, უწყალოდ ისრის,
ქმნადთა მცეელია წარბ-წამწამისად.
8. ზენათ ცხებული, გამრიცხვებული,
მჯობი ყოელისა მხნეთა მამისად.

76. 9. ანათობს ის ოს, მით არცხვენს ისოს
შუქის კრთომითა შეუდგამისად.
10. ზნედა სჩირს ესა: არ ეტყვის მზესა:
„სამხარ მელოდე! სჩან მაღლოისად“.
11. არ ენა, სული არენ ასული
შემწედ მესიას აღნათქვამისად.
12. თვით დგას ეტლითა მსწრაფლ მომსვეტლითა
აგარის ტომთა გულსა შხამისად.

77. 13. უცნი აქითა, უც ნიაქითა
საუფლო სული ქამის ქამისად.
14. მწადდა-რე ძნობა, ერცელად განბრძობა
სამუსიკოთა შენასხამისად,
15. მით ვერ ვეგები, მით ვერ ვეგები
პლატონისისა შენასხამისად.
16. რად არ აჩნია, რა მიაჩნია,
ენა ვით სძლებდეს საქებარისად?

XIII

78. 1. შენ მწუნობი ხარ მნათობთა
არ ისასმენლებ, არიდენ;
2. შენ შუენი ელვა-ეთერთა
მზისა მწვერვალთა არიდენ;
3. შენ სისხლთა შენთა ურჩთასა
უზღო-უმსგავსოდ არ იდენ,
4. არცა ნათლისა ისარი
მჭვრეტთა გულებსა არიდენ!

XIV

79. 1. გვიან შენებრთა ძებნანი,
რკინისა ხამლთა შესხმანი,
2. შენთვის ხმდა არისტოტელი,
დიონოს წიგნთა შესხმანი,
3. მსგავსად აქილევ-ტროელთა
უმიროსისგან შესხმანი,
4. ვერცა დამეტებს სოფოკლი,
არა თუ ჩემნი შესხმანი.

XV

80. 1. ვინ ჩნდა, საწმისად, მსგავსად აწ მისად
წინასწარ-მთქმელი მოსწავებულად
2. ცად საყდრად, ღრუბლად, ღაწვ-ბროლ-ვარდ-შუბლად,
თამარ, შენ გიცნობ განცხადებულად.

3. გიწოდა შენ თვის, როკვიდა შენთვის
პირველი დავით განცხადებულად.
4. თვალად ძე მისი, შენ რა ემისი,
სოლომონ გხმობდა სახელდებულად;

81. 5. „ასულო ჩემო, მჭვრეტთა შემჩემო,
სჩან სიკეთითა განშვენებულად!“
6. ფიცითა წამა, მისგან იწამა
ღამე დღის-ფერად განბრწყინვებულად.
7. ვამცნო მსმენელთა, მოსათმენელთა
ნიჭთა ვით მიეხვდი შენთ ხელთ გებულად,
8. უკვირდა შენი სიკეთე, შენი
სთნდა ყოვლსა სულსა განკვირვებულად.

82. 9. მოწყალე სული, მშვიდ-წრფელ ასული
გიცნა გონებით მისად ცხებულად,
10. მოუნდა არსთა, მიდთა და სპარსთა
ერთ-სამწყსოობა ერთ-უფლებულად.
11. მოგყვა, მო, ნებად, შენდა მონებად
აღძრნა ყოველნი თავდადებულად.
12. ვსჴვრეტ ნიშსა ცხადსა: თვით გულითადსა
მისსა სახელ-სდვა მოწოდებულად.

83. 13. მე ვიტყვი ფიცით: „რაც ოდენ ვიცით,
რად ვინ მაბრალობს ვთქვა დაკლებულად?
14. შენი სიშუქე რომელთა ეუქე,
ვითამც ვინ იქმნა მიბაძვებულად?
15. სცისკრობ შენ ნათლად, ბრწყინვალე სანთლად,
მთიებნი რად ჰყვენ განქიქებულად?
16. აღმოშენებსა ვინ აშენებსა
მორჩსა ახალსა აღმორჩებულად?“

84. 17. ნათელი დიდი რადგან დაბინდი,
ვიცი არ ითქმი დაბნელებულად.
18. ედემურია, ვისცა სურია
ანუ სხვავე ჰხვდეს შეძინებულად.
19. მე ვიცი, რომე დავამცირო მე,
ვერავინ გბადრობს გასწორებულად!
20. გინა შობილი, ანუ სწრობილი
შენგან ჩანს მთვარე დასაწყლებულად.
85. 21. ეჩვენებოდა, ეფერებოდა
ეგ თქვენი პირი გაცისკრებულად!
22. მე რომ თქვენ გნახე, ედემის სახე,
მართ სამოთხისა მიახლებულად,
23. ღონე ვიცადი, ვერ განვიცადი,
შენსა შუქს ეტყვის დარიდებულად.
24. ენახე ინდონი, ვითა რინდონი,
რომე ჩნდეს ზანგნი ალაღებულად.

86. 25. ვინ მელნის ტბებად გთქვეს დასახებად,
გიშრისა სარო დანატრებულად,
26. სახედ გსახობდეს: „რა მზე ნათობდეს,
მაშინცა ითქმის დაბნელებულად!“
27. ვინ გჯობს ბედითა? რა აბედითა
მზე შენმან შუქმან დამეტებულად?
28. ვერვინ გიხილა, ნახვად გიხილა,
ანუ გიჭვრეტდეს გარეტებულად.

87. 29. მე გული შენი ჩემად ვიშენი:
რაღა მიიქცი, ვჩნდი ზარ-ღებულად.
30. არდი მეტია — მომკალ მე, დია! —
ჩემი სიცოცხლე გაცუდებულად.
31. რომელმან ღამე-ღღე ყო, თქვა: „ღამე
ჰფენს შუქსა მზეებრ განათებულად!“
32. მოსეს ფიცარსა, მთას ნაფიცარსა,
ეწერნეს თქვენი ძლევა გებულად!

XVI

88. 1. იგავთ დამწესი და გმირთა მწესი
იესეს ძისა მით გრძნობს ებანი
2. ერმი რა გნახა, მსწრაფლ დაიზახნა
შენგან უკუნმან კარის ღებანი.
3. ზევსმან მზედ გიცნა, სამყოფი გიქმნა
სელონის ეტლთა მოგირბევანი,
4. ნარგისნი გიცნა, ზეცას გზა გიქმნა
თქვა: „გწყლიანობენ შენ ლომ-ნებანი“.

89. 5. ა რეა! კრონოს ენა გარდმკონოს,
ვარდთა გიდარნე ნაშვენებანი.
6. არ შენდა შექმნა, რაც ბრძენთა ექმნა
თქვენზედ სიბრძნისა ხელოვნებანი?
7. მამამან ძე ყო, ძემან უკლებ ყო,
სულმან დაგიხსნა სიწრფოებანი.
8. წამწამთა ხრანი ვისკენც ქმენ ცხრანი
ცხრა ათას ექმნეს ნატირებანი.

90. 9. იპოვნენ წმიდად, შეიცვენ დიდად
სწორუპოვარნი სიტკბოებანი.
10. გრტფიალობს ლომი აბესალომი
ეფრემის ძირთა ვის გხვდეს თებანი.
11. ნებროთს სჯობს ძალად, — ეთქვა შიშით მკრძალად, —
დებორს ჰმატიან ახოვნებანი;
12. დანთქა აბირონ, დათან საბირონ —
ორგულთა დანთქამს ძლიერებანი.

91. 13. უკლებლობს ღაღი, მბრძოლთ გულის მდაღი,
სპარსთა სისხლისა დანაკლებანი,
14. ბედ-დიდობს მრავლად, აქვს სვე დიდ ავლად,
პონტოს ზღვისითგან არს უფლებანი.
15. უძრწის შამალი, მით თქვა „შამ ალი!"
მის კერძ მისტაცნა მცბიერებანი,
16. ეელტის ხალიფა, იტყვის შარიფა:
„აწ გაგვიცუდდა სჯულის-დებანი".

92. 17. თარშით და დალბით, ეგვიპტ-ალაბით
სძღვნეს ნიჭად თვალნი და მონებანი
18. მცრობსა აქილევს, მბრძოლთა აქ ილევს,
რა მძლედა, ვიდის მოხსენებანი:
19. „ახალო ხვასრო, ბაღდადით სპარსო,
ააელესო, დასვენ ებანი!"
20. რომელსა მშვიდნი ვერ გსწორვენ შვიდნი
წყალ-ჯავარისა დამშვენებანი,

93. 21. უძლე ძლიერთა, ბევრსა სძლი ერთა,
ოს ყვენ ბობქარის მეოტებანი.
22. ვახტანგის ტომსა, მას ვეფხვებრ მხლტომსა,
მზისა გშვენიან განშვენებანი.
23. არსად მოსრულნი, შენოდნად სრულნი
არა ყვნა თქვენებრ განკაცებანი,
24. დიდად განძებად, თქვენ მისგან ძებად
გენიშნეს ლაშას აღმორჩებანი.

94. 25. არს უშიშ, ვითა მისითა შვითა
დაუკლებელნი სრულნი შვებანი, —
26. რიტორებრივცა თქვა: „ზენით ვინც ა,
სხვათა ისართა და არს ებანი".
27. ენოს მწერლობდეს, უშურველობდეს,
ვერცა მან სრულ-ყვნეს თქვენნი ქებანი,
28. ჰე, ფილოსოფთა, გონებად მყოფთა,
ვერ შეუგნიან თქვენნი დრებანი.

XVII

95. 1. ისმინეთ, არსნო! ირწმუნეთ, სპარსნო!
პირველითგანვე გვესწავა ღმრთებად:
2. „დასაბამითგან არ იყვნეს ცანი,
ოდენ ქვეყანა მყოფობდა ზღვებად;
3. მაშინ მან ერთმან უკლებმან ღმერთმან
ერთი ბუნება ქმნა სამად თბებად,
4. არ უცხოთა მით სუფევითა თვით
ხელითა იწყო, უწოდა ძებად".

96. 5. გაუწყე საქმე: ნივთთა შესაქმე
სიტყვით ყო ხოლო თამარის ცხებად,
6. ნათლითა სრულ ყო, ედემს ასრულ ყო
ღამეთა ნათლად, ბნელისა ცებად.
7. უკლები ესე არს გულსა მთესე
შიშისა ღმრთისა დაუვიწყებად:
8. მაღალი, დიდი, უკლები, მშვიდი,
წრფელი, უცრუო ცან უზაკვებად.

97. 9. ჯავარ მოცალე, ტკბილი, მოწყალე
ყოველთა კაცთა განურისხებად.
10. ურჩთა მოგვიდებს. ცითა ნაწოდებს
დავითს უწოდა მეფეთა ძებად.
11. ამან ეტლითა, მზის საშვერტლითა
მთვარესა ღები ამატა ღებად.
12. მან ახოვანმან, მძლედ სახოვანმან
ხელ-ყო ისლამთა ცეცხლისა დებად.

98. 13. ჯაჭვ-ჯურთ მფრქეველი გამოჩნდა ქველი
და აქილევთა დაუწყო ძლებად;
14. მიწყივ ომითა დაუშრომითა
თურქნი განასხნა დაუყოვნებად.
15. მან ათაბეგსა, ხვარაზმშა მდეგსა,
კეთილ-განრჩევით სჯულ უდეა მცნებად,
16. კაცი ძლიერი, მხნე, მეცნიერი,
შემძლე მელიქსა თვალთა ფერებად.

99. 17. თვით ბრძენი წვართა, მით მოიწვართა
მისდა დიდებად, გასულტანებად.
18. მოყმე სვიანი, იესიანი
ლაშა აძებნა ლხინად და შვებად.
19. შიშითა მკრძალი, ვაზირთა ძალი
მოგზავნა დიდთა ცხენთა ძღვანებად;
20. უდრი ითხოვა, მზე მოითხოვა
ბნელისა კართა ნათელთა ცებად.

100. 21. ვერა დამატონ სოგრატ და პლატონ,
ძნობდეს ორნივე ეფრემის წყებად.
22. აპეტოსესგან მოპოვნებულ არს
ქვეყნისა ზომა ქალდეველებად,
23. ვარსკვლავთ აღრიცხვა — ზოროასტროსგან;
ვერცა მათ ხელყვეს შენდა დარებად,
24. არისტოტელმან მეძიებელმან
თავი თვით მისცა საძიებელად.

XVIII

101. 1. ვთქვი შიშით მკრძალმან: საღმრთომან ძალმან
მობერა სიონს ბრძნად მეცნიერსა;

2. მუნ თქმული მან ცნა, მაუწყა-მამცნა,
მისა გასწავებ და მის მიერსა.
3. ფილოსოფოსნი, წინასწარ მგრძნობნი,
იტყვიან ჟამსა შესაქმიერსა:
4. ვირე მოხვალო წადთა მიმყოლო,
ღმერთსა თუ უნდეს სრულ-მყოფიერსა.

102. 5. დასაბამს დადრკა, ცხადად არ დადრკა
რისთვის მიდრიკა მისგან მიერსა?
6. არამედ თვისსა ერსა და თვისსა
მიდრკა მისდამი სალმობიერსა.
7. ეწოდა მ..ა, ძე ეთამამა,
სული ეწრფელა მთავრობიერსა.
8. სიტყვით ყვნა წყალნი, ზეცისა ძალნი
დაბადნა ხანსა ერთ-წამიერსა.

103. 9. სთნდა შექმნა ცისა შვიდ-სვეტ-მტკიცისა
ერთ-არსებასა სამ-სახიერსა.
10. მოსწონდა ღმრთობა, წინა-განწყობა
ღმრთისა სატანას სალმობიერსა.
11. ქმნა ღმერთ-მთავარმან და მეუფემან:
არ დაეფარა გულთმეცნიერსა.
12. ზეით იოტნა, ამით იოტნა
მისცა ნაყოფსა მას სიტყვიერსა.

104. 13. უკუნთა მთენი, მზე — მთოვარ მთენი
მნათობ-ჰყოფს ყოელსა ქვეყანიერსა.
14. მითა ქმნა სწადა: ადამ მიწადა
შექმნა სახესა თვით სახიერსა.
15. მის თანა გვერდით ყოფად მის გვერდით
ევა უცხოელა სულ-ცხოვლიერსა;
16. ამცნო: „მის ხისა განმარისხისა
შორს გქმნა ნაყოფსა მას მანკიერსა!“

105. 17. იწყო მაცთურმან მტერუკეთურმან
წვევა ჰამადსა მოსამშიერსა.
18. მზაკვრებ ლაღნა მით, განჭიქნა ამით,
ღმერთმან თქვენ მსგავს-გყვნა გულისხმიერსა.
19. მითვე გვეუფლა ჩვენ დამონება
ცოდვისა კაცთა, ამ სოფლიერსა.
20. გამოგვაყენნა საშვებლისგანა,
მიგვცნა უფსკრულსა უნათლიერსა.

106. 21. შემართეს მართა, ერჩდეს მათ მცთართა,
სცვალეს კურთხევა, უპოვეს ერსა,
22. უსმინეს მტერსა, სამოთხის გველსა,
იმოსდეს ტანსა მადლ-მოსიერსა.

23. ვინ შექმნა ევა, განწყრომით სწყევა,
ქვეშე ყო ხელსა ადამიერსა;
24. რისხვით უბრძანა: „და აწ შენც სცანა:
პურსამც შენსა სჭამ ნაოფლიერსა!“

107. 25. დასწყივა მტერი, საჭმლად სცა მტევრი
თქვა: „ერთი თავსა და გველი ბჭალსა“.
26. უმზირდეს მტერსა, გამოებუნესა
სამოთხესა მას საშეებიერსა.
27. მაცთურმან ომად დაეწყო ცთომად
წამსა სუთათას ხუთასიერსა.
28. ვინ კაცი იწყო, თვით ნანვად იწყო,
განზრახვით ის სჯის მოსპოლვიერსა.

108. 29. მისისა მხნისა ქმნად კიდობნისა
ნოეს უბრძანა ქმნად, გონიერსა
30. იძია შური, მით მოსრნა სრულნი
არსნი ურჩებით განდგომიერსა.
31. წყლით რღვნისა შთვილნი კლვად შექმნეს, შვილნი
დაუკლნეს მტერსა მანქანიერსა.
32. მითვე წესითა დაეწესითა
მაცთურთა იწყეს საძებნიერსა.

109. 33. მყოფსა სიტყვითა ტყვიან, ვიტყვითა
თავითა ყოფად აღნათქმიერსა.
34. წყრებოდა, თუცა დავითს ეფუცა
მისთა თესლთაგან საშობიერსა.
35. იწყო ნიშისა ქმნად საშიშისა,
მის კერძ ვერ მართებს ხსნა მიწიერსა:
36. მკვდართა აღმდგენი, ბრმა-კოჭლთა მდგენი
სრულად უვნებლად საწესიერს ა.

110. 37. თავს იდვა ვნება, ყო მიმდევნება,
მოკლა სიკვდილი, სძლია ძლიერსა —
38. ადამ პირველსა, შეუპირველსა
სუფევასავე ღირს-ყო ციერსა.
39. ღირს-ყვნა წარმართნი, წინა-წარმართნი
საქმესა ღირს-ყვნა მას მადლიერსა.
40. ყო-ღა მოზენით. მოხედა ზენით
თამარ შუქ-მფენსა, ნათელიერსა.

111. 41. მისცნა დავალნი, ხმელთა დავალნი,
სკიპტრა-მპყრობელ ყო არსთა მიერსა,
42. სიტყვითა მრჩევსა, ელვათა მრჩევსა
სცისკრობს მოხედვა მონახმიერსა.
43. მტკიცედ აქვს სჯული, სჩანს მართლ-მსაჯული,
მას რომ უხმობენ ღმრთის სახიერსა.
44. უძრწის ჰავარი, სტურფობს ჯავარი
მშვიდსა და წრფელსა და ღმობიერსა.

იმავე ჟამს ცხოვრობდა და მოქალაქეობდა იოანე შავთელი (შავშეთელი), ისიც თამარისა და მისი თანამეცხედრის დაუცხრომელი მეხოტბე და შემამკობელი — „კაცი ფილასოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღუაწებათა შინა განთქმული“ — სწორედ ის იოანე შავთელი, ბასიანის ბრძოლაში ლაშქრის გაცილების შემდეგ, თამარს რომ ახლდა ოძროხეში, „დღისი და ღამე ლოცვითა, ფსალმუნებითა, ღამისთევითა დაუძინებლად“...

იოანე შავთელიც ყოფილა ფართო განათლებისა და ღრმა აზროვნების ფილოსოფოსი, მაღალგემოვნებიანი პოეტი, უხვი, ნაირსახოვანი რითმით და რიტმით, აღნაგობით ანალოგიური „ჩახრუხაულისა“ და, — რაკი დღემდე გაურკვეველია ამ ორთაგან რომელს ეკუთვნის პირველავტორობა ასეთი ლექსთწყობისა — იგივე უფლებით ეწოდება მას აგრეთვე „შავთელურიც“.

და ასეთი მაღალფარდოვანი სტილით და მანერით, „შავთელურ-ჩახრუხაულით“ შეუთხზავს იოანე შავთელს ქებათა-ქება თამარ მეფისა და მისი თანამეცხედრე დავით სოსლანისა — პოემა, რომლის სახელია „აბდულმესიანი“.

აი, ისიც:

აბდულმესიანი

1. 1. სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან
მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად!
2. გიძღვნა ქებანი: მწადს აქ ებანი,
დავითის დავით ვჯდე მუსიკობად.
3. მესმა ზევსური: რა ვნახე, ვსურო,
რომ სიტყვა მეთხზნეს მეფისა ძნობად,
4. მუნ გულისხმობით თვით გულის ხმობით
კარი სიბრძნისა სულელთა ცნობად.

2. 1. შემოკრბით, ბრძენნო, ათინელთ ძენო,
თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა,
2. კრიტს, ალაბს, მაღრიბს, ეგვიპტეს, მაშრიყს,
ჩინეთ-მაჩინეთს, თარშის ქებულსა!
3. რომელნი ელნით, რომელნი ელნით
თავს სოგრატისებრ სწავლით გებულსა,
4. ვარსკვლავთ-მრიცხველნო, სხვათ ბრძენთ მკიცხველნო,
ვერ ძალ-გიცთ ქებად, თავს ჰყოფთ ვნებულსა.

3. 1. ძე ადამისი, მსგავსად ამისი,
ვისცა ეხილვონ, მამცნონ, სად არი?
2. ღმერთმან სამოთხით მოგვცა სამ-ოთხით
ეთერ ბრწყინვალე, მზეებრ სადარი;
3. აღმოსავლეთით და დასავლეთით,
სამხრით ჩრდილოდის ჰპოონ, სად არი
4. ზესკნელ-ქვესკნელით და გარესკნელით,
უკანასკნელით უფსკრულთ სადარი?

I

4. 1. ვიწყო-ღა ქებად, ძველ შეკადრებად:
მსმენელთ ვაუწყო ქვეყნის მპყრობელი,
2. მხნე, ლმობიერი, ქველი, ძლიერი,
ჰაეროვანი, მტკიცედ მფლობელი,
3. შარავანდ-გმირი, ორგულთ გამგმირი,
მტერთა ქვესკნელად დამამხობელი,
4. რიტორი, ბრძენი, მეფეთა ძენი,
ასპარეზთა ზედ მსპარაზნობელი.

5. 1. დავითისადა დავით ისადა,
ეფუცა უფალს სიტყვა-მტკიცედა:
2. „ნაშობნი შენნი, შენ მიერ შენნი,
დავსვა მსაჯულად საყდართა ზედა“.
3. ესე მისით-ა, ესე მისითა
კურთხევით უფლებს ძალთა შემწედა.
4. ა ჭამით მორჩი! აქა მით მორჩი
სატუხელებრსა, ართუ არედ-ა.

6. 1. არ იონათან, არიო ნათან,
ვინ ქმნა მას ზედა ზეთ-მცხებელობა;
2. დაცხრა, დაყუდნა, მისგან განცუდნა
უგლიმთა ბორგით ზარ-მცემელობა.
3. დავით ძლიერი, მხნედ საშინელი,
უფლებს და მთავრობს ურჩთ-შემწეელობა.
4. ვგონებ მაქსიმედ: ჩემთვის მაქს იმედ —
მისგან სჯულისა დამბეჭდველობა.

7. 1. ხმობს ღმერც ხალისად ა მერცხალისად,
ხმა-ტკბილ-მხმობარედ იადონისად
2. ნაძვი ლიბანით, სარო ერმონით,
ფინიკად ზრდილი ენგადიმისად.
3. ნერგად ვარდისად იერიქოსად —
სხვამც რა ეახსენე მსგავსად ამისად?
4. ასაფიც არი ა საფიცარი,
დამამტკიცარი წინასწარისად!

8. 1. ბოლოქ-ბოლოქად, მყის სასალუქად
ბრძენი რიტორებს მისთვის სამ-ოთხით:
2. „მირონ-გუნდრუკად, შტახსად, კასიად,
თაფლად, მანანად, სძედ თქვეს სიპოხით,
3. ოქროდ სემურად, მურად ქამურად,
ალვად, კინამოდ, სარდა-სარო სით.
4. ნარგიზ-ლავროტი, ია-მაკროტი
მისთვის ამსგავსეს, რომ არს სამოთხით“.

9. 1. გავსილო ამით, ჰგავ, სილოამით
შეცოდებისა ბიწთა წარმრღვნელად.

2. ვმოწმებ სულებსა დას-დასულებსა,
სამარადისოდ სჩნდე განუხრწნელად.
3. მხნე ხარ ასური, მჭვრეტთა ასური
ალვის ხე-ტანი რტო-განფენილად.
4. გსედვენ რა ღამით, მოსრნე რაღამით,
მიწეენელ იქმნენ თვით სიკვდილ-ქმნილად.

10. 1. მზრდელ არს მონათა: ზეცით მონათა
ივლისის მზემან ზედ ლომსა ჯდომით.
3. ტომნი და ერნი, ყრმანი და ბერნი
ადიდებდიან შვებით და ხლდომით.
3. არიან მხეცნი, მთანი და ბორცვნი,
მაღნარნი, ველნი მისთვის შეურდომით.
4. შემუსრავს, შეფქვავს, თხემსა ვის ერქვას
ჰურად ჩაფხუტი, ორგულთ მიწდომით.

11. 1. თამარ მეფესა, მტერთ სისხლ-მჩქეფესა,
უკვდავთ წყაროსა, ცის სამყაროსა,
2. სხვათა მძლეველთა, თვით უძლეველსა,
კისკასად მქცევსა, ტანად საროსა,
3. მზედ სახოვანსა, თვით ახოვანსა,
ერთგულთა ხსნილ ჰყოფს, მტერთ ესაროსა.
4. მნედ მისთვის ვიყო, სული განვიყო,
უფალსა ჩემსა რამც გამყაროსა!

12. 1. აქვს მას დაბეჭდვით, სმენით და ხედვით
„სიბრძნის დასაბამ — შიში უფლისა".
2. ნათელი, წრფელი, უხრწნელ-მყოფელი,
შემწყნარებელი დავრდომილის-ა.
3. ცუდ-ყვნის მან მტერნი, ორგულთა ერნი,
სახმილმან ვით ქმნის ძალი ცვილისა.
4. მოსე და არონ თხემსა დაარონ
მას ალაბასტრი ნელსაცხებლისა.

13. 1. უსწრო ხარანით, — გაიხარანით! —
მწიკვლისა მკლებ არს, არ დამმატ ის-ა;
2. მსგავს ა მანტისა, არ ამანტისა,
უფროს მტკიცეობს ანდამატისა;
3. უფალთ მთავარი, მჭერ სამთავ არი
სამსაჯულოსა სრულად მათისა;
4. სწორად არს მზისა, კირჩხიბსა ზისა,
მთა ვერად სწორავს არარატისა.

14. 1. მადლისა პური, სიბრძნის სადგური,
მხედარი ღმრთისა სამ-ხატოვნისა
2. უზვერლებითა, სურნელებითა
მსგავს არს წმიდისა სამირონისა.

3. ყნოსა შროშანთა, მღერა შროშანთა,
ხმანი ცუდ-იქმნეს საფირონისა,
4. ქვეყნისა ზღვარი — ჩრდილო და ბღვარი
დავლონ, ვის ძალ-უც მისებრ პოვნისა?

15. 1. ზირაქს კრონოსით, ზინონს ენოსით
სწავლა დაებმის, ბრგუნილ-ჰყოფს ენითა,
2. ამათ ძალითა რომ ათძალითა,
ორღანო უძნონ, ებან ებნითა.
3. უთრუთ-სამით ზაალსა ამით
განქიქებულ ჰყოფს ძლიერებითა,
4. სალიმ და თური, ძლით უკეთური,
როსტომ, ვერა ვცან, სწორავს თუ რითა?

II

16. 1. ძირით მისისა იესესისა
შვილი მართალი იშვა ცხოვრებად,
2. ქალწულ-წმიდისა წილხდომილისა
საქართველოსა მეფედ წოდებად,
3. სვეტად სჯულისად, ზღუდედ სულისად,
აგარის ერთა ცეცხლთა მომდებად!
4. ახალი ფასი ა ხალიფასი
მრავლად მოერთმის თავთა მონებად.

17. 1. იკითხვენ, სწერენ, თაყუმსა სჩხრეკენ,
რამლს ჰკრვენ, არჩევენ ბედთა მათთაგან:
2. „ჩვენ რომ გვესმისა, წყაროდ გვესმისა
სამოთხის წყლისა ცხოველისაგან“.
3. ვთქვა მე აწ ვითა,, რომ იქმნეს წვითა
მნათობნი მძაფრად სხივთა მისთაგან?
4. ხედვენ მზერითა: „სწორაეს მზე რითა?“ —
ფიცვენ: „მიჰრიდა თვისთა სხივთაგან!“

18. 1. დოვლათ-სვიანად, სუფევს მზიანად,
შვილთა მნათობთა გარმოზღუდვითა.
2. განათლდა არე მისით, ვით მთვარე,
როს განხმულ იყვნეს ცანი ხომითა.
3. ხილვა მეფისა მჭვრეტელთ ეფისა —
თვალნი მაღნიტზე ფოლადობითა.
4. ლხინად გვეყოფის, არ გაგვეყოფის!
არ მიწყივ შვებით და ვანცხროშითა,

19. 1. მხედრად ქველობით, უძლეველობით,
სახედ უსწორო ანაგებითა,
2. უფლად სპასპეტთა, თვით ქალაქპეტთა,
აქვს-ღა გოდოლნი ანაგებითა.
3. მშვილდთა მაზრაკა უქმნა მტერთ რაკა
გულსა უწყალოდ ანაგებითა.
4. ცუდ-ჰყოფს მისანსა ტილისმისანსა
ხრიზმოსთ კითხვითა, ანა გებითა.

III

20. 1. აღძრნა ბაგენი, ბრგუნილად მაგენი
გულისხმის-ყოფით შესხმად ქებისა
2. მაღლისა, მხნისა, ბრძენთა სეხნისა;
აღმოთქმად ვიწყო ნეტა რებისა?
3. გოლებრ მწთოლვარე, არად მკმოლვარე,
სამართლად ღირსი ნეტარებისა.
4. არა სთნავს რისხვა. გესმის? — არი სხვა:
ნამდვილ ჩვეული მოწყალებისა.

21. 1. ესა მართალი: ე სამართალი
ხეს შეიქმს ხმელსა წყალმომდინარედ.
2. აქვს მას ტრიონი სანატრიონი
საწმისისაგან სამოსად გარედ.
3. აწ ესე ლომი, თვით ე სელომი
მისთვის აღეგო კეთილ-სახმარედ.
4. წყლად არს გეონი, ვინ ლეგეონი
პირდაყოფილ-ყო უქმად, მედგარედ.

22. 1. აქვს სასოება მას, სათნოება,
სარწმუნოება სიყვარულითა.
2. მადლთა ტალანტი, სავსედ ბალანტი
შეუკრებიეს თვით სურვილითა.
3. ქველის საქმითა ვკვირობ აქ მითა,
რაც ოდენ მესმის იდუმალითა.
4. უსხეულონი ზეცისა ძალნი
მისთვის იშვებენ სიხარულითა.

23. 1. აფთონს ბრძავს, ათენს, ესრეთ გაათენს
წყვდიადსა ნათლად სხივნი მზისანი.
2. კაცმან სულელმან და უსულელმან
ვერ გულისხმა-ყოს ზრახვა მისანი;
3. ფშვის და სურნელობს, თვით მომცემელობს
ჩვენდა სიბრძნესა მადლნი ღმრთისანი!
4. ვისცა შეჰრისხდა, ნამდვილვე მიჰხვდა
მას სალმობანი სიკვდილისანი.

24. 1. ბრძანონ სამალად, არ თუ სამალად:
„ელი ამო სით, ეს რომ არა მით?
2. მასთანა შორად, — ართუა შორად! —
ელია-მოსით, ესრომ-არამით.
3. ქველად ჴერითა, რისხვით, ჴერითა
ელი ამ ოსით, ესრო მარ ამით.
4. მასარ ა რითა? მას არ არითა,
ელ ია-მოსით. ეს რომ ა, რა მით?"

25. 1. ვით ვუძლოთ ქებად, შესხმად, დიდებად
თქვენდა, მსაჯულო სიმართლისაო?!

2. ჰმთაერობ და უფლებ, ათავისუფლებ
პყრობილთა, ბრძმედო სიწმიდისაო.
3. მენანდარ გიცნობს, ოქრო-ხმად გიძნობს,
სამუსიკოო ზიარაქისაო.
4. არსება გმზეობს, მის მიერ გმზეობს,
წიაღი გელის აბრამისაო.

IV

26. 1. ხარ უკვდავებაი ვით უკვ დაებაი?
რაც ძალ-მიც, ქებად ვიწყო მწადენი:
2. ტურფა სახითა ცხოვლადსა ხითა
მოყმე, მხნე, უხვი დაიბადენი.
3. სიბრძნისა სირად, სწავლისა სირად
გარე მოგეთხზნეს რიტორთ ბადენი.
4. აწა მეთაესა: აწამე თავსა
ღვაწლი ვინ უწყის, თუ რაოდენი.

27. 1. ზეცით ხარ ნათლად, ბრწყინვალედ სანთლად, —
ჩვენ თქვენდა ქებად სიტყვა რათ ურთით? —
2. მსრველ — ბარბაროზთა, მძლედ — სარკინოზთა
ჩაფხუტ-ჯაჭვ-ჭურით, ოროლითურთით!
3. ისაკებრ პირმშობ კურთხევით, ნიშობ
მელქიზედეკის ლოცვით ზედა-მთით.
4. ესავისითა ეს ავი სით-ა, —
მაუწყონ მთქმელთა, — თუცა რათ ურთით?

28. 1. ვისცა უგმირეს, მისთვის უგმირეს
არს ეს ყოველთა თვით-მპყრობელთასა,
2. ღმრთისა სამ-მზისა, ვინ ზესტ სამ ზისა —
ეთერთ, სამყაროთ და ღრუბელთასა.
3. ზღუდეთა კარი, მადლთა ფუტკარი
უტკბესად სძისა გოლაულთასა.
4. შემუსრავს ბაალს, მოლოქს და ქამალს,
ასტარტის კერპსა საძაგელთასა.

29. 1. მხედრობს ჰუნესა, გულად უნესა,
სათნოებისა ჰური რჩეული.
2. ე საც ერია, მესებრ ერია,
რაზმნი შეიქმნეს სულ-დალეული.
3. ქმნის რა ნავარდი, მყის განავარდი,
ფერობს, ვით ვარდი თვითდაცვარული.
4. იხმარის მკლავნი, ხაფად მომკლავნი,
აღმტაცებელნი, გრიგალ-ქარული.

30. 1. მტერთა მახვილნი იქმნეს, ვით ცვილნი;
მახითა მითვე, რომელ დაარწყვეს,

2. ექმნა წარმართსა და ერსა მართსა
განსახრწნელ, რომელ სრულ პყრობილ იყვნეს.
3. რა მარზაპანთა და სპათა მათთა
შეჰრისხდა ლომი, თვით ნანვად იწყეს.
4. მაშინ დავით, მათ მაშინ დავით მათ
მრჩობლად სხეულთა სული განიყვეს.

31. 1. იყვის რა ზმითა, ურიცხვ რაზმითა
გულის-მდებელად თვისთა სპათათვის,
2. გორგასლიანი, დავითიანი
დროშა იახლის მსრველად მტერთათვის.
3. არ ვეჰვე, ეგზომი ბრძოლა და ომი
სხვასმცა ძალ-ედვის მისგან მიმართ ვის?
4. მებრძოლთა გუნდნი ყოელად ყვნის ცუდნი,
ხმა როსტომით-ა უმხნე ძალთათვის.

32. 1. ვხმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა,
როს იავარ-ყო იამან ქვეყნით,
2. აღმოფხვრა სული — ძე და ასული:
რაც უყო, თქმევად ვის ძალ-უც ენით?
3. ვნახეთ ა სერი, მაზედა სერი —
მხეცნი, მფრინველნი უწყლად მისევნით!
4. ექმნა უწყალოდ, თვით ქმნა უძალოდ
მეფე გლახაკებრ ძონძთა მოფენით.

33. 1. თვით სულ იმონა კიდე ლიმონა,
მით გამოსცდიდა ლომისა მკლავთა:
2. ალაგა მითა — ა ლაგამითა
ცქაფად იხმარნეს ეტლთა მბრუნავთა.
3. ვინ რისხვით უხმო, უტყვ-იქმნეს, უხმო,
შიშით და ძრწოლით მომრთმეველ თავთა.
4. ბნელ-ჰყოფს ყოველთა ქვეყნის მპყრობელთა,
ვით მზე დაჰფარავს სხვათა ვარსკვლავთა.

34. 1. აბჯარ-ხრმალითა, ვეფხებრ მკრჩხალითა
მეხ ექმნა მტერთა ცით მოსალოდნი.
2. მიჰხვდეს სიბრმესა, დასდეს სიღრმესა
ორგულთა ერნი, ვითარცა ლოდნი.
3. აქარავანი ა ქარავანი
მეგობართაგან მათთვის საწოდნი.
4. ვადიდებ ხელსა ბრძენსა, არ ხელსა,
რომ სცა მათ ნიშნად ბოლოდ საცოდნი.

35. 1. ხარკე ისარი! ხარ კეისარი,
სიმდიდრით ლაღი ჯიმშედ-მფლობელი.
2. მოსიმახოსა მოს იმახოსა
მახვილი, თქვენთა მტერთა მწყობელი;

3. ჯაღაც ისეფქევ, მოსრვით ისე ფქევ,
ბრუალი ჰქმენ მათზედ მეოტ-მპყრობელი.
4. პვირ მამენდ მეხი ავად რა ჰმეხი,
ორგულთა ექმენ დასამხობელი.

36. 1. კვერთხი მეფეთა, დიდ ხელმწიფეთა,
თვით გაქვს გებალით: სხვამც რად ეკვეთოს?
2. ჯაჭვ-საპურველნი ძნელ-სასურველნი,
მით სარკინოზნი მყის დაეკვეთოს;
3. ხრმალი ლესული, მასზედ მხნე სული
ბარბაროზთ მსრველად მყის წარგემართოს,
4. მკლავნი ძლიერნი, გმირთა მძლეარნი,
რისხვით მათ ზედა რომ მოგემართოს!

37. 1. შესამოსელნი, შესამკობელნი
გმოსიან ტანსა ოქრონემსულნი.
2. გვირგვინ-სკიპტრანი, ბისონ-მიტრანი
ძოწეულითა თანა-შექსულნი.
3. გაქვს-ღა პორფირთა შთაცმა, პოდირთა
სამარაგდონი ერთგან ექსულნი
4. დიადიმითა: დიადი მით-ა,
ზეგარდამო გაქვნ წმიდად ექ სულნი.

38. 1. ვიტყვი ხვასროსა, იმა ხვასროსა,
ერეკლესაგან ტყვედ შეპყრობილსა,
2. პირველ მყოფისა მის მეუფისა
სპარსეთად ძელის წარმყვანებელსა!
3. სთქუთ-ღა ესეცა: „მსგავსად ესეცა
უღმრთოთა შეიქმს თვით-ოტებულსა.
4. სამოთხე მისთვის, ამო თხემისთვის
ნათანით ვსძღნობდეთ ნელსაცხებელსა!“

39. 1. თუ ვუქო სრანი, მე ამას რანი? —
გალავანისა შემკულობანი,
2. მტილ-სამოთხენი, თვალთ ხამოთ ხენი,
ზედ ავაზანთა შექმნულობანი,
3. კართა სტოვანი, ერთა სტოლანი,
იპოდრომისა განხმულობანი,
4. სახმრად ლანკანთა, თანად პინაკთა,
ბადახშნით ხელ-ყვნეს შექმნულობანი.

40. 1. ტახტ-საჯდომელნი მკამკამებელნი,
სარდიონითა ხურუმზს შემკულნი,
2. მისაყრდნობელნი ძნელ-საცნობელნი,
სამოთხით ნაძღენი, თვით უდნობელნი.
3. ოქრო-ვერცხლებრივ ბრწყინავს, ცეცხლებრივ,
კედელ-ყურენი ფიქლით ძერწილნი,
4. ბივრილიონნი, ლიგვირიონნი
ურთიერთობით შორის შთათხზილნი.

41. 1. გეორგეინოსანსა, პორფიროსანსა
უხდგების პყრობა სკიპტრისა ხელსა.
2. ჭამი დილისა მოწმენდილისა
განბრწყინვებულ-პყოფს წყედიადსა ბნელსა.
3. მიჰხვდეს მისრულნი, მისთვის მისრულნი,
თვისთვის მისრულნი საქმესა ძნელსა.
4. მე თუ კმელად გაქო, ვიცი, კლვად გაქო
სხეთა ნათელი გვამსა უხრწნელსა.

42. 1. წყლიდ გთქვა ნილოსად, უსასყიდლოსად
სამოთხით ჩვენდა ქანდაკებულად,
2. ოქროდ ოფასად, ძნიად საფასად
ყოველად ყოვლითურთ ბიწშეუხებლიდ.
3. სიწმიდის ბრძმედსა თვით განსაწმედსა
გამოდნობილხარ ბიწშეუხებლად,
4. თვალად ალმასად, — გავნოს ალმა სად? —
საფუძველთ ზღუდედ წახნაგებულად.

43. 1. ვინც იწყოს რიცხვი, იქმნას ურიცხვი
გოარი შათგან დანათვალითა;
2. რაყა თვალისა სწორ-ნათალისა,
წყალნი მგზებარობს შიგან ალითა,
3. ჩანს მარგალიტი, — ართუა ლიტი! —
დდენ ბურთისა საბურთალითა.
4. აქვს ზარდახშანი, მას ბადახშანი
ლუსკუმებრ მათთვის დასაკრძალითა.

44. 1. აგუნდისა სხვა რა უნდისა?
ჯამები იყვის ლალ-ფირუზისა,
2. იყვის ჰურჩელთა სხეათ უცხო ფერთა
სიმრავლით დება, თვით ურიცხვისა.
3. ბევრად ძეს გორი, ერთა საგორი,
ზოდი ოქროსა მისგან თლილისა.
4. ისმის მგოსანთა, ვით საფირონთა,
ხმანი ჟბნისა და წინწილისა.

45. 1. ეგრეთ ენახის შორის ინახის,
ვით მზე სამყაროს მანათობელი,
2. მთვარის მშვენობით, ცისკრის მთენობით,
ხსივ-მკრთოლვარებით მკამკამებელი,
3. ედემს დარგული სამოთხის გული,
ციერთ უმაღლე, ქვეყნის მპყრობელი,—
4. გვამცნებს სრულებით ღმრთისა სრულებით
ჩვენთვის მარტივად სჯულისმდებელი.

46. 1. გუნდ-მწყობრი, დასი მას ბევრ-ათასი
ჰყავს დიდებულთა, დიდგვართ თავადთა.
2. ოსებს თვალად, დიდს სამფსონს ძალად,
სჯობს ნებროთს გულად ნაყოფი მსთვალთა,

3. ცუდ-ჰყოფს, ვით ცვილთა, ლიქნა-სიცბილთა,
მზირთ სიბორგილით, საბრხით ძმაცვადთა.
4. მისთვის მოვსწყდები, შევირაცხები
მსხვერპლად: ვემსგავსო ცხოვართა კლვადთა.

47. 1. მზე — მთოვარითა, ცა — ვარსკვლავითა
შეჭნი მიუხვმან მის ელვისათა.
2. მამის ძედ არი სამგზის ნეტარი,
მეტრფე საქმეთა სახელისათა,
3. თვით ბჭეთა ბჭედი, მტკიცე ბეჭედი,
მეწდე სიტყვათა სიმართლისათა,
4. ერთა შემცველი, მტერთა შემწველი
თანაც შიშითა სასჯელისათა.

48. 1. სახედ ელვისა! სახედეელისა
მჭვრეტთა ვერ უძლეს განცდად სხივისა.
2. მო, ე კალმითა! მოეკალ მითა,
რომ უქმად სდეგით ხატვად სახისა.
3. მისთვის წამალნი, სჯობს, რომ წამალნი,
თვარ იქმნეთ თვისთვის მზახნი ახისა.
4. მან იოსებსა — არ იოსებხა! —
სიტურფე ართო, თვით მსგავსი მის-ა.

49. 1. ალვის ხე-ტანი, მსგავსად შემტანი,
აქვს კოწოლთ დაყრით კვიპაროზისა.
2. დასწვავს სრულობით ჯაჭარ-სრულობით
მზეთა, სახმილად ეშყი უგზისა.
3. სტავრა და ნახლი, არ ბილწ-ხელ-ნახლი,
მოსიეს ტანსა მჭევრსა ზეზისა.
4. ვით მზე ღალიად, ეგრეთ მალიად
მორბედად შავსა ტაიჭზე ზისა.

50. 1. არ გასტეხს ფიცსა, თვით დანამტკიცსა,
ჰე-ჰედ იყოსა ანუ თუ არად!
2. ძლევა მარჯვენით მოიმარჯვენით
უფლისა მიერ ჭურად და ფარად.
3. ექმნა ქუხილად, თვალთა წუხილად
რაზმთა ურიცხეთა, მეხ-გრიგალ-ჭარად.
4. ერი რჩეული, ნაჭთა ჩვეული,
მისგანვე იქმნეს კეთილ-სახმარად.

VII

51. 1. ვარდო უფრჭვნილო, ცვრით განბანილო,
ნერგო ხვიანო, დავითიანო,
2. ვინ კისკასია, სურნელ-კასია,
ბალასნად კმოლავ და ვით იანო!

3. ვინ ხარ? ან თრაკი? — ქვეყნად ანთრაკი,
უცხოდ აგებულ-ანაქვსიანო,
4. გონება-ვრცელო, კვლა ცნობა-გრძელო,
მოთმინებაო იობიანო!

52. 1. ბანაკად საღმრთოდ, ერ საზეპუროდ
ხარ ღმრთისმეტყველთა მათ პერეილთაგან.
2. ექმენ სახმილად: იყვნეს ახმილად
მზირნი ფარულად შორს ქალაქთაგან;
3. მწარედ ლმობილნი, ეგრეთ ცნობილნი
ჟღონო იქმნეს თვისთა სლვათაგან;
4. გულ-დრკუ-ხენეშნი, განმრყველნი ეშენი
აქიტოფელ ჰყვენ განზრახვათაგან.

53. 1. ატიკულისა, პატრიკულისა
ხედვის უფალ ხარ სიწლოთ-სიხშოსა.
2. უთქვამს ებელთა მეძიებელთა.
შენთვის პროკლეს და იამვლიხოსა:
3. „ჰრვეთა ვსებით არ ვეთავსებით
სიბრძნისა ზღვასა თამარ-პირშოსა!"
4. ზინონ, ზენანი, მოგვთა ზენანი
მწუფედ გხმობენ პერიპატოსა.

54. 1. იმ ალვისა ხედ იმალვი სახედ,
მჭვრეტთა შემწველ ჰყოფ მით მოტყინარედ;
2. კვლა ეს ხეული არე სხეული,
ლმობით პატიჟად ექმნების მწარედ.
3. ვგე ვნიად: ე გეენიად
ექმნა და მათ იქმს სრულ ქვე-მდებარედ.
4. მწირი და მშხემი, ეგრეთ დამსხემი,
ქებისა ეიქმენ თქვენთვის შემკადრედ.

55. 1. მოხველ განრომით მტერთაგან, რო მით
სიმხნითა აზმნობ მძლედ მორკინალი,
2. სწავლის მოძღვარი, საშვებლის ზღვარი,
გზა სიწმიდისა, ცხოვრების თვალი.
3. ჰყოფს ანეულსა, მყოფს ან ეულსა,
არ ოდეს ბიცად ერქვნისა ძალი.
4. ჰხედავ: გაქვს მოხშო, ვაი, თუ მოხშო
წყალობის კარი ტკბილად მზრახვალი!

56. 1. რა მოიზარდე, თვით მოიბლარდე
ნათლითა ყოვლის მპყრობელისათა.
2. იროიკ, ბოღრატ, პარმენიდ, სოგრატ
უფლად გთქვეს ზღვისა და ხმელისათა,
3. ფილოსოფოთ რვისა გარდატვიფრვისა
მხედველ ხარ მსგავსად ებელისათა.
4. ექმენ ედილად ყრმათა, ე დილად,
განმბანელ შვილთა ემბაზისათა.

VIII

57. 1. გიხმობ მანასებრ, გიწოდ მეუფებრ,
სიტყვით შეგითხზავ ქებას ჯეროვნად.
2. ნათლად მნთებარე, წინამდებარე
სხივ-მომცემელობ ელვა-ცისკროვნად.
3. ძალ-გულად მხნეო, სვე-ბედით ქვეო,
ასპიტ-ცემულ-ჰყოფ მტერთა, ახოვნად
4. მყის მოამდოვრებ, მათ შეიქმ ცხოვრებ
უჯეროდ მზახთა მდელოთა ძოვნად.

58. 1. ლომს ძლიერება, მზეს ბრწყინვალება,
მუშკს სურნელება შენგან მიეცა;
2. ყანდაარს შაქარ, მაღრიბს ოქროს ქან,
ბარანს მარგალიტ-სადაფი ეცა,
3. ქეყნის მნათენი, მოკამათენი,
ბაზიყად გექმნეს სურვილით რაცა.
4. წმიდაო მემწყობრე, მათთან მოსაგრე,
ზეცასა ძალთა ხარ მოდასეცა.

59. 1. ვხედავ მა რტოსა გაშლით მარტოსა,
გვართა მთავრობით ზესთ საჩინოსა,
2. კაცთ-მოკვდავისა დამკოდავისა,
შეიწრებისა არ-მომთმინოსა.
3. სწავლის ებგური, უცხოთ სადგური,
ნავთ-საყუდლითა სწორავ ნილოსსა,
4. სიბრძნის უფსკრული, ენა-რიტორი,
მსგავს ხარ მთისა მის ეტონეოსა.

60. 1. ოქვენ ინდოეთი, კვირინ-გუთეთი,
არიგელ-ოტელ-გერგისეველი,
2. შიშველ-მართალი, ციდამტკაველი,
აბაშ-შაბაში, ღვედკეც-ეველი,
3. ბასრი, ბარანი, ერახმან-ერანი —
გაქებს, გადიდებს ძნობით ყოველი!
4. არდამი ვარდა, გლახ, დამივარდა
ვნი მართლის თქმად ვეღარ მგებელი.

IX

61. 1. ძირმტკიცედ გოდლად, ზედ კართა ზღურბლად
ცის კამარათა სჩანხარ ზესთ მდეგად.
2. ორგულთა მოსწყლავ, ძირითურთ მოჰსხლავ,
ვრთგულთ ექმნები ფარად და ზურგად.
3. ურჩთა ედომით ცეცხლად ედო მით
შვრისხვა თქვენი სრულ დასადაგად;
4. სახმილთ არმური სწვავს მათ, არ მური
გუნდრუკად ერთმის ოქროსა რიგად.

62. 1. გვრიტთა მართვისა თვარ აქვს მართ ვისა
თქვენებრ სურვილი მეუღლობისა?
2. წარ-თუ-წირულ ვართ, არ განწირულ ვართ,
რადგან თქვენ გპოვეთ მზედ უფლობისა.
3. მაღლის მუშაკთა ექმენ ხორშაკთა
მაგრილობელად სხეულებისა.
4. მთა შეუძვრელი, კლდე შემმუსვრელი,
ლოდი ხარ მტერთა დაბრკოლებისა.

63. 1. თვალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა,
მშიერთა პური, უსახლთ სართული,
2. მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა,
შიშველთ სამოსლად მონიქებული,
3. მოხუცებულთა, შრომით რებულთა
სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი!
4. მოგვფენ სიბრძნესა, წერილთ სიღრმესა
თვით განგვიმარტებ მადლთა მთხრობელი.

64. 1. მან უცოდველმან, ყოველთ მხედველმან,
ზესთ-არსმან ზესთა თვითებისამან,
2. მიუწედომელმან, დაუწყებულმან
ნათელმან ერთმან სამებისამან:
3. მამისა ნიჭმან, სულისა ნიშმან,
ძის თანა სწორად განსაზღვრებულმან —
4. გქმნა ცისკრად დღისად, მთიებად მზისად,
ვარსკვლავად ცისად, თვით უბინდომან.

65. 1. ჰფუცა მონამა: ზეცით მონამა
მანანა ჩვენთვის მწყერ-მარხილებით;
2. გვცა სრა სრულებით, სავსედ სრულებით —
თვალ-გოვარებით, ოქროს მილებით.
3. მისგან ბოძება — ართუ ბოძება —
მრავლად ვიხილეთ ტკბილის გულებით,
4. ჩვენთვის მთმობელად, დასათმობელად
სანუკვრად ვპოვეთ ესმარ-ხილებით.

66. 1. აწყა რომითა ა წყაროო მითა,
ეს მოგვენიჭა ქრისტეს მიერად:
2. იტყვის იგავსა, ართუ იგ ავსა,
ზირაქის მსგავსსა, გულისხმიერად,
3. მტკიცედ და მკვეთრად; მისგან უკეთრად
ნეტარ ვინმეც იქმნა, ანუ თუ დარად?
4. მოსრულ მისრულა, მისრულ მისრულა,
გული როს მქონდა სალმობიერად.

67. 1. სჭვრეტენ შეფრფინვით მნათობნი, ვინ ვით,
ხვეჭით და ნდომით, სულ-წასრულებით;
2. ეტყოდეს გულსა მისთვის დაგულსა:
„რადგან დაებით, ბარე სულ ებით!“

3. თავს აბარებდენ, არა, ბარე ბდენ,
მყის გლოვად იწყეს ალვა-რგულებით.
4. წამწამს ისროდის, განესისროდის
მზვინი ლახვართა მისთა სრულებით.

68. 1. არს შვენიერად, არ-ქვეყნიერად —
ანგელოზთ სახედ დასახებული,
2. მჯფედ გებული, ლაღად შეებული,
თვით მხიარული, სამ-დიდებული,
3. მორჩილ ალვათა, აკრთობს ელვათა
არეთა მთენი, ცისკრის კრებულა.
4. მართებს, რომ ცამცა ჰქონდა მასცამცა
სახლად სამყოფად განჩინებული!

69. 1. სჯულისა ლარი, ქვეყნის სალარი,
გამდიდრებული ფრიად ყოველითა!
2. უწყნის ყოვნლნი ქამნი და წელნი,
შეყინვა ნიეთთა ცით მომრგელებითა;
3. ქვეყნის უფალი, მჭვრეტთ სატურფალი,
საყნოსლად მათთვის სურნელებითა.
4. თვით ლომი გმირი: ნუთუ ეგ მირა
თჭვენ ჰგონოთ მისებრ ძლიერებითა?!

70. 1. მტერთ არე წყალი და ნაბერწყალი
მიჰფინის ხმათა მისთა არმურმან;
2. განძვინვებულნი, ცნობა-ვნებულნი
მეხდატეხილ ყვნის მკლავმან ძლიერმან;
3. სრბით სლვა უჯეროდ, ძნელ-გასამრჯელოდ
უქმნის რისხვამან კვლაე მის მიერმან.
4. ვცის ვის ის რა, გულსა თვით ისრა
მყის განაწონის მან სახიერმან.

71. 1. საფარველ ერთა, საძლეველ მტერთა
მარტივად ბრწყინავს თვალი სოფლისა,
2. გონება-ერცელი, ყოვლ-განმხედველი,
ქრისტესთვის მნთხევი თვისთა ოფლისა,
3. ნიშთა მთხრობელი, წინა-მსწრობელი,
მადლით სპეტაკი უფროს თოვლისა,
4. მისთვისვე ქმნილი, თვით განკუთვნილი,
უფლადცა მხედი ნიეთთა ყოვლისა.

72. 1. ცნობისა სვეტი, ხვეჭით საქვრეტი,
სიმაღლედ, სიერცედ, სიგრძედ და სიღრმედ,
2. სჯულის ფიცარი ძნელ-საფიცარი,
მადლთა ბარძიმი ერთა განსაწმედ,
3. მზე დაუვალი, მყის დაუვალი,
არს შვიდი მნათი მას ზედ მოწამედ.
4. წმიდად აქვს სული დასთა-დასული
სამყაროს ნათლად არა თუ ღამედ.

73. 1. მისგან ვითხოვო, ართუ ვითხოვო,
რათა სცეს სწავლა თბესა მცონარსა.
2. თვით აუარო: არა უარო
ქვეყანათ ყოვლთა უფალთ-მთავარსა:
3. სამ-სახეობით, სამ-სახეობით
ჰხადის უფალსა და მაცხოვარსა.
4. ა ბანაკებით აბანაკებით
მკვირცხლად გვახილვებს მებრძოლთა ერსა.

74. 1. ვხედავთ: სფეროთა სამისფეროთა
საქმეთა მქმნელად ვალს სიფიცხენით;
2. ცის საქანელნი გარდმომდენელნი
მადლისა ცვართა ექმნეს მას ზენით.
3. თვით მის აქაზის ნაცვლად აქა ზის
ახოვნებისა სვეტნი მტკიცენით.
4. ონორის დუქსა პირს ავად უქსა
მყის შერისხვითა, მსწრაფლ სიმკვირცხენით.

75. 1. დრო შამოიგდო: დროშა მოიგდო,
მტერნი დახოცნის აოხრებითა,
2. ბუკ-ტაბლაკობით საარაკობით,
მედგრად იბრძოდის გამწყაზრებითა;
3. განცბუნებულნი, განწბილებულნი
უღონოდ შექმნის აბჯართ ახდითა.
4. გამეხებული, გამარჯვებული
იყო, იშვებდა ფუფუნებითა.

X

76. 1. ვაქებდეთ, ერნო, ყრმანო და ბერნო,
საუნჯედ ჩვენთვის მონიქებულსა
2. ქრისტეს მხედარსა, მხნე-ახოვანსა,
პირად-პირადად განშვენებულსა;
3. ნათლად ბნელისა გარფენილისა,
ეთერთა ელვად დასახებულსა;
4. სიწმიდის ვაზად, არ-ბილწად ავზად,
ნათლის ემბაზად დაარსებულსა!

77. 1. ღმერთმან და ძემან, ღმრთისა სიბრძნემან,
ყო ეს უაღრეს სულთა ყოველთა,
2. ნათლად ცხორებად, არ განშორებად
ზეცისა ძალთა, გუნდთა ცხოველთა,
3. მნედ ტარიგისად, ვითარ იგი სად
ცხორებდა ჩვენთვის ქვეყნად ქვე-ველთა,
4. აღაგო სახლად. სწავლის თან-სახლად
ასურვა ენა მისი მსმენელთა.

78. 1. ვთქვა ფინიკელნი, არ აფრიკელნი —
მათ ქმნეს წერილთა მოგონებანი.
2. კატამანეთო, იამანეთო,
მისდა მყის ცუდ-ჰყვენ მოგონებანი.
3. გიხმობ რომელთა, გიცნობ რომელთა,
ყურნი მომიპყართ, მოგონებანი!
4. მისთვისღა ქებით ხარ, განქიქებით
ბიწი ვინ ჰპოონ, მოგონებანი.

79. 1. ანდ:ბან მოგვმან, გრძნებითა მბორგვმან
მისნობით ხელ-ყო ზაკვით ზღაპრობა;
2. ეშმაკს ეეედრა, სული შეჰვედრა,
მით ექმნა სრულად მათთან საგრობა.
3. თქვენგან ქურუმთა მყის აქ ურუმთა
მოლითა ცუდ-ყვეს ბომონთ-მოთხრობა.
4. ძეგლად სჯულისად მართლ-მსაჯულისად
დაეით გიწოდა თვისად მკვიდრობად.

80. 1. დაწერა ქვითა და წერაქვითა,
ანდამატისა ცვილ-მყოფელითა:
2. „მხნედ ასაკისა პავასაკ ისა
წმიდათა თანა მომრეწელითა“.
3. ტყორცა ისრისა მიკვირს, სისრისა
მერკვირისაებრ უსჯულთ ელენითა;
4. სარკინოზთ ერთა სხეულთ აერთა
ოროლი მორფსა შიგან წევნითა.

81. 1. არაბ აშია! არ აბაშია —
მეფე მორწმუნე, ხმელთა ნათელი;
2. გულთა და სულთა თვით მათ დასულთა —
ებრ ბრწყინვალე ჰყოფს მაღლთა სანთელი,
3. ალვა მოზარდი: სოგრატ, მოზარდი
ქებისა პოვნად, ვითა სულელი.
4. საბასრო მის ა საბას-რომისა
მგმობარი, თავთა დრკუდ განმსწავლელი.

82. 1. მაჰმადის სჯულსა გარდალაჯულსა,
ბილწად, საქიქელ-საბასრობელსა,
2. სიძვა-მრუშებით, არა-წმიდებით,
ჩუკნა-ლირწებით სჯულთა მპყრობელსა,
3. თვით მეზღაპრესა, ცუდ ფეღამბრესა,
ღმრთისა არ-მართლად მქადაგებელსა
4. ეც მოსეს ხითა, არ მოსესხითა,
მას ღმრთისა მიერ საძაგებელსა.

83. 1. თქვის სიტყვა მშვევრი, ართუ დუხჭირი,
მოსაქც ეველ ყვნის წარმართთა ერნი.
2. მათ სატუხელნი, ძნელ-საწუხელნი,
სჯულნი შეუქმნის თავისა მტერნი.

3. მისცის ყოველთა, ვინც იყო ველთა,
ადიდებდიან ყრმანი და ბერნი.
4. მისთვის უგბილად, განსალიგებლად
შეიქმნეს მდედრად სხვანი ძლიერნი,

84. 1. შვიდ წვალებითა, შეცვალებითა
იყვნეს ძველითგან შობის დღის მზმელნი
2. სადუკეველნი, ფარისეველნი,
მცნებათა სჯულსა არ-კმა-მყოფელნი,
3. წერილთ მომპოვნნი, თვისით მომგონნი,
სხვანი დღითი-დღე ნათლის-მღებელნი,
4. ნაზარეველნი, ხუთ-ოსინელნი
მისგან შეიქმნეს პირდაყოფილნი.

85. 1. მაკედონიოს, დრკუ საბელიოს
შეცდომით ჰგმობდეს სულსა წმიდასა.
2. მანი ვინმე ცით იტყოდა რეცით
გარდმოტანასა ხორცთა მისთასა,
3. სამუსატელსა და მომფსვეტელსა
პირს დაუყოფდა წვალებათასა.
4. სომეხთ მეფენი, მტერთ სისხლ-მჩქეფენი,
ღმერთმა არ ღირს-ყვნა უფლებათასა.

86. 1. უცხოთ-მოყვარე, გლახაკთ-მოწყალე,
მსჯელი მსჯავრისა და სამართლისა;
2. აღბორგებითა, აღშფოთებითა
ძმაცვათა შორად წარმდევნელ ის-ა,
3. შვიდის კრებისა დამტკიცებისა
დამბეჭდველ გვექმნა მათგან თქმულისა.
4. მან ყო არიოზ და ევნომიოზ
საბელიოზით შორს ხვებულისა.

87. 1. ვით ქვიშა ზღვისა, ცვარი წვიმისა
ვერვინ აღრაცხოს თან თოეულად,
2. ეგრეთვე ქება, მსგავსად ხსენება
მისი ვერ უძლონ თითოეულად;
3. სიმხნითა ბრძნობა და გულოვნობა
ამრავალწილა უსაზღვრეულად;
4. აღმოსავალით და დასავალით
მთანი და ბორცვნი ხმობს უფლეულად:

88 1. „მაშინვე ნახი თვით ეს ვენახი,
კეთილ-განსხმული, სორექთ მომრთმელი.
2. ლეღვისა, ღვინა, კუროს-თავისა
წილად მურტისა გამომღებელი,
3. ნამისა ცვრისა გამობუტკვითა
ნორჩთ კანდაკებით მსთვად სასთვლებელი.
4. კეთილ-მუქრობით, ცუდ რიე-რაობით
მჭვრეტთ სატრფიალოდ დასასლბობელი“.

XI

89. 1. თქვა შემოქმედმან, ყოველთ მოქმედმან:
„ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა“.
2. ღმერთმან ღმერთთამან ძველმან, დღეთამან,
ვინ თანასწორად სულსა აცლენდა,
3. არვისგან არსმან, თვით დამაარსმან,
სამებით სრულმან თვით იმოქმედა,
4. ნამდვილ ღმრთაებით საბაოთებით
ნივთთ-შექსულობით წარმოადგენდა.

90. 1. მისცა ყოველი; არ უყო ველი,
თვით მის მიერვე დაემონოდეს.
2. უბრძანა ხისა კეთილ-სახისა
დაცვად ნაყოფი, ჭამად არ ოდეს.
3. უწყოდა ღმერთმან, მან სახიერმან:
თუ ჭამდეს, თვალნი აეხილვოდეს.
4. ურჩ-ექმნეს ღმერთსა, უსმინეს მტერსა:
მათ მზე წუედიადად შეეცვალოდეს.

91. 1. როს ენა შვიდი, მათთვის დამშვიდი,
საზრახველ იყო სულთა ყოველთა —
2. ასურთა, ინდთა, რომთა და სინდთა,
ბერძენთა, სპარსთა, აგ-მაგუგელთა
3. მაშინ-ღა ნებროთ ჴკვით სამისებროთ
გოდოლი ხელ-ყო შენებად ველთა
4. თვით გარდმოიჭრა, სული გაიჭრა,
სატანჯველთ მიჰხედა სასტიკთა, მწველთა

92. 1. მცხინვარებითა ღმრთაებისითა
ფერი იცვალა თაბორს დიდებით:
2. ელია მოსით ნათელ-შემოსით
იახლნეს, სხვაც-ა სიმტკიცის კლდებით,
3. ძრწოლით ხედვიდეს, განიზრახვიდეს,
ვითარცა შეჰგავს მონათ რიდებით,
4. ხმა ზეგარდამო, მყის ყოველად ამო,
მამისგან ესმა ძედ საწოდებით.

93. 1. ერთ აღიფრტვინვეს, თვით დაიდრტვინვეს,
უმადლოდ ექმნეს ქველის-მოქმედსა.
2. აღბორგნეს ჯერკვლად, აღშფოთნეს ჯერ კვლად,
კიცხვით ბასრობდეს მას შემოქმედსა.
3. ვინ იბანს ხელსა, მე ვგონებ ხელსა!
ღმრთის სისხლსა წყლითა ვინ განიწმედსა?
4. სულისა საღსრად დასული სახსრად
ღვაწლს აღასრულებს წინასწარედა.

94. 1. როს მესა მჴსით, თვით მესამე სით,
დაჯდეს განკითხვად სულთა ყოველთა,

2. ოხრვიდენ ზღვანი, გრგვინვიდენ ცანი,
ზარი გამოჩნდეს ცეცხლთა შემწველთა,
3. მსწრაფლად-ღა სტვირი ძნელ-დასაყვირი
წარმოადგენდეს სულთა ყოველთა,
4. მაშინ გალხინოს, თვით მიგავლინოს
თქვენ უოხჳნოთა მათ საშეებელთა.

95. 1. ქრისტეს სასძლოსა ვინმცა ასძლოსა,
განწმედით ქმნილსა, განბრწყინვებულსა?
2. თვით მას ედემსა, ნათლად მიმდემსა.
პირველვე შენთვის სახლად გებულსა,
3. სასუფეველსა ყოვლად ცხოველსა,
საფუფუნებლად თქვენთვის დასხმულსა,
4. ვხედავ ჯეროვნად, მარად სამოვნად
შენდა განკუთვნით განმზადებულსა.

96. 1. თუცა ვიტყოდი, უწყი: ვიტყოდი,
ენამცა ბრგვნილად დამეყბედოსა.
2. ვის უთხრნე ჰირნი, ძნელ-დანამჰირნი,
ანუ სხვა ვინმცა მეიმედოსა?
3. შეგეფეროდა, გმირო, ქველო-და,
სრულ ხმელთა ფლობა სამეუფოსა!
4. მა ლეგეონსა მალე გეონსა,
დაანთქემდ უყოსა საუფსკრულოსა.

97. 1. შენ, გონიერო, გულისხმიერო,
თვით მეცნიერო, მეფეე ძლიერო,
2. მიუხდომელო, მიუწედომელო,
მიუთხრობელო, წრფელ-სახიერო,
3. განათლებულო, განახლებულო,
განბრწყინვებულო, მზეო ციერო,
4. გალაღებულო, გალომებულო,
კვლა გოლიათო, გულ-ლმობიერო!

98. 1. მე, მონა შენი — მე, მონა შენი,
ვგონენ ყოველნი შენთვის შექმნულად.
2. ნეტარ ხარ ყოვლად წმიდად და ცხოველად,
ძალად და გულად, თვით არ დაგულად.
3. ნესტორად მძლეობ, არათუ ლეობ
დიმიტრის მიერ ძალ-შეზღუდულად.
4. აწე რისხვითა აწ ერი სხვითა
გზით წარეველინოს უკუნ-ქცეულად.

99. 1. მე, გლახ, რა გიძღვნა? თქვენგან წარირღვნა
ყოველი ბიწთა მომახვლეობა.
2. ვინა იშვების, სად აღიზრდების,
რომ ჰქონდეს თქვენებრ ჴკვა-მხედველობა?

3. მოიმუშაკენ, ღვაწლით მოიმკენ
სათნოებათა მჭელეულობა.
4. ხარ სიბრძნის ვაზი, ნათლის ემბაზი,
სულისა ქნარი, ღმრთის მხილველობა.

100. 1. მეფეე მაღალო, ქცევა-მღაბალო,
ლომისა მსგავსო ძალად და გულად,
2. ალვისა რტოო, ყოელად მარტოო,
მკვრეტთ სასურველო მოსარხეველად,
3. ვარდზედ გაშლილო ყორნისა ბოლო,
ქმნილო სურნელთა მოსაფრქეველად,
4. შუქთა მფენებო, თვით განმთენებო
ზე-სამყაროსა, მერმე ქვე-ველად!

101. 1. თქვენთვის დიდებით, ცუდ მიდ-მოდებით
სიტყვა შევკრიბე უნდო რამ ენით:
2. ხამს შემეწია, თვით შემეწია
მუსიკ-მგოსანით, მესტროლაბენით,
3. არ მექმნა გული ესრეთ დაგული
ცრემლთა ნაკადთა მიწყიე დადენით,
4. სიბრძნის არდაგი, სახმილთ არ დაგი,
წელთა მომერტყა სწავლის ბადენით.

102. 1. პირველ წერანი და საწერანი
პალამიდისგან მოპოვნებულ არს.
2. სიტყვის-მგებლობა, ძნელ-საგებლობა
ზინონისაგან შემოღებულ არს.
3. ტილისმ-მოგვობა, არ-ცუდ-მბორგობა
აპოლონისგან დამტკიცებულ არს.
4. მასთან ასკლიპოს ვეღარ მესიკობს,
თვით ქებად თქვენდა განლიგებულ არს.

103. 1. წიგნნი მეფეთა, ქება ქებათა,
ეკლესიასტე, სარამა გრძნისა,
2. დავით-იგავნი — ვინ თქვა იგ ავნი? —
სიბრძნე დიდისა ხოლომონისა,
3. ლევიტელთ, რიცხვთა, მსაჯულთა, ნეშტთა,
ეზრა-ეზდრასი და ზირაქისა,
4.. მათთან ვრახმანი გრძნობდეს რვა ხმანი,
ვერა დამატონ ქება ძალისა.

104. 1. ცეცხლი ბნელისა გარესკნელისა,
და წამლიანი მატლი ღრჭენისა,
2. მოსრვა ნეფსეითა, ძნელთა სეტყვითა,
თოვლით, წვიმითა ღვარ-ნაფშვენისა
3. ორგულთ ეწიოს, ვერ განეწიოს,
ურჩი ვინც იყოს ტახტის თქვენისა,
4. ღელე გლოვისა ექმნას გლოვისა,
ჟამნი მოუხდეს ცრემლთა დენისა!

105. 1. ტურფად შვენება, გამოჩვენება
თქვენი დააჭნობს ყოველთ ყვავილთა,
2. გიხმობს ენა მით სწავლის ენამით
წყლად წყაროდ, მრწყველად ბორცვთა და ველთა.
3. ახალო რომო, შენთვის თქვეს, რომო
უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა.
4. ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა,
სად რომ დაკრძალვენ წმიდათ სხეულთა.

106. 1. ვფიცავ მე მაღლით, რომ თქვენის გაყრით
ჰკლებოდეს ჟამსა ღვთა ჩემთასა.
2. სულნი და გვამნი და ძვალნი ჩემნი
ქარქვეტებრ ჰქმნოდეს ძალთა მისთასა.
3. მექმნა გლახ-გული, ყოფა და სული
მძაფრ მწყდრად-მდებარე მორფ-სხეულთასა,
4. ვერ ვაგებ თქმითა, რომ ვარ სულთქმითა
უსიტყვეელითა უფროს სხვათასა.

107. 1. ხელ-ვყავ საქმესა, ძნელსა რასმესა,
უგუნურობით, თვით სულელობით,
2. ქებასა გრძელსა, სათქმელად ძნელსა,
ვერ ვუძლე, ვიქმენ ენა-ბრგვნილობით.
3. შესხმა-მკობანი, მუსიკობანი,
ვუწყი, ვერ გიძღვენ თქვენ საფერობით,
4. მაგრა, ვით მწველნი ქრისტეს მითვლილნი,
მექმენ მადლობის შემწირველობით.

თამარის დროს ცხოვრობდა და იღვწოდა ი ო ა ნ ე ჰ ი მ ჭ ი მ ე ლ ი, მწერალი, მთარგმნელი, პოეტი, ფილოსოფოსი, დავითის დროინდელი პეტრიწონული ფილოსოფიურ-ლიტერატურული სკოლის მიმდევარი. მას ბერძნულიდან უთარგმნია „ეკლესიასტე“ და ოთხივე სახარება. მასვე მიეწერება ეს იამბიკო:

მეფე მთავარი, სიონი და წყარონი,
ჰაბუკსა სწორი ებგური საებგურო,
აღვირი, კიცვი, თუალნი და ისრაელი,
გოდოლი, მენავე, სახლი და მამაცა,
და მეგვიპტელი ცხენი, ლაზარე, ქუდი.

მასვე ჟამს კიდევ იყო ნ ი კ ო ლ ო ზ გ უ ლ ა ბ ე რ ი ს ძ ე, ისიც პეტრიწონული ფილოსოფიურ-ლიტერატორული სკოლის მიმდევარი, თანაც ფრიად მაღალზნეობრივი და დიდად განსწავლული ღვთისმეტყველი და საეკლესიო მოღვაწე, სწორედ იგი, საქართველოს კათალიკოსობაზე რომ უარი უთქვამს და იერუსალიმს წასულა, იქ საცხოვრისად და სამოღვაწეოდ. მერე თამარმა რომ ჩამოიყვანა და, ანტონ საღირისძესთან ერთად, იმ ცნობილ საეკლესიო კრებას ამეთაურა.

ნიკოლოზის ნაწარმოებთაგან შემორჩა ერთადერთი თხზულება —

„საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ“, რომლისაგან — ავტორის აზროვნების, სტილისა და მანერის შესაცნობად — ვიხილოთ რამდენიმე ამონარიდი:

„... რამეთუ ვინმე გინა რომელმანმე ენამან გამოთქუას ცისა იგი შუენიერებაჲ რაჟამს ვარსკვლავებითა ფერად ფერადითა შემკობილობდეს ორთა მათ მთავართა შორის მნათობთასა, აელვებულთა შორის ცისა და ქუეყანისა და მათ მიერ შეერთებითა ცეცხლებრ მგზებარეცა იგი სამყარო განკვირუებით ჰკრთებოდის, რომელთა სხივნი ელვებრ განტევებულობენ, კიდით კიდემდე ქუეყანისა, ამათ თანა კუალად ქუეყნიერნიცა იგი ფერად ფერადნი მცენარენი, ყუავილთა და ნერგთანი, შინაურთა და ველურთანი, რომელნიმე საგემებლად, ხოლო რომელნიმე სასუნებლად დამტკბობელად სასათა და სულნელ მყოფელად საყნოსელთა შეუმზადებიან ყოვლისა სიბრძნით გამგებელსა დიდება სახიერებასა ღუთაებასა მისისასა, ხოლო სხუისა ყოვლისა დამტევებელმან ერთისა მხოლოდ ვიდრე მოვიხსენო“.

●

„რომელნიმე ნათესავნი ლბილ და დედალ არიან და ფრიად მოსწრაფე ენამჭევრობისა და ფილოსოფოსობისათვის და საკვირველი რაიმე გულსმოდგინება და ტრფიალებით მოუგიეს გამოძიებათა რომელთათვისმე ღუთითასაცა და კაცობრივთა და ყოველთავე დაბადებულთათვისცა და ამით უკვე სახითა რეცა მძლეობენ ყოველთა ზედა სილაღითა გონებისათა, ვითარცა ზეშთა ქმნილნი და ენა მჭევრობათა და სიბრძნეთა თვისთა თა, ვითარცა ზეშთა ქმნილნი და ენა მჭევრობათა და სიბრძნეთა თვისთა მიმართ მინდობილობენ, რათა სიბრძნით მოხელოვნებისახედ არიან ელინნი ესე იგი ბერძენნი. ხოლო კუალად სხუანი არიან ბოროტებით სადაგნი და მარტივნი და გონებით წრფელნი სიმართლესა ცხოვრებისასა და უღელსა უმანკოებისასა მზიდუელნი და მხოლოდ ღუთისა ოდენ და მკლავისა თვისსა მოსავნი, რომელითაცა უკუე გამოისახვის და საცნაურ იქმნების სიქუელე ჭაბუკისა, ვითარცა აჰა ესერა არს ნათესავნი ჩუენ ქართველთანი, რამეთუ ვითარცა საცნაურ არს ყოველთა მიერ, უეჭველად ესე ვითარი ბუნება პირუელითგანვე უკუე დამცუელობს ნათესავთა შორის ქართუელთასა...“

●

„გიხაროდენ ჰოი! კათოლიკე ეკლესიაო, რამეთუ პირუელ უკუე შენდა მომართ იყო დაწყებაი სიტყვისა, ვინათგან პირმშოებაჲ შენ შორის

საცნაურ იქმნების მორწმუნეთა ერისაგან, რამეთუ შენ შორის შემმოსელ ვიქმნებით ნათელსა მას ქრისტეს მიერსა და ღმერთი მარადის შენ შორის მკვიდრ არს, ვითარცა იწოდებიცა საყდარ ღუთისა და წმიდა წმიდათა, რომელი მხოლოდ ესოდენ უკუე უეჭველად ყოველთა მიერ კმა არს შესხმად და ქებად დიდებისა შენისა სანატრელისა, რაჟამს უკუე ღმერთი შენ შორის განსუენებულობდეს, მიმადლებულო.

გიხაროდენ ჰოი! სუეტო წმიდაო ცხოველო და ცხოველს შყოფელო, რომელი ნათელმან უსაზღვრომან ნათელ მფლობელმან ძემან ღუთისამან, ნათლად ელვარედ და სუეტად ცხოველად აღგმართა, ნათელ მყოფელად გულებსა ქართუელთაჲ ერისასა, დაბნელებულსა კერპთა საცთურისაგან; ხოლო ურწმუნოთა ცეცხლებრ უწყალოდ შემჭმელად ღირსად მისაგებელად ლტოლვისათვის წმიდისა ნათლისა შენისა, ჰოი! სუეტო წმიდაო და ცხოველო.

გიხაროდენ ჰოი! კრაო საღმრთო ნეტარებით შემცუალებელო გუამსა ცეცხლისა მის ღუთაებისასა, რომელი ყოველთა შორის ისაკვირუელების შენ მიერი ეგე სასწაული, რაჟამს ცეცხლსა მას ღუთაებისასა მობარდნილ იყავ და შეუხებლად გებული სასოდ და სიმტკიცედ ნათესავისა ჩუენისა, ჰგიე დღეინდელად დღემდე და ვიდრე უკუნისამდეცა და უეჭველად მისივე იყო ძალი, უცნაურად დამცუელი სიწმიდისა შენისა, ჰოი! სამ გზის სანატრელო კუართოო.

გიხაროდენ ჰოი! ეკლესიაო ღუთისაო, რომლისა დამფუძნებელთამან ყოველთამან ღმერთმან, საფუძუელად შეუძრველად სიმტკიცისად, წმიდანი მოციქულნი დაგისხნა ქუეშე სიტყვისაებრ საუფლოსა, ვითარცა ჰრქუა თავსა მას მოციქულთასა პეტრეს, ვითარმედ „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკკლესია ჩემი, რომელსა ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიანო...“ ხოლო მოწამენი ტაკუკად დაგკიდნა ვითარცა ძუძუნი, რომელთაგან ნეკტარსა სისხლთა მწოვნელნი ოხჭანსა უკუდავებისასა მიმთხუელნი ვმოხარულობთ საუკუნოდ, გიხაროდენ ჰოი! სუეტო ნათელო, რომელი ნათელსა კუართისა ნათლისასა სახედ მზის თუალისა ზეით ჩამოუჭვირობ, რომელსა შუქნი ელვისანი სხივთა მათ ცეცხლისათა და დაგიმართებიან, რომელნიცა უკუე მრჩობლობით საკვირუელად ჰკრთებიან ვითარცა რა მარჩბივნი ელვანი ცისკარსა შორის.

გიხაროდენ ჰოი! საბლარდნელო ღუთისაო ხელთაგან კაცობრივთა შეუმზადებელო, რომლისა უზეშთაესობაჲ ყოველთაგან ზეით ქსოვილისა სახელმან საცნაურ გგყო, რომელსა კურთხეულსა იგი ყოველად წმიდა დედა ღუთისა ოდენ მხოლოდ ღირს იქმნებოდა წმიდათა მათ მიერ ხალხთა მსახურებისათვის შეხებად, რამეთუ შიშით რა და მოწიწებით შთაგმოსის ძესა თვისსა და ღმერთსა მრჩობლ ორკერძოვე ნეტარება მოგვცემოდა, ძისა და დედისა მისითა ორთავე შეხებისათვის, ჰოი! სამგზის სანატრელო კუართო ღუთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესო,

გიხაროდენ ჰოი! კათოლიკე ეკკლესიაო, ნანდვილვე შესაკრებელო ყოველისა კეთილისაო, ვინათგან თავი იგი ყოველთა კეთილთა და საუნჯეთა დამბადებელი და ღმერთი ყოველთა შენ შორის მკვიდრობს, ამისთვის უკვე ითარგმანები შესაკრებელ, რამეთუ ყოველნი მორწმუნენი შენ შორის შევიმოსთ ნათელსა ქრისტეს მიერსა და შენ შორის ვითხოვთ გამოხსნასა ცოდუათაგან და შენ შორისვე იქმნების საუკუნო სამკვიდრებელი ჩუენი, შემდგომად დახსნისა სხეულთა ამათგან კაცობრივთა სასოებითა კეთილითა, რათა ურცხვენელნი მხიარულებით აღვდგეთ უკანასკნელსა მას დღესა დიდსა განკითხვისასა.

გიხაროდენ ჰოი! სუეტო ცხოველო და წმიდაო, პირუელითგანვე შესწავებულო, სასწაულებითა და ნიშმრავლობითა ფერად ფერადითა განშუენებულო, რაჟამს იგი ისრაელთა ერსა წინა უძღოდი და უცთომელად ავლინებდი, ვინაცა შენება შენ მიერ დამბადებელსა ყოველთა ნათელთასა და შენ მიერითა საკვირუელთა მოქმედებითა იდიდებოდა ღმერთი უდაბნოსა მას ორმეოც წელ, დიდსა მოსეს თანადობითა დიდითა ღუაწლ მრავლობით ებგურ ქმნილო შესაწევნელად ისრაელთა ერისა, ხოლო მომსრველად უცხოთესლთა და ამელეკისაო, გიხაროდენ ჰოი! კუართო რომელი საკვირუელებით შემცუელ ექმენ მას, რომელსა ცანი ვერ შემძლებელ არიან დატევნად, გარეშემოუწერლობითა შეუსაზღურებელსა მას ბუნებასა ღუთაებისასა და შენ შორის საკვირუელებით დაიტიე ნათელ ცისკროვანი იგი გუამი ღუთაებისა, რომელი იგი ელვის სახედ კრთებოდა შენ შორის და მის მიერ გამომკრთოლვარითა ნათლითა ყოველი სოფელი განათლდებოდეს უშურველად.

გიხაროდენ ჰოი! საყდარო ღუთისაო, რამეთუ შენ შორის შეიერთებიან ზეცისა და ქუეყანისანი, ზენანი ქუენათა თანა და დამდაბლებითა, და ქუენანი ზენათა თანა ამაღლებითა და ძნობით უპირობენ დამბადებელსა მათსა ღმერთსა დაუცხრომელად ნარნარითა მით დიდებისმეტყუელებითა, ვითარმედ წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქუეყანა დიდებითა მისითა ოსანნა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი და დამკვიდრებული შორის საყდრისა დიდებისა მისისა ზედა, რომელი ჰგიეს უკუნითი უკუნისამდე. გიხაროდენ ჰოი! სუეტო ცხოველო და ცხოველს მყოფელო, რომლისა შორის სულნი წმიდანი მრავალ გზის მოხარულობენ, რამეთუ ხილვით შენითა ანაყოფებდი უკუდავების ცხოვრებასა, რაჟამს ჟამითი ჟამად ეჩუენებოდა სულებსა წმიდათასა უდაბნოთა შინა და ნაპრალთა კლდისათა მოღუაწე ქმნილთა და მოწამეთა ღუაწლ-მრავლობით განშუენებულთა, რომელნიცა ხილვითა შენითა განმტკიცებულებდეს მიმხედველნი სასოებითა მერმეთა მოსაგებელთათა, კეთილ მჭვირებულებითა; გიხაროდენ მრჩობლნო ნათელნო და მრჩობლნო ნათელნო მზისა უნათლესნო, რომელნიცა მდიდრად უჭვირვობთ ურთიერთარს და აკრთობთ ვითარ სახედ ელვა ეთერ-

სა და მზე ცეცხლსა და ცისკარი მთიებსა, რამეთუ სუეტი უჴვირობდის რომელი ზეითჩამო კუართისა და კუართი ქუეით ამათ სუეტსა ურთიერთას შესთჴრებოდიან, მრჩობლნი იგი ნათელნი, ვისნიმცა უკუე არა მოხარულობდეს სულნი სანატრელსა მას სახილველსა ნამუშაკევსა ძისა ღუთისა. გიხაროდენ ჰოი! ეკლესია წმიდაო, რომელსა შინაგან საშოსა გიპყრიეს ძუძუდ სუეტი წმიდა ნათლისა მაწოვნებელი არა ვიდრემე სძესა, არამედ მირონსა წმიდასა, უკუდავმყოფელსა სულთასა, რომელიცა უშურველად უწყარობს ნექტერსა მას უკუდავებისასა მაგემებელსა ყოველთა ქრისტე შემოსილთა ერთა სულებისასა.

გიხაროდენ ჰოი! გოდოლო შემცუელო ნათელსა მას თუალთ შეუდგამსა, რომელი სახედ ალაბასტრისა გვიპყრიეს, რომელსა უტვირთავს შინაგან სულნელება წმიდა და წმიდა მყოფელი, საყნოსებელი სულებსა წმიდათასა, რამეთუ წინათვე უკუე მოგასწავებდა სანატრელი იგი დედაკაცი რაჟამს შემმუსვრელი ალაბასტრისა ფერხთა ვიდრემდე უფლისათა მცხებელი ნელსაცხებლისა, ღუაწლითა, რამეთუ აწინდელი უკუე ესე სახე გექმნების წარმოცემასა წმიდისა მირონისასა, დაღაცათუ შენ შეუმუსრველად ჰგიე აწ და უკუნისამდე.

გიხაროდენ ჰოი! კუართო საღმრთო, რომელი მცუელად და მფარველად მოენიჭე ნათესავსა ჩუენ ქართუელთასა ძისა ღუთისაგან და მფარველო. არა ოდენ ვიდრემე გუამსა ღუთაებისასა, არამედ უფროსღა შიშლოებასა სულთა ჩუენთასა ცოდვისა მიერ, რამეთუ სახსრად და წინდად ცხოვრებისა ჩუენისა წინასწარვე წარმოგავლინა ყოვლისა სიბრძნით განმგებელმან; რათა კეთილითა მით და სანატრელითა ებგურ ქმნითა კეთილ მმართებლობით იყვანებდე სულსა ჩუენსა გზასა ჭეშმარიტებისასა.

გიხაროდენ ჰოი! საყდარო ცათა მობაძაო, რამეთუ მუცელი შენი წმიდა წმიდისასა ყოვლად უაღრესსა და უზეშთაესსა მტვირთველ არს შუენიერებისა და ყუავილოვნებასა, აღმკულებითა მის შორის მყოფთა ნათელთათა, რამეთუ რაჟამს სუეტი ცხოველი და კუართი საუფლო ურთიერთას ჰხდებოდიან კრთომითა ნათელთათა, სახედ მზისა და მთოვარისა; ხოლო მღუდელნი და დიაკონნი ფერად ფერადსა კრთომასა საცნაურ ჰყოფდენ სახედ ვარსკულავთასა განწმენდილობით მსახურებითა უბიწოთათა, და ქერაბინ-სერაბინებრივთა რა ბაგითა, მსხუერპლსა ზედა ნარნარად მგალობელნი მოწიწებით ჰაშნაგირობდენ, რათამცა უკუე შესწორებულობდა არსთაგანი ღირსობასა ნეტარებისა შენისასა. ჰოი! საყდარო ცათა მობაძაო, გიხაროდენ სუეტო ნათელო, რომელი ძისა ღუთისა დიდებასა ღუთაებისა საკვირუელობით მწამებელ ექმენ, რაჟამს თაბორს კრთებოდე ნათელთ მფლობელსა მას ზედა იესო ღმერთკაცსა მეორედ მოსლვასა მაუწყებლობდა რა, რამეთუ ჰვირობამან დიდებისა შენისამან, თავნი იგი მოციქულნი ძესა ზედა ღუთისა უცხო სახედ მხილ-

ველნი, რეცა უსულო ქმნით მოუთმენლობდეს ზარგანხდილნი ერთბამად ნათლისაგანცა დიდებისა შენისასა და ოხრისაგანცა მოსეს და ელიასასა და კუალად იორდანესცა რაჟამს წყალთა შინა ცოდუასა კაცთასა დაანთქმიდა, ხოლო ყოველივე დიდება მისივე ღუთის მიერ იხილვებოდა. გიხაროდენ ჰოი! კუართო გამოუთქმელო, ქებითა კაცობრივთა ენათაგან, რომელი უკეთუ მონათა საგრაგნელნი, ესრეთ იდიდებიან ვიდრემე ვითარცა საცურ არს ჰარონის შესამოსელთათვის, მოსეს პირის საბურველისათვის, ელიას და იოანეს ხალენისათვის, პეტრეს და პავლეს სუდარ ვარძმანგებისათვის, ვინმე უკუე შეუძლოს შესხმად დიდებისა შენისა, რომელსა ცანი ვერ დაიტევენ, თვით ღმერთი იგი დამბადებელი ყოველთა შენ შორის სათნო ყოფით დატევნულობდა. ჰოი! სამგზის სანატრელო კუართოო საღმრთოო, რამეთუ თვით მებრ ესე-ოდენ კმა არს შენდა ქებად ღირსებით სახელის დება ოდენ ღუთისა შენ შორის კუართო საღმრთოო და საუფლოო.

გიხაროდენ ჰოი! საყდარო ღუთისა მაღლისაო, რამეთუ აწ ვიდრე მე უზეშთაესსა უსანატრელსა ქებასა ქებათასა ვიიძულები შესხმად შენდა, რომელსა ვერარა ესწორების ამას ნეტარებასა, ვაშა უკუე, ვაშა შენსა ქებასა და დიდებასა, რამეთუ ვინათგან საყდარ წოდებითა ღუთისათა, სახე ექმნების უზეშთაესსა მას ყოველთა დაბადებულთასა, უაღრესობით აღმატებულსა ყოველთა ქებათასა, ყოველად წმიდასა ღუთის მშობელსა და მარადის ქალწულსა მარიამს დედასა ღუთისასა, რომლისა შორის დატევნულ იქმნა, რა უკუე დიდებაღა ვინ შეუძლოს ქებად შენდა ჰოი! სამგზის სანატრელო, რამეთუ კმა არს შენდა ქებად და დიდებად მიმსგავსება მისი, რომლისა მიზეზითა ღმერთი ქუეყანად გარდამოხდა და ზეცისა და ქუეყანისანი შეგუაერთნა ურთიერთას; ხოლო მგემებელნი ხორცსა და სისხლსა ძისა მისისასა მის მიერ ვმოხარულობთ უკუნითი და უკუნითი უკუნისამდე.

გიხაროდენ ჰოი! სუეტო ნათელო და ნათელს მყოფელო ყოველთა მსასოებელთა შენთაო, რამეთუ შენ შორისცა ვიდრემე უაღრესისა და უზეშთაესისა ქებისა და ნეტარებისა შესხმასა შევამზადებ, ბოლოდ ყოველთა კეთილად და უოხჳნოდ დასასრულისად. რამეთუ შენცა უკუე მსახეობლობით პატივ გიპყრობ ყოველად კურთხეულისა მის დედისა ღუთისა, რამეთუ ჰეშმარიტად სუეტად ნათლისად მოსწავებულად უწყით წმიდათა წერილთაგან წოდებაჲ შენი ქუეყანით ზეცად მიწევნულად, ქუეყანით ვიდრემე აღმოცენებულად; ხოლო ზეცას აღმწუერვალებულად, რომელი მის შორის მკვიდრ ქმნილისა ღუთისა სამარადისოდ ჰგიეს და ღმერთი მის მიერ ჩუენ შორის, ამისთვის უკუე, რაბამ არს უაღრეს სიტყუისა ხსენება და ქება შესხმისა შენისა, სუეტო ნათელო მსახეებელო ნათლისა უაღრესისა მის სუეტისა სანატრელისა ქალწულისაო.

გიხაროდენ უკუე მრავალ რიცხუედთა და უსაზღუროთა, შენ შორის

ვიდრემე ღუთის-მეტყუელებ ჰოი! კუართო უსანატრელესო ნეტარებათასა, ყოველთა უკეთუმცა ყოველნივე ღუთის-მეტყუელნი ვინ და რიტორნი და ფილოსოფოსობისა უზეშთაეს მჭონებელნი შემოკრიბნა ვინ; რაღამცა ვინ შეუძლო ღირსებასა ნეტარებათა და შესხმათა შენთასა, ვინათგან უკუე მიუწთომელთა ქებისათა მრჩობლთა ღირს იქმნეს პატივთა რაჟამს ბუნება ღუთაებისა, სხეულსა შორის მყოფი, შენ მიერ შემცველობდა და კუალად ყოვლად წმიდასა დედასსა მისსა, ყოვლად კურთხეული იგი და სანატრელნი თითნი, ნარნარითა ტკბილ განრჩუნვლობითა, სურვილით და სიყუარულით მოწლედ მსახურ გექმნებოდეს, ჰოი! გამოუთქმელი იგი და საკვირუელი ნეტარება შენი საუფლოო და საღმრთოო ნათლისა საგრაგნელო ელვებით ნათელცისკროვანო კუართო წმიდაო, ძისა ღუთისა სხეულისა დამფარველო დასასრულსა უკუე ზოგადსა და ერთობითსა გიხაროდენსაჲ შეგითხზავ, სამგანუყოფელნო განყოფილად, და განუყოფელად ერთნათელნო და ერთმნათობნო, მსახეებელნო წმიდისა სამებისანო; გიხაროდენ უკუე გიხაროდენ და კუალადცა ვიტყუი პატივად სამებისა სახედ რიცხვისა თქუენისა, გიხაროდენ საყდარო წმიდაო, სუეტო ნათელო და კუართო საღმრთოო; ვითარ უკუე ნეტარ არს და სამგზის სანატრელ ხსენება და ქება სიწმიდისა თქუენისა, უმეტესად და უზეშთაეს ამისთვის, რამეთუ მოსწყევებაჲ თქუენი ყოველთურთსა თანამდობასა ყოვლად წმიდისა ღუთის-მშობელისასა, საცნაურ ჰყოფს, საყდარ ქმნილობით, შენ შორის დამკვიდრებითა ღუთისათა, ეკკლესიაო წმიდაო და სუეტად ნათლისად ეთერცისკროვანებით განმანათლებელად ნათესავთა კაცთასა, სუეტო ნათელო და ღუთაებისა ბუნებისა შემცუელობით და მფარველად, კუართო საღმრთოო, გვიდინებდით უკუე მარადის, გვიდინებდით ოქრონეკტარსა და უშურველად წარმოცენებით გვიწყაროებდით მირონსა წმიდასა უკუდავ-მყოფელად სარგებელსა სულისასა და შოგვანიჭებდით მადლსა საღმრთოსა უხუებით და შენდობასა ცოდუათასა, შეწევნითა მისვე დედისა ღუთისათა, სასოებითა ტრფიალთა წყალობისა მისისა მეძიებელთა, რამეთუ ღირს არს მეძიებელი წყალობისა, ვინათგან უკუე მცნება არს ძისა მისისა, ვითარმედ „ირეკდით და განგეღოს, ეძიებდით და ჰპოოთ“.

უკეთუ რაი დავაკლოთ ჯერისაებრსა ღირსებასა, ვითარცა ხორციელებრ სხეულსა შინა განფრდილების მჭონთა, სძლევდინ უკუე წყალობა და კაცთმოყუარებითი სახიერება ძისა მისისა უძლურებასა ჩუენსა, ვითარცა იტყვის ვითარმედ, „რომელმან მოიდრიკოს ქედი მისი ჩემდა არა გარემივაქციო პირი ჩემი მართლუკუნ წყალობითა ჩემითა, არამედ სძლევდინ სახიერებაჲ ჩემი უძლურებასა მისსაო“, ამისთვის უკუე ვითხოვ თქუენ მიერსა შეწევნასა, თანადობითა ყოვლად წმიდისა და კურთხეულისა დედისა ღუთისათა ჰოი! სამნო სამნათელნო, მსახებელნო წმიდისა სამებისანო, არამედ უკუე მეტყუელსა სიტყვისასა კადნიერ

ქმნილობით, არა ვიდრემე მე სილაღით, არამედ მსასოებელსა კეთილთა წადიერებისასა მომატყუებელ შექმნენით, ხელ ყოფისათვის, რამეთუ თქუენითა მინდობითა ვიწყე სიტყუად და შეკადრებად უმეტესსა ძალისასა; რამეთუ უწყი კეთილად სრულ ყოფა ღუთისა სასოებით ნამეტნავსაცა ძალისაებრსა კეთილ საგონებელობით მეცადინეობად, ვინათგან ძალი მის უძლურებასა შინა სრულ იქმნების სიტყვისაებრ სამოციქულოსა რამეთუ უეჭველად ნამდვილეე ყოველთა მსასოებელთა მისსა მიმართ, ყოვლადვე და მარადის ურცხვენელ ჰყოფს ურცხუენელი იგი ყოველთავე მის მიმართ მილტოლვილთა, სახიერი იგი და კაცთმოყუარე ღმერთი ჩუენი, რომელსაცა ვაქებდეთ, ვაკურთხევდეთ და ვადიდებდეთ შამასა და ძესა და წმიდასა სულსა, სამებასა ერთ არსებასა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე„ ამინ!"

თამარის დროისად ცხოვრობდა ა ბ უ ს ე რ ი ს ძ ე ტ ბ ე ლ ი, ერისთავი ხიხათისა (აჭარისა), მწერალი, ისტორიკოს-ქრონოგრაფი, ვარსკვლავთმრიცხველი, რომელსაც დაუწერია „სასწაულნი წმიდისა გიორგისნი", „გალობანი სამთა იოანეთა", „კორონიკონი სრული მისითა საუწყებლითა".

და კიდევ სხვანი, იყვნენ მრავლად ჟამსა თამარისასა დიდხელოვანნი ხუროთმოძღვარნი, მხატვარნი, მოქანდაკენი, მოჩუქურთმენი, ჰედურხელოვანნი; ამათგან უსაჩინოესნი—ბ ე ქ ა და ბ ე შ ქ ე ნ ო პ ი ზ ა რ ნ ი, შემოქმედნი საოცარი და საფიცარი ხახულისა და ანჩის ხატებისა, გელათისა და ტბეთის სახარებათა ყდა-შესამოსელთა...

და იყო უმაღლესი და უზენაესი ყოველთა სახელთა კაცთაგანისა — შ ო თ ა რ უ ს თ ა ე ე ლ ი, ზევსი მსოფლიო პოეტური ხელოვნებისა და აზროვნებისა.

მისი „ვეფხისტყაოსანი" — პოემა-სასწაული, და სამკაულთა სამკაული დავითიან-თამარიან ოქროვანი საუკუნისა, ზესიტყვა და ზელოგოსი ყოველ სიტყვიერებათა, საღვთოთა და საკაცობოთა.

გენიალობით სწორუპოვარი ჰომეროსიდან დაწყებული, მსოფლიო პოეტურ აზროვნებას დასჭირდა გაევლო ორი ათასი წელიწადი, რომ დაბადებულიყო მეორე კვლავაც უსწორ-უბადლო გენიალობა — შოთა რუსთაველი.

ორი დიადი დიადთა — ჰელინი და ქართველი.

ორი ათასი წელიწადი მარტო იდგა ბერძენი პოეტი პოეზიის მთის, პარნასის უზენაეს და უწმიდეს მწვერვალზე. მაგრამ, აი, დაიბადა ქართველი პოეტი და ჰომეროსის „სოლისტობაც" დასრულდა მსოფლიო პოეზიის ასპარეზზე.

სწორედ XII საუკუნიდან, ანუ დავითიან-თამარიან სანიშანსვეტო ეპოქიდან, ეს ორი ღვთაება დაუფლებია სავსებით პარნასს — ჰელინი ჰომეროსი და ქართველი რუსთაველი. ამის წარმოსახვა ფრიად ადვილი

და მომხიბლავია, ძიუხედავად მათ შორის ორიათასწლოვანი დამანძილებისა; დიახ — „ილიადა“-„ოდისეასა“ და „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორებს ბევრი რამ აქვთ მსგავსიც და შეპირისპირებულიც. და საოცარიც სწორედ ის არის, რომ ეს „მსგავსებაც“ და „შეპირისპირებაც“ ერთნაირი და ერთიანი ძალით ქმნიან ბერძნულ და ქართულ პოეტურ ქნართა ერთხმივ სიმფონიას.

ჯერ, პირადი ბიოგრაფიებით ჰგვანან ისინი ერთმანეთს: დღემდე სრულქმნილად არავინ იცის, ვინ იყო ჰომეროსი პიროვნულად — როდის დაიბადა და სად? როგორ იზრდებოდა და სად? როგორ ცხოვრობდა და სად? როგორ მოკვდა და სად? როგორ დაასრულა თავისი წუთისოფელი და სად? ან სადაა იგი დაკრძალული და დამიწებული?

ვერც რუსთაველის ბიოგრაფები სცემენ პასუხს ამ კითხვებს.

მხოლოდ ვარაუდით, ჰიპოთეტურად იციან, რომ ჰომეროსი ცხოვრობდა ქრისტეს წინარე IX—VIII საუკუნეთა მიჯნაზე, იციან, რომ შვიდი ქალაქი (სმირნა, კოლოფონი, ქიოსი, სალამინი, ათონი, არგოსი და იოსი) ამაოდ იბრძოდა ურთიერთშორის— არა მე ვარ ჰომეროსის სამშობლო და არა მეო.

ერთი სიტყვით, ვერც ჰომეროლოგიამ და ვერც რუსთველოლოგიამ დღემდე ვერ გაარკვიეს მსოფლიოს უპირველეს პოეტთა პიროვნული ვინაობის საკითხი. აქ მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება გადაჭრით და გარდაკვეთილად: ერთი ჰეშმარიტად ბერძენია, მეორე — ჰეშმარიტად ქართველი... ესაა და ეს...

„ვეფხის-ტყაოსანი“ არის ქებათა ქება ადამიანის უღირსეულესი თვისებებისა და გრძნობებისა. ბევრი კალამი გაცვდა იმის ცდაში, როგორმე მოეძებნათ პასუხი კითხვისათვის: სწამდა თუ არა რუსთაველს ღმერთი? თეისტი თუ ათეისტი? ან — პოლითეისტი, მონოთეისტი, თუ პანთეისტი? ან — თუ სწამდა, რომელი უნდა ყოფილიყო ასეთი ავტორიტეტული გენიისაგან აღიარებული „ბედნიერი ღმერთი?“ მაგრამ რუსთაველისთვის სწორედ ძალიან მცირეა და უმნიშვნელო ყოველი „ლოკალური ღმერთი“, თვინიერ ისეთი ყოვლის მომცველი შემოქმედისა, „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“.

და, აქვე, რუსთაველისგან გაღმერთებული ღმერთი არის ადამიანი.

აი, უპირველეს ყოვლისა, აქ შეუპირისპირდა რუსთაველი ჰომეროსს. ეს „შეპირისპირება“ კი ასე უნდა გავიგოთ:

ჰომეროსმა ღ მ ე რ თ ე ბ ი ზეციდან მიწაზე ჩამოიყვანა და ჩვეულებრივ მიწიერ ადამიანებად აქცია. „ილიადა“-„ოდისეას“ ავტორმა მთელი ღმერთთა პანთეონი — ზევსი, ჰერა, ათენა, აფროდიტე, აპოლონი, არესი, ჰეფესტო, პოსეიდონი, ჰადესი — ყველანი გ ა ა ა დ ა მ ი ა ნ ა. ჰომეროსთან ყოველი ღმერთი შეადგენს ადამიანურ ღირსებათა და სისუსტეთა ერთიანობას. განსაკუთრებით ჰომეროსის ღმერთთა „ანთრო-

პომორფიზმი" („ადამიანმსგავსეობა") მკვეთრად ისახება ადამიანურ სისუსტეთა განფენაში. ჰომეროსის ღმერთები ადამიანთა მსგავსად, არიან მხდალები, ანგარნი, ხარბები, შურიანები, მატყუარები, გარყვნილნი. ისინი ისეთივე გრძნობითი და ემოციური სამყაროთი ცხოვრობენ, როგორც რეალური, მიწიერი ადამიანები — ადამიანთაებრ უხარიათ და ჯავრობენ, იცინიან და ტირიან, უყვართ და სძულთ. ისინი ადამიანებისგან განსხვავდებიან მხოლოდ უკვდავებით და უზღვრო სხეულებრივი სიმძლავრით.

და აი, ჰომეროსის „საპირისპიროდ" — როცა მან ღმერთები გააადამიანა და გაამიწიერა — რუსთაველმა ადამიანები გააღმერთა და გააზეცერა. ეს არის იდეალური ადამიანური სამყაროს მხატვრული წარმოსახვა უზენაეს პოეტურ ფანტაზიაში.

მაშ, ორი მოპირდაპირე — ღმერთთა და ადამიანთა სამყაროდან მომავალი ორი გენიოსი ერთმანეთს ხვდება ყოველნაირი „მაღალ-დაბალი" პოეტისათვის მიუწვდენელ პარნასზე. აქ ისინი თითქოს ერთმანეთს ავსებენ; ერთი — გაადამიანებული ღმერთით, და მეორე — გაღმერთებული ადამიანით.

ჰომეროსისა და რუსთაველის პოეტური ქმნილებანი ყოვლისმომცველ კოსმიურ ხმათა საოცარ სიმფონიას წარმოადგენენ. ჰომეროსთან სიტყვა „კოსმოს" იმავდროულად „სამყაროსაც" ნიშნავს და „სილამაზესაც". სწორედ რუსთაველი ჰომეროსისებრ „კოსმიურ" სილამაზე-სიმშვენიერეს უმღერის. „ილიადაში" ეს „კოსმიური სიმშვენიერე" განსხეულებულია ღმერთებში, ხოლო „ვეფხისტყაოსანში" — ადამიანებში.

სხვა მრავალთაგან კიდევ ერთი „შეპირისპირებულობა" მოითხოვს ხაზგასმას: პოეტური ხორცსხმულობა სიცოცხლისა და სიკვდილისა.

„ილიადა" ომის, სისხლისღვრისა და სიკვდილის სამყაროა. პირქუში, კბილდაღრჭენილი, ყბებჩალეწილი დაჰქრის „თანატოს" (სიკვდილი) სკამანდრის ველზე და ტროას კედლებზე, ალმასის ცელით უწყალოდ სცელავს ადამიანებს, შემზარავი მწვანე თვალებით დასცქერის იგი მისგანვე ცხედრად დარეცილ გმირებს. და ეს განწირული გმირები არიან მრავალსეულნი და უმრავლესი მათგანი ასპარეზზე მხოლოდ იმიტომ ჩნდება, რომ უმალვე სიკვდილის მსხვერპლი შეიქნეს! თუმცა, მაინც დღემდე სიკვდილი არავის ისეთ პოეტურ სიმაღლეზე (!) არ აუყვანია, როგორც ეს ჰომეროსმა შეძლო. სიკვდილს, სიცოცხლის ამ უძლეველ და „უკვდავ" მეტოქეს, მხოლოდ „ილიადაში" ვხედავთ ერთდროულად თავზარდამცემსაც და მომხიბლავსაც (!). თანაც, ამ უთვალავ სიკვდილთაგან არც ერთი ერთმანეთს არ ჰგავს. ყოველ სიკვდილში განწირულის ხასიათი ჩანს, ხასიათი „საკუთარი თითის ანებებჯდით" სწორედ აქვეა განფენილი, ჰომეროსის ერთი უმთავრესი მხატვრული კრედო — აპოთეოზი სიკვდილისა.

„ვეფხისტყაოსანი“ კი სიცოცხლის ჰეშმარიტი ა პ ო ლ ო გ ი ა ა. სიცოცხლისა და სიკვდილის რკენა აქ კეთილისა და ბოროტის ჰიდილშია წარმოსახული. და ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მთავრდება ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ა პ ო თ ე ო ზ ი თ:

„ბოროტსა სძლია კეთილმან — არსება მისი გრძელია“.

ჰომეროსისა და რუსთაველის პარალელები უაღრესად მომხიბლავი და ამოუწურავი სამყაროა. საკმარისია აღინიშნოს ორივეს ღვაწლი საკუთარი ხალხისა და საერთოდ კაცობრიობის წინაშე: ისინი საუკუნეთა გასწვრივ, ერთნაირად ზრდიდნენ როგორც თანამემამულე თაობებს, ისე საკაცობრიო სამყაროს. ასეთივე შემართებით განაგრძობენ დიდი ჰელინი და დიდი ქართველი ტრიუმფალურ სვლას კაცობრიობის კულტურულ გზაზე.

„აწ მწუხარებისა მიმართ“

მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვჰვრეტთ,
ღამესა ჩვენ უმთვაროსა.

რუსთაველი

ვინაც გასწირა საფლავისთვის ეს სილამაზე.

შექსპირი

და შენი ღმერთთან მსგავსების გამო,
იცოდე, მწარედ დასჯილ იქნები

გოეთე

დრო კი ვიდოდა, — დრო, კრონოსი, სიკვდილის მგელი.

და დრო ხედავდა, ვითარ — „სუემან თამარისამან“ სძლია ყოველ ადამიანურ განსაცდელს.

მაგრამ დრო, და „წარმდინარე ესე საწუთო და ქვე დამზიდავი“ — ბოლოს მაინც თავისას მოითხოვდა.

ასე უნდა ყოფილიყო, რადგან არც თამარის ძარღვებში დაედინებოდა იქორი — სისხლი ღმერთთა.

ადამიანს ძალუძს იყოს მხოლოდ ღვთაებრივი და არა თვით ღმერთი იქორიანი.

და თამარი იყო მხოლოდ ღვთაებრივი...

და იდგა ქრისტესშობითგან წელიწადი 1210. შემოდგომა.

და თამარი იდგა მაშინ ნაჭარმაგევს.

სათათბიროდ მოეწვია დარბაზისერნი, „ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი“.

წვეულთაგან არავის შეუმჩნევია, რომ მეფეთა მეფე დილითვე თავს ცუდად გრძნობდა.

როგორც ყოველთვის, ანლაც მშვიდად, ღრმაგონებიერად „იურვნა და განაგნა საქმენი სამეფოსა თვისისანი“, სადარბაზო ბჟობის დასრულებაც მოასწრო და მერე კი თვალი გაუსწორა მოულოდნელად აჩენილ ტკივილს.

რა იყო ეს?

პირველად მაშინ უნდა მიმხვდარიყო თამარი, რომ იგი მაინც ქალი იყო და „ქალური უმწეობანი“, ბოლოს და ბოლოს დასჯიდნენ კიდეც „საქმეთა სამამაცოთა“ შებმისა და ჭიდილისათვის.

„ზრუნვანი სჭამენ გულს“ — ამბობდნენ ძველი ბერძნები. ხოლო, რამდენი ასეთი „გულის შემჭმელი“ საზრუნავი და საფიქრალი უნდა ჰქონოდა ქალს, ჯერ ვითარცა პატრონს ფეოდალური ვნებათ-ჭიდილის ქვეყნისას, რომლის მოვლაც თვით ვაჟკაც-ხელმწიფეთა შორის სწორუპოვარ დავით აღმაშენებელსაც მისჭირვებოდა. მერე, ვითარცა ქალს, რომელსაც უნდა ჰქონოდა საკუთარი, პირადი ქალური სამყარო; და აქაც რამდენჯერ „შესჭამა“ მისი გული იდუმალ ნაღვარევმა ცრემლმა, „ღამეყოველ მღვიძარებამ“ და „გრდემლის მოთმინებით“ ნაფიქრმა სადარდებელმა.

მერე, ნეტარძი, ლაშქრად აღძრული მხედრობის, ქართველი ხალხის, ქართული დროშებისა და ჯავარდნების სვებედნიერი, ძლევამოსილი და შეურცხვენელი ტარებისათვის, რამდენი დღე-ღამე უსწორებია ამ საოჯარ ქალს, სხეულის განმარღვეველ ბნელსა და ნესტით გატენილ სენაბში, ლოცვად დავარდნილს, რამდენი ღამე თეთრად უცვეთია შიშველ უხლებზე დაცემულს, ცივი ქვის ფენილზე შილიფად განრთხმულს, უძირს, მარხულს, ცრემლადდათხეულს. გრძელი, მტვრიან-ტალახიანი, ქალ-ბარდიანი, ქვა-ღოჯიანი და ღირღოლოვანი გზა გადაულახავს საომრად ამხედრებული ქართული ლაშქრის წინ ფეხშიშვლად მიმავალს. ანდა, თვითონ რამდენჯერ ამხედრებული წასძღოლია უმძიმეს ლაშქრობას, ვითარცა ვაჟკაცი მოლაშქრე და მხედართმთავარი...

ბოლოს, თავისი უნდა გაეტანა ვაჟკაცობასთან შებმულ „დედობრივ უძლურებას“, და გაიტანა კიდეც.

თვითონვე ბრძანა მწარე ღიმილით:

„დედობრივმან უძლურებამან განგრძობილთა შინა მხეღრობათა არა ვავს-იდვა შეუმთხუეველად მიშუება აგებულებისა“.

მაგრამ ეს ბრძანა გვიან, ვიდრე სენი „დღითი-დღე დამძიმდებოდა მის ზედა“, მანამდე არ ამხელდა საშინელ ტკივილებს, „დიდხან ფარვიდა, რათა არავინ შეაწუხოს“.

ნაჭარმაგევიდან ტფილისს გადაიყვანეს ტახტრევანდით. კვლავ მდუ-

მრიად ბოჭავდა მისი მძლავრი, განურღვეველი სული გზაზედ აშლილ სასტიკ „ტკივნეულობას“ სხეულისას.

ქალაქიდან დასოდ („ხშირ ტყედ“) გაიყვანეს, იქნებ ტყე-მაღნარის სიმშვიდემ, სიმშვენიერემ და ჰაერ-სიწმიდემ მისცეს შვება გვირგვინოსანსო.

მაგრამ ამაოდ — კვლავ უფრო „დიდად განძნელდა სენი იგი უწყალო“.

ისევ ტფილისს მოაბრუნეს, „აგარათა ციხესა“.

ნაადრევად დაზამთრდა.

„და უქმ იქმნა მის ზედა ყოველივე ბუნებათა გამომეძიებლობა მკურნალთა ხელოვნებისა“.

სიკვდილის საუფლოში შედიოდა „სამგზის სანატრელი“ თამარი.

ამაოდ ათევდა ღამეს საქართველო.

ამაოდ „იხილვებოდეს ცრემლთა დინებანი მდიდართა და გლახაკთანი სწორებით“.

ამაო იყო ვედრება ღმერთისა და ღმერთმიღმიერისადმი: ოღონდ გადარჩეს თამარი და სანაცვლოდ „ჩუენ ყოველნი მოგუსრენ!“

„განჩინება წინააღუდგომელი იყო“.

„და დღემან იწყო მიდრეკად, და მზემან დასლვად, და ჰაერმან სხუად ფერად უფერულობა. და ცისკარსა დღისასა ზედა იწყეს შემოსად ბნელთა ღრუბელთა: ღაწუთა მათ ვარდოვანთა იწყეს დაჭნობად, და თუალთა მათ ტბაებრ მზისა შემცხრომელთა სიმრუდედ მიმართეს. ხელთა მათ, მსახურებისაგან გლახაკთასა არაოდეს დაცხრომილთა, იწყეს მოუძლურებად; და ფერხთა მათ, მარადის ღმრთისათვის მაშურალთა, იწყეს შედრეკად; და ყოველნი ნიშნი ცხოვრებისანი სხუად და სხუად ფერად იხილვებოდეს“.

დიდი, მძიმე ზამთარი იდგა.

ძლივს განესრულა ბებერი ღამე „აგარათა ციხესა“.

უკანასკნელმა ცისიერებამ შეანათა თამარის „სასუენებელსა პალატსა“.

ხოლო მზე ამ უკანასკნელ დღესაც ვეღარ უნდა ეხილა მზისდარ მეფე-ქალს: ხვავრიელ თოვლისცვენას სრულიად დაეხშო მზისსამზირი ქვეყნიერებისა.

უკვე დაერისხებინა მდუმარე ზარი სიკვდილის ყოვლისმსახვრალ ხელს, მაგრამ მაინც „მოიღო“ თამარ მეფემ „ბრძენმან ბრძნისა ნეტარება“.

„შემოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსა თვისისა წინაშე მისსა“.

შეიყარნენ დარბაზისერნი.

წამოიწია თამარი, წამოეშველნენ ლაშა და რუსუდან. მაგრამ არ ინე-

ბა მათი ხელშემწეობა მეფეთა მეფემ. თვითონ „განიმტკიცა თავი თვისი“, წამოიმართა და „მხნედ მჯდომარემ“, კვლავ მშვიდად, გონებიერად, მშვენიერი სათნო ხმითა და მკრთალი ღიმილით უკანასკნელად მიმართა საქართველოს მესვეურთა უზენაეს საკრებულოს:

„ძმანო ჩემნო და შვილნო! მე ესერა მივიწოდები მსაჯულისაგან სამშინელისა... თქუენ ყოველნი თვით მოწამე ხართ, რამეთუ ჩემთანა მარადჟამს მქონდა სიყუარული თქუენი, და ვიდრემდის მე ვიყავ თქუენ ზედა მეფედ, არცა რომელიმე თქუენთაგანისათვის დამიკლია რაიმე პატივ-არზანგი შესაფერისად თქვენივე სათნოებისა. აწ მეცა მივდივარ მამათა ჩვენთა თანა გზასა ჩემგან უცხოსა... და გევედრებით ყოველთა, რათა მარადის იყვნეთ კეთილსა შინა და კეთილსვე მახსენებელ ჩემდა. აჰა, ესერა მკვიდრად სახლისა ჩემისა დაგიტევებთ რომელნი მომცნა ღმერთმან შვილნი ჩემნი, გიორგი და რუსუდან: ეგენი მოიხვენით ჩემ წილ, და მაგათ აღმოგივსონ დაკლებული ჩემი“.

კათალიკოსს ანიშნა და იმანაც უმალვე მოიღო მაცხოვრის ხატი და ჯვარიცხოველი.

საქართველო დალოცა თამარმა.

მშვიდობა უსურვა ყველას, დამსწრეთა მისი სიკვდილისასა.

და „აღუტევა“ სიტყვა უკანასკნელი:

„ქრისტე, ღმერთო ჩემო მხოლოო, დაუსრულებელო მეუფეო ცათა და ქუეყნისაო! შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, საქართველოს, პატიოსანთა სისხლითა შენ'ითა მოსყიდულსა, და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემსა“.

და ამ სიტყვებით მოუკვდა საქართველოს თამარი.

„მეფეთა მეფე და დედოფალი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლისა, ჩრდილოეთისა და სამხრეთისა“.

„შვიდმნათობიერი“.

„სამგზის სანატრელი და სამებისაგან ოთხად თანააღზევებული“.

„სუე-სრული და ნათელ-ბრწყინვალე“.

„მეფეთა ელვა-ცისკროვნება“.

„მესიის მახვილი“.

„ღმრთივ-გვირგვინოსანი მეფე და მეფეთამეფე“.

„შიში და ზარი ყოველთა სულტანთა ზედა“.

„მეფეთა მზე და მზეთაცა მზე“.

„მზეთა მზე და მზეთაცა მზე“.

„მზეთა მზე და დედოფალთა დედოფალი შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინვებული“.

„მარადღე მახარებელი ყოველთა გლახაკთა და დავრდომილთა“.

„სკიპტრის-მპყრობელთა ყოველთა უბრწყინვალესი თამარ“...

ერთმპყრობელი მეფობით გამეფდა 18 წლისა, იმეფა 25 წელიწადს, აღესრულა 43 წლისა.

„დასხდიან მგოსანნი გლოვისანი“.

„მწუხარება ზოგადი იყო ყოველთათვის“.

თალხი ჩაიცვა კავკასიელთა სახელმწიფომ.

„ყოველნი ფლასითა შეიმოსნეს“.

ტფილისიდან მცხეთამდე ცრემლთა თხევით აკვლია თოვლი „წვრილმა ერმა“.

მცხეთის სვეტიცხოველში დაასვენეს „სამგზის სანატრელის“ ცხედარი.

იანვრის მიწურულს, როცა თოვლი მცირედად გაწყდა, მცხეთიდან გელათს გადაასვენეს და იქ დაკრძალეს ქართველ გვირგვინოსანთა საძვალეთა შორის ახლად გათხრილ სამარტვილეში...

უქმად ესვენა ხელმწიფური ბეჭედი, უბრწყინვალესი ქალი-ხელმწიფის სახელით ამოტვიფრული:

„დედათა მარილი ვარ“.

●

იალაღზე შეფენილ ძროხათა მროწლეს მწყემსი მიჰყვებოდა სალამურის კვნესით. სალამურზე ამომწვარი ასოებით ეწერა — „თამარ“.

●

გზაზე მათხოვარი ვინმე ვიდოდა. მწარედ ტიროდა.
ტანზე თამარის „ხელნაქმარი“ ემოსა.

●

ქართულ მიწად მიწდებოდა ქართველი მეფე-ხელმწიფის მშვენიერი სხეული.

ხოლო, საბელი მისი მარადიული სიცოცხლით ცოცხლობდა მადლიერი ხალხის ხსოვნაში. „ყოველთა პირნი ერთბამად მზა იყვნეს, რათა ღირსი რამე თამარის საქებლობისა სიტყუა აღმოთქუან“.

კაცი სახლს აშენებდა, ზედ „აკროსტიხორად თამარის შესხმათა“ დასწერდა.

ჰაბუკი სასიძო საქორწინო ბეჭედზე ოქრომჭედელს თამარის სახელს აჭდევინებდა.

მჭედელი იარაღს სჭედდა, ზედ თამარის სახელს კაწრავდა.

სადღაც უდაბნოში, სანთლის მჭრქალი სინათლით განათებულ სენაკში დაცემულ ბერს, ექსტაზში შესულს, ღვთისმშობლის ხატში თამარის სახე ელანდებოდა.

ყველგან, მთასა და ბარში, „თამარის ქებასა მელექსეობდიან“.

● . . . . . .

ქალო თამარო,
მინდორს გეძინა,
ზედ რა გეხურა?
— ზარი ზარბაბი...
— მოველ, აგხადე,
სამი გაკოცე,
სამმა კოცნამა
ფერი გიცვალა,
ფერმა ნაცვალმა
წიგნი დაწერა...
ახ, ვის მისწერა?
— დაეით მეფესა,
— რითი დაწერა?
— ბროლის თითითა.
— შიგ რა ჩასწერა?
— დიბა, ატლასი...
— რითი გაგზავნა?
— ნიავ-ქარითა.
— რით წაიკითხა?
— სისხლის ცრემლითა...

● . . . . . .

პირველად ღმერთი ვახსენოთ,
ღმერთი ხომ დიდებულია.
მემრ თამარ მეფე ვახსენოთ,
ის ღმერთთან წილდებულია.

● . . . . . .

უფლისა იყო ბრძანება,
შეირტყა მამის ხმალიო!
მამის სამეფო აიღო,
თვითონ ბრძანდება ქალიო,
ხმელეთ თავისად მაიგდო,

იმდენიცა აქვს ძალიო;
ზღვასა გადაჰკრა ჩიქილა,
გადააქანა ზღვანიო;
შუა ზღვას ჩადგა სამანი,
სამანი რკინის სარიო...

●

ზოგს ისიც არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ თამარიც ჩვეულებრივი ადამიანივით მიებარებინათ მიწისათვის: თამარი გელათს დაკრძალესო, მაგრამ არ უნდა იყოს ეგ მართალი, — ცხრა კუბო გამოასვენესო მაშინ სასახლიდან, ერთიმეორეზე უბრწყინვალესნი, სულ ოქროთი და თვალმარგალიტით შეჭედილნი და არავინ იცოდა, რომელში ესვენა თამარი; საქართველოს ცხრა მხარეს წაასვენეს და ცხრა ისეთ ადგილას დამარხესო, ძეხორციელს არვის ეპოვნა მისი ღვთაებრივი ცხედარი... ცხრა კი არა, თორმეტი კუბო იყოო, — დავობდა ვიღაცა... არც თორმეტი იქნებოდა, შვიდი კი უეჭველად, შვიდი კუბო შვიდმნათობიერი თამარისათვის, — თავისას იძახდა მესამე, თუ... მეათასე.

● .

თამარი დაძინების წინ გახდილ სამოსელს სარკმელში შემოჭრილ მზის სხივზე ჰკიდებდაო...

● .

თამარ მეფეს შუქურ-ვარსკვლავი დაეჭირა და ყუთში ჩაემწყვდია...

● .

„ქაი ქალოო, თამარ დედოფლის მგვანოო, ხმა-დაბალოო, საქმე-მაღალოო“, — დასტიროდენ ვინმე საყვარელ ქალს მთიან რაჭაში...

● .

სადღაც შორს, „ერაყს მყოფნი მეებნენი, გინა მეჩანგენი თამარის შესხმასა მუსიკელობდიან, ფრანგნი და ბერძენნი, ზღვასა შინა მენავენი,

ნიავ-კეთილობათა შინა, თამარის ქებათა იტყოდიან. ესრეთ ყოველი ქვეყანა სავსე იყო მის-მიერითა ქებითა, და ყოველი ენა ადიდებდა, რომელსაც ოდენ სახელი მისი ასმიოდეს“.

მერე, ბიზანტიაში დიდი პოემა დაიწერა თამარ (დინარ) დედოფალზე. მრავალ ენაზე ითარგმნა იგი, აღმოსავლეთსა და დასავლეთში. რუსეთშიაც ფართოდ გავრცელდა თამარზე შეთხზული აპოლოგიანი. რუსეთის ხელმწიფე ივანე მრისხანე თამარ ქართველთა დედოფლის გმირული სახელით აღაფრთოვანებდა საომრად აღკაზმულ რუსულ დრუჟინებს. თამარი და მისი ქვეყანა ცოცხლდებოდა რუსულ ზღაპარში, თქმულებაში, მატიანეში.

შორეულ ინდოეთში დიდი აღტკინებით, გატაცებითა და მოწიწებით იხსენიებდნენ საკვირველი სიმშვენიერითა და სიბრძნით შემკობილი ქართველი ქალისა და ხელმწიფის სახელს.

●

ამხედრებულნი,

გაშლილი ქართული დროშით, ამაყი მზერით მიეშურებოდნენ ქართველი მლოცველები იერუსალემის ქუჩებში.

ქართული ლავრისკენ, ჯვრის მონასტრისკენ მიიჩქაროდნენ... მათი სალოცავი თამარის პარაკლისზე...

●

ილეწებოდნენ საუკუნენი.

ხოლო სახელი თამარისა ახალ-ახალი სიცოცხლით ცოცხლდებოდა. მისი სახელი სალოცავი გახდა საქართველოსთვის.

მისი სახელი უმშვენიერეს თიკუნად დაებეჭდა ქართულ სახელმწიფო დროშას — თ ა მ ა რ ი ა ნ ი.

ამიერიდან — გორგასლიან-დავითიან-თამარიანი.

ვითარცა წმიდა სამება...

დასრულებულიყო სიცოცხლე მათი — სიცოცხლე იდენ სხეულებრივისა, ოდენ ძეხორციელობისა, ანუ მიწა-ხორციელობისა.

ხოლო, თვითონ ისინი, სულნი მათნი, ანუ „ნამდვილი ისინი“ — ამაღლებულიყვნენ ზეცად, „ნათელსა უნათლოესსა“ — იქ, „სადა თვით იგი ბუნებით ღმერთი მეუფებს მადლით ღმერთ-ქმნილთა ზედა, მუნ აღიყვანა მის თანა მეფობად, უხრწყნელითა და ბრწყინვალითა გვირგვინითა და პორფირითა შემკულნი, სადა იგინი აწ მკვიდრ არიან და იქცევიან ნათელსა შინა ღმრთაებისასა“...

დიახ, ამაღლდნენ, აღზევდნენ და საქართველოც დაუტევეს ეგზომ ამაღლებულ-აღზევებული.

დაუტევეს...

ამაღლებულ-აღზევებული...

მაგრამ „დატევება“, გინა „დატოვებული“ რომ უფრო საგანგაშო-საბედისწეროდ ჟღერს, ვიდრე „ამაღლებულ-აღზევებული“?!

ჩავუღრმავდეთ:

დავითი და თამარი თვითონ ს უ ლ ი თ ამაღლდნენ, ხოლო მათგანვე ამაღლებული საქართველო ხომ მაინც ხ ო რ ც ი თ დატოვეს?!

ხოლო, ხორციელება რომ ცთომილება-ცოდვიერებას არ დაიშლის?!

მაშასადამე, ისმება კითხვა: შეეძლო კი, იმ ღვთაებრივ ხელმწიფეთაგან აწ „დატევებულ“ გინა „დაობლებულ“ საქართველოს, თუნდაც დავითიან-თამარიანობის დონეზე ამაღლებულს, მაგრამ მაინც ხორციელს, მიწიერს, სწორედ ჩვეულებრივი ადამეთისთვის განუყრელად თანამდევი ხორციელ-მიწიერი ვნებების შემოტევისაგან თავი დაეცვა და ჰეშმარიტი დავითიან-თამარიანობა შეენახა?!

ანუ: შეეძლო თუ არა აწ უდავითო-უთამარო საქართველოს განუხრელად ევლო დავითიან-თამარიანის მცნებით?

მცნებებით-მეთქი, რასაც კ ა ნ ო ნ-ს ა მ ა რ თ ლ ი ს ა და ზ ნ ე ო ბ ა-ს ა თ ნ ო ე ბ ი ს მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა ჰქვია!

ვაი თუ ვერა — ვერც დავითიან-თამარიანობის მადლით „აღმოშობილმა“, გაზრდილმა და განმტკიცებულმა ქართველობამ შეძლოს!

ადამიანი ხომ, რაც უფრო მაღლა მიიწევს მიწიდან ზემოთ, ცისკენ, მით უფრო ენატრება, ესურვილება და ეწყურვილება მიწა, ამ მიწის ღვიძლ შვილს.

ეს საერთოდ, ჯიშობრივად ყოველ კაცთაგანს ჯიშობრივადვე ასე მოსდგამს; მით უფრო ქართველს — ჯიშად გამორჩეულ მ ი წ ი ო ნ ს და ც ი ს ი ო ნ ს.

ცაშიც რომ ყველაზე მაღლა უნდა ავარდეს და იქიდანაც ყველაზე უმალ „ჩამომიწიერდეს“ („ჩამოვარდეს“ რომ არ წამოგვცდეს!)..

... ხალხი, მით უფრო ერი, მხოლოდ ძლიერი პიროვნებით, ძლიერი წინამძღოლით, ძლიერი „ხელითა მწიფითა“ არის ხალხი და ერი.

მით უფრო — ქართველი ხალხი, ქართველი ერი! სწორედ მისი მოვლაა ძნელი — მისი წინამძღოლობა, მისი „ხელ-მწიფობა!“

ძნელია, ძნელზე ძნელი პირველკაცობა და ხელმწიფობა იმ ხალხში, სადაც ყველა პირველია, სადაც ყველას ყველაფერი ყველაზე უკეთ „ხელ-ეწიფება“!!!

ამიტომ, თამარის აღსრულებისთანავე უნდა აღბეჭდილიყო საქართველოს ცის კაბადონზე უმძიმესი, სულისშემხუთველი ეჭვით დატენილი — „ვაი, თუ ვერ...“ — ვითარცა მაშინ, თამარის აღსრულებამდე 1748 წლის წინ, მონადიმე ბაბილონელი ხელმწიფის, ბელშაცარის წინაშე იდუმალმა ხელმა ეს სამი სიტყვა რომ გამოხატა:

„მენე, თეკელ, უფარსინ“...

და, ასევე განკითხვის დღეთა მაუწყებლობით — „ვაი თუ ვერ“...

... ვერ გაუძლონ ქართველებმა უდავითობას, უთამარობას...

თუნდაც მათგანვე ეგზომ ამაღლებულთა...

მაგრამ მაინც მათგანვე დატოვებულთა, დაგდებულთა, დაობლებულთა...

ერთნაირად „პირველთა“ და „უპირატესთა“.

ერთნაირად ყველა ცალკე „მე“, „უპირველესი“, „უპირატესი“.

ანუ ყველა ცალკე — „მეთა-მე“ (ვითარცა „მეფეთა-მეფე“, გინა „მზეთა-მზე“).

არა და, უკვე მოისმის ავი ბუბუნი აღმოსავლეთით.

ამ „მეების ქვეყანას“ კი ჯერ ბაიბურადაც არა ესმის რა.

(რაც არ უნდათ, არც ისმენენ — ესეც „სჭირს საქართველოსა“).

არც საშუადღეო მზის ბედისწერას დაჰკვირვებიან ქართველები: მზე რომ აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ წამოიმართება — აზიური სხეულებრივი მცხუნვარებიდან ევროპულ სულიერ სიგრილეში დასავანებლად — სწორედ ეს გადასვლა-გარდასახვა, თუ „გადავანება-გადამზეევება“, სამზეო-საშუადღეოს, აზია-ევროპის შუა სახსარს, დედამიწის შუბლს, ანუ ქართველთა „ქუეყანას“ განეცდება ყველაზე ფიცხად.

არა და, იქ, აღმოსავლეთში, შუაგულ აზიაში უკვე მოქმედებს მსოფლიო ბედისწერა. სახელად თემუჩინი, თუ ჩინგის-ხანი, ტომით „მენღუ“ თუ „მონ-ღუ-ლი“. უკვე თავის „ურდოდ“ უქცევია მთელი შუაგული აზია... და უკვე აშლილა ტაიფუნი აღმოსავლური, ბედისწერა მსოფლიოსათვის!

და, რაკი მსოფლიოსათვის, მაშასადამე საქართველოსთვის — შუბლისათვის დედამიწისა!

(ისედაც, ქართველობა „მსოფლიოობიდან“ ხომ „ვერ გამოწყდება“. ქართველი კაცი რის ქართველია, თუ არ მსოფლიო?!

ისედაც, ქართველ კაცს პირველკაცობა მსოფლიოში ხომ უფრო „გამოსდის“, ვიდრე თვითონ საქართველოში?!

დიახ, ძნელი გახლავთ პირველკაცობა ქვეყანაში, სადაც ყველა პირველი ბრძანდება!).

საჩქაროც რაა, როცა ტაიფუნი იგი, თურმე იგივე ბედისწერის განჩინებით, მხოლოდ ათი წლის შემდგომ მოატანს საქართველოში.

მაგრამ ისიც დავიწყნიათ ქართველებს, რომ დროის უზღვრო აპეირონში — ათი წელი კი არა, მილიონი წელიც არს ვითარცა ერთ წამ...

წამ...

და საქართველოს კვლავ სჭირდება თურმე ხელმწიფე, რომელსაც სწორედ ხელეწიფება გაძღოლა ყოველი საფრთხის, ყოველნაირი „ტაიფუნების“ უვნებელყოფად, კვლავ ამაღლებად, კვლავ განმტკიცებად.

მერე, საქართველოს ტახტზე აკი უკვე ზის ღირსეული ხელმწიფე — ძე თამარისა, გიორგი IV ლაშა.

მაგრამ, რას ნიშნავს „ღირსეული“?

იგი არის ნიჭიერი, მამაცი, ლამაზი, მომხიბლავი ვაჟკაცი, და — საერთოდ, მასთან არის სიკეთე და სიქველე ყოველი.

მაშ, ყოფილა დიდი ხელმწიფე ახალი მეფე საქართველოსი.

დიახ... მაგრამ საქართველოში, ქართველობისთვის, „დიდი“ რომ არ ქმარა?! მით უფრო, როცა ამდენ, ერთნაირად, „მასიურად დიდთა“ ქვეყანას წასალეკად მსოფლიოს წამლეკავი საფრთხე დაემუქრება.

არა, „დიდი“ არ ქმარა-მეთქი!

არამედ — მხოლოდ „დიადი“!

არც „ნიჭიერი“,

არც „ტალანტი“,

არამედ — მხოლოდ „გენიოსი“!

გენიოსობა კი — უკვე დიდი ხნით, ძალიან დიდი ხნით გათავებულიყო საქართველოში...

და, ვისღა შეეძლო ეთქვა, როდისღა უნდა დაბადებულიყო, შუბლსა ზედა დედამიწისასა, ბადალი დავითისა თუ თამარისა, რომელსაც უფლება ექნებოდა ეთქვა:

„ჩემში ღმერთი გაცილებით და განუსაზღვრელად უფრო მეტია, ვიდრე თვითონ მე“...

1992 წლის 9 მაისი,
კახას დაბადებიდან 33 წელი.

ბიბლიოგრაფიული ნუსხა

აბდალაძე ა. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, 1982.
ავალიშვილი ზ. ჯვაროსანთა დროიდან, 1989.
აკოფაშვილი გ. ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან XI—XII სს. საქართველოში, 1984.
ანთელავა ილ. დავითისა და თამარის სახელმწიფო, 1991.
ბადრიძე შ. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, 1984.
ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, I-IX, 1964—1979.
ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, რედ. ს. ჯანაშია, 1946.
ბერძენიშვილი ნ. საქართველო XI—XII საუკუნეებში, 1960.
გაბაშვილი ვ. თურქ-სელჩუკთა შემოსევები და ბატონობა, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, 1957.
გაბაშვილი ვ. თბილისის სოციალური ისტორიიდან (მოქალაქეთა ამბოხება 1122—1123 წწ. თბილისში), ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, 1976.
გაბაშვილი ვ. XII საუკუნის თბილისის ისტორიისათვის, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, 1976.
გურგენიძე ვ. თამარ მეფე, 1990.
ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV. სიმ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1973.
კახაძე მ. ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურ და კულტურულ სარბიელზე, 1954.
კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I—II, 1980—1981.
კოპალიანი ვ. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—1070 წლებში, 1969.
მელიქიშვილი გ. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, 1973.
მესხია შ. ძლევაჲ საკვირველი, 1972.
მესხია შ. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, 1979.
მეტრეველი რ. დავით IV აღმაშენებელი, 1986.
მეტრეველი რ. მეფე თამარი, 1991.
ნატროშვილი თ. მაშრიყით მაღრიბამდე, 1974.
ნუცუბიძე შ. ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, 1958.
ჟორდანია თ. ქრონიკები, I—II, 1892, 1897.
საბინინი, საქართველოს სამოთხე, 1882.

სანიკიძე ლ. უქარქაშო ხმლები, I, 1976.
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, 1979.
სტეფნაძე ჯ. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში, 1974.
სტეფნაძე ჯ. დემეტრე პირველი, 1990.
ქართლის ცხოვრება, სიმ. უაუხჩიშვილის გამოცემა, I, 1955; II, 1959.
ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I, 1961.
უაუხჩიშვილი ს. გეორგიკა, I—VIII, 1934—1970.
უაუხჩიშვილი ს. გელათის აკადემია, 1948.
შენგელია ნ. სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, 1968.
ჩხარტიშვილი ქ., შაიშმელაშვილი ი. დიდგორის ბრძოლა, 1973.
ცინცაძე ი. ბასიანის ბრძოლა, 1971.
ძველი ქართველი მეხოტბენი, I, 1957; II, 1964.
ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილია აბულაძის გამოცემა, I, II, 1964.
ხიდაშელი შ. იოანე პეტრიწი, ცხოვრება და მოღვაწეობა, 1956.
ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, 1983; ტ. VI, 1984; ტ. VII, 1984; ტ. VIII, 1977.
ჯანაშია ს. შრომები, I—III, 1949—1959.

Анна Комнина, Алексиада, 1964.
Босворт К. Э., Мусульманские династии, 1971.
Герцберг Г. Ф., История Византии, 1897.
Заборов М. А., Крестовые походы, 1956.
История Византии, т. I—III, 1967.
Успенский Ф. И., История Византийской империи, 1—3, 1913—1918.
Хрестоматия по истории средних веков, I, 1953.
Эпоха крестовых походов, 1914.
Waas A., Geschichte der Kreuzzüge, Bd 1—2, 1956.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა ბ ჰ ე, ანუ — შ ი ქ რ ე ბ ი გ ე ლ ა თ ს

წ ი გ ნ ი პ ი რ ვ ე ლ ი

რ ო მ ე ლ მ ა ნ ა ღ ა შ ე ნ ა

კარი პირველი — ა ღ მ ო ც ი ს კ რ ე ბ ა მ დ ე 9
ზეობა ბაგრატ მესამისა 9
ზეობა გიორგი პირველისა 23
ზეობა ბაგრატ მეოთხისა 36
ზეობა გიორგი მეორისა 71
კარი მეორე — ა ღ მ ო ც ი ს კ რ ე ბ ი ს ა 92
ქამსა ყრმობისასა 92
ისევ სელჩუკიანთა 96
ღალატსა „საწოლითვე წრთობილი“ 97
ზენიშანისა და ზეძახილისა 100
დამდეგი XII საუკუნისა 109
ისევ — შინამოღალატეთა 110
„სახლი განმამწარებელთა“ 111
„ძეგლი შუენიერი“ 112
„ძეგლისწერა“ 115
კარი მესამე — ზ ე ნ ა დ ღ ი ს ა 135
„დიდი ძლევა“ 135
ბრძოლანი „უგრძნეულნი“ 137
ყივჩაყი შამომეყარა 141
ჯვაროსანთა და მთავროსანთა 147
პოლიტიკურ ქორწინებათა 151
Antemurale 156
„იდუმალი მოსვლა ფრანგისა“ 158
ბორტია აშორნია, სევგელმეჯ 160
„არა დაუშთათ მთხრობი ამბავისა“ 162
დიდგორი — ილიადა საქართველოსი 163
კარი მეოთხე — მ ი მ წ უ ხ რ ი ს ა 175
ტფილისი — „სახლად თვისად საუკუნოდ“ 175
ერთიანი სახელმწიფო კავკასიელთა 181
გაენათი — ნათებაჲ მეორე ცისაჲ 189
თვითონ — რომელმან აღაშენა 201
„მაბრალობელნი“ და საბრალობელნი 212
„ნუ ოდეს დამივიწყებთ დავითს!“ 220
„...მძლო საწუთომან...“ 227
„გალობანი სინანულისანი“ 229

წ ი გ ნ ი მ ე ო რ ე

რ ო მ ე ლ მ ა ნ დ ა ა მ შ ვ ე ნ ა

კარი პირველი — დ ა ვ ი თ ი დ ა ნ თ ა მ ა რ ა მ დ ე 245
ზეობა დემეტრე პირველისა 245
ზეობა გიორგი მესამისა 256

კარი მეორე — აღმოცისკრებისა 273
„შეიბ მასხვილი!“ 273
„რომელთამე ძუელებრი“ 275
„ჯორის სახედ“ 276
დარბაზისერნი თამარ მეფისა 278
პირველი საქორწინო გვირგვინი 280
დროშითა სვიანითა 285
მეორე საქორწინო გვირგვინი 287
„სარგებლისა მოწადინეთა“ 292
„ერთადერთი დასჯილი“ 296
კარი მესამე — ზენადღისა 298
„საუფლისწულო-საბედო ლაშქრობანი 298
შამქორი 301
შამქორის შემდგომ 307
საზღვრებს გადაღმა 310
თამარის „იმპერია“ 313
ბასიანი 315
ბასიანის შემდგომ 321
ლაშქრობა სპარსეთს 325
„შვიდმნათობიერის“ სკიპტრის ქვეშ 331
თვითონ — რომელმან დაამშვენა 333
კარი მეოთხე — მიმწუხრისა 338
„ცასა ცათასა“ 338
მეხოტბეთა 339
„აწ მწუხარებისა მიმართ“ 392

გოლგოთა, ანუ — მენე, თეკელ, უფარსინ... 400
ბიბლიოგრაფიული ნუსხა 403

გამომცემლობის რედაქტორი თამარ გაბელაია

მხატვარი შოთა ნიორაძე

სამხატვრო რედაქტორი იზა ჩიქვინიძე

ტექნიკური რედაქტორი ბეჟან ასათიანი

კორექტორი მარინა ვარამაშვილი

გადაეცა წარმოებას 30. VII. 93 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1. VII. 94 წ. საბეჭდი ქაღალდი № $60\times90^{1}/_{16}$. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 25,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 22,37.
ტირაჟი 10 000. შეკვეთის № 320.

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

საქართველოს რესპუბლიკის პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმიანობის სახელმწიფო კორპორაციის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.